საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა

198

ბიბლიოგრაფიის მოლაშე

4-5

ა 34,
ბ 220

თბილისი
1948



საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა

ბიბლიოგრაფიის მოამბე

Y 9999

4-5

სსრ მეცნიერებათა აკადემია

თ ბ ი ლ ი ს ი
საქართველოს სსრ სახ. წიგნის პალატის გამომცემლობა
1 9 4 8

პ/მგებელი რედაქტორი ვ. გოგოლაძე

საქ. სსრ პოლიგრაფიისა და გამომც. საქმ. სამმართ. სტამბა № 3, პლეხანოვის პრ. 59

ტირაჟი 1200, ხელმოწერ. დასაბეჭ. 18/V 1948 წ., უე 02702, ანაწყობის ზომა 6×10=39.000, სასტ. ფორმ. რაოდ. 25³/₄, შეკვეთა № 479

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

1. ვ. მ. გ ო გ ო ლ ა ძ ე—ბიბლიოგრაფიის მორიგი ამოცანები 7
2. გ. ი ლ. ბ ა ქ რ ა ძ ე—ქართული სპეციალური ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა 18
3. ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე—ბიბლიოთეკოლოგია, მისი საგანი და სწავლება 52
4. მ ა ქ ს. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი—ჟურნალ „სინათლის“ განცხადება 80
5. ქართველ ავტორთა ნაშრომები, გამოცემული მოძმე რესპუბლიკებში . . 109
6. ქართული ბეჭდური წიგნები (1629—1920) დამატებით გამოვლინებული წიგნების ბიბლიოგრაფია 141
7. ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი —ბიბლიოთეკოლოგიის სადაო ტერმინები . . . 197
8. თ ა მ ა რ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი—ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა . . . 221
9. ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი—„ტფილისის ვედომოსტები“ („ტფილისის უწყებანი“) 237
10. ტ რ ო ფ ი მ ე ხ უ ნ დ ა ძ ე—ცარიზმის პოლიტიკისათვის ბიბლიოთეკების მიმართ საქართველოში 262
11. ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი და ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი —„საქართველოს მოამბე“ 1863 287
12. თ. ნ ა კ ა შ ი ძ ე—ალექსანდრე ყაზბეგი, ბიბლიოგრაფია 373
13. პ ლ. ხ უ ნ დ ა ძ ე—ჰოლა ლომთათიძის ლიტერატურული არქივიდან საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში 380
14. თ. ე. ნ ა კ ა შ ი ძ ე—საქართველოს წიგნის პალატის საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება 389
15. ა. მ. კ ე ნ ჭ ა ძ ე—საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოების არქივი . . 394
16. ვ. მ. გ ო გ ო ლ ა ძ ე—საქ. სსრ წიგნის პალატის სამეცნიერო შრომების შესახებ 398

СОДЕРЖАНИЕ

стр.

1. В. М. Гоголадзе—Очередные задачи библиографии 7
2. Г. И. Бакрадзе—Грузинская специальная библиографическая литература 18
3. Н. Лордкипанидзе—Библиотекология, ее предмет и преподавание 52
4. Макс. Бердзнишвили—Объявление журнала „Синатле“ . 80
5. Труды грузин, изданные в Союзных Республиках в 1946 г. . . . 109
6. Грузинские печатные книги (1629—1920). Библиография, дополнительно выявленных книг 141
7. И. Цицишвили — Спорные термины библиотекологии . . 197
8. Т. Мачавариани—Личная библиотека И. Чавчавадзе . . . 221
9. А. Абрамишвили—„Тифлисские Ведомости 237
10. Тр. Хундадзе—Царская политика по отношению библиотек Грузии 262
11. С. Хуцишвили и Н. Татишвили — Журнал „Сакартвелос Моамбэ“ 287
12. Т. Накашидзе—Александр Казбеги. Библиография 373
13. Пл. Хундадзе—Из литературного архива Чоха Ломтатидзе—В Книжной палате Груз. ССР 380
14. Т. Накашидзе—Справочно-библиогр. отдел Книжной палаты Груз. ССР 389
15. А. Кенчадзе—Архив печати Груз. ССР 394
16. В. М. Гоголадзе—О научных изданиях Книжной палаты Груз. ССР 398

ვ. მ. გოლგოლაძე
საქ. სსრ. სახ. წიგნის პალატის დირექტორი

ბიბლიოგრაფიის მორიგი ამოცანები

ამ რამოდენიმე თვის წინ, ჩვენმა ქვეყანამ დიდის ზეიმით აღნიშნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის სახელოვანი 30 წლის თავი. 30 წელი ისტორიისათვის ძალზე მცირე მონაკვეთია, მაგრამ ჩვენმა ქვეყანამ ლენინ-სტალინის პარტიის, მისი სულის ჩამდგმელის, დიდი ორგანიზატორის, ბრძენი სტალინის ხელმძღვანელობით ისტორიაში ჯერ არ ნახულ და არ გაგონილ შედეგებს მიაღწია.

ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ტექნიკისა და კულტურის ქვეყნად იქცა. ერთ ოჯახში გაერთიანებულმა მრავალერიანმა საბჭოთა ხალხებმა მიწასთან გაასწორა ფაშისტური გერმანია დასავლეთში და იმპერიალისტური იაპონია აღმოსავლეთში და კვლავ შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმულნი აშენებენ, ქმნიან უკეთეს მომავალს—კომუნისტურ საზოგადოებას.

ჩვენი ქვეყნის ამ მიღწევებით, ახალი ტიპის სოციალისტური სახელმწიფოს ამ ზეიმით თბებიან მთელს მსოფლიოში მოსახლე მოწინავე ადამიანები. მათი გულისყური მიპყრობილია ჩვენსკენ, რადგან ღრმად სწამთ, რომ ყველაფერი, რაც განხორციელდა ჩვენში, შეიძლება გაკეთდეს იქაც, მათ საკუთარ ქვეყანაში. ცივილიზაციის, კაცობრიობის მხსნელი სსრ კავშირი, მსოფლიოში ხანგრძლივი მშვიდობიანობის სადარაჯოზე მდგომი, დამსახურებულ აუტორიტეტსა და სიამაყეს აგრძნობინებს ყველა პროგრესიულ ადამიანს, რომლისათვის ძვირფასია მშვიდობა კაცთა შორის, სიცოცხლე, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის დაუშრეტელი ლტოლვა.

რა გასაკვირია, თუ თითოეული საბჭოთა მოქალაქე, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, რა სამუშაოსაც არ ასრულებდეს—განურჩევლად პროფესიისა, თანამდებობისა—ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი უძლეველი დედა-სამშობლო კიდევ უფრო გაძლიერდეს, გაკეკლუცდეს, რომ სისხლ-ჭარბი საბჭოთა ადამიანის ცხოვრება კიდევ უფრო ლაზათიანი, უხვი, კულტურული და მიმზიდველი გახდეს.

საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის პატარა კოლექტივი, ბუნებრივია, არ ჩამორჩა მეცნიერებისა და კულტურის მძლავრ კერებს, რომელთა ქსელი დღითიდღე ფართოვდება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

საქართველოს სსრ სახ. წიგნის პალატა საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. მისი დაარსება ფიქსირებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 26 აპრილს დადგენილებაში, რომლითაც მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ჩვენში სახელმწიფო ბიბლიოგრაფიას.

როგორც ცნობილია, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი (პაოლინის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი") გამოცემული იქნა რომში 1629 წელს. აქედან მოყოლებული რომში, ვენეციაში, მონთობანში, პარიზში, კონსტანტინოპოლში, ლონდონში, ბერლინში, ბაქოში, კავკავში, მოზდოკში, მოსკოვში, პეტერბურგში, თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში 1921 წლამდე (თითქმის სამასი წლის მანძილზე) სულ დაიბეჭდა და გამოიცა ექვსი ათასამდე სახელწოდების ქართული წიგნი.

ასევე მცირე რაოდენობით გამოდიოდა ჩვენში ქართული პერიოდიკა. და მაინც თუ რამე კეთდებოდა ქართული ბეჭდვითი სიტყვის გამოცემის საქმეში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ეს მხოლოდ ცალკეულ საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივისა და თავდადების შედეგად.

ქართული კულტურა ნამდვილად აყვავდა, განვითარდა და ახალ ბრწყინვალე გზას დაადგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „...საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ხალხი უზრუნველჰყო ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების ფართო შესაძლებლობით..." (კ. ნ. ჩარკვიანი).

1921 წლიდან ჩვენი რესპუბლიკის ყოველმხრივ აღორძინებას, წინსვლას ბრწყინვალე მომავლისაკენ გაბედული ნაბიჯით გაჰყვა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა, ლენინ-სტალინის პარტიის, პირადად ამხანაგი სტალინის მზრუნველობით ძალა მოსილი.

საქართველოში 1920 წელს ყველა გაზეთის ტირაჟი შეადგენდა 7,5 მილიონ ცალს, ხოლო ჟურნალებისა—241 ათას ცალს, 1940 წელს კი საქართველოში გამოსული გაზეთების ტირაჟი შეადგენდა 137,4 მილიონ ცალს, ხოლო ჟურნალებისა—1,8 მილიონს. ამჟამად საქართველოში გამოდის 10 რესპუბლიკური, 7 საოლქო,

76 საქალაქო და სარაიონო გაზეთი. გამოდის აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო მცირე ტირაჟიანი გაზეთები, იბეჭდება მრავალი ჟურნალი, კრებული, სამეცნიერო შრომა.

წარტო ქართული წიგნი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე დაიბეჭდა 20 ათასამდე. ამას თუ მივუმატებთ რუსულსა და სხვა ენებზე საქართველოში დაბეჭდილ წიგნის რიცხვს, ნათელი გახდება ის გიგანტური ზრდა ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციისა, რასაც ადგილი აქვს ისტორიის ამ მოკლე მონაკვეთის მანძილზე ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური განვითარების პარალელურად.

ამასთან აღსანიშნავია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების ბეჭდვა და გავრცელება საქართველოში. 1921 წლიდან დღემდე მარქსის ნაშრომები დაიბეჭდა 38-ჯერ 259.250 ტირაჟით, ენგელსისა—34-ჯერ 197.650 ტირაჟით, ლენინისა—183-ჯერ 1.244.050 ტირაჟით, სტალინისა—347-ჯერ 4.654-050 ტირაჟით. ღირსშესანიშნავი წიგნი, როგორიცაა ამხანაგ ლ. პ. ბერიას ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" გამოვიდა 11-ჯერ 242.200 ტირაჟით.

ეს ციფრები მჭერმეტყველურად ღაღადებენ ქართველი ხალხის კულტურულ აღმავლობაზე, იმაზე, თუ რაოდენ დიდია მისწრაფება დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელ მოძღვრებას, მოწინავე მეცნიერების, ახალი საზოგადოების—კომუნიზმის მშენებლობის მოძღვრებას.

ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე მრავალი აკადემიური გამოცემა დაიბეჭდა ისეთი ქართველი კლასიკოსებისა, როგორიც არიან შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, ნინოშვილი, გოგებაშვილი და სხვა მრავალი. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი რუსი კლასიკოსი, უცხოური გამოჩენილი მწერალი, რომელთა ნაწარმოები არ იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე.

ამის პარალელურად ახალი, საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლები ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ა. აბაშელი, ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, გრ. აბაშიძე, ირ. აბაშიძე, გ. ჯიბლაძე, ს. ეული, რ. გვეტაძე, კ. კალაძე, გ. ნატროშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. ლორთქიფანიძე, ა. მაშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ა. შანშიაშვილი, დ. შენგელაია და სხვები საყვარელი და პოპულარული გახდნენ საბჭოთა მკითხველისათვის. მათი ნაწარმოებნი მრავლად იბეჭდება არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ რუსულზე, სსრ კავ-

შირის მოძმე რესპუბლიკებისა და უცხოურ ენებზე. ისინი ფართოდ არიან გავრცელებული მასებში და როგორც სულის ინჟინრები. ჟურნალების „ზვეზდას“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკ. კ. (ბ) ც. კ-ის 1946 წლის 14 აგვისტოს ისტორიულ დადგენილებით წელგამაგრებულნი, დიდ შემოქმედებითს მუშაობას სწევენ ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალისტური ნაშთების ლიკვიდაციისათვის, აღაფრთოვანებენ ჩვენი ქვეყნის ადამიანებს საგმირო საქმეებისათვის.

ამასთან „...არ არის მეცნიერების ისეთი დარგი, რომელშიც ქართველი მეცნიერები არ მუშაობდნენ...“ (კ. ნ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი). ამ მეცნიერებმა მიაღწიეს ახალ აღმოჩენებს, უხვად შეჰქმნეს ღირსშესანიშნავი ნაშრომები და გამოსცეს ისინი. ეს შემოქმედებითი მუშაობა ახლა კიდევ მეტი ინტენსიობით სწარმოებს, რადგან ჩვენმა მთავრობამ, პირადად ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მა მეცნიერებს შეუქმნა ისეთი პირობები შემოქმედებითი მუშაობისათვის, რომლის მსგავსი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო არასდროს, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ამაზე აქ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ თვალსაჩინო გაეხადოთ დიდი სარგებლობა და მასთან აუცილებლობა საბჭოთა ბიბლიოგრაფიის განვითარებისა, რომლისთვისაც საბჭოთა მთავრობამ, როგორც ვთქვით, შეჰქმნა სპეციალური სამეცნიერო დაწესებულება—სახელმწიფო წიგნის პალატა.

ქართულ ბიბლიოგრაფიას შორეული წარსული აქვს. იგი განსვენებულ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ცნობით მე-10-12 საუკუნიდან იწყება, ე. ი. ჩვენი წინაპრები ბიბლიოგრაფიას მაშინაც ადგენდნენ, ვიდრე ქართული ნაბეჭდი წიგნი წარმოიშობოდა ქვეყანაზე.

დიდი ქართველი მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე, მაშინდელი უკულმართი პირობების გამო პირდაპირ ევედრება ბერ-მონაზვნებს შეადგინონ ქართული წიგნის კატალოგი; იგი წერს: „კარგი იქნებოდა და დიდს ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველი ლიტერატურის ისტორიას ცალკე და ცხოვრებისას საერთოდ, რომ ამ ძვირფასის განძის სიები, კატალოგები შესდგეს, თვითეულად აღნუსხულ იქმნას რა წიგნი, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ხედწარწერანი აქვს და სხვა. რასაკვირველია, ეს შეუძლიანთ ღირსეულად შეასრულონ მარტო მათ, ვისაც ხელი მიუწვდებათ, ვინც ახლო უდგანან ამისთანა განძსა. ჩვენი ბერ-მონაზვნები და სამღვდელონი, რომელთაც აბარიათ სალაროები მონასტრებისა და ეკლესიებისა, დიდს ვალს დასდებენ ჩვენს ქვეყანას, რომ ამ საჭიროებას

ყურადღება მიაქციონ და რაც მათდამი მინდობილს სალაროში წიგნებია, იმის სია, ანუ კატალოგი შეადგინონ, როგორც ვსთქვით, და რომელსამე გაზეთში დაჰბეჭდონ გამოსაქვეყნებლად. გვერწმუნონ, რომ ეს დიდი და სასახელო საქმეა, დიდს და სასახელო სამსახურს გაუწევენ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც: ამ სიგბის შემადგენელთა სახელი ყოველთვის მადლობით მოიხსენიება შთამომავლობის პირი". (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 2. თბ. 1941. გვ. 505). ხოლო ისეთი დიდი ქართველი მეცნიერი, როგორც სოლომონ დოდაშვილი, თავის წერილში იოანე ხელაშვილისადმი 1828 წლის 28 დეკემბერს სრეწდა „...შევადგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე, ვისგან, სადა და ოდეს და თვითეული რას იპყრობს თავის შორის...".

და ამ რეესტრებს ეს ბოლოვაწენი აკეთებდნენ საკუთარი ინიციატივით, მაშინაც, როცა ან სავსებით არ იყო ქართული ნაბეჭდი წიგნი და ჩვენი კულტურის ნაყოფი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ან იყო, მაგრამ ძალზე მცირე. მიუხედავად ლიტერატურის სიმცირისა, მაინც საჭიროდ და აუცილებლად თვლიდნენ ქართული წიგნის კატალოგის შედგენას მომავალი მუშაობის გასაადვილებლად.

რაც შეეხება ქართული ჟურნალ-გაზეთების სტატიების ანალიტიკურ აღწერას, ამისი პირველი ცდა ეკუთვნის პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრებს, რომლებმაც შესძლეს პროფ. ი. ყიფშიძის რედაქტორობით 1916 წ. გამოეცათ პეტერბურგში ქართულ პერიოდულ გამოცემებში მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი, ხოლო ნამდვილი მეცნიერული მუშაობა ამ მიმართულებით განახორციელა საქართველოს სსრ საჯარო ბიბლიოთეკამ 1940-1944 წელს, როდესაც გამოსცა 3 ნაკვეთი „ქართული ჟურნალების და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია" (1852-1905 წ. წ.). ეს მუშაობა საჯარო ბიბლიოთეკაში ამჟამადაც გაცხოველებით მიმდინარეობს და იგი მას დაამთავრებს 1920 წელით. ხოლო 1920 წლიდან ამ მეტად საჭირო წამოწყებას დაასრულებს საქართველოს წიგნის პალატა, რომელსაც მზად აქვს დღეისათვის „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია" (1921-1927 წლები), მუშაობა ამ მიმართულებით კვლავ გრძელდება და მიყვანილი იქნება 1939 წლამდე.

ახლა, როცა ურიცხვია წიგნის, ჟურნალის, გაზეთის რაოდენობა ადვილი წარმოსადგენი ხდება, თუ რამდენად აუცილებელია და გადაუდებელი ბიბლიოგრაფიის ყოველმხრივი გაშლა, რათა

გაგვიადვილდეს ლიტერატურის ამ ვრცელ ოკეანეში გზის გაგნება, რათა გაგვიადვილდეს ჩვენთვის საჭირო ლიტერატურის თავის დროზე პოვნა. საბჭოთა ბიბლიოგრაფები მთელი მონდომებით, თავიანთი ცოდნისა და ენერგიის დაუზოგველად ახლა განსაკუთრებით უნდა გამოეხმაურონ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახულ ამოცანას—საბჭოთა მეცნიერების შემდგომი აღმავლობის ამოცანას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა, რომელიც აღორძინდა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო მზრუნველობით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ნ. ჩარკვიანის დახმარებით, ღირსეულად ჩადგა სსრ კავშირის პალატებს შორის მოწინავეთა რიგებში და პირველმა სსრ კავშირში 1941 წელს შესძლო ისეთი მონუმენტალური მეცნიერული ნაშრომის გამოცემა, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრივობა იცნობს—„ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. I. 1629-1920 წ. წ." სახით.

ამ სქელტანიან მეცნიერულ ბიბლიოგრაფიაში აღწერილია თითქმის სამასი წლის მანძილზე 6 ათასამდე სახელწოდების გამოსული ქართული წიგნი, უამრავი ისტორიული შენიშვნებით და წარმოადგენს საბჭოთა კავშირის 18 უდიდეს ბიბლიოთეკებში დაცული ქართული წიგნების შეერთებული კატალოგს.

ნაშრომის გამოცემას ძველი ბიბლიოგრაფი, პროფესორი ლ. ბ. ხავკინა აღფრთოვანებით გამოეხმაურა, როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პრესაში. ის წერს: „დიდი სტალინის სამშობლომ, მხიარულმა საქართველომ, წიგნის ნაციონალურ რეპერტუარის სფეროში მოიპოვა ისეთი არნახული მიღწევები, როგორიც არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. სასურველია, რომ ნაციონალური რეპერტუარის ტიპი, გაერთიანებული შეერთებულ კატალოგთან, რომელიც პირველად განხორციელდა ქართული წიგნისათვის, მიღებულ იქნას, როგორც მაგალითი, სსრ კავშირის (რუსული წიგნის, უკრაინული წიგნის, ბელორუსული წიგნის და სხვა) მომავალი ნაციონალური რეპერტუარისათვის". (ლ. ბ. ხავკინა, „Советская библиография", № 1 (18).

საქართველოს წიგნის პალატამ გამოსცა რუსული პერიოდული გამოცემების ანოტირებული ბიბლიოგრაფია, 1828-1920 წ წ., მეხილეობის ბიბლიოგრაფია, ი. ბ. სტალინის ბიობიბლიოგრაფია, რეცენზიების ბიბლიოკრაფია, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა საქართველოს 20 წლის თავზე (ციფრები და მასალები), სომხური წიგნი საქართველოში და სხვა მრავალი. ის აგრეთვე 1938

წლიდან სისტემატურად სცემს მიმდინარე ბეჭდვითი ნაწარმოების ნაციონალურ ბიბლიოგრაფიულ ორგანოებს „წიგნის მატიანეს", „ჟურნალის სტატიების მატიანეს" და „გაზეთის სტატიების მატიანეს", რომელთაც ფართოდ იყენებენ მეცნიერები, და პარტიული და საბჭოთა აქტივი.

დიდის მზრუნველობით და სიყვარულით შეადგინა და გამოსცა საქართველოს წიგნის პალატამ ორ წიგნად სამი ნაკვეთი ბიბლიოგრაფიისა „ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, 1941—45 წ. წ.".

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენმა საზოგადოებამ იხილა მცხოვან ბიბლიოგრაფოსის გ. ი. ბაქრაძის მიერ შედგენილი და საქ. სსრ სახ. წიგნის პალატის მთელი კოლექტივის მუყაითობით გამოცემული „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945 წ. წ.".

მსგავსად „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიისა", ნაშრომი მოიცავს მდიდარ მასალებს ქართულ ენაზე საქართველოში და საქართველოს გარეთ გამოცემულ პერიოდიკის შესახებ დაწყებული პირველი ასეთი გამოცემიდან—„ქართული გაზეთი" 1819 წლ. ჩვენს დრომდე, და, როგორც წიგნის რედაქტორი ამხ. ვ. ეგნატაშვილი აღნიშნავს: „...ეს წიგნი საბარბაიელო საჩუქარი იქნება საქართველოს ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, ეკონომიისა და სხვა დარგების მკვლევარებისათვის, ჟურნალისტებისათვისა, ბიბლიოთეკების მუშაკებისა და აგრეთვე მასობრივი მკითხველისათვისაც, რომელიც საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ თვალსაჩინოდ განვითარდა, გაიზარდა და დავაქაცდა".

პალატამ აგრეთვე გამოსცა თ. ნ. კუცია-ღვალაძის მიერ შედგენილი „მუსიკალური ნაწარმოების ბიბლიოგრაფია", რომელიც მოიცავს 1946 წლამდე საქართველოში გამოცემულ მუსიკალური ნოტების სისტემატურ საძიებელს, და სხვ.

ამ წერილში შეიძლებოდა გველაპარაკა პალატაში დაცულ ბეჭდვითი ნაწარმოების ხელუხლებელ ფონდზე, რომელიც შეიქმნა ამ ბოლო წლებში უფასო სავალდებულო ცალების მიღების გზით და კერძო ბიბლიოთეკებისა თუ ცალკეულ გამოცემების შეძენის საშუალებით. ამ ფონდმა, რომელიც შედარებით სისრულითაა წარმოდგენილი და, რომელშიაც უამრავი ქართული ბეჭდური პროდუქცია არის დაცული, არ შეიძლება მკითხველში კმაყოფილების გრძნობები არ გამოიწვიოს. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ მას და პალატის ზოგიერთ სხვა განყოფილებას ცალკე წერილები მივუძღვნათ.

ამ დიდ ამოცანების საპასუხოდ, რომელთაც ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა აყენებს ჩვენს წინაშე, საქართველოს წიგნის პალატა თავის მხრივ მზად არის შეადგინოს და გამოსცეს შემდეგი ბიბლიოგრაფიული ნაშრომები:

1. „საქართველოს პერიოდულ გამოცემათა წელიწდეული",— 1946—1947 წლების განმავლობაში საქართველოს სსრ-ში გამოცემულ პერიოდულ ნაწარმოებთა საძიებელი;

2. „საქართველოს წიგნის წელიწდეული",—საქართველოში ერთი წლის მანძილზე გამოცემული წიგნების სისტემატური საძიებელი;

3. საქართველოს სამეცნიერო ლიტერატურის წელიწდეული,— წლის განმავლობაში საქართველოში დასტამბული მეცნიერული შრომების, მონოგრაფიებისა და საჟურნალო სტატიების ანოტირებული ბიბლიოგრაფია;

4. ქართული უნიკალური წიგნების საინფორმაციო ბიულეტენი;

5. ქართული წიგნი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია ტ. 2. 1921—1945 წ., რომელშიაც მოცემული იქნება 19.000-მდე ქართული წიგნის აღწერილობა, მეცნიერების დარგების მიხედვით;

6. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, 1921—1938 წ. წ. ოთხი ტომის მოცულობით;

7. ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების ლექსიკონი;

8. ქართული წიგნის ლიტერატურული წყაროები (1629—1920 წ.). დამატება უკვე გამოცემული ბიბლიოგრაფიისა „ქართული წიგნის", ტ. I;

9. „გეორგიკა"—ქართველთა შრომები საქართველოს გარეთ და არაქართველები საქართველოს შესახებ;

10. საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა 1921—1945 წ. წ. ციფრები და მასალები;

11. საქართველოში გამოცემული რუსული წიგნის, 1921—1945 წ. წ., ბიბლიოგრაფია;

12. რუსული პერიოდული გამოცემების ანოტირებული ბიბლიოგრაფია, 1921—1945 წ. წ.;

13. აფხაზური წიგნის ბიბლიოგრაფია, 1865—1945 წ. წ.;

14. ოსური და აზერბაიჯანული წიგნის ბიბლიოგრაფია, 1921—1945 წ. წ. და სხვა.

გარდა ამისა წიგნის პალატის სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების განკარგულებაშია 31 სხვადასხვა სამეცნიერო კართოტეკა მეცნიერების სხვადასხვა დარგში და ის მზად არის მოემსახუროს სამეცნიერო ორგანიზაციებს და მეცნიერულ მუშაკებს.

კართოტეკებს შორის აღსანიშნავია: 1. ქართული წიგნის ანბანური და სისტემატური სრული რეპერტუარი; 2. საქართველოში გამოცემული რუსული წიგნის კართოტეკა; თემატური კართოტეკებიდან: მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ქართულად; ი. ბ. სტალინის შრომების ქრონოლოგიური კართოტეკა ქართულად და სხვა მრავალი; შეერთებული კატალოგებიდან: 1. საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკებში დაცულ უცხოური პერიოდული გამოცემებისა; 2. თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში დაცულ საცნობარო ლიტერატურისა და სხვა. (იხ. ცალკე წერილი).

ვსარგებლობ რა შემთხვევით, ორიოდე სიტყვით გვსურს შევჩერდეთ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც თავის მუშაობაში ჯერ კიდევ გააჩნია პალატას და, რომელთა დროულად გამოსწორება არა მხოლოდ პალატის კოლექტივის საქმეა. უპირველეს ყოვლისა ეს გახლავთ ბეჭდვითი ნაწარმოების უფასო სავალდებულო ცალების მიღებაში არსებული საგრძნობი ხარვეზები.

1946 წელს პალატას არ მიუღია გაზეთის 296 ეგზ., 7 სახელწოდების წიგნი რომ არაფერი ითქვას ე. წ. ნოლ მასალაზე (პლაკატი, აფიშა და სხვ.).

სამწუხაროდ, ხარვეზებს ადგილი აქვს 1947 წლის უფასო სავალდებულო ცალების მიღებაშიც. არ შეიძლება იმისი თქმა, რომ პალატის კოლექტივი არ ღებულობდეს ზომებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ პოლიგრაფწარმოებიდან სავალდებულო ცალების უდანაკლისოდ მიღების საქმეში, მაგრამ, როგორც ციფრები გვიჩვენებენ, შედეგი მაინც არ არის სავსებით სახარბიელო. პალატამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო ამ მიმართულებით ფართე საზოგადოებრივი აზრი შეექმნა, ვერ გამოიყენა ადგილებზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები, არ არის გამოყენებული პროკურატურის ორგანოები, რომლებსაც დავალებული აქვთ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ადამიანები, რომლებიც ჩაშლიან პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს ბეჭდვითი ნაწარმოების სრული კომპლექტის თავის მოყრის შესახებ სახელმწიფო მწიგნობრობის საცავებში.

უკვე დროა პოლიგრაფმრეწველობის, კავშირგაბმულობის მუშაკებმა მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რათა არც ერთი ახალი წიგნი, ჟურნალი, გაზეთის ნომერი თუ სხვა ნაწარმოები არ დაიკარგოს ისტორიისათვის, შთამომავლობისათვის.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოები ყველა წიგნსაცავზე უფრო სისრულით ჩვენთან არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ 1921 წლამდე გამოცემულ პროდუქციაში (თუნდაც 1921 წლის შემდეგ) ხარვეზი არ იყოს. განსაკუთრებით ეს ითქმის პერიოდული გამოცემებზე — გაზეთებზე, ჟურნალებზე. იმ დიდი მუშაობის მიუხედავად, რომელსაც პალატა ატარებს ძველი ძეგლების თავის მოყრისათვის, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ მიმართულებით. ამ საქმეში ფართო საზოგადოებრივობის დაუხმარებლად შორს ვერ წავალთ.

ფაქტია, რომ ოჯახებში, წიგნსაცავებში მოიპოვება ისეთი წიგნი, გაზეთი, ჟურნალი თუ სხვა სახის გამოცემა, რომელიც ან უცნობია ფართე მკითხველისათვის ან მოხსენებულია მხოლოდ წყაროებში და ფიზიკურად სახელმწიფო საცავებში არ ინახება. ჩვენი ვალია დავძებნოთ ასეთი და გავხადოთ ისინი ხელმისაწვდომი მკითხველთათვის, მეცნიერთათვის, მკვლევართათვის. განსაკუთრებით ახლა, ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის პირველი ტომის და ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის გამოცემის შემდეგ ფართო შესაძლებლობა არსებობს უცნობი წიგნების და პერიოდიკის გამოსავლინებლად.

საქართველოს სსრ სახ. კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც ფართე მომსახურეობას უწევს მკითხველებს ძველი, იშვიათი ეგზემპლარების მიწოდებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა მოახდინოს ზოგიერთი ნაწარმოების გამრავლება მით, რომ გადაიღოს ფოტოპირები ორიგინალის გაფუჭებისაგან გადარჩენის მიზნით. ეს უდიდესი ღონისძიება, რომლის გატარებას უდგება საჯარო ბიბლიოთეკა დიდი ხოტბის ღირსია. ამავე დროს აქა-იქ უმეთვალყუროდ, შეიძლება ითქვას, უმოძრაოდ გდია ჩვენი მდიდარი წარსულის ძეგლი. რატომ არ უნდა მოხდეს მათი დაძებნა და შესანახად საქ. წიგნის პალატაში გადაცემა?

დაბოლოს გვსურს ეესაყვედუროთ პირველ რიგში ჩვენს თავს და შემდეგ ზოგიერთ მწიგნობრებს, იმაში, რომ ჩვენს შორის ზოგჯერ არ არის მჭიდრო კავშირი. ზოგიერთმა არც კი იცის წიგნის პალატის დანიშნულება, არ სარგებლობს იმ საკეთით, რომელიც პალატას აქვს დაგროვილი მისი არსებობის წლებში.

ფუტკარიით მოფუსფუსე პალატის სპეციალისტების განკარგულებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უამრავი საცნობარო ხასიათის კართოტეკაა. ყოველდღიურად იქმნება ახალი, ივსება ძველი. უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია პალატის მეცნიერ მუშაკებს ორგანიზაციებისთვის და მკვლევარებისთვის ცალკეულ საკითხებზე მეცნიერების და ტექნიკის რომელ თემასაც არ უნდა ეხებოდეს ის, და მიუხედავად ამისა, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველა არ სარგებლობს ამით.

ალბათ, პალატამ ვერ შესძლო პოპულარიზაცია ეყო მისი ნაშრომებისათვის და ამით აიხსნებოდეს ეს...

ჩვენი ქვეყნის მზარდი წინ მსვლელობა, ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის გულმოდგინება მეცნიერებაში ახალი აღმოჩენებისათვის, პარტიისა და მთავრობის გამუდმებული ზრუნვა საბჭოთა მოქალაქისადმი მოითხოვს ჩვენგან მეტს მუშაობას, მეტს გაქანებას საბჭოთა მეცნიერებისათვის მუშაობის გაადვილების საქმეში ფართე ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაწევით.

საქართველოს წიგნის პალატა, რომელსაც ყველა პირობა აქვს შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის, ყველაფერს გააკეთებს მის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

გ. ილ. გაძრაძე
წიგნის პალატის სამეცნიერო საბჭოს წევრი

ქართული სპეციალური ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა

შესავალი

როგორც ცნობილია, ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის ქვეშ საზოგადოდ იგულისხმება მთელი მასა იმ ცნობარების, მაჩვენებლების, საძიებლებისა და მრავალი სხვა სათაურით ინფორმაციისათვის გამოცემული ნაშრომებისა, რომლებშიც მოცემულია ამათუიმ სქემით სისტემატიზირებული სიები წიგნების, ჟურნალების, გაზეთების ან ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული სტატიებისა და მასალების, რუკების, ნოტებისა და სხვა მეტ-ნაკლებად ნაწარმოებებისა. ყოველი ასეთი ნაშრომი ცნობილია საერთო სახელით—ბიბლიოგრაფიული შრომის ან, უბრალოდ, ბიბლიოგრაფიის სახელით. ბიბლიოგრაფიაში შეტანილი მეტ-ნაკლებად ნაწარმოებები შეიძლება მარტივად იყოს აწერილი,—აღნიშნული იყოს ავტორი, სათაური, ქვესათაური, გამოსვლის წელი, გამომცემლობა და სხვა,—და შეიძლება იყოს დეშიფრირებული, ანოტირებული ან რეფერირებული. ბიბლიოგრაფია შეიძლება შეიცავდეს ყველა დარგის თხზულებებს, ე. ი. იყოს უნივერსალური და მოიცავდეს ამათუიმ სახელმწიფოს საზღვრებში გარკვეული წლის, ან წლების, განმავლობაში გამოსულ მთელ მეტ-ნაკლებად პროდუქციას ან პირიქით, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი დარგისა, ვსთქვათ, ქიმიის, ბოტანიკის და ა. შ., ან რომელიმე საკითხს ეხებოდეს (სტახანოვური მოძრაობა, ალპინიზმი და სხვა-დასხვა).

პირველი წყება ბიბლიოგრაფიებისათვის ყველგან დამკვიდრდა ზოგადი ბიბლიოგრაფიის სახელი, მეორე წყებისათვის კი სპეციალური ბიბლიოგრაფიის სახელი. ქრონოლოგიურად ზოგადი ბიბლიოგრაფია თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს წიგნის ბეჭდვა, წინ უსწრებს სპეციალურ ბიბლიოგრაფიას[1].

---

[1] Куфаев, М. Н. Иностранная библиография. М. 1934.

ბიბლიოგრაფიის ასეთი დაყოფა გაგონებისთანავე პრიმიტიულად და მიზანაარსმოკლებულად ჩანს და სწორედ ამიტომ საჭიროა თვალსაჩინო, კონკრეტული მაგალითებით ნაჩვენები იყოს, თუ რა შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ზოგადი და სპეციალური ბიბლიოგრაფიის დაპირისპირებასა და მათ მკვეთრ განსხვავებას.

ამ შემთხვევაში საუკეთესო ილუსტრაციად ჩვენთვის იქნება რუსული ბიბლიოგრაფია, რომელსაც თავისი განვითარების დონით პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში.

რუსული ბიბლიოგრაფიის მაგალითი

A. ზოგადი რუსული ბიბლიოგრაფიების შესახებ ყველაზე ვრცელ ცნობას გვაძლევს სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული მ. სოკუროვას შრომა: **Сокурова, М. В.** Библиография русской библиографии. Т. 1. Общие библиографии книг гражданской печати 1708—1937. Аннотированный указатель под ред. и со вступит. статьей А. Д. Эйхенгольца. Ленинград. 1944 г. 192 стр. (Труды Гос. Публ. Библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина. Т. I.). ამ შრომაში ქრონოლოგიური რიგით არის ჩამოთვლილი და დაწვრილებით აწერილი ყველა 1708 წლიდან 1937 წლამდე გამოსული ზოგადი ბიბლიოგრაფია (სულ 73 სახელწოდებისა), რომლებშიც აღნუსხულია 1564 წლიდან 1937 წლამდე დაბეჭდილი რუსული წიგნები. პირველი ამ ზოგად ბიბლიოგრაფიათაგანი „Реестр книгам гражданским, которые напечатаны новоизобретенною амстердамскою азбукою в 1710 году“ პეტრე I-ლის უშუალო რედაქციით გამოიცა. მე-18 და მე-19 საუკუნეებში რეესტრებისა[1] და როსპისების სახით ბევრი ზოგადი ბიბლიოგრაფია დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, შინაგან საქმეთა სამინისტროსი და საზოგადოდ იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც დაეკისრებოდა ხოლმე რუსეთში ბეჭდვითი ნაწარმოებთა რეგისტრაცია. უკანასკნელი ზოგადი ბიბლიოგრაფია „Книжная Летопись“ 1907 წელში გამოვიდა და მას შემდეგ ის განაგრძობს გამოსვლას როგორც პერიოდული გამო-

[1] ამ რეესტრებს რომ საქართველოშიც იცნობდნენ, ეს სოლომონ დოდაშვილის სიტყვებიდან ჩანს: „შევადგინე რეესტრი ქართული წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე“... სწერს დოდაშვილი იონა ხელაშვილს 1829 წელში (იხ. „მასალები საქ. და კავკას. ისტორ.“ 1944 წ. ნაკვ. II. სოლომონ დოდაშვილის წერილები, ს. ბუცხრიკიძის რედაქციით, გვ. 138.

ცემა. აღნიშნული 73 ზოგადი ბიბლიოგრაფიის, თუმცა მოიცავს საერთოდ 1564—1937 წლების პროდუქციას, ამოწურვით არ ასახავს მას. სოკუროვა ახასიათებს რა თითოეულ ამ ბიბლიოგრაფიას, აღნიშნავს, რომ „ни один период русской книги не имеет вполне удовлетворительной, исчерпывающе полной библиографии". რუსული ბეჭდვითი პროდუქციის სისრულით ცნობაში მოყვანისათვის რამდენიმე თაობა რუს ბიბლიოგრაფთა მუშაობდა და დღესაც ეს ამოცანა რუსული ბიბლიოგრაფიის ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. საკავშირო წიგნის პალატა, რომელსაც დავალებული აქვს რეგისტრაცია და ოფიციალური სიების გამოქვეყნება „Книжная Летопись"-ის სახით, დროგამოშვებით აქვეყნებს აგრეთვე რეგისტრაციიდან ამათუიმ მიზეზით გამორჩენილი წიგნების სიებსაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „Указатель книг, не учтенных в „Книжной Летописи" за 1941—1944 г. г.". Вып. I. Москва. 1945 г. Изд. Всесоюзной Книжной Палаты, 87 стр. ამგვარი ხარვეზების შევსებაზე და საზოგადოდ რეტროსპექტიულ ბიბლიოგრაფიაზე დიდი სამეცნიერო ბიბლიოთეკებიც მუშაობენ. მუშაობის მიზანი ერთია—რუსული ბეჭდვითი პროდუქციის სრული ბიბლიოგრაფია. ორგანიზაციულად საქმის სათავეში სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკა სდგას. 1929 წლიდან მოკიდებული ეს ბიბლიოთეკა თავის საკუთარ ფონდზე და აგრეთვე რამდენიმე სხვა დიდი ბიბლიოთეკის ფონდებზე დამყარებით ადგენს რუსული წიგნის ბიბლიოგრაფიას კართოტეკის სახით, რომელიც ცნობილია რეპერტუარის სახელით—Репертуар русской книги. ამ კართოტეკაში ჩასართავი ყოველი წიგნის აღწერილობას ადგენენ de visu. შემდეგ აღწერილობა იბეჭდება სტამბური წესით და ეგზავნება იმ ბიბლიოთეკებს, რომელნიც ეხმარებიან ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკას რეპერტუარზე მუშაობაში. გარდა ამისა, ასეთივე რეპერტუარს, ოღონდ საბჭოთა პერიოდისთვის (1917—1947 წ. წ.), ადგენს საკავშირო წიგნის პალატა.

ამრიგად, რუსულ წიგნებში საერთო ორიენტირებისათვის ყველაზე ავტორიტეტული წყაროებია ეს ორი ბარათული რეპერტუარი და ზემოთაღნიშნული 73 ზოგადი ბიბლიოგრაფია. სხვა ამაზე კომპეტენტური ბიბლიოგრაფიული წყაროები არ არსებობს.

B. რუსული სპეციალური ბიბლიოგრაფიები ზოგადზე შეუდარებლად უფრო მრავალრიცხოვანია. რუსეთში ყოველწლიურად რამდენიმე ასეული სპეციალური ბიბლიოგრაფია იბეჭდება. ვინ ადგენს და ვინა სცემს ამდენ ბიბლიოგრაფიებს? უწინარეს ყოვლისა

მეცნიერებათა აკადემიები, უმაღლესი სასწავლებლები, საჯარო ბიბლიოთეკები, მრავალრიცხოვანი სამეცნიერო დაწესებულებანი; ზოგიერთი მათგანი მრავალი ათეული წლების განმავლობაში. ცნობილია, მაგალითად, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული ბიბლიოგრაფიები მათემატიკის (Математика в изданиях Академии Наук т. т. I, II), გეოლოგიის (Геология в изданиях Ак. Н. т. т. I, II), გეოგრაფიის, სლავური ფილოლოგიის და სხვა დარგებში; ათტომიანი Русская библиография по естествознанию и математике; პუშკინის, ლერმონტოვის, ლევ ტოლსტოის, გორკის და სხვა მწერლების სქელტანიანი ბიბლიოგრაფიები; აკადემიკოსთა ბიობიბლიოგრაფიების დიდი სერია და სხვა ამგვარი გამოცემები. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიას გამოცემული აქვს აგრონომიული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია რამდენიმე ათეულ ტომად. რუსეთის ცენტრალურმა სამედიცინო ბიბლიოთეკამ ამ ხუთიოდე წლის წინად გამოსცა **მულტანოვსკის** შედგენილი სამედიცინო ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია, რომელშიც რუსული სამედიცინო ლიტერატურაა ასახული მისი რუსეთში წარმოშობის დროიდან. სხვა მაგალითების მოყვანა ზედმეტია. საკმარისია გავიხსენოთ ცრობილი რუსი ბიბლიოგრაფების პროფ. ბ. ბოდნარსკის და ნ. ვ. ზდობნოვის შედგენილი „რუსული ბიბლიოგრაფიული შრომების ბიბლიოგრაფია“, რომელიც ინახება საკავშირო წიგნის პალატაში და, რომელშიც აღნუსხულია 50—60 ათასი სახელწოდება! (ამის შესახებ „Советская Библиография“ 1940 წ. № 1(18), გვ. 349).

სრულებით ბუნებრივია, რომ ყველა ეს სპეციალური ბიბლიოგრაფიები, როგორც საკვლევა-ძიებო, სასწავლო, სალიტერატურო და სხვა მუშაობისათვის უაღრესად საჭირო წყაროები, სისტემატური აღრიცხვა-აღწერის საგნად არის გამხდარი რუსეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში. საკავშირო წიგნის პალატამ 1939 წლიდან დაიწყო სპეციალური წელიწდეულების გამოცემა სახელით: „ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია“. პირველ წელიწდეულში—Библиография советской библиографии за 1939 год (Москва, 1941 г.) აწერილია სისტემატური რიგით 4795 სახელწოდების სპეციალური ბიბლიოგრაფია, (რაც ერთი წლის განმავლობაში გამოვიდა საბჭოთა კავშირში). ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ რუსეთის ბიბლიოთეკებს ავალებენ, რომ მათ პროპაგანდა გაუწიონ ყველა ამ ბიბლიოგრაფიებს და შეაჩვიონ მკითხველთა მასებს მათი ხმარება, გამოყენება.

რა მდგომარეობაა ჩვენში?

ქართული ბიბლიოგრაფიაც საზოგადოდ იმავე გზით განვითარდა, როგორც რუსული[1] და ქართული ბიბლიოგრაფიული ლიტერატურაც თავისთავად ორ ჯგუფად იყოფა. ქართული ზოგადი ბიბლიოგრაფია, უკვე ასეთისე აწერილია ჩვენს სტატიებში[2]. აქ მხოლოდ სპეციალურ ბიბლიოგრაფიაზე გვექნება საუბარი.

ქართული სპეციალური ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა

თავისთავად ცხადია, რომ, რაც უფრო მდიდარია სამეცნიერო ლიტერატურა ამათუიმ ენაზე, მით უფრო მდიდარია სპეციალური ბიბლიოგრაფია იმ ენაზე. ქართული სამეცნიერო ლიტერატურა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. სჭარბობს სამეცნიერო-სასწავლო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა. მიუხედავად ამისა ზოგიერთი დარგი ჩვენში ისე განვითარდა, რომ შესატყვისი ბიბლიოგრაფია წარმოიშვა. ასეთი დარგებია ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, პედაგოგიკა, ხელოვნება, მედიცინა და რამდენიმე სხვა, განსაკუთრებით კი მარქსიზმ-ლენინიზმი. საბჭოთა პერიოდში ასზე მეტი სპეციალური ბიბლიოგრაფია გამოვიდა, ზოგი ცალკე წიგნად და ზოგი პერიოდიკაში გამოქვეყნებული. გარდა ამისა, ბევრი ჩვენი სამეცნიერო დაწესებულება და დიდი ბიბლიოთეკა ამზადებს დასაბეჭდად ან ადგენს კართოტეკის სახით, ბიბლიოგრაფიას სხვადასხვა მნიშვნელოვან თემაზე. საქართველოში 1939 წელს დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიები უკვე აღნუსხულია საკავშირო წიგნის პალატის წელიწდეულში, ზემოთ რომ დავასახელეთ („Библиография советской библиографии за 1939 г.“). მით უმეტეს საჭიროა ყველა ოდესმე ჩვენში გამოსული სპეციალური ბიბლიოგრაფიების სისრულით ცნობაში მოყვანა. ეს საჭიროა როგორც ჩვენი ბიბლიოთეკების მკითხველებისათვის, რომლებსაც ხელთ უნდა ჰქონდეთ საჭირო წყაროები წიგნების სამყაროში გასარკვევად, ისე ბიბლიოთეკის მუშაკებისათვის, რომლებსაც, როგორც აღვნიშნეთ, ავალებენ არა მარ-

---

[1] ქართულ ბიბლიოგრაფიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა იხ. ჩვენ წერილში „Грузинская библиография в наши дни“ („Советская библиография“. 1946 г. № 1, стр. 62—74).

[2] „ლიტერატურათმცოდნეობა და რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფია“ (იხ. „მნათობი“. 1946 წ. № 5-6, 257—273 გვ.

„რამდენი წიგნი გამოვიდა ქართულ ენაზე?“ (იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1946 წ. 31 ოქტ. № 42).

„ცოტა რამ ქართული ბეჭდვითი სიტყვის ბიბლიოგრაფიაზე“ („საბჭოთა მასწავლებელი“ 1945 წ. 22 დეკ. № 23).

ტრო ყველა ამ ბიბლიოგრაფიული შრომების ცოდნას, არამედ მათი პროპაგანდასა და მათი გამოყენების სწავლებას.

ქვემოთ სისტემატიზირებულ ნუსხაში ჩვენ პირველად თავს ვუყრით (ვგვონია სისრულით) ყველა დღემდე დაბეჭდილ სპეციალურ ბიბლიოგრაფიას. აღვნიშნავთ ისეთ ბიბლიოგრაფიასაც, რომელიც ჯერჯერობით შედგენის პროცესშია ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებში, ან მზადდება დასაბეჭდად. გამონაკლისის სახით ორიოდე ალაგას აღნიშნული გვაქვს აგრეთვე ზოგიერთი უმაღლესი სკოლის პროგრამაში მოყვანილი ბიბლიოგრაფიაც, მაგრამ პროგრამებს საზოგადოდ აქ ვერ გამოვიყენებდით, რადგანაც ყველა ისინი გადამუშავების პროცესშია, ისეთებიც კი, რომლებშიც მხოლოდ ძირითადი შრომებია აღნიშნული და არა საგნის მთელი ბიბლიოგრაფია (უმეტესი კი სწორეთ ასეთია!).

ერთი შენიშვნაც უნდა დავურთოთ ქვემოთ მოყვანილ ბიბლიოგრაფიებს. მკითხველი რომ უშუალოდ გაეცნობა მათ, დარწმუნდება, რომ ბევრი ახლადგამოსული ბიბლიოგრაფია იმეორებს წინად გამოსულის ნაკლს. მოხალისე შემდგენლები ჩვეულებრივად კმაყოფილდებიან მარტოოდენ ლიტერატურული მასალის თავმოყრით. უმეტეს ბიბლიოგრაფიებში არ არის სათაურების დეშიფრაცია-ანოტაციები, არც სისტემატიზაცია და არც ზუსტი დამხმარე საძიებლები. სხედოგრაფიულ-კატალოგოგრაფიულ აღწერილობებს აშკარად უვიცის ხელის კვალი ატყვია. სხვა ნაკლს აღარ შევეხები და ვიტყვი, რომ უმეტესი ნახევრად დამუშავებულ ცნობარს წარმოადგენს და ასეთი ნახევარფაბრიკატი, რასაკვირველია, დიდ დახმარებას ვერ გაუწევს მკითხველს. ეხლა, როდესაც ბიბლიოგრაფია ჩვენშიც სულ უფრო და უფრო მასიური გამოყენების საგნად ხდება და ბიბლიოგრაფიული პროდუქციის ხარისხის აწევის საკითხი უფრო მწვავედ ისმის, დროა ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ამ უბანსაც მიაქციოს ყურადღება.

მეორე შენიშვნა: უნდა აღინიშნოს როგორც ფაქტი, რომ ზოგიერთ ჩვენს ბიბლიოთეკას (შეიძლება ბევრსაც) არ გააჩნია ქვემოთ აწერილი ბიბლიოგრაფიული წყაროები საკმაო სისრულით. მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა არ ექნება მკითხველისათვის ამ ჩვენ აღწერილობას, თუ თვითონ წყაროები მისთვის მიუწვდომელი დარჩება. ბიბლიოთეკებმა უნდა შეჰქმნან ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის ფონდები და მუდმივ ზრუნავდნენ მათი სისტემატური დაკომპლექტებისა და დაცვისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეასრულებენ იმ ამოცანას, რომლისთვისაც მოწოდებულნი არიან, ე. ი. მკითხველების ეფექტიურ მომსახურებას.

I. მარქსიზმ-ლენინიზმი

1. **ლენინი, ვ. ი.** მარქსიზმის ბიბლიოგრაფია, ლიტერატურა [დართული აქვს ლენინის სტატიას „კარლ მარქსი", რომელიც მოთავსებულია ლენინის თხზულებათა XVIII ტომში (იხ. გვ. 37-49), თბილისი. 1931 წ. სახელგამის გამოცემა].

2. **ფრ. ენგელსის შრომები ქართულ ენაზე.** (იხ. ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის" 1935 წ. № 8-9, გვ. 36; აღნიშნულია 19 სახელწოდება).

3. **საძიებელი მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ძირითადი** ნაწარმოებებისა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" თავებისათვის. თბილისი. 1940. სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორი, 87 გვ.

გამომცემლობის წინასიტყვაობიდან: „საძიებელი წარმოადგენს იმ პირველ წყაროების დასაზელებას, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალში „В помощь марксистско-ленинскому образованию (№№ 2, 3, 4—1940 წ.). დასახელებული ლიტერატურა ნაჩვენებია მთლიანად ქართული თარგმანების მიხედვით, გარდა იმ ნაშრომებისა, რომელიც ქართულად არ არის თარგმნილი".

სულ მოყვანილია 256 სახელწოდება, რომელიც დაჯგუფებულია 12 თავად, „მოკლე კურსის" მიხედვით.

4. **სტალინი, ი. ბ.** მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი. რჩეული სტატიებისა და სიტყვების კრებული. თბილისი. 1934. პარტგამომცემლობა. 312 გვ.

დართული აქვს: „ლიტერატურული წყაროების საძიებელი" ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე (გვ. 304-306).

5. **ი. ბ. სტალინის ბიობიბლიოგრაფია.** ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1895 წლიდან 1939 წლამდე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული შრომების ქრონოლოგიური სია და ი. ბ. სტალინის შესახებ ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურის სისტემატური საძიებელი, შედგენილი გ. ი. ბაქრაძის მიერ. თბილისი. 1940 წ. საქ. სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემა. 164 გვ. პორტრ. და 4 ჩართ. ფურც.

შინაარსი:

I თავი. ი. ბ. სტალინის შრომები, გამოსული ქართულ ენაზე 1895-1939 წ. წ.: 1. აბაელგაზრდობის დროინდელი ნაწერები (ლეკვები); 2. პროკლამა-

ცები (1902-1906 წ. წ.); 3. ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული სტატიები (1904-1939); 4. ცალკე წიგნად გამოცემული ნაშრომები (1905-1939); 5. თანაავტორებთან ერთად გამოცემული, კრებულებში მოთავსებული და შემოკლებული გამოცემანი; 6. ნაწერები მეგრულ თარგმანში; სათაურთა საძიებელი; „ლენინიზმის საკითხების" სხვადასხვა გამოცემათა შინაარსი.

II თავი. ლიტერატურა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ ქართულ ენაზე: 1. მონოგრაფიული შრომები და სტატიები ჟურნალ-გაზეთებში; 2. მოგონებანი; 3-6. ი. ბ. სტალინის და სსრკ უმაღლესი საბჭოს, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები; 7. ი. ბ. სტალინის დაბადების 60 წლისთავი; 8. მიმართვანი და მისალმებანი; 9. ი. ბ. სტალინი მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში (პოეზია, პროზა, მხატვრობა, მოქანდაკეობა, მუსიკა); 10. სახელთა და საგანთა საძიებელი,

რეცენზიები ამ წიგნზე.

1. გრ. თოდუასი—ჟურნ. „საქართველოს სოციალისტურ მეურნეობაში", 1940 წ. № 8, გვ. 79

2. ა. ბარათელისა—გაზ. „კომუნისტში" 1940 წ. 22 დეკ. № 295 („ფრიად საჭირო და სასარგებლო წიგნი").

3. მ. კუტუვიძისა—„ლიტერატურულ საქართველოში" 1940 წ. 6 ნოემბ. № 31.

4. М. Давиташвили—„Заря Востока" 1940 г. 10 дек. № 225 („Ценный библиографический указатель").

შენიშვნა 1. „სტალინის ბიბლიოგრაფიაზე" კიდევ უფრო ვრცელი ბიბლიოგრაფია სტალინზე შედგენილი აქვს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ბიბლიოთეკას (იხ. ამის შესახებ ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია" 1939 წ. № 3, 23 გვ.).

შენიშვნა 2. სტალინის ნაწერები 1939 წლის შემდეგ გამოცემული (1947 წლამდე) იხ. 1) „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წესახებ". მე-4 გამოცემა; 2) საქ წიგნის პალატის ყველა 1939 წ. შემდეგ გამოსულ „მატიანეებში".

6. **ი. ბ. სტალინი ქართულ პოეზიაში.** ბიბლიოგრაფია. შემდგენელნი მ. იორდახიშვილი და სხვანი, ი. აბაშიძის რედაქციით. თბ. 1941 წ. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა. 210 გვ.

შეიცავს მითითებებს 1502 ლექსზე და ალაგ-ალაგ ამონაწერებს ამ ლექსებიდან; გარდა ამისა მითითებებს 150 ნაღბურ ლექსზე.

7. **მასალები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის"** შემსწავლელთა დასახმარებლად. შეჩვენებელი ჟურნალ-გაზეთების სტატიებისა (I და II თავებისათვის). თბ. 1940. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა. 56 გვ.

8. **ლიტერატურა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის** მოკლე კურსის" შემსწავლელთათვის დასახმარებლად. თავები I-VI. თბილისი. 1939. სახელგამი. 15 გვ. (განსახკომის საბიბლ. სამმართვ. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომ. ბიბლიოგრაფ. რესპუბლ. კაბინეტი.

9. **ლიტერატურა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელთათვის.** თავები VII-XII. თბ. 1940 წ. 20 გვ. (განსახკომის სამხატვრ. სამმართვ. ბიბლიოთეკათმც. და სარეკომენდ. ბიბლიოგრ. კაბინეტი).

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული მასალები.

10. **სანიმუშო გეგმა** მოხსენებისა და საუბრისა სსრ კავშირში **ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავის** შესახებ; ლიტერატურის თანდართვით. („კომუნისტი“ 1938 წ. 1 ნოემბ. № 251.

11. **საუბრების სანიმუშო თემები** სსრ კავშირში **ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXII** წლისთავისათვის; ლიტერატურის თანდართვით. („კომუნისტი“ 1939 წ. 18 ოქტ. № 240).

12. **მოკლე მაჩვენებელი ლიტერატურისა** მოხსენებებისა და საუბრებისათვის **დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII** წლისთავის შესახებ. („კომუნისტი“ 1940 წ. 29 ოქტ. № 252).

13. **სანიმუშო გეგმა** მოხსენებისა და საუბრისათვის **საკ. ალკკ 20 წლის თავის** შესახებ; დანართი: ლიტერატურის სია („კომუნისტი“ 1938 წ. 15 ნოემბ. № 237 [ალებულია „Спутник агитатора“-ს 1938 წ. № 18-დან].

14. **ახალგაზრდობის XXIV საერთაშორისო დღე.** მასალები მოხსენებებისათვის. თბ. 1938 წ. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საბავშვო და ახალგაზრდ. ლიტგამომცემლობა. 96 გვ. დართული აქვს ლიტერატურის მაჩვენებელი.

15. **მოკლე ბიბლიოგრაფია** მარქსიზმ-ლენინიზმის ლიტერატურის უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ საცნობარებისა, 1939-1941 წ. წ. [ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია] (იხ. კრებული „ბიბლიოგრაფიის მოამბე“ № 2-3 (1941 წ.). საქ. წიგნის პალატის გამოცემა, გვ. 01-205.

ამ „მოკლე ბიბლიოგრაფიაში“ მოცემულია მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის 12 ქართული და 26 რუსული ბიბლიოგრაფიული ცნობარის აღწერილობა.

დამატებითი შენიშვნები:

1. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ახალი, მე-4 (40 ტომად, რუსული) გამოცემის შესახებ იხ. წერილი გაზ. „კომუნისტში“ 1941 წ. 21 მარტის № 67.

2. სტალინის თხზულებათა სრული კრებულის (16 ტომად, რუსული) გამოცემის შესახებ იხ. სტატია: Об издании сочинений И. В. Сталина („Заря Востока" 1946 წ. 21 იანვ. № 16).

3. მარქსისა და ენგელსის სრული რუსული გამოცემის [29 ტომად) შესახებ იხ. Алфавитный указатель к сочинениям К. Маркса и Ф. Энгельса. Москва. 1940. Гос. изд. полит. лит. 112 стр. [Институт Маркса-Энгельса-Ленина при ЦК ВКП(б)].

II. ისტორია

1. **სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.** პროგრამები და სასწავლო გეგმები. თბ. 1946 წ. უნივერსიტეტის გამოცემა. 125 გვ.

პროგრამების გარდა წიგნში მოყვანილია აგრეთვე ძირითადი ლიტერატურა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის, არქეოლოგიის, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიის და შემდგომი ეპოქების შესახებ. საქართველოს ისტორიას პროგრამას დათმობილი აქვს 27 გვერდი (96-121 გვ.); დაყოფილია XII თავად; თითეულში მითითებულია უმთავრესად ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის და სხვა ქართველ ისტორიკოსების შრომები.

2. **გრიგოლია, კ.** დოც. საქართველოს ისტორიის კურსის პროგრამა. პროექტი. (პედინსტიტუტის ქართ. ენისა და ლიტ. და სამასწავლებლო ინსტიტ. ისტორიის ფაკულტეტებისათვის. თბ. 1946 წ.

პროგრამა 18 თავადაა დაყოფილი; თითოეულ თავში მითითებულია ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. ნიორაძისა და Куфтин-ის შესატყვისი შრომები.

3. **ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში.** ბიბლიოგრაფიული საძიებელი. თბ. 1945-1946. საქართველოს წიგნის პალატის გამოცემა.

ნაკვ. I-II. 1941-1943 წ.წ. ვ. მ. გოგოლაძის რედაქციით. თბ. 1945 წ. 720 გვ.

ნაკვ. III. თბ. 1946 წ. 470 გვ.

„ბიბლიოგრაფიული ცნობარი მიზნად ისახავს თავი მოუყაროს ქართველ მებრძოლების შესახებ ქართულსა და რუსულ პრესაში გაფანტულ ჟამრავ მასალას".

„მებრძოლთა გვარები დალაგებულია ანბანური წესით. ბიბლიოგრაფიული მასალა თითოეული მებრძოლის შესახებ მოცემულია ქრონოლოგიურად სტატიების, ცნობებისა დაჯილდოვების შესახებ, ბრძანებულების თარიღების მიხედვით" (იხ. ნაკვ. I-II, წინასიტყვაობა).

4. **მელიქსეთ-ბეგი, ლ.** პროფ. მასალები ქართულ ხელნაწერთა კატალოგების ბიბლიოგრაფიისათვის (იხ. „მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის რედაქციით. ნაკვ. II-III. თბ. 1939 წ. საქ. სახ. საჯარო ბიბლ. გამოცემა).

ამ მასალებში აწერილია 37 სხვადასხვა კატალოგი და აღწერილობა ქართულ ხელნაწერებისა V პროფ. ალ. ბახანაშვილის, ექვთ. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიასი, ნ. მარის და სხვა ავტორების მიერ შედგენილი და გამოცემული 1798-1929 წლებ შუა.

III. ენათმეცნიერება

1. **Цагарели, А. А.** О грамматической литературе грузинского языка. СПБ. 1873 г. XII, 110 стр.

ავტორს განხილული აქვს კრიტიკულად ძველი გრამატიკული ლიტერატურა.

2. **ჯავახიშვილი, ივ. აკად.** ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა. გვ. 1-91 (იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ივ. „ქართველ ერის ისტორიის შესავალი", წიგნი II. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი. 1937 წ.).

განხილულია სპეციალური ლინგვისტიკური ლიტერატურა, გამოსული 1772 წლიდან 1936 წლამდე საბჭოთა კავშირში და უცხოეთში ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. მეცნიერულ განხილვას თან ახლავს მრავალრიცხოვანი ბიბლიოგრაფიული მითითებანი.

3. **ძიძიგური, შალვა.** ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. დანართი: ქართული დიალექტოლოგიის წყაროები (ბიბლიოგრაფია). თბ. 1936 წ. ცალკე ამონაბეჭდი „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომების" III ტომიდან; პირველი სერია—საზოგადოებათმეცნიერებანი, გვ. 321-326).

ბიბლიოგრაფიაში აღწუსხულია 85 სახელწოდების შრომა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე (1798-1936 წ.წ.). ავტორი აღნიშნავს: „აქ ვასახელებ არა მარტო სპეციალურ-დიალექტოლოგიურ გამოკვლევებს, არამედ ნაშრომებსაც, რომლებშიც შესულია ქართული დიალექტური სინამდვილის ნედლი მასალა".

4. **ძიძიგური, შ.** დოკ. ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურა. (მიმოხილვა) (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე" წ. 1, გვ. 109-118).

მოკლედ განხილულია 1937-39 წლებში გამოსული ა. ჩიქობავასი, ს. ჯანაშიას, ვ. თოფურიასი, ნ. მარის, მ. ხუბუასი, ივ. ჯავახიშვილის, გ. აბულაძისა და შ. ძიძიგურის შრომები.

5. **ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია.**

I. **ქართველური ენები,** პროფ. გ. აბულაძიანის რედაქციით. თბ. 1937 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა. 79 გვ. (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა). ტექსტი ქართული და რუსული.

ანოტირებულია 58 სახელწოდების შრომა. წინასიტყვაობიდან: „ბიბლიოგრაფიის შემდგენელნი ცდილობდნენ შეეტანათ ანოტაციები ჩვეულებრივზე უფრო სრული: ამათუმ ნაშრომის ძირითად დებულებათა გარდა ანოტაციაში მითითებულია კვლევის მეთოდი და მოცემულია ფაქტიური მასალა. იშვიათ ან ნაკლებად ხელმისაწვდომ გამოცემათა ანოტაციები შეტანილია კიდევ უფრო მეტ სისრულით". წიგნის ბოლოში ტერმინების საძიებელია ქართულ და რუსულ ენებზე.

II. **კავკასიური ენები.** პროფ. გ. აბულაძიანის რედაქციით. თბ. 1940 წ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის გამოცემა 8,42 გვ. ლითოგრაფიული გამოცემა.

წინასიტყვაობიდან. „მეორე ნაწილის გამოშვების მიზნები იგივეა, რაც პირველისა. . ძნელად ხელმისაწვდომი შრომები, მეტადრე უცხოურ ენებზე დაწერილი, ანოტირებულია ჩვეულებრივზე უფრო სრულად"... „ბიბლიოგრაფია შეადგინეს გ. აბულაძიანმა და ს. ჯღენტმა".

მეორე წიგნიც, ისევე როგორც პირველი, ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველში ანოტაციები ქართულადაა მოცემული, მეორეში კი იგივე ანოტაციები რუსულ თარგმანში.

6. **ჩიქობავა, არნ.** სია იმ შრომებისა, რომლებიც შესრულებულია მთის კავკასიურ ენათა განყოფილებაში (ენის ინსტიტუტში 1936-1942 წლებში) და კავკასიურ ენათა კათედრაზე (უნივერსიტეტში 1933-1942 წლებში) (იხ. **„აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბის"** XII ტ. გვ. 289-301).

სულ აღნუსხულია 87 სახელწ. შრომა აფხაზურ, ადიღეურ, ჩაჩნურ და ინგუშურ, ბასბიურ, ხუნძურ, ლაკურ, დარგუულ, ბუდუხურ, უდურ და კაპუჭურ ენათა შესახებ.

7. **ახვლედიანი, გ.** პროფ. თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში. 1921-1941. (იხ, „სტალინის სახელობ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის შრომების ტ. XIX (1941 წ.), გვ. 155-186).

მოცემულია ქართული ენათმეცნიერების განვითარების ისტორიული მიმოხილვა; გზადაგზა დასახელებულია მნიშვნელოვანი შრომები; ავტორი აღნიშნავს: „აქ წარმოდგენილ მიმოხილვაში არაა ამოწურული ჩვენი ენათმეცნიერება არც თემატიკურად და არც პერსონალურად, მასში შეუძლებელი იყო მოგვეხსენებია ყველა საენათმეცნიერო შრომა, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასეულს აღწევს" (იხ. გვ. 183).

8. **ახვლედიანი, გ. აკად. და დოც. ვლ. ფანჩვიძე.** ენათმეცნიერება საქართველოში (იხ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის სერია— **„მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მანძილზე“**, ნაკვ. III (1946 წ.). გვ. 49-90.

ავტორები აღნიშნავენ: „ნაკვეთში წარმოდგენილია ქართული საბჭოთა ენათმეცნიერების მოკლე მიმოხილვა. იგი არაა ქართული ენათმეცნიერების ისტორია“-ო. მაგრამ ნაკვეთში, როგორც ჩანს, აღნიშნულია მთელი ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურა (1921-1945 წ. წ.) სისტემატური სახით და თითოეულ დარგში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ეს შრომა საენათმეცნიერო ლიტერატურის ყოველი ბიბლიოგრაფიის აუცილებელ დამატებას წარმოადგენს.

9. **ქართული ლექსიკოლოგიური ლიტერატურა, 1823-1939 წ. წ.** ბიბლიოგრაფია (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, წიგნი 1, გვ. 119-163.

აწერილია 285 ლექსიკონი და ლექსიკური წყარო.

IV. ლიტერატურათმცოდნეობა

ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგის ბიბლიოგრაფიული წყაროები ორ ჯგუფად იყოფა: ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურის წყაროებად. მაგრამ არც პირველი და არც მეორე ჯგუფის წყაროთა შორის არ არსებობს ისეთი, რომ იგი ქრონოლოგიურად სრულად მოიცავდეს ქართულ ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობას, მისი დასაბამიდან დღემდე*. ამიტომ ძიების დროს საჭირო ხდება ხოლმე აგრეთვე ზოგადი ბი-

---

* ამგვარი შრომა წამოწყებული აქვს საქ. საჯარო ბიბლიოთეკას ფრიად მნიშვნელოვანი კარტოთეკის სახით თემაზე: „ქართული ზეპირსიტყვიერება და ლიტ. კრიტიკა“. კარტოთეკაში შეკრებილ როგორც ის ნაწერები, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა, ისე ის ნაწერები, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში, კრებულებში და ყოველ სხვა გამოცემებში იყო დაბეჭდილა: პოეზიური, პროზაული, დრამატული, კრიტიკული და ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოებნი და სხვა ლიტერატურული ხასიათის მასალა, როგორც ცნობილი, ისე სულ მცირედ ცნობილი ავტორებისა (ე. წ. მთქმელებისა და აგრეთვე ფოლკლორი, ძველი და თანამედროვე). ამრიგად, კარტოთეკაში სისრულით იქნება ასახული მთელი ქართული ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა, რამდენადაც იგი სტამბურ ნაწარმოებშია გამოხატული, ე. ი. 1629 წლიდან დღემდე. კარტოთეკა ჯერჯერობით შემდეგ დარგებადაა დაყოფილი: პოეზია, პროზა, დრამატურგია, ლიტერატურის ისტორია და თეორია, ლიტერატურული კრიტიკა. კარტოთეკა ღიაა სახოგადოებრივობის ცნობისა. თუ იგი ბოლომდე ზუსტად იქნება შესრულებული და შემდეგ გამოცემული ცნობარის სახით, ხედმეტი იქნება ყოველგვარი სხვა ბიბლიოგრაფია ამ დარგში.

ბლიოგრაფიების—„ქართული წიგნის“ I ტ., „წიგნის მატიანისა“ და სხვა წყაროების მოშველიება, თუმცა ესენიც არ ასახავენ (ზოგიერთი გამონაკლისით) მთელი სისრულით ამ დარგს. რაკი ბიბლიოთეკებში ლიტერატურას სხვა დარგებთან შედარებით უფრო მეტი გასავალი აქვს და მოთხოვნილებაც შესატყვის ცნობარებზე უფრო მეტია, ამიტომ ჩვენ აქ ჯერ მოკლეთ შევეხებით ზოგად ბიბლიოგრაფიებს. ეს გაუადვილებს მკითხველს წყაროებში გარკვევას და მათ გამოყენებას.

1. პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ საქ. წიგნის პალატის პოპულარული ცნობარი **„ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია I ტ. 1629-1920 წ. წ.** წიგნები ამ ცნობარში თავიდან ბოლომდე ქრონოლოგიურად არის დალაგებული. ლიტერატურისა და ლიტერატმცოდნეობის წიგნები უნდა მოიძებნოს საგნობრივი რუბრიკებით: ქართული პოეზია, ქართული პროზა, ქართული დრამატ. ნაწ., ქართული ზღაპრები და სხვ. და აგრეთვე თარგმნილი ლიტერატურის საძიებლით და ავტორთა და ანონიმთა საძიებლებით.

2. „ქართულ წიგნს“ აქვს **დამატება**, რომელშიც აღნიშნულია ის წიგნები (დაახლოებით 300 სახელწოდების, მათ შორის ლიტერატურის დარგისაც), რომელიც „ქართულ წიგნს“ გამორჩა. ეს დამატება „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ ამ ტომშია მოთავსებული.

3. „წიგნის მატიანე“ თავის არსებობის განმავლობაში,—1926-1947 წ. წ.—დაახლოებით 190-200 ნაკვეთად გამოვიდა, მაგრამ დღეს ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება; ბიბლიოთეკებს მხოლოდ უკანასკნელი წლების, 1941-1947 წ. წ. ნომრები გააჩნიათ.

4. **„ჟურნალის სტატიების მატიანე“**-ში ინუსხება ყველა სტატია და მასალა, რაც საქართველოში იბეჭდება ქართულ და სხვა ენებზე გამოსულ ჟურნალებში. სტატიები სისტემატიზირებულია ენებისა და შემდეგ დარგების მიხედვით. სამწუხაროდ „ჟურნალის სტატიების მატიანე“ მხოლოდ 1939 წლიდან დაიწყო გამოსვლა.

5. **„გაზეთის სტატიების მატიანე“**. ანალოგიური გამოცემაა, რომელშიც ლიტერატურული მასალაც ინუსხება. მაგრამ ეს მატიანეც მხოლოდ 1934 წლიდან იცემა.

6. **ქართული მხატვრული მწერლობის ბიბლიოგრაფია 1921 წლიდან 1931 წლამდე“** ქრონოლოგიური და ანბანური სია. (იხ. ერთდროული **„სალიტერატურო გაზეთი“** 1931 წლ. 25 თებერვლის ნომერი, 12 გვ. in F°) (ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას წარმოადგენს). ეს ბიბლიოგრაფია შედგენილია „წიგნის მატიანის“ 1921-31 წლების ნომრებში მოთავსებული მასალის გამოყენებით; მოცემულია მხოლოდ ავტორებისა და სათაურების ჩამოთვლა.

7. **ჟღენტი, ბეს.** ლიტერატურის ანოტირებული სია [1939 წლისათვის]. თბ. 1940 წ. სახელგამი. 27 გვ. (სახელგამის ბიბკოლექტორის გამოცემა).

სამწუხაროდ მხოლოდ ოციოდე მხატვრული ნაწარმოებისა და პოპულარული სამეცნიერო წიგნის აღწერილობას შეიცავს, არსებითად ეს სარეკომენდაციო სიაა, სანიმუშოდ შედგენილი, მშვენიერი ანოტაციებით.

8. **კეკელიძე, კორნ.** აკად. ქართული ლიტერატურის ისტორია. [ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში წარმოებული სამეცნიერო მუშაობა 1921-1945 წლებში და გამოქვეყნებული შრომები] (იხ. სერია: **„მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მანძილზე“**. საქ. მეცნ. აკადემიის გამოცემა. ნაკვ. III (თბ. 1946 წ.), გვ. 91-102).

9. **ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამა.** შეადგინეს აკად. კორნ. კეკელიძემ, პროფ. შ. რადიანმა და დოც. ს. ჯილაიამ. თბ. 1946 წ. სტალინის სახელობ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის გამოც. 30 გვ.

პროგრამაში სამი განყოფილებაა--ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურისა; თითოეულში მითითებულია ლიტერატურა.

უახლესი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში (XX საუკ.) მოცემულია შემდეგი მწერლების შესწავლის პროგრამა: ე. ნინოშვილის, ლალიონის, ვ. ბარნოვის, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის, ი. ევდოშვილის, ჯოლა ლომთათიძის, ან. ერისთავ-ხოშტარიასი, ნ. ჩხეიძის, კ. მაყაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, ვ. გაფრინდაშვილის, შ. დადიანის, ს. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ალ. აბაშელის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიასი, ი. მოსაშვილის, ა. მაშაშვილის (მირცხულავასი), სიმ. ჩიქოვანისა და დემნა შენგელაიასი.

სპეციალური ბიბლიოგრაფიები

ა) ორიგინალური ლიტერატურა

შოთა რუსთაველი

1. **მაჭავარიანი, თ.** „ვეფხის ტყაოსნის“ გამოცემები. ქრონოლოგიური საძიებელი. (იხ. „კ. მარქსის სახელობ. საქ. საჯ. ბიბლიოთეკის შრომები“ ტ. IV (თბ. 1938 წ., გვ. 113-123.

2. **მაჭავარიანი, თ.** შოთა რუსთაველი უცხოეთის ლიტერატურაში, 1810-1933 წ. წ. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (იქვე, გვ. 124-151).

3. **გაწერელია, აკ.** [ვეფხისტყაოსნის] ბიბლიოგრაფია; დართული აქვს კ. ჭიჭინაძის რედაქციით გამოცემულ „ვეფხის ტყაოსანს“, თბ. 1934 წ., „ფედერაციის“ გამოცემა, იხ. გვ. 671-688).

ამ ბიბლიოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემების გარდა მოყვანილია ვრცელი ლიტერატურა პოემის შესახებ.

4. **ფოფხუა, ვ.** შოთა რუსთაველი ქართულ-რუსულ ენებზე. ბიბლიოგრაფიული საძიებელი შ. ასათიანის რედაქციით. თბ. 1937. განსახკომის გამოცემა. 57 გვ.

ეს ბიბლიოგრაფია დამყარებულია აკ. გაწერელიას ბიბლიოგრაფიაზე, ოღონდ ერთი ორად მაინც უფრო ვრცელია (700-მდე სახელწ.). ბიბლიოგრაფია რეცენზირებულია სოლ. ხუციშვილის მიერ გაზ. „კომუნისტში“ (იხ. 1938 წ. 15 მარტის № 60).

5. **შილაკაძე, ივ.** მასალები რუსთველოლოგიური ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის (იხ. პროფ. მელიქსეთ-ბეგის რედაქციით გამოცემული სერიის „მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“ მე-V ნაკვეთი. თბ. 1940 წ.), გვ. 1-21.

6. **იმედაშვილი, გაიოზ.** რუსთველოლოგია. ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა. თბ. 1941 წ. სტალინის სახელობ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა. VIII, 259 გვ.

წიგნს დართული აქვს (გვ. 189-259) მოკლე „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, რომელშიც ავტორს მოყვანილი აქვს „იმეთი გამოკვლევანი, რომელთაც პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსთველოლოგიის განვითარებისათვის“.. (105 სახელწ.).

(იხ. რეცენზია ამ წიგნზე „მნათობში“, 1941 წ. № 12).

7. **ადეიშვილი, შ.** „ვეფხისტყაოსნის ქართული გამოცემები“ (იხ. კრებული „შოთა რუსთაველი სკოლაში“. თბ. 1937 წ. პედაგოგიკის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის გამოცემა. გვ. 292-316.

ავტორი ასახელებს „ვეფხისტყაოსნის“ 29 სხვადასხვა გამოცემას (1937 წლამდე გამოსულს); „ყველა მათგანის განხილვა არ შეადგენს ჩვენს მიზანს“... „შევეხებით უმთავრესად ცნობილ მნიშვნელოვან გამოცემებს“ [ვახტანგის, ბროსესი, ჩუბინაშვილის, კარიჭაშვილის, კაკაბაძის, ი. აბულაძის, კ. ჭიჭინაძის].

ნ. ბარათაშვილი

8. **ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ბეჭდური გამოცემები.** [ბიბლიოგრაფია]. (იხ. გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“. 1945 წ. 21 ოქტ. № 14).

ამ ბიბლიოგრაფიაში მოცემულია 1876 წლიდან 1939 წლამდე გამოსულ 17 სხვადასხვა ბეჭდური გამოცემის სია, ქრონოლოგიური რიგით; თითოეულის შესახებ ცნობაა: სად გამოიცა, ვისი გამოცემაა, გვერდები, ტირაჟი.

დ. ჭონქაძე

9. **ბიბლიოგრაფია დანიელ ჭონქაძეზე** (იხ. ჭონქაძე, დ. „სურამის ციხე", ფ. მახარაძის წერილით: „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო". თბ. 1932 წ. „ფედერაციის" გამოც.

ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია ძმთავრებად ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1860-1928 წლებში დაბეჭდილი წერილები დ. ჭონქაძის შესახებ (19 სახელწ.).

ალექსანდრე ჭავჭავაძე

9 ა. **ალექსანდრე ჭავჭავაძე.** 1830-1947. ბიბლიოგრაფია შედგენ. ელ. დიასამიძის მიერ ი. გრიშაშვილის რედაქციით. თბ. 1947 წ. საქ. წიგნის პალატის გამოც. 36 გვ.

შინაარსი: ალ. ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები; ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა (1830-1881) ბიბლიოგრაფია; ცხოვრება და მოღვაწეობა (ლიტერატურა მის შესახებ); რეცენზიები.

ილია ჭავჭავაძე

10. **ილიას ბიბლიოგრაფია. 1861-1907 წ. წ.** [ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შესახებ ქართულ და რუსულ ენაზე]. ქრონოლოგიური საძიებელი, შედგენილი თ. ნაკაშიძისა და ნ. კორძაიას მიერ (იხ. წიგნი: **ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული.** თბ. 1939 წ. სტალინის სახელობ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა. გვ. 409-427).

შეიცავს ძველ (1861-1907 წლებში გამოსულ) ლიტერატურას ილიას შესახებ (162 სახელწ.).

11. **ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე.** (1837-1907). მოკლე ბიობიბლიოგრაფია. თბ. 1947 წ. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპ. მეთოდკაბინეტის გამოცემა. 43 გვ. [დართული აქვს ბიბლიოგრაფია ილიას ნაწერების და მოკლე ლიტერატურა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ].

აკაკი წერეთელი

12. **აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა გამოცემების ქრონოლოგია,** 1874-1940, შედგენილი თ. ნაკაშიძის და პლ. ხუნდაძის მიერ. (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე" წ. 1. (თბ. 1940 წ.), გვ. 164-175).

ამ „ქრონოლოგიაში" აკაკის ნაწარმოებთა სრული ქრონოლოგიური სიის გარდა აღნიშნულია ყველა განმეორებითი გამოცემანი, აკაკის გამომცემლები და აგრეთვე ქართული მონოგრაფიული ლიტერატურა აკაკის შესახებ, 25 სახელწოდებისა, 1897-1940 წლებში გამოსული.

„ქრონოლოგია" კი არა, ეს ნამდვილი „აკაკის ბიობიბლიოგრაფია".

13. **აკაკი წერეთელი. 1840-1940.** მოკლე ბიოგრაფია და ლიტერატურის მაჩვენებელი ქართულ და რუსულ ენაზე. თბ. 1940. ჯაფარიძის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის გამოცემა.

14. **აკაკის ლირიკა [ბიბლიოგრაფია].** (იხ. **წერეთელი, აკ.** რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ს. გორგაძის და ს. აბაშელის რედაქციით. ტომი IV. თბ. 1928. სახელგამი. XXV, 338 გვ.

ბიბლიოგრაფიას წამძღვარებული აქვს რედაქტორების შემდეგი შენიშვნა: „ვურთავთ აკაკის წვრილწერილი ლექსებისა და ერცელი სტატიების (რომელიც წინა ტომებში არ შესულან) სრულ ბიბლიოგრაფიას სათაურით „აკაკის ლირიკა", რომელიც ორ ნაწილად გვაქვს გაყოფილი: პირველში შეტანილია თარიღიანი ლექსები, მეორეში უთარიღო. უთარიღო ლექსები უმთავრესად ავტოგრაფის სახითაა დარჩენილი და სიაში ყოველთვის ნაჩვენებია ავტოგრაფის ნომერი, რომლითაც აკაკის ნაწერები შეტანილია მგოსნის სრულ ბელნაწერ ბიბლიოგრაფიაში (იხ. საქ. სალიტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ბელნაწერი № 1466), რომელიც საფუძვლად უძევს ჩვენი გამოცემის ბიბლიოგრაფიას" (ბაზი ჩემია. გ. ბ.).

გიორგი წერეთელი

15. **გიორგი წერეთლის ნაწერებიხ სია** (იხ. კრებული: გიორგი წერეთელი, 1842-1900 [ბიოგრაფია, სიტყვები, წერილები გარდაცვალების გამო]. თბილისი. 1900 წ. ვ. გუნიას სტამბა. 184 გვ.

„სიას უჭირავს 15 გვერდი (169-184 გვ.) და შეიცავს გ. წერეთლის „დროებაში" (1866-1830), „კრებულში" (1871-73), „ივერიაში" (1886-89), „ცდაში" (1890), „ჯეჯილში" (1890) და „კვალში" (1893-1899) დაბეჭდილი სტატიების ნუსხას; სტატიების შემდეგ აღნიშნულია ცალკე წიგნად დაბეჭდილი ნაშრომებიც (7 სახელწ. 1883-93 წ. წ.). სიას შემდეგი შენიშვნა ახლავს თან: „ეს სია, რასაკვირველია, სრული არ არის. აქ მოხსენებული არ არის არც „სასოფლო გაზეთი", არც რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი წერილები და არც ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი ხელმოუწერელი ზოგი სტატიები. აქ არ არის აგრეთვე მისი არქეოლოგიური გამოკვლევანი და სხვა წვრილმანი ქართული წერილები. ყველა ეს რომ შეგროვდეს ორი ამდენი იქნება".

შენიშვნა. გ. წერეთლის სტატიები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული ამოწურვით არის ასახული „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში" ტ. ტ. I-III და აგრეთვე „ქართულ გაზეთები: ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში".

ეს უკანასკნელი ჯერ დაბეჭდილი არ არის და კარტოთეკის სახით საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

ვაჟა-ფშაველა

16. **ვაჟას [ბიო]ბიბლიოგრაფია.** (იხ. სოლ. ყუბანეიშვილის წიგნი: ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე. თბ. 1940 წ. სახელგამი. IX, 265 გვ.

უვრცელესი ბიობიბლიოგრაფიაა (უჭირავს 122 გვერდი); მიყვანილია 1936 წლამდე; დაყოფილია თავებად; ყველაზე მნიშვნელოვანი თავებია: „ვაჟა-ფშაველას გამოცემები ქართულ ენაზე" (ცალკე წიგნებად გამოცემული 1889-1936 წ. წ.) და „როდის რა დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველაზე" (ქართული, რუსული და ნაწილობრივად სომხური ლიტერატურა ვაჟას შესახებ, 1886-1936 წ. წ.).

ფრიად სასურველია და საჭირო ამ მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიის შევსება (1948 წლამდე) და გადამუშავება. იხ. ჩვენი რეცენზია „ბიბლიოგრაფიის მოამბის" 1 წიგნში (თბ. 1940 წ.).

ე. ნინოშვილი

17. **„როდის რა დაიწერა ეგნატე ნინოშვილზე".** (ბიბლიოგრაფია შედგენილი ნიკო კურდღელაშვილის მიერ. იხ. **ე. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის III ტ. პუბლიცისტური ნაწერები სიმ. ხუნდაძის რედაქციით. თბ. 1935 წ., გვ. 164-98).**

ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილია 1897-1933 წლებში გამოსული ბროშურები და სტატიები, სულ 28 სახელწ. (მათ შორის 7 რუსულ ენაზე).

ბ) თარგმნილი ლიტერატურა.

18. **კეკელიძე, კორნ.** აკად. უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში (იხ. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია" ტ. I (თბ. 1941 წ. მეორე გამოც.), დამატება გვ. 569-698.

წარმოადგენს ბიბლიოგრაფიას ძველი ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ყველა იმ ავტორისა, ვისი თხზულებებიც უთარგმნიათ ქართულ ენაზე ძველად (IV-XVI ს. ს.). ავტორი აღნიშნავს, რომ ცნობები აღებული აქვს თითქმის ყველა დღესდღეობით ცნობილი ხელნაწერიდან" (გვ. 569).

19. **სხრკ ხალხთა მხატვრული ლიტერატურა ქართულ ენაზე.** 1920-1940 წ. წ. ბიბლიოგრაფია შედგენილი ლ. ეგორაშვილისა და ნ. აკერმანის მიერ. თბ. 1941 წ. კ. მარქსის სახელობ. საქ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა. 121 გვ.

ამ ბიბლიოგრაფიაში ყველაზე დიდი რუსული ლიტერატურის განყოფილებაა (71 გვ.), შემდეგ სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური, ლეკური, უკრაინული და ა. შ. მხატვრული ლიტერატურის გარდა მოყვანილია კრიტიკული ლიტერატურა პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, ლევ ტოლსტოის, გორკის, მაიაკოვსკის, ესენინის, შევჩენკოს, თუმანიანის, ჯამბულის და ზოგ სხვა მწერლების შესახებ.

საჯარო ბიბლიოთეკა ამზადებს ამ ბიბლიოგრაფიის ახალ, შევსებულ გამოცემას.

20. **მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები ქართულ ენაზე.** ქართულ ენაზე არსებული მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული საძიებელი ანოტაციებით. შედგ. ვლ. კახიანის მიერ. თბ. 1937. საქ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა, 23 გვ.

ბიბლიოგრაფიაში მოყვანილია შემდეგი მწერლების ნაწარმოებები: შექსპირის, დანტესი, ბოკაჩიოსი, გოეთესი, დოსტოევსკის, ლევ ტოლსტოის, გორკის, სერვანტესის, სტენდალის, სენკევიჩის, სკოტის, ჰიუგოსი, ზოლასი, შეტერლინკის; ანოტაციები—კოგანითა და ქართული რეცენზიებით.

21. **დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მხატვრთული ტექსტები ქართულად** (იხ. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის პროგრამა. თბ. 1941 წ. სტალინის სახელობ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის გამოც., გვ. 52-53).

22. **პუშკინის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია ქართულ ენაზე ასი წლის განმავლობაში. 1832-1938 წ. წ.** (იხ. კრებული: **ა. ს. პუშკინი საქართველოში.** საქ. სსრ რესპუბლიკანური საიუბილეო კომიტეტის რედაქციით. თბ. 1938 წ. „ფედერაციის" გამოც. გვ. 223-231.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. თარგმანები სია მოთავსებულია აგრეთვე გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში", 1937 წ. 11 თებერვლის № 34.

23. **მ. ი. ლერმონტოვი. მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობარი.** შემდგ. ვლ. ჯოჯუა. თ. 1941 წ. გახსახკომის გამოც. 12 გვ.

ცნობარში აღნიშნულია 67 თარგმანი ლერმონტოვის ნაწარმოებებიდან (1891-1941 წ. წ.), აგრეთვე ქართული ლიტერატურა ლერმონტოვის შესახებ, 1939-1940 წლებში გამოსული (36 სახელწ.).

24. **ა. მ. გორკი—მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობარი.** შემდგ. ვლ. ჯოჯუა. თბ. 1941 წ. გახსახკომის გამოც. 11 გვ. იმავე გეგმით შედგენილი ცნობარია აღნიშნულია თარგმანები გორკის ნაწერებიდან (30 სახელწ.) და ქართული ლიტერატურა გორკის შესახებ, გამოსული 1938-39 წლებში.

25. **დავით სასუნელი ქართულად.** I. წერილები და მონოგრაფიები ეპოსის შესახებ. II. პოემის თარგმანები (ბიბლიოგრაფია), შედგენილი პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა და თ. ნაკაშიძის მიერ (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე", წ. 1 (თბ. 1940 წ.), გვ. 176-184.

V. ქართული ხელოვნების ისტორია. მხატვრობა. ქართული მუსიკა

1. **ჩუბინაშვილი, გ.** ლიტერატურა [ქართული ხელოვნების შესახებ] (იხ. აკად. გ. ჩუბინაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია" ტ. I. თბ. 1936 წ. სახელგამი, გვ. 13-17).

ავტორს მოყვანილი აქვს 137 შრომა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე (1839-1935 წ. წ.) შემდეგი რუბრიკების ქვეშ დაჯგუფებული: მეგალითური შე-

ნობები და ძეგლები, პალეოლითი და ნეოლითი, ბრინჯაოს და რკინის ხანა, ჩვენი ერას ქართული ხელოვნების ისტორიის დამხმარე ლიტერატურა (მასალები, გამოკვლევები, კომპენდიუმები).

2. **ამირანაშვილი, შ.** ლიტერატურა ქართული ხელოვნებისა და სიძველეთა შესახებ. (იხ. შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია". თბ. 1944 წ. საქ. მეცნ. აკადემიის გამოცემა. 201, 116 გვ. 4°).

მოცემულია ქართულ, რუსულ და უცხოურ შრომების სისტემატიზირებული სია (221 სახელწ., 1839-1944 წ. წ.).

3. **პროფესორ გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენა.** კატალოგი. თბ. 1927 წ. ქართველ მხატვართა საზოგადოების გამოცემა. 13 გვ.

კატალოგს წამძღვარებული აქვს გ. გაბაშვილის სურათი და შემოქმედების დახასიათება.

4. **ქართული მუსიკალური ნაწარმოების ბიბლიოგრაფია.** 1872-1946 წ. წ. შედგენილი თ. კუცია-ღვალაძის მიერ გო. ჩიკვაძის რედაქციით. თბ. 1947 წ. საქ. წიგნის პალატის გამოცემა. 136

ქართულ ინსტრუმენტალურ და ვოკალურ ნაწარმოებთა სრული ანოტირებული ბიბლიოგრაფიაა, ქრონოლოგიურად დალაგებული. ბიბლიოგრაფია შეიცავს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ გამოცემულ ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

5. **ხახელგაძის გამოცემული მუსიკალურ ნაწარმოების კატალოგი.** Каталог музыкальных произведений [иог]. Издание Госиздата ССРГ. თბ. 1935 წ. 8 გვ.

ამ კატალოგში მოყვანილია 1921-ხე მეტი საბჭოთა პერიოდში გამოცემული მუსიკალური ნაწარმოებები (აბაკიძვილის, ყულაბაშვილის, ფალიაშვილის, ბალანჩივაძის, ძველიშვილის, კილაძის, დოლიძის, თაქთაქიშვილის, გაბიჩვაძისა და სხვა კომპოზიტორებისა).

VI. პედაგოგიკა. სახალხო განათლება. ბიბლიოთეკათმცოდნეობა

1. **იაკობ გოგებაშვილის ბიბლიოგრაფია.** ბიბლიოგრაფიული ცნობარი. თბ. 1940 წ. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამოცემა. 80 გვ.

შინაარსი: I. ი. გოგებაშვილის შრომები ქართულ ენაზე: წიგნები, სახელმძღვანელოები, სტატიები, 1865-1910 წ. წ. ავტორის ციგით. II ძოგადი ოუსულ ენაზე. III. სტატიები და წიგნები ი. გოგებაშვილის შესახებ. (160 სახელწ.). IV. ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავზე გამოსული ლიტერატურა. V. ქრონოლოგიური საძიებელი ნაშრომთა; ფსევდონიმებში.

ეს ბიბლიოგრაფია (და არა ბიბლიოგრაფია, როგორც იგი დასათაურებულია) წამოწყებულია როგორც სპეციალური ბიბლიოგრაფიული მონოგრაფია ი. გოგებაშვილზე, მაგრამ მოლომდე არ არის დამუშავებული. ყველაზე არსებითი ნაწილი, ი. გოგებაშვილის შრომები—სტატიები, სახელმძღვანელოები, პედაგოგიური და სხვა ნაწერები,—სულ 370 სახელწოდების რაოდენობით სისტემატიზაციისა და ანოტაციების გარეშე ჩაყრილია ერთიან ანბანურ სიაში, რომელსაც წიგნის ნახევარი უჭირავს (141 გვერდი!). ასევე ლიტერატურა გოგებაშვილის შესახებ (167 სახელწ.). დადებითი მხარე ცნობარისა—მისი სიუხვეა.

მხადდება ახალი შევსებულ-შესწორებული გამოცემა.

2. **ლ. გ. ბოცვაძის შრომების ბიბლიოგრაფია** (იხ. ჟურნ. „პედაგოგიკა“ ტ. I. (1944), საქ. სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ორგანო. გვ. 249-267).

შინაარსი: I. შრომების ქრონოლოგიური საძიებელი, 1890-1919 წ.წ. (305 სახელწ.). II. შრომების სისტემატურ-ანბანური საძიებელი.

ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია „ივერიაში“, „ჯეჯილში“, „ნაკადულში“, „განათლებაში“ და აგრეთვე ქ. შ. წ.-კ. გამავრც. სახოკადოების ანკარიშებში და აგრეთვე ზოგ კრებულებში მოთავსებული ბოცვაძის სტატიები. 305 სახელწოდებიდან 105 წმინდა პედაგოგიურ შინაარსის სტატიებს წარმოადგენს (პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია. სხვადასხვა საგანთა სწავლების მეთოდიკა, პროგრამები, რეცენზიები და სხვა). დანარჩენი ნაწერები—პუბლიცისტური და სამეცნიერო-პოპულარული წერილები, ბიოგრაფიები, ნეკროლოგები, საბავშვო მოთხრობები.

3. **პედაგოგიური ბიბლიოგრაფია.** (იხ. კრებული: **„სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“.** მასალების კრებული. ტ. I. თბილისი. 1937 წ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა, გვ. 237-253).

ამ ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 1852-1889 წლებში გამოსული პედაგოგიური ხასიათის წერილები, კორესპონდენციები და ცნობები, რომელიც შემდეგ 7 ჟურნალში—„ცისკარში“, „საქართველოს მოამბეში“, „მნათობში“, „კრებულში“, „ივერიაში“, „იმედში“ და „თეატრში“ იყო დაბეჭდილი.

შენიშვნა. აღნიშნული პერიოდის ქართული პედაგოგიური ლიტერატურა უფრო ფართო ქრონოლოგიური მოცვით და ამოწურვით ბიბლიოგრაფიებულია საქ. საჯ. ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“ ტ.ტ. I-III (1852-1905).

4. **პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა** (ანოტირებული კატალოგი). თბ. 1944 წ. დაწყებითი და საშუალო სკოლის სახ. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამოცემა. 56 გვ.

ინსტიტუტის წინასიტყვაობიდან:

„ამ კატალოგში ძირითადად შეტანილია ლიტერატურა გამოსული 1938 წლიდან დღემდე (1944)“... „აღვნიშნავთ, რომ კატალოგი არ არის სრული და ამომწურავი“; „კატალოგის შედგენა-დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუ-

ტის მეცნიერ მუშაკებმა—პროფ. გ. გეხტმანმა, პროფ. გ. თავზიშვილმა, დოც. ს. ფურცელაძემ, დოც. ალ. ხუსკივაძემ, დ. დონდუამ, პ. მეტრეველმა, ლ. ჯაფარიძემ და სხვ.ª.

პედაგოგიკის და სკოლათმცოდნეობის ლიტერატურის (42 სახელწ.) გარდა კატალოგში მოყვანილია მეთოდური ლიტერატურა სხვადასხვა საგნების სწავლების შესახებ: ქართული ენისა და ლიტერატურის (36 სახელწ.), რუსული ენისა და ლიტერატურის (13 სახელწ.), ისტორიის (9 საბ.), მათემატიკის (30 საბ.), ბუნებისმეტყველების (34 საბ.) და სხვა საგნებისა და აგრეთვე ცნობარები (გეოგრაფიის) და დამხმარე წიგნები.

5. **ლიტერატურა სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში ქართულ ენაზე** (იხ. წიგნი: **კორნილოვი, კ. ნ.** ბავშვის ყოფაქცევა სასკოლო ასაკამდე. თარგმ. ნ. მშველიძისა რ. ნიკოლაძის რედაქციით, თბ. 1927 წ. სახელგამი, 205 გვ.). მითითებულია 12 სახელწ.

6. **ლიტერატურა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის შესახებ** (იხ. წიგნი: **ნემსაძე, კონსტ.** საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა და მისი სახეები სოფლის სკოლებში. ნაწ. I. თბ. 1928 წ. 105 გვ.).

ავტორს მოჰყავს რუსული ლიტერატურა, 21 სახელწ. ანოტაციებით.

7. **ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია (1629-1940).** თბ. 1941 წ. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამოცემა. 56 გვ.

„ბიბლიოგრაფიაში" ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 222 ქართული ანბანის წიგნი (1629-1940 წ.წ.) ანოტაციების გარეშე. ბიბლიოგრაფიას წამძღვარებული აქვს ისტორ. მიმოხილვა ანბანის წიგნისა 19 საუკუნემდე.

8. **ბერულავა, გ.** სკოლისგარეშე საკითხავი მხატვრული ლიტერატურის სარეკომენდაციო სია. თბ. 1939 წ. განსახკომის გამოც. 80 გვ.

„სია"-ში მოყვანილია ქართულ ენაზე 1921-1938 წლებში გამოსული საბავშვო ლიტერატურა, რომელიც სისტემატიზირებულია სამი ასაკის მიხედვით: 1. დაწყებითი სკოლის ასაკი, 2. არასრული საშუალო სკოლისა და 3. სრული საშუალო სკოლის ასაკი. ბიბლიოგრაფიაში შეტანილია როგორც ორიგინალური ისე თარგმნილი ლიტერატურა და რამდენიმე პოპულარული სამეცნიერო თხზულებაც.

მზადდება ახალი გამოცემა.

9. **ღვინიაშვილი, ანა.** კლასგარეშე საკითხავი წიგნების ანოტირებული კატალოგი დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის, ივ. მაილიანის რედაქციით და შემდგენელის წინასიტყვაობით. თბ. ლ. პ. ბერიას სახელობ. ა/კ. რკინიგზის სასკოლო განყოფ. გამოცემა. 98 გვ. [ტირ. 1000 ც. ფ. 6 მან.].

კატალოგში შეტანილი ქართული მხატვრული და პოპულარული ლიტერატურა (დაახლოებით 300 სახელწ.) სისტემატიზირებულია საკვლევო კლასების მი-

ხედვით (II კლასიდან მე-X კლასამდე), თითო-ეულ კლასთან ერთად აღნიშნულია შერჩეული მაატერული ნაწარმოებნი, ორიგინალური და თარგმნილი და შემდეგ ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და სხვა დარგის პოპულარული წიგნები.

10. **სია სავალდებულო სახელმძღვანელოებისა** დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის 1937/38 სასწავლო წლისათვის.

(„კომუნისტი" 1937 წ. 23 აგვ. № 192).

11. **სია დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებს** სავალდებულო სახელმძღვანელოებისა 1938-39 სასწავლო წლისათვის.

(„კომუნისტი" 1938 წ. 27 აგვ. № 196).

12. **ახვლედიანი, თამარ.** ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში. ბიბლიოგრაფია. (იხ. „ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები" ტ. VII (1947 წ.), გვ. 265-337.

„ბიბლიოგრაფიაში" ჩამოთვლილია დეტალურად სისტემატიზირებული სახით გაზეთებში, უმთავრესად კი გაზ. „ინდუსტრიალურ ქუთაისში" მოთავსებული სტატიები ქუთაისის პედინსტიტუტის და მისი თანამშრომლების მუშაობის შესახებ.

ინსტიტუტის მიერ გამოცემული „შრომების" ხუთი ნაკვეთის შინაარსი მოცემულია ბიბლიოგრაფიის VII თავში, რომელსაც ერთვის აგრეთვე ინსტიტუტში დაცული დისერტაციების მოკლე სიაც (11 სახელწ.). ბიბლიოგრაფია იშვიათი მუყაითობით არის შედგენილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა, ავტორს შედგენილი აქვს ინსტიტუტში დაცული დისერტაციების სრული სია (47 სახელწ.) „შრომების" მომდევნო ნომერში დასაბეჭდად.

13. **ციციშვილი, ივ.** ქართული საბიბლიოთეკონომიო და საბიბლიოგრაფიო ლიტერატურის ქრონოლოგიური მაჩვენებელი (იხ. „კ. მარქსის სახელობ. საქ. სსრ საჯარო ბიბლიოთეკის შრომების" წიგნი I (თბ. 1934), გვ. 111-119 და წიგნი V (თბ. 1940 წ.), გვ. 200-205).

„მაჩვენებელი" წარმოადგენს 1798-1940 წლებში გამოსულ სხვადასხვა თხზულებათა ერთიან ქრონოლოგიურად დალაგებულ სიას, რომელშიც გარეულია ფილოლოგიური და გრამატიკული შრომებიც და აგრეთვე წიგნის მაღაზიებისა და ბიბლიოთეკების კატალოგებიც. „მაჩვენებელი სრული არ არის: აკლია 1890-1940 გამოსული ბევრი მასალა საბიბლიოთეკო საქმის შესახებ.

14. **Маркевич, Д. Н. Литература по библиотековедению и рекомендательной библиографии, вышедшая в Грузии в 1938-1940 г. г. Часть I. Книги, брошюры, листовки.** (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე" წიგნი 1, გვ. 185-205).

ავტორს მოცემული აქვს ანბანზე გაწყობილი სია ქართულ ენაზე გამოსული ლიტერატურისა ბიბლიოთეკათმცოდნეობის (41 სახელწ.) და სარეკომენდა-

ცია ბიბლიოგრაფიის (16 სახელწ.) დარგში. ყოველი წიგნის აღწერილობა მოჰყავს ქართულად და შემდეგ რუსულ თარგმანში. ქართული შრომების გარდა აღნიშნულია 5 რუსული ნაშრომი.

15. **ბაქრაძე, გ.** ქართული სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია. ანოტირებული ცნობარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დასაბეჭდათ დამზადებულია ჯაფარიძის სახელობ. ბიბლიოთეკის კრებულისათვის.

VII. საქართველოს გეოგრაფია და გეოლოგია

1. **ჯავახიშვილი, ალ.** პროფ. საქართველოს გეოგრაფია. ტ. I. გეომორფოლოგია. 101 განაკვეთით და სურათით ტექსტში და გეოგრაფიული ატლასის ცალკე დართვით. თბ. 1926 წ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა XVI, 305 გვ.

წიგნს „ლიტერატურული წყაროების" სათაურით დართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია 1842-1926 წლებში გამოსული გეოგრაფიული და გეოლოგიური ლიტერატურისა საქართველოს შესახებ (67 სახელწ.) რუსულ და ნაწილობრივად ქართულ ენაზე. ლიტერატურა სისტემატიზირებულია რაიონების მიხედვით: აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ა. შ.

2. **ჯავახიშვილი, ალ.** გეოგრაფიული მეცნიერება საბჭოთა საქართველოში. **დანართი:** მიძღოხილვაში დასახელებულ შრომათა სია (იხ. „სტალინის სახელობ. თბილისის უნივერსიტეტის შრომების" ტომი XIX (1941 წ.), გვ. 88-140).

„სიაში" მოყვანილია 1909-1940 წლებში გამოსული 430 შრომა (მათგან 80-მდე ქართულ ენაზე) შემდეგი რუბრიკების ქვეშ: გეომორფოლოგია, კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია, მცენარეთა გეოგრაფია, ნიადაგების გეოგრაფია, ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობა და ეკონომიური გეოგრაფია.

3. **დვალი, პიმენ.** სვანეთის ბიბლიოგრაფია (იხ. **ა. ასლანიშვილის** წიგნი: „ექსპედიცია სვანეთში". მოგზაურობის მიმობილვა პროფ. ალ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით. თბ. 1926 წ. საქ. გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემა, 138 გვ.

ბიბლიოგრაფიაში ანბანის რიგზე მოყვანილია 1826-1925 წლებში გამოსული ლიტერატურა სვანეთის შესახებ ქართულ (77 სახელწ.), რუსულ (118 სახელწ.) და ევროპულ (9 სახელწ.) ენებზე.

4. **ხარაძე, რუს.** ბიბლიოგრაფია სვანეთზე (დართული აქვს რ. ხარაძის წიგნს: „დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში. თბ. 1939 წ. სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის გამოცემა, იხ. გვ. 127-134).

ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია 1846-1932 წლებში გამოსული ლიტერატურა სვანეთის შესახებ ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე (184 სახელწ.).

5. **მაკალათია, სერგო.** მთის რაჭა. თბ. 1930 წ. სახელგამი, 52 გვ.

დართული აქვს სია ლიტერატურისა რაჭის შესახებ სხვადასხვა ენაზე (22 სახელწ.).

6. **მაკალათია, სერგო.** მთიულეთი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. თბ. 1930 წ. სახელგამი. 192 წ.

დართულია ლიტერატურა მთიულეთზე (23 სახელწ.).

7. **მაკალათია, ს.** ხევი. თბ. 1934 წ. სახელგამი. 289 გვ.

დართული ლიტერატურა ხევის შესახებ ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე (1832-1930 წ. წ.; 35 სახელწ.).

8. **მაკალათია, ს.** თუშეთი. თბ. 1933. საქ. გეოგრაფ. საზოგადოების გამოც. 225 გვ.

დართულია ლიტერატურა თუშეთის შესახებ ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე (1846-1931 წ. წ.; 26 სახელმწ.).

9. **თედორაძე, გიორგი.** ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. ეთნოგრაფიული ნარკვევები მხატვრული ილუსტრაციით. პროფ. აკ. შანიძის წინასიტყვაობით. თბ. 1930 წ. სილ. თავართქილაძის გამოც. XII, 208 გვ.

დართულია ქართული და რუსული ლიტერატურა ფშავ-ხევსურეთზე (58 სახელმწ.).

10. **ლიტერატურა ჰაათურის მარგანეცზე.** ბიბლიოგრაფია. (იხ. ჟურნ. „ტექნიკა" 1939 წ. № 7-8-9, გვ. 116-118).

ბიბლიოგრაფიაში მოყვანილია 1854-1937 წ. წ. გამოსული ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურა (წიგნები და სტატიები, სულ 104 სახელწ.).

11. **გოლუბიატნიკოვი, დ.** პროფ. საქართველოს ნავთის საბადოები. თარგმ. კ. ჯავრიშვილისა. თბ. 1932 წ. „ტექნიკა და შრომა"-ს გამოც. 53 გვ.

დართული აქვს „ლიტერატურა საქართველოს ნავთის გეოლოგიაზე" (გვ. 50-57).

12. **ჯანელიძე, ალ.** ქართული გეოლოგიის XX წელიწადი. დანართი: მოხსენებული შრომების სია (იხ. „სტალინის სახელობ. თბილ. უნივერსიტეტის შრომები", ტომი XIX (1941 წ.), გვ. 68-88).

„დანართში" მოყვანილია 1925-1941 წლებში გამოსული ქართული და რუსული გეოლოგიური ლიტერატურა (102 სახელწ.).

VIII. აგრონომია

1. **კარბელაშვილი, ლ.** დოც. მეხილეობა საქართველოში. ბიბლიოგრაფია. თბ. 1941. საქ. წიგნის პალატის გამოცემა. 139 გვ.

ეს ბიბლიოგრაფია სასოფლო მეურნეობაში ჩაბმულ მუშაკებისათვის არის განკუთვნილი: „დღეს საქართველოში ათასობით მუშაობენ აგრონომები, ეკონო-

მისტება, ზოოტექნიკოსები, საბჭოთა მეურნეობის და მ. ტ. ს. დირექტორები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები... რა გასაკვირია, რომ ახლა მოთხოვნილება მეილეთობის ლიტერატურაზე მეტია... და სწორეთ ამ გარემოებამ ჩაგვაგონა გამოგვეცა ეს ბიბლიოგრაფიული შრომა"... (წინასიტყვაობა).

სისტემატიზაციის გარეშე ჩამოთვლილია პირდაპირ ანბანის რიგზე 1906 სახელწოდების წიგნი და სტატია მეხილეობის დარგისა. მართალია წიგნს აქვს საგნობრივი საძიებელი, მაგრამ საგნობრივი რუბრიკების რაოდენობა მხოლოდ 280 ფურის, რის გამოც ზოგ შემთხვევაში ძნელდება გაგება იმისა, თუ ეკონომიური შინაარსისაა სტატია, თუ აგროტექნიკურის. დადებითი მხარე ბიბლიოგრაფიისა—ეს მისი სიუხვეა: 1906 სახელწოდების ნაწარმოები რუსულ და ქართულ ენებზე.

2. **Литература о цитрусовых культурах на грузинском языке.** (იხ. „Бюллетень Всесоюзн. научно-исслед. института чайной промышленности и субтропических культур". 1946 г. № 4, გვ. 109-119).

ამ ბიბლიოგრაფიაში ანბანის რიგით ჩამოთვლილია 1925-1938 წლებში და უფრო მეტი 1939-44 წლებში ქართულ ენაზე გამოსული წიგნები, სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში მოთავსებული სტატიები და მასალები ციტრუსების კულტურების შესახებ (სულ 100 სახელწ.).

თითოეული წიგნისა და სტატიის ქართულ აღწერილობას თან ახლავს რუსული თარგმანი.

3. **აგრონომიული ფაკულტეტი** [თბილ. უნივერსიტეტისა]. აგროლონისძიებათა ორგანიზაცია. (პროგრამა) ვრცელი ბიბლიოგრაფიით. თბ. 1929 წ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა. 39 გვ.

პროგრამა ოც თავადაა დაყოფილი (აგროლონისძიებათა ორგანიზაცია როგორც დისციპლინა, აგროლონისძიებათა ორგანიზაციის ისტორია, აგრონომიული პროპაგანდა, აგრონომიული საცდელებლების და ა. შ.); თითოეულ თავში საშუალოდ მითითებულია 20-25 სახელწ. წიგნები და სტატიები, დიდ უმეტეს შემთხვევაში რუსული; ქართული ლიტერატურა მხოლოდ კანტი-კუნტად არის მოყვანილი ზოგიერთ თავებში.

IX. ტექნიკა

1. **მეცნიერება საქართველოში 25 წლის მანძილზე (1921-1946). ტექნიკა.** ბიბლიოგრაფიული საძიებელი შედგენილი გ. ა. ბაქრაძის, ა. ე. გვარამაძის, ნ. პ. კიზირიასი და რ. ი. საფაროვას მიერ, პროფ. ე. მ. კაკაბაძის რედაქციით და წინასიტყვაობით. თბ. 1947 წ. კიროვის სახელობის საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოცემა. XXII, 384 გვ.

როგორც წინასიტყვაობაში ნათქვამია „საძიებელში შევიდა 1) სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები უმაღლეს სასწავლებლებისათვის; 2) ცნობარები

და ლექსიკონები; 3) მეთოდური მასალები უმაღლეს სასწავლებელთა დისციპლინებში; 4) გამოქვეყნებული მოხსენებები და ანოტაციები [?]; 5) საუწყებო გამოცემები; 6) ყრილობებისა და კონფერენციების ნაშეჭდი მასალები; 7) განმეორებით სამეცნიერო ლიტერატურა [?!]; 8) ნეკროლოგები და 9) დისერტაციები".

სულ „საძიებელში" აღნიშნულია 3087 სახელწ. წიგნი, სტატია და სხვა მასალა (1921-1945 წლებში გამოსული ქართულ და რუსულ ენებზე); სისტემატიზირებულია შემდეგი მთავარი განყოფილებების მიხედვით: ა) ზოგადი განყოფილება (ტექნიკის ისტორია, კადრების საკითხი etc.); ბ) სამთო საქმე; გ) მეტალურგია; დ) ტრანსპორტი; ე) ქიმიური ტექნოლოგია; ვ) ენერგეტიკა; ზ) საამშენებლო საქმე; თ) წარმოების ორგანიზაცია; ი) ტექნიკის სხვადასხვა დარგები კ) Personalia; ლ) დისერტაციები.

X. ეკონომიური მეცნიერებანი

1. **გუგუშვილი, პაატა.** კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. 1941 წ. თბ. სახელგამი. VIII, 471 გვ.

წიგნს დართული აქვს (გვ. 447-458) ვრცელი ბიბლიოგრაფია საქართველოში 1827-1940 წწ. გამოსული რუსული და ქართული ლიტერატურისა (რამდენიმე ასეული სახელწ.!); სისტემატიზირებულია შემდეგი საკითხების მიხედვით: ბატონყმობის გაუქმება, მოსახლეობა, მიმოსვლა, აგრარული ურთიერთობა, შინამრეწველობა, ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა და სხვა.

2. **გუგუშვილი, პ.** სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება. ქრესტომათია. ტ. I. თბ. 1931. სახელგამი. 359 გვ.

დართული აქვს „სახალხო მეურნეობის ისტორიაში ქართულად არსებული ლიტერატურა" (1907-1931 წლებში გამოსული 12 სახელწ.).

3. **გუგუშვილი, პ.** ეკონომიური მეცნიერება საბჭოთა საქართველოში (1921-1941) (იხ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა" 1941 წ. № 2 (თებერვ.). გვ. 33-45).

მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში ავტორი გზადაგზა ასახელებს ქართველ ეკონომისტების მიერ გამოშვებულ შრომებს—ფ. გოგიჩაიშვილის, გ. გეხტმანის, ნ. ჭოიაურაძი, პ. გუგუშვილის, ს. ბერაძის, ა. ინწკირველის, კ. მეგრელიძის, არჩ. გოკიელის, გ. გამყრელიძის, ლ. კარბელაშვილის, ვ. ჩანთლაძის, ვ. ბახტაძის და სხვა ავტორებისა (1921-1941 წწ.).

XI. იურიდიული მეცნიერებანი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პროგრამები. [რედაქტორები—ბ. ფურცხვანიძე და ე. ნეიძე]. თბ. 1946 წ. უნივერსიტეტის გამოცემა. 314 გვ.

პროგრამებს დართული აქვს ცალკე პაგინაციით ქართული, რუსული და ნაწილობრივ უცხოური ლიტერატურის ვრცელი ბიბლიოგრაფია შემდეგ დისციპლინებში:

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია (34 სახელწ.)
სსრკ კავშირის ხალხთა სახელმწიფოს და სამართლის ისტორია (55 სახ.)
რი.მის სამართალი (22 სახელწ.)
საბჭოთა სახელმწიფო სამართალი (85 სახელწ.)
ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო სამართალი (66 სახელწ.)
საბჭოთა სამოქალაქო სამართალი (17 სახელწ.)
სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (23 სახელწ.)
სასამართლო წყობილება (33 სახელწ.)
საბჭოთა სოციალისტური ადმინისტრაციული სამართალი (55 სახელწ.)
სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი (19 სახელწ.)
საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესი (74 სახელწ.)
პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია (116 სახელწ.)
საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორია (42 სახელწ.)
მიწის სამართალი (73 სახელწ.)
საკოლმეურნეო სამართალი (87 სახელწ.)
საბჭოთა საფინანსო სამართალი (11 სახელწ.)
სისხლის სამართლის პროცესი (42 სახელწ.)
საერთაშორისო კერძო სამართალი (14 სახელწ.)
კრიმინალისტიკა (4 სახელწ.)
საერთაშორისო საჯარო სამართალი (32 სახელწ.)
საბჭოთა შრომის სამართალი (22 სახელწ.)

XII. მედიცინა

1. **ნიკოლაიშვილი, ა. ი.** საძიებელი „ჯანმრთელობის სახ. კომ. მოამბე"-ში და „საბჭოთა მედიცინა"-ში 1922-32 წლებში მოთავსებულ სტატიებისა თბ. 1934 წ. სამედიცინო ბიბლიოთეკის გამოცემა. 40 გვ.

სტატიები ამ საძიებელში ყველა ავტორთა ანბანური რიგით არის ჩამოთვლილი ისიც რუსულ თარგმანში (და არა ქართულად).

2. **ვეფხვაძე, კ.** მასალები ქართული სამედიცინო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისათვის. „თანამედროვე მედიცინაში" დაბეჭდილი შრომები 1924-1934 წ. წ. (იხ. „თანამედროვე მედიცინა" 1934 წ. საიუბილეო ნომერი № 1-2, გვ. 1-25, ცალკე პაგინაცია).

საძიებელი სისტემატიზირებულია დარგების მიხედვით: ქირურგია, მეანობა, შინაგანი სნეულებანი და ა. შ.

3. **სრულიად-საქართველოს ექიმთა VI სამეცნიერო კონგრესი.** კონგრესის პროგრამა და ცნობარი. თბ. 1934

შეიცავს „კონგრესზე" წარმოდგენილ მოხსენებათა სისტემატიურ სიას (173 სახელწ.).

4. **ტყემალაძე, მ.** ეჭ. არსებული ლიტერატურა კურორტ ბორჯომის შესახებ (იხ. წიგნი: **კურორტი ბორჯომი** და ბორჯომის რაიონის კურორტები. თბ. 1936 წ., გვ. 287-301)

ბიბლიოგრაფიაში მოყვანილია მონოგრაფიული და პერიოდიკაში მოთავსებული შრომები, 1863-1936 წლებში გამოსული ქართულ (19 სახელწ.), რუსულ (149 სახელწ.) და უცხოურ (20 სახელწ.) ენებზე.

5. **Цитланадзе, Г. В.** Библиография по курорту Цхалтубо (იხ. კრებული: **წყალტუბო**—Цхалтубо. ტ. I. თბ. 1934. Изд. Инст. Курортологии, გვ. 246-266).

მოცემულია ქრონოლოგიური სია (1920-1933) წყალტუბოს შესახებ რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურისა უმთავრესად მედიკურ და ბალნეოლოგიურ შინაარსის (წიგნები და სტატიები).

XIII. ფსიქოლოგია

1. **ლიტერატურა განწყობის შესახებ.** („თბილ. სახელმ. უნივერსიტეტის შრომები" ტ. XIX (1941 წ.). გვ. 42-45).

აღნიშნულია ქართულ ენაზე 1922-1940 წ. წ. გამოსული დ. უზნაძის, ი. ბჟალავასი, ჭ. მდივნის, რ. ნათაძის, ნ. ელიავასი, ა. ბოჭორიშვილის, აკ. ავალიშვილის და სხვა ავტორების ნაშრომები (54 სახელწ.).

2. **ლურიას, ა. რ.** თანამედროვე ფსიქოლოგია. თარგმ. ი. ბჟალავასი პროფ. დ. უზნაძის რედაქციით. თბ. 1937 წ. სახელგამი. 82 გვ.

დართული აქვს ბიბლიოგრაფია უახლესი უცხოური ლიტერატურისა ფსიქოლოგიის ისტორიის, ბიჰეფიორიზმისა და მთლიანობის ფსიქოლოგიის შესახებ (57 სახელწ.).

XIV. ბიობიბლიოგრაფიები[1]

პლატონ იოსელიანი

1. **გაწერელია, აკ.** პლატონ იოსელიანის შრომებისა და წერილების ბიბლიოგრაფია. (იხ. წიგნი: იოსელიანი პლატონ.—ცხოვრე-

---

[1] აქ თავს ვეუფლებით შეძლებისდაგვარად სრულ ბიობიბლიოგრაფიებს. ბიობიბლიოგრაფიული წერილები საზოგადოდ დიდი რაოდენობით მოთავსებულია გაზ. „კომუნისტის" სხვადასხვა წლების ნომრებში, ქართველ მწერლებისა და საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ბიობიბლიოგრაფიული ლექსიკონი დამზადებული აქვს დასაბეჭდად იოსებ ნონეშვილს. თბილ. სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოგრაფიული განყოფილება ადგენს საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელთა ბიობიბლიოგრაფიებს.

ბა გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბ. 1936 წ. „ფედერაციის" გამოცემა. 304 გვ.

ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია 1839-1936 წ. წ. დაბეჭდილი პლ. იოსელიანის შრომები (სულ 52 სახელწ.).

პროფ. ალექსანდრე ცაგარელი

2. **შანიძე, აკ.** პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, 1844-1929. ნეკროლოგი. (იხ. „ტფილისის უნივერსიტეტის შრომები". ტ. X (1930 წ.), გვ. VII-XII).

ნეკროლოგში აღნიშნულია მხოლოდ ათიოდე შრომა.

პროფ. იოსებ ყიფშიძე

3. **გორგაძე, სერგი.** პროფ. იოსებ ყიფშიძე. ნეკროლოგი (იხ. „მიმომხილველი", საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო. 1926 წ. გვ. 336-356; აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი).

დართული აქვს პროფ. ი. ყიფშიძის შრომების სია.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

4. **მაჭავარიანი, თამარ.** აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბეჭდილი შრომების სია (იხ. „აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე". ტ. V-VI. თბ. 1940 წ. გვ. 694-705.

„სიაში" აღნიშნულია 80 სახელწოდების შრომა (1899-1937 წწ.) და აგრეთვე ლიტერატურა ი. ჯავახიშვილისა და მისი შრომების შესახებ (41 სახელწ.).

5. **მაჭავარიანი, თ.** აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა სია. I. ქრონოლოგიური საძიებელი (1899-1940); II ანბანური. საძიებელი. რეცენზიები (იხ. „სტალინის სახელობ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის შრომები". წ. XVIII (თბ. 1941 წ.), გვ. XVIII-XXVII.

ამ სიაში ივ. ჯავახიშვილის შრომები უფრო სრულადაა მოყვანილი: 89 სახელწ. (1899-1940 წ. წ.). სამაგიეროდ ამ მეორე ბიბლიოგრაფიას აკლია ლიტერატურა ივ. ჯავახიშვილის შესახებ.

6. **მელიქსეთ-ბეგი, ლ.** პროფ. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი და მისი შრომები (ქრონოლოგიური ბიბლიოგრაფია) იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე" 1. თბ. 1940 წ. გვ. 99-108).

ამ ბიბლიოგრაფიაში აღნუსხულია 94 სახელწ. (1899-1939 წწ.).

7. კასრაძე, ტ. აკად. აკაკი შანიძის შრომების ბიბლიოგრაფია. (იხ. „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები". ტ. XXX в. (1947 წ.), გვ. 07-020).

შინაარსი. I. შრომების ქრონოლოგიური საძიებელი (97 სახელწ.; 1913-1947 წ წ.) და საგაზეთო წერილები (51 სახელწ.; 1906-1945 წ. წ.). II. შრომების ანბანური საძიებელი.

აკად. კორნელი კეკელიძე

8. კასრაძე, ტ. კ. კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია. I. ქრონოლოგიური საძიებელი. II. ანბანური საძიებელი (იხ. „ლიტერატურული ძიებანი" ტ. II. თბ. 1945 წ. საქ. მეცნ. აკადემიის გამოკემა, გვ. 021-043).

I თავში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩამოთვლილია 165 სახელწ. შრომა (1905-1945 წ.წ.), II თავში აღნიშნულია ცალცალკე: წიგნები, გამოცემული ტექსტები, რეცენზიები, წინასიტყვაობანი და აგრეთვე დაუბეჭდავი შრომები.

შენიშვნა: ასეთივე ბიბლიოგრაფია დართული აქვს პროფ. ალ. ბარამიძის შრომას—„კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა" თბ. 1945 წ. საქ. მეცნ. აკად. გამოცემა.

9. **პროფ. კ. კეკელიძის შრომების სია** (იხ. ჟურნ. „მომავალი" 1921 წ. № 2).

აკად. დიმიტრი უზნაძე

10. დ. უზნაძის შრომები (იხ. ჟურნ. „ფსიქოლოგია". ტ. III. თბ. 1945 წ. საქ. მეცნ. აკად. გამოცემა. VIII, 548 გვ.

ამ ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია ქრონოლოგიურ თანმიმდევრობით ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე დაბეჭდილი წიგნები და სტატიები ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის დარგისა (61 სახელწ.) და აგრეთვე პედაგოგიკის (23 სახელწ.) დარგისა; გარდა ამისა უზნაძის რედაქციით და წინასიტყვაობით გამოსული 9 შრომა.

პროფ. პეტრე მელიქიშვილი

11. **შალამბერიძე, მიხ. პროფ.** პეტრე მელიქიშვილი. სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა (იხ. „ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე", 1923 წ. ტ. III).

სტატიას დართული აქვს პ. მელიქიშვილის შრომების სია, 81 სახელწ. (1873-1920 წ. წ.).

იხ. აგრეთვე „თანამედროვე მედიცინა". 1928 წ. № 3-4, მელიქიშვილისადმი მიძღვნილი სტატია.

პროფ. გიორგი ნიკოლაძე

12. **გ. ნიკოლაძის მათემატიკური შრომები.** [ბიბლიოგრაფია]. (იხ. გ. ნიკოლაძის „დიფერენციალური გეომეტრიის ელემენტები. თბ. 1934 წ. გვ. XXII-XXIII).

აღნიშნულია 22 შრომა, გამოსული 1918-1932 წლებში.

პროფ. მიხეილ პოლიევქტოვი

13. **პროფ. მ. ა. პოლიევქტოვის შრომების სია** (იხ. „სტალინის სახელობ. თბილ. სახ. უნივერსიტეტის შრომები" ტ. XXV (1943 წ.), გვ. 251-254.

სიაში აღნიშნულია ქრონოლოგიური რიგით 75 სახელწოდების შრომა, გამოსული 1896-1942 წლებში, უმთავრესად რუსულ ენაზე.

XV. ზოგადი ცნობარი

მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მანძილზე. თბ. 1946 წ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა.

ნაკვ. I. მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, ასტრონომია. 68 გვ.

ნაკვ. II. ქიმია. გეოლოგია. გეოფიზიკა. 83 გვ.

ნაკვ. III. ფილოსოფია. ფსიქოლოგია. პედაგოგიკა. ენათმეცნიერება. ლიტერატურის ისტორია. სამართალი. 111 გვ.

ნაკვ. IV. ზოოლოგია. ფიზიოლოგია. მედიცინა. 109 გვ.

ნაკვ. V. ტექნიკა. 25 გვ.

ნაკვ. VI. ეკონომიკა. (გუგუშვილი პ. ეკონომიური მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 1921-1945 წწ. თბ. 1947 წ. 33 გვ.

ამ ტომს ნაკვეთში მოთავსებულია 18 მოკლე მიმოხილვა სხვადასხვა სამეცნიერო დარგის განვითარებისა 1921-1945 წლებში. ყოველ მიმოხილვაში აღნიშნულია დამუშავებული თემები მოცემული დარგისა, მიღებული შედეგები (მიღწევები) და უმნიშვნელოვანესი დაბეჭდილი შრომები.

მედიცინისადმი მიძღვნილ მიმოხილვაში (ავტორები—აკად. აღ. ნათიშვილი და პროფ. გ. ღამბარაშვილი) ნათქვამია, რომ „ყველა შრომა და ყველა ავტორი კი არაა დასახელებული, რადგანაც გაშუქებულია წამყვანი პრობლემები მედიცინის ძირითადი დარგების მიხედვით" (ნაკვ. IV, გვ. 53).

ქიმიის მიმოხილვაში გამოკვლევებზე მითითებისას დასახელებულია ის რუსული სამეცნიერო ქიმიური ჟურნალები, სადაც დაბეჭდილია ეს გამოკვლევები, მაგრამ თვითონ გამოკვლევების სათაურები არ არის აღნიშნული არც ქართულად და არც რუსულად (ნაკვ. II).

ასტრონომიის, ფიზიკის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, ზოოლოგიისა და რამდენიმე სხვა დარგის მიმოხილვაში არც ერთი დაბეჭდილი შრომის სათაური არ არის აღნიშნული. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ენათმეცნიერების, ლიტერატურის ისტორიისა (ნაკვ. III) და ნაწილობრივად მათემატიკის (ნაკვ. I) მიმოხილვები.

საერთოდ სერია მიზნად არ ისახავს დაბეჭდილი სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის მოცემას. როდესაც შედგენილი იქნება ყველა ამ 18 დარგის ბიბლიოგრაფია (1921-46 წლებისათვის მთლიანად), სერია გახდება ამ ბიბლიოგრაფიის ფრიად სასარგებლო დამატებად, რომელშიც მოცემულია განმარტებული ფაქტიური მასალა თითოეული დარგის გამეცნიერების შესახებ 25 წლის განმავლობაში.

ნ. ლოლაძიშვილი
წიგნის პალატის სამეცნიერო საბჭოს წევრი

ბიბლიოთეკოლოგია, მისი საგანი და სწავლება

ბიბლიოთეკადმცოდნეობამ უკვე მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და გარკვეული ადგილი მეცნიერებათა შორის. ქსელი სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებისა, ფაკულტეტებისა და კათედრებისა, სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური დაწესებულებანი და, ბოლოს, საკმაოდ დიდი და მძლავრი სპეციალური ლიტერატურა—დამადასტურებელია იმის, რომ ბიბლიოთეკადმცოდნეობა უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერული დისციპლინაა. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ არ მიწყნარებულა დავა ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგნის შესახებ, ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ მემოხაზული ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგნის საზღვრები, ჯერ კიდევ გადაუჭრელი დგას უძირითადესი საკითხები ამ, შედარებით, ახალ მეცნიერების წინაშე.

რა არის საგანი ბიბლიოთეკათმცოდნეობის? რა ადგილი უკავია ბიბლიოთეკათმცოდნეობას მეცნიერებათა სისტემაში? რა და რა ძირითად დარგებად იყოფა, ან უკეთ, უნდა იყოფოდეს ბიბლიოთეკათმცოდნეობა? როგორი თანმიმდევრობით უნდა ისწავლებოდეს ეს მეცნიერება? როგორი უნდა იყოს პროფილი ბიბლიოთეკათმცოდნესი? აი ძირითადი საკითხები, რომელთაც გვსურს მოკლედ შევეხოთ ამ წერილში.

ბიბლიოთეკადმცოდნეობის საგნის და მისი საზღვრების შესახებ ძირითადად, ორი შეხედულება ჩამოყალიბდა: ერთნი, უმრავლესობა, ბიბლიოთეკადმცოდნეობის საგანს მეტად ვიწროდ ეარგლავენ: მათი აზრით ბიბლიოთეკადმცოდნეობა, საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციას შეისწავლის, ამიტომ ბიბლიოთეკათმცოდნეობა, უკეთეს შემთხვევაში, ვიწრო ტექნიკურ მეცნიერებად შეიძლება ჩაითვალოს, მეორენი კი, პირიქით, ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგნად არა მხოლოდ ბიბლიოთეკის ტექნიკურ ორგანიზაციას, არამედ, აგრეთვე, წიგნისა და მკითხველის შესწავლას მიიჩნევენ. განვიხილოთ ამ ორ მიმართულების უმთავრეს წარმომადგენელთა შეხედულებანი.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის, შეიძლება ითქვას, კლასიკური განმარტება, რომელიც არსებითად, ამჟამადაც გავრცელებულია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში (1808 წელის) მოგვცა მიუნხე-

ნის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა შრეტინგერმა. „ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის,—ამბობს შრეტინგერი—სისტემატურად აგებული და გარკვეულ, მეცნიერულად დასაბუთებულ, პრინციპამდე დაყვანილ ყველა დებულებათა ჯამი, რომელიც აუცილებელია ბიბლიოთეკების მიზანშეწონილად ორგანიზაციისათვის". ამ განმარტებისათვის არაფერი არ დაუმატებია ბიბლიოთეკათმცოდნეობის ძველ სკოლას. მხოლოდ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ეიხლერმა დაარღვია საზღვრები ამ განმარტებისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობას, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, უფრო ფართო ამოცანები დაუსახა.

შრეტინგერის განმარტებით ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის მეცნიერება ბიბლიოთეკების ორგანიზაციის შესახებ. რადგან ბიბლიოთეკების ორგანიზაცია, უმთავრესად, ნიშნავდა წიგნადი ფონდების ორგანიზაციას და წიგნადი ფონდების დაცვისათვისა და გამოყენებისათვის საჭირო შენობის, მოწყობილობისა და მმართველობის ორგანიზაციას, ბუნებრივია, მომდევნო მკვლევართა მიერ ბიბლიოთეკათმცოდნეობა წიგნის შესახებ მეცნიერების, ე. წ. წიგნთმცოდნეობის ერთ-ერთ ტექნიკურ ანუ გამოყენებითი ნაწილად იყო გამოცხადებული. ასე ჰქონდათ წარმოდგენილი ბიბლიოთეკათმცოდნეობა, მაგალითად, ცნობილ ბიბლიოლოგს პოლ ოტლესა და ვოუტერს. მათი გაგებით ბიბლიოლოგიური მეცნიერებანი სამ ნაწილად იყოფიან: პირველი ნაწილი—თეორიული—ე. წ. ბიბლიოლოგია, მეორე ნაწილი—აღწერილობითი ანუ ბიბლიოგრაფია და მესამე ნაწილი—გამოყენებითი, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილისაგან შედგება: 1) ბიბლიოტექნიკა და 2) ბიბლიოთეკონომია. აი როგორ აქვს ეს განმარტებული პოლ ოტლესა და ლ. ვოუტერს: „მეცნიერება წიგნის შესახებ, ანუ ბიბლიოლოგიური მეცნიერებანი მოიცავენ: 1) თეორიულ ნაწილს (საკუთრივ ბიბლიოლოგია). 2) აღწერილობითი ნაწილს (ბიბლიოგრაფია ზოგადი გაგებით) და 3) გამოყენებითი (დანართი) ნაწილს, რომელიც ირკვევს: ა) წიგნისა და ყოველივე მასთან დაკავშირებულ მატერიალურ პროცესთა ტექნიკას (მას უნდა ეუწოდოთ ბიბლიოტექნიკა), ბ) დებულებებს ბიბლიოთეკების ორგანიზაციის შესახებ (რასაც უნდა ეუწოდოთ ბიბლიოთეკონომია)" *.

ბიბლიოთეკონომია ანუ მეცნიერება ბიბლიოთეკების ორგანიზაციის შესახებ პ. ოტლესა და ლ. ვოუტერს შემდეგნაირად აქვთ

---

* П. Отле и Л. Вуатере—Руководство для небольших библиотек. 1924, стр. 190.

განმარტებული: „ბიბლიოთეკონომია, ამგვარად, შეიძლება იყოს განმარტებული, როგორც წიგნის შესახებ მეცნიერების ნაწილი, რომელიც აერთებს და ათანხმებს წესებს, რომელნიც შეეხებიან ბიბლიოთეკებს; ის გამოიყენებს ბიბლიოლოგიისა და ბიბლიოგრაფიის პრინციპებს წიგნების გარკვეული კოლექციის მიმართ"... *

ასეთსავე შეხედულებებს ბიბლიოთეკათმცოდნეობაზე და ბიბლიოლოგიაზე, სრულებით დამოუკიდებლივ, ანვითარებდა რუსეთში ნ. მ. ლისოვსკი.

ნ. მ. ლისოვსკი ბიბლიოთეკათმცოდნეობას წიგნთმცოდნეობის ნაწილად მიიჩნევს. მისი აზრით წიგნთმცოდნეობა ზოგადი მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის წიგნის წარმოშობას და მისი, ფორმის მხრივ, თანდათანობითი განვითარებას, წიგნის გავრცელებას და წიგნის აღწერას. „წიგნი, ამბობს ლისოვსკი, თავის სიცოცხლის გზაზე ტექნიკურად დამზადების შემდეგ, გავრცელებას განიცდის (წიგნით ვაჭრობისა და ბიბლიოთეკების საშუალებით) და შემდეგ აღწერას სხვადასხვა მიზნებისათვის. აქედან თვით წიგნთმცოდნეობა, რომელიც შეისწავლის წიგნს, როგორც ასეთს, შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად:

1. წიგნთმცოდნეობა;
2. წიგნის გავრცელება;
3. წიგნის აღწერა" **.

ბიბლიოთეკათმცოდნეობა ლისოვსკის მოთავსებული აქვს წიგნთმცოდნეობის მეორე ნაწილში, როგორც მეცნიერება შემსწავლელი წიგნის გავრცელების ერთ-ერთი სახის.

ნ. მ. ლისოვსკის კლასიფიკაციას, ცოტაოდენი ცვლილებებით იმეორებს მ. ი. შჩელკუნოვიც. ეს უკანასკნელიც ბიბლიოლოგიურ მეცნიერებათა კლასიფიკაციას ტექნიკური პროცესის თვალსაზრისით უდგება. ის ამბობს: „წიგნი, როგორც მოხმარების საგანი, გაივლის შემდეგ მომენტებს: 1) წარმოებას, 2) კლასიფიკაციას, 3) განაწილებასა და 4) მოხმარებას" ***. წიგნის წარმოებაში შჩელკუნოვი გულისხმობს წიგნის ავტორის მიერ შექმნას და შემდეგ მის გამრავლებას გადაწერის ან გადაბეჭდვის საშუალებით; კლასიფიკაციაში ნაგულის-

---

* П. Отле и Л. Воутерс.—Руководство для небольших библиотек. 1924, стр. 191.

** Лисовский, Н. М.—Книговедение, его предмет и задачи. В. Книге: „Sertum bibliologicum". Петербург. 1922. стр. 8.

*** Щелкунов, М. И.—История, техника, искусство книгопечатания. М.—Л. Гиз 1926. стр. 464.

ხვევია ლიტერატურის კლასიფიკაცია და აღწერა ანუ ბიბლიოგრაფია; განაწილებაში—წიგნების გავრცელება ანუ წიგნით ვაჭრობა და შემდეგ წიგნის მოხმარება ბიბლიოთეკებში და სხვ. ამის შესატყვისად, შჩელკუნოვი, წიგნთმცოდნეობის ოთხ ძირითად დარგს აყალიბებს:

1. წიგნთწარმოება.

2. ბიბლიოგრაფია (რომელშიდაც შედის კლასიფიკაცია და კატალოგრაფია).

3. ბიბლიოპოლია ანუ წიგნით ვაჭრობა (წიგნების გავრცელება).

4. ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოფილია, წიგნების შეგროვება, დაცვა და სარგებლობა (მოხმარება).

როგორც ვხედავთ შჩელკუნოვის ეს კლასიფიკაცია, ძირითადათ იგივე ლისოვსკის კლასიფიკაციაა, მხოლოდ მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოტაოდენი შესწორება და დამატება შეიტანა შიგ. ეს შესწორება შემდეგში მდგომარეობს: 1) წიგნის აღწერა და კლასიფიკაცია (ბიბლიოგრაფია) მეორე ალაგას არის გამოყოფილი, წიგნის გავრცელებამდე. ეს უეჭველად, დადებითი შესწორებაა, რადგან, პრინციპულად, წიგნი ჯერ უნდა ბიბლიოგრაფირდებოდეს და შემდეგ ვრცელდებოდეს (ბიბლიოგრაფიის ძირითადი ამოცანა ხომ წიგნის გავრცელებაა); 3) ბიბლიოთეკათმცოდნეობა წიგნის გავრცელებიდან (წიგნთვაჭრობიდან) ცალკეა გამოყოფილი წიგნთმცოდნეობის მეოთხე ნაწილად, რაც, აგრეთვე, დადებით დამატებად უნდა ჩაითვალოს.

ა. მ. ლოვიაგინი, ისევე როგორც ლისოვსკი, ბიბლიოთეკათმცოდნეობას წიგნთმცოდნეობის ნაწილად მიიჩნევს, ხოლო ის ლისოვსკიზე შორს მიდის, ბიბლიოთეკათმცოდნეობას როგორც მეცნიერებას უარყოფს და სახავს მას უბრალო ტექნიკურ სპეციალობად.

წიგნთმცოდნეობას ლოვიაგინი სამ ძირითად ნაწილად ჰყოფს:

1) ისტორიული ანუ გენეტიკური ნაწილი, რომელიც შეისწავლის წიგნის წარმოშობას (გენეზისს) და მის განვითარებას (ევოლიუციას);

2) სტატიკური ანუ მორფოლოგიური ნაწილი, რომელიც შეისწავლის წიგნის სხვადასხვა სახეებს;

3) დინამიკური ნაწილი, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა გარეშე ძალებს, რომელნიც გავლენას ახდენენ „წიგნის ბედზე".

ბიბლიოთეკათმცოდნეობა ამ უკანასკნელ, დინამიკურ, ნაწილში აქვს მოთავსებული ლოვიაგინს. აი რას ამბობს ამის შესახებ ა. მ. ლოვიაგინი: „იყო აგრეთვე ცდები ბიბლიოლოგიის ბიბლიოთეკათმცოდნეობასთან გაიგივეობისა: ამ ცდებს საფუძვლად ის ჰქონდა, რომ ყოველი ბიბლიოთეკათმცოდნე უნდა ყოფილიყო გაცხრობილი წიგნთმცოდნეობას. მაგრამ, თავისთავად, წიგნთმცოდნეობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ბიბლიოთეკათმცოდნეობა, და ეს უკანასკნელი შედის, როგორც შემადგენელი ნაწილი, წიგნთმცოდნეობის დინამიკურ ნაწილში“ *.

წიგნთმცოდნეობის დინამიკური ნაწილი შემდეგის თანმიმდევრობით აქვს ლოვიაგინს წარმოდგენილი: „პირველ ადგილას ჩვენ ვაყენებთ წიგნის შემომქმედს და იმ პირობებს, რომელზედაც მიმდინარეობს მისი შემოქმედება. შემდეგ მიდის განხილვა წიგნების შეგროვების საკითხებისა, რომელიც ერთის მხრივ შეიძლება იყოს შეუცნობელი და შეუგნებელი გატაცება... და მეორეს მხრით შეიძლება იყოს გეგმიანად მიმართული საზოგადოებისათვის აუცილებელ ძვირფას წიგნსაცავთა შესაქმნელად და საგანმანათლებლო მუშაობის სისტემატურად გასატარებლად. ამრიგად წიგნის შემოქმედებიდან, მათი დაგროვების გზით, ჩვენ მივედივართ ბიბლიოთეკების შესახებ საკითხამდე“ **.

თვით ბიბლიოთეკათმცოდნეობის შესახებ ლოვიაგინი შემდეგს სწერს: „ჩვენ ვხედავთ, რომ უმეტესი საკითხები ბიბლიოთეკების ინსტრუქციებით ან რეგლამენტებით სწყდება. ამიტომ, თუმც საბიბლიოთეკო საქმე მოითხოვს სპეციალისტებს, როგორც ყოველი საქმე, მაგრამ სპეციალისტები სწავლობენ ადგილზე და არა სკოლებში: მეტად დიდია განსხვავება სხვადასხვა რეგლამენტებს შორის, რომ შესაძლებელი იყოს მათი სასკოლო სწავლების საგნად გახდომა. შეიძლება, რა თქმა უნდა, ყველა შესაძლებელი რეგლამენტების მცოდნე იყო და ეს შეადგენს... მეცნიერების მაგვარი ხასიათის ცოდნათა დიდ რაოდენობას. მაგრამ ამ ცოდნაში არ იქნება სისტემა როგორაც ჩვენ ის არ უნდა დავალაგოთ. აი მიზეზები, რისთვისაც ბიბლიოთეკათმცოდნეობა ანუ ბიბლიოთეკონომია, ანუ სხვანაირად, მეცნიერება საბიბლიოთეკო საქმის წარმოებაზე არ შეიძლება გახდეს მეცნიერებად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“ ***.

---

* Ловягин, А. М.—Основы книговедения. Л. 1936. стр. 2.

** იქვე გვ. 131.

*** იქვე გვ. 143.

ამრიგად ა. მ. ლოვიაგინი ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, უარყოფამდეც მივიდა.

ა. მ. ლოვიაგინის ამ ნიჰილიზმის საფუძვლები უნდა ვეძიოთ ერთის მხრივ ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგნის ვიწრო ტექნიკური საკითხებით შემოფარგვლაში და მეორეს მხრივ—ე. წ. პრაქტიკულ მეცნიერებათა საერთოდ უარყოფაში.

მეცნიერებანი იყოფიან „თეორიულ“ და „პრაქტიკულ“ მეცნიერებებად. ბევრი ფიქრობს, რომ ე. წ. „პრაქტიკული“ მეცნიერებანი არ წარმოადგენენ მეცნიერებებს, მეცნიერება შეიძლება იყოს იქ, სადაც განზოგადოებაა, საერთო კანონია, მაშასადამე თეორიაა. ე. წ. „პრაქტიკული“ მეცნიერებანი კი მეცნიერებას კი არ წარმოადგენენ, არამედ ტექნიკური წესების უბრალო გროვას. ეს პრინციპულად შემცდარი აზრია. ე. წ. „პრაქტიკულ“ მეცნიერებებს თავისი თეორია აქვს. განზოგადოებას იქაც აქვს ადგილი. ჩვენ მეტსაც ვიტყვით: კვლევა-ძიების ძირითადი მეთოდები როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ მეცნიერებებს ერთი და იგივე აქვთ. განსხვავება საგანშია: „თეორიული“ მეცნიერების საგანი მოვლენის შესწავლაა ისე, როგორც ის ბუნებაშია მოცემული, „პრაქტიკული“ მეცნიერების საგანი კი მოვლენების გარკვეული მიზნისაკენ წარმართვისათვის წესების ანუ კანონების შესწავლაა, მათზე ზეგავლენის მოხდენა, მათი ჩვენი მიზნისათვის გამოყენების საშუალებათა შესწავლა. აქ სიტყვები „თეორიული“ და „პრაქტიკული“ პირობითია. ყოველ თეორიულ მეცნიერებას, საბოლოო ჯამში, გარდა წმინდა შემეცნებითი, პრაქტიკული ამოცანებიც აქვს დასახული, და ყოველ „პრაქტიკულ“ მეცნიერებას აქვს თავისი თეორია: არც ის იქნება სწორი, რომ „პრაქტიკული მეცნიერებანი „თეორიულ“ მეცნიერებებიდან არ განვასხვაოთ. მაგრამ „პრაქტიკულ“ მეცნიერებებზე სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა და მათი ხელოსნობამდე დაყვანა, დიდი შეცდომაა. ხელოსნობა ანუ ხელობა სწორედ იმით განსხვავდება „პრაქტიკულ“ მეცნიერებებისაგან, რომ იგი უბრალო ჩვეულებს ეყრდნობა, წესებს, რომელნიც არ არიან განზოგადოებულნი, მეცნიერულად დასაბუთებულნი. ბიბლიოთეკათმცოდნეობა დიდი ხანია გამოვიდა ხელოსნობის პერიოდიდან და მეცნიერების უფლება მოიპოვა. ამის დამადასტურებელი, ვიმეორებთ, ის უმაღლესი სასწავლებლები და ის დიდი ლიტერატურაა, რომელიც ამ დარგში მოგვეპოვება.

მ. ნ. კუფაევსაც ბიბლიოლოგიასა და ბიბლიოთეკათმცოდნეობას შორის დამოკიდებულება ისევე აქვს წარმოდგენილი, როგორც ზემოთ დასახელებულ ავტორებს. კუფაევი წიგნთმცოდნეობას

სთვლის იდეოგრაფიულ მეცნიერებად. მეცნიერებათა კლასიფიკაციის საკითხში ის, ძირითადათ, ვინდელბანდის პრინციპს იზიარებს (იდეოგრაფიული და ნომოტეტური მეცნიერებანი). მეცნიერებათა კლასიფიკაციის ამ სისტემის კრიტიკას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ვინდელბანდის კლასიფიკაციის საკმაოდ ვრცელი კრიტიკა ჩვენ მოცემული გვაქვს ჩვენს ნაშრომში „საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაციის სისტემები" (თბილისი, საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა, 1940 წ.). აქ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ კუფაევი ბიბლიოგრაფიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნის სტატისტიკის, არქივთმცოდნეობის და სხვათა მიმართ, ზოგად მეცნიერებად წიგნის ფილოსოფიას სახავს: „წიგნის ფილოსოფიის განვითარებისაგან, ამბობს კუფაევი, იქნება დამოკიდებული და მასთან მჭიდრო კავშირში წიგნთმცოდნეობის ძირითადი ტერმინოლოგია, ბიბლიოგრაფიის თეორია, ბიბლიოთეკათმცოდნეობის ზოგადი თეორია, არქივთმცოდნეობა, ბიბლიოფსიქოლოგია და სხვ." *.

საკმაოდ ცნობილი ბიბლიოლოგი ნ. მ. სომოვიც წიგნთმცოდნეობას მიიჩნევს ზოგად მეცნიერებად, რომლის ერთ ერთ ნაწილს ბიბლიოთეკათმცოდნეობა წარმოადგენს. სომოვს შემდეგ დარგებად აქვს დაყოფილი წიგნთმცოდნეობა **.

1. ბიბლიოლოგია (წიგნთმცოდნეობის თეორია);
2. წიგნის ისტორია;
3. ბიბლიოტექნოლოგია (წიგნის ტექნოლოგია);
4. ბიბლიონომია (წიგნის ხელოვნება);
5. წიგნის გრაფიკა (წიგნის მოკაზმულობა);
6. ბიბლიოპეგისტიკა (მეცნიერება წიგნის აკინძვის შესახებ);
7. ბიბლიოგრაფია (წიგნის აღწერა);
8. წიგნის სტატისტიკა;
9. ბიბლიოპოლია (მეცნიერება წიგნით ვაჭრობის შესახებ);
10. ბიბლიოთეკონომია (მეცნიერება ბიბლიოთეკების შესახებ);
11. ბიბლიოფილია (სწავლა იშვიათ გამოცემებზე);
12. ექსლიბრისიზმი (წიგნის ნიშნის თეორია);
13. მკითხველის ისტორია (მკითხველების ისტორიული შესწავლა);
14. საბიბლიოთეკო პედაგოგიკა (მკითხველთან მუშაობის მეთოდიკა);

---

* Куфаев, М. Н.—Проблемы философии книги. Л. 1924, стр. 15.

** Сомов.—Состав книговедения. М. 1931. стр. 14.

15. ბიბლიოლოგიური პედაგოგიკა (კითხვის პედაგოგიკა);
16. ბიბლიოფსიქოლოგია (წიგნისა და მკითხველის ფსიქოლოგია);
17. ბიბლიოსოციოლოგია (წიგნის სოციოლოგია);
18. ბიბლიოეკონომიკა (წიგნის ეკონომიკა);
19. წიგნის სამართალი (Книжное право);
20. ჟურნალიზმი (მეცნიერება პერიოდულ გამოცემათა შესახებ).

ნ. მ. სომოვი თავის თეორიულ მსჯელობათა გატაცებაში მივიდა იქამდე, რომ მეცნიერების ცალკეული საკითხები სამეცნიერო დისციპლინებად გამოაცხადა. ეს ღრუბიაგინის მოპირდაპირე მეორე უკიდურესობაა. ასეთი დაჟუცმაცება არც მეთოდოლოგიურად და არც პრაქტიკულად არ გამართლდება, მაგალითად, ბიბლიოლოგია და წიგნის ისტორია, თუ ბიბლიოლოგიას წიგნის ისტორიას გამოვაკლებთ არსებითად რა დარჩება? ბიბლიოლოგიური სქოლასტიკა და სხვა არაფერი. ან, მაგალითად, რა მეცნიერებაა ბიბლიოპეგისტიკა? წიგნის აკინძვის საქმე ჯერ მეცნიერებამდე არ ამაღლებულა, ის მხოლოდ ხელობას წარმოადგენს და არა მეცნიერებას. ან ბიბლიონომიისა და წიგნის გრაფიკის ცალკ-ცალკე სამეცნიერო დისციპლინებად დასახვა. ან, კიდევ, მკითხველის ისტორია, საბიბლიოთეკო პედაგოგიკა, ბიბლიოლოგიური პედაგოგიკა—ყველა ამეების ცალკე დისციპლინებად გამოცხადება, ასევე წიგნის სამართალი და სხვ. სამეცნიერო დისციპლინა აერთებს მთელ რიგ ძირითად საკითხებს და რომ თითოეული საკითხი ცალკე სამეცნიერო დისციპლინად გამოვაცხადოთ, მეცნიერებათა სისტემატიზაციას კი არა, სრულ აღრევას მივიღებთ.

ზემოდმოხსენებულ მეცნიერთა ბიბლიოლოგიური მეცნიერებათა კლასიფიკაცია მეტად მექანიკურია. აღნიშნულ შეხედულებათა მთავარ ნაკლად ბიბლიოლოგიურ მეცნიერებათა ტექნიცისტური გაგება უნდა იქნეს მიჩნეული. ავტორებს ბიბლიოლოგიური მეცნიერებათა საგნად წიგნი, როგორც ტექნიკური მოვლენა მიაჩნიათ. მათ ავიწყდებათ, რომ წიგნი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური მოვლენაა, გარკვეული, და მეტად მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის მატარებელი, რომ წიგნი უნდა იყოს მკითხველთან ურთიერთობაში აღებული, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგანი არამხოლოდ წიგნია, არამედ მკითხველიც და მკითხველსა და წიგნს შორის ურთიერთობა. თუ ამ უკანასკნელის თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, მაშინ ნათელი იქნება პოლ ოტლეს, ლისოვსკის, ლოვიაგინის და სხვათა საკლასიფიკაციო ცხრილების მიუღებლობა. მართლაც, თუ ბიბლიოთეკათმცოდნეობა შეისწავლის არა მხოლოდ წიგნს, წიგნის გა-

ვრცელებას, არამედ მკითხველსაც, მას ინტერესებს, წიგნზე მუშაობის მეთოდიკას, კითხვის ხელმძღვანელობის მეთოდიკას, და საერთოდ მკითხველთან მუშაობის მეთოდიკას, მაშინ რათ უნდა იყოს ბიბლიოთეკათმცოდნეობა წიგნთმცოდნეობის უკანასკნელი ტექნიკური ან გამოყენებითი ნაწილი?

ბიბლიოთეკათმცოდნეობა, რომელიც შეისწავლის წიგნსა და მკითხველს უფრო ზოგადია, ვიდრე წიგნთმცოდნეობა, რომლის შესწავლის საგანი მხოლოდ წიგნია.

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარმა ფ. ეიხლერმა სცადა საკითხისადმი უფრო ფართოდ მიდგომა. მან ბიბლიოთეკათმცოდნეობა წიგნთმცოდნეობის მიმართ ზოგად მეცნიერებად დასახა. ეს მეტად გაბედული ნაბიჯი იყო თავის დროისათვის (1910 წ.). აი როგორ განმარტავს ბიბლიოთეკათმცოდნეობას ფ. ეიხლერი: „ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის ლიტერატურის ძეგლების, მათი წარმოშობის პირობებისა და ისტორიის, მათი გავრცელებისა და ექსპლოატაციის გამოკვლევა“ *. როგორც ვხედავთ ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ეიხლერის გაგებით, მოიცავს წიგნთმცოდნეობას (ლიტერატურულ ძეგლების წარმოშობის პირობებსა და ისტორიას). ბიბლიოტექნიკასა და ბიბლიოპოლიას (წიგნის გავრცელებას) და ბიბლიოთეკონომიას.

ეიხლერი შემდეგნაირად ანვითარებს თავის განმარტებას: „ლიტერატურულ ძეგლების წარმოშობის ძირითად პირობას დამწერლობა წარმოადგენს. მათი გავრცელების ძირითად პირობას, უპირველესად, გადაწერის ან ბეჭდვის საშუალებით მათი რიცხობრივად გაზრდა წარმოადგენს, მეორედ მათი ბრუნვაში შესვლა: ამრიგად წიგნის გამომცემლობისა და წიგნთვაჭრობის საქმის შესწავლა, აგრეთვე, წარმოადგენს ბიბლიოთეკათმცოდნეობის ამოცანას. დაწერილ ძეგლთა ექსპლოტაციის ძირითად პირობას მათი ხელისშისაწვდომლობა წარმოადგენს; მაშასადამე ჩვენი მეცნიერების ამოცანას შეადგენს, აგრეთვე, საბიბლიოთეკო საქმის შესწავლა, ბიბლიოთეკის მმართველობისა და ორგანიზაციის, მათი რთული აპარატით* *.

ეიხლერის მიერ საკითხის ასე ფართოდ დასმა უეჭვოდ მართებულია. ეიხლერის მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მის სისტემაში მკითხველი უგულობელყოფილია. ყურადღებას იპყრობს

---

* Эйхлер, Ф.—Библиотековедение высшего порядка. СПб. 1916, стр. 16.

** იქვე, გვ. 17.

მისი სისტემის მესამე ნაწილი—ბიბლიოთეკონომია ანუ საბიბლიოთეკო საქმის შესწავლა. ეიხლერის გაგებით ეს ნიშნავს ბიბლიოთეკის მმართველობისა და ორგანიზაციის საკითხების შესწავლას. მკითხველის შესწავლას, მკითხველთან მუშაობის მეთოდიკას, საბიბლიოთეკო პედაგოგიკას არც მის სისტემაში აქვს ადგილი. ასე რომ ბიბლიოლოგთა სისტემის ეს არსებითი ნაკლი ეიხლერმაც ვერ გადალახა. ამ გარემოებამ მისცა ბიბლიოლოგებს სრული საფუძველი ეთქვათ, რომ თუ ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგანი მხოლოდ წიგნადი ფონდების ორგანიზაციაა და ბიბლიოთეკის მართველობა, ანუ ის რასაც ეიხლერი წიგნის ექსპლოატაციას უწოდებს, მაშინ რათ უნდა იყოს ბიბლიოთეკათმცოდნეობა ზოგადი მეცნიერება? ბუნებრივია, რომ წიგნის შესახებ ზოგად მეცნიერებად წიგნთმცოდნეობა უნდა იყოს აღიარებული. მხოლოდ მკითხველის შესწავლა, მკითხველთან მუშაობის მეთოდიკა, ე. წ. საბიბლიოთეკო პედაგოგიკა ანუ, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, ბიბლაგოგიკა (წიგნის შესწავლასთან ერთად) უფლებას აძლევს ბიბლიოთეკათმცოდნეობას დაიკავოს ზოგადი მეცნიერების ადგილი.

საბიბლიოთეკო პედაგოგიკის საკითხებს, ბუნებრივია, დიდი ყურადღება საბჭოთა კავშირში მიექცია. საბჭოთა საბიბლიოთეკო აზრმა წინ წამოსწია ეს საკითხები და შეეცადა შეეცვალა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ეს ხარვეზი, ამ მხრივ საინტერესოა საკითხის დასმა ეიდელმანისა და ლიტინსკის მიერ.

ეიდელმანს, თავის მე-7-ე თეზისში, ბიბლიოთეკათმცოდნეობა შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის დისციპლინა, რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივ მოღვაწეობის ერთ-ერთ კულტურულ იდეოლოგიურ ფორმას" *. ჩვენ არ ვიტყოდით, რომ ეს განმარტება კონკრეტულობით ხასიათდებოდეს. მიუხედავად ამისა ეიდელმანმა ბიბლიოთეკათმცოდნეობას მეცნიერებათა სისტემაში, გარკვეული ადგილი მიაკუთვნა. ეიდელმანის აზრით ბიბლიოთეკათმცოდნეობა შედის იმ მეცნიერებათა სისტემაში, რომელიც შეიძლება გაერთიანდეს ცნება „განათლებით". მერვე თეზისში ის ამბობს:

„თავის ზუსტ ადგილს ბიბლიოთეკათმცოდნეობა მონახავს განყოფილება „განათლებაში", რომელიც არის შესავალი იდეო-

---

* Эйдельман, Б. Ю.—Классификационная схема библиотековедения в систематическом каталоге. В книге: Тезисы докладов сотрудников Гос. публичной библиотеки им. Салтыкова-Щедрина... Л. 1936, გვ. 20

ლოგიურ მეცნიერებებისა, გამაერთიანებელი დისციპლინების, იდეოლოგიის მშენებლობაზე და ორგანიზაციაზე. ამ განყოფილების, „განათლების“ შემადგენლობა და თანმიმდევრობა შიგ შემდეგია:

კულტურული მშენებლობის ზოგადი საკითხები,
მეცნიერებათმცოდნეობა,
მუზეუმთმცოდნეობა,
წიგნი და ბეჭდვითი სიტყვა,
ბიბლიოგრაფია,
ბიბლიოთეკათმცოდნეობა,
აღზრდა და განათლება“ *.

მართალია ეს საკლასიფიკაციო სქემა არ არის დაზუსტებული. მაგალითად, როგორ შეიძლება მეცნიერებათა დისციპლინებში მოთავსებული იყოს წიგნი და ბეჭდვითი სიტყვა. წიგნი და ბეჭდვითი სიტყვა საგანია მეცნიერების და არა მეცნიერული დისციპლინა. ალბად ავტორს აქ წიგნთმცოდნეობის მოთავსება უნდოდა. ასევე, აღზრდა და განათლება—უნდა იყოს პედაგოგიკა. არ არის აგრეთვე დაცული მკაცრი თანმიმდევრობა, რაც აუცილებელია საკლასიფიკაციო სქემისათვის: რატომ, მაგალითად, მუზეუმთმცოდნეობა“ ოთხი საფეხურით წინ უსწრებს პედაგოგიკას? განა მუზეუმთმცოდნეობა უფრო ზოგადი მეცნიერებაა ვიდრე პედაგოგიკა?

მიუხედავად დასახელებულ ნაკლისა, ეიდელმანის კლასიფიკაცია მაინც საგრძნობი ნაბიჯია წინ, ძველ სქემებთან შედარებით, რადგან აქ ბიბლიოთეკათმცოდნეობა უშუალოდ დაკავშირებულია განათლების საკითხებთან, პედაგოგიკასთან.

უნდა შეენიშნოთ, რომ ეიდელმანმა თუმც დაუკავშირა ბიბლიოთეკათმცოდნეობა პედაგოგიკას, და მით შედარებით მის წინამორბედებთან, როგორც აღვნიშნეთ, ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ ბიბლიოლოგთა ძველი სკოლის ნაკლი საერთოდ ვერც მან აიცდინა და ეიხლერის გაბედული ნაბიჯი ვერ გამოიყენა: მის სისტემაში წიგნთმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია ისევე გამოყოფილია ბიბლიოთეკათმცოდნეობიდან და უფრო ზოგად მეცნიერებად არის დასახული, როგორც ეს იყო ბიბლიოლოგთა ძველი სკოლის კლასიფიკაციაში.

ა. მ. ლიტინსკის, ისევე როგორც ეიდელმანს, ბიბლიოთეკათმცოდნეობა შეაქვს კულტურისა და განათლების შესახებ მეცნიერებათა სისტემაში. „ბიბლიოთეკათმცოდნეობის ნამდვილი ად-

* Эйдельман, Б. Ю — Классификационная схема библиотековедения в систематическом каталоге. В книге: Тезисы докладов сотрудников Гос. публичной библиотеки им. Салтыкова-Щедрина... Л. 1936, гз. 20.

ჭილი, ამბობს ლიტინსკი, არის უფრო ფართო მეცნიერებების შიგნით, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე შედგენილ კლასიფიკაციაში, უფრო სწორი იქნებოდა ბიბლიოთეკათმცოდნეობა შეგვეტანა განყოფილებაში „კულტურა, სახალხო განათლება, პედაგოგიკა“ *.

ყოველივე დადებითი და უარყოფითი თქმული ვიდელნინის კლასიფიკაციის შესახებ, სრული საფუძვლიანობით შეიძლება ითქვას ლიტინსკის კლასიფიკაციის შესახებაც. ლიტინსკის საკლასიფიკაციო ცხრილის ზოგადი გადახედვაც დაგვარწმუნებს იმაში, რომ მას ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ერთის მხრივ, უფრო ფართოდ ესმის ვიდრე ძველ ბიბლიოლოგებს, ე. ი. არა მხოლოდ როგორც მეცნიერება ბიბლიოთეკის მმართველობისა და წიგნადი ფონდების ორგანიზაციის შესახებ, არამედ როგორც მეცნიერება საბიბლიოთეკო პედაგოგიკის შესახებაც, მეორეს მხრივ კი ლიტინსკის სისტემაში წიგნის შესწავლას მეტად ვიწრო ადგილი აქვს დათმობილი. თავად წიგნთმცოდნეობა მას წარმოდგენილი აქვს ბიბლიოთეკათმცოდნეობის სისტემის გარეშე.

ლიტინსკის ბიბლიოთეკათმცოდნეობა შემდეგ ძირითად დარგებად აქვს დაყოფილი:

1. სწავლა ბიბლიოთეკების ორგანიზაციაზე და სტრუქტურაზე;

2. სწავლა წიგნის, მკითხველთა და კითხვის პროცესის შესწავლის მეთოდებზე;

3. სწავლა მკითხველთან მუშაობის და კითხვის ხელმძღვანელობის მეთოდებზე;

4. სწავლა ბიბლიოთეკების დაკომპლექტების შესახებ;

5. სწავლა წიგნადი ფონდების ორგანიზაციის შესახებ **.

ეს დაყოფა, არსებითად, დღეს ჩვენში ბიბლიოთეკათმცოდნეობის საყოველთაოდ მიღებულ დაყოფას წარმოადგენს. ყველა საბიბლიოთეკო სასწავლებლებში და ლიტერატურაშიდაც ბიბლიოთეკათმცოდნეობას ოთხ ნაწილად ჰყოფენ:

1. ზოგადი ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ანუ საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია;

2. მკითხველთან მუშაობის მეთოდიკა;

3. ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ტექნიკა და მეთოდიკა;

---

* Лятинский, А. И.—О классификации библиотековедения. В „Трудах Московского государственного библиотечного института“. Вып. III, стр. 89.

** იქვე, გვ. 99

4. სწავლა წიგნადი ფონდების ორგანიზაციის შესახებ.

ლიტინსკიმ, ამ დაყოფიდან, მეორე ნაწილი—მკითხველებთან მუშაობის მეთოდიკა—ორ ნაწილად გაჰყო, რაც ჩვენის აზრით საფუძველს მოკლებულია.

ბიბლიოთეკათმცოდნეობაზე მოყვანილ შეხედულებათა განხილვამ შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა:

1. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგანი და ბიბლიოთეკათმცოდნეობის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში, საბოლოოდ, ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული;

2. ბიბლიოლოგთა სკოლა მეტად ვიწროდ ფარგლავდა ბიბლიოთეკათმცოდნეობას, დაჰყავდა რა ბიბლიოთეკათმცოდნეობა ვიწრო ტექნიკურ ცოდნამდე შესახებ წიგნადი ფონდებისა და ბიბლიოთეკის მმართველობის ორგანიზაციისა;

3. ეიხლერმა ფართოდ და შედარებით სწორად დააყენა ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მაღალი მეცნიერების შესახებ საკითხი. მაგრამ მის სისტემაში მკითხველები, მკითხველთა ინტერესების შესწავლა და მკითხველთან მუშაობის მეთოდიკა უგულებელყოფილი იყო, რაც მიუღებლად ხდის ეიხლერის შეხედულებას;

4. ეიდელმანმა და ლიტინსკიმ ჯეროვნულად წამოსწია მკითხველებთან მუშაობის მეთოდიკის საკითხები და მით დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ, საკითხის სწორად გადაჭრისაკენ. მაგრამ მათ სისტემაში, შეიძლება ითქვას, წიგნია უგულებელყოფილი: წიგნის შესწავლის საკითხები, წიგნის ისტორია, წიგნთმცოდნეობა გამოთიშულია ბიბლიოთეკათმცოდნეობისაგან, რაც მათი შეხედულების ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია აუცილებლობა ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგნის შესახებ საკითხის ახალ სიბრტყეზე დაყენებისა.

რა არის ბიბლიოთეკათმცოდნეობა? რას შეისწავლის იგი?

ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის წიგნსა და მკითხველს, მათ შორის ურთიერთობის ორგანიზაციას.

ბიბლიოთეკა ერთის მხრივ წარმოადგენს წიგნთა კოლექციას, წიგნად ფონდს გარკვეული წესით ორგანიზებულს და დაცულს. მეორეს მხრივ ის არის საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მკითხველნი ალრმავებენ თავიანთ ცოდნას, ეწევიან თვითგანვითარებითი მუშაობას, ეცნობიან ადამიანთა გამოცდილებას, ამუშავებენ მეცნიერებისა და ლიტერატურის საკითხებს. ლენინი სწერს: „ხა-

ჯარო ბიბლიოთეკის სახელს და სიამაყეს იმაში კი არ უნდა ვხე
დავდეთ თუ რამდენია მასში იშვიათი ეკზემპლიარები, რაიმე გამო-
ცემა მე-16 საუკუნის ან მე-10 საუკუნის ხელნაწერი, არამედ, მას-
ში, თუ რა ფართედ ვრცელდება წიგნი ხალხში, რამდენია ჩაბმული
ახალი მკითხველები, რამდენად სწრაფად სრულდება ესა თუ ის
მოთხოვნილება წიგნზე, რამდენი წიგნია დარიგებული სახლში, რამ-
დენი მავშვია მოზიდული კითხვაში და ბიბლიოთეკით სარგებლო-
ბაში". („რას ამბობდა და სწერდა ლენინი ბიბლიოთეკების შესახებ".
ტუ. 1930 წ. გვ. 10). შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბიბლიოთე-
კა წარმოადგენს ყველაზე უფრო ფართო და მასობრივ კულტურულ
დაწესებულებას. მეცნიერება ამ რთულ სოციალურ ორგანიზაციის
შესახებ, ჩვენ ფართოდ გვესმის, როგორც მეცნიერება წიგნისა და
მკითხველის შესახებ, წიგნადი ფონდებისა და მათი მკითხველთა შო-
რის გავრცელების ორგანიზაციის შესახებ. ამ განმარტებიდან თა-
ვისთავად გამომდინარეობს, რომ წიგნთმცოდნეობა ნაწილია ბი-
ბლიოთეკათმცოდნეობის.

წიგნი არის ის, რითაც და რაზედაც მუშაობს ბიბლიოთეკა,
ის რისგანაც შედგება თვით ბიბლიოთეკა, და განა შეიძლება რომ
ბიბლიოთეკათმცოდნეობამ არ შეისწავლოს წიგნი? ბიბლიოთეკათ-
მცოდნეობა წიგნის შესწავლის გარეშე, ე. ი. წიგნთმცოდნეობის გა-
რეშე გამოფიტული რჩება, ცალმხრივი და ვიწრო ტექნიკური მეცნიე-
რება. ასეთი გათიშვა და გამოფიტვა ბიბლიოთეკათმცოდნეობის
საგნის ვერ გამართლდება ვერც შემეცნებითი და ვერც პრაქტიკუ-
ლი მოსაზრებით. სად შეიძლება იქნეს შესწავლილი წიგნი თუ არა
ბიბლიოთეკაში? ვინ შეისწავლის წიგნს ორგანიზებულად (აქ ჩვენ
არ გვაქვს ლაპარაკი ერთეულ გამონაკლისებზე, თუ შეიძლება ასე
ითქვას მეცნიერების კუსტარებზე) თუ არა ბიბლიოთეკარი? წიგნთ-
მცოდნეობა უნდა იქნეს განხილული, როგორც ნაწილი ბიბლიოთე-
კათმცოდნეობისა არა მხოლოდ იმისათვის, რომ ბიბლიოთეკარი
მოვალეა იცნობდეს წიგნს (როგორც ამას ეიხლერი და სხვები ფიქ-
რობენ), არამედ იმისათვის, რომ წიგნი ბიბლიოთეკის ორგანული
ნაწილია, მეცნიერებების ხაგანთა ორგანული კავშირი კი მოითხოვს
თვით მეცნიერებათა შორის იმავე კავშირის დამყარებას. მაგრამ
ორგანული კავშირი ამ ორ მეცნიერებათა შორის არ არის უარყო-
ფილი იმ ბიბლიოლოგთა მიერაც, რომელნიც წიგნთმცოდნეობას
ზოგად მეცნიერებად მიიჩნევენ და ბიბლიოთეკათმცოდნეობას კერ-
ძოობითად. ეს აზრი შეიძლება მართებული იყო მაშინ, როდესაც
ბიბლიოთეკათმცოდნეობა გაგებული იყო როგორც ბიბლიოთეკონო-

მია, ე. ი. მეცნიერება, რომელიც შეისწავლიდა წიგნადი ფონდების დაცვისა და ბიბლიოთეკურად დამუშავების წესებს. თანამედროვე გაგებით, ბიბლიოთეკათმცოდნეობა არის მეცნიერება წიგნისა და მკითხველის შესახებ, ამიტომ ის არ შეიძლება იყოს იმ მეცნიერების ნაწილი, რომელიც მხოლოდ წიგნს (არსებითად წიგნის ისტორიას) შეისწავლის. ვიმეორებთ, ბიბლიოთეკათმცოდნეობა უფრო ზოგადი მეცნიერებაა, ვიდრე წიგნთმცოდნეობა.

აქ კიდევ შემდეგი მოტივი შეიძლება იყოს მოყვანილი ჩვენი დებულების წინააღმდეგ: წიგნს არა მხოლოდ ბიბლიოთეკათმცოდნეობა შეისწავლის, არამედ პოლიგრაფიული ხელოვნებაც, სწავლა საგამომცემლო საქმის შესახებ, სწავლა წიგნის ვაჭრობის შესახებ ანუ ბიბლიოპოლია და სხვ. ეს მართალია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ყველა დასახელებული მეცნიერებანი (თუ კი შეიძლება მათ მეცნიერება ვუწოდოთ) შეისწავლიან წიგნის მხოლოდ ტექნიკურ მხარეს, წიგნს, როგორც ტექნიკურ მოვლენას, მისი დამზადებისა და გასაღების ტექნოლოგიურ პროცესს. წიგნთმცოდნეობა ჩვენ კი გვესმის, როგორც წიგნის ისტორია, ე. ი. როგორც წმინდა სოციალური მეცნიერება. ამას გარდა მეცნიერებათა კლასიფიკაციაში მუდამ აქვს ადგილი იმას, რასაც ჩვენ ლოგიკურ აქცენტირებას ვუწოდებთ. მეცნიერებანი ისეთნაირად არიან ურთიერთშორის გადახლართულნი, რომ თუ მათ, მათი საგნის ლოგიკური აქცენტის მიხედვით, ე. წ. „ძირითადი ადგილი“ არ მოვუნახეთ, მეცნიერებათა სისტემატიზაცია შეუძლებელი იქნება. წიგნთმცოდნეობის ძირითადი ადგილი კი, ჩვენის აზრით, ბიბლიოთეკოლოგიურ მეცნიერებათა სისტემაშია.

ყველა ზემონათქვამი, ვფიქრობთ, საკმარისია იმ თეზისის დასაბუთებლად, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობა ფართო გაგებით ანუ, რასაც ჩვენ შეიძლება ბიბლიოთეკოლოგია ვუწოდოთ, შედარებით წიგნთმცოდნეობასთან, ზოგადი მეცნიერებაა, ეს უკანასკნელი კი პირველის კერძობითი.

აქ ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობას ანუ ბიბლიოთეკოლოგიას ჩვენ ვხმარობთ ფართო გაგებით, არა როგორც მეცნიერებას საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციის შესახებ (ამ გაგებით ჩვენ ვხმარობთ სიტყვა ბიბლიოთეკონომიას) არამედ, როგორც მეცნიერებას წიგნისა და მკითხველის შესახებ, მათი ურთიერთობის შესახებ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ სიტყვა ბიბლიოთეკათმცოდნეობა არ არის სრული გამომხატველი ამ ფართო მეცნიერებისა, ისე როგორც არ იქნებოდა სწორი მეცნიე-


რებისათვის. ბავშვების აღზრდის, განათლების და სწავლების შესახებ გვეწოდებია სკოლათმცოდნეობა ანუ ფედაგოგიკისა. შეიძლება ამ თვალსაზრისით უფრო სწორი იყოს ვუწოდოთ ამ ზოგად მეცნიერებას ბიბლიოლოგია, მაგრამ მაშინ ბიბლიოლოგია უნდა იყოს გაგებული არა როგორც წიგნთმცოდნეობა, ე. ი. მეცნიერება წიგნის შესახებ, როგორც ეს პოლ ოტლეს, ლისოვსკის, ლოვიაგინს და სხვებს ესმით, არამედ როგორც მეცნიერება, ვიმეორებთ, წიგნისა და მკითხველის შესახებ და ამ მეცნიერების კვლევა-ძიებისა და ზრუნვის მთავარ არეს ბიბლიოთეკა უნდა წარმოადგენდეს ისევე როგორც პედაგოგიკისათვის—სკოლა. ჩვენ არ გვსურს ვიდაოთ ტერმინების შესახებ და მზად ვართ ჩვენს მიერ შემოღებულ ტერმინ „ბიბლიოთეკოლოგიას", ძველი ტერმინი „ბიბლიოლოგია" ვამჯობინოთ. ეტიმოლოგიურად რომ განვიხილოთ არც ერთი მათგანი არ გამოხატავს იმ შინაარსს, რომელსაც ჩვენ მასში ვაქსოვთ. მაგრამ ეტიმოლოგიურად არც სიტყვა „პედაგოგიკა" შეესატყვისება მის შინაარსს. ასეთი შემთხვევები ხშირია და აქაც დასაშვებია. ჩვენთვის მთავარი მეცნიერების შინაარსი და მისი საზღვრებია და არა მისი სახელწოდება. ვიმეორებთ, ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ სიტყვა ბიბლიოლოგიას, მაგრამ თუ აქ რამდენიმეთ მძიმე და ახალ სიტყვას ბიბლიოთეკოლოგიას ვხმარობთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მკაფიოდ გავემიჯნოთ ძველ ბიბლიოლოგიურ სკოლას და უფრო ნათელყოთ სხვაობა ჩვენსა და მათ თვალსაზრის შორის.

გავარკვიოთ ახლა საკითხი, თუ რა ადგილი უნდა დაიკავოს ბიბლიოთეკოლოგიამ მეცნიერებათა სისტემაში.

როგორც აღვნიშნეთ ბიბლიოთეკოლოგია სოციალური მეცნიერებაა. მაშასადამე, ის შედის სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში. როგორც ყოველი სოციალური მეცნიერება ის დაქვემდებარებულია ფილოსოფიას ანუ დიალექტიკურ მატერიალიზმს და სოციალოგიას ანუ ისტორიულ მატერიალიზმს. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი აწვდიან ბიბლიოთეკოლოგიას კვლევა-ძიების ძირითად მეთოდს და საზღვრავენ იმ ძირითად ცნებებს, რომელნიც უახლოეს ზოგად ცნებებს წარმოადგენენ (ლოგიკის ენით ე. წ. genus proximum) ბიბლიოთეკოლოგიის უძირითადეს ცნებათა მიმართ.

სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში ბიბლიოთეკოლოგია უშუალოდ უკავშირდება ისტორიას, პედაგოგიკას და ე. წ. დოკუმენტოლოგიურ მეცნიერებებს. დოკუმენტოლოგიურ მეცნიერებებს ჩვენ ვუწოდებთ იმ მეცნიერებებს, რომელნიც შეისწავლიან დოკუმენტთა ორგანიზაციის, გავრცელებისა და ისტორიის საკითხებს. ასეთი მეც-

ნაერებაა, მაგალითად, მუზეუმთმცოდნეობა, არქივთმცოდნეობა და სხვ. ბიბლიოთეკოლოგიის ადგილი სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში შეიძლება შემდეგი შემოკლებული სქემის სახით წარმოვიდგინოთ:



გადავიდეთ ახლა საკითხზე რა ძირითად დარგებად უნდა იყოფოდეს ბიბლიოთეკოლოგია (ჯერ—ბიბლიოლოგია). ბიბლიოთეკოლოგიას (ანუ ბიბლიოლოგიას ახალი გაგებით) ჩვენ ვყოფთ ოთხ ძირითად დარგად: 1. ბიბლიოისტორია, რომელიც ორ ნაწილისაგან შედგება: ა) წიგნის ისტორია და ბ) ბიბლიოთეკების ისტორია.

2. ბიბლიოთეკონომია, რომელიც შეისწავლის საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციას ვიწრო გაგებით. ეს დარგიც ორ ნაწილისაგან შედგება: ა) საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზაცია და ბ) ბიბლიოთეკის ორგანიზაცია. პირველი ნაწილი შეისწავლის შემდეგ საკით-

ხებს: ბიბლიოთეკების ტიპოლოგიის საკითხი, ბიბლიოთეკების ქსელი, საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელობის მეთოდები, კონტროლი ბიბლიოთეკებზე და ინსპექტურა, საბიბლიოთეკო კადრები. მეორე ნაწილი, ე. ი. სწავლება ბიბლიოთეკის ორგანიზაციაზე, შეისწავლის შემდეგ საკითხებს: ბიბლიოთეკის ორგანიზაციული სტრუქტურა, ბიბლიოთეკის შენობა და მოწყობილობა, ბიბლიოთეკის შტატი და ბიუჯეტი, საბიბლიოთეკო საქმის აგეგმვა, საბიბლიოთეკო მუშაობის აღრიცხვა და ანგარიშგება, ბიბლიოთეკის დაკომპლექტების მეთოდიკა და ტექნიკა, წიგნის ფონდის ორგანიზაცია, (წიგნების აღრიცხვა, ტექნიკური გამოწყობა და დაცვა), წიგნისა და წიგნსაცავის ჰიგიენა.

როგორც ვხედავთ ბიბლიოთეკონომია არის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ის ნაწილი, რომელიც შეისწავლის საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციის ზოგად საკითხებსა და წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების, ორგანიზაციისა და დაცვის საკითხებს.

3. ბიბლიოთეკათმცოდნეობის მესამე დარგი—ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა შეისწავლის ლიტერატურის აღწერისა და სისტემატიზაციის საკითხებს. ეს დარგი სამი ნაწილისაგან შედგება: ა) სწავლა კატალოგებისა და დოკუმენტალურ საბიბლიოგრაფიო საძიებლების შედგენაზე. აქ შეისწავლება საკითხები: კატალოგების სახეები და ფორმები, წიგნის აღწერა ანუ კატალოგრაფია და ანბანური კატალოგის შედგენა; საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაცია და სისტემატური კატალოგის შედგენა; ლიტერატურის საგნობრივება და საგნობრივი კატალოგის შედგენა; კატალოგიზაციის ცენტრალიზაცია, ბეჭდური კატალოგებისა და საბიბლიოგრაფიო საძიებლების შედგენა და გამოცემა; ბ) სწავლა კრიტიკული და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიაზე. აქ შეისწავლება მეთოდიკა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვისა, რეცენზიების, რეფერენციებისა და ანოტაციების შედგენისა და სხვ. მისთანანი; გ) სპეციალური ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფიული წყაროთმცოდნეობა.

4. ბიბლაგოგიკა * შეისწავლის მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა ნ მ უ შ ა ო ბ ი ს მ ე თ ო დ ი კ ა ს, მკითხველთა თვითგანვითარებითი მუშაობის მეთო-

---

* ტერმინოლოგიის საკითხი მეტად მწვავედ დგას ჯერ კიდევ აბალგაბრდა მეცნიერების—ბიბლიოთეკათმცოდნეობის წინაშე. „მკითხველთა მუშაობის მეთოდიკა"—მეტად გრძელი და მძიმე სახელწოდებაა მეცნიერებისა დარგისათვის. მეცნიერული აზროვნებისა და მეცნიერული მუშაობის ეკონომია მოითხოვს მოკლედ და მკაფიოდ გამოსახულ სახელწოდებას. ასეთ სახელწოდებად ბიბლიოლოგიის ამ დარგისათვის, რომელსაც დღემდე „მკითხველთან მუშაობის მეთოდიკა" ეწო-

დიკას, წიგნზე მუშაობის მეთოდიკას, მკითხველთა ინტერესებს, კითხვის ხელმძღვანელობას, საცნობო-საბიბლიოგრაფიო მუშაობის მეთოდიკას, წიგნისა და ბიბლიოთეკის პროპაგანდის ფორმებს (მასობრივი მუშაობის სახეები), მკითხველთა მომსახურეობის ორგანიზაციასა და ტექნიკას.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი ბიბლიოთეკოლოგიისა ჯერჯერობით არ არის ჯეროვნულად დამუშავებული. ამ დარგის შესწავლას უნდა მიექცეს დღეს, საბჭოთა კავშირში, დიდი ყურადღება, აქეთკენ უნდა წარიმართოს საბიბლიოთეკო აზრის კვლევითი მუშაობა. ბიბლაგოგიკის საკითხების დაუმუშავებლობა აიხსნება, უმთავრესად, იმ ტენდენციზმით, რომელიც გამეფებული იყო დღემდე ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ზემოდ საუბარი.

დებენ, ჩვენ „ბიბლაგოგიკა" მიგვაჩნია. ეს სიტყვა ჩვენ ვაწარმოეთ სიტყვებისაგან „ბიბლოს" (წიგნი) და „აგოგს" მიმყვანი. „ბიბლაგოგოს" ნიშნავს წიგნის მიმყვანს, ე. ი. პირს, რომელსაც მიჰყავს წიგნი მკითხველთან, ანუ აგრეთვე წიგნს მკითხველთა შორის. „ბიბლაგოგია" წიგნის მიყვანა მკითხველამდე. „ბიბლაგოგიკა" მეცნიერება წიგნის მკითხველამდე მიყვანის, ანუ წიგნის მკითხველთა შორის გავრცელების, კითხვის ხელმძღვანელობის შესახებ. იყო სხვა წინადადებანიც, მაგალითად „ანაგნოსტაგოგიკა", (პატივცემულ ივ. ნიჟარაძის წინადადება). „ანაგნოსტეს" მკითხველი და „აგოგოს" მიმყვანი. აგრეთვე „ეპილეგონომია" (პატივცემულ დოც. მ. ბერძენიშვილის წინადადება). ჩვენ მაინც შევჩერდით ჩვენს მიერ შეძენილებულ სიტყვა „ბიბლაგოგიკაზე", რადგან ეფიქროთ ეს ტერმინი უფრო ნათლად გამოხატავს ამ მეცნიერების შინაარსსა და ძირითად ამოცანას. იმავე დროს ბიბლიოთეკოლოგიის ყველა დარგის სახელწოდება სიტყვა „ბიბლიოსისაგან" (წიგნისაგან) წარმოსდგება („ბიბლიოთეკოლოგია, ბიბლიოლოგია, ბიბლიოთეკონომია, ბიბლიოისტორია, ბიბლიოგრაფია, ბიბლიოტექნიკა და სხვ.), და ამ დარგის სახელწოდებაც რომ „ბიბლოსიდან" ვაწარმოოდ, უფრო მიზანშეწონილი იქნება (თუნდაც მნემონიკურობისათვის), ამასთანავე ამ ტერმინის მეორე კომპონენტი (აგოგიკა) გარკვევით მიგვითითებს ამ მეცნიერებაის პედაგოგიკასთან სათესაობაზე.

ამ წერილში პირველადაა ხმარებული სამი ახალი ტერმინი: ბიბლიოთეკოლოგია, ბიბლიოისტორია და ბიბლაგოგიკა. ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინები ჩვენი მეცნიერებისათვის მეტად საჭირონი არიან, ამიტომ, ვიმედოვნებთ, ისინი მიღებული და გავრცელებული იქნებიან სპეციალურ ლიტერატურაში.

ზემოხსენებულ ტერმინების სისწორის შემოწმებისას ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია პროფ. სვიმონ ყაუხჩიშვილმა, რისთვისაც პატივცემულ პროფესორს დიდსა და ულრმეს მადლობას მოვახსენებთ. დახმარებისათვის და რჩევისათვის ულრმეს მადლობას მოვახსენებთ აგრეთვე პატივცემულ დოც. მ. ბერძენიშვილსა და პატივცემულ ივ. ნიჟარაძეს.

როგორც ვხედავთ ბიბლიოთეკოლოგია ჩვენ დავყავით ოთხ ძირითად დარგად: 1. ბიბლიოისტორია, 2. ბიბლიოთეკონომია, 3. ბიბლიოგრაფია და 4. ბიბლიოგოგიკა*.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ისე სპეციალურ საბიბლიოთეკო სასწავლებლებში მიღებულ კლასიფიკაციით ბიბლიოთეკათმცოდნეობა შემდეგ ოთხ ძირითად დარგად იყოფა: 1. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია, 2. მკითხველებთან მუშაობის მეთოდიკა, 3. სწავლა ბიბლიოთეკის დაკომპლექტებაზე და 4. სწავლა წიგნადი ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციაზე. ასეთივე დაყოფით ისწავლება დღეს, ჩვეულებრივ, ბიბლიოთეკათმცოდნეობა საბიბლიოთეკო უმაღლეს სასწავლებლებში, საშუალო სასწავლებლებში და საბიბლიოთეკო კურსებზე.

რით განსხვავდება ჩვენს მიერ წარმოდგენილი ბიბლიოთეკათმცოდნეობის დაყოფა დღეს საყოველთაოდ გავრცელებულ დაყოფისაგან და რა უპირატესობა აქვს პირველს უკანასკნელთან შედარებით?

1. ჩვენს მიერ ბიბლიოთეკოლოგიის სისტემაში შეტანილია წიგნის ისტორია და ბიბლიოგრაფია, რითაც შევსებულია ეს დიდი ხარვეზი;

2. წიგნის ისტორია და ბიბლიოთეკების ისტორია მოქცეულია ბიბლიოთეკოლოგიის ერთ ნაწილში. ამ ორი საგნის განუყოფელი კავშირი ყველასათვის ნათელია. მათი გაერთიანება გამართლებული იქნება როგორც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისას, ისე ამ საგნის სწავლებისას;

3. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციის ნაცვლად ჩვენს სისტემაში მოცემულია ბიბლიოთეკონომია. ბიბლიოთეკების ზოგადი ორგანიზაციის საკითხებიდან ფონდების დაკომპლექტებისა და ფონდების ორგანიზაციის საკითხების ცალკე გამოყოფა სრულებით არაბუნებრივი და მიზანშეუწონელია;

4. სწავლა წიგნადი ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციაზე, როგორ ცალკე დისციპლინა ჩვენს მიერ არ არის გამოყოფილი. ეს დარგი ორ ძირითად ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი — ეს იყო სწავლა კატალოგებზე (ლიტერატურის აღწერა ანუ კატალოგრაფია და ლიტერატურის სისტემატიზაცია, კატალოგების სა-

---

* აღსანიშნავია კიდევ ერთი (მეხუთე) ბიბლიოლოგიური დისციპლინა, ე. წ. ბიბლიოტექნიკა, რომელიც ეხება წიგნის დაძველებისა და გაფუჭების ტექნიკას, პოლიგრაფიულ ხელოვნებას. თუ ეს დისციპლინა აქ ჩვენი სქემაში არ შევიტანეთ, ეს იმიტომ, რომ ის ტექნიკური მეცნიერებაა და მკაცრი კლასიფიკაციით სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში ვერ შევა.

ხეები და მათი შედგენა), მეორე—სწავლა წიგნადი ფონდის ორგანიზაციაზე, ე. ი. ლიტერატურის წინასწარი ტექნიკური დამუშავება, ინვენტარიზაცია, თაროებზე განლაგება და დაცვა. ეს უკანასკნელი—სწავლა წიგნადი ფონდების ორგანიზაციაზე—არის ნაწილი ბიბლიოთეკონომიისა. ის ე. წ. ზოგად ბიბლიოთეკათმცოდნეობიდან ხელოვნურად იყო გამოთიშული. ჩვენს მიერ ეს დარგი მოთავსებულია ბიბლიოთეკების ორგანიზაციის სხვა ძირითად საკითხებთან ერთად ბიბლიოთეკონომიაში.

სწავლა კატალოგებზე, ლიტერატურის აღწერა და სისტემატიზაცია—ბიბლიოგრაფიის განუყრელი ნაწილია. წიგნის აღწერას სწავლობდა და სწავლობს ბიბლიოგრაფია. ამავე საკითხებს სწავლობდა აგრეთვე ე. წ. სწავლა კატალოგების ორგანიზაციის შესახებ. ერთი და იგივე საგანი, ერთი და იგივე პრობლემა, ერთსა და იმავე ასპექტში, ერთსა და იმავე თვალსაზრისით, ორი დისციპლინის—სწავლების წიგნადი ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციის შესახებ და ბიბლიოგრაფიის—საგანი იყო. ასეთი პარალელიზმი გაუმართლებელია და სრულებით ჯერეცედენტო. ლიტერატურის აღწერა და სისტემატიზაცია ბიბლიოგრაფიის ბუნებრივი ნაწილია და იგი ბიბლიოგრაფიამ უნდა შეისწავლოს, თვით ბიბლიოგრაფია კი ნაწილია ბიბლიოთეკოლოგიის.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ბიბლიოთეკოლოგიის ოთხი დარგი შედეგია საგნის ბუნებრივ და ლოგიკურ დაყოფისა. იგი ეყრდნობა საბიბლიოთეკო საქმის, საბიბლიოთეკო შრომის ბუნებრივ განაწილებას და მკაცრ ლოგიკურ კანონებს. ასეთი დაყოფა გამართლებულია, როგორც მეთოდოლოგიურის, ისე პრაქტიკულის თვალსაზრისით, როგორც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, პრობლემების შესწავლა და დამუშავება, ისე საგნის სწავლება აქ წარმოდგენილი სისტემის მიხედვით გაცილებით უფრო ბუნებრივი და მიზანშეწონილი იქნება. ბიბლიოთეკათმცოდნეობის აქ წარმოდგენილ კლასიფიკაციაში გადალახულია ერთის მხრივ—გაუმართლებელი პარალელიზმი და მეორეს მხრივ—ერთი განუყოფელი საგნის, უროი-ერთშორის ბუნებრივად დაკავშირებულ საკითხების, ხელოვნურად გათიშვა და მათი სხვადასხვა დისციპლინებს შორის განაწილება.

განვიხილეთ რა ბიბლიოთეკოლოგია როგორც მეცნიერება, გადაეიდეთ ბიბლიოთეკარის პროფილზე და ბიბლიოთეკოლოგიის სწავლების საკითხზე.

ბიბლიოთეკის მუშაკი, ბიბლიოთეკარი უსათუოდ სპეციალისტი-ბიბლიოთეკოლოგი უნდა იყოს. დაუშვებელია ბიბლიოთეკაში

ლდეს მუშაობდეს არა სპეციალისტი. ბიბლიოთეკოლოგიის, როგორც მეცნიერებისა და სპეციალობის უგულობელყოფა, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი, დიდ ზიანს აყენებს ბიბლიოთეკათმშენებლობის საქმეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა იყოს აღმოფხვრილი ეს ხელაგდებითი დამოკიდებულება ამ მეტად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო სპეციალობისადმი. ბიბლიოთეკარისათვის ბიბლიოთეკოლოგიური განათლება ისევე აუცილებელია, როგორც მასწავლებლისათვის პედაგოგიური განათლება, პედაგოგიკის დაუფლება. მაგრამ ბიბლიოთეკარი იმავე დროს, ისე როგორც პედაგოგი, სპეციალისტი უნდა იყოს მეცნიერებათა სხვა რომელიმე დარგში. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნით მუშაობას მკითხველებთან, წიგნის შინაარსი მეცნიერების ესა თუ ის დარგია, ან ამა თუ იმ დარგის ესა თუ ის საკითხია. რომ ბიბლიოთეკარმა ღრმა და შინაარსიანი მუშაობა აწარმოოს, იყოს კითხვის ხელმძღვანელი, ის კარგად უნდა იცნობდეს და იყოს დაუფლებული მეცნიერების იმ დარგს, რომლის ლიტერატურითაც ის მუშაობს მკითხველთან. ბიბლიოთეკარის პრესტიჟი მანამდე ვერ აიწევს, სანამ არ იქნება დილეტანიზმი დაძლეული. ძველად დილეტანტობა ბიბლიოთეკარის აუცილებელ და დადებით თვისებათაც იყო აღიარებული. დღეს, როდესაც ბიბლიოთეკარი წიგნის აქტიური გამავრცელებელია, მკითხველის ხელმძღვანელია, დილეტანტიზმი დაუშვებელია, უარყოფითია.

გამოვდივართ რა ზემოხსენებულიდან, ჩვენ ბიბლიოთეკარის პროფილი შემდეგნაირად გვესახება. 1. უპირველეს ყოვლისა ბიბლიოთეკარი კარგად უნდა იყოს დაუფლებული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს და მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურას. ეს იმიტომ, რომ ბიბლიოთეკარი არის მარქსისტულ-ლენინური წიგნის, კომუნისტური წიგნის მასებში გამავრცელებელი და აგრეთვე იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბიბლიოთეკოლოგია უშუალოდ ექვემდებარება დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, რომლისაგანაც ის იღებს სამეცნიერო კვლევა-ძიების მეთოდებს; 2. ბიბლიოთეკარი უნდა იყოს სპეციალისტი-ბიბლიოთეკოლოგი; 3. ბიბლიოთეკარი უნდა იყოს სპეციალისტი მეცნიერების გარკვეულ დარგში, უკეთ მეცნიერებათა გარკვეულ სისტემაში. ამით ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ ეს მისი მეორე სპეციალობა არ შეიძლება იყოს მეტად ვიწრო. (მაგალითად, შეიძლება ბიბლიოთეკოლოგი იყოს იმავე დროს ისტორიკოსი, მაგრამ არა მხოლოდ რომის ისტორიაში სპეციალისტი და ა. შ.). მიუღებელია როგორც დილეტანტიზმი, ისე მეტად ვიწრო სპეციალიზაცია. ეს არის სპეციფიკა

ამ პროფესიის. ბიბლიოთეკოლოგის უშუალო ვიწრო სპეციალობა ბიბლიოთეკოლოგიაა. ხოლო მეორე დარგში ის უნდა იყოს სპეციალისტი, მაგრამ არა ვიწრო განხრით, არამედ ძირითად ანუ ზოგად დარგში. უნდა იყოს ბიბლიოთეკოლოგი-ისტორიკოსი, ბიბლიოთეკოლოგი-ლიტერატურათმცოდნე, ბიბლიოთეკოლოგი-ბუნებისმეტყველი და სხვ. შეიძლება გვითხრან, რომ მეცნიერებათა ძირითადი დარგებიც საკმაოდ ბევრია (რამოდენიმე ათეული შეიძლება იქნეს ჩამოთვლილი) და მეტად ბევრი სპეციალობის ბიბლიოთეკოლოგების მომზადება იქნება საჭირო. პრინციპულად ასეც უნდა იყოს. სპეციალურ ბიბლიოთეკებისათვის ჩვენ უნდა გვყავდეს ყველა ძირითადი დარგის სპეციალისტი-ბიბლიოთეკოლოგი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკოლოგიურ ინსტიტუტებში იყოს იმდენი ფაკულტეტი, რამდენი ძირითადი დარგიც არსებობს ადამიანის ცოდნისა ან ბიბლიოთეკოლოგიის ფაკულტეტზე* განხრები ყველა ძირითად სპეციალობის მიხედვით. ძირითადათ ბიბლიოთეკოლოგი თავისი პროფილით ისტორიკოსი ან ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი უნდა იყოს. ეს იმიტომ, რომ 1. ბიბლიოთეკოლოგია ამ მეცნიერებებს ენათესავება, მაგითან უშუალო ორგანულ კავშირში იმყოფება და 2. ასეთი (ჰუმანიტარული) განხრის უნდა იყოს საერთო-საგანმანათლებლო ხასიათის, ე. წ. მასობრივი ბიბლიოთეკებისა და უნივერსალური ტიპის სამეცნიერო ბიბლიოთეკების თანამშრომლების პროფილი. ასე. რომ საბიბლიოთეკო კადრების ძირითადი ბირთვი, ე. წ. ჰუმანიტარულ მეცნიერებების განხრით უნდა იღებდეს განათლებას. ამ მოსაზრებათა გამო მიზანშეწონილი და საყურადღებო საკმარისი იქნება, რომ ბიბლიოთეკოლოგიურ ინსტიტუტებში სამი ფაკულტეტი ჩამოყალიბდეს: ბიბლიოთეკოლოგიურ-ისტორიული, ბიბლიოთეკოლოგიურ-ფილოლოგიური და საბავშვო ლიტერატურის. ეს უკანასკნელი ფაკულტეტი ახლაც არის საბიბლიოთეკო ინსტიტუტებში. ხოლო არსებულ საბიბლიოთეკო. და საბიბლიოგრაფიო ფაკულტეტების ნაცვლად ისტორიული და ფილოლოგიური ფაკულტეტების ჩამოყალიბება უფრო მიზანშეწონილია. ეს უფრო მეტ გარკვეულობას შეიტანდა ბიბლიოთეკარის პროფილის გამომუშავებაში.

---

* ჩვენ აქ ვიმარობთ „ბიბლიოთეკოლოგიურ ინსტიტუტს", „ბიბლიოთეკოლოგიის ფაკულტეტს", ნაცვლად დღეს მიღებულ „საბიბლიოთეკო ინსტიტუტისა" და „საბიბლიოთეკო ფაკულტეტისა". ეს უკანასკნელი გამოთქმა არ არის სწორი და მეცნიერულად გამართული, ისევე როგორც არ იქნებოდა მისაღები პედაგოგიურ ინსტიტუტისათვის, სასკოლო ინსტიტუტი გვეწოდებია. შეიძლება ბიბლიოთეკოლოგიურის ნაცვლად ბიბლიოლოგიური ვიხმაროთ. ეს შესაძლებელია და მისაღებიც.

ძირითადი ბირთვი ბიბლიოთეკოლოგების ბიბლიოთეკოლოგიურ ინსტიტუტებში და ბიბლიოთეკოლოგიურ ფაკულტეტებზე უნდა მზადდებოდეს. მაგრამ გარდა ამისა საჭიროა, რომ ბიბლიოთეკოლოგია, როგორც ფაკულტეტური საგანი, შემოღებული იქნეს უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში ყველა ფაკულტეტზე სხვადასხვა სპეციალობის ბიბლიოთეკარების მოსამზადებლად. ამას გარდა საჭირო იქნება მუდმივად მომქმედი ერთწლიანი ბიბლიოთეკოლოგიური კურსები, უმთავრესად სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებას კურსდამთავრებულთათვის. ასეთ ღონისძიებათა საშუალებით უნდა მომზადდეს მაღალკვალიფიციური კადრები ბიბლიოთეკებისა. ასეთი კადრების მომზადება კი დიდად საჭიროა. დიდმა ბელადმა ი. ბ. სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში მე-18 პარტყრილობაზე აღნიშნა, რომ სსრ კავშირში 1939 წლისათვის 70.000 მასობრივი ტიპის ბიბლიოთეკა იყო*. ყველა ტიპის ბიბლიოთეკები (მასობრივი, სამეცნიერო, სპეციალური, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკები) დღეს სსრ კავშირში 200.000-მდეა. მარტო საქართველოში ჩვენ 4.000-ზე მეტი ბიბლიოთეკა გვაქვს. ცხადია, ასეთი დიდი საბიბლიოთეკო ქსელისათვის სპეციალისტ ბიბლიოთეკარების მომზადება მოითხოვს როგორც უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებსა და ფაკულტეტებს, ისე საკურსო ღონისძიებათა ფართოდ გაშლას.

სსრ კავშირში საბიბლიოთეკო საქმეს უდიდესი ყურადღება ექცევა. ვ. მ. მოლოტოვმა უმაღლეს სკოლის მეშვაკთა პირველ საკავშირო თათბირზე 1938 წლის 15 მაისს განაცხადა: „მან [მაკაროვამ] აგრეთვე სამართლიანად დაიცვა თავისი საბიბლიოთეკო უმაღლესი სასწავლებელი. იმიტომ რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ხალხში წიგნის, ცოდნის ასეთი უდიდესი მოთხოვნილება განვითარდა, საბიბლიოთეკო საქმემ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მოიპოვა“**. ცხადია ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო განათლების საქმეც უაღრესად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. ეს ავალებს სპეციალისტ-ბიბლიოთეკოლოგებს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ ბიბლიოთეკოლოგია, როგორც მეცნიერება და მისი სწავლების საქმე.

---

* ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. მეთერთმეტე გამოცემა. თბილისი, 1939, გვ. 728.

** ვ. მ. მოლოტოვი. „უმაღლეს სკოლების შესახებ“—თბ. 1939, გვ. 8-9.

Н. Г. ЛОРДКИПАНИДЗЕ

Библиотекология, предмет и преподавание

РЕЗЮМЕ

В статье рассматриваются основные вопросы библиотековедения, как науки: предмет библиотековедения, какое место занимает библиотековедение в системе наук, на какие основные дисциплины распадается библиотековедение (классификация библиотекологических дисциплин), профиль библиотековеда, система преподавания библиотековедения и система подготовки библиотековедов.

В первой части статьи дан критический обзор взглядов представителей старой школы библиотековедения и книговедения Шреттингера, Отле, Эйхлера, Лисовского, Щелкунова, Ловягина, Куфаева и др. Основной их недостаток автор видит в техницизме, в чрезмерном сужении предмета библиотековедения, доведении его до уровня узкой—технической науки, в игнорировании читателя и в изъятии из сферы библиотековедения проблем изучения книги.

Современное советское библиотековедение не может удовлетвориться теми узкими техническими рамками, в которые была втиснута эта наука библиотековедами капиталистических стран. Советское библиотековедение основываясь на великом учении Маркса—Энгельса—Ленина—Сталина должно поставить перед собой более широкие и высокие задачи.

Проблема изучения читателя, методика обслуживания читателей на передний план была выдвинута советским библиотековедением. С этой точки зрения взгляды на предмет библиотековедения, высказанные Эйдельманом и Лигинским являются положительным шагом вперед. Однако автор находит, что и названными библиотековедами не был поставлен вопрос науки библиотековедения со всей широтой.

Автор определяет библиотековедение в широком смысле как науку о книге и читателе и об организации их взаимной связи, т. е. оно включает в себя не только вопросы организации библиотек, организации книжных фондов и выдачи книг,

но и книговедение, читателоведение, методику руководства чтением и работы над книгой. Книга—явление социальное. Библиотековедение, изучающее книгу и читателя и форму их организации, является социальной наукой и как таковая входит в систему социальных наук. Оно непосредственно подчинено диалектическому и историческому материализму и непосредственно связано с историей, педагогикой и документологическими науками (под этим последним автор подразумевает науки изучающие вопросы истории, организации и распространения документов как например архивоведение и музееведение).

Библиотекологию, т. е. библиотековедение, в широком смысле, автор делит на четыре основные отрасли: 1. Библиоисторию, 2. Б. Библиотекономию, 3. Библиографию и 4. Библагогику.

1. Библиоисторией автор называет науку, изучающую историю книги и библиотек. История библиотек тесно связана с историей книги. Тесная и органическая связь этих предметов, их общая судьба и общая их история ставит вопрос о необходимости общей исторической дисциплины библиоистории, которую в свою очередь можно затем (в пределах определенного периода и страны) подразделить на историю книги и историю библиотек.

2. Библиотекономия есть часть библиотековедения, которая изучает организацию библиотечного дела. Она делится на две части: 1. организация библиотечной сети и 2. организация библиотеки. В этот последний раздел должны войти не только вопросы оргструктуры, помещения и оборудования, планирования и финансирования, учета и отчетности, но и вопросы комплектования и организации книжных фондов, включая гигиену книги и книгохранилища. Отделение от организации библиотечного дела вопросов комплектования и организации книжных фондов—нецелесообразно и не может быть оправдано ни методологическими ни практическими соображениями.

3. Библиография—наука об описании и систематизации литературы. Она состоит из следующих трех основных разделов: 1. Учение о каталогах. Описание книги, библиографическая классификация, предметизация, организация каталогов; 2. Критическая и рекомендательная библиография, т. е. уче-

ние о методах реферирования, реферирования, аннотирования литературы и составления библиографических обзоров; 3. Библиографическое источниковедение.

По принятой до сих пор классификации библиотекологических дисциплин учение о каталогах или, иначе, организация каталогов выделена в самостоятельную часть библиотековедения, что не может не создать беспрецедентный в истории наук параллелизм: вопрос описания и классификации литературы становится предметом двух дисциплин—теории библиографии и организации каталогов. Этот параллелизм, при существующей классификации, может быть избегнут только путем доведения теории библиографии до источниковедения. Самый поверхностный просмотр существующих учебных планов и программ этих двух дисциплин подтверждает это положение. Поэтому учение о каталогах автор рассматривает, как часть библиографии.

4. Библагогика—наука изучающая читателя и методику обслуживания читателей, методику руководства чтением, работы над книгой, методику справочно-библиографической работы. Эта отрасль библиотековедения именуется „методикой работы с читателем". Это название слишком длинное и автор взамен предлагает термин „библагогику" (аналогично педагогике; от „библос" и „агогос", „библагогос" лицо проводящее, продвигающее книги в массы—проводник книги, „библагогия" проведение, продвижение книги, „библагогика"—наука о проведении—продвижении книги в массы).

Особую пятую отрасль составляет техническая наука—библиотехника изучающая технику оформления и печатания книги (полиграфическое искусство).

Таковы основные подразделения науки библиотековедения, в широком смысле.

По вопросу о профиле библиотековеда, и о подготовке высококвалифицированных библиотековедов автор придерживается того мнения, что библиотековед одновременно должен быть специалистом в той области литературы, с читателями которой он работает. Эта специальность не должна носить, конечно, узкий характер. Библиотековед работающий в массовых и школьных библиотеках и в научных библиотеках универсального или гуманитарного типа, должен быть одновремен-

но или историком или филологом-литературоведом. Вообще основная масса библиотечных работников должна иметь историческое или филологическое образование. Поэтому автор считает целесообразным в библиотековедческих институтах иметь факультеты историко-библиотековедческий, филолого-библиотековедческий и факультет детской литературы.

В статье большое внимание уделяется терминам и названиям. В частности название „Библиотечный институт" и „библиотечный факультет" автор считает неправильным (сравните школьный институт вместо педагогического института). Было бы более правильно и точно—„Библиотековедческий" или „библиологический" институт. (Библиологический, если мы библиологию будем понимать не как книговедение только, но и как читателоведение).

ზაქს. ბერძენიშვილი

პალატის სამეცნიერო საბჭოს წევრი

ჟურნალ „სინათლის“ განცხადება

ჟურნალ „სინათლის“ განცხადება ანუ, როგორც მისი გამოცემის ინიციატორები უწოდებენ, „გამოცხადება“ მეტად ძვირფასი და ყურადსაღები დოკუმენტია. იგი გადმოგვცემს უაღრესად მნიშვნელოვან ეპიზოდს ქართული პერიოდიკის ისტორიიდან და თანაც ახალი შუქფენით წარმოგვიდგენს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების რამდენიმე საგულისხმო შტრიხს იმ უღიმღამო წარსულიდან, როცა არც ჟურნალ-გაზეთები გაგვაჩნდა და არც მოგონებამემუარების, დღიურების და მისთანა ძვირფასი საისტორიო მასალის წერას ეტანებოდნენ ჩვენი მამა-პაპანი, რომ ნათლად დაგვენახა მათი ფსიქოლოგიური, ინტიმური სამყარო, უშუალო წყაროდან გაგვეგო, თუ რას უფიქრდებოდნენ, რა გრძნობები აღელვებდნენ და როგორ უყურებდნენ თავისი დროის სინამდვილეს.

ახლოდ ორიოდე მოწმობა მოიპოვება, ისიც მოგვიანო დროისა, რომელიც ნაწილობრივად გვივსებს წარსულის ამ ხარვეზს. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, მომსწრე უფროსი თაობისა, მის სულიერ ვითარებას შემდეგი სიტყვებით გვიხატავს: „დროთა ბრუნვამ, სხვა ნიაღჭარის ქროლამ სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროისთვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად, ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უსიხარულო ჭერ ქვეშ და იქ·ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისი ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემცნია... დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედნათ რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ“-ო[1].

ილია ჭავჭავაძის სურათი თითქოს არაა ჭარბად დამუქებული. აკაკი წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“ გვაძლევს ამის ცხოველ

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, თბ., 1927, გამ-ბა „ქართული წიგნი“, გვ. 93-94: „ვის ნათესხა გმკით? (მიწოდილია 1879 წლიდა)“.

ილუსტრაციას, წარმოგვიდგენს რა ერთს ამგვარს თავზარდაცემულ ქართველ ინტელიგენტს, 1832 წლის შეთქმულების ანუ „ყაზარმობის" აქტიურ მონაწილეს—ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანს, პოეტ ვახტანგის უფროს ძმას. აკაკის სიტყვით, ის „პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი იყო, ბევრი რამ ძველი თუ ახალი იცოდა, მაგრამ დღისით იმასაც არას ეტყოდა, ვისთანაც გულგახსნილად იყო; ღამე, როცა მარტოკა დარჩებოდა მეგობართან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვადასხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც სიფრთხილით სანთლებს აქრობდა!.. „ბნელში სჯობიაო", ერთხელ აი რა სთქვა ჩემ გაკვირვებაზე: „ბნელში საუბარი მიტომ სჯობს, რომ ვეღარავინ დაგვინახავს და ვეღარ შეგვიტყობს!"-ო[1].

თვით უფროსი თაობის წარმომადგენელიც გრიგოლ ორბელიანი თავისდაუნებურად ადასტურებს ილიას სიტყვას. პოეტი „სადღეგრძელოს" ეპილოგში გულს უშლის მოგვარე-ნათესავს პუპლიას და თავის მწარე ყოფას გამოტეხით უზიარებს:

„ან ეს რაცა ვსთქვი, რათა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა, ვერა ვსთქვი?
და ვერ ვსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დამშთა და მით ვიტანჯვი!..
მაგრამ თუ ვინმემ აქ ჰპოვა აზრი, ნაცნობი გულისა,
ვივიწყებ შხამსა, რაცა ცვლი ეკლიანს გზაზე სოფლისა!..

ეს სულიერი ტრაგედია, საბჭოეთის თავისუფალ მოქალაქეთათვის დღეს შეუცნობი (რადგან „ქვეყნის სასარგებლო ფიქრისა თუ საქმისათვის ეხლა, პირიქით, ახალისებენ და აჯილდოვებენ), არაა მარტო პოეტის პირადი მძიმე განცდა, ესაა დიდი დრამა ამ ორბელიანთა დროის მთელი მოაზროვნე ქართველობისა, ვისაც კი „გული კიდევ უცემდა ქვეყნისათვის".

რასაკვირველია, არც მაშინდელი რუსი ინტელიგენციის ყოფა იყო სახარბიელო, რადგან თავისი გულისნადების თქმა ეზოპის ენით უნდა მოეჭარგა, მაგრამ ქართველობის სულიერ ვითარებას ამძაფრებდა საერთო მიზეზის გარდა ეროვნული დაჩაგრულობაც. მართლაც, რა დუხჭირი პირობები უნდა ყოფილიყო შექმნილი საქართველოში, როცა „ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ", როცა არა თუ წერა მარტო, თქმაც კი უჭირდათ, ნაოქვამსაც კი ნანობდნენ: „ან ეს რაცა ვსთქვი, რათა ვსთქვი"-ო! ხოლო ნანობდნენ მი-

---

[1] აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1925, ჩემი თავგადასავალი, გვ. 48.

ტომ, რომ სათქმელიც შიშით თუ რიდით უთქმელი რჩებოდა: „რაც მინდოდა, ვერა ვსთქვი“-ო. ამ თაობას ნუგეშად მარტო ერთი რამ დარჩენოდა:

მარამ თუ ვინმემ აჭ ჰპოვა აზრი, ნაცნობი გულისა,
ვივიწყებ შხამსა, რაცა ვსვი ეკლიანს გზაზე სოფლისა!“-ო.

ამიტომ განსაკუთრებით ძვირფასია ამ უღიმღამო დროის თუნდაც გადაკვრით და სხვათა შორის წამოცდენილი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სიტყვა, თუ კი შიგ მოიპოვება „აზრი, ნაცნობი გულისა“. მით უმეტეს ფასდაუდებელი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიისათვის მთელი ჯგუფის, 27 კაცისაგან შემდგარი კრებულის, ერთსულოვანი და საჯარო თქმა. ასეთი კია უეჭველად ზემორე ხსენებული „გამოცხადება“.

ეს დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა ჟურნალმა „კვალმა“ 1896 წელს[1], ხოლო მეორედ დაბეჭდა პაატა გუგუშვილმა 1929 წ. [2]. პირველმა გამოსცა შეცდომებით, მეორემ კი გამოსტოვა მეტად საგულისხმო ერთი პასაჟი. გარდა ამისა არც ერთს მათგანს სათანადო სისრულით არ გაუმახვილებია მკითხველის ყურადღება ამ საბუთის დიდ ისტორიულ ღირებულებაზე. სწორედ ამ გარემოებათა გამო ვბედავთ მის ხელახალ პუბლიკაციას, დედანზე დამყარებით, და შეძლებისამებრ შეფასებას.

„გამოცხადების“ ორიგინალი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სახელნაწერო განყოფილებაში, ყოფილ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში 724 №-ით (Sd). იგი წარმოადგენს ერთს თაბახ ქაღალდს, დაწერილია ოთხ გვერდად მკრთალი მელნით, რამდენიმე ადგილას ჩართული აქვს სიტყვები სხვა ხელით და მუქი მელნით, ზოგან ფრაზები ხაზგადასმულია, თანაც დოკუმენტი უთარიღოა და უწვირნიშნო[2].

ეხლა გავეცნოთ თვითონ ტექსტს, რომელიც გადმოვიღეთ თითქმის უცვლელად[3].

---

[1] № 35, გვ. 628-630.

[2] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, თბ., 1929, გვ. 109-112.

[3] ცვლილება შემდეგია: ა) ამოვაგდეთ ძველი ასოები: უ ბრჯგტიანი, ე, ჯ, ჰ და ჳ; ბ) პუნქტუაცია ერთობ დედნისაა, ერთგან კი შევცვალეთ აზრის სიმკვეთრისათვის; გ) ამავე მიზნით ამზავებად ნაწილობრივად ჩვენვე დავყავით; დ) ჩანართი სიტყვები, მუქი მელნითა და სხვა ხელით რომაა შესრულებული, ჩავსვით კვადრატულ ფრჩხილებში (აქვე შევნიშნავთ, რომ „რედაქტორი“ ამ ჩანამატი სიტყვებით ზოგან ცდილა ტექსტის თამამი აზრის წერბილებას); ე) ჩვენივეა ხელისმოწერ პირთა დანომრვა. დედნის მოძიებისათვის ვჰადლობ დოც. დავ. გერიტიშვილს.

გამოცხადება

აწინდელი საქართველო-იმერეთის ღუბერნია ოდესმე ყვავილოვნებდა ჰსწავლითა და ხელოვნებითა. ღვაწლი დიდებულთა აქაურთა აღქსონთა ხმამაღლად ჟღერდა კეთილგონიერებასა და გარდიცემოდა საუკუნიდგან საუკუნეთა შინა, ჰსდევნიდა სიბნელესა უმეცრებისასა. საშუალ ბარბაროსთა მძვინვარებისა ქართველთა ჰქონდათ თვისი მოქალაქეობა, სამხედრო განწყობა და შეუპრყვილებელი უწმინდესი რელიღია.

აწ განათლებულნი საუკუნენი მოიწევნენ. ევროპამან შეიმოსა შვენიერი მეწამული უმაღლესისა განვითარებისა და მიუჩრდილებელნი სხივნი განუტევნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა,—ყოველნი ველურნი ერნი წარემატნენ სწავლათა შინა.

ხოლო საქართველო-იმერეთი, რომლისაცა განათლებაზედ ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ჩვენი არა ჰრიდებს არავითარსა წარსაგებელსა, ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპოვებოდა ქამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდაბრესსაცა [უზრუნველობისა გამო ჩვენისა]. აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი გინა შავთელნი და პეტრიწნი? სადღა ისმის ტკბილ-ხმოვანება ბესიკისა? სად გარდმოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთისმეტყველებითნი ტეკსტნი ანტონისანი? ყოველივე დრომან მიჰფარა და სიბრძნეცა ქართველთა, ვითა აჩრდილნი, მათთანვე წარხდნენ, დაუტევეს მხოლოდ კვალი ჩვენსა მეხსიერებასა შინა მათისა მყოფობისა...

აწ თუმცა ჰსჩანს ახალთა მოსწავლეთა შორის რაოდენიმე ნეშტი განათლებისა, მაგრამ თვინიერ ზნეობისა [და საზოგადო სარგებლობის მზრუნველობისა] იგიცა გარდაქცეულ არს სოფიზმის საფუძველსა ზედა; ამად აწინდელი ელვარე დრო ესე გვაქვს დამწარებული უმეცრებითა, სიბნელისა ფარდა გვიმრუმებს[1] მხედველობასა და შეცდომა ჩვენი უმეტეს უნებლიეთი, ვიდრე ნებსითი, ყოველსავე მფარველობასა უაღესუსტესისა ჩვენისა ერთმთავრისასა გვიხშავს; მიუცილებლად არ იქმნების სასიამოვნო ჩვენისა ხელმწიფისათვისაც, რათა ჰშთებოდეს ყოველივე მზრუნველობა და წარსაგებელი[2] მისი ჩვენზედ უნაყოფოდ.

---

[1] წინათ დაბეჭდილებში არის: „გვიმრუშებს". გვიმრუმებს, ე. ი. გვიმკრთალებს. სიტყვა განმარტებითაც მრუმე ან მრომი „ესე არს ბნელად სახინარი, გინა შავი ბინდის მსგავსი". (იოსებ ციციშვილის და აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1928, გვ. 228).

[2] „კვალში" დაბეჭდილია: „მხრუნველობა წარსაგებული", რაც აზრს აბუნდოვანებს.

თვით ამ ღუბერნიაშიაც მხოლოდ ძირეულნი ქართველნი არიან უკან დარჩენილნი.

სომეხნი გრიგორიანთ სარწმუნოებისანი და კატოლიკნი მოურულებელად [1] მეცადინეობენ ჰსწავლითა. პირველთა აქვსთ საკუთარი სასწავლებელი, სადაცა ყოველნივე საგანნი გარდმოიცემიან სომხურსა ენასა ზედა, აქვსთ საკუთარი კონსისტორია, საპატრიარხო საყდარი და [აქვსთ] განვითარებული ვაჭრობა, ხოლო უკანასკნელნი არიან დამწყსილნი ქართულსა ენასა ზედა პატრთა მიერ კაპუცინის ორდენისათა. [აქვსთ საზოგადო სათავნო, აქვსთ] გალობანი იტალიანურს ნოტზედ—ფსალმუნნი, შეწყობილნი მათს ორღანოზედ, მათთა ყრმათა მიერ გრგვინვენ ღვთისადმი, თუმცა ყრმებრივისა მდგომარეობითა, მარამ მაინც ყრმანი ღაღადებენ ეკლესიათა შინა შეწყობითა ორღანთა ზედა...

მხოლოდ ქართველნი ვართ მოკლებულნი ჩვენსა ყოველსავე აღმკობილებასა და სასარგებლოთა შემეცნებათა.—ერთი მხოლოდ უწმინდესი რელიღია ჩვენი—[სარწმუნოება], რელიღია აღმოსავლეთისა ეკლესიისა იპყრობს ჩვენსა ენასა სასწაულებითისა ძალითა თვისსავე ხარისხსა... შეენიერად ნათარგმნი საეკლესიონი წერილნი, დამცველნი ჩვენის ენის აღმკობილებისანი, კვალად ვერ გაუთალხებია დროსა, ვინაიდგან არიან კლასიკებრის უკვდავებით თარგმნილნი.

განათლებულთა ქართველთაგან რომელთამე გვამთა ამას წინათ დაუწყვიათ ქართულსა ენასა ზედ გამოცემა ჟურნალისა და უბედურთ შემთხვევათა გამო სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას [2] არა ჰქონია წარმატება. წარვიდა მან დრომან. ახალსა მოქალაქეობასა განსანათლებელად გულისა და გონებისა ესაჭიროების ახალი აზნაურებითი [3] საქმიანობა ჰსწავლათა და ხელოვნებათა შინა... ჟურნალი ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მოყვანებისა. ამისათვის აწცა ჰსურსთ რომელთამე გონიერთა ქართველთა, რათა გამოსცენ ესევითარი ჟურნალი,

---

[1] ორ წინა პუბლიკაციაში არის: „მოურიდებლად". მოურულებლად, ე. ი. რულის მოუკიდებლივ, დაუცხრომლად, შეუსვენებლივ, განუწყვეტლად.

[2] ფრაზა: „უბედურთ შემთხვევათა გამო სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას" წაშლილია წითელი ფანქრით და სიტყვა „გამო"-ს მერე ჩასმულია უადგილოდ „მაგრამ", რაც ჩვენ გამოვტოვეთ.

[3] სიტყვა „აზნაურებითი"-ს შემდეგ „კვალის" რედაქციას ფრჩხილებში ჩაუმატებია ვითომ განმარტებისათვის და კითხვითი ნიშნით „(კეთილშობილურის?)".

რომლისათვისაცა განუცხადებენ უპატივცემულესთ ჰსწავლასა და ბუნების ენის მოყვარულთა გვამთა, რათამცა ამ წინათგანზრახვაში იქონიონ თვითოეულმა შეძლებისამებრ თვისი მონაწილეობა.

ჟურნალსა ამას სახელი ეწოდების ს ი ნ ა თ ლ ე. გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდგან მამავალის წლისასა, თთვეში გამოვა თვითო წიგნი, რომელშიაც იქნებიან უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი ყოველთა საგანთათვის, ესე იგი: სამხედროთა და სამოქალაქოთ ზნეთათვის, ვაჭრობისათვის, წყაროებისათვის განმდიდრებისა, შინაურთა ეკონომიათათვის და მმართველობისათვის ყმათა [1] [და მამულთა], აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; აგრეთვე იქმნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი და თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდგან [გამოკრებილნი] ნაწყვეტნი და ქართული ლიტერატურა (აღმკობილი პროზა), სტიხნი და ღარმონიათა ნოტნი; სამუსიკო ხმათა და საეკკლესიოთა საგალობელთა. მეტოდა [მოძღვრება] სხვადასხვა სწავლათა და ხელოვნებათა, ზეგარდავლით რაოდენნიმე ცნობანი ევროპიულთ სხვადასხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და ჰსწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა, მხატვრობათა, მხაზველობათა და გამოჭანდაკებათა და სხვათა.

ხელის მომწერელნი იქმნებიან ორგვარნი: წევრნი და შემთხვევითნი.—წევრნი შეიძლება იქმნენ მხოლოდ ოთხასამდე—ჰსწავლულნი მცოდნენი ევროპიულთ ენათა ან ბუნებითისა ენისანი. ხოლო შემთხვევითი იქმნება რაოდენიც უნდა იყოს.—

წევრთა ექმნებათ ნება, რათა ჟურნალისტთა კანცელარიიდგან მოითხოვონ რაოდენიცა ენებოთ ეკზემპლიარი ჟურნალთა [და წიგნთა] დასარიგებელად შემთხვევითთა ხელმომწერთა ჯეროვანის ფასით და ეს [სათავნო] იქმნების კუთვნილი წევრთა, რომელთაც იმ სუმმით მხოლოდ შეუძლიანთ შეადგინონ ვითარიმე საზოგადო საბიბლიოთეკო კამპანია; ექმნებათ ნება, რათა მისცენ ჟურნალისტთა თავიანთი ჰაზრი ჟურნალის წარმატებისათვის, წარმოუგზავნონ საკუთარი თავიანთი დათხზულნი ან თარგმანილნი ყოველსავე საგანსა ზედა ჟურნალში დასაბეჭდავად და ექმნებათ მოკალათება შემწეობისა.

ხოლო ხელისმომწერთა შემთხვევითთა შეუძლიანთ იყიდონ მხოლოდ წიგნი-ჟურნალნი წევრთა ანუ ჟურნალისტთაგან, როგორც მორიგდებიან, წარსაკითხავად და შინ მისანახავს საუკუნოდ; უნდა კი მოაწერონ ხელი, საცნობელად ჟურნალისტთა და ყოველთა წევრ-

---

[1] იქვალში" ამის „ყურეთა".

თა, გამოცხადებაზედ, რომელიც ყოველთვე დაბეჭდილი წარეგზავნებათ თითოეულსა წევრსა.—

წევრნი ხელისმოწერისათანავე წარადგენენ ფულს თოთხმეტ მანათს და მიიღებენ ადგილობრივი მთავრობისა ან კეთილშობილ წინამძღომელთაგან კვიტანციას.—ჟურნალისტნი ამ საზოგადო სასარგებლოს წინათგანზრახვის დამბრკოლებელს მიზეზს არასა ჰხედვენ და, უკეთუ ვითარისამე შემთხვევით დაშთება შეუსრულებელ, მაშინ ყოველთავე ხელისმომწერთა უმიზეზოდ დაუბრუნდებათ უკანვე ფული.

ვინაიდგან ესრეთს საზოგადოს სასარგებლოს საგანზედ ერთის მამულისშვილთა ვერარა განასხვავებს, ამისთვის ჟურნალისტნი ყოველთა ქართველთა როგორც ბერძენთ სარწმუნოებისა, ისე კათოლიკთა და გრიგორიანთა და ყოველს ჰსწავლის მოყვარულთა გვამთა პატივისცემით გამოუცხადებენ საგანსა ამას: ყოველთა შეუძლიანთ, რათა იყვნენ როგორც შემთხვევითნი ხელისმოწერნი, ეგრეთვე წევრნიცა.—

1. კეთილშობილთ წინამძღვანელი პარუჩიკი თ. ალექსანდრე ერისთავი.
2. პრაპორჩიკი თ. როსტომ ერისთავი.
3. პრაპორჩიკი თ. ივანე ერისთავი.
4. შტაბს კაპიტანი თ. გიორგი ერისთავი.
5. პრაპორშიკი თ-დი გრიგოლ მაჩაბელი.
6. თ. მიხეილ ელისბარის-ძე მაჩაბელოვი.
7. თ. ელიზბარ ერისთავი.
8. პოდპორუჩიკი თ. დავით ბარძიმის-ძე მაჩაბელი.
9. კნეინა ქეთევან მაჩაბელოვისა.
10. პოდპორუჩიკი თ. გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ციციანოვი.
11. თ. ირაკლი ნიკოლოზის-ძე ციციანოვი.
12. თ. დიმიტრი შანშეს-ძე ერისთავი.
13. პომოშნიკი ოსეთის ოკრუჟნის ნაჩალნიკისა ზურაბ მორთულაძე.
14. ქარუმ ხაქარიას-ძე მაღალოვი.
15. პრაპორშჩიკი ელიაზარ თულაევი.
16. პროვინციალნი სეკრეტარი თ. ი. რატიევი.
17. კოლლეგსკი სეკრეტარი თ. დიმიტრი მაღალოვი.
18. პრაპორშჩიკი აზნაური სოლომონ ფურცელაძე.
19. პორუჩიკი თ. სვიმონ შალიკოვი.
20. პორუჩიკი თავადი ივანე აბაშიძე.

21. თავადი დიმიტრი აბაშიძე.
22. კეთილშობილი თედორე ქარუმიძე.
23. აზნაური სოლომონ რჩეულოვი.
24. კნეინა თინათინ ციცის[1].
25. ელისაბედ ჯავახოვისა.
26. თ. გივი ამილახვარი.
27. პრაპორშჩიკი ლუარსაბ ზედგინიძე.

—

ტექსტის გაცნობის შემდეგ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საინტერესოა ვიცოდეთ ხელმრთველ პირთა დამოკიდებულება განხრახული ჟურნალისადმი. ცხადია, ესენი არ არიან მომავალი ჟურნალის დამკვეთნი, გამომწერნი. არა, ჩვენი აზრით, რაკი ესენი ხელს აწერენ ჟურნალის ძირითად სტატუსს, სადაც გარკვეულია მისი შინაარსი-პროგრამა, პერიოდულობა, ფასი, ზედმეტი თანხის დანიშნულება „ვითარიმე შესაფერ სასარგებლო კამპანიისათვის“ ანუ, ჩვენი გაგებით, წამოწყებისათვის და მისთანა სხვა, შეიძლება ირქვას, რომ ესაა ჟურნალის დამაარსებელთა ანუ ინიციატორთა ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს „ჟურნალისტნი“. მართლაც ეს ნათლად ჩანს, თუ წავიკითხავთ ბოლო აბზაცის ნაწილს: „ჟურნალისტნი... პატივისცემით გამოუცხადებენ საგანსა ამას: ყოველთა შეუძლიანთ, რათა იყვნენ როგორც შემთხვევითნი ხელისმომწერნი, ეგრეთვე წევრნიც“-ო. ისინი სხვებს აუწყებენ თავიანთ „საზოგადო სასარგებლო წინათგანზრახვას“ ჟურნალის გამოცემისას და მოუწოდებენ—იყავით „საგნისა ამის“ გინდ შემთხვევითი ხელისმომწერნი, გინდ წევრებიო. აშკარაა, ხელმრთველნი არიან ინიციატორები.

ნათელია ამ საინიციატივო ჯგუფის სოციალური სახეც: იგი თავად-აზნაურულია. ორის (ქარუმ მაღალოვისა და ელისაბედ ჯავახოვის) გარდა ყველა აწერს თავის წოდებას („თავადი“, „კნეინა“, „აზნაური“, „კეთილშობილი“) და, თუ აქვს, თავის ჩინსაც.

არის გამონაკლისიც, ძერვე პირი ხელს აწერს მარტივად—„თ. დავით ბარძიმის-ძე მაჩაბელი“,— მაგრამ ხელოვნის წინ სხვა მუქი, შავი მელნით მიწერილია: „პოდპორუჩიკი“[2], ამ მაჩაბლის მარტივი ხელწერა შეიძლება იმით აიხსნას, რომ 1839 წლიდან სამსახურიდან გადამდგარი იყო[3] და ამიტომ აღარ მოაწერა ჩინი. ასევე

[1] გვარის ბოლო გარკვევით არ იკითხება.

[2] ხელი ჰგავს პოდპორუჩიკ გრიგოლ ნიკოლოზის-ძის ციციანოვისას (№ 10)

[3] გახ. „დროება“, 1873 წ., № 44.

მარტივად აწერს ხელს თ. დიმიტრი შანშეს-ძე ერისთავი (№ 12), თუმცა ის ჯერ კიდევ 1832 წელს ყაზარმობის დროს არტილერიის პრაპორშჩიკი იყო.

საგულისხმოა, რომ ამ საზოგადო მნიშვნელობის საქმეში მონაწილეობენ ქალებიც: კნეინა ქეთევან მაჩაბელოვისა (№ 9), კნეინა თინათინ ციციშვილი (№ 24), რომლის გვარი ვერ ამოიკითხეს დოკუმენტის გამომცემლებმა, და ელისაბედ ჯავახოვისა (№ 25).

მაგრამ უფრო ყურადსაღები ისაა, რომ ყველა თაოსანი გვარის მიხედვით ქართველია. აშკარაა, რომ იდეა ქართული ჟურნალის გამოცემისა ქართლში აღძრულა, აქტიურად სწორედ ქართველებს მორის წამოჭრილა.

უინტერესო და ზედმეტი არ იქნებოდა „სინათლის“ ინიციატორთა ვინაობის ცოდნაც, მაგრამ ორიოდეს გარდა უმრავლესობაზე არა ვუწყით რა. უფრო მნიშვნელოვანი კი იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რა პირობებში და სახელდობრ რომელმა აღძრა საკითხი ჟურნალის გამოცემისა ან ვინ შეადგინა ტექსტი ან კიდევ ვინ შეასწორა იგი? დაკვირვებამ დედნის ხელზე, სამწუხაროდ, ვერ მოგვცა გადაჭრილი დასკვნა ტექსტის დაწერისა თუ რედაქტორის შესახებ. ეს საკითხი თავის დროზე აინტერესებდა ჟურნალ „კვალის“ რედაქციასაც, რომელიც დოკუმენტის დაბეჭდვისას წერდა: „აქვე „სინათლის“ ხელისაძომწერთა სიაც დავსტამბეთ იმ განზრახვით, რომ შეიძლება ამ პირთა ოჯახებში ახ მათ მემკვიდრეთ შორის დარჩენილა რაიმე ცნობა, რაც ყოველ შემთხვევაში ნათელს ძოფენს ამ გამოცემის საქმეს“-ო. მაგრამ რედაქციის მიმართვას ჩვენი ინერტული საზოგადოება არ გამოხმაურებია, არც ვისმეს უთავნია სათანადო მასალის მოძიება-გამომზეურება არც მაშინ, არც შემდეგ. მოსალოდნელი იყო მთავრობის არქივებში მაინც დარჩენილიყო რაიმე ნიშან-კვალი „ამ საზოგადო სასარგებლოს წინათგანზრახვისა“, მაგრამ სათანადო ფონდების (მთავარმმართებლისა და გუბერნატორის) ნუსხათა გადასინჯვამ მოლოდინი არ გაგვიმართლა.

ასე რომ უნდა დავჯერდეთ იმას, რაც გავაჩნია, და ვცადოთ მისი ამეტყველება. „გამოცხადება“, როგორც ვსთქვით, უთარიღოა და თანაც დაწერილია უფილიგრანო ქაღალდზე, რაც აძნელებს მის დათარიღებას. ჟურნ. „კვალი“ ამის გამო შენიშნავდა: „როგორც ჩანს ერთი მხრით ხელმოწერილი პირებისაგან და მეორე მხრით თვით ხელნაწერის შინაგანი და გარეგანი თვისებისაგან (მაგ., ენა, ქაღალდი და სხვ.), ეს „გამოცხადება“ უნდა ეკუთვნოდეს დაახლო-

ვებით ამ საუკუნის მეორმოცე წლებს"-ო[1]. ხოლო დოკუმენტის მეორე გამომცემელი, პ. გუგუშვილი, წერს: „აუცილებლად მე-XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებს უნდა ეკუთვნოდეს"-ო[2]. ჩვენი აზრით კი, „კვალი" უფრო მართებულად ათარიღებს „გამოცხადების" დროს. ოღონდ საამისო საბუთად მარტო ენა, ქაღალდი და პიროვნებანი კი არ უნდა გამოვიყენოთ,—ეს თარიღს ვერ დაგვიზუსტებს,—არამედ უმთავრესად თვით ტექსტის ანალიზი. იქ არის ერთი ფრაზა, თარიღის გარკვევას რომ გვიადვილებს, სახელდობრ, დასაწყისი სიტყვები: „აწინდელი საქართველო-იმერეთის ღუბერნია ოდესმე ყვავილოვნებდა ჰსწავლითა და ხელოვნებითა"-ო. მაშ, „გამოცხადება" ეკუთვნის იმ დროს, როცა XIX საუკ. ადმინისტრაციულ ნომენკლატურაში არსებობდა „Грузино-Имеретинская губерния", ე. ი. 1841—1846 წლებს, რადგან მან მოქმედება დაიწყო 1841 წ. 1 იანვრიდან და გაისაძლისა 1846 წ. 14 დეკემბრამდე, როცა ამიერ-კავკასია გაიყო ჯერ ოთხ, მერე კი ხუთ გუბერნიად[3]. ამგვარად ირკვევა, რომ „გამოცხადება" დაწერილია ექვსი წლის მანძილზე: არა უადრეს 1841 წლისა და არა უგვიანეს 1846 წლის დამლევისა, სანამ არსებობდა „საქართველო-იმერეთის ღუბერნია".

მაგრამ 1841-1846 წლებს შორის სახელდობრ რომელ წელს დაიწერა ეს დოკუმენტი, არ ჩანს. ნიშნობლივად წელიწადს ვერ არკვევს „გამოცხადების" ვერც მეორე ფრაზა: „ჟურნალსა ამას სახელი ეწოდების სინათლე. გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველითგან მამავალის წლისასა". მაგრამ როგორც ეს „მამავალი წელი",—ამას დოკუმენტი არ გვიცხადებს.

ვცადეთ „გამოცხადების" თარიღის დაზუსტება ექვსი წლის ფარგლებში მის ინიციატორთა ბიოგრაფიული დეტალების გათვალისწინების გზით. ეს ხერხი, ჩვენში რომ არსებობდეს საცნობარო გამოცემანი (მაგ., ბიოგრაფიული ლექსიკონები, საგენეალოგიო სტატიები, „ნეკროპოლეში" ანუ მიცვალებულთა ეპიტაფიური ნუსხები და სხვ.), ალბათ მოგვცემდა დოკუმენტის დამათარიღებელს რაიმე უეჭველ მითითებას. გარეშე ამისა ეს ხერხი მაინც მოვიმარჯვეთ ზოგიერთი ინიციატორის მიმართ, მაგალითად, როსტომ ერისთავის

---

[1] 1896 წ., № 35.

[2] ქართული წიგნი, თბ., 1929, გვ. 109.

[3] В. Н. Иваненко. Гражданское управление Закавказьем, Тфл. 1901, стр. 297, 302, 376. ამ წლებში ა/კ ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთი იწოდებოდა „საქართველო-იმერეთის გუბერნიად", მეორე—„კასპიის ოლქად".

(ცნობილი დრამატურგისა და პოეტის გლუხაროჩის უფროსი ძმის) მიმართ (№ 2), ავრეთვე დიმიტრი მაღალაშვილის (№ 17) მიმართ. მაგრამ ხელწასაჭიდი არა მოგვცა რა: როსტომ ერისთავი გარდაიცვალა 1847 წ. 8 ოქტომბერს, როგორც მოწმობს მისი ეპიტაფია, დიმიტრი მაღალაშვილი კი—1849 წ. 10-11 მაისის შემდეგ [1]. მოკლედ: ორივე გარდაიცვალა იმ ხანებში, როცა „საქართველო-იმერეთის გუბერნია“ აღარ არსებობდა, ე. ი. „გამოცხადების“ Post-datierung-ის მომდევნო წლებში.

მივმართეთ კეთილშობილთ წინამძღომელს პოროუჩიკს ალექსანდრე ერისთავსაც, რომელიც პირველი აწერს ხელს ჩვენს დოკუმენტს. არც მისმა ბიოგრაფიამ მოგვცა რაიმე უეჭველი რეალია, „გამოცხადების“ დასათარიღებლად ვარგისი. 1845 წ. 12 თებერვალს გუბერნიის მარშალი გუბერნატორს უგზავნის ფულს, რაიც გადაუხდევინებია გორის მაზრის წინაძღოლ პოროუჩიკ ერისთავისთვის მესაძე ხარისხის სტანისლაევის ორდენის მიღების გამო [2]. იმავე 1845 წ. ივნის-ივლისში ეს ერისთავი, როგორც თავად-აზნაურთა ასეულის უფროსი, ლაშქრობაშია და ანდის მაღლობებზე იერიშის მიტანისათვის 11 ივნისს დაჯილდოვებულია მეოთხე ხარისხის ვლადიმირის ჯვრით, თანაც ერთდროულად სანი ჩინით არის მოხსენებული: პოროუჩიკად, სამსახურიდან გადამდგარ პოროუჩიკად და გადამდგარ კაპიტანადაც [3]. პირველი ცნობა ამ ერისთავის შესახებ მარტო იმით არის ყურადსაღები, რომ გვიდასტურებს, თუ რომელ მაზრაში ყოფილა პოროუჩიკი ერისთავი წინამძღოლად, რაც ისედაც ცხადი იყო ჩვენთვის; მეორე ცნობა კი გამორიცხავს ალექსანდრე ერისთავის ყოფნას ქართლში 1845 წლ. ივნის-ივლისში, ძაშასადამე, „გამოცხადება“ ამ თვეებში ვერ დაიწერებოდა: მისი პირველი ხელმრთველი ლაშქრად არის წასული.

შედარებით „ხვავიანი“ ჩანს „პომოშნიკი ოსეთის ოკრუჟნის ნაჩალნიკისა ხურაბ ძოროთულაძე“ (№ 13). იგი ხელს აწერს ჩინის ალუნიშნავად, ნუ თუ თავმდაბლობით? ეს თავმდაბლობა მისი საეჭვოა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩინით თავმომწონეობა თითქმის ყველა ხელმრთველს ახასიათებს, თუ თავმომწონეობით არა, სხვაგვარად ვერ

---

[1] Газ. „Кавказ“, 1850 г., февр. 14.

[2] Центр. Историч. Архив Грузии, ф. 16 (152), д. 8833: приходо-расходные документы на продажу в Горийском уезде экземпляров „Барсова кожа“, л. 12.

[3] А. Гизетти. Сборник сведений о георгиевских кавалерах, Тфл., 1901, стр. 80.

ავხსნით დავით მაჩაბლის ხელმოწერის წინ პოდპორუჩიკის ჩინის სხვა მელნით და გინდაც სხვა ხელით მიწერას[1]. მერე: თუ მორთულაძე ნამდვილად თავმდაბალი იყო, მაშინ რატომ-ღა აწერს თავის სრულ ტიტულს—„პომოშნიკი ოსეთის ოკრუჟნის ნაჩალნიკისა“? ამიტომ ვფიქრობთ, რომ მისი თავმდაბლობა გამოსარიცხია: ისიც მოაწერდა თავის ჩინს, რომ იგი ჰქონოდა. პირველი ჩინი კი, კოლეგსკი რეგისტრატორისა (რანგით XIV კლასისა), ჰეროლდიაში მას გაუფორმდა 1845 წ. 8 დეკემბერს, რაც საქართველოში ეცნობათ 1846 წ. 18 იანვარს, ადგილობრივად კი გამოეცხადათ 9 მარტს[2]. ასე რომ თუ უკუვაგდებთ მორთულაძის თავმდაბლობის აზრს და თანაც მნიშვნელობას მივცემთ მის უჩინოდ ხელწერას, გამოდის, რომ ზურაბ მორთულაძეს „გამოცხადებაზე“ ხელი მოუწერია 1846 წ. 9 მარტზე ადრე, ი. ი. ჩინის მიღების ოფიციალურად გაგებამდე.

ასეა თუ ისე დოკუმენტის ანალიზი, კერძოდ კი ორიოდე ხელმოწერის ბიოგრაფიული დეტალიზაცია თარიღს საჭირო და უეჭველი ზედმიწევნილობით ვერ გვიზუსტებს.

მაგრამ ძოიპოვება ერთი მითითება, რომელიც, შეიძლება ითქვას, „გამოცხადების“ თარიღს აზუსტებს მეტნაკლებად. ზაქარია მიხეილის-ძე ფალავანდიშვილი (1818-1845) ა.კად. მარი ბროსეს 1844 წ. 30 ივნისს სხვათა შორის სწერს: „მთავარმმართებელი ბევრს ცდილობს ცხოვრების ყოველგვარად გაუმჯობესებისათვის. ამ წლის ბოლოს ან მომდევნო წლის დასაწყისში ჩვენ გვექნება გაზეთი პოლიტიკური და ლიტერატურული რუსულ, ქართულ და თათრულ ენებზე; მთავრობა ამაზე მუშაობს. ლაპარაკობენ, გორში სურთ იქონიონ ქართული ჟურნალი“-ო[3].

თემატიკური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ფალავანდიშვილის ცნობა, რომ 1844 წელს ივნისში გორში სურთ ქართული ჟურნალი იქონიონო. ბუნებრივად, თავის თავად მოგდის კაცს ფიქრი, რომ ფალავანდიშვილის ჟურნალი ის „სინათლე“ უნდა იყოს, რომლის გამოცემის „წინათგანზრახვა“ სწორედ ქართლელებს შორის აღიძრა, ქართლში დაიბადა. „კეთილშობილთ წინა-

---

[1] ხელი ჰგავს პოდპორუჩიკ თ. გრიგოლ ნიკოლოზის-ძის ციციანოვისას (№ 10).

[2] შ. ჩხეტია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, I, თბ., 1945, გვ. 316, 324.

[3] S 4797; ხაქ. ფალავანდიშვილის შესახებ ჩვენ მიერ მოხსენება ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილებას 1945 წ. ზაფხულში (წინასწარ) და დეკემბერს, ხოლო აკადემიის სახ. მკც განყ-ბის XXIV სამეცნიერო სესიას 1947 წ. 12 აპრილს.

მძღომელი პორუჩიკი ალექსანდრე ერისთავი", რომელიც პირველი აწერს ხელს „გამოცხადებას", მაშასადამე, ამ საქმის თაოსნის როლში გვევლინება, ხომ მართლაც გორში ცხოვრობდა! გარდა იმისა, რომ თანაქდებობა მოითხოვდა ბინა სწორედ მაზრის ცენტრში—გორში—ჰქონოდა, ისედაც ვიცით, რომ ეს ერისთავი 1850 წ. 17 სექტემბერს გორში მაიღებს თავის სახლში ხელმწიფის მემკვიდრეს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს[1]. მერე: უსაფუძვლო იქნება იმის ფიქრი, რომ მაშინდელ პირობებში, როცა სრულიად არ გაგვაჩნდა ჟურნალ-გაზეთები, ქართველ საზოგადოებას ერთსა და იმავე ადგილას და ერთს დროს ერთბაშად ორი ჟურნალის გამოცემა განეზრახა, ამის ფიქრ-ვარაუდი სინამდვილის შეუსაბამო და ანტიისტორიული იქნებოდა. ამიტომ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ გორელთა სურვილი ქართული ჟურნალის გაჩენისა, რასაც ზაქარია აცნობებს ბროსეს, და ქართლელთა „გამოცხადება" ერთსა და იმავე ლიტერატურულ ფაქტს გულისხმობს, რომ გორელთა ქართული ჟურნალი არის სწორედ ჩვენი „სინათლე". ადგილისა და დროის დაძთხვევა, რასაც შეიცავს ფალავანდიშვილის ცნობა, არა თუ არ შეიძლება უგულვებელვყოთ, არამედ საშუალებას გვაძლევს „გამოცხადება" ზუსტად დაკათალიღოთ: იგი დაწერილია 1844 წელს. შეიძლება იმის ფიქრიც, რომ რაკი ქართლელთა განზრახვა ჟურნალის გამოცემისა ფალავანდიშვილმა იცის უკვე 1844 წ. 30 ივნისისათვის, „გამოცხადებაც" ამის ახლო ხანებში იყოს დაწერილი, ამის შემდეგ გარკვეულად ჩაითვლება „მაძავალი წელიც", როცა ქართლელები აპირებდნენ ჟურნალის გამოცემის დაწყებას. ესაა 1845 წელი.

—

„გამოცხადება", როგორც ვთქვით, მეტად ძვირფასი დოკუმენტია. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას ეძინება ახალი ფაქტი: 1844 წელს ქართლის თავად-აზნაურულ ინტელიგენციას განუზრახავს 1845 წლის 1 მაისიდან გამოეცა ყოველთვიური ქართული პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურნალი „სინათლე" და, ჩანს, სათანადო ნებაც მიუღია ამისი ძთავრობისაგან. გარეშე ნებართვისა, რასაკვირველია, ჩინოსანი ხალხი ჯერ ერთი ვერ გაბედავდა კოლექტიურად ხელი მოეწერა დოკუმენტზე და მერე ტექსტში ისიც გამოეცხადებინა, რომ „წევრნი ხელისმოწერისათანავე... მიიღებენ

---

[1] Из записок князя Амилахвари. Кавказ. Сборник, т. XXVII, Тфл., 1908, стр. 369-370, 409-410.

ადგილობრივი მთავრობისა ანუ კეთილშობილ წინაჰძღომელთაგან კვიტანციას"-ო. ნებართვის მიღებასვე გვაფიქრებინებს შემდეგი ფრაზაც: „ჟურნალისტნი ამ საზოგადო სასარგებლოს წინათგანზრახვის დამბრკოლებელს მიზეზს არასა ჰხედვენ"-ო. მთავრობის თანხმობა, თუნდაც პრინციპული და მარტო სიტყვიერი, უეჭველია.

ამ დოკუმენტის ისტორიულ ღირებულებას ისიც შეადგენს, რომ 1844 წელს, ნეიდჰარტის მთავარმმართველობის დროსვე, ჩვენს მაშინდელ ინტელიგენციას—ასეთად კი შეიძლება ვიგულისხმოთ „სინათლის" ჯგუფი—შეგნებული აქვს ქართული პერიოდული ორგანოს მნიშვნელობა და მისი გაჩენის საჭიროება. ასე რომ მეფისნაცვალმა ვორონცოვმა მას მხოლოდ განუხორციელა მანამდე უკვე მომწიფებული მოთხოვნილება, განუხორციელა 7 წლის დაგვიანებით—1852 წელს და „სინათლესთან" შედარებით საკმაოდ შეკვეცილად, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

მაგრამ „გამოცხადება" ჩვენთვის განსაკუთრებით იმით არის მნიშვნელოვანი და ძვირფასი დოკუმენტი, რომ მისი შესავალი ნაწილი წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, თავისებურ პოლიტიკურ დეკლარაციას. ეს პირველი ნახევარი „გამოცხადებისა" უჩვეულო ნაწილია ჟურნალ-გაზეთის მსგავს ანონს-განცხადებისათვის, მეტადრე უჩვეულო და მოულოდნელია თამამი თქმა იმ დროს, როცა „ყველა შიშობდა ემოქმედნა რამე, ერთმანეთის ნაჩვასაც კი ერიდებოდა", როცა „ხმის კანკალით" და „ბნელ'ში ამჯობინებდა მეგობართან ლაპარაკს, რომ ვეღარავინ დაგვინახოს და ვეღარ შეგვიტყოსო", როცა ყველა ნაბობდა „ან ეს რაცა ვსთქვი, რათა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა, ვერა ვსთქვიო".

ქართლის თავად-აზნაურობა „სინათლის" ჯგუფის სახით „გამოცხადებაში" ხაზს უსვამს ქართველობის უუფლებობას სხვა ერებთან შედარებით. აი როგორი სიტყვებით ამტკიცებს იგი ამგვარ მდგომარეობას: „თვით ამ ღუბერნიაშიაც მხოლოდ ძირეულნი ქართველნი არიან უკან დარჩენილნი. სომეხნი გრიგორიანთ სარწმუნოებისანი და კათოლიკნი მოურულებელად მეცადინეობენ ჰსწავლითა. პირველთ აქვსთ საკუთარი სასწავლებელი, სადაცა ყოველნივე საგანნი გარდმოიცემიან სომხურსა ენასა ზედა; აქვსთ საკუთარი კონსისტორია, საპატრიარქო საყდარი და განვითარებული ეპარქია. ხოლო უკანასკნელნი არიან დამწყსილნი ქართულსა ენასა ზედა პატრთა მიერ კაპუცინის ორდენისათა. აქვსთ.. გალობანი იტალიანურს ნოტზედ—ფსალმუნნი, შეწყობილნი მათს ორღა-

ნოზედ, მათთა ყრმათა მიერ გრგვინვენ ღვთისადმი... მხოლოდ ქართველნი ვართ მოკლებულნი ჩვენსა ყოველსავე აღმკობილებასა და სასარგებლოთა შემეცნებათა".

„გამოცხადებაში", როგორც ვხედავთ, მისი ავტორები ორგზის აღნიშნავენ ბაზგასმით თავიანთ ხალხის უუფლებო ყოფა-ვითარებას. სომხებს ჩვენს სამშობლოშიაც კი („თვით ამ ღუბერნიაშიაც") შეუძლიანთ დაუცხრომლად იმეცადინონ თავიანთ მშობლიურ ენაზე, აქვთ თავიანთი სასწავლებელი, სადაც ყველა საგანს დედაენაზე სწავლობენ, აქვთ თავიანთი საეკლესიო მმართველობა („კონსისტორია და საპატრიარქო საყდარი"), ე. ი. ჰყავთ საკუთარი სასულიერო მესვეური—კათალიკოსი, აქვთ ნივთიერი სახსარი („განვითარებული ვაჭრობა"), ხოლო ქართველები ყოველივე ამას მოკლებულნი ვართო. საჟურნალო ანონსისათვის, რასაც წარმოადგენს „გამოცხადება", ამგვარი მოტივაცია,—ვიმეორებთ,—არაა ჩვეულებრივი. მაგრამ მას თუ ვხედებით აქ, ვხედებით სწორედ იმიტომ, რომ ქართველობას აწუხებს, სჩაგრავს თავისი ასეთი უუფლებო მდგომარეობა და ისიც, სარგებლობს რა შემთხვევით, სჩივის, მოსთქვამს თავის მწარე ყოფას. მარტო ის რად ღირს, რომ „სინათლელები" ბედავენ თქმას: თვით ჩვენს სამშობლოში სხვები სარგებლობენ „ყოველივე აღმკობილებით და სასარგებლო შემეცნებით". და „მხოლოდ ქართველნი ვართ ამას მოკლებულნი"-ო! ეს მოტივაცია ყურადსაღები და საგულისხმო უფრო მიტომაა, რომ მას შემდეგშიაც, XX საუკ. დამდეგსაც კი, არა ერთხელ ვხვდებით ქართულ პრესაში და ცალკეულ ჯგუფთა პოლიტიკურ გამოსვლებში.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო—ამას „სინათლელები" თუმცა პირდაპირ არა წერენ, მაგრამ აშკარად კი გულისხმობენ—საქართველო კულტურულად უკან მიდისო. ეს ჰანგი მკვეთრად გაისმის „გამოცხადების" შესავალ ნაწილში, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: „ღვაწლი დიდებულთა აქაურთა ავქსონთა ხმამაღლა ჟღერდა კეთილგონიერებასა და გარდაიცემოდა სიუკუნიდგან საუკუნეთა შინა, ჰსდევნიდა სიბნელესა უმეცრებისასა. საშუალ ბარბაროსთა მძვინვარებისა ქართველთა ჰქონდათ თვისი მოქალაქეობა, სამხედრო განწყობა და შეუპრყვილებელი უწმიდესი რელიგია. აწ განათლებულნი საუკუნენი მოიწევნენ. ევროპამან შეიმოსა შვენიერი შეუშამფლი უმაღლესისა განვითარებისა და მიუჩრდილებელნი სხივნი განუტევნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა,—ყოველნი ველურნი ერნი წარემატნენ სწავლათა შინა. ხოლო საქართველო-იმერეთი... ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპო-

ვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა... აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი გინდა შავთელნი, რუსთველნი თუ პეტრიცნი? სადღა ისმის ტკბილხმოვანება ბესიკისა? სად გარდმოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთისმეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი? ყოველივე დრომან მიჰფარა და სიბრძნეცა ქართველთა, ვითა აჩრდილნი, მათთანავე წარხდნენ, დაუტევეს მხოლოდ კვალი ჩვენსა მეხსიერებასა შინა მათისა მყოფობისა"...

„გამოცხადების" შესავალში ეს ადგილია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ვინაიდან სწორედ აქ მოისმის მოთქმა დაკარგულ თავისუფლებაზე. „სინათლელები" სწორედ აქ წერენ, რომ „საშუალ ბარბაროსთა მძვინვარებისა ქართველთა ჰქონდათ თვისი მოქალაქეობა, სამხედრო განწყობა და შეუპრყვილებელი რელიღია", რომ ბარბაროსთა მძვინვარების დროს ქართველებს ჰქონდათ „თვისი მოქალაქეობა", ჰყავდათ საკუთარი ჯარი („სამხედრო განწყობა"), გააჩნდათ სლავურით შეუბღალავი სარწმუნოება: „შეუპრყვილებელი უწმიდესი რელიღია" სწორედ იმას ნიშნავს, რომ სარწმუნოება დღეს შებღალულია. მაგრამ რას ნიშნავს „თვისი მოქალაქეობა", რომელსაც „სინათლელები" პირველ რიგში მისტირიან? ესაა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, იგივე „საკუთარი მდგომარეობა", რომელზედაც 12 წლის წინათ სოლომონ დოდაშვილი წერდა თავის პროკლამაციაში: „ქვეყნის დაარსებიდგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა... და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი"-ო[1]. „მოქალაქეობა" რომ მაშინდელ ქართველობას ესმოდა სწორედ „პოლიტიკის" მნიშვნელობით, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი. წარსული საუკუნის 30-ან წლებში მთავრობამ მოისურვა დაეზუსტებინა სია იმ თავად-აზნაურთა, ვისაც უფლება არ ჰქონდა მარშალთა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, ასეთებად კი გულისხმობდა ოდესმე, აჯანყებათა დროს, რებრესირებულთ და ამ მიზნით მაზრის მარშლებს წინადადება მისცა—წარმოადგინეთ სიები შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემითო: სახელდობრ რომელი იყო თავად-აზნაურთაგანი ციმბირს გადასახლებული სასამართლოს გარეშე? რომელი პოლიტიკური გარემოების გამო? როდის მოხდა უმაღლესი ბრძანება (повеление) მათი დაბრუნებისაო? სია-პასუხი გუბერნატორს წარუდგინა სხვათა შორის გორის მაზრამაც. სიას

---

[1] 1832 წლის შეთქმულება, ტ I, თბ., 1935, გვ. 95.

ხელს აწერს „გორის უეზდის კეთილშობილთ წინამძღომელი შალვა ერისთავი მაისის ლა (31) დღესა ჩყლბ-ს (1832) წელსა გორის ქალაქით № 47“ [1], რომელმაც სიას სათაური ასეთი მისცა: „სია გაგზავნილთა სიბირის პოსელენიაში გორის უეზდიდგან თავადთა და აზნაურთა სოქალაქობის გარემოებით“ [2]. მთავრობის მეორე კითხვა— по каким политическим обстоятельствам— სწორედ გორის მაზრამ, ქართლმა, გაიგო როგორც „მოქალაქობის გარემოება“. ცხადია, მოქალაქობა პოლიტიკის შესატყვისად ესმოდა და მიტომ.

„გამოცხადების“ მოყვანილი ადგილის წაკითხვისას დიდი მიხვედრილობა არაა საჭირო, რომ კაცმა სიტყვასა და სიტყვას შუა ამოიცნოს „აზრი, ნაცნობი გულისა“, გაიგოს, რა აწუხებს „სინათლელებს“. რა სწყურიათ და რისკენ მიილტვის მათი გული და გონება. ამ ჰასაჟში, სადაც თითოეული სიტყვა ბევრის მთქმელია და ამიტომ ხაზგასასმელიც, მკაფიოდ, მოკვეთილად და მკვეთრად ყველაფერია თქმული. აქ ვამჩნევთ მშობლიური ქართულით აღტაცებათავმოწონებას: „ერთი მხოლოდ რელიგია ჩვენი, რელიგია აღმოსავლეთისა ეკლესიისა იპყრობს ჩვენსა ენასა სასწაულებითისა ძალითა თვისსავე ხარისხსა... შენიერად ნათარგმნი საეკლესიონი წერილნი, დამცველნი ჩვენის ენის აღმკობილებისანი, კვალად ვერ გაუთალხებია დროსა, ვინაიდგან არიან კლასიკებრის უკუდავებით თარგმნილნი“; აქ არის წარსულის გაიდეალება: დიდებულ ქართველ მწერალთა ნაღვაწევი ხმამაღლა მოწმობდა „კეთილგონიერებასა“ და არღვევდა უმეცრების წყვდიადს; აქ მოიპოვება მოთქმაც, რომ „ყოველიე დრომან მიჰფარა“ და „ვითა აჩრდილი წარხდა“; ჩანს მათი დროის უხარბიელობის კონსტატაცია და მისი ავად შეფასება: „საქართველო-იმერეთი... ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა“-ო; ვხედავთ, რომ მისტირიან „ბარბაროსთა მძვინვარების“ დროსაც კი მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ „ქართველთა ჰქონდათ თვისი მოქალაქეობა, სამხედრო განწყობა და შეუპრყვილებელი რელიგია“. მოკლედ: ყოველი ფრაზა „სინათლელებისა“, არქაულად გამართული, ღრმა აზრითაა მოსილი და მოწყლული გრძნობით გამთბარი. რატომ წერენ და იგონებენ ყოველსავე ამას „გამოცხადების“ ავტორები? აწუხებთ ყოველიე ამის დაკარგვა,

---

[1] ЦИАГ, ф. 16 (152), д. № 4073, л. 64.

[2] ibid., л. 60.

სწყურიათ „მოქალაქეობაც“, „სამხედრო განწყობაც“, „შეუპრყვილებელი რელიღიაც“ და მიტომ. „აზრი, ნაცნობი გულისა“, ნათელია.

გავყვეთ „სინათლელების“ აზრთა სელას. „აწ განათლებულნი საუკუნენი მოიწივნენო“, წერენ ისინი, ე. ი. დადგა განათლებული დრო, ევროპა უმაღლესი განათლებით მოსილ-შემკობილია და მისი შუქი მსოფლიოს ყველა კუთხეს ანათებს („ევროპამან შეიმოსა შვენიერი მეწამული უმაღლესისა განვითარებისა და მიუჩრდილებელნი სხივნი განუტევნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა“), ველური ხალხიც კი განათლდაო („ველურნი ერნი წარემატნენ სწავლათა შინა“). მაშასადამე, სწორედ ეხლა, განათლებულ საუკუნეში, ქართველობას უნდა ჰქონოდა „თვისი მოქალაქეობაც“, „სამხედრო განწყობაც“ და „შეუპრყვილებელი რელიღიაც“. ასეთი უნდა ყოფილიყო აზრთა ლოგიკური დინება და სიტყვიერი ფორმა. მაგრამ „სინათლელები“ წერტილს სვამენ, აზრს დაუმთავრებლად სტოვებენ, ლოგიკურ დასკვნას არ იძლევიან თქმულისას. გასაგებიცაა: ამას ვერა ბედავენ, ამას იტყვის ოციოდე წლის მერე ილიას მოხევე მხოლოდ. ესეც არ იყოს, ისინი ხომ მარტო ჟურნალის „გამომცხადებელნი“ არიან, ამიტომ არც შორდებიან თავის სფეროს და „გამოცხადების“ თემატიკის ვიწრო ჩარჩოებში მოქცეულნი მარტო იმის თქმას ბედავენ, რომ „საქართველო-იმერეთი... ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა“-ო. სხვაგვარად: საქართველო უფრო დაბალ საფეხურზეა დღეს, ვიდრე იყო მტრისაგან შევიწროების ჟამსო. თუ აქ მარტო ენას არ ვიგულისხმებთ, არამედ განათლება-კულტურას ფართო გაგებით, მაშინ ეს ფრაზა უდავოდ გადაჭარბებულ თქმად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ამგვარი გაზვიადებული თქმაც ამავე დროს სასურველ იდეალსაც იყო დიდად დაცილებული და დუხჭირი სინამდვილით ნაკარნახევ-გამოწვეული. ესეც იმ დროის კვალობაზე დიდი სითამამე იყო „სინათლელების“ მხრივ, თუ გნებავთ, უარყოფითი შეფასებაც „რუსობის დროს“ მონაპოვარი განათლება-კულტურისა.

გავიხსენოთ შედარების აზრით, როგორ დადებითად აფასებს ამ ერთ-ერთს მონაპოვარს „რუსობის“ ჟამს თავის „კავკასია“-ში მაშინდელი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე:

„განიხსნა გზა და ეშვა ივერიელთა სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“ [1].

---

[1] ალექსანდრე ჭავჭავაძე. თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 78.

მსგავსადვე მეორე მაშინდელი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ მონაპოვარის დადებით შეფასებას შემდეგი სიტყვებით ჩაუწერს თავის მოგვარე ნუმიზმატს მიხ. ბარათაევს ალბომში:

„...შენ შვილთ...
მოაკვთ მამულში განათლება და ხმა საამო...
და მუნით ჰხიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალათ ერთი ათასად!"-ო[1].

„სინათლელები" კი ამ განათლების „ძვირფას თესლსაც" იწუნებენ: „იგიცა ნეშტი განათლებისა გარდაქცეულ არს სოფიზმის საფუძველსა ზედა"-ო, წერენ ისინი თავიანთ „გამოცხადებაში". მათი მსჯელობა ასეთია: ცარიზმის პირობებში ყველაფერს მოკლებულ ქართველებს თუმცა განათლების მიღება შეუძლიანთ, მაგრამ ისიც სოფიზმის, ე. ი. ყალბსა და არა საღს საფუძველზე, ჩვენი გაგებით, არა მშობლიურ დედაენაზე, არის აგებულიო... ესეც, ვიმეორებთ, გამბედაობაა და საუკეთესო ქართველ პოეტთა სახით მაშინდელ მოწინავე ქართველობაში გაბატონებული აზრის დაპირისპირებულ შეფასებას წარმოადგენს.

„გამოცხადება" საინტერესო დოკუმენტია იმ მხრივაც, რომ იგონებს, რა თქმა უნდა, ყრუდ, ახლო წარსულსაც, 1832 წლის შეთქმულებას ანუ ყაზარმობას და ამით ამჟღავნებს მის ავტორთა თუ საერთოდ ხელმძღვანელთა სულიერ კავშირს, იდეურ ნათესაობას ამ თვალსაჩინო მოვლენასთან, თუმცა ბოდიშებითა და ლოიალური ფრაზებით არის დანისლული ეს კავშირ-ნათესაობა. „აწინდელი ელვარე დრო ესე—ვკითხულობთ „გამოცხადებაში"—გვაქვს დამწარებული უმეცრებითა, სიბნელისა ფარდა გვიმრუმებს მხედველობასა და შეცდომა ჩვენი, უმეტეს უნებლიეთი, ვიდრე ნებსითი, ყოველსავე მფარველობასა უაღუსტესისა ჩვენისა ერთმთავრისასა გვიხშავს"-ო. რა შეცდომაა ეს შეცდომა, უფრო უნებლიეთი, ვიდრე ნებისმიერი, რომელიც „სინათლელებს" უხშავს იმპერატორის მფარველობას? აშკარაა და უცილობელი, რომ აქ იგულისხმება 1832 წლ. შეთქმულება!

ამას გვიმოწმებს „გამოცხადების" მეორე ფრაზა, ცოტა ქვემოთ თქმული, სადაც გახსენებულია იგივე შეცდომა, ახლა უკვე „უბედურ შემთხვევად" სახელდებული და მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილის სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურულ საქმიანობასთან დაკავშირებული. აი ეს ფრაზა: „განათლებულთა ქართველთაგან რომელთამე გვამთა ამას წინათ დაუწყვიათ ქართულსა

[1] „საფლავი მეფის ირაკლისა", 1922 წლის გამოცემით, გვ. 22.

ენასა ზედა გამოცემა ჟურნალისა და უბედურთა შემთხვევათა გამო სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას არა ჰქონია წარმატება“-ო.

პირველ ყოვლისა: ვინ არიან ეს „განათლებულთა ქართველთაგან რომელნიმე გვამნი“, რომელთაც „ამას წინათ დაუწყვიათ ქართულსა ენასა ზედა გამოცემა ჟურნალისა“? რასაკვირველია, ეს არიან სოლომონ დოდაშვილი და მისი მოსაგრენი—ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, გიორგი დავითის-ძე ერისთავი (გლუხარიჩი) და სხვანი, რომელთაც მართლა „ამას წინათ“, 1832 წელს, დაიწყეს გამოცემა ქართული ჟურნალისა სახელწოდებით „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ასე რომ არავითარი ეჭვი არა რჩება იმისი, თუ ვის გულისხმობენ „სინათლელები“ ქართული ჟურნალის გამომცემელ „განათლებულთა ქართველთაგან რომელიმე გვამებად“ და მეორე მხრით რა „უბედური შემთხვევა“ და „შეცდომა, უმეტეს უნებლიეთი, ვიდრე ნებსითი“ აქვთ ნაგულისხმევი „გამოცხადების“ ავტორებს. ესაა 1832 წლის შეთქმულება უეჭველად.

მერე: მნიშვნელოვანია უდავოდ ზემორე ციტირებულ ფრაზაში ბოლო სიტყვებიც: „და უბედურთა შემთხვევათა გამო სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას არა ჰქონია წარმატება“-ო.

საგულისხმოა და აღსანიშნავი, რომ ამ წინადადებაში, როგორც გვიჩვენებს თვით დედანი, წითელი ფანქრით წაშლილია სიტყვები: „უბედურთა შემთხვევათა გამო სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას“ და ამრიგად რჩება მარტო შემდეგი: „ამას წინათ დაუწყვიათ... გამოცემა ჟურნალისა და არა ჰქონია წარმატება“. უეჭველია, „გამოცხადების“ რედაქტორი, რომელმაც თავისი წითელი ფანქარი მხოლოდ ამ ფრაზისთვის მოიმარჯვა, „უაღრესტესისა ჩვენისა ერთმთავრის“ მიმართ მეტი ლოიალური გრძნობით ყოფილა დაჯილდოვებული, ვიდრე „გამოცხადების“ შემდგენელნი.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე აღვნუსხავთ რედაქტორის მიერ აზრის შესარბილებლად სხვა ჩართულ სიტყვებსაც მისი მეტი ლოიალობის ცხადსაყოფად: 1) ფრაზას: „საქართველო-იმერეთი... ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა“ მან მიუმატა: „უზრუნველობისა გამო ჩვენისა“-ო. ამ ჩანართ სიტყვებს ტექსტის შეფასებისას ჩვენ ანგარიში არ გაეუწიეთ, ჯერ ერთი

იმიტომ, რომ იგი ჩართულია რედაქტორის მიერ ეგების უფრო სიფრთხილით, ვიდრე გულწრფელი ლოიალობით, და მერე კიდევ იმიტომ, რომ „სინათლელთა“ ნამდვილი აზრი ჩანართი სიტყვებით მაინც არ იჩრდილება და ჩვენი შეფასება-ინტერპრეტაცია ამით ძალას არ ჰკარგავს. 2) ფრაზაში: „აწ თუმცა ჰსჩანს ახალთა მოსწავლეთა შორის რაოდენიმე ნეშტი განათლებისა, მარამ თვინიერ ზნეობისა იგიცა გარდაქცსულ არს სოფიზმის საფუძველსა ზედა“ რედაქტორს ჩაუმატებია: „თვინიერ ზნეობისა და საზოგადო სარგებლობის მზრუნველობისა“; ეს ჩანამატი წარმოადგენს ფრაზის მხოლოდ შემარბილებელ დეტალიზაციას და „გამოცხადების“ შემდგენელთა მიერ სკოლა-განათლების ნეგაციურ შეფასებას მაინც არ არღვევს. დანარჩენ წერილმანს, „გამოცხადების“ ტექსტში აღნიშნულს, აქ აღარ ვიხსენიებთ.

დავუბრუნდეთ ისევ შეწყვეტილ სიტყვას. „სინათლელთა“ აზრით, სოლ. დოდაშვილის ჟურნალს არა ჰქონია წარმატება „უბედურთა შემთხვევათა გამო“. რამდენად სწორია და სინამდვილის შესაბამი ამგვარი შეხედულება? ნუ თუ მართლა „სალიტერატურო ნაწილნი“ დაიხურა შეთქმულების გამომჟღავნების გამო? აღსანიშნავია, რომ ასეთი შეხედულება „გამოცხადების“ ხანებში დოდაშვილის ჟურნალის დახურვის შესახებ საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მაგალითად, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი 1838 წლ. 29 დეკ. მარი ბროსეს, რომელსაც მოუთხოვნია დოდაშვილის ჟურნალის ნომრები, აუწყებს: „გაზეთსა სალიტ. ნაწილნი ტფ. უწყებათანი ვეცდები ვიშოვნო. მიმასწავლეს ადგილ-ადგილ და ვარ მათსა მოძიებაში... გაზეთსა 1832 წ. აბეჭდინებდა ს. დოდაევი და უბედურსა ამას მოუხდა ცუდად რომ თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა და ექუსს თუ შეზედ აღკრძალესო“-ო[1]. იოსელიანის გადმოცემა სავსებით ემთხვევა „სინათლელების“ აზრს: ესენი ყრუდ იხსენიებენ ჟურნალის წარუმატებლობის მიზეზად „უბედურ შემთხვევათ“, პლატონი კი პირდაპირ სწერს განაგონს: „თურმე საამბოხოდ ერისა ყოფილა და ექუსს თუ შეზედ აღკრძალესო“-ო.

რასაკვირველია, პლატონ იოსელიანი მართალია, როცა ამბობს, რომ დოდაშვილის ჟურნალს მიზნად ჰქონდა „ამბოხება ერისა“ მოემზადებინა. ეს ეხლა საკმაოდ ცნობილი ფაქტია. საგამომძიებლო მასალაც ამას ადასტურებს. მაგრამ იოსელიანი და „სინათლელებიც“ მცდარნი არიან, როცა „სალიტერატურო ნაწილთა“ და-

---

[1] Ს 4797; პლ. იოსელიანის წერილები ბროსესთან.

ხურვის მიზეზად ასახელებენ „აღკრძალვას“ და „უბედურ შემთხვევათ“. არა. დოდაშვილის ჟურნალი მოისპო ბუნებრივი სიკვდილით, თვითონ რედაქტორის ნება-გადაწყვეტილებით, ნივთიერი უსახსროების გამო. ამას თვით დოდაშვილი გარკვეულად აღნიშნავს თავის ჩვენებაში 1833 წ. 3 თებერვალს: „Хотя я начал издавать, но увидев, что нет подписчиков, прекратил издание газет. Издавал в 1832 году“ [1].

პლ. იოსელიანი არც იმაშია მართალი, რომ ექვს თვეზე აკრძალეს დოდაშვილის ჟურნალიო. იგი იყო ორკვირეული გამოცემა, სულ გამოვიდა ხუთი ნომერი და უკანასკნელს—მეხუთე—ნომერს ცენზურის ვიზა მიცემული აქვს 1832 წლის 15 მარტს, ე. ი. თითქმის ცხრა თვით ადრე, სანამ შეთქმულება გამომჟღავნდებოდა (ეს მოხდა, როგორც ცნობილია, 9 დეკემბერს). ცენზურის ვიზის თარიღი, სხვათა შორის, ადასტურებს სოლ. დოდაშვილის ამ ჩვენების სისწორეს, თუ კი ეჭვის თვალით შევხედავთ დოდაშვილის სიწრფელეს შეთქმულების გამოძიებისას.

ამ სალიტერატურო საკითხთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ ბიბლიოგრაფიულ საკითხსაც: რამდენი ნომერი გამოვიდა სულ „სალიტერატურო ნაწილთა“—ხუთი თუ ექვსი? საქმე ისაა, რომ პლ. იოსელიანის ცნობაზე დამყარებით [2] გავრცელებულია აზრი, თითქოს ამ გამოცემისა დაბეჭდილია ექვსი №-ი. მაგალითად, ამას იმეორებს დიმიტრი ჯანაშვილი [3], ამასვე ახსენებს დავით კარიჭაშვილი [4], დაკვირვებულ მკვლევარს სიმონ ხუნდაძესაც შესაძლებლად მიაჩნია ხუთზე მეტი ნომრის გამოცემა [5]. შეცდომა, როგორც ვთქვით, პლატონ იოსელიანისაგან მომდინარეობს. იგი თავის „Путевые записки по Кахетии“-ში სოლ. დოდაშკილის სალიტერატურო მოღვაწეობაზე საუბრისას ეხება მის სალიტერატურო გაზეთსაც და გადაჭრით აცხადებს: „Всех вышедших номеров этой газеты было 6“-ო [6]. მაგრამ არ დავიეჭყოთ, ამას იგი წერდა 1846 წელს. მა-

---

[1] ЦИАГ, Ленингр. фонд. тетр. VI, стр. 976-986.

[2] Пл. Иоселиани, Путевые записки по Кахетии, Тфл., 1846, стр. 35-36.

[3] ი ნ გ ი ლ ო ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სოლომონ დოდაშვილი. („დროება“, 1875 წ., № 54).

[4] დ ა ვ ი თ კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა („წიგნის მეგობარი“, № 1-2, ტფ., 1925, გვ. 98).

[5] დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, ტფ., 1930, რედაქტორის შენიშვნები, გვ. 172, შენიშვნა 15.

[6] Путевые записки по Кахетии, стр. 35-36.

შინ მას უთუოდ ალარ ახსოვდა საკუთარივე მინაწერი ამავე საკითხზე მარი ბროსესთან. ამ აკადემიკოსის დავალებით იოსელიანი ეძებდა ნაცნობებში დოდაშვილის „სალიტერატურო ნაწილთა“ ნომრებს[1] და 1839 წლ. 9 მარტს იგი აუწყებს ბროსეს მოძიების შედეგს ასეთი სიტყვებით: „სალიტერატურო გაზეთი 5 ნომერზედ მეტი არა ყოფილა აღბეჭდილი და ამიტომ არ ვიცი ელოდდით თქვენ მეტთა ნომერთა თუ არა?“-ო[2]. ამის შემდეგ ცხადია, რამდენი ნომერი დაბეჭდა დოდაშვილმა თავისი ჟურნალისა და ისიც, პლ. იოსელიანი რიდის წერს ზუსტსა და მართალ რიცხვს ამ ნომრებისას—1839 წელს, როცა ის-ის იყო გაუგზავნა ბროსეს ჟურნალის კომპლექტი, თუ 1840 წელს, როცა ის წერდა უეჭველად მეხსიერებაზე დანდობით, ასე ვთქვათ, ზეპირად. თქმულს მეტი სიმტკიცისათვის ისიც უნდა დავძინოთ, რომ საგამომძიებლო საქმეებში როგორც დოდაშვილის მამხილებელი საბუთი მოიპოვება მხოლოდ ხუთი №-ი, რადგან მეტი არც გამოსულა.

მაგრამ ისევ დავუბრუნდეთ რედაქტორის მიერ „გამოცხადების“ ტექსტში წითელი ფანქრით გადახაზულ ფრაზას: „უბედურთა შემთხვევათა გამო სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას“ წარმატება არ ჰქონიათ. ეს წაშლილი სიტყვები ჩვენ მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ვინაიდან გვიმჟღავნებენ „გამოცხადების“ ავტორთა იდეურ კავშირს ყაზარმობასთან და—რაც მთავარია და ხაზგასასმელი—სოლომონ დოდაშვილისა და მის მოსაგრეთა საქმიანობის დადებითად შეფასებას. მართლაც, შეუძლებელია სხვა კვალიფიკაცია მიეცეს „სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას“, როგორადაც ჰქონდათ მათ წარმოდგენილი დოდაშვილის „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

ზემორე ფრაზის გამო „კვალის“ რედაქცია შენიშნავდა: „აქ უნდა იგულისხმებოდეს 1829-1832 წწ. გაზ. თბილისის უწყებანი“-ო, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ „სინათლელებს“ ნაგულისხმევი უნდა ჰქონდეთ უფრო „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათანი“. „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832), რამდენადაც ცნობილია ბიბლიოგრაფიული აღწერილობით[3], იყო რუსული ოფიციალური

---

[1] S 4797, პლ. იოსელიანის წერილი ბროსეს 1838 წ. 29 დეკ. თარიღით

[2] Ibidem, პლ. იოსელიანის წერილი ბროსეს 1839 წ. 9 მარტის თარიღით

[3] Г. В. Зерцалов, Библиография русской периодики Грузии, ч. 1-ая. 1828-1920 Тб., 1941, стр. 1. დავით კარიჭაშვილი, ქართული პროვინციალური ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა („წიგნის მეგობარი“, №1 1-2, ტფ 1925, გვ. 97-98).

ორგანოს „Тифлисские Ведомости"-ს დუბლეტი და ქართველობის თვალში მთავრობის გამოცემა ვერც იქნებოდა „სასარგებლო და საქები მაღალი განზრახვა". ასეთად უფრო მისაჩნევია—ვიმეორებთ—„სალიტერატურო ნაწილნი", სოლ. დოდაშვილის კერძო გამოცემა.

გვმართებს მოკლედ მაინც გავიხსენოთ ისიც, რომ „სინათლელები" შოთასთან და ჩახრუხაძე-შავთელთან ერთად „გამოცხადებაში" იგონებენ იოანე პეტრიწსაც და ანტონ კათალიკოსსაც, სწორედ იმ ქართველ ფილოსოფოსებს, ვისზედაც თავის კალამს 12 წლით ადრე ამახვილებდა სოლომონ დოდაშვილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა"-ში[1]. საზოგადოდაც საკმარისია გავეცნოთ დოდაშვილის ამ ნაწარმოებს, რომ ნათელი შეიქნეს იდეური კავშირი მასსა და „სინათლის" ინიციატორთა შორის; ესენი თავიანთ „გამოცხადებაში" გაკვრით იმეორებენ იმავე აზრებს, რაც უფრო ვრცლად გამოსთქვა დოდაშვილმა თავის ზემორე თხზულებაში. ამიტომაც ვთქვით თავში და ეხლაც ვამბობთ, რომ იდეოლოგიური ნათესაობა „სინათლელებისა" ყაზარმელებთან უდავოა.

ამის თქმის ნებას უფრო ის გვაძლევს, რომ 27 კაციდან, ვინც „გამოცხადებას" აწერს ხელს, ხუთი 1832 წლის ამბის მონაწილეა. ესენი არიან: ელიზბარ ერისთავი, შეთქმულების მთავარი მონაწილე; მისი ძმა დიმიტრი ერისთავი, აგრეთვე აქტიური ყაზარმელი და მანიფესტის ტექსტზე შენიშვნების ავტორი; გიორგი ერისთავი (გლუხაროჩი), დოდაშვილის ჟურნალის თანამშრომელი[2]; გივი ამილახვარი და დიმიტრი მაღალაშვილი. ამათ უნდა მიეძატოს დავით ბარძიმის-ძე მაჩაბელი, დოდაშვილისავე თანამშრომელი პოეტი, მაშინ მოწაფე, რომელსაც შეთქმულნი უნივერსიტეტში გაგზავნას უპირებდნენ და რომელიც ეგების იყოს თვით ამ „გამოცხადების" ტექსტის ავტორიც[3]. დოდაშვილისავე დროის ნამოწაფარია ირაკლი

---

[1] „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", №№ 1 და 2 გვ. 19-34.

[2] „გამოცხადებაზე" მას ხელი ასე აქვს მოწერილი: „შტაბს კაპიტანი გიორგი ერისთავი". მაშინ რამდენიმე გიორგი ერისთავი იყო. შტაბს-კაპიტანის ჩინით კი 1841 წ. სპშააბურს თავი გაანება სწორედ გლუხაროჩმა (კ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941, გვ. 115). გარდა ამისა ხელწერაც დედანში გლუხაროჩისაა. უმთავრესად ხელწერის მიხედვით „სინათლელად" იგი მიეჩნიეთ.

[3] პოეტობისა და ჟურნალში წერის ნაცადობის გარდა, ამ აზრს გვიცხოველებს ერთი გარემოებაც: „სინათლე" საკმაო ადგილს უთმობს მუსიკას; მუსიკის საკითხები კი დაკ. მაჩაბელს აინტერესებდა. 1864 წ. „ცისკრის" №-ში იგი ბეჭდავს ვოცელ წერილს—„ქართველთა ხნეობა, I. გალობა", რომელიც განხილული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს შრომაში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები", თბ., 1938.

ციციშვილი. არც ისაა უგულვებელსაყოფი, რომ 27-თაგან პირველი, ვინც ამ ტექსტს ხელს აწერს და იქნებ მთავარი შუამავალი მთავრობასა და „სინათლელებს" შორის, „კეთილშობილთ წინამძღვანელი პორუჩიკი თ. ალექსანდრე ერისთავი" არის სამი ყაზარმელის (იასეს, ელიზბარისა და დიმიტრი ერისთავთა) ღვიძლი ძმა. ასე რომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ „გამოცხადების" ხელმოწერილთა ერთ ნაწილში მაინც ყაზარმობის ტრადიცია უდავოდ ცხოველი იყო.

„სინათლის" ინიციატორები, აღნიშნავენ რა იმას, რომ დედაშვილის ჟურნალს „უბედურთა შემთხვევათა გამო არ ჰქონდა წარმატება" ენერგიულად დასძენენ: „წარვიდა მან დრომან" (sic!). მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი შეცახილია: წარვიდა იგი დროო! ეს იგივეა, რაც 14 წლის მერე ჭაბუკმა ილია ჭავჭავაძემ პოეტურად გაიმეორა:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაკ უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ებლა სხვა ვარსკვლავს!" [1]

„სინათლელები" ამ ენერგიული შეძახილით—წარვიდა იგი დროო—წერტილს უსვამენ „გარდასულ დროთ" და პირს თანადროულობისა და მომავლისაკენ იბრუნებენ. მათ თავიანთი „ვარსკვლავი" ასე ესახებათ: „ახალსა მოქალაქეობასა განსანათლებლად გულისა და გონებისა ესაჭიროების ახალი ახნაურებითი საქმიანობა სწავლათა და ხელოვნებათა შინა... ჟურნალი ანუ ყოველდღიური გაძოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისაა, გახმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მოყვანისა. ამისათვის აწცა სურთ როშელთაც გონიერთა ქართველთა გამოსცენ ესევითარი ჟურნალი"-ო.

„გამოცხადების" ეს კუპიურიც მეტად საგულისხმოა, მის ავტორებს კარგად აქვთ შეგნებული პრესის ძალა და მნიშვნელობა, ისინი მიხვედრილნი არიან, რომ პრესა არა მარტო აგიტაციის ორგანოა, არამედ ორგანიზატორიცაა. ისინი თითქოს ოცნებობენ ყოველდღიურ გამოცემაზე და იქნებ ამიტომაც აწარმოებენ ჟურნალის მნიშვნელობას სიტყვა-სიტყვით ფრაგულ jour-იდან. მათი გა-

[1] „ქართველის დედას"; „ქართული წიგნის" გამოცემით, ტ. I, თბ., 1925, გვ. 8.

გებით, ამგვარი გამოცემა არის საჭიროება ქართველობის განვითარებისა, გამდიდრებისა, მისი ცხოვრების კეთილმდგომარეობაში მოყვანისათვის. მათ კარგად ესმით, რომ ახალ ცხოვრებას, ახალ პოლიტიკურ ვითარებას („მოქალაქეობას") ესაჭიროება ახალი თავისუფალი („აზნაურებითი") საქმიანობა სწავლა-ხელოვნებაში[1]... მრავალწერტილიც, „სინათლელებს" რომ ეკუთვნის, ყურადღებას იპყრობს. ხომ არ სჯერდათ მეტის თქმა, რომ ახალ ცხოვრებას თავისუფალი საქმიანობა, სწავლა-ხელოვნების გარდა, სხვა დარგშიაც — თუხდაც სოციალურში — ესაჭიროებოდა? მაგრამ მოვერიდოთ გულთმისნობას. ერთი ცხადია: „სინათლელების" წადიერება და იმედი მცირე არ არის: ჟურნალი საზოგადოებას შესძენდა გონებრიესა და ნივთიერ წარმატებას.

პროგრამაც დროისა და პირობათა კვალობაზე „სინათლელებს" ფართოდ აქვთ ნავარაუდევი. „ჟურნალსა ამას სახელი ეწოდების სინათლე... თვეში გამოვა თვითო წიგნი, რომელშიაც იქნებიან უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი[2] ყოველთა საგანთათჳს, ე. ი. სამხედროთა და სამოქალაქო ზნეთათვის, წყაროებისათვის გამდიდრებისა, შინაურთა ეკონომიისათვის და მმართველობისათვის ყმათა და მამულთა, აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში, აგრეთვე იქმნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი და თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდან გამოკრებილნი ნაწყვეტნი და ქართული ლიტერატურა (აღძრობილი პროზა), სტიხნი და ღარმოხიათა ნოტნი: სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიო საგალობელთა. მეთოდა (ძოძუვრება) სხვადასხვა სწავლათა და ხელოვნებათა, ზეგარდავლით რაოდენიმე ცხობანი ევროპიულთ სხვადასხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და სწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა, მხატვრობათა, მხაზველობათა და გაძოქანდაკებათა და სხვათა".

როგორც ამ ანონსიდან ჩანს, ჟურნალში ნავარაუდევი იყო შემდეგი განყოფილებანი: 1) პოლიტიკურ-ეკონომიური; 2) ეთნოგრაფიული; 3) ისტორიულ-ლიტერატურული; 4) სამუსიკო; 5) მეთოდური და 6) ნარევი. პროგრამა საკმაოდ ფართოდ წარმოგვიდგება და ჟურნალისტთა კალამიც არა ერთს აქტუალურ საკითხს უნდა შეხებოდა, მაგალითად, სამოქალაქოს, ყმა-მამულის მმართველო-

---

[1] სიტყვას — „აზნაურებითი" — ჟურნ. „კვალის" რედაქცია დაუტკვებია და ამიტომ კითხვითი ნიშნით ფრჩხილებში მიუწერია: „კეთილშობილური?"-ო.

[2] ჩვენი გაგებით: სტატიები, წერილები.

ბას, ევროპული ქვეყნების სამხედრო ხელოვნებას, განათლებას და ხელოვნების სხვადასხვა დარგს: მუსიკას, ფერწერას, ხაზვას, სკულპტურას და სხვას. ჩანს ისიც, რომ საჟურნალო პროდუქციის დიდი ნაწილი თარგმნილი უნდა ყოფილიყო, მით უფრო რომ ჟურნალის წევრებად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ „სწავლულნი მცოდნენი ევროპიულთ ენათა და ბუნებითისა ენისა“.

ხაზი უნდა გაესვას „სინათლის“ დიაპაზონს „ცისკართან“ შედარებით. მაშინ, როდესაც გ. ერისთავის „ცისკარი“ შეიცავდა სამ განყოფილებას: ლიტერატურულს, სწავლა-ხელოვნებისას და „სოფლური სახლისპატრონობისას“ და ამ უკანასკნელში იბეჭდებოდა „დამარილება ხორცთა“, „ლორის გაკეთება“, „ბატი ძმრით“ და სხვა ამგვარი, „სინათლე“ ანალოგიური განყოფილებისათვის ვარაუდობდა უკვე ხელოვნების (მუსიკის, მხატვრობის, სკულპტურის) შესახებ „რაოდენიმე ცნობათ“, ამას გარდა კიდევ—სულ ცოტა—ოთხ განყოფილებას. როგორც ვხედავთ, სხვაობა საკმაოა და უპირატესობის სასწორი „სინათლისკენ“ იხრება.

დამახასიათებელია ერთი დეტალიც. ხელისმომწერნი ორი კატეგორიისა უნდა ჰყოლოდა „სინათლეს“: წევრნი და შემთხვევითნი. წევრი უნდა ყოფილიყო „მხოლოდ ოთხასამდე—სწავლულნი მცოდნენი ევროპიულთ ენათა ან ბუნებითისა ენისანი“, თუმცა მეორე მხრივ ეს განსაზღვრული რიცხვი სავალდებულოდ არ ჩანს, რადგან „ყოველთა შეუძლიანთ, რათა იყვნენ როგორც შემთხვევითნი ხელისმომწერნი, აგრეთვე წევრნიც“. მათ შეეძლოთ ჟურნალის ნომერთა დაბარება-გასაღება და, რაც მთავარია, მიეცათ „თავიანთი ჰაზრი ჟურნალის წარმატებისათვის“, წარეგზავნათ „საკუთარი თავიანთი დათხზულნი ან თარგმნილნი ყოველსავე საგანსა ზედა ჟურნალში დასაბეჭდავად“ და ჰქონდათ „მოვალეობაცა შემწეობისა“. შეძთხვევით ხელისმომწერთა ვალი კი პატარა იყო: ეყიდათ, წაეკითხათ და „შინ შეენახათ საუნჯედ“.

რედაქციას აგენტურის საკითხიც მოუგვარებია: ხელისმოსაწერ ფულს 14 მანეთს მიიღებდა და კვიტანციას გასცემდა „ადგილობრივი მთავრობა ანუ კეთილშობელთ წინამძღოლელი“.

—

როგორც ვხედავთ, „სინათლის“ ჯგუფს ახასიათებს იდეურობა, წადიერება, ენერგია და თითქოს უნარიც საქვეყნო საქმის წამოწყება-გაძღოლისა. მაგრამ „სინათლე“ განცხადების უმალვე შთანთქა დუხჭირი სინამდვილის წყვდიადმა, მერე ისე კვალწმინდად, რომ ამ „წინათვანხრახვისაც“ არა გვეცოდინებოდა რა, რომ არ გადარ-

ჩენილიყო მისი „გამოცხადება". მიზეზი „სიბათლის" გამოუსვლელობისა კონკრეტულად რა იყო, არ ვიცით. საცენზურო პირობები, ნეიდჰარდტის გადაყვანა 1844 წ. დამლევს საქართველოდან, ალექსანდრე ერისთავისა (და ალბათ სხვებისაც) ლაშქრად წასვლა 1845 წელს დაღესტანში, ჟურნალის საარსებოდ ნივთიერი ბაზის უქონლობა, საზოგადოებაში ნიადაგის მოუმზადებლობა თუ სხვა რამ იყო მიზეზი ამ სასიკეთო საქმის საშოშივე დასამარებისა, ამის გადაწყვეტით თქმა ძნელია. მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ნეიდჰარდტის მერმე კავკასიაში მოსულმა და ფართო უფლებებით აღჭურვილმა მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა ნება მისცა ქართველობას „სინათლის" მაგიერ „ცისკარი" გაეჩინათ შვიდი წლის დაგვიანებით, მხოლოდ 1852 წლიდან, და ისიც საკმაოდ შეკვეცილი პროგრამით, მაშინ შეიძლება მივხვდეთ ამ ქართველი ჟურნალისტების (როგორც თვითონვე უწოდებენ ისინი თავიანთ თავს) უმოქმედობის მიზეზს. „ცარიზმი ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუკმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ მასები ბნელეთში დაეტოვებინა. ცარიზმი ძირშივე ჰკვეთდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას",—ამბობს სამართლიანად ამხანაკი სტალინი[1]. „სინათლელებმა" განიზრახეს ჟურნალის გამოცემა იმიტომ, რომ ის იყო „ღონე განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მოყვანისა", ცარისტული ხელისუფლებისათვის კი ქართველობის, თენდაც თავად-აზნაურული ქართველობის, ამოქმედება ქვეყნის გონებრივი და ნივთიერი წარმატებისათვის საზრუნავ საგანს არ შეადგენდა. პირიქით ის ახშობდა ამგვარ მისწრაფებას და სწორედ ამგვარ ტენდენციაში გვმართებს ვეძიოთ „სინათლის" გამოუსვლელობის მთავარი და ძირითადი მიზეზი.

რაკი „სინათლეს" არ ეღირსა გამოსვლა „მაისის პირველიდგან მამავალის წლისა", ამიტომ არც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად შესწევდათ მის ინიციატორებს „ძალი ქადილისა". მაგრამ ეს „ქადილიც", ზემორე „გამოცხადებაში" გამოვლენილი, ბევრის მღაღადებელი ფაქტია და მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს წარსული საუკუნის ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიისათვის.

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი ტფ., 1934, გვ. 83.

დღევანდელი ენისათვის ყველაზე დამახასიათებელი ის არის რომ ენას უნახავი აჩქარება დაეტყო. ეს პროცესი გვეველინება ე. წ. აბრევიაციის სხვადასხვა სახით: ა) როდესაც მეტყველება წარმოადგენს სიტყვების მონატეხებს. მაგ.: ავტო, კინო, მეტრო, ფოტო, ჰი, ჰო და ა. შ. ავტომობილის, კინემატოგრაფიის, მეტროპოლიტენის, ფოტოგრაფიის, ჰირიმეს და ბიჭოს მაგიერ; ბ) როდესაც ახალი სიტყვა რამდენიმე სიტყვის თავმარცვალთა შერწყმას წარმოადგენს. მაგ.: „მიწგანი“, „პარტკომი“, „ჯანსაჰკომი“, „სახკომსაბჭო“ და ა. შ. გ) როდესაც სიტყვა შესდგება მასში შემავალ სიტყვების ინიციალთაგან და ლიტერთა (ასოთა) ამგვარად მიღებული კომბინაცია იკითხება და ითქმის როგორც მთლიანი სიტყვა. მაგ.: „ცაკი“, „ცეკა“, „უსი“, „სსრკ“, „საქ. კ. პ. (ბ)“, „მტს“ და ა. შ.

მეტყველებისაგე აჩქარებას ხელს უწყობს აგრეთვე ე. წ. ელიფსისები, როგორც არის მაგალითად: „ვინ-ვის?“ ე. ი. ვინ ვის აჯობებსო. „ჯერჯერობით“, „ბედნიერად!“ და ა. შ. „ელიფსად“ მეტყველების თეორიაში იწოდება ისეთი თქმა, სადაც გამოტოვებულია და თქმული არ არის უმთავრესი და წერტილი ვადაზე ადრეა დასმული.

ასე გაჩნდა დღევანდელი განსაკუთრებული სტრუქტურის ახალი სიტყვები და ნეოლოგიზმები. საზოგადოებრივ აზროვნების უამრავ ახალი ცნებებით გამდიდრებამ წარმოშვა ახალი სიტყვების წარმოების საჭიროებაც, რამაც სიტყვათა წარმოების ეს ახალი ხერხიც დააკანონა.

ქართულ და რუსულ მეტყველებაში ჩვენ თვალწინ აბრევიატურის ვეება რეპერტუარი შეიქმნა. მარა ამაზე კიდევ უფრო ადრე აბრევიატურა შეჭრილია ევროპის ყველა მოწინავე ერის მეტყველებაში. ასე მაგ.: „პარლამენტის წევრი“ ინგლისურად—„Member of Parlament“—აღნიშნება ორი ინიციალით „M. P.“ და გამოითქმის როგორც „ემ-პი“. ეს „ემპი“ შესულია სალაპარაკო ენაში (Литературная энцикл. Том I Аббревиатура).

რატომ ხდება ეს? ამის პასუხად, ჩვეულებრივ, კვლავ ცხოვრების ტემპის არაჩვეულებრივ აჩქარებას ასახელებენ. ალექსანდრე ბლოკი ერთ თავის ნაწარმოებში ამბობს, რომ ლიტერატურას ნება არა აქვს მკითხველი მრავალსიტყვაობით შეაწუხოსო.

ეპოქის მოთხოვნას, რათქმაუნდა, ვერც მეცნიერება ასცდებოდა და ამიტომ ზემოხსენებულ „რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონის“ ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ რომ „**მეცნიერების ერთერთ მიზანს აზროვნების პროცესის შემოკლება და გაადვილე-**

ბა შეადგენს. ხშირად საჭიროა მეტად რთული და ღრმა აზრის ერთი სიტყვით გამოსახვა. მეცნიერება ამისათვის მეტყველ, მკაცე და მარტივ ენას თხოულობს". (გვ. 11) (ხაზი ჩვენია ი. ც.).

II

როგორც ითქვა ქართულმა ბიბლიოთეკოლოგიურმა აზროვნებამ უკანასკნელ წლების მანძილზე ზოგ ცნებას ახალი ტერმინები გამოუნახა, ასე რომ ამჟამად ზოგ მათგანს ორი და მეტი ტერმინი გაუჩნდა. მაგიერად არის შემთხვევა, როცა ორ სხვადასხვა ცნებას, რომელთაც მოწინავე ერებში თავთავისი ტერმინები გააჩნია, ჩვენ მათ ერთი სიტყვით აღვნიშნავთ, რის გამო, იოანე პეტრიწის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „აზროვნებას ვაბუნდოვანებთ". მაგალითისათვის საკმარია გავიხსენოთ, რომ რუსულ „алфавитный"-ს და „азбучный"-ს შესატყვისად ზოგი ამხანაგი მხოლოდ ერთ ტერმინს, სახელდობრ: „ანბანურს" ხმარობს ან „союз"-ის და „связь"-ის აღსანიშნავად ისევე ერთი სიტყვით—„კავშირით" გავდივართ იოლად.

ტერმინთა მრავალგვაროვნებამ, ერთი მხრით, ნაკლებობამ—მეორე მხრით, შესაძლოა თავისი დაღი დაასვას ქართულ ბიბლიოთეკოლოგიის შემდგომ განვითარებას. საჭიროა, მაშასადამე, ერთი მხრით შევსება, ხოლო, მეორე მხრით, ტერმინთა უნიფიკაცია, ოღონდ ეს უნიფიკაცია უნდა მოხდეს აზრთა სათანადო გაცვლა-გამოცვლისა და დისკუსიის შედეგად. მხოლოდ ფართე საზოგადოებრივობის ჩაბმისა და თვითეულ ტერმინის დასაბუთების შედეგად მიღებული უნიფიკაცია შეიქნება ყველასათვის მისაღებიც და სავალდებულოც. ამ საგანზე დისკუსიის ერთერთ ცდას ეს წერილიც წარმოადგენს. ოღონდ, ვიდრე ტერმინთა შედარება-შეფასებას შევუდგებოდეთ—საჭიროა შევთანხმდეთ იმ კრიტერიუმზე, რომლითაც ჩვენ ამ შეფასებას ვაწარმოებთ.

სამწუხაროდ არც ზემოხსენებულ „ბიბლიოთეკონომიის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიულ წარმოების ტერმინოლოგია"-ს ავტორთ და არც სხვა ლექსიკონების ავტორებს ასეთი რამ არ მოუციათ. გამონაკლისს წარმოადგენს საქ. ტექნიკურ საზ-ბის სატერმინო სექციის მიერ შედგენილი „რუსულ-ქართულ ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)", რომლის ავტორებმა ამ შრომას მეტად ორიგინალური და საინტერესო წინასიტყვა წაუმძღვარეს, სადაც დაწვრილებით განხილულია ის პრინციპები და გზები, რომლებსაც იყენებდნენ სხვადასხვა დისციპლინისათვის ტერმინთა შექმნის დროს.

ეს ვრცელი განმარტებითი წერილი შეიძლება სამ დებულებად ჩამოვაყალიბოთ. ესენია:

1) ტერმინოლოგია თავიდან ბოლომდე ეროვნული უნდა იყოს.

2) თვითეული ტერმინის ცნების უძირითადესი თვისების გამომსახი უნდა შეიქნეს და, მაშასადამე, მკაფიოდ ირჩეოდეს საყოველდღეო ენიდან.

3) ტერმინი უნდა იყოს მარტივი და მოკლე, მარჯვე საწარმოები, უნდა შეეძლოს დერივატების, ე. ი. მისგან წარმოშობილ ახალ სიტყვების მოცემა. უნდა მოკლებულ იქნეს ყოველ ზედმეტ თავსართსა და გრძელ დაბოლოებას.

რამდენად ლექსიკონის ავტორთა ორი უკანასკნელი დებულება მეტად დამაჯერებელი და საესებით მისაღებია—იმდენად პირველი მათგანი საეჭვოდ მიგვაჩნია.

ლექსიკონის ავტორნი ამბობენ, რომ „ნამდვილი მეცნიერული ტერმინოლოგია თავიდან ბოლომდე დედა-ენაზე უნდა იყოს გამოსახული; მასში არც ერთი უცხო, ე. ი. სხვა ენებიდან გადმოღებული სიტყვა არ უნდა მოიპოვებოდესო". (იხ. რუსულ-ქართული ლექსიკონი (სიტყვარი.—ტფ. საქ. ტეხნ. საზ ბა. 1920, გვ. 2).

და მართლაც, ავტორებმა უზომო შრომა გასწიეს რათა ყველა საერთაშორისოდ მიღებული ტერმინი გადმოექართულებინათ და სწორედ ამ თავის ცდით დაამტკიცეს ამ პრინციპის ე. ი. ყველა საერთაშორისო ტერმინთა გაეროვნების შეუძლებლობაც და მიზანშეუწონლობაც, რადგან ასეთი ზრახვა, ჯერ ერთი, რომ მთელ კულტურულ კაცობრიობის მისწრაფებას ეწინააღმდეგება და, მეორეც ის, რომ ასეთმა ნაძალადევმა ტერმინებმა, როგორიც არის „ნივთგნობა"—ქიმიის მაგიერ; „ჯვაწყობრი"—მეთოდის მაგიერ; „სივრცგნობა"—გეომეტრიის მაგიერ და სხვა ამგვარები, რომელთაც ფეხი ვერ მოიკიდეს და რომ ფეხი კიდევაც მოეკიდათ ჩვენი კულტურული მოსავლისათვის სახიფათო შეიქმნებოდა: ერთი იმიტომ რომ ჩვენს ახალგაზრდობას დიდად გაუჭირდებოდა უცხო ენების შესწავლა და მეორე მხრით, მოწინავე ქვეყნების მეცნიერთაც გაუძნელდებოდა ქართულის შესწავლა, რასაც ჩვენი კულტურულ მემკვიდრეობის ანალიზ-შეფასებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამშხრივ, საკმაოა გავიხსენოთ ისეთი სახელები, როგორიც არის: მარი ბროსე, ნიკო მარი, პროფ. კონდაკოვი და სხვანი, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ახლა განვიხილოთ მათი დებულების მეორე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ თვითეული ტერმინი ცნების უძირითადესი თვისების გამომსახი უნდა იყოს და მაშასა-

დამე, უნდა მკაფიოდ ირჩეოდეს საყოველდღეო ენიდან. ეს განსაზღვრა არ განსხვავდება სხვა განსაზღვრისაგან, სადაც ნათქვამია რომ „სამეცნიერო ტერმინები (termini technici)— სიტყვებია, რომელთაც აქვთ სპეციალური სასტიკად განსაზღვრული მნიშვნელობა მეცნიერების ამათუიმ დარგში".

ასევე დამაჯერებელია მესამე მუხლი, რომელიც ამბობს: „ყოველ ძირითად ცნებისათვის სპეციფიკური და მარჯვედ სახმარი მარტივი სახელები უნდა ვიხმაროთ, რომლისაგანაც ბევრი ნაწარმოები სიტყვების წარმოშობვაა საჭირო. ყოველი ზედმეტი თავსართი „გა", „ნა", „მო", თუ „შემო", ან ნამეტანი გრძელი დაბოლოვება „ევნილობა", „ობრადობა" თუ „ადიადობა" შეძლებისდა გვარად აცილებულ უნდა იქნესო" (გვ. 31)... და შემდეგ: „ენის ჭეშმარიტი გამდიდრება ახალ ფესვების შექმნაშია, რადგან მხოლოდ ასეთ სიტყვებს შეუძლიანთ მთამოსმავლობის მოცემა" (გვ. 28)[1].

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ დებულებებში ორი უცილობელი, ძირითადი აზრია გატარებული: პირველი ის, რომ თვითეული ტერმინი ცნების სპეციფიურობას უნდა ასახავდეს და არ იყოს საყოველდღეო ენის რეპერტუარიდან ნასესხები და მეორე ის, რომ დერივატების მისაღებად შესაძლებელი იქნეს მიღებულ ტერმინის თუ სიტყვის შემდგომი წარმოება. „სახელის ფორმა, ამბობს აკად. აკ. შანიძე, შეიძლება ისე ვცვალოთ, რომ მისგან მივიღოთ სხვა სიტყვა, მასთან ახლოს მდგომი, მაგრამ მაინც სრულიად ახალი, სხვა შინაარსის მქონე. სახელის ასეთ ცვალებას, რომლის დროსაც სხვა საგნობრივი წარმოდგენაა მიღებული, წარმოება ჰქვია". (შანიძე, აკ.—ქართული ენის გრამატიკა.—ტფ. 1939. გვ. 54).

ჩვენთვის, განსაკუთრებით, ტერმინის ეს უკანასკნელი თვისებაა ძვირფასი, რათა „ერთიდაიგივე ფუძიდან, საჭიროებისამებრ, შეგვეძლოს მივიღოთ დერივატები აოსებითი სახელით, ზმნით და ზედსართავით და ამით შევძლოთ მეტყველების აზროვრივ მოდულაციის ასახვა.

სადაო ტერმინთა განხილვის დროს ჩვენ სწორედ ამ პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ. ერთი იმიტომ რომ მათი საფუძვლების უეჭველობა ჩვენთვის აშკარაა და მეორეც იმიტომ, რომ ძათ დად-

---

[1] უშთამამავლო სიტყვების ნიმუშები: „სავარცხელი", „სასამართლო", „სამინისტრო", „საცნობო" და ა. შ.

გენაში მონაწილეობას ღებულობდნენ ისეთი დიდი ავტორიტეტები, როგორიც იყვნენ და არიან განსვენებული პროფესორები და მეცნიერნი: გიორგი ნიკოლაძე, ანდრია რახმაძე, ან. ბენაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე და თანამედროვენი: ინჟ. ვ. კაკაბაძე, პროფ. ეუკოლ ბერიძე, პროფ. რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვა, პროფ. მ. შალამბერიძე და სხვები. განსაკუთრებით კი ყველა ამ პირთა მუდმივი კონსულტანტი განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

დაბოლოს, ვინაიდან ზემოხსენებულ ნაშრომებთა ციტირება ხშირად მოგვიხდება, ამიტომ, ამიერიდან ძათ მხოლოდ შემოკლებით მოვიხსენიებთ: 1) „ბიბლიოთეკონომიის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიულ წარმოების ტერმინოლოგიას".—ტფ. 1932. ამიერიდან ნახსენები იქნება შემოკლებით როგორც „ბიბტერმინოლოგია", ხოლო 2) საქ. ტეხნიკურ სახ-ბის სატერმინო სექციის მიერ შედგენილ „რუსულ-ქართულ ტეხნიკურ ლექსიკონს (სიტყვარს)" — ტფ. 1920, როგორც „ტეხლექსიკონს".

III

დავიწყოთ „აღწერილობის საწყისით" ანუ „აღწერილობის თავაკით". გამოჩენილი ამერიკელი ბიბლიოთეკარი ჯოზ ხენსონი, რომლის მისწრაფებას, ამჟამად, კატალოგრაფიის საერთაშორისო კოდექსის შექმნა შეადგენს, იკვლევს რა, ამ ამოცანასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის უფრო გამოჩენილ 19 ბეჭდურ ინსტრუქციას, აჭბობს, რომ ერთგვაროვნების მიღწევას აღწერილობის იმ ხაზილში, რომელიც თავაკის შემდეგ იმყოფება (სათაურის სისრულე ბეჭდილობის ცნობები, კოლაციაა და შეხიმვნები) ისეთი მნიშვნელოვანი არა აქვს, როგორადაც აღწერილობის თავაკთა შედგენის მეთოდსო. (ციტირებულია ქანაზოვის რეცენზიის მიხედვით. Советская Библиография. 1940. № 1 (18).

ვინაიდან აღწერილობის თავაკს, ანუ როგორც „ბიბტერმინოლოგიის" შემდგენელნი უწოდებენ—„აღწერილობის საწყისს" ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს კატალოგრაფიასა და ბიბლიოგრაფიაში, ამიტომ ჩვენც ამ საგანს უფრო დაწვრილებით შევეხებით.

ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას იმ თავისტყვას თუ სიტყვებს, რომლებიც გახსნაზღვრავენ კარტაკის ადგილს ალფაბეტურ სტრუქტურის კატალოგში, ყველა ენაში სამი ტერმინი აქვს აღწერილობის საშვილ სახისათვის: ავტორიან ნაშრომებთათვის ეს არის „აღწერილობის თავაკი" ან „საწყისი", საკნობრივ აღწერი-

ლობისათვის—„საგნობრივი რუბრიკა“ და ანონიმურ ნაწარმოებთათვის—„აღწერილობის თავსიტყვა“. ამ სამი კერძო ხასიათის ცნება-ტერმინის გარდა არსებობს მეოთხეც, რომელიც ფარავს ზემოხსენებულთ და მათ მიმართ ზოგად ანუ გვარეობით ხასიათის ცნება-ტერმინს წარმოადგენს. ამ უკანასკნელს რუსულად „Порядковое слово“ ეწოდება. ინგლისურად—„Entry word“, ალმანურად—Ordnungswort (სიტყვა „ალმანურს“ რუსულ „немецкий“-ს შესატყვისად ვხმარობთ), ფრანგულად—„Mot d'ordre“ და იტალიურად—„Parola d'ordine“. ზევით და შემდეგ ევროპულ ენებში ხმარებული ბიბლიოთეკოლოგიური ტერმინები აღებული გვაქვს ქვემორე თხუზულებებიდან: 1) Всес. Библиотека им. Ленина—Инструкция по составлению алфавитного каталога. Вып. 1-ый. Изд. 2-е испр. и дополн.—М. 1934. 2) Словарь библиотечных терминов на русском, английском, немецком и французском языках. С предисл. Л. Б. Хавкиной.—М. И-т Библиотековедения. 1928.

ამ მეოთხე, გვარეობითი ხასიათის ტერმინის შესატყვისად „ბიბტერმინოლოგიაში“ ორი ტერმინია ნახმარი: „სარიგო სიტყვა“, „სარიგო რუბრიკა“.

თუ ჩვენ სიტყვა „რუბრიკის“ ტერმინოლოგიასა და მნიშვნელობას გავითვალწინებთ—დავრწმუნდებით რომ „რუბრიკა“ ზოგად და გვარეობითი მნიშვნელობის ტერმინად ვერ გამოდგება. უცხო სიტყვათა ლექსიკონში, რომელიც გამოცემულია „საბჭოთა ენციკლოპედიის“ სახელმწიფო ინ-ტის ძიერ. („Словарь иностранных слов“. Составлен бригадой гос. ин-та „Советская Энциклопедия“.—М. 1937) ეს სიტყვა ასეა გახმარტებული: „რუბრიკა“, რომელიც ლათინური სიტყვაა და აღნიშნავდა კანონთა სათაურებს, წითელი მელნით დაწერილთ (ruber—წითელი) ახლა იხმარება სამი გაგებით: 1) როგორც ნაწარმოების თვითეულ განაყოფის თავაკი (заголовок), რომელიც ძველად წითელი ფერით აღინიშნებოდა; 2) როგორც აბზაცი, და ფართე გაგებით; 3) როგორც ნაწარმოების თვით დანაყოფი. ასე რომ ტერმინი „სარიგო რუბრიკა“ არსებულ გაგებით უნდა გამოდგეს ნაწილის ამსახველ ცნებად და, მაშასადამე, ისეთი გვარეობითი მნიშვნელობის ცნების გამოსახატავად, როგორიც არის „порядковое слово“ და „Ordnungswort“—არ გამოდგება.

რაც შეეხება მეორე ტერმინს—„სარიგო სიტყვას“, ეს უკანასკნელი ზემოხსენებულ ტერმინთა პირდაპირი თარგმანია და დასახულ ცნებასაც სწორად ასახავს. მხოლოდ, ვიდრე ქართული

ენა თავსართ „სა"-ნით მეტად დამძიმებულია (ამის შესახებ იხ. „ტეხლექსიკონის" გვ. 27 და ნარაშვილის—ქართული ტერმინებისათვის.—„საჯარო ბ-კის შრომები". წ. I) და ამასთან ხელს გვიშლის საჭიროების დროს, შემოკლებულად აღნიშვნას (ინიციალით ან პირველი მარცვლით), ამიტომ უკეთესი იქნება „სარიგო სიტყვის" მაგიერ დაკანონდეს ტერმინი „რიგადი სიტყვა" (ანალოგია: ფულადი, წიგნადი, პურადი, სულადი, გულადი და ა. შ.) და არა „სარიგო".

განვიხილოთ ახლა ამ ცნების კერძო მნიშვნელობის ტერმინები. ავტორიან ნაწარმოებთათვის ასეთ ტერმინად ხმარებულია: რუსულად—„заголовок описания", ინგლისურად—„Heading" და ალმანურად—„Kopf des Zettels", ხოლო ქართულად ამის შესატყვისად სამი ტერმინი არსებობს: „აღწერილობის თავაკი", „აღწერილობის საწყისი" და „აღწეოილობის რუბრიკი" (ეს ორი უკანასკნელი „ბიბტერმინოლოგიით").

მართალია ტერმინი „აღწერილობის რუბრიკი" „ბიბტერმინოლოგიაში" ამ სახით არ არის მოცემული, მაგიერად იქ არის ტერმინი „აღწერილობის ქვერუბრიკი", რომლის შესატყვისად აღნიშნულია ინგლისურად—„Subheading", ხოლო რუსულად—„подзаголовок описания". ასე რომ „заголовок описания"-ს შესატყვისად „აღწერილობის რუბრიკი" უნდა ვიგულისხმოთ. იხ. „ბიბტერმინოლოგია", გვ. 201.

ვინაიდან ქართულ ბიბლიოთეკოლოგიაში სიტყვა „რუბრიკი" უკვე საყოველთაოდ დაძკვიდრებულია საგნობრივ კატალოგის ტერმინად, ამიტომ, თავისთავად იგი უარყოფილი უნდა იქნეს როგორც „заголовок описания"-ს შესატყვისი ტერმინი.

განვიხილოთ ახლა ტერმინი „აღწერილობის საწყისი". სიტყვა „საწყისი" ისევე, როგორც „დასაწყისი" ჩვეულებრივი ასოციაციით რისიმე გახუყრელ ნაწილს უნდა შეადგენდეს, ხოლო ის, რასაც რუსულად „заголовок" და ინგლისურად—„Heading". ეწოდება—ბიბლიოგრაფიულ აღწერილობის სავსებით დამოუკიდებელ ელემენტს წარმოადგენს, განკუთვნილს მხოლოდ და მხოლოდ ავტორის ვინაობის აღსანიშნავად და, მაშასადამე, ტერმინი „აღწერილობის საწყისი" შეიძლება ანონიმურ ნაწარმოებთა თავსიტყვისათვის გამოდგეს და არა „заголовок"-ისათვის. მით უმეტეს რომ აღწერილობის заголовок-ი ანუ აღწერილობის თავაკი ხშირად რთული სტრუქტურის ფრაზას წარმოადგენს და თვით მას საწყისიც აქვს და ბოლოც.

ასე, მაგალითად, როდესაც ლექტორი მსმენელთ უხსნის კორპორაციულ ავტორთა სხვადასხვა სახის თავაკთა სტრუქტურას იგი ამბობს: „პირველი სახის კორპორაციულ ავტორის აღწერილობის თავაკის საწყისად ტერიტორია უნდა იქნეს აღნიშნული, რომლის შემდეგ აღინიშნება ნაწარმოების გამომშვები ორგანიზაცია". და თუ თავაკის მაგიერ ზემოხსენებულ „აღწერილობის საწყისს" მივიღებთ, მაშინ ასე გამოვა: „პირველი სახის კორპორაციულ ავტორის აღწერილობის საწყისის საწყისად ტერიტორია უნდა იქნეს აღნიშნული". (sic!).

ან როდესაც ლაპარაკია აღწერილობის თავაკში რეზიდენციის აღნიშვნის შესახებ, ლექტორმა შეიძლება ასე თქვას: „უკეთუ საზღვის ან ორგანიზაციის სახელწოდება არ შეიცავს მათი რეზიდენციის ადგილსამყოფელს—საჭიროა მისი აღნიშვნა საწყისის ბოლოს", რაც უაზრობა გამოდის. ასეთივე უაზროა ტერმინი „საავტორო ან ავტორითი საწყისი"—авторский заголовок-ის შესატყვისად (ბიბლიოგრაფია, გვ. 2). უხერხულია ეს ტერმინი აგრეთვე გაგრძელებულ ე. ი. აღწერილობის მეორე და მესამე კარტაკზე გადატანის შესახებ საუბრის დროს. თქვენ მაშინ, ალბად, ასე მოგიხდებათ თქმა: „მეორე კარტაკზე კვლავ უნდა განმეორდეს აღწერილობის საწყისი და სათაურის დასაწყისი" (sic!) ან კიდევ: როდესაც თქვენ მსმენელთ უხსნით კორპორაციულ ავტორთა თავაკის სტრუქტურას თქვენ, ალბად, ასე მოგიხდებათ თქმა: „а в подзаголовке обозначается учреждение выпускающее данное произведение". „ხოლო ქვესაწყისში (sic!) აღინიშნება ნაწარმოების უშუალოდ გამომშვები ორგანიზაცია", უნდა დამეთანხმოთ რომ ტერმინი „ქვესაწყისი" მაინცდამაინც მარჯვე ტერმინად ვერ ჩაითვლება.

აქ უნებლიედ გვაგონდება ერთი ანალოგიური მაგალითი: ვიღრე ფიზიკის იმ ცნებისათვის, რომელსაც ფრანგები „Pression"-ს, ხოლო რუსები „Давление"-ს უწოდებენ—ქართულში მეტად მარჯვე ტერმინი „წნევა" დამკვიდრდებოდა—ჩვენში მანამდე ნახმარი იყო სხვადასხვა ყოველმხრივ შეუწყნარებელი სახელები, როგორიც არის: „ჭერა", „დაჭერა", „დაწოლა", „ზედაწოლა" და უბრალოდ „წოლა". ვინაიდან ამათი თვით ფესვიც შემცდარი იყო—მისგან ყველა ნაწარმოები სიტყვებიც მეცნიერულ ტერმინების მაგიერ საყოველდღეო ლაპარაკიდან ამოღებულ საანეგდოტო კოლექციას წარმოადგენდნენ. ამათგან ნაწარმოები სიტყვები ასეთ ტერმინებს იძლეოდნენ: „Обратное давление"—„უკუღმა წოლა" გამოდიოდა, „Постоянное давление"—„მუდმივი წოლა" და ა. შ. (იხ. ტეხლექსიკონი, გვ. 31).

ამგვარად, ტერმინს „აღწერილობის საწყისს", საყოველდღეო ენიდან ამოღებულს, ადვილად შეუძლიან გაუგებრობა და ბუნდოვანობა წარმოშვას და, მაშასადამე, მისი ტერმინად მიღებაც ენების მეტს არას გვიქადის.

რაც შეეხება ტერმინს „აღწერილობის თავაკს", სატერმინოლოგიო კომიტეტთან შეთანხმებულს, იგი ცნების სპეციფიკას უფრო გამოხატავს და თავის სტრუქტურით ევროპულ ენების სათანადო ტერმინებს უახლოვდება: „Заголовок", „Caption", „Kopftitel", „En tête", რომელნიც ყველანი სიტყვა „თავი"-დან არიან წარმომდგარნი.

აქვე უნდა ითქვას, რომ „ბიბტერმინოლოგიაში", სხვათაშორის; ტერმინი „სათაური" განკუთვნილია ორი, თუმცა მონათესავე, მაგრამ სულ სხვადასხვა ცნებისათვის: როგორც „Заглавие книги"-ს შესატყვისი და როგორც „Заголовок статьи"-ს ტერმინი, რაც, რათქმა უნდა დაუშვებელია. „თავაკის" შემოღება კი თვითეულ ცნებას თავთავის ტერმინს გაუჩენს.

ვინაიდან ტერმინი „თავაკი", როგორც ზევით ითქვა, სიტყვა „თავი"-დან არის წარმომდგარი და მის ერთერთ დერივატს წარმოადგენს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ახლავე ვიმსჯელოთ სიტყვა „თავი"-დან წარმოშობილ სხვა დერივატებზედაც. ესენია: თაური, სათაური, მეთაური, შუა-თაური, ქვესათაური და ზესათაური ანუ სხვანაირად ქვეთაური და ზეთაური.

როგორც ჩანს, სიტყვა „თავი"-დან წარმომდგარი პირველი დერივატი (დერივატი ეწოდება რისგანვე წარმოშობილს. ამ შემთხვევაში—დედაძირიდან წარმოშობილს ყველა სიტყვას) „თაური" ყოფილა, ხოლო, შემდგომ, ახალი ცნებების გამოსახატავად მას სხვადასხვა თავსართი წუმატეს: „სა", „მე". „ქვე", „ზე" და ა. შ. და წარმოსდგა ზემოხსენებული სიტყვები: „სა-თაური", „მე-თაური", „ქვე-თაური", „ზე-თაური" და „შუა-თაური", „ბიბტერმინოლოგიის" ავტორთა მიერ „красная строка"-ს შესატყვისად ხმარებული. (გვ. 397).

ვფიქრობ რომ ამ სიტყვების გრამატიკული კანონიერება ეჭვმიუტანელია, ვინაიდან თუ კანონიერია „მეთაური" და „შუათაური", რატომ კანონიერი არ უნდა იყოს „ქვეთაური" და „ზეთაური". ამის მიუხედავად ეს ორი უკანასკნელი ტერმინი სახელდობრ „ქვეთაური" და „ზეთაური" ქართველ სპეციალისტების მუდმივ პროტესტს იწვევს და მოითხოვენ მათს „ქვესათაურის" და „ზესათაურის" რედაქციით ხმარებას. მარა გვგონია რომ, ამ შემთხვევაში „ტეხლექსი-

კონის“ ავტორთა ავტორიტეტს უფრო უნდა გავყვეთ, როდესაც ისინი ამბობენ რომ: „ყოველ ზედმეტ თავსართს, როგორიც არის „გა“, „და“, „წა“, „მო“ თუ „შემო“ ან ნამეტან გრძელ დაბოლოებას უნდა ვერიდოთო (ტეხლექსიკონი. კაბ. 30).

აქედან გამომდინარე შემოგვაქვს წინადადება: რათა წიგნის სახელწოდების აღმნიშვნელ ტერმინად ნაცვლად სათაურისა შემოვიღოთ—„თაური“, როგორც „თავი“-დან წარმომდგარი მისი პირვანდელი, უფრო მარტივი და ზედმეტ თავსართით არ დამძიმებული, დერივატი. მაშინ ჩვენ მივიღებთ მონათესავე ცნებათა ტერმინების მწყობრ სისტემას: თავი, თაური, მეთაური, ქვეთაური, ზეთაური, შუათაური, თავაკი და ქვეთავაკი.

IV

განვიხილოთ ახლა მეორე, ავრეთვე საყოველდღეო ენიდან ამოღებული ტერმინი. სახეში გვაქვს „ბარათი“. იმას რასაც რუსულად „карточка“ ეწოდება—ქართულში მისთვის ასევე სამი ტერმინია ხმარებაში: „ფირფიტა“, „კარტაკი“ და ხსენებული „ბარათი“. პირველი ტერმინი „ფირფიტა“ ჩვენ გვხვდება პროფ. აკ. შანიძის ერთ ხელნაწერ მოხსენებაში („ტფილისის უნივერსიტეტის წიგნთსაცავის დალაგებისათვის“. 1921 წ. ივლისის 24). და ერთი-ორჯერ სხვა ავტორებთანაც, მარა ვინაიდან, ამ ბოლო წლებში ეს ტერმინი ალარა გვხვდება, ამისათვის მასზე ალარ შევჩერდებით. რაც შეეხება ტერმინ „ბარათს“ საყოველდღეო ენაში იგი ხან „წერილის“ და ხან „записка“-ს გაგებით არის ხმარებული. მწერალი გრიშაშვილი ლაპარაკობს რა ნინო ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის მიმოწერაზე, სხვათაშორის ამბობს: „აქ ამ რკალის შესავსებლად მოვიყვანთ ერთ მის უცნობ ბარათს, რომელიც მიწერილია პოეტ გრიგოლ ორბელიანთან“. (იხ. ჭავჭავაძე, ალ.—თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით.—ტფ. 1940. გვ. LV).

მარა ეს სიტყვა სხვა სფეროშიაც არის ნახმარი. განსვენებული აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ერთ თავის ეამოკვლევაში ამბობს რომ „ბარათი იმ პატარა მიწერილობას ჩქმეულა, რომელშიაც ხელისუფალი, მოხელე თუ მებატონე მისი კუთვნილი გადასახადის გამოგზავნილ კაცისათვის ჩაბარებას სთხოვდა ბოლმე“. (იხ. ივ. ჯავახიშვილი—ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები.—კრ-ში: „მიმომხილველი“.—ტ. 1926) (ხაზი ყველგან ჩვენია. ი. ც.). ეს გარემოება, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ორ დარგში ნახ-

მარი ტერმინი მესამეშიაც არ იხმარებოდეს. მარა რა საჭიროა, როცა ტერმინი „კარტაკი“, რომელიც წარმომდგარია ბერძნულ-ლათინურ charta—ძირიდან, საკმაოდ გამოხატავს ცნების სპეციფიკასაც და სალაპარაკო ენასაც არ აღარიბებს. ზემოხსენებული „ტეხლექსიკონის“ ავტორნი სწორედ ამგვარ შემთხვევის გამო ასე სჯერენ: „უკანასკნელ დროში მთელი ჩვენი სამეცნიერო ენა საყოველდღეო ენიდან უცვლელად ამოღებულ სიტყვებით აივსო... ეს დანარჩენ ენას აღარიბებს, რადგან მოვლენების ასაწერად მეცნიერებას სულ ნაკლები და ნაკლები სიტყვები რჩება... მომავალშიაც თუ ასე მოვიქცეთ, მთელი ჩვენი დღევანდელი ენა ტერმინებად გადაიქცევა. ამის გამო ან სალაპარაკო სიტყვები აღარ დაგვრჩება ან, ცხოვრებაში ნახმარ ყოველ სიტყვას იმავე დროს ურთულესი მეცნიერული მნიშვნელობა მიეცემა და ეს საშინელ არევ-დარევას გამოიწვევს. მეცნიერები კი სრულიად ვეღარ დაელაპარაკებიან ხალხს, რადგან, ყოველი მისი უბრალო სიტყვა მათ ტერმინი ეგონებათ“. (გვ. 26).

გარდა ამისა, როგორ შეიძლება ეს ორი მონათესავე ტერმინი „კარტაკი“ და „კარტოთეკა“ ერთმანეთს დააშორო! „კარტოთეკა“ ხომ იგივე „კარტაკთა“ საცავია, ისევე როგორც ბიბლიოთეკა—წიგნთსაცავია (biblion—წიგნი), პინოკოთეკა—სურათსაცავი (pinax—სურათი) და გლიფტოთეკა—ქანდაკთსაცავი (gliptos—ქანდაკი), მაშინ „ბარათის“ მთქმელმა „ბარათოთეკაც“ უნდა სთქვას, მარა ეს ხომ ფრანგულ-მცხეთური ჟარგონი გამოგვივა.

ჩვენი ენის დიდი მცოდნე სილოვან ხუნდაძე არკვევს რა ორ ქართულ სინონიმს „ჰაჰას“ და „თირკმელს“, ამბობს: „მართალია ახალ მწერლობაში პირველი სახელწოდება თითქოს უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე მეორე, მაგრამ „თირკმელს“ ის უპირატესობა აქვს, რომ მარტო ერთ საგანს აღნიშნავს, სხვა მნიშვნელობა არა აქვს („ჰაჰა“ კი ყურძნის ნაწურსაც ეწოდება),—ამიტომ მწერლობაში „თირკმელი“ უნდა დარჩესო“ (იხ. მისი—სალიტერატურო ქართული.—ჟურ. 1901, გვ. 184). აი ნამდვილი კრიტერიუმი ტერმინთა დადგენის დროს.

V

საყოველდღეო ენიდანვეა უცვლელად ამოღებული ტერმინები „ნაკვეთი“ და „გამოშვება“, რუსული „Выпуск“-ის შესატყვისად ხმარებულნი. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ქართული ენის რეფორმატორი იოანე პეტრიწი თავის დროზე გოდებდა, რომ ქართველი მთარგმნელები სამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე

ბერძნულ სიტყვას ქართულად ერთი სიტყვით გამოთქვამენ, რის გამო „ენამზე“ ბერძნული სიტყვა ბუნდოვანდებაო. (იოანე პეტრიწის შრომები. ტ. I, გვ. LVIII).

ტერმინი „გამოშვება“, რომელიც კარგახანი მიეწყებული იყო ამ ბოლო დროს კვლავ ამოტივტივდა, ალბად იმიტომ რომ არც მეორე ტერმინი „ნაკვეთი“ აკმაყოფილებს ცნების სპეციფიურობის გამოსახატავად. ასე, მაგალითად, ახლად გამოცემულ წიგნს ასეთი სათაური აქვს: „ისტორიის მეთოდური სახელმძღვანელო. შუა საუკუნეები. გამოშვება 2.—ტფ. 1941“.

ეს ტერმინი მეტად ფდრეკია და მისგან რაიმე დერივატის მიღებაც შეუძლებელია. ამ ტერმინით, მაგალითად, ჩვენ ვერ ვიტყვით: „ამ გამოცემის კვეთობრივი სისტემა არ შეეფერება სერიის ამოცანებს“. მარა არც აგრონომიულ ნომენკლატურიდან ამოღებული „ნაკვეთი გამოდგება ჩვენი სპეციალობის ტერმინად და აი რატომ: გარდა იმისა რომ სიტყვა „ნაკვეთი“ არ გამოხატავს პოლიგრაფიულ ტერმინის სპეციფიკას, მის წინააღმდეგ ტეხნიკური ხასიათის მოსაზრებაც ლაპარაკობს: საქმე ის არის, რომ კატალოგიზაციისა და ბიბლიოგრაფიაში ეს ტერმინი ძლიერ ხშირად გვხვდება. ასთან ბიბლიოთეკოლოგიის ეს ორი დარგი გამუდმებულ წერას გულისხმობს. არსებულ ნორმების მიხედვით სხედოგრაფისა ან დუბლიორის წლიური პროდუქცია 25.000—30.000 აღწერილობით განისაზღვრება. ამისთანა პირობებში ზოგიერთ სიტყვის შემოკლებით დაწერას და ხმარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მასთან ეს შემოკლება არ უნდა იწვევდეს ბუნდოვანობას ან ორაზროვნობას. ამ მხრივ მნიშვნელობა ეძლევა არა მარტო სიტყვის ან მარცვლის შესაძლებელ ეკონომიას, არამედ ყოველ ზედმეტად ხმარებულ ხაზსაც კი, რადგან ყოველი ზედმეტად ხმარებული მარცვალი, ხაზი ან წერტილიც კი გავლენას ახდენს პროდუქციის რაოდენობასა და ხანგრძლივობაზე.

სწორედ ამ მოსაზრებით ასეთი თავსართიანი სიტყვები, როგორიც არის: „ნა-კვეთი“ ან „გა-მო-შვება“ კატალოგრაფიასა და ბიბლიოგრაფიაში არ გამოდგებიან, რადგან თავისი „ნა“, „გა“ და „მო“ თავსართებით შემოკლებულ სიტყვების დაწერილობას ხელოვნურად ადიდებენ და აგრძელებენ. აღნიშნულ ცნების ამსახველად ჩვენ მიერ ხმარებულია ტერმინი „კვეთი“. მისი ძირი იგივეა რაც სიტყვა „ნაკვეთი“-სა, მხოლოდ თავსართ მოცილებული, ტერმინ „დენას“ ანალოგიით. მასთან ტერმინი „კვეთი“ უფრო მარტივი და სპეციფიკურია, თან საყოველდღეო ენაში არ ხმარებული და შემოკლებისათვისაც მარჯვე.

საყოველდღეო ენიდანვეა ამოღებული ბეჭდურ წიგნის ნაწილთა სახელებიც, როგორიც არის: გვერდი, ფურცელი, თავფურცელი, დაბეჭდილი ფურცელი, ჩართული ფურცელი და ა. შ. საეშვოა რომ ქართველ ერსა და მწიგნობართ წიგნის ამ ძირითად ნაწილთა ტერმინები არ ქონოდა. ჩვენი კულტურული ზრდის ცარიზმის მიერ უეცარმა შეწყვეტამ საუკუნის მანძილზე, დაგვავიწყა და მოგვწყვიტა ფრიად განვითარებულს ჩვენს ძველს სამეცნიერო ძეგლებს ფილოსოფიის, ბიოლოგიის, მედიცინის, სამართლისა და სხვა დარგისას.

ეს დავიწყება იმდენად საფუძვლიანი გამოდგა, რომ როცა წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში მათი სახელები კვლავ საჭირო შეიქნა—იწყეს ისეთი ტერმინების შექმნა, რომელნიც საღმრთო წერილთა პირველი თარგმნების დროიდანვე გვქონია.

ზემოდ ხსენებულ საგნებს სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ასე განმარტავს: „წერილთა ფურცელსა ეწოდების კეფი, ხოლო ფურცლისა ცალსა პირსა—კაბადონი და მიგვითითებს: იერემია 36,23. (იხ. მისი—ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. აკ. შანიძის რედაქციით.—ტფ. 1928, ავრეთვე: ივ. ჯავახიშვილი—ქართული საზომების მცოდნეობა.—ჟურნ.: „ჩვენი მეცნიერება", 1925 № 3-4), დავით ჩუბინაშვილის რუსულ-ფრანგული განმარტებით: კეფი—лист письма (т. е. 2 страницы). Feuillet de papier écrit, ხოლო კაბადონი ან კაპატონი—страница, page. (ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი.—სანქტპეტერბურგი. 1840). რაც შეეხება თვით სიტყვა „ფურცელს" იგი, ორბელიანისავე განმარტებით, განკუთვნილია ყვავილთა და მცენარეთა ტერმინად.

რომ ამ ტერმინს არც ახალი ქართული გაურბის—საკმაოა გადავფურცლოთ „ენიმკის" მიერ 1940 წელს გამოცემული: „დოკუმენტები საქართველოს სოციალურ ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. პროფ. ნ. ბერძნიშვილის რედაქციით.—ტფ. „ენიმკი". 1940).

ამ გამოცემის ყველა დოკუმენტს წინ უძღვის ე. წ. ლეგენდა, სადაც აღნიშნულია საბუთის შინაარსი, ხასიათი და მასალა (მაგ.: ქაღალდი, ეტრატი, პაპირუსი და მისთ.). ამ ლეგენდებში ყველგან ხახმარია „კეფი" და არა „ფურცელი". ჩვენ იქ ვკითხულობთ, მაგალითად, ასეთ განმარტებებს: „დაწერილია თეთრ ქაღალდის ოთხ ერთმანეთზე გადაბმულ კეფზე მხედრული ხელით". (გვ. VII).

ამგვარად, სავსებით ბუნებრივია, რათა სიტყვა „გეოდი“ საყოველდღეო ენასვე დავუტოვოთ, ხოლო „ფურცელი“ კი ბოტანიკას და ჩვენ კი ძველადვე არსებულ ტერმინებს დავუბრუნდეთ. ამით სალაპარაკო ენაც გამდიდრდება და ბიბლიოთეკოლოგიური დისციპლინაც, რომელსაც მარჯვე და სავსებით დამოუკიდებელი ტერმინები ექნება.

ძირითად ტერმინების შეცვლით, ბუნებრივად მათი დერივატებიც შეიცვლება და თუ სპეციალისტთა საზოგადოებრივობა დაადასტურებს ზემოდ ხსენებულ ცელილებათ, მაშინ „თავფურცლის“ მაგიერ გვექნება „თავკეფი“, „ჩართული ფურცლის“ მაგიერ „ჩართული კეფი“ და ა. შ.

რათა მოვათავოთ წიგნის ნაწილთა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი—შევეხოთ კიდევ გაშლილ ქაღალდის იმ ერთეულს, რომელზედაც ბეჭდვითი ნაწარმოებნი იბეჭდებიან და რომელიც დაკეცის შემდეგ რვეულის სახით წიგნის ერთეულს შეადგენს და რომელსაც რუსულად печатный лист ქვიან. ქაღალდის ასეთ ერთეულს ძველადვანვე „თაბახი“ ეწოდებოდა. 1892 წლის 13 დეკემბრის გაზ. „ივერიის“ პირველ გვერდზე ასეთ განცხადებას წაიკითხავთ: „ნახატებიანი ჟურნალი „კვალი“ გამოვა 1893 წლიდან კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდეო“. ამასთან დაკავშირებით печатный лист-ს უნდა „ბეჭდური თაბახი“ ან მარტივად „თაბახი“ ვუწოდოთ (ბიბტერმინოლოგიაში—„დაბეჭდილი ფურცელია“).

VII

ჩვენს პრაქტიკაში ორი ტერმინია ხმარებაში: „ალფაბეტური კატალოგი“ და „ანბანური კატალოგი“. ამ ორი ტერმინიდან კატალოგთათვის პირველი უნდა დამკვიდრდეს, რადგან სიტყვა „ანბანური“ „ალფაბეტურის“ სინონიმად ვერ ჩაითვლება.

ქართული ლექსიკა ხანგრძლივი განვითარების შედეგია.

მისი გამდიდრების ერთერთი ფაქტორთაგანია თვით სალიტერატურო ენის ლექსიკის სახეცვალება სხვადასხვა დერივატების წარმოების მეშვეობით. მეორე ფაქტორია სიტყვათა სესხება.

ხშირად უცხო სიტყვა მაშინაც იკრება როცა მიმღებ ენას ამ ცნების გამომხატველი სიტყვა თითონაც მოეპოება. ეს ხდება ახალი კულტურულ ნაკადის დროს და, მაშასადამე, ერთიდაიგივე ცნებისათვის ენაში თავს იყრის ორი ან მეტი სიტყვა ანუ სინონიმი. ამ სინონიმებში დროთა მანძილზე შინაარსობლივი დიფერენციაცია ხდება. რათქმა უნდა, ამბობს ამის შესახებ ახალგაზრდა მკვლევარი

შ. ძიძიგურია, რომ ეს ფაქტი ლექსიკის გამამდიდრებელი და გამაფართოვებელი პროცესიაო. (ძიძიგური, შ.—ლექსიკის განვითარების გზები... კრ.: ბათომის სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. წ. I, გვ. 142).

ჩვენც, ამ შემთხვევაში, სწორედ ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე: ქართული სიტყვა „ანბანური“ საყოველდღეო ენაში რუსული „азбучный“-ს შესატყვისად იხმარება. „ეს ანბანური ჭეშმარიტებააო“, იტყვიან. ამის გარდა მეტყველების მასალადაც გვჭირდება იგი. მაგალითად, ალფაბეტურ კატალოგის განმარტების დროს ჩვენ ვამბობთ: „ალფაბეტური კ-გი ისეთი კ-გია, სადაც აღწერილობანი ავტორთა და სათაურთა ანბანზეა დალაგებული“. ან „კონრად გესნერს ყველა ნაწარმოები სახელწოდებათა ანბანზე აქვს დალაგებული“.

ამრიგად ამ ორ სიტყვას ერთიმეორის დამხმარეს სხვადასხვა მნიშვნელობა მიეცა და თუ ჩვენ მაინც ორივე ცნებისათვის „алфавитный“-ს და „азбучный“-ს შესატყვისად მხოლოდ ერთ სიტყვას ვიხმართ, ამით ჩვენს ენას კი არ გავამდიდრებთ, არამედ, პირიქით, ხელს შევუწყობთ მის გაღარიბებას და პრიმიტივიზაციას, თანაც დავარღვევთ ტერმინოლოგიის ძირითად პრინციპებს, რომელიც „საბჭოთა დიდ ენციკლოპედიაში“ ასეა გამოთქმული: „В специальной литературе многозначность термина недопустима“. (იხ. БСЭ. Лексика).

ვადგან სიტყვა ე. წ. „საერთაშორისო“ ტერმინებზე ჩამოვარდა აუცილებელია, რომ ჩვენი საგნის გამოსახატავად ოთხი ტერმინი არსებობს: „ბიბლიოთეკონომია“, „ბიბლიოთეკათმცოდნეობა“, „ბიბლიოთეკოგნობა“ (ხ. ფურცელაძით) და უკანასკნელად ამხ. ნ. ლორთქიფანიძის მიერ შემოტანილი—„ბიბლიოთეკოლოგია“. ამხ. ნიკო ლორთქიფანიძის სამართლიან განმარტებით „ბიბლიოთეკონომია“ სხვა დისციპლინების ანალოგიით უნდა საბიბლიოთეკო საქმის ტექნიკურ სფეროსთვის ვიხმაროთ, ხოლო „ბიბლიოთეკოლოგია“ კი მისი თეორიულ მხარის აღსანიშნავად. კარგი იქნება, რომ ყველამ ამ გაგებით ვიხმაროთ ეს ორი ტერმინი, ე. ი. „ბიბლიოთეკონომია“ და „ბიბლიოთეკოლოგია“ და ხმარებიდან გავდენოთ გრძელი (ცხრამარცვლიანი) „ბიბლიოთეკათმცოდნეობა“, რომელსაც არც ერთი დეროვატის მოცემა არ შეუძლიან.

VIII

ტერმინი „სახელმძღვანელო“ XIX ს-ნის ნეოლოგიზმია, რუსულ „Руководство“-ს და ალმანურ „Handbuch“-ის შესატყვისი. მანამდე კი ხმარებული იყო „ხელათსახმარი“ და „ხელსამძღვანი“

(იხ. ნარაშვილი, ივ.—ქართული ტერმინებისათვის—საქ. საჯარო ბ-კის შრომები. წ. I, გვ. 177) უფრო ძველად კი „წინამძღვარი".

ანასტასი სინელის ერთერთი ნაწარმოების შესახებ არსენ იყალთოელი ამბობს, რომ ეს წიგნი „ნამდვილი წინამძღვარი არს წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაი". (კეკელიძე, კ. აკად.—ქართ. ლიტრის ისტორია. 1941 წ. ტ. I, გვ. 234) ან „გულმოდგინებითა გადავწერე ქრისტიანეთა წინამძღვარი, დიდი ესე სჯულის კანონი, ქართველთათვის ფრიად ჭირთა თავსმდებელისა არსენ იყალთოელის თარგმნილი. (გელათის მონასტრის ნუსხა № 25.—Ibid., გვ. 259-60).

ხუთმარცვლიანი „სახელმძღვანელო" ყველა დარგში და ყოველდღიურ ენაშიაც ხშირად ხმარებული და XIX ს-ნის მეორე ნახევარში შექმნილი იმ ტლანქ და მძიმე ტერმინთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლის შესახებ „ტეხლექსიკონის" ავტორებმა სამართლიანად შენიშნეს რომ „იგი ყურისათვის უცხო და არა ბუნებრივია და, ჩვენი, მოკლე სიტყვებზე აღზრდილი ენისათვის მეტად ძნელი ხახმარებელიო" (გვ. 29).

ყველა ამ სიკეთესთან იგი ფრიად უდრეკია. მისგან ვერც ერთი დერივატი ვერ ხერხდება. ამასთან, აძ ხშირად ხმარებულ სიტყვის შემოკლებით ხმარებაც შეუძლებელია, ვინაიდან ამ კომპოზიტის პირველი ნახევარი სხვა კომპოზიტებსაც წინ უძღვის: სახელმწიფო, სახელ-წოდება, სახელ-დება და სხვა მისთ.

თუ ეს ასეა, მაშინ სამმარცვლიანი, მოკლე, ხმოვანი და ელასტიური „ძღვახარი" ისეთივე კანონიერია, როგორადაც ამ ბოლო დროს შემოღებული და საზოგადოების მიერ სავსებით ათვისებული: ცნობარი, სიტყვარი, კითხვარი, ამოცნარი, ქვითარი და სხვა მისთანები.

IX

წიგნთაღწერას ჩვენში ორი ტერმინი აქვს. ორივე ბერძნულია: „სხედოგრაფია" და „კატალოკრაფია". ამ ოციოდე წლის წინედ პროფ. ა. მალეინმა ერთერთ კრებაზე შენიშნა, რომ სიტყვა კატალოგრაფია, როგორც კომპოზიტი, რომელიც ორი ბერძნული სიტყვის: Katalogos და Grafos-ისაგან შესდგება უნდა იწერებოდეს და გამოითქმოდეს როგორც კ ა ტ ა ლ ო გ ო გ რ ა ფ ი ა და არა კ ა ტ ა ლ ო გ რ ა ფ ი ა, ვინაიდან მარცვალ „გოს" ამოგდება ფილოლოგიურად გაუმართლებელია.

პატივცემულ პროფესორს დავიწყებია, რომ გრამატიკულ ფორმებს ამგვარი დაცილება ყოველი ცოცხალი ენისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

„მამათა და შვილთა“ ცნობილ ბრძოლის დროს ილია ჭავჭავაძეს, ერთი მისი ლექსის გამო („მისი ლექსი სუბუქ ფრთითა ხან მეჯლისში შეჰფრინდება“...) ერთმა მამათაგანმა უსაყვედურა: ერთი ფრთით ვინა ფრინაესო“? ამაზე ილიამ უპასუხა: როცა ამბობენ: „ჩემის თვალით ვნახეო“, „ჩემის ფეხით მივედიო“, ნუთუ მართლა ერთის „ფეხით“ მიხტოდნენ და ერთის „თვალით“ ხედავდნენ! სულაც არა, მაგრამ ამბობდნენ კი. მაშასადამე, ჯერ ხალხს მოაშლევინეთ ეგრეთი ულოღიკო ლაპარაკი და მერე მე. წინათვე მოგახსენეთ, ხალხია ენის კანონის დამდები და არა „ანბანთ თეორეტიკაო“ (იხ. მისი—„პასუხი“—თხზულებანი. სრული კრებული. ხუთ ტომად. ტფ. 1941. ტომი II, გვ. 28-29).

კიდევ მაგალითი: „ვეფხის ტყაოსნის“ გენიალური ავტორის კანონიერი სახელი, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი ადასტურებს—„რუსთველია“, მარა, ვინაიდან ხალხის დიდი უმრავლესობა „რუსთაველს“ ამბობს—ეს უკანასკნელი ფორმა დაკანონდაო.

მალეინის ზემოხსენებულ შენიშვნას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან იმ დღიდან დღეკანდლამდე რუსული სპეციალური ლიტერატურა ხმარობს კატალოგრაფიას და არა ძნელად გამოსათქმელ „კატალოგოგრაფიას“. საკმაოა ამისათვის დავასახელოთ ისეთი ავტორიტეტული გამოცემანი, როგორიც არის: Труды II всеросс. библиографического с'езда.—М. 1929 და საკავშირო წიგნის პალატის ბოლონდელი „Советская Библиография“—М. 1940. № 1 (18). ამასთან, სხვა, არა ნაკლებ ავტორიტეტიანი, სპეციალისტები (აკადემიკოსი სობოლევსკი, ი. ვ. ლინდემანი და სხვანი) ტერმინ „კატალოგრაფიას“ სავსებით მართებულად სთვლიან, სხვა სიტყვების ანალოგიით, როგორიც არის: იდოლატრია და არა იდოლოლატრია, მეტაფიზიკა და არა მეტატაფიზიკა და ა. შ. აქ ჩვენ აღარ გავიმეორებთ იმ არგუმენტაციას, რომელიც ევ. შამურინს მოჰყავს თავის წერილში: Библиографическая каталогизация и каталография. კრებულში: „Библиографическое дело“. М-Л. 1927.

ყველა ამას უნდა დაემატოს, რომ ტერმინი კატალოგრაფია გავრცელებულია როგორც ფრანგულ ასევე ინგლისურ ლიტერატურაში, საკმაოა გავიხსენოთ ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიის ინსტიტუტის ისეთი ცნობილი გამოცემა, როგორიც არის 1927 წელს გამოსული „Manuel“-ი, სადაც მოთავსებულია Règles catalographiques.

X

იმის შემდეგ რაც ამბ. ნიკო ლორთქიფანიძემ ტერმინი „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ შემოიტანა, იმისი შესატყვისი „სტატიობრივი აღწერა“ თითქოს ხმარებიდან არის ამოგდებული. ვფიქრობთ, რომ თვით ტერმინი „სტატიაც“ ჩვენს სპეციალობაში სულ ზედმეტია, რადგან ამ ბოლო დროს უმეტესობა მის ადგილზე „წერილს“ ხმარობს. „გაზეთის წერილიო“, „კრებულში მოთავსებული წერილიო“, რაც სავსებით მართებულია. ამგვარად, სიტყვა „წერილი“ გადაიქცა მწიგნობრობის ერთერთ ტერმინად. მიმოწერისათვის კი საყოველდღეო ენაში კვლავ უნდა შემოვიდეს რუსთაველის და ზოგჯერ თანამედროვეთაგან ხმარებული „უსტარი“.

შეიძლება გვითხრან, რომ ეს სიტყვა დაძველებულია და ხმარებულია მხოლოდ ძველ ლიტერატურაშიო. ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ ნეოლოგიზმები მარტო ახალი სიტყვებით არ განისაზღვრება, რომ ხშირად ძველი ლექსიკიდან კვლავ სესხულობენ ამათუ იმ სიტყვას, ძველი ან ახალი გაგებით და ამგვარად გაახალგაზდებული იგი კვლავ ცოცხალი ენის ორგანულ ნაწილად ხდება.

XI

ის ორგანიზაცია, რომლის სახელით ნაწარმოები გამოდის, უეჭველად საგამომცემლო პროცესის ერთგვარი მონაწილეა. ყოველ შემთხვევაში ნაწარმოების რედაქციულად გამზადებაში, ინგლისურად მას „Editor“ და ალმანურად „Herausgeber“, ეწოდება, ხოლო მის ტექნიკურ შემსრულებელს კი „Publicher“ და „Verleger“ ეწოდება. „ბიბტერმინოლოგიაში“ კი ეს ორივე მცნება ერთი ტერმინით ითარგმნება: „გამომცემელი“ ან „გამომცემლობა“. საჭირო კია მათი დიფერენციაცია. გამოცემის ტეხნიკის ამსრულებელს დაეუტოვოთ ეს ძველი ტერმინი: „გამომცემელი“ ან „გამომცემლობა“, ხოლო გამოცემის ორგანიზატორს, ნაწარმოებისათვის იდეოლოგიურად პასუხისმგებელს [უკეთესია] „პ უ ბ ლ ი კ ა ტ ო რ ი“ ვუწოდოთ.

XII

„ბიბტერმინოლოგიაში“ სხვადასხვა ხასიათის ფრჩხილებისათვის მოცემულია მხოლოდ ერთი ტერმინი „ფრჩხილები“, რომელსაც საჭიროების დროს თანადი ზედსართავი ემატება: კუთხოვანი, რგვალი, კვადრატული. ამით ჩვენ ვივიწყებთ „ტეხლექსიკონის“ ავტორთა ერთ დებულებას, რომელიც ამბობს: „რომ მეცნიერების ერთერთ

მიზანს აზროვნების პროცესის შემოკლება და გაადვილება შეადგენს. ხშირად საჭიროა მეტად რთული და ღრმა აზრის ერთი სიტყვით გამოსახვა". (კ. 11).

ზემოხსენებულ ორ სიტყვიან ტერმინთა მაგიერ აკად. აკ. შანიძე ხმარობს ერთსიტყვიან ტერმინებს: „ფრჩხილები"—„რგვალ ფრჩხილების" მაგიერ და „კავები"—„კუთხოვან ფრჩხილების" მაგივრად. (იხ. მისი—ხალხური პოეზია. I. ხევსურული.—ტფ. 1931., გვ. 672). უეჭველია ამ გამარტივებულ ფორმებს უპირატესობა უნდა მიეცეს.

XIII

თუ ზოგიერთ შემთხვევაში ნიუანსის გამოსახატავად საჭირო ტერმინი გვაკლია—ცნება „მითითებას" ზომაზე მეტი ტერმინი გაუჩნდა: იმას, რასაც ინგლის-ამერიკელები „See reference"-ს უწოდებენ და რუსულად ნათარგმნია როგორც „Общая ссылка" და „отсылка"—ქართულად ხუთი ტერმინი აქვს: „ზოგადი მითითება", „სინონიმური მითითება", „სრული მითითება", „ნახე მითითება" და „იხილე მითითება".

ვერც ერთი მათგანი ცნების სპეციფიკას არ აღნიშნავს. შესაფერ ტერმინის დასადგენად საჭიროა გავიხსენოთ ამ ცნების განმარტება. აი როგორ განმარტავს მას ლენინის სახ. საკავშირო ბიბლიოთეკის ინსტრუქცია: „ზოგადი მითითება—მითითებაა ან წარგზავნაა იმ სიტყვიდან, რომლის მიხედვით მკითხველს შეუძლია მოსძებნოს მისთვის საჭირო წიგნი—წიგნის აღწერილობის იმ თავაკისაკენ, რომლითაც კატალოგიზატორმა იგი აღწერა. (იხ. Всесоюзная библиотека им. Ленина—Инструкция по составлению алфавитного каталога. Вып. I. М. 1934). მაშასადამე ეს მითითება მკითხველს წარგზავნის იმ სიტყვიდან, რომლითაც ის ეძებს მისთვის საჭირო წიგნს იმ სიტყვისაკენ, რომლითაც მას პოვნა შეუძლიან. ამგვარად ამ მითითების სპეციფიკას შეადგენს ის, რომ მკითხველი ერთი რუბრიკიდან იგზავნება მეორე რუბრიკისაკენ. ამის გამომხატველი ტერმინი კი რუსული „отсылка"-ს მბგავსად „წარმგზავნი" მითითება იქნება. ჩვენის აზრით ეს ტერმინი სხვებზე უკეთესია.

მეორე მითითებას, რომელსაც ინგლის-ამერიკელები უწოდებენ See-also reference-ს და რუსულად ნათარგმნია ხან როგორც „Частная ссылка" და ხან როგორც „Связующая ссылка" ქართულად ოთხი ტერმინი აქვს: „კერძო მითითება", „ნაწილობრივი მითითება", „ნახე აგრეთვე მითითება" და „იხილე აგრეთვე მითითება".

აქაც აღნიშნული ტერმინები ვერ გამოხატავენ ცნების სპეციფიკას. ამ მითითების სპეციფიკას კი შეადგენს ის, რომ იგი მონათესავე ცნებებს ერთმანეთთან ა ბ ა მ ს, აკავშირებს. მაგ.: „ფიზიკა“ იხ. აგრ. „მექანიკა“. ამგვარად რუსულ ლიტერატურაში ბოლო დროს ხმარებული „Связующая ссылка“ უფრო ახლოსაა საგნის შინაარსთან. მარა ქართულ ენაში ბოლო დრომდე არ არსებობდა ამ ცნების ამსახველი ტერმინი, რომელსაც რუსულად „Связь“ ეწოდებოდა, ხოლო ფრანგულად „La lieson“.

ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია შეეცადა ამ ხარვეზის შევსებას. მან ამ ცნების შესატყვისი ტერმინი „ბმა“ ფესვიდან აწარმოვა და, სამწუხაროდ, მეტად გრძელი და ტლანქი ტერმინი მიიღო. სახელდობრ: „კავშირთ-გაბმულობა“, რომლის შემდგომი წარმოება და რაიმე დერივატების მიღება შეუძლებელია. კომისიის ცდა რათა საჭირო ტერმინი სიტყვა „ბმა“-დან მიეღო, უეჭველად მართებულია. ოღონდ, შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ახალი სიტყვის მისაღებად თავსართი „გა“ იხმარეს.

ხსენებული ცნების და რუსული „Связь“-ის შესატყვისად ჩვენ იმავე ფესვიდან სიტყვა „ბამი“ გამოვიყვანეთ. (ანალოგიით: დგმა—დგამი; ბმა—ბამი; ქმნა—ქმანი და ნაქმანი; ქსვლა—ქსელი; ჯრა—ჯარი და ა. შ. (ჯრა აკად. კ. კეკელიძის განმარტებით ნიშნავს: შეყრას, შეკუჭებას, შეგროვებას).

ტერმინი „ბამი“ დადასტურებული იყო ტეხნიკურ საზ-ბის მიერ, რომელმაც ჟურნალ „ტეხნიკა და შრომის“ 1923 თუ 1924 წლის ერთერთ ნომერში მოათავსა იგი. ამ სიტყვას, რომელიც მოკლე, მარჯვე და ხმოვანია, შეუძლიან მოგვცეს დერივატების მთელი რიგი. ამგვარად ცნება „Связь“ ქართულად „ბამი“ იქნება, ხოლო Связующая ссылка—„ბამადი მითითება“. მართალია იმავ აზრის გამოხატვა სხვანაირადაც შეიძლება. სახელდობრ: „მაკავშირებელი მითითება“, მარა ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ მოკლე სამმარცვლიან „ბამადს“, გრძელ, ექვსმარცვლიან „მაკავშირებელთან“ შედარებით. ამის გარდა ახალი ძირის ქართული სიტყვა სალაპარაკო ენასაც გაამდიდრებს.

მითითებათა სისტემაში „იხილე“ ტერმინს უპირატესობა აქვს „ნახე“ ტერმინთან შედარებით, რომელიც ასო „ნ“-არით აღინიშნება ხოლმე, რის გამო ზოგჯერ გაუგებრობას აქვს ადგილი. ამას ადასტურებს ზოგიერთი მაგალითი: „რაზიკაშვილი, ლ. ნ: ვაჟაფშაველა“ (დოლაქიძე, შ.—საგნობრივი კატალოგი.—ტფ. 1939, გვ. 20) ან „ულიანოვი, ვ. ნ. ლენინი, ვ. ი.“. (ჩხაიძე. გრ.—საგ-

ნობრივი კატალოგი.—ტფ. 1940, გვ. 84). ამგვარად ასო „ნ“ ზოგ შემთხვევაში წარმგზავნ ნიშნად კი არ გვეჩვენება, არამედ ინიციალად.

XIV

ტერმინ „წინასიტყვაობა“-ს მაგიერ ამ ბოლო დროს შემოდის უფრო მართებული ტერმინი „წინასიტყვა“. თანამედროვეთაგან, რომელნიც ამ უკანასკნელს ხმარობენ, საკმაოა დავასახელოთ აკადემიკოსი აკ. შანიძე და პროფ. ვუკოლ ბერიძე. (იხ. პირველის—ქართული ენის გრამატიკა.—ტფ. 1939, ხოლო მეორის „წიგნის მატიანე“.—ტფ. 1926 № 1). ძველთაგან—იოანე პეტრიწი. იხ. მისი, შრომები.—ტფ. 1937 წ. ტომი II. (იოანე პეტრიწისა წინა-სიტყვაჲ).

პოეტი გრიშაშვილი „წინასიტყვაობა“-ს მაგიერ „წინათქმას“ ხმარობს (იხ. ჰაეჰაეაძე, ალ.—თხზულებანი. ი. გრიშაშვილის წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით.—ტფ. 1940.

ჩვენის ფიქრით, ტერმინმა „წინასიტყვამ“ უნდა შესცვალოს ტერმინი „წინასიტყვაობა“, ვინაიდან ეს უკანასკნელი ცნებას მართებულად არ ასახავს. თავისთავად ნაგულისხმევია, რომ მასთან ერთად „ბოლოსიტყვამ“ უნდა შესცვალოს „ბოლოსიტყვაობა“.

XV

შეკითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ესოდენ საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინები, როგორიც არის: „გვერდი“, „ფურცელი“, „თავფურცელი“ და მისთანანი შეიცვალოს დღემდე უცნობი ტერმინებით—მივუთითებთ მთელს დღევანდელ ტერმინოლოგიაზე: განა „თოფიწამლის“ მაგიერ დღეს „დენთი“ არ არის შემოსული! ზარბაზნის მაგიერ—ქვემეხი, პატრონას მაგიერ—ვაზნა, „წყალქვეშა ნავის“ მაგიერ—„ქვენავი“. ფიზიკურ ტერმინის „დაწოლას“ მაგიერ—„წნევა“ და ა. შ. განა სულ ბოლოს „ბომბმა“ არ შესცვალა „ყუმბარა“. ჩვენ ვამბობთ: „ჩვენმა თვითფრინავებმა მტრის აეროდრომი დაბომბესო და არა დააყუმბარეს“ და ა. შ.[1].

---

[1] რედაქციისაგან: განსვეწებული ივ. ციციშვილის წერილი „ბიბლიოთეკოლოგიის სადაო ტერმინები“ იბეჭდება კამათის წესით.

თამარ მაჭავარიანი

ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა

ერთი მხრივ დიდი პოეტი და ბელეტრისტი, მეორე მხრივ შესანიშნავი პუბლიცისტი, ი. ჭავჭავაძე თავის წერილებში მრავალფეროვანია: ეკონომიკის მრავალი საკითხი, სოციოლოგია, ისტორია – როგორც საქართველოსი ისე სხვა ქვეყნის, განათლება, ლიტერატურათმცოდნეობა და სხვა საკითხები სათანადოდ შესწავლის შემდეგ, გამოყენებული და გაშუქებულია მის პუბლიცისტურ წერილებში. წიგნები მისი პირადი ბიბლიოთეკიდან, მოწმენი არიან ი. ჭავჭავაძის მუშაობის, მისი გონებრივი ზრდის და იმ ინტერესების, რითაც სულდგმულობდა XIX საუკუნის ქართველთა საზოგადოებრივი აზრის მებაირახტრე.

სამწუხაროთ, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკიდან ხელთ გვაქვს მხოლოდ 414 წიგნი, ამათში 32 ქართული წიგნია, ოთხი ძალზე დაზიანებულია. ი. ჭავჭავაძის ტრაღიკულად დაღუპვის შემდეგ, მისი ქონება ჩაიბარა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ, რომელმაც პოეტის წიგნები გადაიტანა და შეუერთა თავის ბიბლიოთეკას. რამდენი იყო წიგნი დაახლოებით მაინც, ან ვინ ჩაიბარა როგორ და რა პირობებში, სამწუხაროთ ვერ გავიგეთ.

გ. ლასხიშვილი აბობს თავის მემუარებში (გვ. 71): „პატარა ოთახში, რომელშიაც ჩვენ შევედით, წიგნების მეტი ვერაფერი დავინახე: წიგნები შკაფზე, წიგნები დიდ თაროზე და დიდი მაგიდა წიგნებით დატვირთული". არის ავრეთვე ფოტო-სურათი—„ილიას სამუშაო ოთახი საკუთარ სახლში" (ყოფილ ანდრეევის ქუჩაზე. იხ. მ. გედევანიშვილის გამოკვლევა „ი. ჭავჭავაძის თხზულებანი"). სურათზე პირდაპირ მოჩანს ორი კარადა წიგნებით სავსე, მარჯვნივ სამუშაო მაგიდა და იქვე კედელზე ხუთი თაროთ წიგნებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ორ კარადაში და ხუთ თაროზე, ცხადია, 414 წიგნზე მეტი იქნებოდა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ, ამ საზოგადოების ბიბლიოთეკა გადაეცა ი. სტალინის სახელობის თბილისის

სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. 1937 წელს, მთავრობის დადგენილებით, საზოგადოების ბიბლიოთეკა გადაეცა კ. მარქსის სახ. საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას. ი. ჯავახიშვილის პირადი ბიბლიოთეკაც ასე გადადიოდა ხელიდან ხელში და გასაკვირი არ არის, რომ მისი წიგნები გაფანტულიყო.

საჯარო ბიბლიოთეკას, წიგნებს აბარებდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი თინათინ ნაკაშიძე, რომელმაც პირველად მიგვითითა ი. ჯავახიშვილის წიგნებზე.

ეს წიგნები სუფთად არის შენახული, თითქმის ყველა აკინძულია, ყუაზე ამოჭრილია ავტორის გვარი, წიგნის სათაური, ქვევით ქართულად ან რუსულად ინიციალები „ი. ჯ.“, „И. Ч.“ ან კიდევ სრულად—„ი. ჯავახიშვილი“; ხშირად გვარი რუსულ ყაიდაზე მთავრდება „ჯავახიშვილზე“. ზოგიერთ შემთხვევაში, წიგნების აკინძვის დროს ი. ჯავახიშვილს თავის მოსაზრება ჰქონია; ერთი საკითხის შესახებ რამდენიმე წიგნი ერთად აუკინძავს: 1. შმოლერის—„Наука о народном хозяйстве“; 2. ბიუხერის—„Четыре очерка о народном хозяйстве“; 3. მეიერის—Экономическое развитие древнего мира“; 4. ბიუხერის—„Происхождение народного хозяйства; 5. ფარესოვის—„Народники и марксисты“; 6. ბუგლეს—„Социальная наука в современной Германии“. ყდის შემდეგ სუფთა ფურცელზე ჩამოუწერია ამ წიგნების სია.

გადაშლით თუ არა ყდას, მაშინვე თვალში გეცემათ ლურჯი ფანქრით აღნიშნული ციფრები: „413, 427, 366“ და სხვ. რას ნიშნავდა ი. ჯავახიშვილს ამ ციფრებით? თუ ეს იყო განყოფილების აღნიშვნა, მაშინ ჩვენ მივიღებთ ასეთ სურათს: „412“-თ მას დაუნიშნავს ყოველგვარი ისტორია: ისტორია ლიტერატურის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების და სხვ., მაგრამ აქვე ფლამარიონის წიგნიცაა. „415“-თ დანიშნულია: პათოლოგია, ფიზიოლოგია, ანთროპოლოგია, დარვინიზმი და სხვ. „417“-თ დანიშნულია: სამართალი, კანონები, მაგრამ აქვეა ხელსონის წიგნი „Натуралист на Ла-Плате“. „427“-თ დანიშნული წიგნები ძალზე შერეული ხასიათისაა,—აქ ნახავთ როკორც გოეთეს თხზულებებს, ისე სისმონდის პოლიტიკურ ეკონომიას, მორლის კომპრომისებს ან და ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარს“. ლურჯი ფანქრით აღნიშნული ციფრები არ ნიშნავს წიგნის შეძენის თანრიგსაც. ხშირად გვხვდება ასეთი მაგალითები:—ლომბროზოს წიგნი 1885 წ. გამოცემული დანიშნულია „415“-თ და მაკენზის წიგნი გამოცემული 1898 წელს „144“-თ. აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე წიგნის

ტომები ერთნაირად არის დანიშნული, მაგ.:—კ. მარქსის კაპიტალის I ტომის ორივე გამოშვება დანიშნულია „256"-თ, ჯონ-სტიუარტ მილის პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების ორივე ტომი „243"-თ. რომ ი. ჭავჭავაძე ამ დანიშნულობას აძლევდა, ჩანს ასეთი მაგალითებიდან: ფ. ვისის „ცხოვრების ზნეობრივი საფუძვლები", დანიშნული ყოფილა ჯერ „106"-თ, შემდეგ გადაუხაზავს და მიუწერია „107"; ლუკიანის ნაწარმოებები ჯერ დაუნიშნავს „428"-თ, შემდეგ გადაუხაზავს და მიუწერია „371".

ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია ნაყიდი წიგნებით, ნაჩუქარით და ჟურნ. „საქართველოს მოამბის" რედაქციის რამდენიმე წიგნით; აქვე ვხედებით „ივერიის" რედაქციაში გაგზავნილ ცალებს და შემთხვევით დარჩენილ ცალებს. ის თვალყურს ადევნებდა ახლად გამოსულ ლიტერატურას; ამის მოწმეა სხვათა შორის ემილ დე-ლაველეს წიგნი „Первобытная собственность", გამოცემული 1875 წ., რომელშიაც ვნახეთ პეტერბურგის ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის დაბეჭდილი კატალოგი, ალბათ აქედან აირჩევდა ახალ წიგნებს საყიდლად. მეორე წიგნში—„Землевладение и землепользование в разных странах", ი. ჭავჭავაძეს ჩარჩენია ანგარიში თბილისის ერთ-ერთ წიგნის მაღაზიისა. ამ ანგარიშის მიხედვით ვებულობთ, რომ 1871 წ. ი. ჭავჭავაძეს შეუძენია კოლბის სტატისტიკის სამივე ტომი 6 მანეთად და წინანდელ დარჩენილ ვალთან ერთად, მას უნდა გადაეხადა წიგნის მაღაზიისათვის 13 მან. და 95 კაპ.

გარდა ნაყიდი წიგნებისა არის სხვადასხვა პირებისაგან ნაჩუქარი წიგნებიც. საინტერესოა წარწერები ასეთ ნაჩუქარ წიგნებზე. ზ. ავალიშვილს თავის თხზულება—„Присоединение Грузии к России" უძღვნია ი. ჭავჭავაძისათვის ასეთი წარწერით—„Князю Илье Григорьевичу Чавчавадзе почтительное приношение автора". აქვე ვნახავთ ი. გოგებაშვილის რამდენიმე თხზულებას წარწერებით: „ილია გრიგოლის ძეს ჭავჭავაძეს მეუღლითურთ" ან და „ილია გრიგოლის ძეს თავადს ჭავჭავაძეს სახლობითურთ" და სხვ. პროფ. ა. ცაგარლის ერთ წიგნზე ვკითხულობთ—„ჩემს ძველ მეგობარს"; მეორეზე—„ილიკო ჭავჭავაძეს ნიშნად ხსოვნისა ავტორისაგან 1873 წ." პროფ. ა. ხახანაშვილი უძღვნის—„დიდად პატივცემულს ილია ჭავჭავაძეს." 1885 წ. არტურ ლაისტს უჩუქებია გერმანულ ენაზე, მიუნჰენში გამოცემული „გოეთეს-გალერეია" ფრანგული წარწერით—„თავად ი. ჭავჭავაძეს გამოჩენილს და პატივცემულს". ცნობილი არქეოლოგი და მოგზაური დე-ბაი თავის წიგნს

უძღვნის ფრანგული წარწერით—„პოეტს, პატრიოტს, შვილს საუკეთესო ქვეყნისას, სადაც მუდამ მზეა“, და რუსულად მიუწერია—„Сосико де-Бай“. სამწუხაროდ გადარჩენილა მხოლოდ ამ წიგნის 46 გვერდი. საყურადღებოა აგრეთვე მწერალ გრ. მაჩტეტის წიგნი Силуэты“. გრ. მაჩტეტი ხალხოსნური მიმართულების მწერალი იყო; ავტორი რევოლუციური სიმღერის—„Замучен тяжелой неволей“, რომელიც უყვარდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს *. მას თავისი ნაწარმოები უძღვნია ილიასთვის და წაუწერია: „Поэту князю Илье Чавчавадзе на добрую память прозаик Григорий Мачтет. И песнь твоя, как родина твоя прелестна и грустна“. საინტერესოა, სად და რა პირობებში გაიცნეს ერთმანეთი ი. ჭავჭავაძემ და გრ. მაჩტეტმა?

ვალ. გუნია თავის „საქართველოს კალენდარს“ ეტყობა ყოველ წელიწადს უგზავნიდა ი. ჭავჭავაძეს. წიგნებში, ექვსი წლის „საქართველოს კალენდარია“ წარწერებით: „თავ. ილია ჭავჭავაძეს ვალ. გუნიასაგან“, „დიად ილიას, პატარა ვალერიან გუნიასაგან“ და ა. შ., ი. დავითაშვილის ლექსები გამოცემული 1890 წ. ჩასმულია კარგ ყდაში და ვარაყიანი ასოებით ამოჭრილია—„ი. ჭავჭავაძეს“. ვინ უძღვნის, ავტორი თუ გამომცემლობა, არ ჩანს. ასევეა „ქართლ-კახური გალობა“,—კარგ ყდაშია და ვარაყიანი ასოებით ამოჭრილია: „მისს ბრწყინვალებას თ. ი. გ. ჭავჭავაძეს ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“ მეორე ნაწილი ცისკარი“.

ოთხმოციან წლებში ივერიის მონასტრიდან საქართველოში ჩამოვიდა ბერი ბენედიქტე, გვარად ბარკალაია, რომელიც ცდილობდა ქართველ საზოგადოებაში აღეძრა ინტერესი ათონის ივერიის მონასტრისადმი, რათა ქართველ ბერებს დაებრუნებინათ თავის უფლება ამ მონასტერზე. ამ დროს პეტერბურგში დაიბეჭდა ა. კალინოვსკის წიგნი: „Где правда? История Афонского Иверского монастыря“. ეს წიგნი ბერ ბენედიქტეს უძღვნია ი. ჭავჭავაძისათვის წარწერით—„С надеждою на благосклонное внимание и милостивое содействие Вашего Сиятельства препровождает смиренный раб старец Венедикт поверенный Афонского грузинского братства. СПб. 7 авг. 1885 г.“ ბერ ბენედიქტეს ცოდნია ი. ჭავჭავაძის გავლენა ქართველ საზოგადოებაზე და ამიტომაც ასეთი წარწერით უჩუქებია წიგნი მისთვის.

---

*) Записки отдела рукописей Всесоюзной библ. им. В. И. Ленина. Вып. V. 1939 г. стр. 39.

რამდენიმე წიგნი არის ვ. ველიჩკოს მიერ ნაჩუქარი, წარწერით. ეს ის ველიჩკოა, რომელსაც გ. ლასხიშვილმა დაუწერა—„Полу поэт, полу жандарм, как только встречу в зубы дам“, და აკაკი წერეთელმა უძღვნა ლექსი „ყიზილბაშური“, რომლის პირვანდელი ვარიანტი—„ჭეშმარიტება“—თავის დროზე ცენზურამ არ გაუშვა. აკ. წერეთელმა, ვ. ველიჩკოს ყიზილბაშურ პოლიტიკას ალღო აუღო და თავის ლექსში აღნიშნა: „ცბიერს—სომეხიც, ქართველიც სკვითურ ფეხებზე ჰკიდია!... ჰფიქრობს: დრო არის მკვიდრებმა აქედან გაიმინდვრონო, და იმათ ნამოსახლარზე მოსულნი დაემკვიდრონო!“ ვ. ველიჩკოსთან კარგ განწყობილებაში იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, დ. სარაჯიშვილი და სხვ. გ. ლასხიშვილი თავის მემუარებში გვიამბობს (გვ. 113): „მე მჭონია ვ. ველიჩკოს შესახებ ლაპარაკი ძველი თაობის ზოგიერთ წარმომადგენლებთან და როგორც გამოვარკვიე, ისინი უფრო დიპლომატობდენ: „ვიცით, კარგად გვესმის რა ჭეშმარიტ რუსულის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი ეგ ადამიანიო, მაგრამ გარემოება ხელს გვიწყობს და უნდა გამოვიყენოთო“. აი ასეთ პირობებს უჩუქებია რამდენიმე წიგნი ი. ჭავჭავაძისათვის და ერთზე წაუწერია: „Неизменно любимому хоть и неизменно безмолвному другу, высокочтимому князю Илье Григорьевичу Чавчавадзе на добрую память от неунывающего В. Л. Величко. 31 мая 1902 г. СПб“. დაახლოებით ასეთივე წარწერებია სხვა წიგნებზედაც, მხოლოდ შევჩერდებით ერთზე: გ. ეზოვის წიგნს „Сношения Петра Великого с армянским народом“ ვ. ველიჩკოს ხელით აწერია; „Сыну народа грузинского, князю Илье Григорьевичу Чавчавадзе да будет укором это „научное“ исследование лояльного Г. А. Эзова, истинного представителя грузино-армянской солидарности!“ (გაკვირვების ნიშნით, „научное“ ბრჭყალებშია) ხელს აწერს—„Руси мегобари“. რატომ არის „научное“ ბრჭყალებში და რატომ არის უეჭველად დაცინვით ნახმარი „лояльного“, მიხვდება ყველა, ვისაც ახსოვს ი. ჭავჭავაძის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ ამ წიგნებში ვნახავთ „ივერიის“ რედაქციაში გამოგზავნილ ცალებს ალბათ სარეცენზიოთ. მაგ.—ა. ჭყონიას „ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის“; მეღვინე ვ. ტაიროვი თავის წერილების კრებულს უგზავნის იმავე რედაქციას და სხვ.

რამდენიმე წიგნია პირადად ოლგა ჭავჭავაძის, მათზე არ შევჩერდებით, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ერთი. ი. ჭავჭავაძეს თავის

თხზულებათა I ტომი გამოცემული 1892 წ. უჩუქებია მეუღლისათვის წარწერით—„ჩემს კარგს ოლიკოს. ილია ჭავჭავაძე". აქ მართლდება გრ. ყიფშიძის სიტყვები: „ილია დიდად აფასებდა და სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა თავის ოლღას". (მ. გედევანიშვილის გამოცემა). აქვეა წიგნები ნაჩუქარი ფ. გოგიჩაიშვილის, ბ. ესაძის, იური ყაზბეგის, ა. ფირალოვის და სხვ. მიერ.

გადარჩენილა ჟურნალ „საქართველოს მოამბის" რედაქციის რამდენიმე წიგნი. საინტერესოა რას კითხულობდა სამოციანი წლების ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა, რომელიც თანამშრომლობდა ამ ჟურნალში: 1. ა. ტოკვილის—„Демократия в Америке" 1860 г. (ამ წიგნის ყუაზე ამოჭრილია—„Библиотека ред. Груз. вестника"). 2. ჰეგელის „Курс эстетики или наука изящного" I ნაწ. 1847 წ. და II ნაწ. 1859 წ. 3. ჯონ გერშელის „Очерки астрономии" I ნაწ. 1861 წ. და II ნაწ. 1862 და 4. Кавказский календарь" 1863 წ. წიგნები აკინძულია და ყუაზე ამოჭრილია—„ბიბლიოთეკა საქ. მრამბისა". ამ რამოდენიმე წიგნის საშუალებითაც შეგვიძლია დაახლოებით წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ალბათ პატარა ბიბლიოთეკაზე, რომელიც ყოფილა ჟურნალის რედაქციაში.

ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში არის ხელნაწერი—„Аварские, казикумухские, чеченские и кумукские песни, переложенные А. Навроцким, г. Темир-Хан-Шура. 1866-1870. ხელნაწერი აკინძულია, თაფფურცელზე წარწერა: „Из книг кн. Меликова", შემდეგ ლექსია სათაურით—„Князю Левану Ивановичу Меликову", ხელს აწერს—„Прелагатель 21 апреля 1870 г." ლევან მელიქიშვილი, ნიკ. ბარათაშვილის სიყრმის მეგობარი, შემდეგ ცნობილი გენერალი, ერთ ხანს დაღისტნის მმართველად იყო. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ნავროკკი, ლიტერატურაში ცნობილი ნ. ვროცკის ფსევდონიმით, მასთან მსახურობდა საგანგებო დავალებათა მოხელეთ. როგორც ეტყობა, დაღისტანში ყოფნის დროს, სამსახურის შემდეგ, ის აგროვებდა და ამუშავებდა ხალხურ ლექსებს. როგორ მოხვდა ეს ხელნაწერი ლევან მელიქიშვილის შემდეგ ი. ჭავჭავაძესთან არ ჩანს.

ასევე, ალბათ შემთხვევით, დარჩენილა მასთან მ. ნუროკის „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა", გამოც. 1870 წ. ეს წიგნი არაფრით არ არის შესამჩნევი, მხოლოდ უბრალო ფანქრით აწერია ფრანგულად—„მაჩაბელი". შეიძლება ივ. მაჩაბლის იყო და შემდეგ დარჩა ი. ჭავჭავაძესთან? იქნებ ჰორდებოდათ შექსპირის „მეფე ლირის" თარგმნის დროს? ვინ იცის?..

ხელნაწერი ქართული წიგნები ილიას თავის სიცოცხლეში შეუწირავს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის. 1880 წლის „დროება"-ში (№ 166) საზოგადოების მდივანი ი. მეუნარგია აცხადებს, რომ ი. გ. ჟავჟავაძემ და ი. შალიკოვმა შემოსწირეს საზოგადოებას ხელნაწერი წიგნები, მათ შორის: „ვის-რამიანი", „ქილილა და ძანა", „სიბრძნე-სიცრუე" და სხვ., რომელია ი. ჟავჟავაძის შეწირული და რომელი შალიკოვის არ ჩანს.

როგორ კითხულობდა ი. ჟავჟავაძე?

როდესაც ვაჟა-ფშაველა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ი. ჟავჟავაძე ძოხიბლული იყო მისი ლექსებით. ვიღაცას აზრად მოუვიდა, ვაჟა-ფშაველა ჩამოეყვანოთ მთიდან და უნივერსიტეტში გავგზავნოთო. ი. ჟავჟავაძე ამის დიდი წინააღმდეგი იყო, „ვაჟა როგორც პოეტი ჩაკვდებაო. ისე კი განვითარება შინაც შეიძლება; ვის რა გამოგვყოლია სასწავლებლიდან? თუ კვალ და კვალ არ მიჰყე ცხოვრებას, თუ განვითარების გზას ერთი წუთითაც ჩამიუდექ, დაჩლუნგდებიო". (იგონებს ს. მგალობლიშვილი. გვ. 134). ი. ჟავჟავაძე ამას თავის თავზედაც ასრულებდა. „ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს", გვაცნობს გრ. ყიფშიძე მისი ახალგაზრდობის მეგობარის და ნათესავის კოხტა აბაზის ნათქვამს,—„ილია მეტად გართული იყო სხვადასხვა წიგნების კითხვაშიო. კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებსაო. ძლიერ უყვარდა აგრეთვე კითხვა პოლიტიკო-ეკონომიური შინაარსის წიგნებისაო. ეგზამენები რომ მოახლოვდებოდა, დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდაო. რამდენჯერ შინახავს, წიგნით ხელში მჯდომს ჩასძინებია და მერე ისევ განუგრძვია წიგნის კითხვაო". (მ. გედევანიშვილის გამოცემა). ის რომ ბევრს მუშაობდა და კითხულობდა ამას მოწმობს ივ. პოლტორაცკიც, რომელიც იგონებს,—„ღამე ძილის წინად წიგნის კითხვა უყვარდა". ს. მგალობლიშვილი მოგვითხრობს: „ერთ დილას, როდ მეველი ოთახში, გაზეთებს ჩიხჯვა დავუწყე და ავახმაურე იქაურობა, კაბინეტიდამ ხმა მამცა ილიამ: „მაქსიმე შენა ხარ?" ძე გამოველაპარაკე და მეველი კაბინეტში. კუთხეებში სკამებზე, თუ დივანზე გადაწყობილი იყო საქმეები ბანკისა და სხვადასხვა წიგნები ალბათ ციტატებისათვის"... „თვით ილია მუდამ წიგნების კითხვაში იყო. გაძოვიდოდა თუ არა რაიმე შესანიშნავი წიგნი პოლიტიკო-ეკონომიური. სოციალური გინდ ისტორიული, პირველი ის იყიდდა, გადაიკითხავდა, „გამოწიგნავდა" (მისი საყვარელი სიტყვა) და შემდეგ გაუზიარებდა სხვას". ის, სტუდენტობის

დროიდან დაწყებული სიკვდილამდე, იძენდა წიგნებს და გულდასმით კითხულობდა *.

შინაარსის მიხედვით მისი ბიბლიოთეკის წიგნები დავყავით შემდეგ განყოფილებებათ: I. ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეთიკა; II. ეკონომიური მეცნიერებანი; III. სოციალური მეცნიერებანი; IV. სამართალი; V. ისტორია; VI. გეოგრაფია, მოგზაურობა; VII. ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია; VIII. მხატვრული ლიტერატურა; IX. გრამატიკა და ლექსიკონები; X. განათლება; XI. სოფლის მეურნეობა; XII. მედიცინა; XIII. პერიოდული გამოცემანი; XIV. სხვადასხვა. როგორც ვხედავთ, წიგნები შერჩეულია ვითომც ყველა დარგიდან. რას და როგორ კითხულობდა ი. ჭავჭავაძე, ეს ძალიან საყურადღებოა არა მარტო მისი ბიოგრაფიისათვის, არამედ მისი ნაწარმოების ანალიზისათვისაც.

წიგნის კითხვის დროს ი. ჭავჭავაძეს ალბათ ხელში ეჭირა ლურჯ-წითელი ფანქარი, რადგანაც წიგნები ასეთი ფანქრითაა აჭრელებული. ნიშნავდა მრავალ ადგილს ხანდახან უბრალო ფანქრითაც და თუ რომელიმე ადგილი განსაკუთრებით საყურადღებო იყო ვამოიწერდა იმ გვერდებს წიგნის დასასრულს, ზოგს კიდევ ორჯერ ხაზს გაუსვამდა ან ერთხელ. ზოგიერთ წიგნის სარჩევში ნიშნავდა ციფრებს. შინაწერებით ხომ აჭრელებულია მთელი რიგი წიგნებისა. ყველა წიგნის აქ მოხსენება შეუძლებელია, მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, რაც ი. ჭავჭავაძის მიერ „გამოშიგნულია“, მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ისიც ზოგიერთს.

1. კონსტან მარტის თხზულებაში „Философы и поэты моралисты во времена Римской империи“, 1879 г.—დანიშნულია მრავალი ადგილი და გამოწერილია გვერდები. ერთი მაგალითი იმისა, თუ რითი დაინტერესებულა ი. ჭავჭავაძე. ავტორს, სენეკას დასახასიათებლად მოყვანს ერთი ადგილი მისივე ნაწარმოებიდან. ეს ადგილი, მარტის თქმით, შესაძლებლობას გვაძლევს შევეჩვიოთ სენეკას შინაგან ცხოვრებაში და დავინახოთ მისი საიდუმლო გრძნობები. „ჩვენ ყოველ დღე უნდა მოვეწყოდოთ ჩვენ სულს ანგარიშის ჩასაბარებლად“, ამბობს სენეკა. „ასე შვებოდა სექსტი. დღის დასასრულს, სანამ ღამის განსვენებას მიეცემოდა, ის ეკითხებოდა თავის სულს: რა ნაკლისაგან განიკურნე დღეს? როშელ ვნებაზე გაიმარჯვე?“ და სხვ. „ყოველი განვლილი დღის ასე გადასინჯვა,—

---

* ი. ჭავჭავაძის სიცოცხლის უკანასკნელ წელს შეძენილი წიგნებიდან შენახულა ერთი: „Против смертной казни. Сборник статей. М. 1906 г.“

ამაზე უმშვენიერესი ჩვეულება აღარ შეიძლება! სწორეთ ასე ვიქცევი მეც",—განაგრძობს სენეკა, „და ჩემი იადგის მიმართ ვასრულებ მოსამართლის მოვალეობას. არაფერს არ ვუმალავ ჩემ თავს, არაფერს არ გამოვტოვებ, ან და რატომ უნდა ბეშინოდეს შევხედო რომელიმე ჩემ შეცდომას, როდესაც შემიძლია ჩემ თავს ვუთხრა: შემდეგში მოერიდე, ახლა კი რამ აღარ ჩაიდინო, ამჟამად მიპატიებია". სენეკას ეს სიტყვები საყურადღებოთ მიუჩნევია ი. ჭავჭავაძეს და ხაზი გაუსვამს. ვინ იცის იქნებ მუდამ პუნქტუალური, გულჩათხრობილი ილია, ავტორი „მგზავრის წერილებისა" და „ოთარაანთ ქვრივის", თვითონაც სენეკასავით იქცეოდა,—განვლილ დღეს გადასინჯავდა და თავის მიმართ მოსამართლის მოვალეობას ასრულებდა,—ძიაგანი დისციპლინა ხომ მისი დამახასიათებელი იყო.

2. მ. გიუიოს—„Воспитание и наследственность", 1891 წ. ი. ჭავჭავაძე დაინტერესებულა და სათანადო გვერდების აღნიშვნით გამოუწერია შემდეგი საკითხები: Примеры подвигов 60; Об искусстве 214 და სხვ. 3. ფრ. ლანგე—„История материализма и критика его значения в настоящее время", 1899 წ. აქ წითელი ფანქრით სარჩევში დანიშნულია თავები: „Естественные науки, Человек и душа. Этический материализм и религия".—ამ განყოფილებების ტექსტში მრავალი ადგილია დანიშნული. 4. ფრ. ლისტის—„Национальная система политической экономии", 1891 წ.—წაკითხვისას გამოუწერია საკითხები: „Классовая борьба", „Нация". 5. გ. მაკლეოდის—„Основания политической экономии", 1865 წ. კითხვის დროს, ი. ჭავჭავაძეს უთარგმნია ტერმინები, მაგ.:

ტექსტში:	მინაწერი:
გვ. 22. Меновая ценность . .	ალებ-მიცემობის ღირებულება.
გვ. 25. ходячий денежный знак	მოარული ფულის ნიშანი.
გვ. 38. денежное обращение .	ფულის ტრიალი და სხვ.

ზოგან კიდევ არ მოწონს ავტორის აზრი. მაგ.:

ტექსტში:	მინაწერი:
გვ. 27. Употребление денежных знаков ведет не к облегчению обмена, а к устранению его	Не верно

6. Владение и пользование землей в различных странах. Собрание статей известных современных экономистов." 1871 წ.

ამ წიგნში, ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებით დაინტერესებულა ორი თავით: „მიწათმფლობელობის სისტემა ბელგიაში და ჰოლანდიაში“ და „მიწათმფლობელობის საკითხი ირლანდიაში“. ამ თავებში მრავალი ადგილია დანიშნული ლურჯი და წითელი ფანქრით, ხანდახან ორივეთი, ზოგან კითხვის ნიშანია მიწერილი, ზოგან № 3 „მიწათმფლობელობის საკითხი ირლანდიაში“—ემილ დე-ლაველეს წერილია. მის შესახებ ი. ჭავჭავაძე ამბობდა 1886 წ. („ხიზანთა საკითხი“, მეორე ნარკვ.)... „მეცნიერი ემილ დე-ლაველე, სახელგანთქმული და მთელის ევროპის მიერ მოწონებული, როგორც მიწათმფლობელობის და მიწათსაკუთრების უკეთესი გამომძიებელი“. შემდეგ, თავისი წერილის მეთორმეტე თავი თითქმის მთლიანად აუკია დე-ლაველეს თხზულების XVII თავის საფუძველზე. საჭირო ადგილები მას დაუნიშნავს ლურჯი და წითელი ფანქრით დე-ლაველეს წიგნში—„Первобытная собственность“ (შეად. ამ წიგნის XVII თავი და ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ტომი VIII, 1928 წ. გვ. 189-193).

რაც შეეხება ირლანდიას, ეტყობა, ი. ჭავჭავაძეს ამ ქვეყნის მდგომარეობა დიდათ აინტერესებდა: დროც ისეთი იყო, ირლანდიის საკითხი ინგლისისათვის საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა, ილიამაც ვალი მოიხადა ამ დამთხებული ქვეყნის წინაშე და უძღვნა 15 მოგზავნილი წერილი. ყველა დაწერილია 1886 წელს, გარდა ერთისა, რომელიც დაუწერია 1889 წ. პირველი წერილებისათვის: „ირლანდია და ინგლისი“, მას გამოუყენებია დე-ლაველეს „Поземельный вопрос в Ирландии“ (შეად. დანიშნული ადგილები) და შლოსერის „Всемирная история“.

ჯერ კიდევ 1882 წ. („ივერია“ № 12), ი. ჭავჭავაძე შინაურ მიმოხილვაში კ. მარქსს უწოდებს „გამოჩენილ მეცნიერს“ და თავის აზრს ასაბუთებს ციტატით „კაპიტალი“-დან. ის თვალყურს ადევნებს მარქსისტულ ლიტერატურას და მის ბიბლიოთეკაში ნახავთ კ. მარქსის „კაპიტალს“, 1899 წ. გამოცემის პირველი ტომის ორ გამოშვებას, ლასალის პირველ ტომს, მასარიკის—„Философские и социологические основания марксизма“, ბიომ-ბავერკის—„Теория Карла Маркса и ее критика“, ნ. ზიბერის—„Давид Рикард и Карл Маркс в их общественно-эконом. исследованиях“, ლ. სლონიმსკის—„Экономическое учение Карла Маркса“ და სხვ.

ილიას ბიბლიოთეკაში თქვენ ნახავთ დიდი პუბლიცისტ რევოლუციონერის ნ. გ. ჩერნიშევსკის 4 წიგნს, 90-ან წლებში გამოცემულს. გულდასმით კითხულობს ი. ჭავჭავაძე ანთროპოლოგიას,

ცივილიზაციის ისტორიას და მხარეთმცოდნეობას. პეტრის—„Антропология“-ს კითხვის დროს გამოუწერია საკითხები სათანადო გვერდების აღნიშვნით. მაგ.: „საქოლავი“, „შვილების კვლა ევროპაში“, „კაცის მშობლობა“, „თავისა და ხელის მოჭრა მტრისა ერთისა და იმავე აზრის არ არის?“ არა ნაკლებ საყურადღებოა მინაწერები ო. პეშელის წიგნში—„Народоведение“, აქ გამოუწერია საკითხები: „დამძლია“, „ქადავი“, „არახჩინით თავის შეკვრა და სხვ. ედ. ტეილორის წიგნში,—„Первобытная культура“, აღნიშნულია წითელი ფანქრით მეხუთე თავი; „Свидетельство независимого совпадения в различных языках“. მინაწერებს და შენიშვნებს ვხვდებით თითქმის ყოველ გვერდზე, მაგ.:

ტექსტში:	მინაწერი:
გვ. 83. ინგლისური ანდაზაა.. „со сковороды да в огонь“.. მისი შესატყვისი რუსული ანდაზა—...„из огня да в полымя“...	ვაის გავექეც და ვუის შევეყარეო.
გვ. 236. „...древне-скандинавское her (войско)“	ერი

მეორე ნაწ. გვ. 71 ...„мост смерти“ . . . ბეწვის ხიდი. და სხვ. ჩვენ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ მრავალი მინაწერია ო. შრადერის წიგნშიაც—„Сравнительное языковедение и первобытная история“, 1886 წ. მაგ.:

ტექსტში:	მინაწერი:
გვ. 189...„санскритск. pàtni“... . . .	ბატონი.
გვ. 269...„из турецкого sermaje	
сербское срма“... . . .	სირმა

და სხვ.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ ზ. ავალიშვილს—„Присоединение Грузии к России“ უჩუქებია ი. ჭავჭავაძისათვის, რომელსაც ფანქრით ხელში წაუკითხავს ეს წიგნი და ზოგიერთ ადგილას თავისი უკმაყოფილება გამოუთქვამს. ერთ ადგილას, ტექსტში, ციტატა არის მ. ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ პაპუნა ორბელიანის ქრონიკებიდან. დიდ პატრიოტს, ილიას, თავის გულისწყრომა გამოუთქვამს და მიუწერია—„რა ქართველია, რომ ქართულს წყაროებს ფრანციცულიდამ იღებს“. იქ სადაც ავტორი ეხება ერეკლე მეფის ანდერძს... „Сила и даже подлинность кого-

рой оспаривались", ი. ჭავჭავაძეს მიუწერია; „подлинной не имеется"; ტექსტში— „В Грузии не сталкивались интересы европейских держав"... მინაწერი—„Не совсем так. Наполеон уже принимал меры против этого, но не имел времени серьезно им заняться"... და სხვ. მაგრამ ხანდახან აღფრთოვანებულიც არის, მაგ. იქ, სადაც ზ. ავალიშვილი აღნიშნავს თუ რა განსხვავებაა რუსეთისა და ინგლისის პროტექტორატს შორის და ხაზს უსვამს, მორიდებული კრიტიკით, თუ რატომ ვერ შეითვისა მეფის რუსეთმა ინგლისური სისტემა, ი. ჭავჭავაძეს ეს ადგილი ორი ხაზით დაუნიშნავს და მიუწერია მოკლედ—„ჯან!" ამით გამოუთქვამს თავის უკმაყოფილება რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკით.

საინტერესოა აგრეთვე მინაწერები გ. ეზოვის წიგნში—„Сношения Петра Великого с армянским народом" და დანიშნული ადგილების შედარება ნარკვევთან „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი".

გადავათვალიეროთ გ. ბრანდესის თხზულება—„Главные течения литературы XIX столетия". М. 1881 г. ბოლოში სუფთა ფურცელზე ვნახავთ ი. ჭავჭავაძის მიერ გამოწერილ გვერდებს, ზოგისთვის ორჯერ გაუსვამს ხაზი. გ. ბრანდესის კრიტიკული წერილების კითხვის დროს, მას არ ავიწყდება ქართული ლიტერატურა და ყველგან ეძებს შედარებებს. იქ, სადაც ავტორი ახასიათებს ფრანგ მწერლის ეტიენ დე-სენანკურის გმირს ობერმანს, ი. ჭავჭავაძეს წითელი ფანქრით მიუწერია „მიტკა". ვფიქრობთ, აქ ილია, ალბად თავის ახალგაზრდობის მეგობარს დიმიტრი ყაზბეგს გულისხმობს. ობერმანის ხასიათი ძალიან გავს დიმიტრი ყაზბეგის ხასიათს. ბრანდესი ამბობს: „ობერმანი მელანქოლიური ხასიათისაა და წესიერი ცხოვრების პირობები მისთვის აუტანელია. ასეთი ხასიათი არასოდეს არ გამოვა გამარჯვებული ცხოვრების იმ მძიმე და ძნელი პერიოდიდან, როდესაც ახალგაზრდა კაცმა უნდა აირჩიოს პროფესია. რომელიმე საზოგადოებრივი მდგომარეობის არჩევა მისთვის ნიშნავს განუსაზღვრელ თავისუფლებაზე უარის თქმას. ყოველ პროფესიას შეზღუდულობის ბეჭედი აზის და სასაცილოცაა. ისეთ ადამიანს, როგორიც ობერმანია, პროფესიის შერჩევა არ შეეძლო. ის ღრმა მოაზროვნეა და ამავე დროს პრაქტიკული ცხოვრებისათვის სუსტი, მას არაფერი ისე არ ძულს როგორც დამოკიდებულება. ის ცხოვრობს განმარტოებულად და სრულიად კმაყოფილია მაშინ, როდესაც მარტოთ-მარტო ადის მაღალ მთებზე, სა-

და ავიწყდება დრო და ადამიანები". აი მოკლედ ის ადგილი, რომელიც დაუნიშნავს ი. ჭავჭავაძეს, და მიუწერია „მიტკა".

ი. ჭავჭავაძეს ყოველთვის ახსოვს ჩვენი დიდი შოთა რუსთაველი, წაკითხულს უპირისპირებს რუსთაველის მხატვრულ ხერხს და სახეებს. იგივე გ. ბრანდესი არჩევს რა ბენჟამენ კონსტანის „ელეონორას" ამბობს, რომ „ელეონორა ქალია, რომელშიაც ყოველგვარი ჩასახული გრძნობა ემორჩილება გამოცდილების გაკვეთილებს"; ი. ჭავჭავაძე, ქალის ასეთ ხასიათს უპირისპირებს „თინათინს". ამის ქვემოთ ბრანდესი ახასიათებს დე-სტალის შემოქმედებას და იქ, სადაც ახსენებს მოვალეობას, ი. ჭავჭავაძეს „ავთანდილი" მიუწერია. ყველამ ვიცით, რომ ავთანდილი მოვალეობის რაინდია. ბრანდესი ამბობს: „ქ-ნი სტალისათვის გული ყველაფერია—ასე რომ, სახელის მოხვეჭა საშუალებაა გულთა დასაპყრობად; ის ამბობს:—როდესაც მე ვეძებდი სახელს, დიდებას, მუდამ იმედი მქონდა, რომ ამით ადამიანებში ჩემდამი სიყვარულს აღეძრავდი". „სახელის მოხვეჭა საშუალებაა გულთა დასაპყრობად",—ეს გვაგონებს ნესტან-დარეჯანის წერილს: „ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გვონია? სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია.." ამიტომაც ი. ჭავჭავაძეს დე-სტალის სიტყვებისათვის მიუწერია—„ნესტან და ტარიელის გამარჯვება", გამარჯვებულმა ტარიელმა ხომ ნესტანის გული დაიპყრო.

შემდეგი წიგნი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, ეს არის—„Разговоры Гете собранные Эккерманом", ყველასათვის მნიშვნელოვანი აზრებით სავსე და ი. ჭავჭავაძესაც გულდასმით წაუკითხავს და ამოუწერია გვერდები. გამოწერილი გვერდების მიხედვით დავინახავთ, რომ ი. ჭავჭავაძე სხვათა შორის ხაზს უსვამს იმ ადგილებს, სადაც XIX საუკუნის გენიოსის გოეთეს აზრები ემთხვევა XII საუკუნის გენიოსის შ. რუსთაველის აზრებს. სიმოკლისათვის აღვნიშნავთ ორ ადგილს.

„თქვენ აშტკიცებთ, რომ სამყაროს ცოდნა პოეტის თანდაყოლილი თვისებაა,—რასაკვირველია თქვენ გულისხმობდით შინაგან (სულიერ) სამყაროს და არა მოვლენებისა და დამოკიდებულებების ემპირიულ სამყაროს; აგრეთვე იმისათვის, რომ პოეტს შეეძლოს ამ სამყაროს სიმართლით ასახვა, საჭიროა სინამდვილის შეს წავლაც? არა?"—ეკითხება ეკერმანი გოეთეს. („Разговоры..." ტ. I, გვ. 100).

გოეთეს აზრით: „საკუთარი სიუჟეტის ჯეროვნად დაუფლება, თავის შეკავება და მხოლოდ აუცილებლად საჭიროზე აზრების შე-

მოკრება,—ყველაფერი ეს თხოულობს ძალებს პოეტური გოლიათისას და უფრო ძნელია ვიღრე ფიქრობენ..." („Разговоры..." ტ. II, გვ. 273).

ამ ორი ადგილის აღნიშვნით ი. ჭავჭავაძემ გოეთეს სიტყვებით მოხაზა შ. რუსთაველის პოეზიის მთელი ფილოსოფია: 1. რუსთაველისათვის, როგორც პოეტისათვის, უეჭველად თანდაყოლილი თვისებაა შინაგანი სამყაროს ცოდნა; 2. მას, ცხოვრების სინამდვილე იმდენად აქვს შესწავლილი, რომ შინაგან სამყაროს ბრწყინვალედ ასახავს; 3. ის, საკუთარი სიუჟეტის უფალია; 4. იცის დროზე თავის შეკავება და გვამცნობს მხოლოდ აუცილებელ საჭიროს, და, ბოლოს 5. რასაკვირველია რუსთაველი გოლიათია, რომელმაც დასძლია ეს სიძნელეები. ი. ჭავჭავაძემ ეს ყველაფერი მოკლედ დაკვეხასიათა წერილში—„ა. წერეთელი და „ვეფხის-ტყაოსანი".

სამოციანი წლების ილიას არ მოსწონს ოლიმპიელი გოეთე, მაგრამ გვერდი არ აუხვევია მისი აზრებისათვის, პოეზიისათვის, და კიდევაც გადმოთარგმნა ლექსი „ბედა მჭადაგებელი" (1857 წელს). მის ბიბლიოთეკაში ნახავთ გოეთეს რამდენიმე ტომს გამოცემულს სამოცდაათიან წლებში და ოთხმოცდაათიან წლებში გამოცემულს, გულდასმით წაკითხულს, „გოეთეს საუბრებს ეკერმანთან".

ი. ჭავჭავაძისათვის უფრო ძვირფასია მშფოთარე ბაირონის გენიოსური ნიჭი და ერთხელ მას ხაზგასმით აღუნიშნავს—„ჩემთვის საჭიროა ბეთჰოვენის სიმფონიები"-ო... ბეთჰოვენის სიმფონიების ძალა და მომხიბვლელობა მის საოცარ ენერგიაშია და მისი რითმიკის სიძლიერეში. ის, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგი ეპოქის, რევოლუციური დემოკრატიის კომპოზიტორია. ბაირონი და ბეთჰოვენი ხიბლავენ სამოციანი წლების ილიას. „Мне нужны симфонии Бетховена"... ეს ადგილი დაუნიშნავს ი. ჭავჭავაძეს ლუდვიგ ბერნეს დღიურში „Сочинения т. I, 1869 г.", რომელიც საყურადღებოა ილიას შენიშვნებით, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალიან ცოტაა გადარჩენილი ქართული წიგნი, მათ შორის მოვიხსენიებთ რამდენიმეს: 1. „ვეფხის-ტყაოსანი" ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი; 2. ვ. ორბელიანის ლექსები 1884 წლის გამოცემა; წითელი ფანქრით დანიშნულია ადგილები; 3. ი. დავითაშვილის ლექსები გამოცემული 1890 წ. ამ წიგნში, სხვა დანიშნულ ადგილთა შორის, საყურადღებოა ბოლოში

დანიშნული სტრიქონები: „ბევრი რამა ვთქვი საგრძნობი, მაგრამ მსმენელი ძვირია“, ამბობს ი. დავითაშვილი და ეტყობა ეს სიტყვები ი. ჭავჭავაძის გულსაც მოხვდა, თვითონაც ხომ ერთხელ ამოიკვნესა:—„ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განეუზიარო!“.

მეოთხე ქართული წიგნი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, არის „ქილილა და დამანა სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან“, გამოცემული 1886 წ. პოეტმა ი. გრიშაშვილმა „საანდაზო ლექსების“ წინათქმაში აღნიშნა, „რომ ოთხმოციანი წლების ილიას სამი წიგნი ჰყვარებია: „ვეფხის-ტყაოსანი“, „ქილილა და დამანა“ და „დავითიანი“. უკანასკნელი წიგნი არ ჩანს ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, რაც შეეხება „ქილილა და დამანას“ მას ეტყობა პატრონის, „ივერიის“ რედაქტორის ხელი და დაკვირვება. ვამბობთ „ივერიის“ რედაქტორის, რადგანაც ვიცით, რომ ჯერ ჟურნალ „ივერია“-ში, მერე გაზეთში, მუდამ იბეჭდებოდა „საანდაზო ლექსები, დამაკვირდი“ და სხვ. ი. ჭავჭავაძის მიერ შერჩეული, მას რაც მოწონებია, რაც გამოუყენებია, დაუნიშნავს ან და გადაუხაზავს ლურჯი თუ წითელი ფანქრით.

ერთი მაგალითი,—ტექსტში: „მშვილდით ნასროლი ისარი წავა, ვით ქარი ზენანი, წამხდარ საქმესა რას არგებს, მას უკან თითზედ კბენანი?!“ ეს სტრიქონები ილიას დაუნიშნავს ლურჯი ფანქრით, მიუწერია წითელი ფანქრით—„უნდა“ და „საანდაზო ლექსებში“ გამოუქვეყნებია ორად გაყოფილი: ასო მანზეა—„მშვილდით ნასროლი ისარი წავა ვით ქარი ზენანი“; ასო წჩილზე—„წამხდარ საქმესა რას არგებს მას უკან თითზედ კბენანი“.

საანდაზო ლექსები ჟურნალ „ივერია“-ში დაბეჭდილი, უცნობ პიროვნებას ამოუჭრია, თან დაურთავს—„შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, ისიც „ივერია“-დან ამოჭრილი, აუკინძავს და მიურთმევია ი. ჭავჭავაძისათვის ასეთი წარწერით: „საანდაზო ლექსები და აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა—ივერიის რედაქტორს თ. ილია ჭავჭავაძეს“. ამ წიგნსაც ატყვია „ივერიის“ რედაქტორის ხელი, აქაც ვხედებით ლურჯსა და წითელ ფანქარს და შესწორებებს. „ივერია“-ში დაბეჭდილი ყოფილა „გურამიანი“-დან: „მე კაცი ვარ ხორციელი სულ ხომ კაცს არ შევბერდები“. ი. ჭავჭავაძეს „კაცს“ წაუშლია და გვერდით მიუწერია „ცას“. მაშასადამე უნდა წავიკითხოთ: „მე კაცი ვარ ხორციელი სულ ხომ ცას არ შევბერდები“. უკვე დაბეჭდილს, ფართო საზოგადოებაში გასულსაც, კრი-

ტიკული თვალით ეყურებდა, დაუშრეტელი ენერგიით ისევ და ისევ ასწორებდა და გარანდვას არ აკლებდა.

განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ სამი წიგნი. „განსაკუთრებით“ ვამბობთ, რადგანაც ცხოვრების ქარტეხილს ეს სამი წიგნი გადარჩენია იმ სახით, რა სახითაც დაუტოვებია ისინი ჩვენ დიდ მოაზროვნეს. ეტყობა ეს წიგნები გადაშლილი ქონდა მასალის აშოკრეფისათვის და შემდეგ ჩარჩენია შიგ თავისი ნაწერების ნაწყვეტები. 1. ი. ჭავჭავაძე როდესაც ეკამათება ივ. ჯაბადარს, მოაქვს მაგალითები ჯონ ლებოკის შრომიდან—„Начало цивилизации“ 1876 წ. ამ წიგნში ჩარჩენია ავტოგრაფი, პატარა ნაწყვეტი, ფელეტონის „აი ისტორია“, რომელიც იბეჭდებოდა გაზ. „ივერია“-ში 1889 წ. შედარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ავტოგრაფი არის ნაწყვეტი XII წერილისა. (შეად. „ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. V, 1927 წ.“ გვ. 144). 2. ფ. შლოსერის, „Всемирная история“, მეხუთე ტომში დარჩენია ავტოგრაფი, რომელიც წარმოადგენს ნაწყვეტს წერილისას „ირლანდია და ინგლისი“. მეხუთე თავიდან (შეად. „ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. X, 1929 წ.“ გვ. 22-23). 3. ედ. ტაილორის „Антропология“-ში ი. ჭავჭავაძეს ჩარჩენია რუსულად შედგენილი სია იმ საკითხებისა რაც მას აინტერესებდა და ალბად ჰირდებოდა, სათანადო გვერდების აღნიშვნით. მაგ. „Сожжение“,—ამ საკითხის შესახებ ის იწერს გვერდებს სხვადასხვა ავტორთა შრომებიდან, ვკითხულობთ: „Леббок, Тэйлор, Вебер, Корш, Спенсер, Карер“; თვითეული ავტორის შემდეგ მიწერილია გვერდები. ერთი პატარა საკითხისათვის, როგორც დასახელებული—„Сожжение“, მას გადაუსინჯავს ექვსი ავტორის თხზულებანი; ამ ავტორებს იმოწმებს წერილებში—„აი ისტორია“.

ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის წიგნების გადათვალიერებამ შესაძლებლობა მოგვცა შევეხედა მის სამუშაო ოთახში იმ დროს, როდესაც ის საწერ მაგიდასთან ქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს; წიგნებში ჩაფლული, ფანქრით ხელში ნიშნავდა, იწერდა მასალებს, ამზადებდა წერილებს „ივერია“-სათვის და მუდამ ფხიზელ დარაჯად უდგა თავის საყვარელ სამშობლოს.

ა. აბრამიშვილი

„ცნობისის ვედომოსტები"
(„ტფილისის უწყებანი")

I

„ტფილისის უწყებანი", რუსული „Тифлисские Ведомости"-ს პარალერული განმეორება, გამოდიოდა თბილისში 1823 წლის 4 იანვრიდან 1832 წლის მარტამდე (გამოცემის ზოგიერთ შიგა წლებში შეწყვეტით). „საქართველოს გაზეთისა" ან „ქართული გაზეთის" შემდეგ ეს მეორე პერიოდული გამოცემაა, გაცილებით უფრო სოლიდური—ფორმისა და შინაარსის მხრივ, ვიდრე მისი წინამორბედი.

სანამ უშუალოდ შევუდგებოდეთ „ტფილისის უწყებანის" ნომრებისა და კომპლექტების თანმიმდევრობითი განხილვას, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ რუსულ „Тиф. Вед."-ებს, რადგანაც ქართული გაზეთი წარმოადგენს მის სრულ ორეულს. მოვიყვანოთ ცნობები ხსენებული რუსული გაზეთის შესახებ, რომელიც ისევე, როგორც ქართული გაზეთისა, დღემდის არ არის სათანადოდ შესწავლილი. ნ. ლისოვსკის ბიბლიოგრაფიულ შრომაში „Тифлисские Ведомости"-ს შესახებ, აი რას ეკითხულობთ: ა) „Тифлисские Ведомости. 1828 (с июня мес.)—1831. Тифлис: Еженедельно, с 1830 г. два раза в нед. $Д^0$ и 4^0. Издание правительственное. Главный редактор П. Санковский. В 1831 г., вместо обещанных 104 №№, вышли №№ 1-32 (последний № помечен цензором 14 ноября). Далее обещано продолжение „Ведомостей" с Литературными приложениями (см. Тиф. Вед. 1831, № 30-31 стр. 255), но о самых „Ведомостях" мы сведений не имеем.

б) Тифлисские Ведомости. Отделение Литературное. 1832. Тифлис. Но два раза в мес. 4^0. Издатели: П. Санковский, Зубарев и Гордеев (см. Тиф. Вед. 1832, № 1 стр. 24). Вышли №№ 1-6: „Январь-март"[1]. ამაზე მეტს ლისოვსკი ჩვენ ბიბლიოგრაფიულ შრომაში „Тиф. Вед."-ს შესახებ არაფერს არ გვატყობინებს,

გ. ვ. ზერცალოვი უფრო სპეციალურად აგვიწერს რუსულ პერიოდულ გამოცემებს საქართველოში 1828 წლიდან 1920 წლამდის. მთლიანად მოვიყვანოთ ციტატა, რომელიც უშუალოდ ეხება „Тиф. Вед"-ს.

„Тифлисские Ведомости". Еженедельная газета. Тифлис. 1828—1833.

Первая русская правительственная газета в Закавказии, издававшаяся с 4 июня 1828 г. сначала одновременно на русском и грузинском языках, а с 1829 г. на русском, грузинском и фарсийксом языках. В газете печатались известия о театре военных действий, правительственные распоряжения и об'явления, разные новости „для края сего любопытнейшие" и вообще все сведения, согласные с видами российского правительства.

Подписная цена 6 р. в год. К 1 сентябрю 1828 г. газета имела 792 подписчика. Издавалась газета на правительственные средства. Газета выходила в 1828-1829 гг. еженедельно; в 1830 г. и 1831 г. два раза в неделю; в 1832 г. по два раза в мес. и в 1833 г. прекратила свое существование. Редактором Тифлисск. ведомостей в 1828-1830 г. был известный в то время литератор П. Санковский, современник и хороший знакомый А. С. Пушкина. Издания являются библиографической редкостью.

В Гос. Публичной библиотеке (ალბად მხედველობაში აქვს თბილისის. ა. ა.) имеется полный комплект за 1828 и 1829 гг. Сведения о газете даны в актах Кавказ. археографической комиссии, т. VII, № 16 и 34 и т. VIII, № 3, в брошюре Кипшидзе—„Периодическая печать на Кавказе" (Тифлис, 1901 г.), в газете „Кавказ" 1896 г. № 4 (сведения несколько разноречивые)[1].

როგორც ქვემოდ დავინახავთ არც ეს ავტორი იძლევა ახალ მასალას. ის იმეორებს წინა ავტორის შეცდომებს და შენიშნავს, რომ „Тиф. Вед."-მა „1833 წელს შეწყვიტა თავისი არსებობა"-ო. ცხადია, ის de visu არ გაცნობია „Тиф. Вед."-ის სრული ხუთი წლის კომპლექტს. ასევე არასწორად უნდა ჩაითვალოს ორივე ავ-

[1] Н. Л. Лисовский—„Русская периодическая печать 1703-1900 гг.". П. 1915, стр. 19

ტორის აზრი ტირაჟისა და პირველი ნომრის გამოცემის რიცხვის შესახებ.

„Тифлисские Ведомости"-ს პირველი № გამოვიდა 1828 წლის 4 **ივლისს**, თუმცა ამ №-ს შეცდომით აწერია „4 **ივნისი**", როგორც პირველ გვერდის თავწარწერის ქვეშ, ისევე უკანასკნელ გვერდის ბოლოში, სადაც ნათქვამია: „печатать позволяется: Тифлис, июня 4 дня 1828 года". ეს შეცდომა „ზესტად" განმეორებულია „ტფილისის უწყებანი"-ში (ამის შესახებ იხ. ქვემოდ). ამგვარი შეცდომა ხშირია და გეხვდება 1828 წლის „ტფილისის უწყებანი"-ს შემდეგ №№-შიც.

№ 3 „ფულის კურსი ტფილისსა შინა ივლისის დ-სა", ნაცვლად „ივლისის **ი**ა-სა"; № იდ „**სეკდემბრის** გ-სა", ნაცვლად „**ოქ**ტომბრის გ-სა"; № იე „სეკდემბრის" თვის სახელწოდებით, ნაცვლად „ოქტომბრისა" და სხვა (იხ. დაწვრილებით ხსენებული №№-ის ანალიტიკურ აღწერილობაში). ამგვარად, როგორც ვხედავთ, სტამბის მცდარმეჭდილება პირველ №-ს ფურცელზე დღემდის თითქმის ყველას, გარდა პროფ. პაატა გუგუშვილისა, ნამდვილ თარიღად მიაჩნიათ და „Тиф. Вед."-ს გამოცემას ივნისიდან და არა ივლისიდან თვლიან.

ნამდვილი სურათი ხუთი წლის განმავლობაში გამოცემული „Тиф. Вед."-სა, რომლის მთლიანი კომპლექტი ამჟამად ჩემს ხელთ იმყოფება, შემდეგია: 1828 წელს გამოვიდა სულ 26 ნომერი: № 1—ოთხშაბათს, ივლისის 4-ს, № 26—ოთხშაბათს, დეკემბრის 26-ს; 1829 წ.—სულ 52 ნომერი: № 1—პარასკევს, იანვრის 4-ს, ხოლო № 52—პარასკევს, დეკემბრის 27-ს; 1830 წელს გამოვიდა 96 ნომერი: № 1—ხუთშაბათს, იანვრის 2-ს, № 96—შაბათს, ნოემბრის 29-ს; 1831 წელს გამოვიდა სულ 32 ნომერი: № 1—შაბათს, იანვრის 3-ს, ხოლო № 32—ნოემბრის 14 რიცხვს; 1832 წელს გამოვიდა სულ 6 ნომერი: პირველი №—იანვრის 1-ს, ხოლო მე-6 ნომერი მარტში. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს შემდეგი გარემოება: „Тиф. Вед." 1828-1830 წლებში გამოდის დიდი ფორმატით (34×23) ნამდვილი გაზეთის სახით, მსგავსად მისი ორეული „ტფილისის უწყებანი"-სა, ხოლო 1831-1832 წლებში კი იგი იცვლის გაზეთის სახეს და ღებულობს ჟურნალის გაფორმებას (24×19); თითო № შეიცავს 24 გვერდს და მორიგე № განაგრძობს წინა №-ის პაგინაციას; ს შირად

[1] Г. В. Зерцалов—„Библиография русской периодики Грузии 1828-1920", Тбилиси, 1941, გვ. 1.

ორი-სამი ნომერი ერთ ჟურნალად გამოდის. 1831 წლის ყველა 32 ნომრის გვერდთა რაოდენობა 256-ს შეადგენს, ხოლო 1832 წლის ექვსი ნომერი შეიცავს 144 გვერდს. გარდა ამისა, 1832 წლის „Тиф. Вед." თავისი სათაურით განსხვავდება არა მარტო წინა სამი წლის „Тиф. Вед."-საგან, არამედ 1831 წლის „Т. В."-ისაგანაც. მისი სრული სათაურია: „Тифлисские Ведомости" 1832 года. Отделение Литературное". შინაარსით და მასალის განრიგება-დალაგებით ეს ორი უკანასკნელი წლის გამოცემანი ბევრად განსხვავდებიან წინა სამი წლის ვაზეთებისაგან (1828-30 гг.). აქ მთლიანად ჟურნალი აშუქებს წმინდა ლიტერატურულს, ისტორიულს, ეთნოგრაფიულსა და სალიტერატურო-სამეურნეო საკითხებს.


ამგვარად, de visu ვიცით, რომ „Тиф. Вед."-ის პირველი ნომერი გამოვიდა 1828 წ. ივლისის 4-ს, ხოლო უკანასკნელი—1832 წლის მარტში. ამით დასრულდა პირველი რუსული პერიოდიკის არსებობა თბილისში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში. De visu ვიცნობთ სულ 212 ნომერს.

ნაწილობრივ ამასვე ვხედავთ „ტფილისის უწყებანი"-ს განხილვის დროს, თუმცა უკანასკნელის მდგომარეობა უფრო საყალაო იყო, ვიდრე „Тиф. Вед."-ს.

„ტფილისის უწყებანი"-ს პირველი №-ს გამოსვლის თარიღიც 1828 წლის 4 ივლისიდან იწყება (თანახმად ჩემს მიერ აღმოჩენილი პირველი ნომრისა), უკანასკნელ ნომრად უნდა ჩავთვალოთ 1832 მარტის მე-5 ნომერი.

გარეგნულად თითქმის არავითარი განსხვავება არ არის ამ ორ ენაზე გამოცემულ გაზეთ-ჟურნალებს შორის ხუთი წლის მანძილზე: 1828 წ. 4 ივლისს იწყეს გამოსვლა და შეუწყვიტეს თავიანთ არსებობა 1832 წ. მარტში, მაგრამ ქართული ორგანოს გამოცემა ამავე დროის განმავლობაში ნორმალურად არ წარმოებდა და მას დიდი ხარვეზებიც ეპოვება. 1828-1829 წწ. „ტფილისის უწყებანი" შინაარსით ატარებს ნამდვილ სამხედრო ხასიათს, გამოდის სისტემატიურად რუსული დედნის—„Тиф. Вед."-ს გვერდით და თითქმის 90%-ით წარმოადგენს მის თარგმანს. პროფ. პაატა გუგუშვილი „ტფილ. უწყ."-ს №№-ს უქონლობამ შემდეგ დასკვნამდი მიიყვანა: „უნდა ვიფიქროთ (სწერს პროფ. პაატა გუგუშვილი „ტფილ. უწყ."-ს შესახებ) 1828 წ. შემდეგ უკვე **არ გამოდიოდა მთელი 1829 წლის განმავლობაში** (კურსივი ჩემია. ა. ა.). ამავე მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ 1830 წლის „ტფილისის უწყებანის" ერთი №, რომელიც ჩვენ ხელთ არის, გამოცემულია 1830 წლ. 8 ივ-

ლისს და იგი არის გაზეთის მეორე ნომერი, ე. ი. თუ 8 ივლისს მხოლოდ მეორე ნომერი იყო გამოცემული, ცხადია, პირველი ნო-



მერი გამოვიდოდა 1 ივლისს, რა დროიდანაც დაუწყიათ ამ (1830) წელს „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა“.[1]

[1] გუგუშვილი, ჰ.—„ქართული ჟურნალისტიკა სახოგადოებრივი თვალსაზრისით“. თბილისი, ტ. I, 1941. გვ. 74

ცხადია, პატივცემული ავტორი არ იცნობს 1829 წლის თორმეტ ნომერს არა თუ de visu, არამედ წყაროების მიხედვითაც, (თუმცა არც არსებობს ამის შესახებ წყაროები და მე პირველს მიხდება ამის აღწერა). ამ გარემოებამ მაფიქრებია ამ პატარა შროპის (ჯერ კიდევ ომამდე დაწერილის) გამოქვეყნება. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვო პატივცემული ავტორის აზრი, რომელიც მას გამოთქმული აქვს თავისი წიგნის 71-74 გვ. გვ. სხვადასხვა არქივების მასალათა მიხედვით. ცნობილია, რომ 1829 წელს მაისის 9 რიცხვში პასკევიჩმა სამხედრო მინისტრის გრაფ ჩერნიშოვის დახმარებით შეამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ადგილობრივ მცხოვრებთათვის დაბეჭდილიყო ზოგიერთი ცნობები მშობლიურ ენაზე. ეს ფაქტი შესაძლოდ ქმნის დავუშვათ, რომ 1829 წელს აპრილის შუა რიცხვებში „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა რაიმე მიზეზის გამო მთავრობის მიერ აკრძალული იყო. მოსაზრების სასარგებლოდ ის გარემოებაც ლაპარაკობს, რომ სწორედ 1829 წლის 7 აპრილს გამოვიდა უკანასკნელი მე-12 ნომერი, და ერთი თვის შემდეგ—9 მაისს პასკევიჩმა იწყო ზრუნვა კვლავ მის განახლებაზე; ეს ასე რომ არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, პასკევიჩს სრულებითაც არ დასჭირდებოდა მთავრობისადმი მიმართვა და თხოვნა რაიმე ფურცლების დაბეჭდვისა– იმ დროს, როდესაც 7 იანვრიდან 7 აპრილამდის „ტფილისის უწყებანი“ სისტემატიურად გამოდიოდა[1].


პროფ. პაატა გუგუშვილის ცნობა „1829 წელს „ტფილისის უწყებანი“ არ გამოდიოდა და გამოდიოდა მხოლოდ „Тиф. Вед.“-ის დამატებითი ფურცლები“, სწორი არ არის. ჯერ ერთი, ჩვენს ხელთ არის 1829 წლის „ტფ. უწყ.“-ის სრული ოთხი თვის კომპლექტი და მეორეც ის, რომ მართალია „Тиф. Вед.“-ის დამატებითი ფურცლები გამოდიოდა, მაგრამ გამოდიოდა ორ გვერდზე: პირველზე რუსულად და მეორეზე—ქართულად.

რამდენიმე სიტყვა გაზეთის გერბის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვხედავთ 1828-1829 წლების ყველა ნომრების თავში. პროფ. პ. გუ-

---

[1] 1829 წლის რუსული „Тиф. Вед.“-ის ყველა 52 №№-ის თავწარწერის მარცხენა მხარეს კვემოდ აღნიშნულია, რომ გაზეთი გამოდის „რუსულად, ქართულად და ფარსულად“-ო (ასევე აწერია 1829 წ ქართული „ტფილ. უწყებანი“-ს ყველა ნომერს იხ. მე-12 ნომერი, რომლის ფოტოსურათსაც თან ვურთავ) ეს შეიძლება მივაწეროთ იმდროინდელ თვითმპყრობელურ მთავრობის ფორმალურ ნაციონალურ პოლიტიკას, რის მსგავსი მოვლენაც ისტორიაში არ შეიძლება არ არის; ვით უნდა, რომ „ფარსული“ (სპარსული) ენაზე დღემდის არც ერთი ნომერი არ მოგვეპოვება. ა. ა.

გუშვილი იმავე წიგნის მე-75 გვ. სწერს: „1828 წლის გამოცემის თავში მოთავსებულია ცხენზე მჯდომი თეთრი გიორგის სურათი,



მის ზემოდ სამეფო გვირგვინი და ქვემოდ ორთავიანი, არწივი ხოლო თეთრი გიორგის სურათს ირგვლივ არტყია რუსეთის საიმპე-

რომ გერბისაგან (ორთავიანი არწივისაგან) შემდგარი ჩარჩო, რომელშიც ქვემოდ ჩართულია ნიკოლოზ პირველის ინიციალი: ეს იყო სიმბოლო რუსეთის მიერ საქართველოს თავის „მფარველობასა და მბრუნველობაში“ მიღებისა; **სხვათაშორის ეს სურათი შემდეგი წლების „ტფილისის უწყებანს“ არ ამშვენებს** (კურსივი ჩემია. ა. ა.). ეს არ არის სწორი. 1828 წ. პირველ ნომრიდან დაწყებული 1829 წლის უკანასკნელ (მე-12 ნომრამდის იხ. აქ დართული 1829 წ. № 12) ნომრამდის ზემოდაღწერილი გერბი—„სურათი“—უცვლელად არის მოთავსებული ყველა №№-ს თავზე. პროფ. პ. გუგუშვილის შენიშვნა გასაგებია იმდენად, რამდენადაც მას არ უნახავს 1829 წლის „ტფილისის უწყებანის“ არც ერთი №; გაკვირვებას იწვევს მხოლოდ ის გარემოება, რომ ავტორი ერცლად იხილავს თავის შრომაში 1829 წლის „Тиф. Вед.“-ს №№-ს, რომლის ფურცლებსაც იგივე გერბი ამშვენებს, ოღონდ იმ მცირედი განსხვავებით, რომ აქ ორთავიანი არწივი მოხსნილია, ნიკოლოზ პირველის ინიციალები ქვემოდან ზემოდ არის გადატანილი და მოთავსებულია სამეფო გვირგვინსა და ცხენზე მჯდომ თეთრი გიორგის შორის, რაც შეეხება 1830-1831 წლებს, აქ ავტორის შენიშვნა მართებულია.

1830-1831 წლების განმავლობაში „ტფილისის უწყებანის“ ბედის შესახებ დღემდის ჩვენ არაფერი არ ვიცით. პროფ. პ. გუგუშვილი 1830 წ. ივლისის ერთს, სახელდობრ მე-2 №-ს ასახელებს. რაც შეეხება 1832 წელს, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს სულ 5 ნომერი, რომლის ლიტერატურულ-ანოტირებულ ბიბლიოგრაფიასაც იძლევიან ს. ხუციშვილი და ნ. ტატიშვილი, 1940 წლის „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ პირველ ნომერში. დღემდის მეტად გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ დამატება იყო გაზეთ „ტფილისის უწყებანი“-სა; ამავე აზრს აქვთარებენ ზემოხსენებული ავტორებიც „სალიტერატურონი ნაწილის“ აღწერის დროს, და მით უმეტეს არ შეიძლება ამას არ გაეწიოს ანგარიში, რომ 1832 წლის „ტფილისის უწყებანი“-ს პირველ №-ს ნათლად აწერია—„გამოდის სამშაბათობით, ხოლო სალიტერატურონი ნაწილნი თვეში ორჯერ“-ო. როგორია საქმის ნამდვილი ვითარება? „Тиф. Вед.“-ბის დაწვრილებით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ხუთი წლის მანძილზე არაა არც ერთი შემთხვევა—ერთსა და იმავე დროს გამოსულიყოს „Тиф. Вед.“ და მის პარალელურად მისი ლიტერატურული დამატებანი; მართალია, რედაქციამ განიზრახა 1831-1832 წლებში გამოეცა რუსულად და ქართულად „ტფილი-

სის უწყებანის“ გვერდით ლიტერატურული დამატების სახით, ჟურნალი, მაგრამ საქმე გათავდა მხოლოდ იმით, რომ პირველას გამოცემა შეცვალა უკანასკნელით. ქართულ ენაზე de visu მე პირადად მოკლებული ვარ „ტფილისის უწყებანი“-ს 1832 წლის №№-ს, ვიცი მხოლოდ სხვადასხვა წყაროების საშუალებით, რომ ნამდვილად გამოვიდა რამდენიმე ნომერი და ამიტომ მე აქ თავს ვიკავებ.

როგორც ეს ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, გაზეთის მიმართულება სამხედრო ხასიათისა იყო; იგი მთლიანად სამხედრო პირთ ემსახურებოდა; ამას მოწმობს, სხვათა შორის, 1828 წლის „ტფილისის უწყებანის“ მე-7 ნომერი, სადაც ხელის მომწერთა სია მოთავსებული. აქ ყველა ხელის მომწერნი (რიცხვით 22) მთლიანად სამხედრო პირებს (აფიცრობას) შეადგენენ. გაზ. „ტფილ. უწყ.“-ს იწერენ საქართველოში, ამიერკავკასიაში და რუსეთის სხვა ქალაქებიდან — ყველგან მხოლოდ სამხედრო პირნი.

1828 წლის „ტფილისის უწყებანი“-ს მე-15 ნომერში დაბეჭდილია ვრცელი გახცხადება, საიდანაც ზოგიერთ ადგილს მოვიყვან: „ტფილისის უწყებანი გამოცემულნი აქომამდე რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა, ჩყკთ [182ყ] წელსა შინა გამოვლენ სპარსულს (ფაოსინის) ენაზედა, რომელიცა უმეტეს კმარებულ არს ჩვენს მუსულმანის პროვინციათა შინა, თჳთოელსა ზედა ამათ ენათაგან ტფილისის უწყებანი გამოვლენ საკუთრად და მოწერა იქმნების მიღებულ ცალკერძო. მოსაწერი ფასი წლის გამოცემასა ზედა დაინიშნების ყოველთა საშუალდღეობითთა კერძოთა თჳს კავკასიისათა: ექვსი მანეთი თეთრი ფული; ხოლო წარგზავნითა ყოველთა სხუათა ადგილთა შინა როსიისათა ოცდაათი მანეთი ასიგნაცია“. ამავე განცხადებიდან ვტყობილობთ რედაქციის მისამართს, აქვეა ცნობები გაზეთის ტირაჟისა და მომავალი წლის პროგრამის შესახებ. „კელმოწერა მისაღებად ტფილისის უწყებათა მიიღებთ ტფილისის კომიტეტსა შინა ამის უწყაების გამოცემისასა, გარეშუბანს სახლსა შინა პოლკოვნიკის ღოაფის სიმონიჩისასა; სანკტპეტერბურღსა და მოსკოვსა შინა იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის უფალთ კომისიონერთა სმირდინს და შირიაევთან. სხუა ქალაქელნი კეთილ ინებებენ, რათა მოიწერნენ კომიტეტსა ამას შინა“, აი რას გვაცნობენ ტირაჟის შესახებ: „მოკლე დროსა შინა რიცხვმა პ[რ]ენუმერანტთამან აღიწია ესოდენ, რომელ აწ **იბეჭდების ათას ორასი ეგზემპლიარი რუსულს ენაზე და ოთხასი ქართულზე**, აქამომდეცა თხოვნანი ტფილისის უწყებათანი განდიდდებიან თჳთოეულთა ფოჩტითა“. შემდეგ **რედაქცია** ბოდიშს იხდის ხელის მომწერთა წინაშე იმ მრავალი

ეკ ლოჩკის შე სახებ, რომლითაც სავსეა „ტფილისის უწყებანი“-ს ფურცლები. ამ გარემოებას ხსნის იმით, რომ „ტიპოგრაფია“ კარგად არ არის მოწყობილი, პერიოდიკის გამოკლმა კავკასიის ფარგლებში პირველი ცდაა, ქართული ენის ლექსიკა მსგავსად სხვა ენების ლექსიკისა კარგად არ არის შესწავლილი და გამომუშავებული, რის გამო რედაქციას მეტად უძნელდება შეცდომების თავიდან აცილება და სხვა ამგვარი. განცხადება შეიცავს გაზეთის ორ ვრცელ გვერდს.

„ტფილისის უწყებანი“-ს რედაქტორადაც, როგორც ეტყობა, ყოფილა პ. სენკოვსკი, და მთელი რიგი წერილებიც მის კალამს ეკუთვნის, განსაკუთრებით 1829 წლის „ტფილისის უწყებანი“-ს №№-ში. ზოგიერთი № მთლიანად მის წერილებს აქვს დათმობილი.

საინტერესოა, რომ ჩემს მიერ აღწერილი ამ ორი წლის №№-ში არც ერთი წერილის ბოლოში ავტორი არ აწერს თავის სახელსა და გვარს: ყველგან ინიციალებით არის აღნიშნული. ეხვდებით შემდეგ ინიციალებს: 1) მ. ხ., 2) ო. მ., 3) ბ—ვა, 4) პ. ხ...კიხა, 5) ოდ. ვ., 6) სან...კისა, 7) პ. სან...კისა, 8) პ. ს...კის, 9) კ. ღ., 10) ხ. პჩ., 11) სევ. პჩ., 12) პ. ს...ვსკი, 13) ლ. ა.—დ. (შოთა რუსთაველის შესახებ), 14) ო. ვ., 15) ნ. მ—ვ, 16) ხ. პ., 17) ფ. ბ. და სხვა. დაწვრილებით იხილეთ ანოტირებულ წერილების ბოლოში. როგორც ვხედავთ ჩვენს მიერ დანომრული (4, 6, 7, 8, 10, 11, 12, 16) ინიციალებიდან მართლა, რომ უამრავი წერილები ეკუთნის თვით რედაქტორს, პ. სენკოვსკის. საინტერესოა, რომ ამ ორი წლის 34 №№-ში ვერსად ვერ ვხვდებით სოლომონ დოდაშვილის (დოდაევ-მაგარსკი) წერილებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ დროს თბილისში იმყოფებოდა. ჩემი ყურადღება მიიქცია შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი წერილის ავტორმა (ლ. ა.—დ.)[1], რომლის ინიციალების გახსნაც მე ვერასგზით ვერ მოვახერხე. როგორც შენიშვნაშია ნათქვამი, წერილი ჯერ რუსულად ყოფილა დაწერილი და შემდეგ რედაქციის თხოვნით ავტორს უთარგმნია მშობლიურ ენაზე.

მოკლე შინაარსი „რაამე რუსთაველისათჳს“ შემდეგია: ჯერ საერთო მიმოხილვით ავტორი გვაცნობს საბერძნეთის უდიდესი მწერლის ჰომეროსის ნიჭსა და შემოქმედებას, ლაპარაკობს „ილიადაზე“ და მის ღირსებაზე, მას არვინ შეედრებაო, მრავალი განათ-

---

[1] ლ. ა.—დ.—ეს. სააშა (ალექსანდრე)—ლ? ა[ლექსანდრე] დ[ოდაევ] (დოდაშვილი). ენა ძლიერ ჩამოგავს დოდაშვილისას და საეჭვებელია მის კალამს ეკუთვნოდეს. ა. ბ.

ღებული ერნი აძლევენ და კელავაც მისცემენ „პატივს ნიჭსა მისსა“. შემდეგ აგვიწერს შოთას პირად ცხოვრებას, ეხება მის ნიჭს და ახასიათებს მას როგორც გენიოსს. „ვეფხის ტყაოსანი“ მისი თქმით, წარმოადგენს პატარა ქართველი ერის დიდ სიამაყეს, თვით ქართველი ერიც სიამოვნებით მოიხსენებს შოთას სახელს, ქართველები დიდი სურვილით და მონდომებით კითხულობენ რუსთაველის შემოქმედებას და „აღტაცებით გადასცემენ შთამომავლობას“. ავტორი ფუძს, რომ მას პირველს უბედება აღწერა „დიდისა ამისა კაცისა, რომელსაცა უდიდებია მამული თჳსი და ბრძანი მეფა მისი“... მერე მოჰყავს ბიოგრაფიული ცნობები: „იგი [შოთა] დაიბადა 1229-სა წელსა... ვითარცა იხილების ისტორიისაგან თამარისა“... თამარს[1] შოთა გაუკაზავნია სხვებთან ერთად საბერძნეთში, სადაც რუსთაველს კარგად შეუსწავლია საბერძნეთის კლასიკოსები და განსაკუთრებით კი ჩასწედომია ჰომეროსის შემოქმედებას და მისგან „განხურვებულმან შესწირა თავი თვისი აღმკობილსა პოეზიასა“. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჯერ იგი თამარ მეფეს დაუნიშნავს „რომელისამე მცედრობასა ზედა“ შეასრულა რა ამგვარად მოვალეობა მამულის წინაშე, შემდგომად „შოთამ აღიღო კალამი ვითარცა მახვილი“ და მრავალმხრივი ცოდნით და უდიდესი ნიჭით „რუსთაველი მისწვდა საიდუმლოსა ილლიადისასა და სხუა და სხუა გვაროვნობისაგან კერძოთასა შექმნა მან იდეალი აღმკობილისა ყოვლადისა“. რუსთაველს დაუძლევია დიდი სიძნელენი თავის მშობლიურ ენაში, შემოუტანია მრავალი ახალი სიტყვები და ნიჭიერი ცოდნით გამოუმუშავებია უამრავი „ენათა კანონი“, მსგავსად ლომონოსოვისა. „რადცაღა შეეხების საკუთრად ენასა, რუსთაველმან სძლია უჩუეველთა სიძნელეთა, ვითარცა რუსეთის ლომონოსოვმან, იგი თანამდებ იყო, რათა მოეცა თჳთ სახენი, ხშირად შეადგინა ლექსნი და შემოუტანა ცვალებანი, რომელისა დრომდეცა ენასა შინა მისსა არა საცნაურ იყუნენ, გარნა ძალ უძჳთ, რათა ჰმსახურონ წყაროდ წმინდათა კანონთა, ბუნებისაგან ენისა და ძალისაგან ნიჭისა წარძოებულთა“.

„საწუხარ არს, რომელ შეცვლილი წელთა გარემოებათა მიერ აწინდელი თქმაობა ჩვენი განაშორებს ჩვენგან უმეტეს და უმეტეს სიცხადესა და სიწმიდესა აზრისასა რუსთაველის ენისას“, ავტორი ამ წერილისა მოუწოდებს მამულის შვილთ, იშრომონ მეცნიერების

[1] ავტორი ცდება, როდესაც აღნიშნავს, რომ შ. რუსთაველი დაიბადა 1229 წ. და თამარ მეფეს იგი გაუხავია საბერძნეთში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თამარ მეფე 1214 წ. უკვე ცოცხალი არ იყო. ა. ა.

ასპარეზზე, მოიგონებს დიდ დაუზარელ ღვაწლს ანტონისა და იოანესას და ნაღვლობს, რომ ხსენებულ პირთა „მრავალი თპუზულებანი, სამწუხაროდ ჩვენდა, არიან ჯერეთ კელნაწერნი“.

„ტფილისის უწყებანი“ ორი წლის განმავლობაში პირველად ათავსებს თავის ფურცლებზე წმინდა ლიტერატურული ხასიათის სტატიას, ისიც ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ ავტორმა ეს წერილი დაწერა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 600 წლის აღსანიშნავად.

Левинград, 15/I-47 г.

II

„ტფილისის უწყებანის“

ანოტირებული ბიბლიოგრაფიული აღწერა (1828-1829)

„ტფილისის ვედომოსტები“[1] 1828 წ.

№ ა ოთხშაბათს ივნისის[2] დ-სა ჩყკც [№ 1 ივლისის 4-სა 1828 წელსა].

შინაარსი: უმაღლესნი პრიკაზნი გვ. 1, სვ. 1. უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 1. უმაღლესნი უქაზნი მძართებელის სენათისადმი საშინაგანოთა საქმეთა მინისტრისაგან განცხადებული გვ. 1-2, სვ. 1-2, 1. (აქ არის ჩამოთვლილი სხვადასხვა სადღესასწაულო რიცხვები ივნისის თვეში, რაც საშუალებას გვაძლევს გავასწოროთ „ტფილისის ვედომოსტები“-ს პირველი ნომრის ივნისის თვე ივლისად; ჩვენს დასამტკიცებლად აქ მოვიყვანთ ზოგიერთ წინადადებას ამავე ნომრიდან: „ივნისის ე-სა [ე-სა] მისმან იმპერატორებითმან დიდებულებამან... ამა წლისასა უმაღლესად ინება ბრძანებად საქართველოს აზნაურს ელიოზოვს მიეცეს ჯილდოდ საკელო ღუბერნსკის სეკრეტრობისა“. „ტფილისს ივნისის იგ-სა [13-სა] ამავრიცხვს ტფილისის ვოენის ღუბერნატორს უფალს ღენერალ-ადიუტანტს სიპიაღინს აქვნდა ბედნიერება მიიღო სანკტ-პეტერბურღიდან უფლისა საიმპერატორო სასახლის მინისტრის უწყებისა თანა საეკკლესიონი შესამოსელნი ტრაპეზისათჳს, სამკვეთლო და სამი დაფარნა ოქრომკერდით ნაკერი კელითა მათის იმპერატორებითის დიდებულების კელმწიფათა ალექსანდრა ფედოროვნისა და მარია ფედოროვნისათა ახლად აღშენებულის ერევანსა შინა სახელსა ზედა ყოვლად წმიდის ღუთის მშობლისა საფარველის ეკკლესიისათვის“... „ივნისის კე-სა [25-სა]... ქალაქსა ტფილისს... დღესასწაულება... ოსმალოს ციხის ანაფის რუ-

---

[1] ეს „ტფილისის ვედომოსტები“-ს პირველი ნომერი, რომელიც მე-4 ნომრიდან იღებს უფრო სწორ ქართულ სახელწოდებას „ტფილისის უწყებანი“-სას აღმოვაჩინე ერთერთ წიგნთან ერთად ყდაში ჩასმული სახელდობრ—კლაპროტის „ქართულ-ფრანგულ და ფრანგულ-ქართულ ლექსიკონში“ პარიზი. 1827 წ. ამის შესახებ ცალკე მაქვს წერილი.

[2] კურსივი ყველგან ჩემია. ა. ა.

სეთის მხედრობათა მიერ აღებისათვის". თბილისის შემოსვა მრავალი მოსართავებით, სალიუტები მეტეხის ციხიდან, „ტანცაობა" და მრავალი სამხედრო მიმოსვლა). ამბავი მოქმედებაში მყოფის კავკასიის კორპუსისა გვ. 2-3, სვ. 1-2 1. (მოკლე შინაარსი: „ყარსიდან კგ-სა [23 სა]. დროშანი რუსეთის იმპერატორისა ფრიალებენ შ*ურმით აღებულის ყარსის ციხეზედა ამავ რიცხვს დილის მერვეს საათს". შემდეგ შიდის დაწვრილებითი აღწერა, თუ როგორ „შტურმოვალი" ყარსის ციხე. რამდენი დაიღუპა ორივე მხრივ, რა და რა სამხედრო ნადაველი ჩაუვარდა ხელში, ტყვეთა რიცხვი და სხვა). სამზღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 3, სვ. 1. მოსვლა საქართველოზე ავარის ომარხანისა და ომი იორზედა ნოემბრის ზ-სა ჩყ—[ნოემბრის 7-სა 1800] წელსა გვ. 3-4, სვ. 2, 1-2 (გაგრძელება წინ). კე—[25] ივნისისა აღნიშნულ იქნა ეკრეთე განხსნითა აქ სასწავლებელისათა მზეველთათვის გვ. 4 სვ. 2. ფუ ლის კურსი ტფილისსა შინა ივლისის დ-სა [4]. „შემოწირულნი სარგებლად ღრმთის სანებურთა დაწესებათა, შემოსრულნი კომიტეტსა შინა გამოცემისა ტფილისის ვედომოსტთა ასსიგ. კომიტეტისა მხრუნველისა ღენერალ ადიუტანტის სიპიაღინისაგან—100 რუბ., საქართველოს იმერეთის სინოდის კანტორის ჩლენისა დეით გარეჯის უდაბნოს არხიმანდრიტის ანტონისაგან 20—დროსა მოწერისასა მიღებასა ზედა ტფილისის ვედომოსტებისასა ერთის ეკზემპლიარისა თჳს".

დაიბეჭდა ბრძანებითა: ტფილისს ივნისის დ ჩყკც-სა წელსა [ივლისის 4-სა 1828 წელსა].

№ ბ, ოთხშაბათს ივლისის ია-სა ჩყკც წელსა [№ 2, ივლისის 11-სა 1828 წ.]. შინაარსი: უმაღლესი პრიკაზნი გვ. 1, სვ. 1. უმაღლესი უკაზნი გვ. 1, სვ. 2. მინაკანი ამბავნი ტფილისი გვ. 2. სვ. 1-2 (სხვადასხვა ცნობათა შორის პირველ რიგში აღნიშნავენ, რომ „პირველ ივლისს მოვიდა აქ ს-პეტერბურღიდან რუსეთის სრული ძალის მქონე მინისტრი სპარსეთის კარზედა საქყოფად სტატსკის სოვეტნიკი ღრიბოედოვი). საზღვარს გარეთნი ამბავნი გვ. გვ. 2-3, სვ. 2-1. მოსვლა საქართუჰელოსა ზედა ავარის ომარხანისა და ომი იორზედ, ნოემბრის ზ-სა ჩყ წელსა [ნოემბრის 7-სა 1800 წ.] (დასრულება) გვ. 3-4, სვ. 1-2, 1-2. ფუ ლის კურსი ტფილისსა შინა ივლისის დ-სა [უნდა იყოს ივლისის ია-სა]. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს ივნისის დ ჩყკც [უნდა იყოს ივლისის ია-სა] წელსა.

№ გ [№ 3] ოთხშაბათს ივლისის იც [18]-სა ჩყკც [1828] წელსა. შინაარსი: უმაღლესნი უკაზნი გვ. 1, სვ. 1. უმაღლესი ბრძანება გვ. 1, სვ. 1-2. მინაგანი ამბავნი ტფილისი გვ. 1, სვ. 2. ციხე ყარ-

სი გვ. 1, სვ. 2, გვ. 2, სვ. 1-2. წერილნი სომხეთიდამ—ერევანი ია (11) ივნისის ჩყკც [1828] მ. ს. (გაგრძელება შემდგომად) გვ. 2-4. ფულის კურსი ტფილისსა შინა ივლისის იც ჩყკც [18, 1828-სა წელსა.

ტფილისის უწყებანი №[1] ლ [№ 4] ოთხშაბათს ივლისის იც-სა [უნდა იყოს **კე**-სა] ჩყკც წელსა [18-ს კი არა 25-სა 1828 წ.]. **შინაარსი:** უმაღლესნი ბრძანებანი ოტდელბის კავკასიის კორპუსსა შინა გვ. 1, სვ. 1. უმაღლესნი ბრძანებანი გვ. 1-2, სვ. 2-1. შინაგანი ცნობანი გვ. 2, სვ. 1-2 (აქ აღნიშნულია თუ როგორ აიღეს ციხე ფოთი ამა წლის 15 ივლისს და რა დიდი ზეიმი იყო ამის შესახებ თბილისში—„გასროლილი იქმნა ას ერთი ზარბაზანი მეტეხის ციხიდან". მეგრელებს დიდი ერთგულება გაუოუჩენიათ რუსების მიმართ ფოთის ციხის აღებაში და თვით მთავარსაც—გენერალ-ლეიტენანტ დადიანსაც კმაყოფილებით იხსენიებენ და ალბად ამიტომაც იყო ეს უკანასკნელი წაინდა ასნას 1 ხარისხის ორდენით დაჯილდოებული). საზღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 2, სვ. 2. წერილნი სომხეთიდამ (განგრძობა; განგრძობა ძეძდგომად) გვ. 3-4, სვ. 1-2, 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა ივლისის კე[25]-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს ივლისის კე ჩყკც-სა [1828] წელსა.

№ 0 [№ 5], ოთხშაბათს აგვისტოს ა[1]-სა ჩყკც [1828] წელსა. **შინაარსი:** უმაღლესნი ბრძანებანი გვ. 1, სვ. 1-2. უმაღლესნი ბრძანებანი გვ. 1, სვ. 2, გვ. 2, სვ. 1. შინაგანი ცნობახი ტფილისი ა[1]-ს აგვისტოს გვ. 2, სვ. 1-2. საზღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 2, სვ. 2. წერილნი სომხეთიდამ (დასრულება)[2]. მ. ს. გვ. 2-3, სვ. 2-1-2. ვაჭრობა ტფილისისა იარმარკისი თჳს (თჳთ დრო ვაჭრობისათჳს დანიშნული) გვ. 3-4, სვ. 2-1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა აგვისტოს ა-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს აგვისტოს ა-სა ჩყკც-სა წელსა.

№ 3 [№ 6], ოთხშაბათი აგვისტოს ც(8)-სა ჩყკც (1823) წელსა. **შინაარსი:** უმაღლესი ბრძანებანი გვ. 1, სვ. 1. უმაღლესი ღრამატა: წყალობითა ღმრთისათა ჩუენ სიკოლოზ პირველძან იმპერატორმან და თჳთ მპყრობელძან ყოველისა რუსეთისაძან და სხუათა და სხუათა და სხუათა; ბოლოში: სიკოლოზ. გვ. 1, სვ. 1-2. ლაგერსა შინა კურნალის სოფელთან ივნისის კე (25) დღესა, წელსა ჩყკც-

---

[1] მეოთხე ნომრამდის ე. ი. 1, 2 და 3-ს ეწოდებათ „ტფილისის ვედომოსტები", ხოლო მე-4 ნომრიდან იღებს ქართულ სახეს.

[2] წერილის ბოლოში: ხელის მოწერა მ. ს. იპარაფრაზებით და შემდეგ დატა კჳ (23) ივნისსა ჩყკე (1828) წელსა ლაგერსა შინა ყარსთან.

სა უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 2. შინაგანნი ცნობანი ტფილისსა ც(8) აგვისტოს გვ. 2-4, სვ. 1-2, 1-2, 1-2. ფულის კუოსი ტფილისსა შინა აგვისტოს ც(8)-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს აგვისტოს ც(8)-სა ჩყკც (1828) წელსა.

№ ზ [№ 7], ოთხშაბათი აგვისტოს იე[15]-სა ჩყკც [1828] წელსა. შინაარსი: უმაღლესნი პრიკაზნი გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ამბავნი: ტფილისს გვ. 1, სვ. 2. გვ. 2, სვ. 1; ოდესს გვ. 2, სვ. 1; ფეოდოსიას გვ. 2, სვ. 1 (იტყობინებიან, რომ ანაფიდან 1160 ტყვენი ოსძალნი მოიყვანეს, როძელთა შოროის იმყოფება ფაშას შვილი). საზღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 2, სვ. -2. გვ. 3, სვ. 1. სხუადა სხუანი ცნობანი, ძეტოროლოგია გვ. 3-4. ფულის კურსი ტფილისსა შინა აგვისტოს იე-სა. გახცადეა თუ ვინ ოაძდენი თანხა შეძოსწირა ტფილისის უწყებანი-ს კოძიტეტს, ძოხაეხებულია 18 პიოთა გვარი. დაიბეჭდა ბოძანებითა ტფილისს აგვისტოს იე-სა ჩყკც-სა წელსა.

№ ც [№ 8], ოთხშაბათს აგვისტოს კბ(22)-სა ჩყკც [18-8] წელსა. შინაარსი: უმაღლესნი ბოძანებანი; უმაღლესი უქაზი გვ. 1, სვ. 1. შინაგანნი ცნობანი გვ. 1, სვ. 1-2. ცხოა ძოქმედი კოოპესიდან გვ. 1-3, სვ. 2-1-2, 1-2. ცხოანი ძოქმედის ძეოოე აოძიცგან გვ. 3-4, სვ. 2, 1-2; ფულის კურსი ტფილისსა შინა აგვისტოს კ-სა. დაიბეჭდა ბოძანებითა ტფილისს აგვისტოს კ-სა ჩყკც-სა წელსა.

№ თ [№ 9], ოთხშაბათს აგვისტოს კთ[2ზ]-სა ჩყკც [1828] წელსა. შინაარსი. უმაღლესნი ბოძანებანი გვ. 1, სვ. 1-2. ძინაგანნი ამბავნი გვ. 2, სვ. 1-2, გვ. 3. სვ. 1 (ოდესის ვეოტიკიდან). საძღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 3, სვ. 1-2, გვ. 4, სვ. 1-2 (დასრულება შემდგომად). ფულის კუოსი ტფილისსა შინა აგვისტოს კთ-სა [29]. დაიბეჭდა ბოძანებითა ტფილისს აგვისტოს კთ[2ზ]-სა ჩყკც [1828]-სა წელსა.

№ ი [№ 10], ოთხშაბათს სექდემბოის ე(5)-სა ჩყკც წელსა. შინაარსი: უმაღლესნი ბრძანებანი (ოტდელნი კავკაზიის კოოპუსის გამო) გვ. 1, სვ. 1-2. უმაღლესი ღოვძატა წყალობითა ღვთისაგან ჩუენ ხიკოლოოზ პირველსას იმპეოატოოსან და თჳთ მპყოოობელსას ყოვლისა ოუსეთისაძან და სხუათა და სხუათა და სხუათა ძაღალ ხარისხოვანს სომხის პატოიარსა ეფოემს გვ. 1, სვ. 2. ლაგოისა ძინა კოზლუდჟისთან ივლისის კბ(22)-სა დღეა ჩყკც (1828) წელ-ა. უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 2, გვ. 2, სვ. 1. უძაღლესი ბოძანება. შინაგანნი ცნობანი (ო. მ.), გვ. 2, სვ. 1-2. საძღვარს გარეთნი

ახალნი ამბავნი (დასრულება), გვ. 2-3, სვ. 2-1. სხუა და სხუანი ცნობანი გვ. 3, სვ. 1. აღწერა ციხისა ხერტისა ანუ ღერტჯსა (დასრულება შემდგომად) გვ. 3-4, სვ. 2-1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა სეკტემბრის ე-სა. დაიბეჭდა ბრძანებათა ტფილისს სეკტემბრის ე-სა ჩყკც-სა წელსა.

№ ია [№ 11], ოთხშაბათს სეკდემბრის იბ(12)-სა ჩყკც წელსა. **შინაარსი:** უმაღლესნი პრიკაზნი (ოტდელნის კავკასის კორპუსისა გამო) გვ. 1, სვ. 1. უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ამბავნი (ს. პ.) გვ. 1, სვ. 2. ტფილისს სეკდემბრის თ(9)-სა რუსეთის საიმპერატორო სრული ძალმჭონებელი მინისტრი სპარსეთსა შინა ს. ს. ღრიბოედოვი დაშთომილი აჭამომდე აჭა თვისის ავადმყოფობის გამო ამაე რიცხვსა წარემგზავრა დანიშნულის ადგილისადმი თჳსისა გვ. 1, სვ. 2. ახალციხის ავგუსტოს იზ(17)-სა გვ. 2, სვ. 1-2. სამხღვარს გარეთნი ამბავნი გვ. 2, სვ. 2. გვ. 3, სვ. 1. სხუა და სხუანი ცნობანი გვ. 3-4, სვ. 1-2-1. აღწერა ციხისა ხერტჯს ანუ ღერტჯსა (დასრულება) გვ. 4, სვ. 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა სეკდემბრის იბ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს სეკდემბრის იბ-სა ჩყკც-სა წელსა.

№ იბ [№ 12], ოთხშაბათს სეკდემბრის ით(19)-სა ჩყკც (1828) წელსა. **შინაარსი:** უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 1. შინაგანნი ამბავნი გვ. 1, სვ. 2. გვ. 2, სვ. 1-2. სამხღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 2, სვ. 2. სხუა და სხუანი ცნობანი გვ. 2-3, სვ. 2-1-2. ვაჭრობა რუსეთის საჭონელთათჳს, ყოფილთა ლეიბციღის იარმარკათა ზედა. გვ. 3-4, სვ. 2-1. ნეკროლოგია [ლ. ღ. ფილიანდის პოლკის პოდპორუჩიკის დუბროვსკის ბრძოლის ველზე დაღუპისა]. ბ-ვა. გვ. 4, სვ. 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა სეკდემბრის ით-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს სეკდემბრის ით-სა. ჩყკც-სა წელსა [19 სეკდ. 1828 წ.].

№ იგ [№ 13], ოთხშაბათს სეკდემბრის კვ(26)-სა ჩყკც [1828] წელსა. **შინაარსი:** ყოველად უმორწყალესნი რესკრიპტნი: სახელსა ზედა უფლის კამანდირის ოტდელნის კავკასიის კორპუსისა ღენერალ-ოტინფან ერის, ღენერალ-ადიუტანტის, ღრაფის პასკევიჩის—ერევნსკისა. ღრაფო იანე თეოდორეს ძე! ნამდვილსა ზედა საკუთრითა მისის იმპერატორობითის დიდებულების კელითა დაწერილ არს: ნიკოლოზ. გვ. 1, სვ. 1. ბანაკსა შინა შუმლასთან ივლისის კ(20)-სა დღესა ჩყკც (1828) წელსა ღრაფო იოანე თეოდორეს ძე! დავშები თქუენდა მარადის კეთილმოდრეკილნი ნამ[დ]ვილსა ზედა დაწერილ არს საკუთრითა მისის იმპერატორებითის დიდებულების კელითა

ნიკოლოზ. გვ. 1, სვ. 1-2 (ორიენში იმპერატორი დიდ მადლობას უცხადებს „მორჩილებისათვის ყარსისა, ახალქალაქისა და ხერტვსისა"). ოდესსა, კ-ს აგვისტოს ჩყკე უმაღლესნი უქაზნი გვ. 1-2, სვ. სვ. 2-1. შინაგანი ცნობანი. ო. ვ. გვ. 2, სვ. 1-2. სამხღვარ გარეთნი ამბავნი. ხ. პ. (შემდგომად მისსა დამორჩილებულ არიან ციხენი ახალქალაქი, ხერტვსი, ახალციხე, აწყვერი, არდაღანი და ბაიაზეთი) გვ. 2, სვ. 2. სამკედრო დღესასწაული. წერილიდგან პ. ხ...ხკისა (დასრულება შემდგომ) გვ. 2-4, სვ. 2, 1-2, 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა სეკდემბრის კვ(26)-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს სეკდემბრის კვ(26)-სა ჩყკე (1828)-სა წელსა.

№ იდ [№ 14], ოთხშაბათს სეკდემბრის გ(3)-სა ჩყკე (1828) წელსა [უნდა იყოს ოქტომბრის 3-სა]. შინაარსი: შინაგანნი ამბავნი. ცნობანი მოქმედის კორპუსიდგან. დაწვილებითი აღწერა გარშემრდგომისა და აღებისათჳს ახალციხისა გვ. 1-4. დასრულება წერილიდგან სან...კისა გვ. 4, სვ. 2. ფულის კურსი ტფილისსა შინა სეკდემბრის [ოქტომბრის] გ-ს. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს სეკდემბრის [ოქტომბრის] გ-სა ჩყკე-სა წელსა.

№ იე [15], ოთხშაბათს სეკდემბრის [ოქტომბრის] ი(10)-სა ჩყკე (1828) წელსა. შინაარსი: უმაღლესნი ბრძანებანი (განყოფილის კავკასიის კორპუსისა გამო); უმაღლესი ბრძანება გვ. 1, სვ. 1. შინაგანი ამბავნი (ოდ. ვ.) გვ. 1-2, სვ. 2-1. სამხღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი. ხ. პ. გვ. 2, სვ. 1-2. ვაჭრობა ტფილისის იარმარკის გახსნისათჳს გვ. 2-3, სვ. 2-1-2 (დასრულება შემდგომად). გამოცხადება—ეს ვრცელი „გამოცხადება", რედაქციის მიერ, მოუწოდებს ხელის მომწერთ მომავალი წლის „ტფილისის უწყებანი"-ს პროგრამას თუ რა საკითხებს გააშუქებს „ტფ. უწ." თავის ფურცლებზე, ხელის მოწერის პირობები და სხვა გვ. 4, სვ. 2-1-2. ფულის კურსი სეკდემბრის [ოქტომბრის] ი-ს. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს სეკდემბრის [ოქტომბრის] ი-სა ჩყკე-სა წელსა.

მე-№ 16 ჩვენთან არ არის და ამისათვის მისი აღწერა მე არ მომიხდა. ა. ა.

№ იზ [№ 17], ოთხშაბათს ოკდომბრის კდ(24)-სა ჩყკე (1828) წელსა. შინაარსი: უმაღლესნი პრიკაზნი (ოტდელნის კავკასის კორპუსისა გამო) გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ამბავნი ტფილისს ოკდომბრის კვ(23)-სა გვ. 1, სვ. 2. გვ. 2, სვ. 1. სამხღვარ გარეთნი ახალნ ამბავნი გვ. 2, სვ. 2. სხვა და სხვანი ამბავნი გვ. 2, სვ. 2. ახალციხის მეჩითი და ბიბლიოტეკა პ. სან...კის ზაპისკებიდგან (დასრუ-

ლება)[1] გვ. 2-4, სვ. 2-1-2, 1-2 (დასრულება შემდგომად). ფულის კურსი ტფილისსა შინა ოქტომბრის კდ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს ოქტომბრის კდ-სა ჩყკე წელსა.

№ იჱ [№ 18], ოთხშაბათს ოქტომბრის ლა (31)-სა ჩყკე წელსა. **შინაარსი:** უმაღლესი ბრძანებანი (განყოფილის კავკასიის კორპუსისა გამო); უმაღლესი ბრძანება გვ. 1, სვ. 1. შინაგანნი ცნობანი ტფილისს ლ(30)-სა ოქტომბერს. **ს. პ.** გვ. 1-2, სვ. 1-2, 1-?. სამზღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი. **ს. პჩ.** გვ. 2, სვ. 2. ვაჭრობა ნიჟეგოროდს იარმარკისათჳს ჩყკე (1828) წელსა (კ. ღ.) გვ. 2-3, სვ- 2-1. აწინდელი დროჲს ისტორია. გადაშჭრება არტილერიის პოლკოვნიკის კოცჯარევისა პირისპირ ყუბან გაღმის მტაცებელთ ერისა ჩყკდ ('824)-სა წელსა (განგრძელება შემდგომად) გვ. 3-4, სვ. 1-2-1-2. ახალციხის მჴრითი და ბიბლიოთეკა **პ. ს.**—კის წერილებიდგან (დასრულება) გვ. 4, სვ. 2. ფულის კურსი ოქტომბრის ლა-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს ოქტომბრის ლა-სა ჩყკე-სა წელსა.

№ ით [№ 19], ოთხშაბათს ნოემბრის ზ(7)-სა ჩყკე (1828) წელსა. **შინაარსი:** უმაღლესნი ბრძანებანი (განყოფილის კავკასიის კორპუსსა ზედა) გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ცნობანი. ტფილისს, ნოემბრის ვ(6)-სა გვ. 1-2, სვ. 2-1. სამზღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 3, სვ. 1-2 (აქ სხჳა ცნობებთან ერთად იტყობინებიან—„თავრიჱს იჱ(17)-ს ოქტომბრის ამ დღეებში ჭალაქსა ამას შინა მოვიდა რუსეთის სრული ღონის მეჭონე მინისტრი სპარსეთის კარზედ სტატსკი სოვეტნიკი ღრიბოედოვი). აწინდელის დროჲს ისტორია. გალაშქრება არტილერიის პოლკოვნიკის კოცარევისა პირისპირ ყუბანს გაღმის მტაცებელთ ერისა ჩყკდ(1824)-სა წელსა (გაგრძელება) გვ. 3-4, სვ. 2-1-2 (გაგრძელება შემდგომად). ფულის კურსი ნოემბრის ზ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს ნოემბრის ზ-სა ჩყკე წელსა.

---

[1] როგორც უკვე აღვნიშნე ჩემს მიერ აღწერილ „ტფ. უწყ" მე-16 ნომერი აკლია და სწორედ ეს წერილი იჭყება იმ ბსენებულ ნომერში და გრძელდება მე-17-18 ნომრებში. ეს წერილი რუსულიდგან არის ნათარგმნი და მისი ორიგინალი მთლიანად არის დაბეჭდილი „Inф. Вед."-ის მე-16 ნომერში. წერილის მთლიანი შინაარსი აგებულია მეჩვთის აღწერაზე და კრძოდ კი იმ ბიბლიოთეკის მიმართ, რომელიც ძოთავსებული ყოფილა მეჩვთის „ლიცეის" მოსწავლეთათვის მეჩვთი და ბიბლიოთეკა ჰ.ეთნებია ა.მედ-ფაშას. ბიბლიოთეკაში ყოფილა 6000-დე ხელნაწერი და დაბეჭდილი წიგნები, რომელთაგან 300 ცალი ამოურჩევიათ და გამოუგზავნიათ იმპერატორის ბიბლ-ში ს.-პეტერბურგში. ბიბლიოთეკა მთლიანად არაბულ და სპარსულ ენაზე ყოფილა და მეტწილ ლიტ. ძეგლებს ავ: **ტორი მიაწერს V და უფრო წინა საუკუნეებს.** ა. ა.

კ [№№ 20], ოთხშაბათს ნოემბრის იდ-(14)-სა ჩყკც წელსა. **შინაარსი:** უმაღლესი ღრამატა წყალობითა ღუთისათა ჩვენ ნიკოლოოზ პირველი იმპერატორი სრულიად რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა ნამდვილსა ზედა კელმოწერილ არს საკუთრითა მისის იმპერატორებითის დიდებულის კელითა: ნიკოლოოზ, ვარნის ნავთსაყუდებელსა შინა ხომალდსა ზედა პარიჟსა სეკდებრის კბ-სა დღესა ჩყკც-სა წელსა გვ. 1, სვ. 1-2. უმაღლესნი ბრძანებანი (განყოფილის კავკასიის კორპუსისა გამო) გვ. 1-2, სვ. 2-1. შინაგანი ცნობანი. ტფილისი, იდ-ს ნოემბერს. **სევ. პჩ.** გვ. 2-3, სვ. 1-2-1. სამზღვარ გარეთნი ახალნი ამბავნი. **სევ. პჩ.** გვ. 3, სვ. 1. აწინდელის დროჲს ისტორია—პოხოდები არტილლერიის პოლკოვნიკ კოცარევისა პირის პირ ყუბანს გაღმის მტაცებელ ხალხისა ჩყკდ(1824)-სა წელსა (გაგრძელება) გვ. 3-4, სვ. 1-2, 1-2, (გაგრძელება შემდგომად). ფულის კურსი ტფილისსა შინა ნოემბრის იდ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს ნოემბრის იდ-სა ჩყკც წელსა.

№ კა [№ 21], ოთხშაბათს ნოემბრის კა(21)-სა ჩყკც (1828) წელსა. **შინაარსი:** უმაღლესი მანიფესტი წყალობითა ღუთისათა ჩვენ ნიკოლოზ პირველი იმპერატორი და თჳთ მპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა ნამდჳლსა ზედა საკუთრითა მისის იმპერატორებითის დიდებულის კელითა მოწერილ არს ესრეთ: ნიკოლოოზ, გვ. 1, სვ. 1-2. უმაღლესი ბრძანებანი (განყოფილის კავკასიის კორპუსისა გამო) გვ. 1-2, სვ. 2-1-2. შინაგანი ცნობანი ტფილისი კ(20)-ს ნოემბერს; ხელს მოაწერს: **ლეიბ-მედიკი იოანე რიული, ლეიბ-მედიკი ვ. კრეიტონი და დოკტორი კლიუმი** გვ. 2-3, სვ. 2-1. აწინდელი დროჲს ისტორია—პოხოდები არტილლერიის პოლკოვნიკის კოცარევისა პირის პირ ყუბანს გაღმის მტაცებელთ ხალხისა ჩყკდ(1824)-სა წელსა (გაგრძელება) გვ. 3-4, სვ. 1-2, 1-2 (გაგრძელება შემდგომად). ფულის კურსი ტფილისსა შინა კა-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს ნოემბრის კა-სა ჩყკც-სა წელსა.

№ კბ [№ 23], ოთხშაბათს ნოემბრის კც(28)-სა ჩყკც (1828) წელსა. **შინაარსი:** უმაღლესნი ბრძანებანი. ბრძანებანი (განყოფილის კავკასიის კორპუსისა გამო) გვ. 1-2, სვ. 1-2, 1. შინაგანნი ცნობანი ტფილისი, კზ(27)-ს ნოემბერს. ცნობანი მოქმედთა მკედრობათათჳს განყოფილის კავკასიის კორპუსისათა გვ. 2-3, სვ. 1-2, 1-2. აწინდელი დროჲს ისტორია—პოხოდები არტილლერიის პოლკოვნიკის კოცარევისა პირის პირ ყუბანს გაღმის მტაცებელთ ხალხისა ჩყკდ(1824)-სა წელსა (გაგრძელება) გვ. 3-4, სვ. 2—1-2; (გაგრძელება შემდგო-

მად). განცხადება გვ. 4, სვ. 2 (ამ განცხადებაში რედაქცია ნაწილობრივ იმეორებს იე(15)-ს ნომერში მოთავსებულ განცხადების შინაარს იმის შესახებ, თუ მომავალ წელს რა ელირება „ტფილისის უწყებანი“. ფულის კურსი ტფილისსა შინა ნოემბრის კბ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს ნოემბრის კბ-სა ჩყკბ წელსა.

ტფილისის უწყებანი 1829 წ.

გამოდიან[1] წლის ფასი[1]

რუსულ ენაზედ, ხუთშაბათობით; ქართულს ენაზედ, ორშაბათობით; ხოლო ფარსიულად ოთხშაბათობით.

ყოველსა გამოცემასა ზედა ა.ითო ზედ კავკასიის აქეთ კერძო 6 მან. თეთ. ფულ. კავკასიის იქით კერძო 30 მან. ასს.

№ 1. ორშაბათს იანვრის ზ(7)-სა ჩყკთ(1829)-სა წელსა. **შინაარსი:** შინაგანნი ცნობანი. ტფილისს გ-ს იანვარს. ხ. ბ. გვ. 1, სვ. 1. სამხღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი. ხ. ბ. გვ. 1, სვ. 1-2. ზნეობანი. ახალი წელიწადი ტფილისსა შინა ბ. ხ...ვხკი. გვ. 2-4, სვ. 1-2, 1-2, 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა იანვრის ზ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს იანვრის ზ-სა ჩყკთ(1829)-ს წელსა.

№ 2. ორშაბათს იანვრის იდ[14]-ს ჩყკთ[1829] ს წელსა. **შინაარსი:** შინაგანნი ცნობანი ტფილისს იანვრის ი(10)-სა. ხ. ბ. გვ. 1-2, სვ. 1-2-1. სამძღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი. ხ. ბ. გვ. 2, სვ. 1-2. გარე მიქცევანი სეტყვისაგან წინათ დამცველნი გვ. 2-3, სვ. 2-1-2. ხარაკტერისტიკა რუსის მკედართა, სამკედრონი ანეკდოტნი გვ. 3-4, სვ. 2, 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა იანვრის იდ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს იანვრის იდ-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 3. ორშაბათს იანვრის კა(21)-სა ჩყკთ(1829)-სა წელსა. **შინაარსი:** უმაღლესნი ბრძანებანი (ქართველის აზნაურობისათჳს, რომელნიცა იმყოფებიან რუსეთის სამსახურსა შინა) გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ცნობანი. ტფილისს. ხ. ბ. გვ. 1, სვ. 2. სამძღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 1-2, სვ. 2-1. რაღმე რუსთაველისათჳს[2] ლ.

---

[1] ასეთი წარწერა აქვს 1829 წლის „ტფილისის უწყებანი“-ს ყველა ნომრებს და მართლდება ის განცხადება, რომელიც რედაქციის მიერ იყო გამოცხადებული 1828 წლის 15-სა და 22 ნოემბერში. ა. ა.

[2] შენიშვნაში ნათქვამია: „მცკლი ესე დაწერილ არს როსიულსა ენასა ზედა ერთისა ახალგაზრდა კაცისა მიერ, რომელიცა ჯერეთ ჰსდგას ხლრუბლსა ზედა სწავლისა და ქცეულისასა, მას ზედა იყო მოკვეთება მასწაელებლისა, და განეახალისებ მე, რათა ჰსთარგმნოს მცკლი ესე ბენებითსა ენასაცა ზედა მისსა, რომელიცა გარემოვე ხლრჩდე განსახიერებელთა მხედველობათაგან სახოგადოობისათა“; შემდგომად ნათქვამია, რომ ამგვარ მაგალითს სხვებმაც მიაქციონ სათანადო ყურადღება, რათა „აღვსთქნ სიტყლი ჩვენიერებისა“. ა. ა.

ა.—ლ. გვ. 2-3, სვ. 1-2, 1-2. ხარაკტერისტიკა რუსის მეედართა. სამეედრონი ანეგდოტნი (დასრულება) გვ. 4, სვ. 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა იანვრის კა-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს იანვრის კა-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 4. ორშაბათს იანვრის კც(28)-სა ჩყკთ(1829)-სა წელსა. შინაარსი: უმაღლესნი ღრამატანი. წყალობითა ღვთისათა ჩუენ ნიკოლოზ პირუელი იმპერატორი და თჳთ მპყრობელი ყოველისა რუსეთისა და სხუათა და სხუათა და სხუათა. §§ ა და ბ ხელის მოწერა: ნიკოლოზ. სანკტპეტერბურღსა შინა გ(3)-სა დეკემბერს, ჩყკც (1828) წელსა. გვ. 1, სვ. 1-2. უმაღლესი ბრძანება გვ. 1, სვ. 2. შინაგანნი ცნობანნი. ხ. ბ. გვ. 1-2, სვ. 2-1-2. [სახელმწიფო საფინანსო-საბაჟო საკითხი] კ. ღ. გვ. 2, სვ. 2. სამძღვარს გარეთნი ახალნი ამბავი. ხ. ბ. გვ. 2-4, სვ. 2, 1-2-1. აღმკობილნი კელოვნებანი. [შეკრება სურათთა რომელნიცა გამოჰხატვენ უმთავრესთა შემთხვეულებათა უკანასკნელის ომისათა სპარსთა თანავ, აკადემიკი მაშკოვის ლიტოგრაფიული გამოცემით, რომელიც იმყოფება აქ] გვ. 4, სვ. 1-2 (გაგრძელება შემდგომად). ფულის კურსი ტფილისსა შინა იანვრის კც-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს იანვრის კც-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 5. ორშაბათს თებერვლის დ(4)-სა ჩყკთ(1829)-სა წელსა. შინაარსი: უმაღლესნი ბრძანებანი (საქართველოს აზნაურობისათჳს, რომელნიცა ჰმსახურებენ რუსეთის მეედრობასა შინა) გვ. 1, სვ. 1. შინაგანნი ამბავნი. ტფილისს ლა(31)-სა იანვარსა. (ხ. ბ.) გვ. 1-3, სვ. 1-2, 1-2, 1. სამძღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი. გვ. 3, სვ. 1-2. ამკობილნი კელოვნებანი (დასრულება). გვ. 4, სვ. 1-2. აღნარეევანეკდოტი. ნ. მ—ვ. გვ. 4, სვ. 2. ფულის კურსი ტფილისსა შინა თებერჩლის დ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს თებერვლის დ-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 6. ორშაბათს თებერვლის ია(11)-სა ჩყკთ(1829)-სა წელსა. შინაარსი: უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ცნობანი ტფილისს, ზ. 7)-სა თებერვალს (ო. ვ.) გვ. 1-2, სვ. 2-1. სამძღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი ხ. ბ. გვ. 2-3, სვ. 1, 1-2. ჩუენი დროჲს ისტორია. სახე ოსმალოს ბრძოლისა ჩყკც წელსა (მიწერილი მეგობართაჲ სამძღვარს იქით) გვ. 3-4, სვ. 2-1-2 (გაგრძელება შემდგომად). ფულის კურსი ტფილისსა შინა თებერვლის ია-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს თებერვლის ია-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 7. ორშაბათს, თებერვლის იც(18)-სა ჩყკთ(1829)-სა წელსა. შინაარსი: უმაღლესი ბრძანებანი (საქართველოს აზნაურობისათჳს, რომელნიცა მსახურობენ რუსეთის მეედრობასა შინა) გვ. 1, სვ. 1.

შინაგანნი ცნობანი ტფილისს იდ(14)-ს თებერვალს (ს. ჰ.) გვ. 1-2, სვ. 1-2-1. ცნობანი მოქმედის არმიიდგან გვ. 2, სვ. 1. სამძღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 2, სვ. 1-2. ჩუქენი დროჲს ისტორია. სახე ოსმალოს ბრძოლისა ჩყკც წელსა (მიწერილი მეგობართან სამძღვარს იქით) გაგრძელება გვ. 2-4, სვ. 2-1-2-1-2 (გაგრძელება შემდგომად). ფულის კურსი ტფილისსა შინა თებერვლის იც-სა დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს თებერვლის იც-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 8. ორშაბათს, თებერვლის **ეკ**[კე-25]-სა ჩყკთ-ს (1829) წელსა. **შინაარსი:** შინაგანი ცნობანი გვ. 1, სვ. 1. სამძღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 1-2, სვ. 1-2-1. ჩუქენის დროჲს ისტორია. სახე ოსმალოს ბრძოლისა ჩყკც წელსა (მიწერილი მეგობართან სამძღვარს იქით), (გაგრძელება), (გაგრძელება შემდგომად) გვ. 2-4, სვ. 1-2, 1-2, 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა თებერვლია კე-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს თებერვლის კე-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 9. ორშაბათს, მარტის დ-(4)-ს ჩყკთ(1829)-სა წელსა **შინაარსი:** უმაღლესნი ბრძანებანი (განყოფილის კავკასიის კორპუსსა ზედა) გვ. 1, სვ. 1. უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ამბავნი. ტფილისს, მარტის ზ-(7)-სა. გვ. 1-2, სვ. 2-1. ჩუქენი დროჲს ისტორია. სახე ოსმალოს ბრძოლისა ჩყკც წელსა (მიწერილი მეგობართან სამძღვარს იქით), (გაგრძელება), (დასრულება შემდგომად) გვ. 2-4, სვ. 1-2, 1-2, 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა მარტის დ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს მარტის დ-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 10. ორშაბათს მარტის ია(11)-ს ჩყკთ(1829)-სა წელსა. **შინაარსი:** უმაღლესნი ბრძანებანი (ქართველის აზნაურობისათჳს, რომელნიცა იმყოფებიან რუსეთის მკედრობასა შინა) გვ. 1, სვ. 1. უმაღლესნი უქაზნი გვ. 1-2, სვ. 1-2, 1. შინაგანნი ამბავნი ტფილისს იდ(14)-ს მარტსა. გვ. 2, სვ. 1-2. სამძღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 2, სვ. 2. ჩუქენი დროჲს ისტორია. სახე ოსმალოს ბრძოლისა ჩყკც წელსა (მიწერილი მეგობართან სამძღვარს იქით), დასრულება) **ფ. ბ.** გვ. 2-3, სვ. 2-1. მოგზაურობანი. ჩამჩა სუკუნეთის წყაროჲსა. (წერილთაგან **პ. ს—სკისა**) გვ. 3, სვ. 1-2. აღნარევი. უკრძალველი მონადირე გვ. 3-4, სვ. 2-1. განცხადება გვ. 4, სვ. 1-2. ფულის კურსი ტფილისსა შინა მარტის ია-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს მარტის ია-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 11. ორშაბათს, მარტის იც(18)-სა ჩყკთ(1829)-სა წელსა. **შინაარსი:** უმაღლესი ღრამატა. წყალობითა ღუთისათა ჩუქენ ნიკოლოზ პირველმან იმპერატორმა და თჳთ მპყრობელმან ყოვლისა

რუსეთისამან და სხუათა და სხუათა და სხუათა. ჩუცნს ჩვენს ღენერალ-ლეიტენანტს მეგრელის მთავარს თავადს დადიანს. ს. პეტერბურგს ივ ს თებერვალს, ჩყკთ წელსა. ნამდჳლ ზედა კელმოწერილ არს საკუთრითა მისის იმპერატორებითის დიდებულების კელითა: ნიკოლოზ. გვ. 1, სვ. 1. უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ამბავნი. ტფილისს ზ-(7)-ს მარტსა. წვლილიადი აღწერა ახალციხის გარშემოდგომისა და მოგერებისა, კ(20)-ის თებერვლიდგან დ(4)-ს მარტამდე ჩყკთ(1829)-ს. ხ. პ. გვ. 1-4, სვ. ?, 1-2, 1-2, 1-2. განცხადება. გვ. 4, სვ. 2. ფულის კურსი ტფილისსა შინა მარტის იც-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს მარტის იც-სა ჩყკთ-ს წელსა.

№ 12[1]. ორშაბათს აპრილის ღ(3)-ს ჩყკთ(1829)-სა წელსა. შინაარსი: უმაღლესნი უქაზნი გვ. 1, სვ. 1-2. შინაგანნი ამბავნი ტფილისს კთ (29) მარტს გვ. 1-2, სვ. 2-1. სამზღვარს გარეთნი ახალნი ამბავნი გვ. 2, სვ. 1-2. ზნეობანი. ნუშის ხეები (წერილითაგან პ. ს...ვსკისა) გვ. 2-4, სვ. 2, 1-2, 1-2. სხუა და სხუანი ცნობანი გვ. 4, სვ. 2. ფულის კურსი ტფილისსა შინა აპრილის უ-სა. დაიბეჭდა ბრძანებითა ტფილისს აპრილის უ-სა ჩყკთ-ს წელსა.

განცხადება კავკასიის მხარეზე № ა [№ 1].

შინაარსი: გუმრიდამ ოსმალოს სამზღვარზედ ივნისის, იდ [14]—ამბავი მოქმედებაში მყოფის კავკასიის კორპუსისა.

დაიბეჭდა ბრძანებითა მთავრობისათა: ტფილისს ივნისს კბ [22], ჩყკც[1828]-სა წელსა.

პირველი გვერდი რუსული ტექსტია და დაბეჭდილია 20 ივნისის თარიღით, ხოლო მეორე გვერდი ქართულად რუსულის თარგმანია და დაბეჭდილია ორი დღის შემდეგ. ეს ერთი ფურცელი,

---

[1] როგორც №-10 და №-11 ნომრებში მოთავსებული განცხადებიდან ირკვევა ქართულ ენაზე „ტფილისის უწყებანი"-ს ხელის მომწერნი მეტად მცირე ყოფილან და ალბად ამიტომ გახეთის გამოსვლა ამ №-12 ნომრით მთავრდება 1829 წელს. მაგრამ საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ საწინააღმდეგო მოვლენა. რასაც გვატყობინებს რუსულ ენაზე გამოცემული „Тиф. ведомости"—როგორც 1829 წლის ყველა თორმეტ ნომრების „ტფილისის უწყებანი"-ს თავწარწერაზედ ვკითხულობთ, გამოდიან (ტფილისის უწყებანი) რუსულ ენაზედ ხუთშაბათობით, ქართულ ენაზედ ორშაბათობით, ხოლო ფარსიულად ოთხშაბათობით". ამასვე ვკითხულობთ რუსულ ენაზე გამოცემულ ყველა ნომრების თავწარწერაზე (რუსულ ენაზე 1829 წ. „გამოვიდან სულ 52 ნომერი „Тиф. ведомости"), რომელიც მთავრდება 27 დეკემბრით 1829 წ. რადგანაც de visu 1829 წ. 12 ნომრის მეტი ჩვენ არ მოგვეპოება, ამიტომ ჯერჯერობით მეტის თქმა ჩვენ არ შეგვიძლია. ა. ა.

რომელიც თავისი მოცულობით „ტფილისის უწყებანი-ს ტოლია (35,5×23) შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი პიონერია „Тиф. Вед.“-სა და „ტფილისის უწყებანისა“, რადგანაც ხსენებული განცხადება დათარიღებულია 20-22 ივნისით, ხოლო „ტფილ. უწყ.“ და „Тиф. Вед.“ კი იწყეს გამოსვლა 4 ივლისიდან და არა „4 ივნისიდან“, როგორც ეს შეცდომით არის აღნიშნული ხსენებულ გაზეთების პირველ ნომრებზე.

ტროფიმე ხუნდაძე

ცარიზმის პოლიტიკისათვის ბიბლიოთეკების მიმართ საქართველოში

მეფის მთავრობა ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, რათა სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებანი — ბიბლიოთეკა-სამკითხველონი, საკვირაო სკოლები, საჯარო ლექციები და კითხვა არ გამხდარიყვნენ ხალხის ჰეშმარიტ განათლების კერად და რევოლუციურ და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ხელშემწყობად. მეფის მოხელეები სახალხო განათლების დაწესებულებებს თითქმის მე-19-20 საუკუნეების მანძილზე არასოდეს არ სტოვებდნენ უყურადღებოდ და კანონმდებლობითა თუ უშუალო მონაწილეობა-ხელმძღვანელობით ცდილობდნენ ისინი ხალხის განათლების საშუალებად კი არა, დაბნელებისა და მორჩილების ორგანოებად გადაექციათ, რომ ამით თვითმპყრობელობას ხალხზე ბატონობა გაადვილებოდა.

რუსეთში ბიბლიოთეკების ქსელის ზრდა მე-19 ს-ის 30-იან წლებიდან იწყება, მას შემდეგ, რაც 1830 წელს თავისუფალი-ეკონომიური საზოგადოების თავმჯდომარემ მორდვინოვმა აღძრა საკითხი საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის გაშლის შესახებ პროვინციებში.

ბიბლიოთეკები, რომელნიც ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდნენ, 1832 წლიდან ვიდრე 1867 წლამდის სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობაში გადააქვთ [1]. 1867 წლის 12 ივლისის მეფის ბრძანებაში ნათქვამია: რუსეთის იმპერიის ქალაქებში არსებული ყველა საქალაქო და საჯარო ბიბლიოთეკები ჩამოერთვას სახ. განათლების სამინისტროს უწყებას და დაექვემდებაროს შინაგ. საქმ. სამინისტროს... საჯარო ბიბლიოთეკების სარგებლობა ფასიანია" [2]. ბიბლიოთეკების 1867 წლიდან შინაგან საქ-

[1] იხ. საქ. ც. არქ. ფ. 16, საქ. № 4264, ფ. 81.

[2] იხ. Фальборк и Чарнолусский. „Внешкольное образование", 1905 წ., გვ. 70-71.

მეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარება გამოწვეული იყო კარაკოზოვის ცნობილი გასროლის შედეგად რეაქციის გაძლიერებით, რომელსაც მთავრობამ ყურადღება გაამახვილა განსაკუთრებით განათლების საქმეზე და საგანმანათლებლო დაწესებულებებზე; ამ წლიდან ცენზურა და მასთან ერთად ბიბლიოთეკებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმორჩილეს.

60-იან წლების რეფორმებთან დაკავშირებით რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, შემდეგ სოფლებშიც, იხსნება უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები—„სახალხოდ" წოდებული. ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს 60-იან წლებში საზოგადოებანი და ახლად დაარსებული ერობანი ხელმძღვანელობდნენ, რაც არ იყო სასურველი მთავრობისათვის მისი რეაქციონური კურსის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

1873 წლის 27 თებერვლის მეფის ბრძანებაში ნათქვამია: „...Я полагал бы учреждение народных читален предоставить исключительно инициативе и ведению Мин. Нар. Просвещения, с устранением от этого дела влияния посторонних обществ и лиц".

90-იან წლებში რუსეთში სამი ტიპის უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები არსებობს: 1. შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში არსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, 2. განათლების სამინისტროს უწყებაში არსებული ბიბლიოთეკები და 3. სასულიერო უწყების ბიბლიოთეკა-სამკითხველოები.

პირველი ტიპის ბიბლიოთეკები 1890 წლის 15 მაისს გამოცემული წესდებას ემორჩილებოდა. ასეთ ბიბლიოთეკებიდან შეიძლებოდა წიგნის შინ წაღება, ან იქვე წაკითხვა. უპირატესობა წიგნის შინ წაღებას ეძლეოდა; მთავრობა შესაძლებელ შემთხვევაში ერიდებოდა მკითხველთა ერთ ადგილას თავმოყრას. აღნიშნული წესდებით გახსნილ ბიბლიოთეკა-სამკითხველოში არა ყველა იმ წიგნის დაშვება იყო ნებადართული, რაც ფასიან საჯარო ბიბლიოთეკაში, არამედ მხოლოდ სახ. განათლების სამინისტროსთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს მიერ ამისათვის ნებადართულთა [3].

უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა შეეძლო ყველა საზოგადოებრივ თუ წოდებრივ ორგანიზაციას, საქველმოქმედო საზოგადოებათ, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთ, კერძო პირსა თუ პირებს [4].

---

[3] იხ. ფალბორკის დასახელებული წიგნი, გვ. 74.

[4] იხ. ფალბორკი, გვ. 72.

უახლოესი ზედამხედველობა უფასო სახალხო სამკითხველოებზე ეკისრებოდა ერთს ან რამდენიმე პირს სასწავლო თუ სასულიერო უწყებიდან, სამოქალაქო უფროსის შეთანხმებით სასწავლო ოლქის უფროსთან და ეპარქიის არქიელთან [5].

1888 წლის 12 თებერვლის უმაღლესი ბრძანებაში ნათქვამი იყო: „Допускать в бесплатных народных читальнях только книги и периодические издания, одобренные особым отделом Ученого Комитета М. Нар. Пр-ия... Выс. соизволил возложить пересмотр каталогов как ныне существующих, так и имеющих возникнуть впредь бесплатных читален на особый отдел Ученого Комитета М. Нар. Пр.“ [6].

რა თქმა უნდა, სამკითხველოში აკრძალული იყო სხვა წიგნებისა და გამოცემების ხმარება, გარდა სიებში აღნიშნულისა. ასეთი „მზრუნველობის“ შედეგად სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების საშუალებით მკითხველამდის არსებული წიგნების მხოლოდ 10% აღწევდა, ისიც ზნეობრივ-სარწმუნოებრივი და პატრიოტული შინაარსისა [7].

ამგვარად „გაცხრილული წიგნების“ მიწოდება ხალხისათვის არ დარჩა აღუნიშნავი ლენინს. 1913 წელს დაწერილ ერთ წერილში ის ეხება იმ ზომებს, რასაც ევროპასა და ამერიკაში მიმართავენ ხალხისათვის წიგნის მისაწოდებლად, და ირონიით შენიშნავს: „...Какая профанация библиотечного дела! Какое отсутствие „порядка“, коим справедливо можем гордиться мы. Вместо правил, обсуждаемых и вырабатываемых десятком чиновничьих комиссий, изобретающих сотни формальностей и ограничений для пользования книгами, устремлять внимание на то, чтобы даже дети могли пользоваться богатыми коллекциями книг“ [8].

სკოლებთან დაარსებული ბიბლიოთეკები სასწავლო უწყებას ექვემდებარებოდა. აქედან წიგნებით სარგებლობა, მხოლოდ შინ წასაკითხავად, გარეშე პირებსაც შეეძლოთ. ამ ბიბლიოთეკებში იგივე წიგნები იყო ნებადართული, რაც უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში.

---

[5] იქვე, გვ. 76.

[6] იქვე, გვ. 74.

[7] იხ. პროფ. მედინსკი, Энциклопедия внешкольного образования), ტ. 2. გვ. 66.

[8] ლენინი, ტ 16 გვ 529.

მესამე ტიპი ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა სასულიერო უწყებას ექვემდებარებოდა. ის სრულიად დამოუკიდებელი იყო როგორც საგუბერნიო ადმინისტრაციისაგან, ისე განათლების უწყებისაგან. ასეთი ბიბლიოთეკების კატალოგების შესახებ არავითარი დადგენილება არ არსებობდა, და ეპარქიის უფროსისა და მეთვალყურე მღვდლისაგან იყო დამოკიდებული მისთვის წიგნების შერჩევა [9].

ჩვენში, საქართველოში, ამ ტიპის წიგნთსაცავად უნდა ჩაითვალოს ის, რომელიც ბლაღოჩინიე ბარხაბიშვილის ინიციატივით და ეგზარხოსის პალადის ხებართვით გახსნილა სოფ. კავთისხევში 1889 წლის 1 იანვრიდან, ამ სამლაღოჩინოს ეკლესიების კრებულის დახმარებით „ამ წიგნთსაცავში იქნება ყოველგვარი ქართული წიგნები; რომელნიც კი თავიანთი შინაარსით არ ეწინააღმდეგებიან როგორც ჩვენს სამოქალაქო წესწყობილებას, ისე სჯულსა და ქრისტიანულს ზნეობას... ამ წიგნთსაცავიდან წიგნების წაღება შეუძლიათ მხოლოდ კავთისხევის სამლაღოჩინო ოლქის მცხოვრებთ", როგორც წესდებიდან ჩანს, ბიბლიოთეკა უფასო იყო და მასთან სამკითხველო მოწყობილი არ ყოფილა [10].

—

კერძო ბიბლიოთეკა თბილისში ჯერ კიდევ 1930 წლის ივნისში გაუხსნიათ, როგორც ეს დასტურდება „თბილისის უწყებებში" მოთავსებულ განცხადებიდან. ბიბლიოთეკის დამაარსებელი, ვინმე ეკატერინე კოტოვა, ბიბლიოთეკის წესდების წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „...В Тифлисе, где столько военных и гражданских чиновников, получивших европейское образование, и где находятся также многие из природных жителей Закавказского края, коим уже не чужды понятия просвещенных народов, необходимость в книгах должна с каждым днем становиться ощутительнее. Желая доставить средство к удовлетворению такого требования, я решилась открыть здесь библиотеку для чтения"...

ბიბლიოთეკაში, დამაარსებელის განცხადებით, მოთავსებული იქნებოდა რუსულ ენაზე დაწერილი ორიგინალური და ნათარგმნი საუკეთესო ნაწარმოებები 1.575 სახელწოდებისა. წესდების წლიური ხელის მოწერა იხდიდნენ 13 მანეთს ვერცხლით, ნახევარი წლის

[9] იხ. ფალბორკის დასაბ. წიგნი, გვ. 73.

[10] იხ. ჟურნ. „მწყემსი", 1890 წ. № 17. გვ. 10-11.

ხელმომწერნი 8 მ., სამი თვით 5 მ., ხოლო ერთი თვით 2 მანეთს ვერცხლით. წესდებაში აღნიშნულია წიგნებით სარგებლობის პირობები. ხელმომწერლებს წიგნების კატალოგიც ურიგდებოდა. ბიბლიოთეკა ღია იქნებოდა კვირა-უქმეს გარდა ყოველ დღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

ხელმოწერა მიიღებოდა ბიბლიოთეკაში სახაზინო სახლში, პოლიციის მოედანზე, სინოდალური ჟონტორის პირდაპირ.

რედაქცია მადლობას უძღვნის ამ სასარგებლო დაწესებულების დამაარსებელს [11].

1830 წელს მთავრობას კოტოვას ბიბლიოთეკაში ათი სახელწოდების ისეთი წიგნი აღმოუჩენია, რომელნიც სასულიერო ცენზურაში გატარებულნი არ ყოფილან. ადმინისტრაციამ „მათ კონფისკაცია უყო, ზოგი კი პატრონშა მოასწრო უცნობ პირებზე გაეყიდა“ [12].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1830 წელს მორდვინოვი წინადადებას აძლევდა შინაგან საქმეთა მინისტრს—„Об изыскании средств к заведению по губерниям публичных библиотек для чтения, выходящих на русском языке книг“, რაც ხელს შეუწყობს სასარგებლო ცოდნის გავრცელებასა და სახალხო სიმდიდრის აღმავლობასო. მორდვინოვი სთხოვდა მინისტრს დაკავშირებოდნენ გუბერნატორები თავადაზნაურობას, ვაჭრებს, გიმნაზიის დირექტორებს და სხვა ამ საქმისათვის მოხალისე პირებს და გამოეძებნათ ბიბლიოთეკისათვის შესაფერი ბინა, შეემუშავებიათ ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობის წესი, აერჩიათ საგუბერნიო საჯარო ბიბლიოთეკის მზრუნველი და გამგე. ასეთი წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრისაგან საქართველოს გუბერნატორსაც მოუვიდა. ჯერ დაუარსებელ ბიბლიოთეკას თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება უგზავნიდა ყველა თავის გამოცემას; შინაგანი და ფინანსთა სამინისტროებიც თავიანთ პერიოდულ გამოცემებს მოაწვდიდნენ. ცნობილი მწერლები და ჟურნალისტები შჩეგლოვი, პოლევოი, პროფ. პოგოდინი, გრეჩი თავიანთ ჟურნალებსა და თხზულებებს პირდებოდნენ უფასოდ. სამოქალაქო გუბერნატორმა ზავილეისკიმ გუბერნიის თავადაზნაურთა და ოლქის უფროსთა მეშვეობით ხელისმოწერა გამართა; ადმინისტრაციამ ბიბლიოთეკისათვის ბინასაც დაუწყო ძებნა, მაგრამ თბილისის პოლიცმეისტერი

---

[11] იხ. „Тифлисские ведомости“, 1830 წ. № 50. გვ. 3-4.

[12] საქ. ც. არქ. ფ. 2, საქ. № 4281, ფ. 18-20.

მოახსენებდა სამოქალაქო გუბერნატორს 1831 წლის იანვარში: „Никто из здешних жителей, имеющих у себя выгодные дома, не из'явил желания отдать в наем дом для помещения учреждающейся в Тифлисе от правительства публичной библиотеки, равно не согласились уступить и без платы из любви к просвещению распространяемому правительством для блага здешнего народа“ [13].

შემოწირულებას საქმეც ცუდად მიდიოდა. დუშეთის პოლიციმეისტერი იწერებოდა: „...никто как из жителей, так и из чиновников, не заявил на сие согласия“, ხოლო დუშეთის მაზრის მემამულეებს უარი თანხების გაღებაზე იმით დაუსაბუთებიათ, რომ „მათ არ იციან რუსული ენა და წერა-კითხვაო“. გუბერნიის მარშალი ატყობინებდა გუბერნატორს 1832 წლის 3 ოქტომბერს: „по моему ведомству пожертвований на библиотеку никто не сделал“ [14].

პოლიციმეისტერის ცნობით თბილისის მოსახლეობასაც კი აჩაფერი გაუღია; სულ ამ მიზნისათვის ბეთელ გუბერნიაში 80 მან. ვერცხლით შეუგროვებიათ, უნდა ვიფიქროთ, ზოგი ადმინისტრატორის მტკიცე ზეგავლენის შედეგად.

როგორც სჩანს, ბიბლიოთეკების დაარსების საქმე არც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში წასულა კარგად, რასაც ამ საქმის ახალი ხელმძღვანელი, განათლების მინისტრი უვაროვი მოდებული ხოლერითა და მეამბოხე პოლონელებთან გამოწვეული ომით ამართლებდა, და 1834 წლის 25 იელისს სთხოვდა მთავარმართებელ როზენს განეახლებია ამ საქმისათვის ზრუნვა. დადებითი შედეგები არც ახალი გუბერნატორის ფალავანდიშვილის ღონისძიებებს მოჰყოლია.

მთავარმართებელი როზენი სწერდა განათლების მინისტრს: „...при незнании здешними жителями русского языка и при недостаточном состоянии грузинского дворянства, не представляется никакой возможности к приведению в настоящее время в исполнение предположения об учреждении в Тифлисе библиотеки для чтения на счет пожертвований“... [16].

ხოლო შეკრებილ თანხას „პრიკაზში“ რიცხავდა.

---

[13] საქ. ც. არქ. ფ. 16, საქ. № 4264, ფ. 23.

[14] იქვე, ფ. ფ. 34, 66.

[16] საქ. ც. არქ. ფ. 2, საქ. № 3233, ფ. 8.

მთავრობის განზრახვა დაეარსებია თბილისში 30-იან წლებში საჯარო ბიბლიოთეკა, ამრიგად, მარცხით დასრულდა.

ამის მთავარი მიზეზი, როგორც ამას ზოგი აღნიშნავდა, ის იყო, რომ ბიბლიოთეკა რუსული უნდა ყოფილიყო, რაც ქართველი საზოგადოებისათვის სრულიად უსარგებლო იქნებოდა.

ამ საქმის გაკეთება მეფის მოხელეებმა იკისრეს ქართველი მოწინავე საზოგადოების დაუხმარებლად, რაც მაშინდელ უავტორიტეტო ხელისუფლების პირობებში წარმატებით ვერ დასრულდებოდა.

მაგრამ ის, რაც მეფის ხელისუფლებამ 30-იან წლებში ვერ შესძლო, 40-იან წლების დასაწყისში ქართველი ინტელიგენციის მცირე ჯგუფმა მოახერხა.

ამ საქმის მეთაური ყოფილა ცნობილი დიმიტრი ყიფიანი, რომელიც თავის მემუარებში წერს: „აქ მექნება ლაპარაკი პირველ ბიბლიოთეკაზე, რომელიც თბილისში მხოლოდ 40-იან წლების დასაწყისში დაარსდა. ეს რასაკვირველია, ძალიან დაგვიანებულ მოვლენად ჩაითვლება, თუ გავიხსენებთ იმას, რომ თბილისი ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან საქართველოს სამეფოს სატახტო ქალაქი იყო, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისიდან მთელი ამიერ-კავკასიის მართველობის უმთავრესი ქალაქია... რა რომ მივიღე იქის მხრივ (გოლოვინის), როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სრული თანხმობა, მეორე შემთხვევის დროს წარეუდგინე მას „თბილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედ: „ვამტკიცებ გოლოვინი“, აღარ დაგვიყოვნებია ჩვენი სურვილის განხორციელებას შევდგომოდით“. დ. ყიფიანი ასახელებს ბიბლიოთეკის დამაარსებელთ: დიმ. ყიფიანი, ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდოვი, ვახტანგ ორბელიანი (პოეტი), ელიზბარ ერისთავი, ზაქარია ორბელიანი, კონსტანტინე დადიანი, ალექ. ონიკოვი, ლევან მელიქოვი, ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, თევდორე კოცებუ, ზნაჩკო-იავორსკი, ნიკ. ბეზაკი. კონსტ. ორლოვსკი, მიხ. თუმანიშვილი, დიმ. ჯორჯაძე, დავით არზანოვი, სერგეი ვასილკოვსკი, დავით ჭავჭავაძე, გრ. დიმ.-ძე ორბელიანი და ივანე ორბელიანი.

„აქვე მოგვყავს, წერს დ. ყიფიანი, 1842 წელს გენ. გოლოვინის მიერ დამტკიცებული წესები, „...მაგრამ მემუარებში ბიბლიოთეკის წესები მოყვანილი არ არის. „მემუარების“ რედაქტორი, სიძონ ხუნდაძე შენიშვნაში აღნიშნავს: „აღნიშნული წესდება დ. ყიფიანის ხელნაწერში არ აღმოჩნდა; უკვე ტექსტი დაბეჭდილი იყო,

როდესაც ყიფიანის არქივის ხელმეორე გასინჯვის დროს ჭვემოთ დასახელებულ წერილებთან ერთად იგი აღმოჩნდა სხვა ქაღალდებში ჩართული. იგი დაბეჭდილია ერთ თაბახ ქაღალდზე შემდეგი სახელწოდებით: „Правила Тифлисской частной библиотеки“.

ეს წესდება უმთავრესად შეეხება წიგნებით სარგებლობის წესებსა და წევრების უფლებებსა და მოვალეობას. ტეხნიკურ მიზეზების გამო ამ წესდების თარგმანს ვერ ვათავსებთ შენიშვნაშიც[17].

„ამნაირად ბიბლიოთეკა ჩემს ბინაზე იყო მოთავსებული— წერს „მემუარებში“ დ. ყიფიანი—და მე ვიყავი ბიბლიოთეკის გამგეთ 1848 წლამდე.

ამ წელს მეფის მოადგილის მთავარმმართველობამ თავის კანცელარიასთან გახსნა ბიბლიოთეკა იმ მიზნით, რომ ბოლოს და ბოლოს საჯარო ბიბლიოთეკა მოეწყოთ თბილისში“ [18], და რადგან ამასობაში დ. ყიფიანს წევრებიც შემოსცლიან და სამსახურის გამო არც ხელმძღვანელობა ბიბლიოთეკასა და არც თავის ბინაზე მისი დატოვება არ შეძლებია, ეს წიგნსაცავი მას მომავალი საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაუცია[19].

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელთა დიდი უმრავლესობა ქართველებისაგან შედგებოდა, და მრავალი მათგანი ცნობილი მწერალი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო რუსული წიგნთსაცავი და მომსახურეობას უწევდა მხოლოდ თბილისის მოსახლეობის ვიწრო წრეს.

ამავე „მემუარებიდან“ ჩვენ ვტყობილობთ, რომ 1848 წელს მთავრობის ინიციატივით დაარსებულა საჯარო ბიბლიოთეკა თბილისში.

თუ რა სარგებლობა მოჰქონდა მოსახლეობისათვის მთავრობის ამ დაწესებულებას, ამას იმავე მთავრობის ორგანოდან—„კავკაზიდან“ ვტყობილობთ: „...Кто-то из частных людей предполагает открыть публичный кабинет для чтения книг. Пример Тифлисской публичной библиотеки, почти не посещаемой публикой, показывает, что не всякое собрание книг может привлечь читателей“ [20].

გაზ. „დროებაც“ ამგვარივე აზრისაა ამ ბიბლიოთეკის შესახებ; 1876 წელს ის წერდა: „თბილისის საზოგადო ბიბლიოთეკის

---

[17] იხ. დ. ყიფიანი, „მემუარები“, გვ. 167, შენიშვნა 77.

[18] იქვე, გვ. 105-106.

[19] იქვე.

[20] იხ. გაზ. „კავკაზ“, 1869 წ. № 96.

დირექცია აცხადებს, რომ ამ ივლისის 15-დან მომავალი აგვისტოს 15-დი ეს ბიბლიოთეკა დაკეტილი იქნებაო". რა უნდა გვეთქვა ამ ბიბლიოთეკაზე: რამდენი ხანია დაუარსებია ის მართველობას, ვინ იცის იმაზე რამდენი ათასი მან. ფული დახარჯულა და რამდენიც იხარჯება ყოველწლიურად, და ჩვენს ქალაქში კი იმისი არსებობა თითქო არავინ იცის; დღეში მხოლოდ რამდენიმე საათია ღია და იმნაირად არის გამართული, ისეთი წესებია, რომ ვერც მაშინ ჟსარგებლია კაცს რიგიანად" [21].

საჯარო ბიბლიოთეკის ასეთი დახასიათება არ არის შემთხვევითი: 1887 წელს ქალაქის საბჭოს ხმოსანს, ცნობილ მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს თვითმმართველობაში და თავის გაზეთის „ნოვოე ობოზრენიეს" ფურცლებზე—როგორც ამას აღნიშნავს ამ ბიბლიოთეკის ისტორიის მიმომხილველი ნ. ლორთქიფანიძე—მწვავედ დაუყენებია საკითხი ბიბლიოთეკის ქალაქის თვითმმართველობისათვის გადაცემის შესახებ; ამ მოსაზრებას ნ. ნიკოლაძე იმით ასაბუთებს, რომ „Тифлисская Публичная библиотека, (по его словам) была синекурой в тисках ее заправителей, никому никакой пользы не приносила. Она дурно содержится и в ней нечего читать. Она отърыта в то время, когда занятым людям некогда; вечером, когда люди свободны, ее посещать нельзя, Вообще, по мнению гласного, в ней масса недостатков, из которых главный „чисто канцелярское отношение заведующего ею, для которых чем менее посетителей, тем удобнее" [22].

ამ ბიბლიოთეკის 1906 წლის ოფიციალურ ანგარიშში ნათქვამია: В отчетном году библиотека работала в тех же тяжелых условиях, в которых она находится уже более 20 лет" [23].

როგორც აღნიშნავს ნ. ლორთქიფანიძე—ბიბლიოთეკის დაარსებიდან გამოკრული განცხადება: „Библиотека открыта ежедневно от часу полудни до сумерек" ძალაში დარჩენილა ბიბლიოთეკის დახურვამდე, ე. ი. 1915 წლამდე, როდესაც ომიანობის გამო წიგნები ყუთებში ჩაუბეჭდიათ საევაკუაციოდ [24].

---

[21] იხ. გაზ. „დროება", 1876 წ. № 72, გვ. 1.

[22] იხ. კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის „შრომები", წიგნი მე-4, 1938 წ. გვ. 2-3.

[23] ციტირებულია ნ. ლორთქიფანიძის დასახელებული წერილიდან.

[24] იხ. დასახ. „შრომები", გვ. 3.

ამ ბიბლიოთეკის დასაკომპლექტებლად თანხებიც მეტად მცირე ყოფილა; წიგნების შეძენაზე დახარჯულა: 1904 წელს—77 მ. 87 კ., 1908 წ. 151 მ. 29 კ. ასეთი ყოფილა მთავრობის „ზრუნვა“ მთელს კავკასიაში ერთად-ერთ სახაზინო ბიბლიოთეკაზე [25].

1900 წლის 30 აგვისტოს „კავკაზის“ №-ში ცნობილმა მოღვაწემ ქრისტეფორე მამაცაშვილმა წერილი მოათავსა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის უსარგებლობის შესახებ. ბიბლიოთეკის შესახებ მთავრობის მიერ გამოყოფილმა კომისიამ სხვათაშორის აღნიშნა: „Что казенное учреждение, просуществовавшее уже более полувека... не имело и не имеет утвержденного надлежащею правительственною властью у с т а в а... что все в нем, начиная с самого названия совершенно случайно и неопределенно“...

იმავე კომისიის აზრით, ბიბლიოთეკას უნდა მისცემოდა აკადემიური, სამეცნიერო ხასიათი, როგორც სპეციალურ ბიბლიოთეკას კავკასიის მცოდნეობის შესახებ. ამავე 1900 წელს შედგენილი დებულების პროექტით „Библиотека имеет своим назначением сосредоточение в себе, главным образом, всей литературы, относящейся к Кавказу и сопредельным с ним странам, и служение, по преимуществу, интересам ученым и учебным“...

1903 წელს მთავარმართებელთან არსებულ საბჭომ დაადგინა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მუზეუმისაგან გამოყოფა და მის ცალკე დაწესებულებად აღიარება, სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის დაქვემდებარებით“ [26].

გარდა თბილისის საჯარო სახაზინო ბიბლიოთეკისა, თბილისში 50-70-იან წლებში სხვა პატარა ბიბლიოთეკებიც მოიპოვებოდნენ, რომელნიც გარკვეულ ჯგუფს უწევდნენ მომსახურეობას; ასეთი იყო თბილისის პირველ გიმნაზიასთან არსებული ბიბლიოთეკა, თბილისის კეთილშობილ კრებულთა ბიბლიოთეკა, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებული პატარა წიგნთსაცავები.

1866 წელს გუბერნატორის ანგარიშით თბილისში ყოფილა: თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა და რამდენიმე სპეციალური სამხედრო უწყებისა, საერთო ბიბლიოთეკა სხვადასხვა სამმართველოსთან, და სამი საჯარო სამკითხველო წიგნის მაღაზიებთან [27].

---

[25] იქვე, გვ. 4.

[26] საქ. ც. არქ. ფ. 37, საქ. № 2404.

[27] იხ. საქ. ც. არქ. ფ. 12, საქ. № 36, ფ. 29.

თბილისის სემინარიასთან მოთავსებული ყოფილა უკვე 60-იან წლებში (და ალბად უფრო ადრეც) ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც საქართველოს ექსარხოსს ისიდორეს ამ წლებში შესანახად გადაუცია დ. პ. ფურცელაძის მიერ 1852-54 წლებში შედგენილი სხვადასხვა მონასტრებთან არსებული წიგნთსაცავების კატალოგი (მცხეთის, ალავერდის, იყალთოს, ბოდბის, გელათის, ხოფის, შემოქმედის და სხვათა). ეს ცნობა „კავკაზში“ თვით დ. პ. ფურცელაძეს მოუთავსებია. საიდანაც გადაუბეჭდია „დროებას“ (იხ. „დროება“ 1880 წ. № 661).

70-80-იან წლებამდის, სანამ ჩვენში ბიბლიოთეკა-სამკითხველოები მოიკიდებდა ფეხს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ დაინტერესებულ პირთათვის იმ ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავებს, რომელნიც სასწავლებლებში იყო მოთავსებული, მაგრამ, როგორც ჩანს, გარეშე პირთათვისაც ხელმისაწვდომი ყოფილან.

ჯერ კიდევ 1810 წლისთავის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს საკმაო მოზრდილი წიგნთსაცავი ჰქონია, რომლისთვისაც ვილაც მოხელე რომენსკის 113 ტომი წიგნი შეუწირავს 1806 წელს, ხოლო ამავე სასწავლებლის ყოფილი მასწავლებლის სამუილ მარტინისაგან სასწავლებელს 122 სახელწოდების წიგნი შეუძენია რუსულსა და უცხოურ ენებზე [28].

1839 წელს თბილისის გიმნაზიის წიგნთსაცავში 2.942 ტომი წიგნი იყო [29]. 1842-3 აკადემიურ წელს საფრანგეთის ქვეშევრდომს ჭ-ნ სერბიეს თბილისის გიმნაზიისათვის 440 სახელწოდების წიგნი შეუწირავს სხვადასხვა ენაზე.

1884 წელს დუშეთის სამაზრო სასწავლებლის წიგნთსაცავში 140 სახელწოდების წიგნი ყოფილა, მათ შორის „ვეფხის ტყაოსანი“ [30].

1855 წელს ქუთაისის გიმნაზიის წიგნთსაცავში 969 ტომი წიგნი ყოფილა, მათში რუსულ ენაზე 834, აღმოსავლურ ენებზე—16, კლასიკურ ენებზე—10, ევროპულზე—109 [31]. ამავე წელს გორის სამაზრო სასწავლებელში 240 სახელწოდების წიგნი ყოფილა; მათში: რუსულ ენაზე—170. ევროპულზე—17, აზიურზე—53.

---

[28] საქ. ც. არქ. ფ. 16, № 952, ფ. 9-11.

[29] იქვე, ფ. 231, საქ. № 35, ფ. 4.

[30] იქვე, ფ. 231, საქ. № 89, ფ. 77-78.

[31] იქვე, ფ. 231, საქ. № 184, ფ. 217.

დაახლოებით ამდენივე წიგნი მოიპოვებოდა სხვა სამაზრო სასწავლებლებშიც: თელავში, სიღნაღში, ახალციხეში; მათში წიგნები ქართულ ენაზე, როგორც დავინახეთ, მეტად მცირე ყოფილა.

1859 წელს შემუშავებული წესით სასკოლო ბიბლიოთეკით გარეშე პირებსაც შეეძლოთ სარგებლობა, წელიწადში ორი მანეთის გაღებით [32].

„უფ. ენფიაჯიანცს კერძო ბიბლიოთეკა გაუხსნია თბილისში 1850 წელს; ყირიმის ომიანობის დროს ამ ბიბლიოთეკას 790 ხელისმომწერი და მკითხველი ჰყოლია. 1864 წელს ეს ბიბლიოთეკა დაიხურა, რადგან საკმაო ხელისმომწერნი არ ჰყოლია. „დროებაში“ ვკითხულობთ: „ამ ჟამად (1876 წელს) თბილისში ორი ბიბლიოთეკა და სამი საკითხავი კაბინეტია: ივანოვის—გაიხსნა 1870 წ.ლს. 1873 წლის კატალოგით 1473 ტომი წიგნი იყო. იმ დროს მას 950 ჰყავდა ხელმომწერნი. ფონ-ვიხმანის ბიბლიოთეკა საკითხავი კაბინეტით 1872 წელს გაიხსნა, 2000 ტომამდეა, ხელისმომწერნი 300-დან. შახ-აზიზოვის ბიბლიოთეკა დაარსდა 1878 წელს, კატალოგით 2080 ტ. წიგნია, ხელისმომწერნი—130, კაბინეტი შარშან დაიკეტა“ [33].

1869 წლის 29 ივლისის ცირკულიარით გუბერნატორებს ევალებოდათ ყოველწლიური უწყისი წარედგინათ მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს უფროსისათვის სტამბებისა, ფოტოგრაფიებისა და ბიბლიოთეკების შესახებ.

ასეთი უწყისის მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში 1874 წელს მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკა-საკითხავი კაბინეტით არის აღნიშნული—ქ. ქუთაისში, თავ. ანტონ ლორთქიფანიძისა. დაარსებული 1873 წლის 26 ოქტომბერს.

ქალ. თბილისში ასეთივე უწყისით 1873 წელს შემდეგი ბიბლიოთეკებია აღნიშნული:

1. საჯარო ბიბლიოთეკა მთავრობის, დაარს. . . . 1846 წ.
2. წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ვიხმანის, დაარს. . . . 1872 წ.
3. ბიბლიოთეკა საკითხავი კაბინეტით, ივანოვის დაარს. . . . 1871 წ.
4. წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ალადატოვის, დაარს. . . 1865 წ.

---

[32] იქვე, ფ. 231, საქ № 160, ფ. 38-42.

[33] იხ. გაზ. „დროება“, 1876, № 122.

5. ბიბლიოთეკა საკითხავი კაბინეტით სოლოდოვასი, დაარს. 1872 წ.

6. საკითხავი კაბინეტი თამამშევის, დაარს. . . . 1873 წ.

ყველა ამ ბიბლიოთეკებში რუსული და უცხოური წიგნებია აღნიშნული, მხოლოდ ივანოვის ბიბლიოთეკაზეა ნათქვამი: წიგნები—რუსული, ფრანგული, გერმანული და ნაწილობრივ ქართული. არის კატალოგი [34].

70-იან წლებში თბილისში არაჩვეულებრივი პოპულარობა იმ ბიბლიოთეკას ჰქონია მოპოებული, რომელიც ივანოვის სახელით იყო ცნობილი. „ივანოვის ბიბლიოთეკის“ შესახებ,—მთავრობისა და საზოგადოების მისდამი დამოკიდებულების შესახებ.—ჩვენ საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ იმ „მემუარებში“, რომელიც ამ სტრიქონების ავტორის თხოვნით დასწერა 1936 წელს ერთ დროს ქუთაისში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ პეტრე წულუკიძემ. 1871 წელს პეტერბურგიდან დროებით თბილისს დაბრუნებულ წულუკიძეს, ახალგაზრდა სტუდენტს, ნ. ნიკოლაძის წინადადებით უკისრია დროებით „ივანოვის ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელობა. „ეს ბიბლიოთეკა—წერს პ. წულუკიძე—იყო აქაური ახალგაზრდობის, ინტელიგენციის შემოწირულ წიგნებიდან შემდგარი: უმთავრესი შემომწირველნი იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ი. ჭავჭავაძე, გ. ყაზბეგი და ბევრი სხვა. იმ დროს ეს ბიბლიოთეკა საუკეთესოდ ჩაითვლებოდა თბილისში. კლიენტურა უფრო მოსწავლეები იყვნენ, საუკეთესო მიმართულების წიგნების შეძენა აქ ადვილად შეიძლებოდა... ეს ბიბლიოთეკა ბურჯი იყო ახალგაზრდობისათვის... სამკითხველოში ხშირად იკრიბებოდნენ თბილისის მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების მუშაკნი თუ ხელმძღვანელნი—ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და ასე გასინჯეთ სომხური ჟურნალ-გაზეთების მესვეურნიც—ძმ. არწრუნები და გაზ. „მშაკის“ სხვა თანამშრომლები...“, რომლებსაც დასაწყისში ქართველ მოღვაწეებთან კარგი განწყობილება ჰქონიათ.

ამ ბიბლიოთეკაში წულუკიძეს ეხმარებოდა აგრეთვე ზაქარია ჭიჭინაძე.

---

[34] იხ. საქ. ც. არქ. ფ. 12. საქ. № 2707, ფ. 6, 9-10.

პ. წულუკიძის „მოგონებებიდან“ მოყვანილი ცნობები ემთხვევა იმ საინტერესო მიმოწერას, რომელსაც ნ. ნიკოლაძე ამ დროს აწარმოებდა თბილისიდან ციურიხში მყოფ ო ლ ღ ა გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ თ ა ნ (შემდეგში მისი მეუღლე რომ გახდა). „Школа (Иван) собирается, Иванов надеется управиться с нею“... სწერდა ნიკოლაძე 1873 წლის აგვისტოში. უნდა ვიფიქროთ, რომ ნიკოლაძე „შკოლას“ უწოდებს ან იმ მოწაფეებს, სამკითხველოში რომ დადიოდნენ, უმთავრესად სემინარიელებს, ან ამ სიტყვაში გულისხმობს მეგობრებს, რომელნიც სამკითხველოში საზოგადო საქმეებზე ბაასობდნენ. ამ სამკითხველოსთან ჰქონია ბინა როგორც წულუკიძეს, აგრეთვე ნ. ნიკოლაძესაც.

მეორე წერილში, 1873 წლის პირველი ნოემბრის თარიღით, ნიკო ნიკოლაძე აცნობებს ო. გურამიშვილის ასულს: „Дела библиотеки приняли неожиданно благоприятный оборот. Путем неких комбинаций я уплатил Шабурову квартирную плату за прошлые годы и впередь до 1 ноября 1874 года“. (პ. წულუკიძის ცნობითაც, ბიბლიოთეკა მოწყობილი ყოფილა შაბუროვის სახლში, პირველ სართულში, მუზეუმის პირდაპირ). „С мелкими долгами кое-как рассчитались, крупные отсрочили и Иванов уезжает сперва в Питер, а оттуда заграницу...

На место Иванова библиотекой будет управлять один молодой человек, подающий хорошие надежды, П. Цулукидзе, и я уверяю тебя, что с этих пор библиотека будет исправна, ведена с особенной тщательностью и пр. и пр. Распроси об этом господина Г. Церетели, и он познакомит с ним заочно. Это превосходное приобретение для нас“... [35].

ზემო მოყვანილი ცნობები აღარ სტოვებენ ეჭვს იმაში, რომ „ივანოვის ბიბლიოთეკა“ არა მარტო წიგნთსაცავი ყოფილა, არამედ არაოფიციალური კლუბიც, სადაც თავს იყრიდნენ მოწინავე აზროვნების თბილისის მაშინდელნი წარმომადგენელნი, და მოწაფენი, რომელნიც იწვრთნებოდნენ უფროსთა ზეგავლენით. ნ. ნიკოლაძის ზრუნვა ასეთი თავგამოდებით ამ ბიბლიოთეკაზე იმას მოწმობს, რომ ის ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ნაამაგარი ყოფილა და პროგრესიული იდეების პროპაგანდის კერა.

პროფ. რუსუდან ნიკოლაძე—გურამიშვილის მიწერ-მოწერი-

---

[35] იხ. ნიკოლაძის არქივი საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში—„ნ. ნიკოლაძის და ოლ. გურამიშვილის მიწერ-მოწერიდან“, ნაწ. I. გვ. 106-107, 1873 წ.

სათვის გაკეთებულ შენიშვნაში ამ ბიბლიოთეკის შესახებ, აღნიშნავს: „ნიკოლაძის მიერ დაარსებული ცნობილი „ივანოვის ბიბლიოთეკა“ თბილისში (1870-1871 წლებში)—ჩერნიშევსკი-დობროლუბოვის და „სოვრემენიკის“ ფარული პროპაგანდისათვის“ [36].

„რომ „ივანოვის ბიბლიოთეკა“ სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, ეს დასტურდება ერთი ეპიზოდითაც, რომელსაც პ. წულუკიძეც აღნიშნავს თავის „მოგონებებში“. ერთ საღამოს (ავტორს თარიღი არ აღუნიშნავს) ბიბლიოთეკას თავს დასხმია სასამართლო პალატის პროკურორი ანდრეევი, ჟანდარმთა პოლკოვნიკი ესაძე და ასიოდე კაზაკი. სამკითხველოში ამ დროს მხოლოდ პ. უმიკაშვილი ყოფილა, ხოლო პ. წულუკიძის იქვე მოთავსებულ ბინაში—ნესტორ და კოტე მესხი (სერგეი მესხის ძმები ტ. ხ.), დავით მიქელაძე და კირილე ლორთქიფანიძე, რომელნიც პოლიციას დაუთხოვნია და ჩხრეკას შესდგომიან. ეძებდნენ ჩერნიშევსკის რომანს „Что делать“. ბიბლიოთეკაში უცხოეთში დაბეჭდილი ეგზემპლიარი არ აღმოჩენილა, არამედ მხოლოდ ჟურნალ „სოვრემენიკში“ მოთავსებული. უკანა ოთახში პოლიციის შეუმჩნეველი დარჩენილა ძველ მიყრილ წიგნებს ქვეშ შენახული საბეჭდავი პრესი, რომელიც იხმარებოდა საიდუმლო ფურცლების დასაბეჭდათაო. გაუჩხრეკიათ აგრეთვე თვით წულუკიძის ბინა, სადაც „მაშინდელ დროში აკრძალული ოციოდე წიგნი სოციალური შინაარსისა იპოვნეს, მაგ., „Азбука социальных наук“. Религия“ Бюхнера, „Статистика“ და სხვა“. პოლიციას წიგნები დაუტოვებია, როდესაც დარწმუნებულა, რომ იმ წიგნებით გარეშე არავინ სარგებლობდა.

„ნამდვილად კი, წერს წულუკიძე,—ეს წიგნები დანიშნული იყო სემინარიის შეგირდების და სხვა მოსწავლეების საკითხავად, ვისთანაც მალულად დამოკიდებულება გვქონდაო“. პოლიციას იქვე მოთავსებული ნ. ნიკოლაძის ბინაც გაუჩხრეკია. განსაკუთრებულ ენერგიას ჩხრეკის საქმეში ესაძე იჩენდაო.

ჩხრეკა შემდეგ გარემოებას გამოუწვევია: სემინარიის უფროსი კლასის მოწაფე დ. კეზელი („შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი“ „ზოილის“ ფსევდონიმით), სემინარიის რექტორს დაუჭერია ჩერნიშევსკის წიგნით ხელში—„Что делать“. „დაკითხვისას კეზელს განუცხადებია, რომ წიგნი ივანოვის ბიბლიოთეკიდან გამოვიტანეო

---

[36] იქვე. გვ. 106.

რექტორს ეს ამბავი დიდი მთავრისათვის მოუხსენებია, რასაც მოყოლია მისი ბრძანება ბიბლიოთეკის გაჩხრეკის შესახებ. მეორე დღეს „ივანოვის ბიბლიოთეკას" გუბერნატორი ორლოვსკი სწვევია, წულუკიძე მოწაფეთა ბიბლიოთეკაში დაშვებისათვის შეუჩვენებია და შემდეგისათვის ეს სასტიკად აუკრძალავს [37].

რომ ივანოვის ბიბლიოთეკიდან მკითხველები აკრძალული ლიტერატურით სარგებლობდნენ, ეს ოფიციალურიც მასალითაც დასტურდება: 1874 წლის 29 იანვრის თარიღით თბილისის გუბერნატორი მოახსენებს მეფის მოადგილის მთავარ სამძართველოს უფროსს ივანოვის ბიბლიოთეკაში და საკითხავ კაბინეტში ცენზურის მიერ ნებადაურთავ წიგნების არსებობისა და მკითხველების ძიერ მათი გამოყენების შესახებ. ცნობის მიღებისთანავე ბიაველინა მან იქ განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე ვიზგალოვი, რომელსაც ევალებოდა თბილისის ბიბლიოთეკების ზედამხედველობა; პოლიციის ოფიცრის დახმარებით მას დაუყოვნებლივ გაუჩხრეკია ბიბლიოთეკა, სადაც აღმოჩენილა „უთუოდ აკრძალული შემდეგი წიგნები": ჩერნიშევსკის რომანი: „Что делать", რენანის „La vie de Iésus" და ვიქტორ ჰიუგოს „Napoléon le petit". ამის შესახებ შედგენილი ოქმი სასამართლოში გადაუგზავნიათ აღნიშნული ბიბლიოთეკის გამგის პასუხისგებაში მისაცემად. გაოდა ივანოვისა, პასუხისგებაში მიუციათ ბიბლიოთეკის მმართველი თავ. პეტრე წულუკიძე, როგორც აღნიშნული წიგნების გავრცელების თანამონაწილე [38].

როგოროც მეორე ცხობიდან სჩანს, ეს საქმე თბილისის I უბნის მომოიგებელ მოსამართლეს გაურჩევია 1874 წლის 14 აპრილა და პ. წულუკიძე 150 მანეთით დაუჯაროიმებია [39].

თბილისის მაოქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ხ. ხიკოლაძის არქივის იძ წერილიდან, ოოელიც „თბილისის უწყებათა" ოედაქტორს ებეუთოვს 1874 წელს მიუწერია პაოიზში ხ. ხიკოლაძიათვის, იოკვეა, როძ მთაკროპას ივანოვისათვის ნება არ ძიუცია გაეხსნა ბიბლიოთეკის გახკოფილებანი ბორჯომსა და კოჯოროში: „Бог плоды дурного поведения, хотя и не его, а его приказчиков",—შეხიძხავს ებეუთოვი, უნდა ვიფიქროთ, პოლიციის მიერ ბიბლიოთეკაში აკრძალული ლიტერატურის აღმოჩენის გაძო.

---

[37] იხ. პ. წულუკიძის „მემუარები". ამჟამად ინახება სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში.

[38] იხ. საქ. ც. არქ. ფ. 12. საქ. № 2375, ფ. 14.

[39] იხ. იქვე, საქმე № 2707, ფ. 10

ვინ ამარაგებდა ბიბლიოთეკას აკრძალული ლიტერატურით?

ჩვენს ხელთ არსებული ერთი ოფიციალური საბუთით მისი ერთ-ერთი ასეთი მომარაგებელი თვით ნ. ნიკოლაძე უნდა ყოფილიყო.

1869 წელს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მომხდარ სტუდენტთა მღელვარების შედეგად გამორიცხეს და თბილისს გამოაგზავნეს პოლიციის ზედამხედველობაში რამდენიმე ქართველი და სომეხი სტუდენტი, მათ შორის პ. იზმაილოვი, შემდეგში თბილისის ქალაქის თავი.

1879 წელს ქ. თბილისის თეითმმართველობისა და გამგეობის მდივანს პავლე იზმაილოვს შუამდგომლობა აღუძრავს მეფის მოადგილის მთავარი სამმართველოს უფროსის წინაშე მოეხსნათ მისთვის პოლიციის მეთვალყურეობა. ამ საკითხის გამო სამმართველოს უფროსის კანცელარიის მიერ შეკრებილ ცნობებში ნათქვამია: „В 1873 году, как видно из представленной Кавказским цензурным комитетом начальнику главного управления переписки по поводу привезенных тогда из заграницы бывшим студентом Николаем Николадзе разных недозволенных книг и брошюр, Павел Измайлов был одним из деятельных членов образовавшегося в Цюрихе грузинского кружка „Ярмо“, в котором он участвовал в качестве одного из депутатов „армянского общества“.

უდაოა, რომ ნიკო ნიკოლაძეს ეს ნებადაურთველი წიგნები და ბროშურები შემოქონდა უცხოეთიდან არა მარტო საკუთარი საჭიროებისათვის, არამედ, უნდა ვიფიქროთ, ივანოვის ბიბლიოთეკის საშუალებით ის აწვდიდა ამ ლიტერატურას ამ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ პროგრესიულ ინტელიგენციასაც.

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის არ არის ინტერესს მოკლებული შემდეგი ცნობაც:“... В августе 1874 года шеф жандармов, по высочайшему повелению, довел до сведения гос. в. кн. наместника Кавказского, что по полученным сведениям, из русских, посещавших в то время высшие учебные заведения в Париже, отличались особенною страстью к социализму и коммунизму Кавказские уроженцы, в том числе один из более замечательных—Измайлов, называвший себя журналистом“ [40].

---

[40] იხ. საქ. ც. არქ. ფ. 12, საქ. № 887, ფ. 73-76.

ივანოვის ბიბლიოთეკა რომ აკრძალულ ლიტერატურას აწვდიდა მოსწავლე ახალგაზრდობას, ეს დასტურდება იმ მოხსენებიდანაც, რომელიც თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს პოლკ. ესაძეს წარუდგენია III განყოფილების უფროსისათვის [41].

როგორც ჩანს, ივანოვის ბიბლიოთეკას „ეკონომიური" კრიზისები შემდეგ წლებშიც ჰქონია. 1876 წლის „დროებაში" ვკითხულობთ: „ეს რამდენიმე დღეა, რაც ივანოვის ბიბლიოთეკა დაკეტილია და დაკეტილია სამოსამართლო ბოქაულისაგან, უფ. ადვოკატის იაგორ დანილოვის ვალის გამო. ამ გარემოებაზე ჩვენი ქალაქის ზოგიერთ წრეში ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ.

საზოგადოება ძალიან უკმაყოფილოდ არის, რომ ის მოკლებული შეიქმნა ერთად-ერთ ხელსაყრელ ბიბლიოთეკას, რომელიც თბილისში იმყოფება. ამ დღეებში ბიბლიოთეკა ხელახლად გაიხსნება, რადგან როგორც ამბობენ, ფინანსიური კრიზისი თავიდან აცილეაო". (იხ. გაზ. „დროება" 1876 წ. № 50).

ქუთაისში ივანოვის ბიბლიოთეკის დანიშნულებას ის ბიბლიოთეკა ასრულებდა, რომელიც „ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის" სახელით არის ცნობილი. 1880 წელს მეფის მოადგილის მთავარი სამმართველოს გამგემ წერილობით მიმართა დიმიტრი ყიფიანს, რათა მას ერჩია თავის მახლობლებისათვის ანტონ ლორთქიფანიძის, მისი ცოლის ელენესა და ამ უკანასკნელის ძმის ნიკოლოზ ყიფიანისათვის (ეს ორი უკანასკნელი დ. ყიფიანის შვილები იყვნენ) დაენებებიათ თავი ქუთაისის საგანგაშურო სკოლის საბჭოს წევრობისათვის, როგორც პოლიტიკურად შენაშნულ პირებს. საპასუხო წერილში დ. ყიფიანი აღნიშნავს: „...მაშინ კი ლორთქიფანიძეს ბრალდებოდა, რომ მის ბიბლიოთეკაში ოდესღაც დადიოდნენ ისეთი პირნი, რომელნიც შემდეგ აღმოჩნდნენ არა კეთილსაიმედონი", (იხ. ს. ხუნდაძე—„დიმიტრი ყიფიანი", თბ. 1936 წ. გვ. 212-213).

რომ ანტონ ლორთქიფანიძე პირადად და ბიბლიოთეკის საშუალებით აკრძალული ლიტერატურის გავრცელებას ეწეოდა, დასტურდება იმ ცნობებიდან, რომელიც პროვოკატორმა იაგორ იოსელიანმა მიაწოდა 1876 წელს ქუთაისის გუბერნატორის მოვ. აღმასრულებელს მალაფეევს. იოსელიანი სწერს: „... Через посредство Антона Лорткипанидзе, как я слышал, существовали высылаемые на его, Лорткипанидзе, имя запрещенные книги, которые

[41] „История классовой борьбы в Закавказьи". თბ. 1930 წ. გვ. 21-82.

секретно предлагались чтению молодежи гимназисты и дамы (?! ტ. ხ.). книги были привезены частью и самим Лорткипанидзе... Книги эти следующие: „Хитрая механика", „Сказка о четырех братьях и об их приключениях", „Бог то бог, да сам не будь плох", „Вперед", газета „Работник", „Самарский голод", „К офицерству русской армии" и др. Склад книг в настоящее время, если не розданы для чтения: у Михаила Кипиани (в кухне), у Габичвадзе, ученика гимназии Кипиани (в церковном доме Архангельского собора) и кроме того, должен быть или в библиотеке или в доме Антона Лорткипанидзе" [42].

ქუთაისის გაზ. „შრომაში" 1882 წელს ამ ბიბლიოთეკის შესახებ შემდეგ ცნობას ვკითხულობთ:

„თითქმის ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც ჩვენ ქალაქში ბიბლიოთეკა დაარსდა. ამ ბიბლიოთეკას თავისი წარსული ისტორია და ამხანაგური მნიშვნელობა აქვს, რომელზედაც ჩვენ ამჟამად არ გვინდა ვილაპარაკოთ. მხოლოდ ვიტყვით, რომ ბევრის ცდისა და საშუალების აღმოჩენის შემდეგ ამ კეთილის მიზნის აღსრულება მიენდო თავ. ანტონ ლორთქიფანიძეს, რომლის სახელზედაც აქამომდე არსებობს ეს ბიბლიოთეკა. ეხლა ჩვენ გავიგეთ ვითომც ბ. ა. ლორთქიფანიძე ჰყიდდეს ამ ერთ-ერთს გონების გამავითარებელს დაწესებულებას ჩვენს ქალაქში.

...ამ ბიბლიოთეკას, როგორც ნამდვილად ვიცით, ბევრი პატრონი ჰყავს და პატრონების დაუკითხავად ჩვენ არა გვგონია ბ. ლორთქიფანიძემ იკისროს მისი გაყიდვა.

...ნუთუ დასაჯერებელია, რომ ივანოვის ბიბლიოთეკის ისტორია აქაც განმეორდება (იხ. გაზ. „შრომა", 1882 წ. № 49, გვ. 2).

ჩვენ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწვია ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკას.

1883 წლის „დროებაში" მოთავსებულ ერთ-ერთ განცხადებაში ვკითხულობთ: „...იმავე შენობაში იმყოფება ბიბლიოთეკა თ. ა. ლორთქიფანიძისა, იღ. ჟყონიასაგან იჯარით აღებული. ხელმოსაწერი პირობები ფრიად ხელმისაცემია. ბიბლიოთეკას შეემატა ახალი წიგნები [43].

---

[42] „Ист. Классовой борьбы в Закавказьи". თბ. 1930 წ. გვ 33.

[43] იხ. „დროება", 1883 წ. № 38, გვ. 4.

„12 აგვისტოს ქუთაისის ადგილობრივ კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელს ბ. პეტროვს გაუხსნია ბიბლიოთეკა და საკითხავი კაბინეტი. ეს ბიბლიოთეკა შემდგარია ან. ლორთქიფანიძისა და თვით პეტროვის ბიბლიოთეკებისაგან“ [44].

როგორც მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, 80-იანი წლების დასაწყისში ქუთაისში ან. ლორთქიფანიძის სახელზე არსებული ბიბლიოთეკა გაუქმებულა.

საქართველოში ბიბლიოთეკების საჭიროებისა და დაარსებისადმი ინტერესი 80-იანი წლების დასაწყისიდან ძლიერდება. 1880 წელს ივ. ლომოურის ინიციატივით მეტეხის ციხეში ტუსაღთათვის არსდება ბიბლიოთეკა, რომლისათვის შეწირულ წიგნებისა და ფულის ძიღებას გაზ. „დროების“ რედაქცია აწარმოებს [45]. ამავე გაზეთში იბეჭდება წერილები ბიბლიოთეკის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ. შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი ა. ნ-ლი (ალ. ნანეიშვილი) აყენებს საკითხს „მოძრავი ბიბლიოთეკების“ დაარსების შესახებ სოფლის ძველებლებისა და ინტელიგენციისათვის. ამას ყურადღება წ.-კ. საზოგადოებამ უხდა ძიაქციოსო [46].

ამავე წელს ახლად დაარსებული ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება აქვეყნებს საზოგადოების ბიბლიოთეკის წესდებას, რომლითაც ბიბლიოთეკა იხსნება როგორც წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთათვის, ისე საზოგადო საკითხავადაც: ბიბლიოთეკა შეკრებს ძველს დაუბეჭდავ და დაბეჭდილ წიგნებს, ბიბლიოთეკა შესდგება უმეტეს წილად ქართული წიგნებისაგან; სხვა ენაზე დაწეროლ წიგნებს იმ შეძთხვევაში შეიძენს, თუ მათი შინაარსი საქართველოს შეეხება. არავითარია სახით და არავის არ მიეცემა ბიბლიოთეკიდან წიგნი შინ წასაღებად.. [47].

სასოფლო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ მსჯელობა იმართება წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში შემდეგ წლებში და ამ აზრის პოპულარიზაციას ეწევა გაზ: „დროება“ [48]. მაგრამ ბიბლიოთეკების ქსელი საქართველოში მხოლოდ 90-იან წლებიდან იქმნება. 90-იან წლებში საქართველოში არც ერთი ცოტად თუ ბევრად ძლიშნელოვანი დაბა სოფელი არ ყოფილა დარჩენილი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გარეშე. ეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო

---

[44] იხ. „დროება“, 1883 წ. № 165, გვ. 1.

[45] იხ. „დროება“, 1880 წ. №№ 12, 109.

[46] იხ. „დროება“, 1880 წ. № 273.

[47] იხ. „დროება“, 1880 წ. № 124, 129.

[48] იხ. „დროება“, 1881 წ. № № 14, 15.

კერძო ინიციატივით, ადგილობრივ პირთა და კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა მიერ იხსნებოდა და საქველმოქმედო და კერძო შეწირულებათა სახსრებით ინახებოდა.

თანახმად 1890 წლის 15 მაისის წესისა, აღნიშნულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ზედამხედველობა ეკისრებოდა სასულიერო და სასწავლო უწყებათა წარმომადგენლებს; ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორი მოახსენებს მზრუნველს, რომ მან „უახლოესი ზედამხედველობა უფასო სახალხო ბიბლიოთეკასა, რომელიც ოზურგეთის მაზრის სოფ. გომახურში გახსნილ იქნა მღვდლის ბარნაბა ჯორბენაძის მიერ, დააკისრა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს“ [49]. ამ უკანასკნელთ ევალებოდათ, რათა ბიბლიოთეკაში ხმარებაში მხოლოდ ის წიგნები ყოფილიყო, რომელნიც განათლების სამინისტროსთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს მიერ იყო ნებადართული ან სასწავლო ოლქთან არსებულ სამზრუნველო საბჭოს მიერ მოწონებული (ადგილობრივ ენებზე თუ იყო დაბეჭდილი).

არ არის ინტერესს მოკლებული ადგილობრივ ენებზე გამოცემულ წიგნების ნებართვის საკითხი სახალხო სამკითხველოებში. ეს საკითხი ირჩეოდა სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს განსაკუთრებულ განყოფილების წევრთა 1897 წლის 30 მაისისა და 19 აგვისტოს სხდომებზე. 12 წევრიდან 6 ნახულობდა, რომ „Такое допущение могло бы неблагоприятно отразиться на народных читальнях некоторых наших окраин, напр., в губерниях Западных, Привислянских, Прибалтийских, Кавказских, в том отношении, что материал для чтения в них легче и прежде всего пополнялся (ы сочинениями на местных инородческих наречиях, и затем уже на языке русском, что нежелательно. Кроме того, при таком допущении могли бы открываться библиотеки с составом книг, хотя и предосудительным по своему содержанию, но исключительно не на русском языке, напр., на языках польском, немецком, армянском и т. п., смотря по местности, что также препятствовало бы укреплению среди туземного населения языка государственного, а наблюдение за читальнями сделалось бы весьма затруднительным“ [50].

---

[49] საქ. ც. არქ. ფ. 107, სერია დ. საქ. № 396 (7166), ფ. 2.

[50] საქ. ც. არქ. ფ. 107, სერია გა. საქ. № 237, ფ. 66.

რომ ბიბლიოთეკებს შეფის მოხელენი მიზნად ადგილობრივ მოსახლეობაში რუსული ენისა და რუსული წიგნის გავრცელებას, ე. ი. რუსიფიკაციას, უსახავდნენ, ჩვენ ამისი მრავალი ფაქტი მოგვეპოვება. დავასახელებთ ერთს:

1896 წლის 24 თებერვალს ოლქის მზრუნველი იანოვსკი სწერდა ქუთაისის გუბ. სკოლათა დირექტორს ლევიტსკის:

„...Следует приложить все старания, чтобы при всех школах Мингрелии были организованы библиотеки из руских книг для чтения учащимися и жителями селений [51].

სამეცნიერო საბჭოს განსაკუთრებული განყოფილების დანარჩენი 6 წევრი ამტკიცებდა, რომ ადგილობრივ ენებზე დაბეჭდილი წიგნები, რა თქმა უნდა, არ უნდა იქნან შეძენილი სახახიო და საერობო ან საქალაქო თანხებით. მაგრამ მათი შეძენის აღკრძალვის საჭიროება კერძო სახსრებით ან საქველმოქმედო თუ სხვა კერძო საზოგადოებათა საფასურით არა სჩანს და არც შეესაბამება ეს კეთილგონიერებასო" [52].

როგორც ზემოდ გვქონდა აღნიშნული, საკითხი სახალხო ბიბლიოთეკებში ადგილობრივ ენებზე დაბეჭდილ გამოცემათა დაშვების შესახებ მიენდო სასწავლო ოლქის უფროსებს. კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებული საბჭო ამ საკითხის შესახებ 1898 წლის 14 ივნისის სხდომაზე ადგენს:

„...Для облегчения надзора за читальнями желательно было бы предложить авторам и издателям, расчитывающим на распространение их изданий в народных библиотеках и читальнях, чтобы не только заглавия их книг, но и весь текст их печатался параллельно на инородческом и на русском языках [53].

ხოლო, რადგან ტექსტის ორ ენაზე დაბეჭდვა სასურველიც რომ ყოფილიყო, შეუძლებელი ხდებოდა ტექნიკური მიზეზებისა და ხარჯების ორმაგად გაზრდის გამო, ამიტომ ქართული წიგნი საქართველოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოებიდან უნდა გაძევებულიყო.

სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნება არ დართო სახალხო ბიბლიოთეკებს ესარგებლათ ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მიერ გამოცემულ კათალოგით [54].

---

[51] იქვე, სერია გ, საქ. № 3126, ფ. 8.

[52] იქვე, საქ. № 237, ფ. 67.

[53] იქვე, სერია გა, საქ. № 71, ფ. 109—110.

[54] იქვე, სერია გა, საქ. № 237, ფ. 78.

მაგრამ მთავრობის დადგენილებანი, სახალხო ბიბლიოთეკების წინააღმდეგ მიმართულნი, დადგენილებებად რჩებოდა, ხოლო სამკითხველოები თანდათან განათლებისა და შეგნების კერად ხდებოდა. სოფლის სამკითხველოები ადგილობრივი ინტელიგენციის მეოხებით მოზრდილთა განათლების ცენტრად იქცა, სადაც მუშავდებოდა სოფლის ახალგაზრდობის ნაციონალური და რევოლუციური შეგნება. სოფლის სამკითხველოების ასეთი მნიშვნელობა არ დარჩა შეუჭნეველი ცარიზმის აგენტებს.

1897 წლის 28 მაისის თარიღით თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორი მოახსენებს ოლქის მზრუნველს: „თბილისის გუბერნიის თითქმის ყველა სამაზრო ქალაქში და მოზრდილ სოფლებში გაფანტულია სახალხო სამკითხველოები, რომელთა გაჰსნის ნებართვას აძლევს გუბერნატორი არა მარტო საქველმოქმედო საზოგადოებებს, არამედ კერძო პირებსაც... სახალხო სამკითხველოები უმეტეს ბედმხვევაში წარმოადგენენ შესაკრებ ადგილს სოფლის ინტელიგენციისა და ნახევრად ინტელიგენტებისათვის, რომელნიც კითხვასთან ერთად ძსჯელობენ ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებათა და ღონისძიებათა მესახებ, სწყვეტენ მიძდიხარე ცხოვრების საკითხებს და აცნობენ ერთმანეთს სხვადასხვა ჟორებს.

ამრიგად, სახალხო სამკითხველოები ახალთაობას აწვდის საკითხავად არა მარტო მავნე მასალას, არამედ წარმოადგენს ჟორებისა და ინტრიგების ადგილს და ხშირად ჰკეტავს ვნებათა ღელას. აღნიშნულ გარემოების მოთქენა მეუძლებელია, ძით უფრო, ვრომ სახალხო ბიბლიოთეკების გამართვის ინიციატორები მის კედლებში სხვადასხვა საშუალებებით იზიდავენ ადგილობრივი სკოლის უფროსი კლასების მოწაფეებს და კეთილდაძთავებულ, ამავე დროს ბავშვებს არა თუ ეძლევათ წიგნები გასუჭკლად, არამედ ისინი ხდებიან უფროსთა საეჭვო შინაარსის საუბრის მამენელებადაც.., სოფ. მეჯვრისხევის სახ. სამკითხველოს ინიციატორები იზიდავენ მის კედლებში ადგილობრივ სკოლის მოხრდილ მოწაფეებს, აძლევენ მათ ხალხე წიგნებს და აკალებენ წაკითხელის შინაარსის ქართულად გადაცემას ძმობლებისათვის". მეზდეკ ძახსენებამი აღნიშნულია, ოთ სკოლის გაძკეს კანელარია და მასწავლებელს მიროწოვს, ქართული ენის ძმკვნიერად მკიდეს, ჩამოერთმევათ წიგნები მოწაფეთათვის და ამას მედეკად მოჰყოლია მიროწოვის გალახვა საჯაროდ ეკლესიის გალავანში ადგილობრივი „ნახევრად ინტელიგენტური" ახალგაზრდობის ძეკ [55].

[55] იქვე, ფ. 107, საქ. № 237, ფ. 10-11; აგრეთვე ფ. 37, საქ. № 1588 ფფ. 1-2, 7.

ცნობილ კონსტ. მაჭავარიანს, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა ინსპექტორობისას, არ დარჩა აღუნიშნავი სამკითხველოების მნიშვნელობა. „წინადადებას ვაძლევთ—სწერდა მაჭავარიანი—I რაიონის (ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრები) ყველა მასწავლებელს—ზუსტად შეასრულონ შემდეგი ნათხოვნილებანი". სულ 34 მუხლისაგან (მასწავლებლებმა მას მაჭავარიანის „34 მცნება" შეარქვეს) შესდგებოდა ეს მოთხოვნილება.

მუხლი 24 ასე იკითხებოდა: „(Учителям) не собираться в бесплатных народных читальнях и библиотеках для рассуждения о высоких материях жизни" [56].

კიდევ ერთ საბუთს მოვიყვან იმის ნათელსაყოფად, თუ რა დანიშნულებას ასრულებდა სოფლად სამკითხველო და თუ როგორი იყო მისდამი ადმინისტრაციის დამოკიდებულება.

1902 წლის 1 ოქტომბერს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სწერს კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველს:

„...При расследовании причин возникшего брожения крестьян Озургетского уезда, выяснилось, между прочим, что подготовкой такового, отчасти, служили народные библиотеки-читальни, состоящие под наблюдением сельских учителей, ибо они, как обнаружилось при проверке, держали в читальнях не только недозволенные для них, но и запрещенные к обращению вообще книги с тенденциозным направлением, содержание которых безусловно оказывает вредное влияние на малограмотную крестьянскую массу. Самые же читальни, не отвечающие требованиям народным, служили местом сборища, так называемой деревенской интеллигенции—недоучившейся молодежи, фельдшеров, сельских адвокатов и пришлых людей, неимеющих определенных занятий, но не крестьян (народа).

В виду изложенного, распоряжением Главноначальствующего закрыты все библиотеки до приведения их в должный порядок [57].

1901 წელს ხონის საოსტატო სემინარიის მოწაფეებმა სემინარიაში გამეფებული რეჟიმისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ ხმა ამოიღეს და პანსიონიდან დემონსტრატიულად წავიდნენ. სკოლის ადმინისტრაციამ მოწაფეთა ასეთი განწყობილების მიზეზად ადგი-

---

[56] იქვე, ფ. 107, სერია დ, საქ. № 953, ფ. 30-31.

[57] იქვე, ფ. 107, საქ., № 7715, ფ. 14.

ლობრივი სამკითხველოს მოწაფეებზე გავლენა დაასახელა, რადგან იქ „მოწაფეებზე გავლენას ახდენდნენ ისეთი პირები, რომელთაც რაიმე სერიოზული საქმე არ გააჩნდათ, ჰორიკანობდნენ, პოლიტიკოსობდნენ, აღვიებდნენ ნაციონალურ საკითხს და მოწყენისა და უსაქმობის გამო მზად იყვნენ ყოველგვარი სიბილწისათვის“ [58]. *

რეაქციის ხანაში ხელისუფლება ბიბლიოთეკების მიმართ იმავე პოლიტიკას აწარმოებდა, რასაც რევოლუციამდე, ამიტომ ამ პერიოდზე აქ არას ვიტყვით.

ზემოთქმულიდან ჩვენ შემდეგი უნდა დავასკვნათ:

1. მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდის მხოლოდ თბილისში მოიპოვებოდა ერთეული ბიბლიოთეკა-სამკითხველოები; ამათში სახაზინო ბიბლიოთეკა თითქმის სრულიად არ უწევდა მომსახურეობას მოსახლეობას, ხოლო კერძო ინიციატივით დაარსებული ბიბლიოთეკები განსაზღვრულ წრეს ემსახურებოდა; მათში ყველაზე დიდი პოპულიარობით თბილისში 70-იან წლებში „ივანოვის ბიბლიოთეკა“ სარგებლობდა, ქუთაისში კი—ანტონ ლორთქიფანიძისა, დაარსებულნი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მიერ.

2. 80-იან წლებიდან სახალხო და სასოფლო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების პოპულარიზაცია და დაარსების საჭიროება წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ და „დროების“ რედაქციამ იკისრეს.

3. 90-იან წლებიდან ჩვენი ქვეყნის დაბა-ქალაქები და მნიშვნელოვანი სოფლები ბიბლიოთეკა-სამკითხველოებით მოიფინა, რომელნიც ხალხის რევოლუციური და ნაციონალური შეგნების კერად გადაიქცნენ.

4. ხელისუფლება კანონმდებლობითა და სხვაგვარი რეპრესიებით ცდილობდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები თავის კონტროლის ქვეშ მოექცია, შეეზღუდა მათი მოქმედების არე და შინაარსი და გაეხადა ისინი ხალხში თვითმპყრობელობის საყრდენად და გამარუსებელი პოლიტიკის გამტარებლად.

---

[58] იქვე, ფ. 107, სერია დ, საქ. № 724, ფ. 40.

* 1905 წლის 2 დეკემბერს რევოლუციის ზეგავლენით შ. ს. მინისტრი დურნოვო სცემს ცირკულიარს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მანამდე არსებული შემზღუდველი კანონების გაუქმების შესახებ (1888 წლის 4/II; 1890 წლის 15/V). (იხ. საქ. ც. არქ. ფ. 37. საქ. № 1588, ფ. 23).

ს. ხუციშვილი და ნ. ტატიშვილი

„საქართველოს მოამბე"

1863

ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია
წინასიტყვაობით, საძიებლებით და შენიშვნებით

ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას,
ვარგოთ და გამოვადგეთ
ილია

1

ჟურნალ „ცისკარს", რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გამოდიოდა, ქართული აზროვნების ისტორიის შესწავლისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მას, თავისი არსებობის ცხრამეტი წლის მანძილზე (1852-1853 და 1857-1875 წწ.) ქართული მწერლობის გამომმზეურებლის როლი ჰქონდა დაკისრებული.

„ცისკარი", რომელსაც პირველ ორ წელიწადს პოეტი-დრამატურგი გიორგი ერისთავი ხელმძღვანელობდა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე რადიკალური აზროვნების მატარებელი, რადგან მას და მის რედაქტორა კრიჭაში ედგა მეფის ცენზურა. შემდეგ, როცა გიორგი ერისთავმა თავი მიანება თბილისს და ქართულ თეატრს, ქართული ჟურნალის გამოცემაც შეწყდა. ჟურნალმა, არსებობის განმავლობაში, ღრმა კვალის დამჩნევა ქართული კულტურის განვითარებაზე ვერ მოახერხა. სულ სხვაგვარი იყო „ცისკარი", რომელიც 1857 წლის იანვრიდან გამოვიდა და რომლის უცვლელი რედაქტორიც გამოცემის შეწყვეტამდე ივანე კერესელიძე იყო. ამ წლიდან დაიწყო მეორე და მეტად საინტერესო პერიოდი „ცისკრის" არსებობისა. მასში თავს იყრიდა თანამედროვე მწერლობა, მასში მონაწილეობდნენ „თერგდალეულები", მასში დაიბეჭდა „რაზნოჩინელის" დანიელ ჭონქაძის მოთხრობა, ლავრენტი არდაზიანის თხზულებები. ამ პერიოდშივეა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა და ის შეჯახება, რომელიც „მამებისა და შვილების" ბრძოლის სახელით არის ცნობილი.

„თერგდალეულებმა“ სამწერლო მოღვაწეობა „ცისკარში“ დაიწყეს. პირველი მათგანი ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც 1857 წლის პირველ ნომერში დაბეჭდა თარგმნილი ლექსი „ჩიტი“, ილია 1857 წლიდან 1861 წლამდე, უფრო თარგმანებით არის წარმოდგენილი, მაგრამ მისი პოეტური თავისებურება, გზა და სურვილი მაშინვე ჩნდება.

ილიას მოღვაწეობის ეს პერიოდი მის რუსეთში ყოფნას ეკუთვნის. რუსეთიდანვე აქვს გამოგზავნილი წერილი „ორიოდე სიტყვა...“, დაბეჭდილი 1861 წლის აპრილის „ცისკარში“. ეს წერილი გახდა გადამწყვეტი და ძირითადი, მასში გამომჟღავნდა ილიას აზრი და მიმართულება, რომელიც რადიკალურად ემიჯნებოდა „ცისკრის“ ტრადიციას.

ილია ჭავჭავაძის პირველმა კრიტიკულმა წერილმა დიდი განგაში გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. მრავალგან არის გარკვეული და გარჩეული ის საკითხები და ის პრინციპული მხარეები, რომელსაც ეყრდნობოდნენ ილიას მოწინააღმდეგენი „ცისკარშიევე“ დასტამბულ წერილებში. მთელი რიგი მოღვაწეებისა გამოვიდა ილიას წინააღმდეგ, მრავალი გულისმომკვლელი სიტყვა ითქვა თუ დაიწერა „ვილაც ჭავჭავაძის“ მიმართ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ახალი მიმართულებისა, რომელსაც სპეციფიკური ბრძოლა მომავალში უნდა გადაეხადა. ილია ჭავჭავაძემ მართლაც შეკრიბა მოწინააღმდეგეთა აზრები, მათი შეცდომანი და იმავე წლის იმავე „ცისკარში“, ივნისის ნომერში დაბეჭდა „პასუხი“, რომელშიც რამდენიმე თეორიული საკითხიც წამოაყენა, კერძოდ ხელოვნებისა, ლიტერატურისა, კრიტიკისა და სხვათა რაობის შესახებ. ლიტერატურის რაობის განხილვისას იგი თვით „ცისკარსაც“ შეეხო და აღნიშნა, რომ „ცისკარი“ არ უპასუხებდა ჟურნალის მოთხოვნილებებს, რომ იგი არ იყო ახალი ადამიანის გონების, გრძნობის, ფიქრის და ჩვეულების გამომსახველი. უფრო გარკვევით წამოაყენა ილიამ დებულება ენის განვითარების საკითხში, იგი ამბობდა, რომ ენა იბადება, იზრდება, ვითარდება, ძველდება. რაც ძველია უნდა მოცილებულ იქნეს, რაც აღარ იხმარება, უნდა ისტორიას ჩაბარდეს. ენის ხმარების საკითხში ილიას ხალხი ჰყავდა მხედველობაში. ხალხი იყო ყოველთვის საზომი ილიასთვის. მასში ხედავდა ძალას და მომავალს, აუცილებელ გამარჯვებას, მასში ეგულებოდა „გვირისტით შეკერილი“ ადამიანები.

ამ წერილით დამთავრდა ილიას მოღვაწეობა „ცისკარში“. რაც შეეხება იმ მღელვარებას, რომელიც ილიას წერილით დაიწყო,

დიდხანს არ შეწყვეტილა და სულ ახალ-ახალი ძალით აწყდებოდა ნაპირებს. იმავე ნომერში (1861 წ. ივნისი) დაიბეჭდა „უსტარი ანტიკრიტიკული“ სარდიონ ალექსეევ-მესხიევისა, შემდეგ წერილები ბარბარე ჯორჯაძისა, ზემოური იმერლის გორისელ ეფთვიმე წერეთლისა, რომელთაც მრავალი პასუხი გამოიწვია ილიას პოზიციების დასაცავად. მაგრამ, ეს უკვე ილიას უშუალო მონაწილეობას სცილდება. შემდეგ უკვე ფართო საზოგადოება ჩაება კამათში. საქმე დაწყებული იყო, ახალი მიმართულება ჩამოყალიბებული და ფრთაასხმული, მისთვის საჭირო იყო სიტყვა, რომელიც საბოლოოდ დათრგუნავდა ძველსა და ხავსმოდებულს, რომელიც ცხოვრებას წინ წასწევდა. ასეთი სიტყვა იყო 1863 წელს ილიას ხელმძღვანელობით გამოსული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

ილიამ და მისმა თანამზრახველებმა ფართე პროგრამა დაისახეს. მათ სურდათ ცხოვრების კანონის თანახმად ძველი დაემარხათ და მის გამოცდილებაზედ, მის მიღწევებზედ აეშენებიათ ახალი, რომლის შექმნასაც თვით განვითარების კანონი კარნახობდა. მართალია ახალმა ჟურნალმა მხოლოდ ერთ წელიწადს იარსება, მაგრამ ამ მოკლე ხანშიც ბევრი რამ შეჰქმნა და ამის გამო ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისთვის მეტად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

ეს ყველაფერი ილია ჭავჭავაძის მეოხებით მოხდა.

2

1862 წელს, ილიამ, მეფის ნაცვალს კავკასიაში (ამ დროს გრ. ორბელიანი იყო დროებით) მისცა თხოვნა ჟურნალის დაარსების ნებართვისთვის. მეფის ნაცვალმა თხოვნა და მასზე დართული ჟურნალის პროგრამა საცენზურო კომიტეტის თანხმობით წარუდგინა კავკასიის კომიტეტს საბოლოო დასკვნისთვის.

მოგვყავს ეს დოკუმენტი მთლიანად:

„Отношение и[сполнители] д[олжности] наместника Кавказского, ген-адют. Орбелиани, к члену Кавказского Комитета, управляющему делами онаго, от 28 февраля 1862 года, № 113.

Кн. Илья Чавчавадзе обратился с просьбою о дозволении ему издавать новый журнал на грузинском языке под заглавием „Грузинский Вестник“.

Кавказский цензурный комитет, разсмотрев и одобрив представленную кн. Чавчавадзе программу этого журнала, испрашивает разрешения на издание онаго.

Вследствие сего и на основании 16 и 138 ст. XIV т. Св. Зак. уст. о ценз., разрешив издание в Тифлисе означеннаго грузинскаго журна-

ка по представленной издателем программе с тем, чтобы в нем не помещалось никаких политических известий и разсуждений, я имею честь уведомить об этом в. пр. препровождая при сем и копию с программы"[1].

ჟურნალის პროგრამა არქეოგრაფიული კომისიის აქტების მიხედვით შვიდი ნაწილისაგან შესდგება: წმიდა ლიტერატურული, ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიური და სასოფლო-სამეურნეო, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, იუმორისტული ნარევი და დამატება.

ილიამ ამ თხოვნის საფუძველზე ჟურნალის გამოცემის ნებართვა მიიღო და რადგან მაშინ ერთადერთი ქართული ბეჭდვითი ორგანო „ცისკარი" იყო, მასში მოათავსა კიდეც განცხადება, რომელიც დაიბეჭდა 1862 წლის ოქტომბრის „ცისკარში", გვ. 189-190. პროგრამაში, წინააღმდეგ რუსული ტექსტისა, რომელიც „აქტებში" დაიბეჭდა, რამდენიმე ცვლილება იყო:

„მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდგან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე".

ამ ჟურნალში მთელის წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები:

1. წმინდა სალიტერატურო: ლექსები, მოთხრობაები, დრამები, კომედიები, ნამდვილები და ნათარგმანები.

2. ისტორიული: საზოგადო ისტორია; განსაკუთრებითი ყურადღება მიექცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ.

3. საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომია: აქ ვეცდებით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმოდენად, რამოდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს.

4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: აქ განირჩევიან უცხო ენებზედ დაწერილი თხზულებაები და ქართული წიგნები.

5. სხვა და სხვა ამბავი.

6. დამატება: ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი ქართული თხზულებაები, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარგმნილი რომანები.

ამ პროგრამმას ამ ჟამად აღარაფერს არ ვუმატებთ; რაც შეეხება ჟურნალის ხასიათსა და მიმართულებასა, იმაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩიეთ, რომ თითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული

[1] Акты... ტ. XII, გვ. 238.

გზა. ეს ემსახობინება ყოველ წინა-სიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ; ამისთვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულ წრფელია და ჰეშმარიტი, და, თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისიც კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც კი შევიძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზე ჰკიდია.

ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლაოზ ღოღობერიძემ, სხვა და სხვა ამბაჲისა უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლიურ ეკონომიისა უფ. ივანე სერებრიაკოვმა.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თვე და თვე გამოა სივრცით შვიდ თაბახიდამ, ათამდე, ანუ 112 გვ. 160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ტფილისში, გალავინის პროსპექტზედ, თ. ივანე მუხრანსკის სახლებში № 26.

ილია ჭავჭავაძე

რედაქტორი „საქართველოს მოამბისა“.

ჟურნ. „ცისკარი“ მისი რედაქტორის, ივანე კერესელიძის პირით, სიხარულს გამოსთქვამდა, რომ ქართულ ენაზე ახალი ჟურნალი არსდებოდა. ამ პროგრამას კერესელიძემ შემდეგი წინასიტყვაობა წარუმძღვარა: „ვახარებთ ჩუენის „ცისკრის“ მკითხველთა და ყოველს ქართველს, ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო ენა, რომ მომავალის წლის იანვრიდგან, გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.—დარწმუნებული ვართ ჩუენი „ცისკრის“ მკითხველნი მიიღებენ გულმხურვალედ მონაწილეობასა ამ საზოგადოდ სასარგებლო საქმეში, ამასთანავე ვბეჭდავთ ახალის რედაქციის გამოცემულს პროგრამმასა“-ო.

განცხადება ჟურნალის გამოსვლის შესახებ ილიას გაზ. „Кавказ“-ის საშუალებითაც დაუგზავნია, ოღონდ ამ რუსული გაზეთისთვის ქართულად დაბეჭდილი ფურცლები გაუტანებია. ამის შესახებ იყო, რომ „Кавказ“-ის გამოხმაურებაში ნიკოლოზ ბერძნიშვილი წერდა: „Будущий 1863 год сулит нам новое периодическое издание на грузинском языке. Мы разумеем журнал „Грузинский Вестник“, программа котораго была разослана при одном из недав-

них нумеров нашей газеты... На сей раз спешим познакомить большинство наших читателей с его программою, тем более, что в отдельной разсылке она была только на грузинском языке“ [1].

ილიამ ჟურნალის გამოცემისთვის სამზადისი დაიწყო. შემოიკრიბა თანამშრომელთა და რედაქციის მუშაკთა ჯგუფი, დასდო ხელშეკრულება 1860 წელს დაარსებულს ენფიაჯიანცის და როტინოვის სტამბასთან, რომელიც 1863 წელს გაბრიელ მელქუმიანს და ამბარცუმ ენფიაჯიანცს ეკუთვნოდა და შეუდგა მუშაობას. მთავარი რედაქტორი თვითონ ილია იყო, ხოლო მუშაობის სიადვილისა და საქმის უკეთ წარმართვისთვის, ისტორიული ნაწილის რედაქტორობა ჩააბარა ნიკოლოზ ღოღობერიძეს [2], სხვა და სხვა ამბებისა დავით ყიფიანს, ხოლო „საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომიისა“ ივანე სერებრიაკოვს [3].

ამგვარად ჟურნალის დაარსებისთვის ყოველგვარი პირობა უკვე იყო, პირველი ნომრისთვის მასალები დამზადდა, შეიკრიბა და 1863 წლის 12 იანვარს, საცენზურო კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში მაშინ შედიოდნენ: თავმჯდომარედ действительный статский советник-ი ალექსი პეტრეს ძე მაქსიმოვი, ხოლო ცენზორებად ივანე ლაზარეს ძე ყაითმაზოვი (გარდ. 1872 წ. ეს ყაითმაზოვი ჯერ კიდევ 1852 წელს „ცისკარს“ ცენზორობდა, მაშინ ის იყო исправляющий должность цензора) და დიმიტრი ილიას-ძე კოვალენსკი [4], ნება დართო ჟურნალს დაბეჭდვისთვის.

ცენზორის ნებართვის მიღების შემდეგ გავიდა ერთი თვე და „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა. იანვრის წიგნი ხელის მომწერლებმა მიიღეს თებერვლის შუა რიცხვებში. „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის გამოსვლის შესახებ „ცისკარმა“ თებერვლის ნომერში („ცისკარს“ ცენზურის ვიზა 13 მარტს მიეცა), „ტფილი-

---

[1] Кавказ, 1862, № 83.

[2] ნიკოლოზ ღოღობერიძე დაიბადა 1838 წ., დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. აქტიური მონაწილე იყო 1861 წლის სტუდენტთა აჯანყებისა (იხ. ნ. ნიკოლაძე—„მოგონებანი სამოციან წლებზე“). მისი მეთაურობით და მონაწილეობით მრავალი კულტურული საქმე გაკეთდა საქართველოში. გარდ. 1911 წ.

[3] ივანე ლაზარეს ძე სერებრიაკოვი (ოქროშვედლიშვილი), სპეციალობით აგრონომი იყო, იგი თანამშრომლობდა „ცისკრის“ დამატება—„გუთნის დედაში“ (გამოდიოდა 1862 წლიდან). სერებრიაკოვი გარდაიცვალა 1898 წელს, აგვისტოს 10-ს.

[4] Кавказский календарь на 1863 г. გვ. 142.

სის მიმოხილვაში" დიდი ადგილი დაუთმო ამ საინტერესო ფაქტს. „პირველს დიდმარხვის კვირას გამოვიდა დიდის ხნითგან მოუთმენლივ მოსალოდნელი „საქართველოს მოამბე". მართლად და, რომ იტყვიან გული დატკბაო,—იამა ყოველს ქართველს, ვისაც კი აქუს მცირედიცარი გრძნობა და უყვარს თავისი სამშობლო ენა; ეხლა შეგვიძლიან გაბედვითა ვსთქუათ ჩუენც ხალხში ურევივართო. ერთს ჟურნალს ნაცვლად ორი და სამი გვაქუს, თუ არ შეაქციეს ქართველებმა ზურგი და გაიტანეს ყველასა გვმართებს, ვისაც ესმის თავის თავის მოვალეობა შევეწევოდეთ რაც რამ ღონე და ძალი მოგვდევს. ნუ ვიტყვით „ცისკარი" მოგვდის და „მოანბე" რა საჭიროაო. ამ აზრით ჩუენ ვერასოდეს წინ ვერ წავალთ, ერთიც და მეორეც მამულს მსახურებენ; ერთიცა და მეორეც ცდილობენ ერთობას, სიყუარულს და ურთიერთის თანხმობას, გავრცელებასა. რა უყოთ თუ თქუა რამე ცისკარზედა, სიყმაწვილეს მიეწერება, როდესაც დამწიფდება მაშინ სულ სხუა აზრისა იქნება"-ო. ასე მიესალმა ძველი „ცისკარი" ყმაწვილ „საქართველოს მოამბეს".

როგორც „ცისკრის" ცნობიდ ნა ჩანს, „საქ. მოამბეს" პირველი ნომერი გამოსულა „პირველ დიდ მარხვის კვირას", ეს კვირა კი იმ წელიწადს ყოფილა 11-17 თებერვალს[1].

ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის შესახებ ცნობები მოცემული აქვთ აგრეთვე გრ. ყიფშიძეს და დავ. კარიჭაშვილს. გრ. ყიფშიძემ 1901 წელს დაბეჭდა წიგნი „Периодическая печать на Кавказе", სადაც განყოფილებაში Краткий обзор грузинской периодической печати, 30-31 გვერდზე „საქ. მოამბის" შესახებ წერდა: Сакартвелос Моамбе, ежемесячный литературно-политический журнал, издававшийся в г. Тифлисе в 1863 году с марта месяца-ო, ხოლო დავ. კარიჭაშვილს ნათქვამი აქვს: ეს ჟურნალი საკმაოდ მოზრდილის ტანისა იყო და თავ-თავის დროზე გამოდიოდაო[2]. მაგრამ არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის, ჟურნალი თავ-თავის დროზე არ გამოსულა. ამის შესახებ თვით ილია აცხადებდა „საქ. მოამბეში", საბოდიშო სარედაქციო შენიშვნაში. „ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ პირველმა ნომერმა ასე დაიგვიანა. ჩვენი ბრალი არ არის ეგა. უფ. ენფიაჯიანცმა, რომელსაც ჩვენ წერილით შევეკარით, რომ სტამბა უნდა მზათა ჰქონოდა პირველს ნოემბრამდე (1862 წელს—ს. ხ.), ვერ აგვისრულა

[1] Кавк. кал. на 1863 г. გვ. 30.

[2] წიგნის მეგობარი, 1925, № 1-2.

პირობა. ნოემბრის მაგიერ, თორმეტს იანვარს მოუვიდა პეტერბურგიდამ ასო და მეორე დღესვე დავიწყეთ ბეჭდვა; ასე აეჩქარდით, რომ შიგა და შიგ კორექტურის შეცდომებიც გამოგვერიცა და „დამატებისთვისაც“ ამ ნომერში თავი უნდა დაგვენებებინა. რაკი პირველმა ნომერმა ასე დაიგვიანა, ცხადია რომ ამის გამო, დანარჩენი ნომრებიც დაიგვიანებენ. ჩვენ, რასაკვირველია, ვეცდებით, დაკარგული დრო დავიბრუნოთ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მაინც ჟურნალი თვის დროზე გამოდიოდეს“-ო—წერდა ილია [1].

გაბრიელ ენფიაჯიანცის მიერ შრიფტის მიღებისავე დღეს 12 იანვარს ცენზორსაც ნება დაურთავს და 13 იანვრიდან შესდგომიან ბეჭდვას, ხოლო თებერვლის შუა რიცხვებში ახლად გამოსული ჟურნალის შესახებ „ცისკარი“ უკვე ცნობებს იძლევა.

საინტერესოა ავრეთვე, თუ რა ტირაჟით გამოდიოდა „საქ. მოამბე“. „ცისკარს“ და ზოგიერთ სხვა წიგნებსაც წესადა ჰქონდათ დაბეჭდვა ხელისმომწერთა სიებისა, რაც, აუცილებლად, ძვირფასი ბიბლიოგრაფიულ-ლიტერატურული მასალაა. ამით შესაძლებელი ხდება გამორკვეულ იქნეს დაახლოვებითი ტირაჟი ამა თუ იმ წლის ჟურნალისა თუ წიგნისა. „საქ. მოამბეს“ ასეთი სია არ დაუბეჭდია არც ერთ ნომერში. ამის შესახებ მხოლოდ ერთი ცნობა შეძოუნახავს გრ. ყიფშიძეს, რომელიც დაახლოვებით არკვევს ჟურნალის ტირაჟს. „Журнал этот,—წერს გრ. ყიფშიძე,—просуществовал недолго и в том-же году прекратил свое существование, несмотря на большое для того времени количество подписчиков, что-то около 500 человек“ [2].

ეს რიცხვი, შედარებით თანამედროვე ტირაჟებთან, მეტად უბადრუკია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი მეორე ჟურნალის ტირაჟს, მასთან შედარებით დიდი მოგვეჩვენება.

ამის საილუსტრაციოდ საყურადღებოა ივანე კეკელიძის წერილი რაფიელ ერისთავისადმი მიწერილი 1862 წლის 27 დეკემბერს: „...ყოველს ფეხის გადადგმაზე მემტერებიან და უნდათ ჩემი წახდენა და დაცემა. ბევრი ხელის მომწერინა ჰყვანან, ყველგან კაცები ჰყვანან დაჭერილნი. ჯერ ოთხასამდინ ასულა და ჩემი ასამდინ ძლივს არის“-ო [3].

---

[1] საქ. მოამბე № 1—„რედაქციისაგან“.

[2] Периодическая печать на Кавказе, გვ. 30.

[3] ივ. კერესელიძის წერილები—„ლიტერატურული მემკვიდრეობა“, უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ.

საინტერესოა ავრეთვე ჟურნალის გავრცელებაც. ივანე კერესელიძეც და ილიაც ნაცნობების საშუალებით ავრცელებდნენ ჟურნალს. თუ კერესელიძეს თავისებურ აგენტად დასავლეთ საქართველოში რაფიელ ერისთავი ჰყავდა, ილიას ჟურნალისთვისაც ყოფილან გამავრცელებლები. ივ. კერესელიძე სწერს რაფიელ ერისთავს: „მე იმასა გთხოვ, ეგები ქუთაისში ნაცნობი ვინმე გყავდეს დაგვეხმაროს ხელის მოწერთაგვის... ილია მამაცაშვილი და გ. ლოლობერიძე ქუთაისში ძლიერა ცდილობენ ჰავჰავაძისათვის. ჯერ ორმოცი თუმანი გამოუგზავნიათ. ან კიდევ გურიაში შემეწივნეთ, ახლა დიდი დამოკიდებულება გექნება“-ო[1].

„საქ. მოამბეს“ „ცისკართან“ შედარებით კარგი პირობები შეექმნა. ივანე კერესელიძე გულმოკლულია, რადგან მას ხშირად „ზოგი ხელის მომწერნი „ცისკრის“ ფულში ფქვილს, ხორბალს, ღვინოს, შეშას, ნახშირს და ამ გვარებს იძლეოდნენო. ზოგი ცხვარს, თხას, ქათამს გზავნიდა, ზოგი ძროხას“ და სხვა[2]. „საქ. მოამბეზე“ ხელისმომწერთა რიცხვი კი ჯერ კიდევ 1862 წლის დეკემბერში ოთხასს ასცილებია.

ივანე კერესელიძე თავისი ჟურნალის რედაქტორიც იყო, ასოთამწყობიც, ზოგჯერ მპეჭდავიც, გამავრცელებელიც და კორექტორიც. ილიას შედარებით კარგად ჰქონდა საქმე. გიორგი წერეთელი 1897 წელს წერდა: „ჟურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკეთესო მწერლებმა, სხვათა შორის, დიმიტრი ყიფიანმა, გრ. ორბელიანმა, გიორგი ერისთავმა (გლუხარიჩმა), მიხეილ ყიფიანმა, დავით ყიფიანმა, ვახტანგ თულაშვილმა, გიორგი ჩიქოვანმა და ივანე ბერიძემ, კორექტორათ იყო ღემნაზიის ახალი კურს დამთავრებული პეტრე უმიკაშვილი“-ო[3].

ზაქარია ჭიჭინაძე „ქართული სტამბების ისტორიაში“ წერდა, რომ „საქ. მოამბე“ დღევანდელი „მოამბის“ (გამოდიოდა 1894-1905 წწ.) ფერისა და ზომისა იყოო. ფერით მართალია ის ჟურნალები ჰგავდნენ ერთმანეთს, იმ ჟურნალების გარეკანი ყოველთვის ერთ, ნაცრისფერ ქაღალდზე ბეჭდებოდა, ოღონდ ზომით „საქ. მოამბე“ სჭარ-

---

[1] ibid.

[2] „ივანე ივანეს ძე კერესელიძე“ ხ. ჭიჭინაძისა; ავრ. „ქართული სტამბები. ბი,..“ მისივე, გვ. 174.

[3] კვალი, 1897, № 46—„კ. აბაშიძე და ჩვენი ახალგახრდობა“; ფ. გოგიჩაიშვილს (პეტრე უმიკაშვილი—სალხური პოეზია, ბიოგრაფია) და ს. ხუნდაძეს (გ. წერეთელი—რჩეული ნაწერები, I. შენიშვნები) აქედანა აქვთ ნასარგებლი.

ბობდა „მოამბეს“. ჟურნალის ზომა პირველიდან მეთორმეტე ნომრამდე არ დარღვეულა, იგი უდრიდა 17×26 sm., ანაწყობი-კი 9,5×20 sm-იან ჩარჩოში იყო მოთავსებული. ქაღალდის ზომა 33×52 sm-ია და სიგნატურის ნიშანიც თითეულ 8 გვერდს უზის. ჟურნალის დასახელება („საქართველოს მოამბე“), როგორც გარეკანზე, ისე სატიტულო ფურცელზე კლიშეთია დაბეჭდილი. გარეკანზე გარდა დასახელებისა მოცემულია თარიღი, გამოსვლის წელი და ადგილი და სტამბის მეპატრონეთა გვარი და სახელი. გარეკანის მეორე გვერდზე ყველა ნომრებში იბეჭდებოდა ნომრის შინაარსი, მესამე გვერდი თავისუფალია, ხოლო მეოთხე გვერდზე ყველა ნომერს აწერია: „ჟურნალი საქართველოს მოამბე თვე და თვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ.—160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზე მეტიც. ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, კომენდანტის ქუჩაზედ, ქანანოვის სახლებში. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმორჩილესად ვსთხოვთ ამ რუსული ადრესით გამოგზავნონ: В редакцию грузинскаго журнала Грузинский Вестник“. მარტის ნომრიდან მეოთხე გვერდის ტექსტი ერთგან შეცვლილია: „ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში კომენდანტის ქუჩაზედ, კნ. საგარსამიძის სახლებშიო“. ივლისის ნომრიდან გარეკანის ამ ტექსტს ემატება ცენზურის ვიზაც, რომელიც აქამდე სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე იბეჭდებოდა. ივლისის ნომერში ეს ვიზა დაბეჭდილი ყოფილა ჟურნალის 96-ე გვერდზე, მაგრამ მისთვის ქაღალდი დაუწებებიათ და გარეკანის მეოთხე გვერდზეც დაწებებული ქაღალდით არის აღნიშნული: Дозволено цензурою 22 августа 1863 года.

ცენზორის ვიზა იანვრის ნომერს იმ თვის 12 რიცხვის თარიღით აზის, თებერვლისას—28 თებერვალი, მარტისას, აპრილისას და მაისისას 30 მაისი, ივნისისას—22 ივლისი, ივლისისას—22 აგვისტო, აგვისტოსას—14 სექტემბერი, სექტემბრისას და ოქტომბრისას—19 ოქტომბერი, ნოემბრისას—19 დეკემბერი და დეკემბრისას—31 დეკემბერი. მთელი წლის ჟურნალი გარდა თვიური დაყოფისა, დაყოფილია ტომებად. პირველ ტომში შესულია: იანვარი, თებერვალი და მარტი, მეორეში: აპრილი, მაისი, ივნისი და ივლისი; მესამეში—აგვისტოდან წლის ბოლომდე. პირველი ტომის საერთო სარჩევი დართული აქვს მარტის ნომერს, მეორე ტომისა აგ-

ვისტოს ნომერს, მესამე ტომისა-კი დეკემბერში აღარ არის დაბეჭდილი, ალბად შემდეგისთვის იყო გადადებული. შეცდომების გასწორება დართული აქვს ტომების უკანასკნელ ჟურნალებს.

თავფურცელი ყველა ნომრებს ერთნაირი აქვთ: „საქართველოს მოამბე, სალიტერატურო ჟურნალი გამოიცემის ი. ჭავჭავაძისაგან". ასევე ყველა ნომერსა აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული: „ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი დაჩჩვიან და გამოეალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული". თავისი მნიშვნელობით ეპიგრაფი ღრმა აზროვანია და სრულიად უპასუხებს იმ იდეათა სიახლეს, რომლითაც „საქართველოს მოამბე" მოვიდა ქართული აზროვნების ისტორიაში.

3

ახალი ჟურნალის გამოცემა საქართველოში პროგრესულად მოაზროვნე თაობისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, ამით ამ თაობას საშუალება ეძლეოდა სამუდამოდ თავი დაენებებია „ცისკრისთვის" და საკუთარი ორგანოდან წარმოეთქვა ის სურვილები, რითაც იგი იყო გაჟღენთილი რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლის პერიოდში. ახალთაობის ჟურნალი უნდა გამხდარიყო ტრიბუნად, საიდანაც „თერგდალეულები" შეიძლებდნენ თავისუფლად ლაპარაკს ძველი ცხოვრების მოდუნებულებისა, მისი უვარგისობისა და უარყოფის შესახებ. ხოლო, რადგან მათი მიზანი ფართე საზოგადოების გათვითცნობიერება იყო, ამისთვის „საქ. მოამბის" რედაქტორმა საპროგრამო წერილში გამოსთქვა არა მარტო საკუთარი, არამედ აზრი თაობისა. ხალხისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი, მისთვის საინტერესო და აუცილებელი ისეთ ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი, როგორსაც ორიოდე წლის წინ იღია იცავდა და რომელიც თავისი ჟურნალიდან პრიორიტეტის მქონედ გამოაცხადა. ეროვნული თვითშეგნებისა და გრძნობის გამოფხიზლებისთვის ამ თაობას ბრძოლა სჭირდებოდა და ისიც, ახალგაზრდული ენერგიით და დიდი მონდომებით შეუდგა დიდმნიშვნელოვან, იმ დროისთვის მეტად მძიმე საქმეს. ქართველი ხალხის მთლიანობის შექმნა იყო მთავარი, რომელსაც სხვა ბევრი საჭირბოროტო საკითხი მოსდევდა გადასაწყვეტად. ეპოქა-კი მეტად სერიოზული იყო. რუსეთში საგლეხო რეფორმის გამოცხადება და მისგან გამოწვეული პერტურბაციები მიმდინარეობდა, საქართველოშიც დღედღეზე ელოდნენ ასეთსავე რეფორმებს, რომელსაც უნდა ადამიანის

პიროვნების შელახვა აღეკვეთა. რუსი პოეტი მშვენივრად გამოხატავს მაშინდელ რაობას მონარქიული რუსეთისას:

Тяжкий крест несем мы, братья,
Мысль убита, рот зажат.
В глубине души проклятья,
Слезы на сердце кипят...
Нет в тебе добра и мира
Царство скорби и цепей,
Царство взяток и мундира,
Царство палок и плетей [1].

მაგრამ ეს ხომ მხოლოდ რუსეთის სურათი არ იყო, ეს იყო სურათი მთელი იმპერიისა, რომელიც მოსახლეობას საშინელ ტვირთად აწვა თავისი აპარატით, ჩინოვნიკებით, ბატონყმობით, უდიერობით და უწესოებით. არა ნაკლებად არის დახატული ქართველი მოსახლეობის უმრავლესობის სიდუხჭირე ილიას თხზულებებში:

მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰხრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება;
ვერა გაჰკუთხოს მან მონის წყლული,
ვიცც მოხებას თვით ემორჩილება.

მათრახი, ჯოხი, ქრთამი, მუნდირი—ეს საერთო იყო ყველასთვის. „ცისკარი“ კი მაინც ღალადებდა, რომ ბატონყმობას არას დროს არა ჰქონია მძვინვარე სახე, არ ყოფილა ჩაგვრა ერთისაგან მეორესიო. საჭირო იყო მედგარი ბრძოლა, დამტკიცება სიყალბისა მაგალითებით, საბუთებით, საჭირო იყო დარბეულთა და დამცირებულთა თვითმეგნების გაღვიძება, ადამიანური და ეროვნული სახის გამორკვევა. „თერგდალეულებს“ ერთ-ერთ საშუალებად ხალხის გასათვითცნობიერებლად ძიაჩნდათ ქუთაისი, რომელიც გასაგები იქნებოდა ხალხიათვის, „თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს“-ო, ამბობდნენ ისინი და ამისთვის „საქართველოს მოამბეს“ დაპვალეს, რათა მას შესძლებოდა „გააადვილოს მეცნიერებისა და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასთვის, მათგან დამუშავებული ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხში. ამ გვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიც

[1] ი. ნიკიტინის უსათაურო ლექსი.

ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან „საზოგადო ჟურნალი". ეი რა რიგ საჭიროებისთვის ვსიტყვით ჩვენს „საქართველოს მოამბესა"-ო[1]!

დავალება ძლიერ დიდი ჰქონდა ჟურნალს, იგი თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობაში უნდა მდგარიყო, ყველაფრისთვის თვალი შეესწრო, აეწონ-დაეწონა, საკეთილო საბოროტოსაგან გაერჩია და ასე გაორჩეული მიეწოდებია მკითხველისთვის გასასჯელად. ამ გზაზე ჟურნალს ორი ლაბირინთი უნდა ჰქონოდა. მეცნიერების სიხათლე და ხელოვნების კალაპოტი — წერდა ილია. ხოლო მეცნიერებისა და ხელოვნების გაერთიანება იმავე წერილში ილიამ სრულიად სწორად განსაზღვრა: მეცნიერებას პირველი მოსახმარი უნდა ყოფილიყო ადამიანისათვის, „მეცნიერებამ უნდა გვიჩვენოს თავისი გამოცხობილ ქუდმაღლებაისით ცხოვრების ასხა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა". მეცნიერება უნდა ცდილობდეს, რომ ყველა იყოს გაძოყვებული სიხაზდვილის გამოსაცნობად, ოღონდ ეს ცდა თავისი აზრიანი მოსახმაროს კაცობრიობის კეთილდღეობას. ასეთივე დანიშნულება უნდა იყოს ხელოვნებაც, რომელიც მეცნიერების ძირო ამოხსნილ საკითხებს ალამაზებს გასავრცელებლად ადამიანური სიტყვის თუ სხვა საშუალებებით, ხელოვნებასაც მეცნიერებასავით ეროვნული დიდი საქმიანობა პქონდა დაკისრებული. ხელოვნება ხელოვნებისთვის ალარ გამოდგებოდა, პირიქით, საჭირო იყო ძიება ცხოვრების სიღრმეში შესვლა, იქიდან ამოღების გაშუქება და ამ ამოღების მოსახმაროდ გადაქცევა. სრულიად გაორკეცულად იქნა გაცხადებული: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგანო ლაქუნას და თავისების სრესას, ეგეც ცოტა მოიშიდოს".

ეს იდეები და მისწრაფებანი მხოლოდ მაშინ განხორციელდებოდა, თუ ცხოვრება მეიცნებოდა და ის ქაოსი, რომელიც სულისა და გულის მოშფუთნელი იყო, მოისპობოდა. ცხოვრების ცვალებადობის აუცილებლობა გაცხადებული და დამტკიცება იყო საჭირო და „თეოგდალეულება" მეძლია ყველა გასაგებად ეთქვათ, რომ ის, რაც ამოსწობოს, აუცილებლად გაიცდის ცვლილებას, საერთო, ბუნების უცვლელ კანონს ეპოჩილება. ასეთი კატეგორია იყო ცხოვრებაც. ეს შეხედულება ბუნებისმეტყველების მეცნიერებით განმტკიცებული, მიყენებული ჰქონდა ჩვენებურ ყოფას და ამით ახალი თაობა მცველა აჩვენებდა ძველი ცხოვრების მოძველებას, უნა-

[1] „საქართველოს მოამბეზედ".

ყოფობას და სიკვდილის აუცილებლობას, ამაში გამოჩნდა „თერგდალეულების“ გონების სიღრმე. ამაში გამოჩნდა მათი მიმდევრობა სიახლისადმი, რომელიც ლიტერატურაში რეალიზმს, ხოლო ფილოსოფიაში მატერიალიზმს მოითხოვდა. ილიაც განსაკუთრებით თავგამოდებით იცავდა პრინციპს ლიტერატურაში რეალიზმის დამყარებისა.

ძველ ცხოვრებასთან ერთად ძველი თაობაც უნდა გარდასულიყო თავისი აზრებითა და შეხედულებებით. ახალს უნდა მოჰყოლოდა ახალი შეხედულებანი, ახალი იდეოლოგია, რომელიც, წინააღმდეგ ფეოდალურისა, ახალი ინტერესების დამცველი იქნებოდა. ფეოდალიზმის ნაშთებზე ახალი ეკონომიური უოთიერთობა ფუძნდებოდა და ეს იყო ის ცვლილება, რომელსაც „მამათა“ ბანაკი აფორიაქებული უცქერდა, თუჰცა პოზიციებს მაინც თავგამოდებით იცავდა. „თერგდალეულები“, ახალი ურთიერთობის გამარჯვების მტკიცედ მორწმუნენი, ამბობდნენ: „რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუ კი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწას, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზე უფრო დაშვენებული და ძლიერი“-ო[1].

ამ იმედის გამომხატველი იყო ეპიგრაფიც, რომელიც „თერგდალეულთა“ ჟურნალს უძღვებოდა, „რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული“. ამ ზაფხულისთვის ბრძოლა იყო „საქართველოს მოამბეს“ არსებობაც.

„თერგდალეულებს“ რამდენიმე კარდინალური საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი, უმთავრესი-კი იყო ეროვნული საკითხი, საკითხი საქართველოს მთლიანი სახის აღდგენისა. მიუხედავად იმისა, რომ ამაეე საკითხის შესახებ ზოგჯერ „ცისკარშიც“ გაისმოდა ხმა, „მამებსა და შვილებს“ შორის განსხვავება ერთობ დიდი იყო.

„საქართველოს მოამბეში“ დროისა და პირობების გამო ახდილად არ შეიძლებოდა ლაპარაკი საქართველოს ნაციონალური განთავისუფლების შესახებ, ამისთვის მისი რედაქცია სხვაგვარ საშუალებებს ეძიმართავდა ეროვნული გრძნობის გაღვივებისთვის. თუ „თერგდალეულებმა“ ამ საკითხის ირგვლივ პირდაპირი აზრების გამოთქმა მხატვრული სიტყვის საშუალებით შესძლეს, მოხვეული გზებით საჟურნალო წერილებშიც ახერხებდნენ ამას, ოღონდ მაგალითისთვის უცხო ქვეყნები ჰქონდათ აღებული, განსაკუთრებით იტალია და პოლონეთი.

---

[1] „საქართველოს მოამბეზედ“.

დობროლუბოვის წერილის თარგმანის დაბეჭდვა „საქ. მოამბეში“ იყო ჭადაგება კერპების წინააღმდეგ ბრძოლისა, გარიბალდის კეთილშობილ აზრების შესახებ და სხვ. ასეთი ვრცელი წერილის დაწერა ჟურნალში გავაცცისა და გარიბალდის მოღვაწეობის შესახებ. იმ დიდ სურვილს და სიმპატიებს აცხადებდა, რომლითაც თვით „თერგდალეულები“ იყვნენ გამსჭვალულნი. პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები“ მოწერილი ვარშავიდან, ეხებოდა პოლონელების ბრძოლას. „საქ. მოამბის“ სიმპატიები მათკენ იყო მიქცეული, აჯანყებული ხალხის ბედით დაინტერესება, რამდენადაც ჟურნალს ცენზურა შესაძლებლობას აძლევდა, ყოველთვის იყო გამოტანილი ჟურნალის ფურცლებზე. ამგვარ აზრების გატარებას, ჭადაგებას ერთობისას, განსაკუთრებით ქართველთა ერთობისას, არა სპეციალურ წერილებშიც ატარებდნენ ამ ჟურნალის ავტორები. „საზოგადოდ ერთობა, მეტადრე ხალხის ერთობა და კიდევ განსაკუთრებით ქართველების ერთობა, მეცხრამეტე საუკუნის უმთავრესი მოთხოვნილება არის ჩვენგან, რომლის აღსრულებასაც ყოველიე ღონისძიებით უნდა ვემსახუროთ. ჩვენს დროში ეს სიტყვა „ერთობა“ ჩაინთქავს თავის მნიშვნელობაში ყოველ კეთილსა, რაც კი კერძოობით კაცსა, თუ ხალხსა საზოგადოდ ღირსებად მიეწერება“-ო, წერდა დავით ყიფიანი „გრამატიკის შესამუშავებელ მასალებში“ [1].

პიროვნების განთავისუფლების სურვილი, სწრაფვა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისკენ, კლასიკურად თვით ილიამ გამოხატა „აჩრდილში“. პიროვნების განთავისუფლებისთვის ბრძოლის გამოძახილია და „თერგდალეულთა“ მისწრაფებაა გამოხატული ამ ქვეყნად შრომის სუფევის დამყარებისა და აწ მონად ქცეული ადამიანის შრომის შვილად გახდომის შესახებ.

„აჩრდილში“ ილიამ თანასწორობის და ერთიანობის იდეა გამოსთქვა და იგი მისი თაობის მისწრაფებაც იყო. ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ მეტად ძლიერი ნაწარმოებები დაიწერა „თერგდალეულთა“ მიერ. თვით ილიამ ამ ჟურნალში დაიწყო ბეჭდვა „გლახის ნაამბობისა“, „კაკო ყაჩაღისა“ (რომელსაც „საქ. მოამბეში“ „ერთი მოთხრობის დასაწყისი“ ჰქვია). მხატვრული სიტყვით საკმაოდ ნათლად იყო ეს მომენტი გაშუქებული, მაგრამ არა ნაკლები ძალის მქონე იყო წერილთა ის წყებაც, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. თვით საპროგრამო წერილში ილია „ჩვენი ცხოვრების პუპქზე“ ლაპარაკობდა, რომლის ქვეშაც ბატონ-

[1] საქართველოს მოამბე, № 3, გვ. 76.

ყმობა არის წარულისხმევი. სიტყვა „ბატონყმობის“ ხმარება, მიუხედავად რუსეთში ჯერ ჩატარებული რეფორმისა, საჩოთირო იყო მაშინდელი ხელისუფლებისათვის. ამის გამო წერილებშიც ერიდებოდნენ პირდაპირ მასზე ლაპარაკს, მაგრამ დაუსახელებლადაც იყო ხოლმე მოყვანილი მაგალითები და ლაპარაკი ბატონყმობის უდიერობაზე.

ასე მაგ., „სხვა და სხვა ამბებში“ დაბეჭდილ ყიფიანი შემდეგსა წერდა: „მე რომ ეხლა ოვერსუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხელრიანი შრომა ცხადია, არ შემეძლებოდა“-ო. თავისუფალი, ურთიერთ შეთანხმებაზე დამყარებული შრომა არის მისწრაფების საგანი, საზოგადოების გამჯანსაღებელი და გამაცხოველებელი, რადგან „თუ საზოგადოებაში ყოველი იმის წევრი ნაყოფიერათა შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შევა“. ეს აზრი გაგრძელებაა იმისა, რაც ილიამ ჯერ კიდევ „აჩრდილში“ გამოთქვა. მაგრამ უფრო მძლავრად ეს საკითხები, თუმცა არა უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებით, განხილული იყო სხვა წერილებში, კერძოდ „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყეობა“, სადაც მოცემული იყო სამინელი და მძვინვარე სურათი ადამიანთა მონობისა. „ყოველი მოქმედება, რომელიც აგდებს კაცს უმცირებაში და უშლის კაცად გახდომასა, ყოველი ამისთანა მოქმედება, უღვთოობაა, სიმხეცეა, შემაძრწუნებელია“-ო, აცხადებდა ჟურნალი.

ქვას ვებვეოდი, ბევრსა ვტიროდი, როგორც ყმაწვილი.
—რა დროს ძილია ჩემო პოეტო, მითხარი დარდი?
რა მიზეზია უდროვოდ რომ გახმე კოკობი ვარდი!
ადექ პოეტო! აგვიხსენ შენი „ბედი ქართლისა“.

ასეთ მახინჯ პოეტურ ნაწარმოებს ილია, რასაკვირველია, არ დაბეჭდავდა.

„ცისკრის“ რედაქციამ ვანო ბარათოვის წერილს შენიშვნა გაუკეთა და სთქვა: „რედაქცია ჰფიქრობს, რომ თუ ავტორს ჰქონდა სახეში, რომელიმე ლექსი აღებული და გამოკრებილი ამის ლექსიდამ, უნდა ის ლექსიც ეჩვენებინა მკითხველი საზოგადოებისთვის“-ო. ეს ეჭვი, ერთის მხრით ავტორისა, რომ მისი ლექსით სხვამ ისარგებლა და მეორეს მხრით რედაქციის შენიშვნა, აუცილებლად გულისხმობდა ილიას ლექსს, რომელიც მან ჟურნალის მეექვსე ნომერში დაბეჭდა: „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“. ვანო ბარათოვს, რომელსაც მარტში გაუგზავნია ლექსი ილიასთვის, უფიქრია, რომ ამ უკანასკნელმა გამოიყენა მისი „ეპიტაფია“. ამისკენ მიუთითებდა „ცისკარიც“—„თუ ავტორს სახეში ჰქონდა რომელიმე ლექსი აღებულიო“ (იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, № 3ა—მცირე ცხობა ნ. ბარათაშვილის საფლავზე).

ილიას ლექსის პირველი ვარიანტი, ცნობილია, დაწერილია 1860 წლის ივლისს, რუსეთში.

გ. თუმანიშვილის ცნობით (Хар. и восп. II, გვ. 180) ილია ჭავჭავაძისთვის ლექსები ნ. ბარათაშვილისა, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისა გადაუცია მიხეილ ბერთველის ძე თუმანიშვილს.

2. „ჩემო კალამო...“ ლექსი ილია ჭავჭავაძისა, დაწერილია 1861 წლის ოქტომბერში, სოფ. ყვარელში. პიოველი ვარიანტიც იმ თვეშია დაწერილი. აკად. გამოცემის (1937 წლის) ტექსტი ოდნავ განსხვავდება „საქ. მოამბის“ პირველნაბეჭდთან, რაც რედაქტორს აღნიშნული არა აქვს.

	აკად. გამოც. 1937 წ.	„საქ. მოამბე“
3 სტრ.	უშიშარად მოვფინოთ ხალხში...	უშიშარად განვაგდოთ ხალხში...
4 „	მათ ხულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ	და შორიდამ სეირს ვუყუროთ
9 „	ის სიავეს ქართველისას..	ის სიცუდეს ქართველისას..

ლექსი დაწერილია იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ილიას მოუხდა „ცისკრის“ პლეადასთან.

ლექსი ხელმოუწერელად დაიბეჭდა.

3. „მუშა“ დაწერილია 1860 წელს, 12 ივლისს, ილიას რუსეთში ყოფნისას. ეს ლექსი ილიამ დაწერა ახალი ეკონომიური ვითარების ნიადაგზე, როცა საქართველოში საკმაოდ მძლავრი გახდა სოციალური ფენა მუშებისა.

„მამების“ ბანაკიდან გრიგოლ ორბელიანმაც დაწერა ლექსი „მუშა ბოქულაძე“ 1877 წელს, რომელიც „ქსნისხეველის“ ფსევ-

დონიმით „ივერიაში“ დაიბეჭდა. მისი მუშა, რასაკვირველია, არ იყო რეალური თვალით დანახული, ამისთვის იყო, რომ იგი „ზეციდან მოელოდა ხსნას“.

„სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშ ცემისა
ზეციურის მადლით განათებული“-ო.

აკაკი წერეთელი „ჩემ თავგადასავალში“, როცა იგი გრიგოლ ორბელიანზე წერდა, მისი ლექსის წარმოშობას შეძდეგნაირად ხსნიდა: „მესამოცე წლების სურვილ-მისწრაფებას ჩქარა ვერ აუღო ალღო და კიდეც გაილაშქრა მაშინდელ ახალთაობაზე... გაილაშქრა, მაგრამ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა, ძალე კი გაიგო თავის შეცდომა და მოინდომა ახალთაობისკენ გადმოკატუნება: რუსის პოეტის მიხაილოვის ლექსი „მჭედელი“ გადმოაკეთა „მუშა ბოქულაძედ“, მაგრამ რაც უნდა იყოს, ამ ლექსს მაინც ატყვია ნაძალადევობა“-ო (აკაკი, რჩ. ხაწ. I, 94). აკაკი წერეთელს „მუშა ბოქულაძის“ დაწერა გრ. ორბელიანის მობრუნების დასაწყისად მიუჩნევია.

გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძის“ და მიხაილოვის „მჭედლის“ შედარება არ იძლევა ერთიანობას, ისე, რომ აკაკის შეხედულება ლექსი გადმოკეთებულიაო, არაა ნამდვილი. აი, მაგალითად, მიხაილოვის ლექსის ორი წინა სტროფი:

Не родился я счастливым,
Встретил жизнь свою в нужде,
Только вырос терпеливым
И выносливый в труде,
Не дал Бог мне денег кучи,
И богатых теремов,
Но во мне есть дух могучий
И нестынущая кровь და სხვა (იხ. Соч. А. Михайлова, I, 67-68, С.-Пб., 1873).

ილიას ლექსი რუსული თარგმანით 1863 წელსვე დაიბეჭდა გაზეთ „Кавказ“-ში 8 დეკემბრის № 96-ში ფელეტონად, სათაურით „Муша“. თარგმანს მიწერილი აქვს, რომ ის ქართულიდან არის შესრულებული, გაკეთებული აქვს ძცირე შენიშვნა: Оригинал напечатан в первой книжке Грузинскаго Вестника за 1863 год. მთარგმნელი არის ვინმე В. Г—зон-и. ეს არის ილიას შემოქმედების პირველი თარგმანი რუსულ ენაზე.

4. „გლახის ნაამბობი“—პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლოებული მოთხრობისა. „საქ. მოამბეში“ მხოლოდ ხუთი თავი დაიბეჭდა, დაწერის თარიღი არ აწერია, მოთხრობას მოწერილი აქვს

ფსევდონიმი „მ. ჯიმშერიძე". ეს ფსევდონიმი ილიას ჟურნალში გამოყენებული აქვს მხატვრული პროზისთვის.

„გლახის ნაამბობი" 1873 წელს გ. წერეთლის „კრებულშიც" იბეჭდებოდა. რედაქციამ მოთხრობის დასაწყისში შემდეგი შენიშვნა მოათავსა: „ამ მოთხრობის დასაწყისი დაბეჭდილი იყო „საქართველოს მოამბეში". ჩვენ გვინდოდა, რომ აქ მარტო გაგრძელება დაგვებეჭდა, მაგრამ იქნება „კრებულის" მკითხველებს ზოგს არ წაეკითხოს ამ მოთხრობის დასაწყისი, ზოგს უთუოდ წაკითხულიც ექნება, მაგრამ შეიძლება იმისი შინაარსი ისე ცხადად არ ახსოვდეს, რომ მოთხრობის გაგრძელების წაკითხვამ მის გონებაში რამდენილი შთაბეჭდილება მოახდინოს. „საქართველოს მოამბე" ეხლა ძნელად იშოვება, ამიტომ ჩვენ ვბეჭდავთ მოთხრობის დასაწყისსაც".

„გლახის ნაამბობის" შესახებ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937, გვ. 721-724.

5. „მამა ალექსანდრე გავაკცი და მისი ქადაგება". ეს თხზულება ეკუთვნის რუსეთის გამოჩენილ კრიტიკოსს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დობროლიუბოვს (1836-1861). რუსულად მას ჰქვია: „Отец Александр Гавацци и его проповеди".

ორიგინალში თხზულებას ხუთი შენიშვნა აქვს სქოლიოში გამოწერილი, ქართულში კი 78. „საქ. მოამბის" რედაქციას შენიშვნებში განმარტება ძიუცია ისეთი სიტყვებისთვის, რომელნიც ქართველი მკითხველისთვის გაუგებარნი იქმებოდნენ, მაგ. ულტრამონტანები, კორესპონდენტი, სხოლასტიკა, პოპულარობა და სხვ.

დობროლუბოვის თხზულება დაწყარებულია 1860 წლის უცხოურ გაზეთების ძიმოხილვაზე, რომელთაც ცნობა მოუტანიათ „о Гавацци, эксцентрическом проповеднике", რომელიც ხალხს ამხედრებდა კარლ მესამის და ფერდინანდ პირველის ქანდაკებებისთვის თავების მომტვრევისთვის.

ალექსანდრე გავაკცი (1809-1889) იყო მებრძოლი იტალიის განთავისუფლებისთვის ავსტრიელების დიქტატურისაგან. 1860 წელს, იგი, გარიბალდისთან ერთად იბრძოდა იტალიის განსათავისუფლებლად, 1870 წლიდან ცხოვრობდა ინგლისში და თავგანწირვით იბრძოდა „თავისუფალი იტალიური ეკლესიის" შექმნისთვის.

გარიბალდის განმათავისუფლებელი ბრძოლა და ალექსანდრე გავაკცის ქადაგებანი, რომელნიც ამ თავისუფლებისა და გარიბალდის პოპულარიზაცია არის, გასაგები იყო ქართველი ინტელიგენციისათვის. ინტერესი და გულისყური ყოველთვის იტალიისკენ იყო მა-

შინ მიჭცეული და ამ ინტერესის შედეგი იყო ეს თხზულებაც, დობროლიუბოვიდან გადმოთარგმნილი.

6. „საქართველოს მოამბეზედ". „საქართველოს მოამბეს" საპროგრამო წერილი, დაწერილი 1862 წელს. მისი ესკიზები დაცულია ილიას ხელნაწერებში.

წერილში ერთ ადგილას ჩართულია ილიას, 1861 წელს დაწერილი ლექსის „ჩემო კალამო; ჩემო კარგო..."-ს ერთი, სახელდობრ უკანასკნელი სტროფი. ეს ლექსი მთლიანად ამავე ნომერში მესამე გვერდზე არის დაბეჭდილი. ეს სტროფები, მოთავსებული ერთსა და იმავე ნომერში, რაოდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისგან სიტყვათა დალაგებით და ცვლილებებით.

მაგ. ლექსშია:

> ჩემზედ ამბ ბენ: „ის სიცუდეს ჭართვლისას ამბობს,
> ჩვენს ცუდს არ მალავს—ეგ ხომ ცხადი სიძულილია!"
> ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე **მსცნობს**...

ხოლო ციტირებისას ასეთი ცვლილებაა:

> ჩემზედ ამბობენ: „ის ჭართვლისას სიცუდეს ამბობს,
> ჩვენ **მუჭყს** არ მალავს—ეგ ხომ ცხადი სიძულილია!"
> ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე **მგრძნობს**...

(ხაზგასმული სიტყვები აქაც და სხვა შემთხვევაში სხვაობას იძლევიან). წერილი ხელმოუწერილია, ბოლოს ხუთი წერტილი უზის.

7. სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია" ამ ჟურნალის რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა. სატიტულო ფურცელზე აწერია: საქართველოს ისტორია თ. სულხან ბარათა—შვილისა. შემდეგ ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული, ამოღებული პავლე მოციქულის საკითხავიდან. ხოლო ქვესათაურია: ძველი ისტორია საქართველოსი. იანვრის ნომერში წერილის დასასრულს გაკეთებული აქვს რედაქციის შენიშვნა, რომელიც შეიძლება ნიკოლოზ ღოღობერიძეს ეკუთვნოდეს, როგორც ისტორიული ნაწილის რედაქტორს, რომელშიც შემდეგი სწერია: „ეს თხზულება რედაქციამ მიიღო ავტორისგან რუსულ ენაზედ. მისგან გამოგზავნილი რვეული შეიცავს ძველს საქართველოს ისტორიას და იმედი გვაქვს, რომ მერეთ ის გამოგვიგზავნის დანარჩენსაც, ასე, რომ რედაქცია იმედოვნებს წარმოუდგინოს თავის მკითხველებს მთელი ისტორია საქართველოსი. რედაქცია თავის თავზე იღებს, თუ რამე გაუგებარი და უკანონობა არის ამ სტატიის აღნაქვსში, რადგანაც თარგმანი მას ეკუთვნის. მაშასადამე ავტორს ამ მხრით არა დაებრალება რა" და სხვ. აქვე დიდი მორიდებით ნათქვამია, რომ რედაქცია არ არის თანახმა ზო-

გიერთი დებულებისა, რომელსაც კი ავტორი აყენებს თავის ნაშრომში და, გულგაკეთებულს იმით, რომ თვით ავტორის სურვილია გაიგოს აზრთა სხვადასხვაობა და შეხედულება თავის ნაშრომზე, რედაქციას უფიქრია თავისი დასკვნების და დებულებების წარმოდგენა, მაგრამ ეს შემდეგ აღარ მოხერხებულა.

სულ. ბარათაშვილის საქართველოს ისტორია რუსულ ენაზეა დაწერილი. „საქ. მოამბეში" იგი დაიბეჭდა მისი ხელნაწერიდან თარგმნილი, ხოლო რუსულ ენაზე ისტორია დაბეჭდილა ორ წიგნად 1865-71 წლებში, პეტერბურგში (იხ. Г. Натадзе, Сулхан Баратов как историк Грузии, 1934, Т. стр. 10). პირველ წიგნში მოთავსებულია „ძველი ისტორია საქართველოსი", ხოლო მეორეში საშუალო საუკუნეების ეპოქა. „საქ. მოამბეში" დაბეჭდილია მხოლოდ „ძველი ისტორია".

პერიოდიზაცია ს. ბარათაშვილს დამყარებული აქვს ქრისტიანობის აღიარებაზე ქართველთა მიერ, მის უადრესს იგი ძველ დროს ეძახის, ხოლო შემდეგს— საშუალოს. „სარწმუნოება,— ამბობს იგი,— მართავს ყოველ იმ ხალხის ცხოვრებასა, რომლის განათლება და ზნეობითი განვითარება იქამდინ არ მიხწეულა, რომ შეჰსძლებოდათ მათ კაცთა სურვილის და მოქმედების მართვა"-ო. მისი ნაშრომის ინტერესი, ავტორისავე სიტყვით, განისაზღვრება: საქართველოს მნიშვნელობით ძველი ქვეყნებისთვის, რომელიც ისეთი ქვეყანაა, რომელიც მართალია მცირე ყოფილა, „მაგრამ ჰქონდა ისეთი შეძლება მძვინვარედ ბრძოლისა მრავალ საუკუნოებთა განმავლობაში და მრავალ ხალხთან, მაგრამ დაიცვა თავისი კი ხალხობა".

ს. ბარათაშვილის, როგორც საქართველოს ისტორიკოსის შესახებ ვრცელი მონოგრაფია აქვს დაწერილი პროფ. გრ. ნათაძეს „Сулхан Баратов как историк Грузии"; დაბეჭდილი 1934 წელს საქ. მეცნ. აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის მიერ.

1866 წელს ბარათაშვილის სიკვდილზე „დროება" წერდა: „31 აგვისტოს, სოხუმს გარდაიცვალა ჩვენი ისტორიკოსი თავადი სულხან ბარათაშვილი. რადგანაც ამისი სახელი არ იყო გავრცელებული ჩვენს ლიტერატურაში და იქნება ბევრს ჭართველს აქამდის არც კი გაეგონოს იმისი სახელი, ამიტომ ვეცდებით შემდეგ „დროების" №-ში მოკლეთ გავაცნოთ მკითხველებს ეს პირი" (იხ. „დროება", 1866, 14/IV, № 33).

სულ მალე „დროებამ" დასტამბა ვახტანგ თუმანიშვილის წერილი „რამდენიმე სიტყვა თავად სულხან ბარათაშვილზედ" („დროება" 1866, № 34).

ვახ. თულაშვილი, „საქ. მოამბის“ ერთ-ერთი თანამშრომელი და ილიას კარგი მეგობარი, ამ წერილში იძლევა ბიოგრაფიულ ცნობებს ბარათაშვილზე, აღნიშნულია დაბადების წელი (1821,7/IX), გარდაცვალება (1866, 13/VIII) და ისტორიკოსის დახასიათება, როგორც პიროვნებისა, ისე მოღვაწეობისა. „დასამტკიცებლად, რომ ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა, წარმოვადგენთ ამ ფაქტსა—წერს ვახ. თულაშვილი,—როდესაც ჩვენმა ახალგაზრდობამ, 1863 წელს დააპირა „საქ. მოამბის“ გამოცემა, მაშინ ჩვენ მივწერეთ სულხ. ბარათაშვილსა, რომ მონაწილეობა მიეღო და გამოეგზავნა რამე თავისი თხზულება. იმან მაშინვე გამოგზავნა თავისი პირველი რეეული საქართველოს ისტორიისა, და ძალიან ბოდიშსაც ითხოვდა, რომ ქართულად არ არის დაწერილი და ვეცდები კიდეც სხვა რამეს შემწეობაც მივცეო ჟურნალს. „საქ. მოამბის“ მკითხველებმა იციან, რომ ის თხზულება იყო დაბეჭდილი რამდენსამე ნუმერში. იმის მეტ, დიმიტრი ყიფიანის და გიორგი ერისთავის მეტს არავის ძველ კაცთაგანს შემწეობა არ მიუცია ამ ჟურნალისთვის“-ო, ასკვნიდა ვ. თულაშვილი („დროება“, № 34, 1866).

უფრო ვრცლად სულ. ბართაშვილის შესახებ ცნობები გამოაქვეყნა თედო სახოკიამ 1896 წელს. მას ხელთ ჰქონია ს. ბარათაშვილის არქივი და მის საფუძველზე მოზრდილი შრომაც დაუწერია სათაურით: „თ-დი სულხან გერმანოზის-ძე ბარათაშვილი“ ჟურნ. „მოამბეში“ 1896 წ. № 7. აქ ვრცლად არის მოცემული ისტორიკოსის ბიოგრაფია, დასახელებულია მისი ნაშრომები, რომლებიც რუსულ ენაზე იბეჭდებოდა გაზ. „Кавказ“-ში და სხვ. თედო სახოკია ნაწილობრივ ვახტ. თულაშვილის „დროებაში“ დაბეჭდილ ცნობებსაც იმეორებს.

სულ უკანასკნელი ნაშრომი სულ. ბარათაშვილზე არის დასახელებული, რუსულად დაბეჭდილი წიგნი—მონოგრაფია, სადაც ავტორი ცდილა მოეცა სულხ. ბარათაშვილის, ისტორიკოსის კონცეპციები, რის მეოხებით იგი წარმოდგენილია, როგორც ფეოდალურ-ბურჟუაზიულ და ნაციონალური კონცეპციისა მისი კლასიური იდეოლოგიის საფუძვლებთან შედარებით (იხ. ციტ. წიგნის გვ. 104).

ს. ბარათაშვილის ისტორიის სამივე ნაწილი: ძველი ისტორია, ქრისტიანობის მიღებიდან არაბების შემოსევამდე და საშუალო საუკუნეთა ისტორია, ხელმეორედ ითარგმნა ს. ხუნდაძის მიერ და დაიბეჭდა ქუთაისში 1895 წელს.

სულხან ბარათოვზე ცნობები იხ. Акты... XII; Кавказ, 1846, № 24.

8. „სხვა და სხვა ამბავი“—ქვესათაური აქვს: შინაური მიმოხილვა. ავტორია ვახტანგ თოლაშვილი, იღიცს თანამებრძოლი და მეგობარი. „საქ. მოამბის“ პროგრამაში გამოცხადებული იყო, რომ სხვადასხვა ამბების რედაქტორი დავით ყიფიანი იქნებაო. იგი მართლაც შემდეგ ნომრებში წერდა სხვადასხვა ამბებს. ვახტანგ თოლაშვილს ამის მეტი „საქ. მოამბეში“ არაფერი დაუბეჭდია, თუმცა წერილის დასასრულს ამბობდა: „ამათ გარდა დაგვრჩნენ განუსინჯავად ქალები, რომელნიც ყოველგან დიდ როლს თამაშობენ ხალხისა და საზოგადოების ცხოვრებაში. მაგათზედ ჩვენს მკითხველებს თავის დროზედ მივჰსცემთ, შეძლებისაებრ, შესაფერს ანგარიშსა“-ო.

ვ. თოლაშვილი დაიბადა 1834 წლის 6 ნოემბერს, მუშაობდა გამმიჯნავ კომისიაში, მონაწილეობას იღებდა კულტურულ საქმიანობაში. გარდაიცვალა 1910 წლის 9 დეკემბერს.

9. „რედაქციისაგან“—ილია ჭავჭავაძეს ჟურნალის ბეჭდვისთვის ხელშეკრულება ჰქონია დადებული ენფიაჯიანცთან, რომ ჟურნალი მის სტამბაში დაბეჭდილიყო და 1863 წლის პირველი იანვრისთვის მიეცა ხელისმომწერთათვის, მაგრამ, სტამბის მეპატრონეს პირობა ვერ შეუსრულებია და ჟურნალის გამოსვლაც დაგვიანებულა.

სტამბის მეპატრონეს მიერ შრიფტის მიღების მეორე დღიდანვე ჟურნალის წყობა დაუწყიათ და თებერვლის შუა რიცხვებისთვის კიდეც მზადა ყოფილა პირველი ნომერი. რაც შეეხება იმ დამატებას, რომელზედაც ილია ამ საბოდიშო შენიშვნაში ლაპარაკობს, რომ „დამატებისათვისაც ამ ნომერში თავი უნდა დაგვენებებინა“-ო, „ცისკარში“ განცხადებულ პროგრამის მიხედვით უნდა მოთავსებულიყო ორიგინალური ან ნათარგმნი თხზულებები. „ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი ქართული თხზულებაები, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარგმნილი რომანები“-ო. პირველ ნომერში „დამატება“ არ ყოფილა, იგი მეორე ნომრიდან დაიწყო და წლის ბოლომდე იბეჭდებოდა ვიქტორ ჰუგოს რომანი „Les Misérables“.

№ II თებერვალი

1. „შეშლილი“ პირველად გ. ერისთავის სიცოცხლეში ამ ჟურნალში დაიბეჭდა. ამ ტექსტსა და 1834 წელს დაბეჭდილს შორის მკვრივ განსხვავებაა. ანახანუმის სიტყვები: „ქვრივსა და ობერს ცეცხლი მედება“, „საქ. მოამბეში“ არ არის. სიტყვები:

აგრე ყოფილა, საქმე მზათ არის
იორამ მღვდელი ვგონებ აქ არის

„საქ. მოამბის“ ტექსტში ეკუთვნის ანასტასიას, ხოლო 1884 წლის გამოცემაში ნინოსია.

ტექსტის განსხვავებები ასეთებია:

„საქ. მოამბე“	1884 წლ. გამოცემა
შეღოვსულვარ შენად მზერად...	მე მოვსულვარ შენად მზერად...
სოფლის იმედი...	სოფელს იმედი

2. „ზეციერი მნათობები“. დიმიტრი ყიფიანს (1814-1887) ზუგდიდში ყოფნის იმ პერიოდში, როცა იგი ნიკო დადიანის მამულების მეურვედ იყო („1859-დან 1867-მდის აპეკუნად ვიყავ მთავრის სახლის საკუთრებაზედ კანონის ძალით“-ო, წერდა დიმიტრი) „საქ. მოამბეში“ გამოუგზავნია წერილი ასტრონომიიდან „ზეციური მნათობები“ მიტჩელიდან გადმოთარგმნილი, რომელიც წინასიტყვაობით გაუგზავნია ილიასთვის. იგი წერს: „ერთმა საქმემ კი შეგვაფიქრა ცოტა ხანს: პროგრამაში ადგილი არა ჰსჩანს სწავლასა და ხელოვნებაზედ რაც დაიწერება სად უნდა იბეჭდებოდეს,—მაგრამ რადგან ვიცოდით, რომ ჟურნალს შესაბამი ღირსება არ ექნება, თუ ისე გამოვა, რომ სამეცნიერო იმაში არა იყოს რა, გამოვიკითხეთ საქმე და შევიტყეთ, რომ არა თუ დაბეჭდავთ ამ გვარს თხზულებასა, განზრახვაც თურმე გქონიათ“-ო.

წერილი და თარგმანი გამოგზავნილია ზუგდიდიდან და დათარიღებულია 1862 წლის დეკემბრით.

მიტჩელი (1810-1862) ამერიკელი ასტრონომი, ცინცინატში მათემატიკის კათედრის უფროსი იყო, კითხულობდა ლექციებს ასტრონომიიდან, ხშირად პოპულარული ენით საზოგადოების მისაზიდად და დასაინტერესებლად, მან შეკრიბა ფული და ობსერვატორია მოაწყო. ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის შორის ატეხილ ომში, იგი სამხრეთელებს მიემხრო, მაგრამ მალე ციებისგან გარდაიცვალა. მისი წიგნი „Небесныя светила и планетные и звездные миры“ მოსკოვში დაიბეჭდა 1860 წელს. ამის შესახებაა, რომ დ. ყიფიანი წერდა: „ეს ითქვა თუ არა, მაშინვე მომატანეს: მაშ ნუღარც შენ დაიზარებ და **მარშან წინ** რომ მიტჩელის წასაკითხავები გამოვიდა“ და სხვა... დიმიტრი ყიფიანს „საქ. მოამბეში“ მხოლოდ პირველი წასაკითხი დაუბეჭდავს. მიტჩელის წიგნი, ინგლისურად დაწერილი, რუსულად უთარგმნია ანდრეი მინს, ხოლო რუსულიდან დიმიტრი ყიფიანს (რუსული ტექსტი გვ. 11-34). ქართულ თარგმანს შენიშვნებში დართული აქვს ზოგიერთი ტერმინის განმარტება

მთარგმნელის მიერ. დანარჩენი ნაწილები ჟურნალში არ დაბეჭდილა (მიტჩელს აქვს სულ 10 ლექცია).

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა („ივანე კერესელიძე", 1902, გვ. 29): „მას (დიმ. ყიფიანს) ფრანგულის ენიდან ქართულს ენაზედ მიტჩელის ვარსკვლავთმრიცხველობაც ეთარგმნაო"-ო. მაგრამ ეს ცნობა, რომ ფრანგულიდან თარგმნა, სწორი არ არის. დ. ყიფიანს ეს წერილი რუსულიდან უთარგმნია „შარშან წინ რომ გამოვიდაო"; შარშან წინ 1860 წელი იყო, მიტჩელის რუსულ ენაზე გამოსვლის წელიწადი. დ. ყიფიანს, რასაკვირველია. შეეძლო ფრანგულიდანაც ეთარგმნა, მაგრამ ეს წერილი რუსულიდანაა თარგმნილი.

3. „ლოთური მეხამბაზი". ლექსი გრიგოლ ორბელიანისა, დათარიღებულია 1861 წლ. კოჯორი. ეს თარიღი „საქ. მოამბეში" არ არის.

მიუხედავად იმ ურთიერთობისა, როგორიც ილიას ჰქონდა „მამებთან", იგი მაინც ყოველთვის სიამოვნებით და პატივისცემით იხსენიებდა გრიგოლ ორბელიანს. ილია მას შემდეგნაირად ახასიათებს: „...გრ. ორბელიანი განმგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა, და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც.. რამოდენად ჩააღრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყლე პოეზიისა თ, გრ. ორბელიანმა" და სხვ. (იხ. „წერილები ქართულ ლიტერატურაზე", ტ. IV), ხოლო გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე ილიამ მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც ასე ათავებდა: „მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულისშვილო, ჩვენო სასახელო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო"-ო. ასეთი დამოკიდებულება, რასაკვირველია, მას სულაც არ უშლიდა ხელს, რომ 1871 წლის 7 დეკემბერს გრ. ორბელიანზე „გამოცანა" დაეწერა. „ლოთური მეხამბაზი" გრ. ორბელიანის შემდეგ გამოცემებში „მეხამბაზის" სახელწოდებით იბეჭდებოდა.

4. „მადლი შენს გამჩენს..." ლექსი ნ. ბარათაშვილისა. ამის შესახებ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში (გვ. 146, თავი: ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი: ლექსები) შემდეგია ნათქვამი: „ავტოგრაფი არ მოიპოვება. ჩვენი ტექსტი გადმობეჭდილია „საქართველოს მოამბიდან", სადაც დაიბეჭდა პირველად. ლექსს არავითარი შენიშვნა არა აქვს დართული, თუ ვისგან მიულია იგი რედაქციას". ბარათაშვილი მაიკოსადმი მიწერილ წერილში წერს: „ახლა ნახეჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტი წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვიან, ხა-

ნის ჭალია, ძალიან ლამაზი და მარილიანი“ და სხვა (იქვე, გვ. 118), ხოლო პოეტი ლექსში შემდეგს ამბობს:

„მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ჭალო შავთვალებიანო,
დღისით მზე, ღამე მთოვარე, წყნარო და ამოდ ხმიანო!..
დედის ერთა ვარ, ნუ მომკლავ, ნუ დამანებებ სოფელსა!
ღარიბი ვინმე მოვსულვარ...“

შეიძლება სწორედ გონჩა-ბეგუში გახდა ლექსის მიზეზი. ლექსი დაწერილია ნახჩევანში და დათარიღებულია 1845 წლის 10 იანვრით.

5. „მას აქეთ რაკი...“ დაწერილია 1861 წლის 6 აგვისტოს, ყვარელში. პირველ ნაბეჭდსა და აკად. გამოცემას (1937) შორის მხოლოდ ერთი სხვაობაა, სახელდობრ:

„საქ. მოამბეში“:

ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო“...

აკად. გამოც. (1937 წლ.):

ის არის მხოლოდ საყვალო და სამწუხარო“...

ლექსი ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი, ბოლოში სამი წერტილია.

6. „საქართველოს ისტორია“ იხ. გვ. 308 შენიშვნა 7.

7. ამ ნომერში დაბეჭდილ „სხვადასხვა ამბებში“ ერთი წერილი „სოფლიური ეკონომიის წარმოების გამოფენა ტფილისში 13 ნოემბერს 1862 წელს“ ეკუთვნის ესტატე მაღალაშვილს, რომელსაც ამ ხასიათისავე წერილები ჰქონდა „ცისკარში“ დაბეჭდილი პარიზის მსოფლიო გამოფენის შესახებ. დანარჩენი ეკუთვნის ამ განყოფილების რედაქტორს დავით ყიფიანს. ეს განყოფილება ჰგავს „Отечест. записки“-ს განყოფილებას, რომელსაც „Смесь“-ი ერქვა. ასეთი განყოფილება მაშინ მიღებული იყო ჟურნალები, როგორც რუსულში, ისე ჭართულში, ასეთი ხასიათისა იყო „სალაყბოს ფურცელი“, რომელიც სხვადასხვა საკითხებს მიმოიხილავდა. „ამბებში“ ლაპარაკია სას.-სამ. გამოფენაზე, რომელიც მოეწყო 1862 წლის ნოემბერს თბილისში, საქართველოს გამმიჯნავ კომისიის მუშაობაზე, იაროსლაველ თავადთა წინადადებაზე და სხვა, რომელთაც ცოტად თუ ბევრად საინტერესო ცნობების მიცემა შეეძლოთ მკითხველისთვის. „სხვა და სხვა ამბები“ ციფრებითა და სტატისტიკური ცნობებით აილუსტრირებდა ნათქვამს; ერთი თავი შეეხება ალექსანდრე მეორეს მიერ სასამართლოს რეფორმის ჩატარებას, აქ აღძრულია სა-

ქართი მცირე ერთა ენების შესახებ, რომელსაც „Основныя положения преобразования судебной части в Россіи“ არ იხილავდა, ერთი სენსაციური ამბავი მიმინოს შესახებ, ფრანგული ჟურნალიდან გადმოღებული; ამ წერილის შესახებ იყო, რომ 1863 წელს, ივნისის „ცისკარში“ თავხედი (ანტონ ფურცელაძე) პასკვილურ წერილში „К сведению и руководству“-ში წერდა: „ქალაქში მოუყვანიათ საფრანგეთიდამ ის მიმინო, რომელიც დავით ყიფიანმა ასწერა თავის სხვადასხვა ამბავში“.

როგორც ანტონ ფურცელაძე წერს, ამ ნომერში დაბეჭდილი „სხვადასხვა ამბები“ ეკუთვნის დავით ყიფიანს. წერილი ხელმოუწერელი დაიბეჭდა.

8. ვიქტორ ჰიუგოს რომანში „საბრალონი“, გამოხატულია მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლების პარიზის ცხოვრება.

ეს რომანი პირველად იბეჭდებოდა „ცისკარში“ გიორგი დიდებულიძის თარგმანით, ბეჭდვა დაიწყო 1862 წლის ნოემბრის ნომრიდან და 1865 წლამდე დრო გამოშვებით იბეჭდებოდა. „საქ. მოამბეში“ დაიბეჭდა მხოლოდ ორი ტომი (სულ 10 ტომია).

1863 წელს მარტის „ცისკარში“ ქერელი ბეჭა—ანტონ ფურცელაძე, ქართული ლიტერატურის მიმოხილვისას, ჰუგოს ამ რომანის თარგმანზეც შეჩერდა: „საბრალონზედ, რომელიც არის „მოამბეში“ დამატებად და რომელიც ნათარგმნია უფ. ჩიქოვანისაგან, ჩვენ ვერას ვიტყით გარდა ამისა, რომ არის კარგათ ნათარგმნი, რაც შეეფერება ჯერეთ ჩვენ ლიტერატურის თარგმანის გავარჯიშებას მართლაც რომ საჭებუროა ეს თარგმანი. თუმცა „ცისკარშიც“ იყო ეს რომანი, მაგრამ ჯერ ერთი ესა, ის იყო ძალიან ურიგო თარგმნილი, მეორეც ეს: ჩიქოვანის ნათარგმნი უფრო შეესილია და ენაც ხომ შეუდარებლივ სჯობიან დიდებულიძის ენასა...“-ო.

„საქ. მოამბის“ თარგმანი შესრულებულია გიორგი ჩიქოვანის მიერ რუსულ ენიდან, რაც ზოგიერთი რუსიციზმებით მტკიცდება.

„საბრალონი“ 1901 წელსაც იბეჭდებოდა „მოამბეში“ (1901 წ. № VI, VII, VIII) ივანე მაჩაბარიანის თარგმნილი.

თებერვლის „საქ. მოამბეში“ პატარა ფურცელზე დაბეჭდილი შენიშვნაა: „დამატებით ნაწილში რომანს „საბრალონი“ უალაგო ალაგას იმიტომა ვწყვეტთ, რომ შემდეგ ერთ წიგნად შეკვრა შეიძლებოდეს“-ო.

გ. ჩიქოვანს სხვა თარგმანებიცა აქვს, მაგ. გოგოლის „Повесть о том, как поссорился“... სათაურით „მოთხრობა, რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფორიჩთან“, დაბეჭდილია „კრებულში“

1871 წელს და „შინელი". გარდა თარგმანებისა, გ. ჩიქოვანს აქვს ორიგინალური პიესაც „ბნელ ოთახში".

გ. ჩიქოვანი არის შვილი ალექსანდრესი, რომელიც იყო თანამედროვე და ახლოს მცნობი ნ. ბარათაშვილისა, ალ. ჭავჭავაძისა და სხვათა. გ. ჩიქოვანი გარდაიცვალა 1893 წელს (იხ. ზ. ჭიჭინაძე— ქართველი კათოლიკენი).

№ III მარტი

1. „ოთხი შეხვედრა"—მოთხრობას სათაურის შემდეგ ფრჩხილებში უწერია, რომ იგი რუსულიდან არის თარგმნილი, ორიგინალის ავტორის გვარი დასახელებული არ არის. ოთხი ნაწილისგან შესდგება და თითოეულ თავს ჰქვია „შეხვედრა", ე. ი. „შეხვედრა პირველი" და ა. შ.

მოთხრობა რუსულიდან თარგნილია **მ. ჩ.**-ს მიერ, ზოგიერთი წმიდა, რუსული გამოთქმებით, მაგ. „იმათი არც ხმა და არც სული ისმის" (ни слуху, ни духу) და სხვ. მოთხრობის დასასრულს მოსდევს „სხოლიოები", რომელშიც 23 შენიშვნა არის გაკეთებული მოთხრობაში ნახმარ უცხო სიტყვათა განმარტებისთვის, როგორც, მაგ. ცინიზმი, ხრონიკა და სხვ.

მ. ჩ.—მთარგმნელი ამ მოთხრობისა შესაძლებელია იყოს მიხეილ ჩიკვაიძე, იგი არჩ. ჯორჯაძეს მოხსენებული ჰყავს „საქ. მოამბეს" სხვა თანამშრომლებთან ერთად (იხ. თხზულებანი, II, გვ. 4. აგრ. „ნ. გ. ჩერნიშევსკი"—ს. ხუნდაძისა, გვ. 170, შენიშვნა).

2. „უსულდგმულო ცხოვრება". ლექსს ილიას ჩვეული ფსევდონიმი აქვს: სამი ვარსკვლავი. თარიღია: 1860. დაწერილია პეტერბურგში. უსათაუროა.

3. „იანიჩარი". ხელმოუწერელია. ამ ლექსის შესახებ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937, გვ. 741-745. დაწერის თარიღი პირველ ნაბეჭდში („საქ. მოამბე") 1860 წლის ნოემბერია, აკად. გამოცემაში დაზუსტებულია: 1860 წ. 5 ნოემბერი, პეტერბურგი.

4. „ციური ხმები". ლექსი ილია ჭავჭავაძისა, ფსევდონიმი—სამი ვარსკვლავი, დაწერილია 1859 წელს, მარტის 27-ს, პეტერბურგში.

5. „კონრად კიფერი". წერილი ეკუთვნის ცნობილ პედაგოგს—ზალცმანს (1744-1811), შნეპფელდის სკოლის დამაარსებელს. ზალცმანი 1871 წლამდე პასტორი და მოქადაგე იყო ერფურტში. გერმანულად მის ნაშრომს ჰქვია: Conrad Kiefer oder Anweisung zu einer Vernünftigen Erziehung. იგი რუსულ თარგმანიდან არის გადმოთარგმნილი ქართულად ლევან ჯანდიერიშვილის მიერ. ქართულ

თარგმანს რედაქცია პატარა წინასიტყვაობას უკეთებს, რედაქციის მიერ არის ხელმოწერილი და ილია შავშავაძეს ეკუთვნის: „კონრად კიფერი ნემეცურს ენაზედ არის დაწერილი წარსულს საუკუნეში (ე. ი. მე-18 საუკუნეში—ს. ხ.) ს. გ. ზალცმანისაგან, რომელ[ც] პედაგოგიაში გამოჩენილს ფრანცუზის მწერალის ჟან ჟაკ რუსსოს იდეებს მიზდევდა, თუმცა ზალცმანის შემდეგ ჰაზრები აღზდაზედ დიდათ გამოიცვალა და ძლიერ ბევრი დაიწერა პედაგოგიაზედ, მაგრამ მის თხზულებებს მაინც არ დაუკარგავთ თავის მნიშვნელობა და ისინი ძლიერ პატივცემულნი არიან ეხლანდელ პედაგოგებისაგან“ და სხვა.

ამ წერილს, ისე როგორც სხვებსაც, გზადაგზა გაკეთებული აქვს შენიშვნები, რომელიც განმარტავს ქართველი მკითხველისთვის უცნობ სიტყვათა მნიშვნელობას.

აპრილის ნომერში მეათე თავს „კონრადს მისდის საჩუქრები იოლკისთვის“... გაკეთებული აქვს შემდეგი შენიშვნა: შობის წინა ღამეს ევროპიელები თავის შვილებს უქმეს და დღეობას გაუმართავენ ხოლმე. აიღებენ ნაძვნარის ხეს, მორთავენ შტოებს ათასნაირი ხილითა, კანფეტებითა, სათამაშოებითა; გააჩაღებენ წმინდა სანთლებით და გარს შემოახვევენ პატარა ყმაწვილებს, რომელთაც სიხარულით არ იციან რა ქმნან. მერე წილის ყრით, ვისაც რა ერგება, მიიღებენ და გაიწილადებენ. ამ შექცევას ეძახიან იოლკას რუსები,—თვით ხესაც რუსულად იოლკას ეძახიან-ო. აქედან ჩანს, რომ ჩვეულება ნაძვის ხის მორთვა-დადგმისა საქართველოში, 60-იან წლებში ჯერ შემოსული არ ყოფილა.

საინტერესო შენიშვნა აქვს გაკეთებული წერილის დასასრულს, სექტემბრის ნომერში. ეს შენიშვნაც რედაქტორისაა და ილიას კალამს ეკუთვნის. კონრად კიფერის მამა პასტორს სთხოვს რჩევას შესახებ იმისა, თუ როგორ მოექცეს ბავშვს, რომელმაც უფროსს შეურაცყოფა მიაყენა, თვით უფროსის არა სწორი მოქცევის შედეგად. ამაზე პასტორი უპასუხებს, რომ არას დროს არ უნდა იქნეს ბავშვი გამართლებული, თუნდაც იგი რაიმე ჩადენილ საქმეში მართალი იყოსო. ამ აზრს ეკუთვნის სწორედ შენიშვნა, რომელიც შემდეგი ხასიათისაა: „ამ უკანასკნელი აზრის თანახმა არა ვართ, მართალი ყოველთვის უნდა გამართლდეს, მტყუანი—გამტყუნდეს. სიმართლის გამოძიებაში უფროს უნცროსობა არ უნდა იყოს: თუ ერთს საქმეში გარეულნი არიან, ოსტატი და შეგირდი, ოსტატი რომ მტყუანი იყოს უნდა გამტყუნდეს, რომ ბავშვმა პატარაობითვე ყოველი უფროსის პატივისცემაზედ მაღლად სიმართლის პატივისცემა ჩაისახოს

გულში. თორემ მართალი ბავშვი თავის უფროსზედ საჩიველელად მოვიდეს და არ გაამართლო,—აქედან რა უნდა გამოიტანოს ბავშვმა? ისა რომ უფროსთან უნცროსს სიმართლე არ გაუვა. ეს არა მგონია კარგი იყოს"-ო, დასძენს რედაქტორი. სიმართლის კულტი ხომ ილიას მიერ გაღმერთებული იყო.

„კონრად კიფერის" მთარგმნელი ლევან გიორგის-ძე ჯანდიერიშვილი დაიბადა 1848 წელს სოფ. ვაჩნაძიანში (ახლა შრომა) თელავის მაზრაში, დიდი მემამულის დოშ—გიორგი ჯანდიერის ოჯახში (ამ გიორგი ჯანდიერის შესახებ არის დაწერილი:

„გიორგი ჯანდიეროვი ხბალში არის გამოსული,
კავკასიის მთა უჭირავს, დაღისტნამდის ჰქონდა ყური,
ლეკები დაიმონავა, ჩაჩნებს ამოართვა სული"...

ეს ლექსი ინახება საქ. მუზეუმში (ს. 4591), დაწერილია ოზურგეთის ჯარის მილიციონერის, ზემო მაჩხაანელის ლეკიშვილის მიერ „1855 года, Августа 19 дня"). გიმნაზია დაამთავრა 1867 წელს. მამას იგი რუსეთში არ გაუშვია სასწავლებლად—გარუსდებიო. უმსახურია ჯერ სასამართლოში, შემდეგ სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწედ, თიანეთის და თბილისის მაზრის უფროსად, ერევნის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად, სოხუმის ოლქის უფროსად, ბოლოს სათავადაზნაურო ბანკში. გარდაიცვალა 73 წლისა, 1921 წლის 10 ნოემბერს თავის სოფელში, იქვეა დასაფლავებული. იგი 15 წლისა ყოფილა, გიმნაზიის მოწაფე, როცა უთარგმნია „კონრად კიფერი". (იხ. „ცისკარი", 1863, VII ანტ. ფურცელაძის წერილი). გარდა ამისა, მას დაბეჭდილი აქვს „ცისკარში" პატარა, გაზეთიდან ამოღებული ცნობა („ცისკარი", 1862, X), მასვე ეკუთვნის რამდენიმე წერილი სხვადასხვა გაზეთებში, ჟურნ. „მოგზაურში" (1902 წ.) და სხვა. წერდა „ჰიჩოელის" ფსევდონიმით.

„კონრად კიფერი" ცალკე წიგნად 1912 წელს გამოსცა ზაქ. ჭიჭინაძემ ლ. ჯანდიერის სურათით და ბიოგრაფიული ცნობებით. ამ წიგნაკს დართული აქვს წინასიტყვაობა ილია ჭავჭავაძისა, რომელიც ამ უკანასკნელმა დაუწერა „საქართველოს მოამბე"-ში.

ამ წიგნაკის ტექსტი „საქ. მოამბიდან" არის გადმობეჭდილი და მის კორექტურულ შეცდომებსაც კი იმეორებს. იხ. აგრეთვე ი. ჭავჭავაძე – პედაგოგიური თხზულებანი, გვ. 136-138.

6. „რიგიანი ქართული გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად" ეკუთვნის „საქ. მოამბის" ერთ-ერთ რედაქტორს—დავით ყიფიანს, როგორც ჩანს ავტორს მთელი სერია ჰქონია დაწერილი ან განზ-

რახული ქართული ენის ბუნების შესახებ. ამ წერილს უწერია: „სტატია პირველი“ და განიყოფება ორ ნაწილად: 1 ქართული ენა და იმისი გრამატიკები და 2. ასოები.

7. „სხვადასხვა ცნობები“, ამოკრეფილი რუსული და უცხოური წყაროებიდან.

8. „საბრალონი“, იხ. გვ. 315 შენიშვნა 8.

№ IV აპრილი

1. „კაცია, ადამიანი“. ეს მოთხრობა დაიბეჭდა №-4, 5 და 6 ნომრებში „მ. ჯიმშერიძის“ ფსევდონიმით. ამ ნომერში დაიბეჭდა I—V თავები, ტექსტი წყდება სიტყვებით: „შენ იმისთვის ცხოვრობ, რომ ჭამო და სხვა და არა იმისთვის, რომ ჰსჭამ და სვამ, იცხოვრო, ე. ი. ეცადო, რომ ვითა მამა ზეცის იყო შენ სრული“. ხოლო მაისის ნომერში მოთხრობა იწყება VII თავით, ისე, რომ VI თავი არ არის, მაგრამ ეს კორექტურული შეცდომაა, რადგან მაისის ნომერში ამ მოთხრობის გაგრძელება იწყება ასე: „ოცი წელიწადია თურმე...“ და სხვა.

მაისის ნომერში დაიბეჭდა VII-X თავები, ხოლო ივნისის ჟურნალში XI-დან ბოლომდე.

აპრილისა და მაისის ნომრებში უწერია: მ. ჯიმშერიძე, ივნისის ნომერში-კი მ. ჯიმშერიძესა, რადგან მოთხრობის დასასრული მიმართვაა მკითხველისადმი, სახელდობრ: „სხვა ფრიად მშვიდობით ბძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა **მ. ჯიმშერიძესა**“.

„კაცია ადამიანი“ ცალკე წიგნად პირველად პეტერბურგში დაიბეჭდა 1869 წელს, ამის შესახებ „დროება“ ზედიზედ ბეჭდავდა „საბიბლიოგრაფიო განცხადებას“: „პეტერბურგში იბეჭდება და ამ აპრილის ბოლოს საქართველოსკენ გამოიგზავნება კაცია ადამიანი, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა (მ. ჯიმშერიძისა)“. („დროება“, 1869, № 19 და შემდეგ).

„კაცია ადამიანის“ გამომცემელი იყო მიხეილ ბეთანელი (ბეთანოვი).

2. „კონრად კიფერი“... იხ. შენიშვნა 5. გვ. 316.

3. „შენის გონების სხივნი“... ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსია, სათაური არა აქვს. ფრჩხილებში ზის: თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსი. უთარიღოა.

„შენის გონების სხივნი“... მეორედ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1864 წლის ივლისის ნომერში და საკმაოდაც არის შეცდომებით დატვირთული.

4. „მძინარე ქალი“—სატრფიალო ხასიათის ლექსია ილია ჭავჭავაძისა, დაწერილი რუსეთში 1860 წლის 19 ივნისს. ლექსი ხელმოუწერელია.

5. „სიზმარი“. თარგმანი ლერმონტოვის ლექსისა „Сон“. მას დაუწერია 1841 წელს და წარმოადგენს ორი სიზმრის სუფეტურ გადანასკვს.

ლექსი თარგმნილია ილიას მიერ, რუსეთში ყოფნისას, პავლოვსკში. ხელნაწერებში დაცული და 1892 წლის გამოცემაში დასტამბული ამ ლექსის ტექსტი „საქ. მოამბეში“ დაბეჭდილისგან ზოგიერთ სტრიქონებში განსხვავდება. ვინაიდან ხელნაწერები უფრო ადრეულია, ვიდრე ამ ჟურნალში დაბეჭდილი, ამის გამო, და რადგან იგი თვით ილიას მიერ არის დაბეჭდილი, შეიძლება მკირე განსხვავების მქონე ვარიანტად იქნეს მიჩნეული. აკად. გამოცემებში ეს განსხვავება ნაჩვენები არ არის. ეს უკანასკნელები ეყრდნობიან ავტოგრაფებს და 1892 წლის გამოცემას, ხოლო პირველნაბეჭდი აღუნიშნავია. განსხვავებანი „საქ. მოამბის“ ტექსტისა და აკად. გამოცემების ტექსტებს შორის ამ ლექსის 2, 3, 10-13, 15 და 16 სტრიქონებშია, სახელდობრ:

„საქ. მოამბე“

ტყვიითა გულში მე უძრავი ვიყავ მწოლელად
ღრმა წყლული ჩემი ოშხივარით აბოლდებოდა...
ღამის მეჯლისში ჩემს სამშობლოს ტკბილ მხარეზედა
იქ ყმაწვილ ქალებს მხიარული, გალალებული,
მჭონდათ ბაასი ლაპარაკი ჩუმი ჩემზედა,
მაგრამ მათ შორის ერთი იყდა ჩაფიქრებული...
მშმუნვარ სიზმარში მის უბაწო, ყმაწვილი სული
ღმეოთმა თუ იცის, მაშინ რითაც დაითმენდა.

აკად. გამოცემები:

ტყვიითა გულში ვიდე უმწედ სიკვდილის მახვერპლად
ღრმა წყლული ჩემი ორთქლად რადმე აბოლდებოდა...
ღამის მეჯლისში ჩემს სამშობლო ტკბილსა მხარესა
მჭონდათ ჩემზედა მხიარული გალალებული
იქ ლაპარაკი და ბაასი ყმაწვილ ქალებსა.
ხოლო მათ შორის ერთი იყდა ჩაფიქრებული...
მწუხარე სიზმარს წაეღო მის ყმაწვილი სული
და ღმერთმა იცის, იგი სიზმარს რად ეძლეოდა.

6. „პოეტი“ 1861 წელს იანვრის „ცისკარში“ დაიბეჭდა ილიას თარგმნილი პუშკინის „Пророк“-ი, რომელიც მან შეასრულა რუსეთში ყოფნისას, 1858 წელს 23 იელისს, ტიარლეეოში და ლერმონტო-

ვის ამავე სათაურიანი ლექსი, თარგმნილი 1860 წელს 4 აგვისტოს პავლოვსკში. 23 ივლისს-კი, 1860 წელს, პავლოვსკშივე ილიამ დაწერა თავისი საკუთარიც:

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული“...

„საქ. მოამბეს“ ტექსტი ავტოგრაფებთან და ნაბეჭდებთან შედარებით მცირე სხვაობას იძლევა, რაკი ამ ჟურნალის ტექსტი პირველნაბეჭდია, თვით ილიას საკუთარი ხელით მიტანილი სტამბაში, ამის გამო ეს პატარა, მაგრამ მაინც სხვაობა აღნიშნული უნდა იყოს.

აკად. გამოცემებში, ამ ლექსში ყველგან ნახმარია სიტყვა: ერი, ხოლო „საქ. მოამბეში“ ამ ადგილზე ყველგან სწერია—ხალხი. მაგ. 1937 წლ. გამოცემა:

5 სტრ. მე ცა მნიშნავს და ერი მხრდის
11 „ რომ ერისა მოძმედ ვიყო...
13 „ ერის წყლული მაჩნდეს წყლულად..
20 „ მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა.

„საქ. მოამბე“

5 „ მე ცა მნიშნავს და ხალხი მხრდის
11 „ რომ ხალხისა მოძმედ ვიყო...
13 „ ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად...
20 „ მოვსწმენდ ხალხსაც ტანჯვის ცრემლსა...

ლექსი ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი.

7. „საქართველოს ისტორია“. იხ. შენიშვნა 7, გვ. 308.

8. „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ 1862 წლის ივლისის თვის „ცისკარში“ სხვადასხვა ამბებში დაიბეჭდა ფელეტონი „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“ ბიძია თონიკესი. ამ ფელეტონში გაკენწლილი იყო ახალთაობა, რომელიც სამოღვაწეოდ გამოვიდა ასპარეზზე 60-იან წლებში და რუსეთში მიდიოდა სწავლა-განათლებისთვის. ეს იყო თავისებური ფორმა იმ კამათისა, რომელიც 1861 წელს დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფელეტონმა გამოხმაურება ჰპოვა. ეს იყო თერგდალეულის სტატია, დათარიღებული 1862 წლის 28 აგვისტოთი, გამოგზავნილი პავლოვსკიდან.

ავტორი უსაყვედურებდა ბიძია თონიკეს და საერთოდ ყველას მამათა ბანაკიდან, რომ თვით ისინი არიან სწავლა-განათლების და ჟურნალ-გაზეთების გავრცელების წინააღმდეგნი. „სტატია იყო და-

წერილი კაცისგან, რომლისგანაც წერაში ვერ მოვითხოვდით ვერაფერს ღირსეულს, ავტორს არას დროს არ უფიქრნია გამოსვლა ლიტერატურაში; მას თავი შეუწირავს ოჯახისთვის და ხელმწიფის ერთგული სამსახურისთვის"-ო (იხ. „საქ. მ.", IV, გვ. 82). ამრიგად ახალი თაობისთვის თითქოს სამარცხვინო იყო ოჯახისა და ხელმწიფის სამსახურისთვის თავის შეწირვა, მაშინ, როცა საზოგადოებრივი საქმიანობა უფრო ბევრს მომკალს თხოულობდა.

თერგდალეული ბიძია თონიკეზე წერდა, რომ „ავტორს არასდროს არ უფიქრნია გამოსვლა ლიტერატურაში"-ო, მაგრამ, როგორცა ჩანს თერგდალეული არ იცნობდა ბიძია თონიკეს ფსევდონიმის ქვეშ დაფარულ ლავრენტი არდაზიანს, რომელსაც 1861 წელს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" უკვე დაბეჭდილი ჰქონდა.

„მოგზაურობის" ავტორის ვინაობა აკაკი წერეთელმა თერგდალეულს ამ სტატიის დაწერის შემდეგ გააცნო. კერძოდ, ეს იყო წერილი მიწერილი აკაკის მიერ კირილე ლორთქიფანიძისადმი 1862 წლის 12 სექტემბრის თარიღით: „ბულვარზედ მოგზაურობა,— წერს აკაკი კირილე ლორთქიფანიძეს,—დაბეჭდვამდი ჩემ ხელში იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია, ვიზედაც არის ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ გვარგებს, ღირსნი არიან, ტროსტიჩქებით ეძებენ ტროტუარზედ ჰეშმარიტების ნამსხვრევებს. არა იციან რაო, არც იმას ამბობენ, მაგრამ ქართული არ იციანო, თორემ ჩვენზე როგორ გაბედავენ რასმეს დაწერას, ეგ სტატია **არდაზიანის არის,** იმან დასწერა". (წერილი ამოღებულია ს. ხუნდაძის მიერ გამოცემულ გ. წერეთლის „რჩეული ნაწერებიდან", ტ. I, გვ. 399).

9. ამ „სხვა და სხვა ამბების" ავტორი დავით ყიფიანია. წერილის დიდი ნაწილი უჭირავს საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლილებას პირველყოფილი მონობიდან, რომის პაპის უფლებამდე. წერილის დასასრულს ისეთი ტონი აქვს, რომ თითქოს ავტორი კვლავ აპირებს ამ თემაზე ასეთი ხასიათის საუბარს, მაგრამ შემდეგი, მეხუთე ნომრის იქით „სხვა და სხვა ამბები" აღარ დაბეჭდილა. წერილის მიზანია გაარკვიოს კაცობრიობის წინსვლის პრობლემები და ამასთან დაკავშირებით, ქართველთა საკითხიც.

10. „საბრალონი". იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

№ V მაისი

1. „კაცია, ადამიანი". იხ. შენიშვნა 1, გვ. 319.

2. „თანამემგზაური". თარიღი უწერია—1860 წ. დეკემბრის 12, ჭვესათაური ფრჩხილებშია და სწერია—მიბაძვა პაულოვისა. გ. ერის-

თავის თხზულებათა შემდეგ და უკანასკნელ გამოცემაშიც სათაური ოდნავ შეცვლილია და ჰქვია „თანამემგზავრი". 1884 წლის გამოცემაში ამ ლექსს უწერია: 1860 წელსა, დეკემბრის 12, ქ. გორი.

3. „ცისკარს" რა აკაკანებდა?—გიორგი წერეთლის წერილია. მისი მეორე სათაური „რამდენიმე სიტყვა „ცისკარზედ" ჟურნალის გვერდებზე არის მოცემული. ხელმოწერილია გ.—თელი-ს ფსევდონიმით. წერილი გაგრძელებაა იმ კამათისა, რომელიც 1861 წელს დაიწყო რევაზ შალვას-ძე ერისთავის „შეშლილის" თარგმანის გარჩევით ილია ჭავჭავაძის მიერ.

4. „საქართველოს ისტორია". იხ. შენიშვნა 7, გვ. 303.

5. „სხვა და სხვა ამბავი". უწერია ფსევდონიმი „დ. ავ...ი", შეიძლება დავით ყიფიანის ინიციალებია, მით უმეტეს ამ განყოფილების დამუშავება მას ჰქონდა მონდობილი..

ეს იყო უკანასკნელი „სხვა და სხვა ამბები", ამის მსგავსი ჟურნალის შემდეგ ხომრებში აღარ დაბეჭდილა.

6. „სფირიდონის და თადეოზის ბაასი". ეს წერილი ხელმოწერილი სფირიდონ ჩიტორელიძის სახელით ეკუთვნის მიხეილ ყიფიანს (იხ. ამის შესახებ: ი. ერიმაშვილი—ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 148, შენიშვნა 3; ს. ხუნდაძე—შენიშვნები გ. წერეთლის I ტომისი, გვ. 419; ილია ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 280-290 და აგრეთვე „ცისკარი", 1863 წელი ივლისის ჟურნალი, ანტონ ფურცელაძის წერილი სათაურით „ქართული ლიტერატურა", სადაც ფურცელაძე შემდეგს ამბობს „საქ. მოამბეში" დაბეჭდილ ამ წერილზე: „ჩვენ დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ ჩიტორელიძის (მიხეილ ყიფიანის) „თადეოსისა და სფირიდონის ბაასი" და სხვა).

მიხეილ ყიფიანი დაიბადა 1833 წელს 12 აპრილს, გარდაიცვალა 1891 წლის 2 მარტს, ვლადიკავკაზში (ახლა ძაუჯიკაუ), სადაც იგი თერგის მხარის გამძიჯნავ კომისიას მეთაურობდა. ნეკროლოგში, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში" იმ წლის 5 მარტს და რომელიც ეკუთვნოდა ვინმე გ—გ-ს, ჩამოთვლილია საქმიანობა და საერთოდ მოღვაწეობა მიხეილ ყიფიანისა.

მ. ყიფიანმა 1862 წელს ვახტანგ თულაშვილთან ერთად შეადგინა და დაბეჭდა ქართულ ენაზედ არითმეტიკა.

1863 წელს „საქ. მოამბეში" დაბეჭდა „სფირიდონის და თადეოზის ბაასი" სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით (გარდა ანტონ ფურცელაძის „არა ეთიკური" საქციელისა, როგორც ამას პ. ინგოროყვამ უწოდა ილია ჭავჭავაძის მე-4 ტომის შენიშვნებში, მიხ. ყიფიანის ჩიტორელიძეობას „ივერიის" ნეკროლოგიც ამ-

ტკიცებს. ამ გაზეთის რედაქტორი მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო) და ლერმონტოვის „Герой нашего времени“-ს თარგმანი. 1864 წელს მელიქიშვილის სტამბისთვის შეადგინა ე. წ. ვენური შრიფტი. 1865-6 წლებში სთარგმნა შექსპირის „იულიოს კეისარი“ და დაბეჭდა „ცისკარში“. მაშინვე შეადგინა საქართველოს ხუთვერსიანი რუკა. 1866 წელს გამოსცა მათემატიკის სახელმძღვანელო, 1887 წელს დაბეჭდა გეომეტრია ქართულად და სხვა.

1891 წელს „ივერიაში“ 7 მარტს ახალ ამბებში იყო ცნობა: „კავკავიდამ დეპეშით გვაუწყებენ, რომ გარდაცვალებულის მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანის გვამს დღეს დილით გამოასვენებენ აქედგანაო“. ყაზბეგში გამოვლისას ყიფიანისთვის პანაშვიდი გადაუხდიათ. 9 მარტს „ივერიამ“ დაბეჭდა ხელმოუწერელი წერილი, რომელიც მ. ყიფიანის მოღვაწეობას აღწერდა. იმავე გაზეთის მე-53 ნომერში დაიბეჭდა „წერილი კავკავიდამ“, სადაც აღწერილი იყო მ. ყიფიანის მოღვაწეობა კავკავში, მისი გარდაცვალება და გამოსვენება. წერილის ავტორი იყო ლაზარაძე. ამ წერილში მოყვანილი იყო ოსეთის ნიჭიერი პოეტის და ლიტერატურის დამწყების კოსტა ხეთაგურის (1859-1906) მიერ ოსურად ნათქვამი ლექსის შინაარსი: „გზა მშვიდობისა! ჩვენთვის აღარა ზრუნავ ახლა, ქვეყნად გვრჩება შენი სახელი. შენი მომდურავი ერთიც არ არის ჩვენ შორის. სახელი შენი საუკუნოდ ცოცხალი იქნება. თვით სიცოცხლე შენი საუკუნო იყო. მარტო შენ შესძელ და ერს შესწირე კეთილდღეობა შენი, სიყრმიდამ სიბერემდე ნატვირთი გჭონდა მწუხარება ერისა. ანთებული ლამპარი გეჭირა და გვინათებდი ბნელს გზას. საცა საჭირო იყო— იბრძოდი, მაგრამ უფრო ხშირად ალერსი გეხერხებოდა. საცა სიტყვა შენი უძლური იყო, იქ სტიროდი და ცრემლით ცდილობდი საქმის გაკეთებას. დედასავით გიყვარდა სამშობლო. კეთილი მწყემსი იყავ ღარიბთათვის. რით გადაგიხადოთ სიკეთის სამაგიერო? რით მოგიწყოთ მოსაწყობი? ვევედრებით ღმერთს უკუნისამდე, რომ საუკუნოდ იყოს ხსენება შენი. უბედურნი ვართ ჩვენ. ასჯერ უბედურია ის, ვინც უშენოდ სტირს აქა“. კოსტა ხეთაგურს გარდა ოსურად ნათქვამი ლექსისა რუსულადაც უთქვამს ლექსი, რომელიც იმავე, № 53 „ივერიაში“ არის დასტამბული. რუსული ლექსის ტექსტი შემდეგია:

„Умер!.. И это холодное слово
Так глубоко огорчает порчас!
Умер... и как обездоленный, снова
Плачет и стонет родимый Кавказ!

Да, потерял ты достойного сына!
Все, что ты нашей семье завещал
В образе скромном простого грузина,
Все незабвенный наш брат совмещал.
Плачь, дорогой мой!.. В толпе любопытной
Горьким рыданьем не вызовешь смех
В нашей семье еще так первобытной
Он неустанно работал за всех.
Много-ль их было способных народу
Так-же всецело отдаться, любя,
Так-же бороться за нашу свободу,
Светоч познания в сакли вноса?!
Нет!.. Их немного.. И эту потерю
Наши потомки припомнят не раз..
Плачь!.. Я в грядущее наше поверю
Слушая плач твой, родимый Кавказ".

1892 წელს კავკავში დაიბეჭდა წიგნაკი „Памяти Михаила Заалoвича Кипиани", რომელშიც მოთავსებულია ამ ლექსის ტექსტი, ოღონდ ცვლილებებით. ეს ცვლილებაშეტანილი ტექსტი დაიბეჭდა მ. ბერძნიშვილის წერილში „პირველი ბეჭდური ჭართული არითმეტიკისთვის" (იხ. კრებული—სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, გვ. 163).

7. „საბრალონი". იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

№ VI ივნისი

1. „კაცია, ადამიანი", იხ. შენიშვნა 1, გვ. 319.

2. გუთნის დედა. ლექსი ხელმოუწერელია. პირველი ვარიანტი დაწერილია 1858 წლის 4 ივნისს, აკად. გამოცემაში დაბეჭდილი შესრულებულია 1863 წელს.

3. „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ". ამ ლექსის შესახებ იხ. ჟურნ. „ჩვენი თაობა". № 10, 1937. გვ. 166-171.

4. „ლოცვა". ხელმოუწერელია. „საქ. მოამბეში" თარიღი არ უწერია. აკად. გამოცემებში თარიღი ნაჩვენებია ილიას ავტოგრაფების მიხედვით: „17 ივლისი, 1858 წ. ტიარლევო". დაწერილია სტუდენტობისას.

ამ ლექსის შინაარსზე ეყრდნობოდა ილიას მკვლელობის შემდეგ მისი მეუღლე, ოლღა თადეოზის-ასული, როცა გენერალ-გუბერნატორს თხოვნა წარუდგინა, რომ ილიას მკვლელები სიკვდილით არ დაესაჯათ, ეს მოკლულის სულს დაამძიმებსო. ამ შემთხვევას აღმაფრთოვანებელი წერილი უძღვნა იაკობ გოგებაშვილმა (იხ.

„დროება“, 1908 წ., № 20). ილიას მეუღლის ეს განცხადება ცენტრალურ არქივშია დაცული.

5. „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“. იხ. შენიშვნა 6, გვ. 323.

6. „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“. ილია ოქრომჭედლიშვილი ამ ნაშრომში მოკლე მიმოხილვას აკეთებს სომხური ენის განვითარებისა და წარმატების შესახებ.

ავტორს ამ წერილის დასაწერად სხვადასხვა ნაშრომებით უსარგებლია; ყველა ისინი შენიშვნაში აქვს ნახსენები. წყაროები არის რუსული, გერმანული, ფრანგული და სხვ.

ილია ოქრომჭედლიშვილი, რომელსაც რუსეთში სერებრიაკოვად შეუცვალეს გვარი, ცნობილი მოღვაწე იყო. იგი იყო პროფესორი მოსკოვის ლაზარაანთ ინსტიტუტისა, მრავალი კულტურული საქმიანობის წამომწყები და ხელის შემწყობი წინამძღვრიანთ კარის სკოლის დაარსებაში, „ვისრამიანის“ ბეჭდვაში, ცხენისწყალზე ხე-ტყის სახერხი ჩარხნის მოწყობაში და ხე-ტყის მრეწველობაში. გარდაიცვალა 1898 წლის 3 იანვარს. იმ წლის 4 იანვარს „ივერიაში“ სამგლოვიარო განცხადება იყო: გუშინ, 3 იანვარს, გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკი ილია ლაზარეს-ძე სერებრიაკოვ-ოქრომჭედლიშვილი... ცხედარს გაასვენებენ 5 იანვარს, დილის 10 საათზედ, წმ. გიორგის ქვაშვეთის ეკლესიაში, ცურინოვის სახლიდამ, ლაბორატორიის ქუჩაზედ (ახლანდელი ძერჟინსკის ქ.), მხოლოდ დაკრძალული იქნება დიდუბის ეკლესიის გალავანში“.

„ივერიაში“ (№ 2, 1898 წ.) ილიამ დაბეჭდა ნეკროლოგი, რომელშიც ოქრომჭედლიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა აღნიშნა. „ივერიის“ მესამე ნომერშიც დაიბეჭდა „დავიწყებული მწერლის“ წერილი, ოქრომჭედლიშვილის მოღვაწეობის დაფასების შესახებ. იმავე წლის იანვრის „მოამბეშიც“ დაიბეჭდა ნეკროლოგი, რომელიც „ივერიასავით“ საზოგადოებას ემდურებოდა ოქრომჭედლიშვილის ღვაწლის დაუფასებლობას. ილიას მიერ მიძღვნილ გვირგვინს ეწერა: „ჩემს გულითად მეგობარს და დაუვიწყარ ამხანაგს—ილია ჭავჭავაძე. 3 იანვარი 1898 წ.“.

ილია ოქრომჭედლიშვილი „ივერიაშიც“ თანამშრომლობდა.

7. „ამაო ამაოთა“. 1861 წლის მარტის თვის „ცისკარში“ დაიბეჭდა წერილი, მოწერილი ქუთაისიდან ივანე კერესელიძის სახელზე, ავტორი იყო დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც ქუთაისში გამართულ წარმოდგენის შესახებ იწერებოდა. ამ წარმოდგენის გამართვიდან აღებულ ფულს შეტად საინტერესო დანიშნულება ჰქონია, კერძოდ, უნდა გამოცემულიყო ქართული წიგნები, პირველი, გამოსაცემად

განზრახული წიგნი ყოფილა „კალმასობა“, რომელსაც აღნიშნულ წერილში დიმიტრი ბაქრაძე შემდეგგვარად ახასიათებდა: „ერთი უცხო წიგნი, რომელიც დიაღ ცოტათ წაუკითხავთ და რომლისაც გამოცემა დიაღ საჭიროა... შეიცავს მთელის მეთვრამეტე საუკუნის ამერ-იმერთა ზნეობათა და ვეართა და შესანიშნავთა ისტორიულ პირთა მოქმედებაების გამოხატულებასა, აგრეთვე საქართველო—მსოფლიო ისტორიათა და მეცნიერებათა. ეს თხზულება მთელი ენციკლოპედიაა და დაწერილია მშვენიერის ენითა“ და სხვ. (იხ. „ცისკარი“, 1861. № 3).

დიმიტრი ბაქრაძემ იმავე წელს აპრილის ჟურნალში დაბეჭდა წერილი სათაურით „იოანე ბატონიშვილი და იმისი კალმასობა“, რომელშიც დაწვრილებით გაარჩია ეს თხზულება და დასასრულს გამოსთქვა აზრი, რომ თბილისში და ქუთაისში უნდა დაარსდეს ბიბლიოთეკა, სადაც შეგროვდება „ამ გუარი რამ“ მამა-პაპათაგან დარჩენილი, მაშინ „კალმასობა რამდენჯერმე გამოიცემოდა და უფრო გავრცელებული იქნებოდა, ვინამც ვეფხვის-ტყაოსანი“-ო.

„კალმასობა“ მართლაც დაიბეჭდა დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით. ამ გამოცემას გამოუწვევია სწორეთ წერილი „ამაო ამაოთა“, „საქ. მოამბის“ ივნისის ნომერში დაბეჭდილი, თერგდალეულისა, დათარიღებული 1863 წლის 20 მაისით, გამოგზავნილი ს.-პეტერბურგიდან.

რეცენზენტი საფუძვლიანად შეეხო დ. ბაქრაძის წინასიტყვაობას და სხვათა შორის წერდა: „სამწუხაროდ ჩვენ უნდა გამოვტყდეთ და გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ „კალმასობაში“ ბევრი ვეძიეთ და ვერაფერი ჰაზრი ვერ ვიპოვეთ წერის პროცესს გარდა“-ო. დასასრულს ავტორს 5 პარაგრაფი ჰქონდა, რის მიხედვითაც „კალმასობის“ გამოცემა მან ფულის და მასალის დაკარგვად აღიარა. იგი იქვე ეხებოდა „ცისკრის“ რედაქციის მიერ დაშვებულ შეცდომას, რომელიც დაუკვირვებლობის შედეგად ეხმარა, ეს იყო „ქართველთ იმერთა“ თერმინის სმარება; P. S-ში თერგდალეული უსწორებდა, რომ უნდა იყოს „ქართლ-იმერეთის“ და ა. შ.

წერილის დასასრულს „საქ. მოამბის“ რედაქციამ შენიშვნა მოათავსა: „ჩვენ სრულიად თანახმანი ვართ ამ სტატიის ავტორთან, მხოლოდ ჩვენა გვგონია, რომ, თუმცა მართალია „კალმასობა“ დიდი არა ფერია, მაგრამ მაინც იმის დაბეჭდვაში არა არის რა ცუდი. უკეთესი, რომ ამოერჩიათ, კარგი იქნებოდა, რაკი ეგ ვერ მოხერხდა, რა ვუყოთ?“ წერილს ხელს აწერს თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე. კ. ლორთქიფანიძეს (1839-1918) ეკუთვნის რუს

პოეტთა და მწერალთა თარგმანები. 1861 წელს დაპატიმრებული იყო კრონშტადტში სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისთვის. კრებულ „ჩონგურის“ შემდგენელ-გამომცემელი, ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხის“ მთარგმნელი (იხ. „საქ. მ.“ № 11, წინასიტყვაობა წერილსა „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“), გაზ. „დროებას“ დროებითი რედაქტორი 1873-4 წლებში, ქუთათური გაზეთის „შრომას“ აქტიური თანამშრომელი (1881-83 წ.), ქუთაისის ქალაქის საბჭოს საქმიანობის დიდი მონაწილე მთელი რიგი წლების განმავლობაში.

8. „საქართველოს ისტორია“. იხ. შენიშვნა 7, გვ. 308.

9. „საბრალონი“. იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

№ VII ივლისი

1. „უცნაური ნიშნობა“. ავანტურული ხასიათის ნაწარმოებია სამ ნაწილად, იბეჭდებოდა სამი ნომრის განმავლობაში. დაწერის თარიღი: 1863 წელსა, აპრილის 15 დღესა. ავტორი არის ი[ოსებ] ბერიძე, რომელიც ადრე „ცისკარში“ მონაწილეობდა, კერძოდ, 1859 და 1860 წლებში მას დაბეჭდილი აქვს რამდენიმე ლექსი და მოთხრობა „ხანიზდექ“.

„უცნაურ ნიშნობას“ აქვს ქვესათაური: „ტფილისის საიდუმლოებთაგან“, შესდგება 18 თავისგან და იყოფა სამ ნაწილად. 18 თავიდან 7-ს წამძღვარებულ აქვს ეპიგრაფები რუსთველიდან, ჟუკოვსკიდან, ლერმონტოვიდან, შეკირიოვიდან და სხვ. მოთხრობა ავტორს მიუძღვნია „სამშობლო ლიტერატურის მოყვარეთადმი“. შინაარსი თბილისის ფონზე იშლება.

2. „ლოცვა აჩრდილისა“—თავი „აჩრდილიდან“, რომელიც 1925 წლის გამოცემაში გვ. 134, ხოლო 1937 წლისაში გვ. 139 XXVI-XXVII თავებად არის დაბეჭდილი. ხელმოუწერელია, ბოლოს ხუთი ვარსკვლავი უზის.

„აჩრდილის“ პირველი ვარიანტი დაწერილია პეტერბურგში 1859 წლის იანვარში. ამ ვარიანტიდან მეხუთე თავი სათაურით „არაგვი“ დაიბეჭდა 1859 წლის ოქტომბრის „ცისკარში“.

3. „გ. აბხ...“ ლექსი ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი, ბოლოს ოთხი ვარსკვლავი აქვს. თარიღი არ უწერია, აკად. გამოცემებში ნაჩვენებია 1863 წელი. ლექსი მიძღვნილია ილიას დის ნინო აბხაზის შვილის—გიგოსადმი. მიხ. გედევანიშვილი წერდა (1914 წლის გამოცემა), რომ გიგო აბხაზი ილიას მოურავად ჰყავდაო საგურამოში.

4. „სამგზავრო წერილები“ პეტრე ნაკაშიძისა ეხება პოლონეთის აჯანყებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1863-4 წლებში, რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ. 1830 წლის აჯანყების შემდეგ პოლონეთი აღარ დაწყნარებულა, რევოლუციური ემიგრაცია არ ისვენებდა, მაგრამ განმანთავისუფლებელ მოძრაობას ჯალათად პასკევიჩი ედგა, რომელიც 1856 წელს მოკვდა. იმის შემდეგ მეფის მოადგილეები პოლონეთში ხშირად იცვლებოდნენ. გორჩაკოვის დროს დაიწყო აჯანყება. რუსეთის მეფის მთავრობას ჯერ უნდოდა მორიგებით და რეფორმებით გაეკეთებია საქმე, მაგრამ სულ მზარდი აღელვება არაფრით არ ჩერდებოდა. 1863 წლის 3 იანვრის სარეკრუტო მეკრებამ გამოიწვია ამბოხება, რომელიც ერთ წელიწადს და ოთხ თვეს გაგრძელდა. ამბოხებას ხელმძღვანელობდა სახალხო „რჟონდი“. შეიარაღებული გამოსვლის დღედ დანიშნული იყო 10 იანვარი 1863 წლისა. მოხდა შეტაკებანი და მეჯის ჯარმა დაამარცხა აჯანყებულნი. პარტიზანული ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა, იგი გაგრძელდა 1864-5 წლებშიც. ამ აჯანყებაში ბევრი პოლონელი დაიღუპა, დიდი ნაწილი წავიდა ემიგრაციაში. სწორედ ეს პერიოდი არის აღწერილი პეტრე ნაკაშიძის მიერ „სამგზავრო წერილებში“. წერილი საკმაოდ ირონიული ტონით არის დაწერილი და ეს ირონია მიმართულია თვითმპყრობელობისაკენ. სურვილი და მისწრაფება „ტყისკენ“, პარტიზანული ბრძოლა პოლონელი სტუდენტებისა, პატარა, ათი წლის ბავშვის სურვილიც კი, რომ ტყეში წავიდეს თავისუფლებისთვის ბრძოლაში — მშვენიერად არის შენიშნული და აღწერილი.

„საქ. მოამბე“ განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამ გვარი ხასიათის ბრძოლებით. როცა პოლონეთში დიდი სიძლიერით იფეთქა ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, ქართველთათვის ეს მეტად საყურადღებო მოვლენა არა ერთ გზის გაშუქდა „საქ. მოამბეში“, ხოლო პ. ნაკაშიძის წერილი პირდაპირ ფაქტებს შეეხო.

პეტრე გიორგის-ძე ნაკაშიძე დაიბადა გურიაში, სოფ. გურიანთაში 1838 წელს. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, ილია ოქრომჭედლიშვილის შემდეგ ასწავლიდა ქართულ ენას ლაზარაანთ ინსტიტუტში, მოსკოვში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მომრიგებელ შუამავლად და როგორც „ივერია“ სწერდა: „მსახურობდა კარგა ხანს და სიმპატიურისა და გულკეთილის ხასიათით ხალხის სიყვარულიც შეიძინა“, რამდენჯერმე იქნა არჩეული გურიის თავად-აზნაურთა წინა-

მძღოლად, ბოლოს-კი დასავლეთ საქართველოს მარშლადაც, მაგრამ მთავრობის მიერ მისი კანდიდატურა დამტკიცებულ არ იქმნა.

პეტრე ნაკაშიძე გარდაიცვალა 1895 წელს, ბორჯომში და იქვეა დასაფლავებული. მისი პირველი წერილი ეს „სამგზავრო წერილებია", გამოგზავნილი პოლონეთიდან.

მის გარდაცვალებაზე „ივერიაში" 1895 წელს № 145 თერთმეტ იელისს პატარა, ხელმოუწერელი ნეკროლოგი დაიბეჭდა: „პეტრე ნაკაშიძე იმ ახალგაზრდა დასს ეკუთვნის, რომელმაც 60 წლებში დაიწყო ჩვენში მოქმედება"-ო.

პეტრე ნაკაშიძის ცოლი, ბარბარე სოლომონ ონიკაშვილის ასული, ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის ზედამხედველი იყო, გარდაიცვალა ნიცაში, იქვეა დასაფლავებული.

5. „სფირიდონის და თადეოზის ბაასი". იხ. შენიშვნა 6, გვ. 323.

6. „სხარტულას" ხელმოწერა აქვს გ. ჩ... აკად. გამოცემის რედაქტორს (1927 წ.) შეტანილი აქვს ილიას ნაწერების მეოთხე ტომში, ხოლო პირველ ტომში ნაჩვენებ ფსევდონიმებთან ეს გ. ჩ. ნაჩვენები არა აქვს (არის ამავე ტომში, შენიშვნებში).

წერილი ეხება ჟურნ. „ცისკარს", მის რედაქტორს ივანე კერესელიძეს და მის თანამშრომელს ანტონ ფურცელაძეს, რომელიც „ცისკრიდან" ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს.

„სხარტულა" სცენებია, რომლის დასაწყისში აღწერილია სცენა, რომელიც: „წარმოადგენს ქართული ტახტით მორთულ ოთახსა, კედელზედ ჰკიდია ირმის რქა, ზედ აწყვია: ჭიანური, თარი და ჩონგური" და სხვ. ეს ადგილი ძლიერა ჰგავს აკაკის მიერ აღწერილს „ჩემს თავგადასავალში": „ეშხში რომ შევიდოდა, ჩამოავლებდა ხელს თარს, კედელზედ რომ ეკიდა, ჩანგურთან, დაირასთან, როროტოტოსთან და სხვებთან ერთად"... და სხვ.

7. „საქართველოს ისტორია". იხ. შენიშვნა 7, გვ. 308.

8. „შენიშვნა" ილიასა და ძველ თაობას შორის პოლემიკის ერთ-ერთი საბუთია.

„ცისკარში", რომელიც ივ. კერესელიძის რედაქტორობით განახლებით გამოდიოდა 1857 წლიდან, ამ წლის ნოემბრის და დეკემბრის და 1858 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილის (1818-1875) წერილები „სალაყბო ფურცელი", რომელსაც ავტორი ფსევდონიმად აწერდა „მოლაყბეს". ეს „სალაყბოს ფურცელი" ახალა ამბავი იყო ჟურნალში და, როგორცა ჩანს ახალთაობა, რომლის მძლავრი და საუკეთესო ნაწილი პეტერბურგში სწავლობდა, დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ამ გან-

ყოფილებას, რადგან ივ. კერესელიძის ლექსებსა და კარამზინის „საბრალო ლიზას“ შორის „სალაყბო ფურცლები“ მეტად საინტერესო იყვნენ საღი, კრიტიკული მიმოხილვის თვალსაზრისით. 1858 წელს ილია ჭავჭავაძეს გაბრიელ სულხანიშვილისთვის, რომელიც „ცისკარში“ მონაწილეობდა და როგორცა ჩანს „მოლაყბეს“ ფსევდონიმითაც წერდა (იხ. გ. წერეთელი—ნაწერები, I ტ. ს. ხუნდაძის შენიშვნები, გვ. 424-426), მიუწერია წერილი, რომელიც შემდეგი ხასიათისაა: „... ამას წინეთ მჯონია შენი სტატიები იყო ცისკარში და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს, შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო, რაც კი შეეხება ენას, სწორეთ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ, ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილით დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგა დაიწყო ქართველის უბედურებაზედ დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯარაზედ დართულ სიტყვებით ტიტინებდა. რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს! უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი ცისკრის ნომრები, სადაც მოლაყბის ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის!“

ეს წერილი, მიწერილი ილიას მიერ 1858 წელს მიხ. თუმანიშვილის მიერ 1857 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 1858 წლის იანვრის „ცისკრის“ ნომრებში დაბეჭდილი „სალაყბო ფურცლების“ დაბეჭდვის შემდეგ გაბრიელ სულხანიშვილისადმი, „ცისკრის“ რედაქტორს, ივანე კერესელიძეს ჩავარდნია ხელში და წერილის დაწერიდან 5 წლის შემდეგ გამოუყენებია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, დასამტკიცებლად იმისა, რომ ილია წინად „ცისკარს“ ასე სცემდა პატივს, ელოლიავებოდა, ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტად მიაჩნდა, ხოლო ახლა მას ლანძღავსო. სწორედ ასეთი შენიშვნა დაურთო „ცისკრის“ რედაქციამ ილიას წერილს გაბრიელ სულხანიშვილისადმი: „ცისკრის რედაქცია საჭიროთ რაცხს დაბეჭდოს ამ სხოლიოში თ. ილია ჭავჭავაძისგან მოწერილი წიგნი მოლაყბის შესახებ, დასამტკიცებლად იმის რომ, უფ. მოამბის რედაქტორი არა სდგას არასოდეს ერთს აზრზედ, აი რასა სწერს“... და შემდეგ მოყვანილია ილიას წერილის ტექსტი. რედაქციის ეს შენიშვნა და ტექსტი ილიას წერილისა გაბრიელ სუხანიშვილისადმი, დაბეჭდილი იყო 1863 წლის ივლისის „ცისკარში“.

გაბრიელ სულხანიშვილის „შენიშვნა“ დაიბეჭდა „საქ. მოამბის“ ივლისის ნომერში (ივლისის „ცისკარი“ უფრო ადრე გამოსულა, ვიდრე ივლისის „საქ. მოამბე“, ამ უკანასკნელს გამოსვლაზე ცენზო-

რი ნებას აძლევს 22 აგვისტოს) და მიმართულია ივ. კერესელიძის არა ეთიკური საქციელის წინააღმდეგ. გაბრიელ სულხანიშვილი შემდეგსა სწერს: „ცისკრის რედაქტორმა ივლისის ნომერში დაბეჭდა ჭავჭავაძის წიგნი ჩემთან მოწერილი, მითომ იმისათვის, რომ ვაჩვენოო ჭავჭავაძე ერთს აზრზედ არა დასო. მე, როგორც ამ საქმეში გარეული პირი, მოვალე ვარ ეს საქმე როგორც იყო ისე შევატყობინო საზოგადოობას, რომლის მოტყუებასაც ამ შემთხვევაში არ მოერიდა პატივცემული ცისკრის რედაქტორი“, და შემდეგ, მიმართავს-რა კერესელიძეს, უწმარტავს, რომ ილიას მოსწონდა არა ყველა წერილი, რომელიც „მოლაყბეს“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა და რომელსაც ხშირად ივანე კერესელიძეც იყო ამოფარებული, არამედ ის „სალაყბო ფურცლები“, რომელნიც 1857 წლის ნოემბერ-დეკემბრის და 1858 წლის იანვრის ჟურნალებში დაიბეჭდა. გაბრიელ სულხანიშვილი (ამ წერილს აწერს—სულხანოვი) ასე წერდა კერესელიძეს: „უფ. ჭავჭავაძე იმ პირველს, იმ ორ სტატიის (უნდა იყოს—სამ სტატიის—ს. ხ.) დამწერს აქებს მაგ წიგნით, რომელსაც თქვენ და თქვენი რაზმი ისე ეხეიროთ ჰბაძავდა და ვერ მიჰბაძა-კი“ (ამ ფსევდონიმით—„მოლაყბე“, „ცისკარში“, გარდა პირველი „მოლაყბე“ მიხეილ თუმანიშვილისა, სტატიებს ბეჭდავდნენ—ივ. კერესელიძე, გრ. რჩეულიშვილი და როგორც აკაკი მოგვითხრობს „ჩემს თავგადასავალში“—ღავრენტი არდაზიანიც). გაბრიელ სულხანიშვილი, იმის დასამტკიცებლად, რომ ილია ამ წერილს პირველ „მოლაყბეზე“ წერდა და არა სხვებზე, განაგრძობს: „ამას თითონ წიგნის თარიღი დაგიმტკიცებთ, ეგ წიგნი პეტერბურგიდამ მგონი თებერვალში თუ მარტში არის მოწერილი 1858 წლისას. მაგ დრომდინ იმ ორ სტატიის დამწერის გარდა სხვა არავინ იყო მოლაყბე. მაშასადამე ეგ ქება მარტო იმას მიეწერება. ის მართლა და საქებიც იყო; სხვანი კი რომელთა შორისაც მგონი თქვენ ბძანდებოდით, და რომელნიც მის შემდეგ ჰსწერდნენ მოლაყბის სახელითა ღმერთმა შეინახოს. და თუ უფ. ჭავჭავაძეც აძაგებს ეხლა—იმ პირველი მოლაყბის უბეირო მბაძავთა ღირსად აძაგებს. აქედამ ის კი არ გამოდის, რომ ჭავჭავაძე ერთს აზრზედ არა დგას, არამედ ის გამოდის, რომ ჭავჭავაძე პირველი მოლაყბის სახელით არ მოტყუებულა და ყალბი წმინდა ვერცხლად არ მიუღია. თუ იმ პირველი მოლაყბის ორს სტატიას, რომელსაც წიგნის თარიღით მიეწერება ქება და რომელიცა მართლა ღირსია ქებისა—თქვენგანი დაიჩემებს ვინმე, ამაშიც საჭეყნოდ გაგამხილებთ, რადგან იმ მოლაყბის სახელი და გვარი ვიცით და ამ ჟამად კი ნება არა გვაქვს, რომ გამოვაცხადოთ,—და თუ ძალას და-

გვატანთ, იმასაც გამოვაცხადებთ". შემდეგ გაბრიელ სულხანიშვილი მკითხველ საზოგადოებას მიმართავს და „ცისკრის" რედაქტორს უკიჟინებს იმ არა სიმპატიური საბრძოლო ხერხის ხმარებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რომელსაც მატყუარობა ჰქვია, „ახლა მკითხველო, თქვენვე იგულისხმეთ რა საგანგებო ღონის ძიება უხმარია ცისკრის პატივცემულ რედაქტორს, რომ ჭავჭავაძეს ავნოსო".

გაბრიელ იესეს-ძე სულხანიშვილი დაბადებულა თბილისში 1835 წელს და როგორც მისი „ნამსახურობის" სია აჩვენებს (ეს სია შედგენილია 1864 წლის 18 აპრილს) დაუმთავრებია მოსკოვის უნივერსიტეტი 1857 წლის 10 ივნისს. ამავე წლის 15 ოქტომბრიდან უკვე სამსახური დაუწყია თბილისში ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატაში შტატგარეშე ჩინოვნიკად, 1858 წლის 14 თებერვლიდან მუშაობს столоначальником по отделению казначейств, ამავე წლის 30 მარტიდან მიუღია გუბერნიის სამმართველოს მდივნობა. 1860 წელს, 9 თებერვლიდან მუშაობდა директором Закавказскаго Приказа Общественнаго призрения по выборам от дворянства. ყოფილა „კოლეგსკი სეკრეტარი", შემდეგ „ტიტულიარნი სოვეტნიკი" და ბოლოს მთავარ სამმართველოში უმუშავია სამართლის საქმეთა დეპარტამენტში.

გაბრიელ სულხანიშვილი გარდაიცვალა 1879 წელს. დასაფლავებულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

მას უთარგმნია გოგოლის „რევიზორი", რომელიც მისი ცოლის ელისაბედ გიორგის-ასულის გადმოცემით მსახიობ კოტე ყიფიანს წაუღია.

9. „საბრალონი". იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

№ VIII აგვისტო

1. „უცნაური ნიშნობა". იხ. შენიშვნა 1, გვ. 328.

2. „ჰმუნვის მახვილი გულისა მსობია.." ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ხასიათის ლექსი. სათაურის ადგილზე ფრჩხილებში უწერია: „თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსი".

3. „აჩრდილიდგან". „არჩდილის" მეორე ვარიანტის ერთი თავი (1925 წლის გამოცემა, თავი XXIV, გვ. 132; 1937 წლის გამოცემა გვ. 137-138).

აქ ცენზურის მიერ ამოღებული იყო შემდეგი ნაწილი:

„როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა

ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მბურვალება
როდის დააღნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა...“

ილიას ხელმოწერა არ არის.

4. „კონრად კიფერი...“ იხ. შენიშვნა 5, გვ. 316.

5. „მცარცველობის ფიზიოლოგია“. ფრედერიკ ბასტია (1801—1850), ცნობილი ფრანგი ეკონომისტი, ჯერ კომერციული საქმიანობით იყო დაინტერესებული, 1831 წლიდან მოსამართლედ მუშაობდა. ლიტერატურული მუშაობა დაიწყო 1844 წლიდან, იმოგზაურა ინგლისში და სხვადასხვა საზოგადოებაში წაიკითხა ლექციები. პარიზში დაბრუნებისას, 1846 წელს გამოსცა „ეკონომიური სოფიზმები“. ეს წიგნი რუსულად ითარგმნა 1863 წელს და აქედან არის თარგმნილი და დაბეჭდილი „საქ. მოამბეში“ ერთი თავი „მცარცველობის ფიზიოლოგია“ მერვე ნომერში, ხოლო მეორე „ორნაირი სწავლა“ მეთერთმეტე ნომერში.

„საქ. მოამბე“ შემდეგ შენიშვნას უკეთებს ამ წერილს: „არის ერთი პატარა წიგნი დაწერილი გამოჩენილი ფრანციის ეკონომისა ბასტიასაგან: „ეკონომიური სოფიზმები“. თუმცა მთელი წიგნი ფრიად საგანგებო რამ არის და სასარგებლოც, როგორც ყველასთვის, ისე ჩვენთვისაც, მაგრამ მე იქიდამ ამოვიღე მარტო ერთი ადგილი „მცარცველობის ფიზიოლოგია“, რომელიც უფრო მეტად მიეკედლის ჩვენს ცხოვრებას და რომელმაც იქნება გვიშველოს ზოგიერთი რამე გავიგოთ და ამით ჩვენთვის უნაყოფო არ იქნეს“.

მთარგმნელი არის ბ. გ. (?)

6. „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“. იხ. შენიშვნა 6, გვ. 323.

7. „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიქტორ ჰიუგოს წიგნი“. წერილს არ უწერია, რომ თარგმნილია, მაგრამ სათაურს სქოლიოში აღნიშნული აქვს ინიციალები: „Ж. М. Ю. 1862 г. Декабрь“. სწორედ ეს მიუთითებს წყაროს. ეს წერილი გადმოღებულია Журнал Министерства Юстиции-დან, 1862 წ. მე-14 ტომიდან. ამ რუსულ ჟურნალში დაბეჭდილია „Статистика казненных и статистика помилованных в разных государствах Европы“, რომლის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს Вопрос об отмене смертной казни и письмо по этому предмету Виктора Гюго, რომელიც ასე იწყება: Из предыдущего статистического очерка видно, что смертная казнь... და სხვ. ქართულ თარგმანში, რასაკვირველია, ასეთი დასაწყისი არ არის, რადგან სტატის-

ტიკური ცნობები სიკვდილით დასჯის შესახებ თარგმნილი არ არის (იგი სხვა ადგილას არის გამოყენებული, სახელდობრ მეორე ნომრის „სხვადასხვა ამბებში"). ქართული თარგმანი იწყება ასე: რაც-კი ევროპაში დიდი სახელმწიფოა... და სხვა.

ცნობილია, რომ ვიქტორ ჰუგო თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა, რაც ადრინდელ ნაწერებში გამოხატა კიდეც. ამ წერილშიც იმავე პრინციპებს ადგას. ქართული თარგმანი რუსულ ტექსტს სიტყვა-სიტყვით მისდევს. მხოლოდ ერთგან არის ქართული ტექსტი ცენზურით ამოშლილი, რის აღდგენაც შესაძლებელია რუსულის დახმარებით (იხ. „საქ. მოამბე" № 8, გვ. 90). ეს ადგილი რუსულად შემდეგია: „Интересно было бы посмотреть на общество, которое поведут по пути к цивилизации Эсхила, Софокла, Пифагора, Пиндара, Плавта, Лукреция, Виргилия, Ювенала, Данта, Сервантеса, Шекспира, Мильтона, Корнелия, Мольера и Вольтера! Да, это бы пришлось умереть со смеха! Все серьезные люди захохотали бы, все важные люди пожали бы плечами. Вот был-бы хаос. Спросите у всевозможных судов, возможное-ли дело—отменение смертной казни!"

ეს ამოშლა დამახასიათებელია პერიფერიის ცენზურისთვის, აქ უფრო მკაცრად ეკიდებოდნენ ყველაფერს და ცენტრში ნება დართულს კვლავ ქარ-ცეცხლში ატარებდნენ.

8. „საბრალონი". იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

№ IX სეკტემბერი

1. „უცნაური ნიშნობა". იხ. შენიშვნა 1, გვ. 328.

2. „ზღვათა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა". ილიას თარგმნილი. ლექსის ავტორი არის ანდრე-მარი შენიე (1762-1794), ცნობილი ფრანგი პოეტი, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში, მისი ლექსების გამოჩენისთანავე, რომანტიზმის წინამძღვრად იცნეს.

ილიას ეს ლექსი 1861 წელს უთარგმნია, ალბად პეტერბურგში ყოფნისას. ჟურნალში სათაურის ადგილზე ფრჩხილებში ზის—ანდრე შენიედამ. ხელმოწერის ადგილზე სამი ვარსკვლავია, ილიას ჩვეულებრივი ფსევდონიმი.

3. „სიხარული". ილიას ერთსტროფიანი ლექსია, ხელმოწერის ადგილზე სამი ვარსკვლავია.

ავტოგრაფებში მას უწერია—მიბაძვა. ასევე დაიბეჭდა აკად. გამოცემებში (1925 და 1937 წელს). ლექსი დაწერილია 1859 წლის 7 მარტს.

გამოცემებში ბხოლოდ ერთი სიტყვაა შეცვლილი „საქ. მოამბის“ ტექსტთან შედარებით:

„საქ. მოამბეში“—გზაზედ მოწყვეტილს.

გამოცემებში—გავლით მოწყვეტილს.

4. „მტკვრის პირას“. ილია ამ ლექსს უძღვნის ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილს. პ. ინგოროყვას ასეთი განმარტება აქვს: „ლუარსაბ მაღალაშვილი ილიასთან ერთად სწავლობდა უნივერსიტეტში და ილიას უახლოესი მეგობარი იყო. საქართველოში დაბრუნებისას ლუარსაბ მაღალაშვილი ახლო მონაწილეობას იღებდა საზოგადო საქმეებში „თერგდალეულების“ ჯგუფთან ერთად. შემდეგ მაღალაშვილი აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის მარშლად იყო არჩეული“ (იხ. 1925 წლ. გამოც. I, გვ. 382; 1937 წლ. გამოც. I ტ. გვ. 755).

ლ. მაღალაშვილი მონაწილეობას იღებდა ქართული დრამატიული დასის ჩამოყალიბებაში. მასვე ეკუთვნის კატკოვის გაზეთის „Моск. вед.“-ის გამოლაშქრების წინააღმდეგ მიმართული წერილი.

5. „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ“. ეს არის თარგმანი ბელინსკის იმ კრიტიკული წერილებისა, რომელიც მან დაბეჭდა „От. записки“-ებში 1840 წელს. ბელინსკის ეს წერილი დაწერილია ჰოფმანის და ოდოევსკის საბავშვო წიგნებზე: „Подарок на Новый год“. Гофмана; „Детския сказки дедушки Ирине“—В. Одоевского. „საქ. მოამბეში“ დასტამბული თარგმანი მაქსიმე ღლონტისაა (ღლონტიძე), წარმოადგენს ბელინსკის წერილების შემოკლებულ თარგმანს.

6. „კირაკოზი განძაკეცი“. ქვესათაურია—მწერალი XIII საუკუნისა.

ეს წერილი თარგმნილია 1858 წელს მოსკოვში გამოსული კირაკოზ განძაკეცის მოხლოლების ისტორიის იმ განხილვიდან, რომელიც მოთავსებული ყოფილა 1862 წელს Р[усское] С[лово]-ში, მთარგმნელია ბ. ვ. მთარგმნელი იძლევა ცნობებს კირაკოზ განძაკეცის შესახებ, რომ იგი ყოფილა სომეხთა ისტორიკოსი მე- 13 საუკუნისა, რომ თავისი ისტორიისთვის უსარგებლია იოანე ვანაკანის ისტორიით—ადრეული პერიოდისთვის, ხოლო თანამედროვე ამბების თვით ყოფილა თანადამხვდური და მოწმე.

ჟურნ. „საქ. მოამბე“ საქართველოს წარსულსაც დიდი ხალისით და სიყვარულით ეკიდებოდა და სწორედ ამის შედეგია, რომ ბ. ვ.-ს თარგმანი კირაკოზ განძაკეცის ისტორია დაბეჭდა ქართულად,

შენიშვნაში მოხსენებული Р. Сл. (Русское Слово) იყო ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1859 წლიდან და რომელსაც რედაქტორობდნენ პოლონსკი და აპ. გრიგორიევი. ჟურნალში სპეციალური გამოკვლევები იწერებოდა. 1860 წლიდან რედაქტორობს ბლაგოსვეტლოვი, იმავე წელს ჟურნალში მუშაობა დაიწყო პისარევმა. „Р. Слово“ გამოხატველი იყო 60-იანი წლების ნიჰილისტური მიმართულების ფრთისა. ჟურნალი დაიკეტა 1860 წელს მთავრობის განკარგულებით.

კირაკოზ განძაკეცი თხზულებაში იძლევა ბიოგრაფიულ ცნობებს თავის შესახებ. იგი დაბადებულა 1201 წელს, გარდაიცვალა 1272 წელს. ისტორია შეწყვეტილი აქვს 1265 წელზე, ყოფილა განჯიდან. სწავლა მიუღია ვანაკანთან, სამშობლო ენის გარდა სცოდნია აღმოსავლური ენებიც, მთარგმნელად ყოფილა თათართა ლაშქართა უფროსთან—მოლარ ნუინთან. პარიზში დაბეჭდილი მისი ისტორია მარი ბროსეს უთარგმნია. რუსულად არის ნაშრომი: „История монголов по Армянским источникам, выпуск второй“, გამოცემული კ. პატკანიანის მიერ 1874 წელს პეტერბურგს. ამ სერიაში მოთავსებულია კირაკოზ განძაკეცის ისტორიაც.

7. კონრად კიფერი... იხ. შენიშვნა 5, გვ. 316.

8. საბრალონი. იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

№ X ოქტომბერი

1. „ჩვენი დროების გმირი“ („Герой нашего времени“) ლერმონტოვისა ხუთი ამბისაგან შესდგება: Бела, Максим Максимыч, Тамань, Княжна Мери და Фаталист. ამათგან მიხეილ ყიფიანს უთარგმნია ბოლოდ ბელა, მაქსიმ მაქსიმიჩი და ტამანი.

„ჩვენი დროის გმირი“-ს სრული თარგმანი, შესრულებული შალვა დადიანის მიერ, დაიბეჭდა 1930 წელს, არსებობს ამ თარგმნის მეორე გამოცემაც.

2. „ერთი მოთხრობის დასაწყისი“. ეს იყო დასაწყისი „რამდენიმე სურათისა“... ამ ნაწილს არც თარიღი უწერია და არც ხელმოწერა აქვს. ბოლოში ოთხი წერტილია. ასეთი სათაური „ერთი მოთხრობის დასაწყისი“, შემდეგ გამოცემებში აღარ გამეორებულა. „საქ. მოამბეში“ დაბეჭდილი ნაწილი უდრის 1925 წელს გამოცემულს ტომში დასაწყისიდან, ვიდრე 152 გვ-მდე ზევიდან 10 სტრიქონი, ხოლო 1937 წელს გამოცემულის დასაწყისიდან 152 გვ-მდე 18 სტრიქონი ზევიდან, და თავდება სიტყვებით:

„მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
ეხლანდელ დედაჭ ვეღარ გახარდოს!„“

3. „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ". იხ. შენიშვნა 5, გვ. 336.

4. „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი", ფრჩხილებში სათაურის შემდეგ უწერია—პრუდონის სტატია. მთარგმნელია ბ. ვ.

5. „რედაქციისაგან". სარედაქციო წერილი ხელმოუწერელია. სარედაქციო წერილებზე იხ. წინასიტყვაობაში.

6. „საბრალონი". იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

№ XI ნოემბერი

1. „რედაქციისაგან". ერთად-ერთი წერილი „საქართველოს მოამბეში", რომელსაც ილია ჭავჭავაძე აწერს ხელს. მომავალი, 1864 წლისთვის ხელისმოწერის და ჟურნალის განწყობილი მუშაობის შესახებ.

2. „ლოტო". პირველად ქართველი ქალების ლოტოთი გატაცება გ. ერისთავმა ასწერა პოემა—დრამაში „შეშლილი". ამ ნაწარმოებში ქეთევანი, კატო, ნინო და მელანია ისე არიან გატაცებული თამაშით, რომ როცა უკანასკნელ სცენაში ტატო შემოვარდება და ტასიას სიკვდილის ამბავს მოიტანს, ისინი მაინც განაგრძობენ თამაშს და ამ საშინელ ამბის მოსმენასთან ერთად, ლოტოს ნომრებს გაიძახიან:

„ფედესეტ ოსემ... თუ მართალია...
მაგრამ დედაზე სამართალია...
ვოსემ დესეტ სემ... ყური არ უგდო,
საბრალო ქალი ყმაწვილს მიუგდო
შვიტ დეციტ დეცეტ... მე რა გავიგე" და სხვა.

ეს დრამატიული პოემა გ. ერისთავს გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაუწერია (1838 წ.) და როგორც პეტრე უმიკაშვილის მოგონებიდან ჩანს, ხელნაწერებად ყოფილა გავრცელებული. პირველად იგი დაიბეჭდა „საქ. მოამბეში", თებერვლის ნომერში. ამ თამაშით გატაცება ძეტად გაძლიერებულა ქართველ ქალებში 50-60 წლებში, ისე, რომ ამას ბევრი ახარტულ ხასიათს აძლევდა. ლოტოს საწინააღმდეგოთ მრავალი წერილები იბეჭდებოდა „ცისკარში", წერილებს ავტორები გზავნიდნენ თბილისიდან, გორიდან, ქუთაისიდან და სხვ. „ცისკარში" დაიბეჭდა 1860 წელს „ხაბარდა და ლოტო ქუთაისში" ქუთაისის მეჭორესი (ნ. ნიკოლაძე), „ლოტოთი ლოთობა ქუთაისში" იმერელი თავადისა 1861 წლის მარტის ნომერში, „წერილი გორიდან იქაური ქალების ლოტოთი გატაცების გამო" 1865 წლის ოქტომბრის ნომერში, „ლოტოს აღთქმა", „ლოტოს მოქმედება ოჯახზე", „რამდენიმე სიტყვა ლოტოს თამა-

შობაზედ" და სხვა. წერილების ავტორები ამ თამაშის დამღუპველობაზე მიუთითებდნენ ქართველ ქალებს და ურჩევდნენ მისთვის თავის დანებებას და საოჯახო საქმიანობისკენ დაბრუნებას. (იოსებ დავითაშვილის სატირული ლექსიც სწორედ ამ ლოტოს თამაშობას შეეხება:

ნახეთ გორელი ქალი,
გაჯიუტ გალესილია,
ღამე ლოტოს თამაშობს,
დღისით უყვარს ძილია.
საქმროთ ჩინოვნიკს ეძებს,
თუ დაუდგა დარია,
მაგრამ არვინ თხოულობს,
რჩება გულმომკვდარია.

ლექსები, გვ. 385).

ასეთივე დამრიგებლობითი—გაკიცხვითი ხასიათი აქვს „საქ. ჩოანბის" ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ ერთ მოქმედებიან ვოდევილს—სამსონ აბაშიძისას.

ამ ნომრის პირველად დაბეჭდილ სარჩევში ზევიდან დაკრული ქალალდის ქვეშ ჩანს, რომ ეს ვოდევილი არ ყოფილა მოხსენებული, ეტყობა იგი ჟურნალის მთლიანად დაბეჭდვის შემდეგ არის ჩამატებული და ჩაკერებულია დასაწყისში. ძველ სარჩევში პირველი ადგილი ლერმონტოვის მოთხრობას სჭერია და იმ მოთხრობიდან მართლაც იწყება ჟურნალის ნომერაცია, ხოლო ვოდევილს ცალკე ნომერაცია აქვს და თანაც არეული. ძველ სარჩევზე დაკრულ თეთრ ქალალდზე დაბეჭდილ სარჩევში ამ ნაწარმოებს ჰქვია კომედია—ვოდევილი, მასში სასაცილოდ არიან აღებული ქალები, რომელნიც ყოველგვარ პირობას ეგუებიან ლოტოს თამაშისთვის. სასაცილოა აგრეთვე მათი საუბარი, რომელიც მეტად დატვირთულია რუსული დამახინჯებული სიტყვებით, როგორც მაგ.—რა ვუყოთ! იკატავებენ, იკატავებენ და მოვლენ... ქალო, რათ გიყვარს სპორი, რას გვესპორები... ნუ წამოხვალთ სანამ პროშენია არ გამოგიგზავნოთ... თეკლე საშინლად სჩასტლივოდ თამაშობს და ა. შ.

ვოდევილი ორი გამოსვლით ამოიწერება და ბოლოს შემდეგი მონოლოგით მთავრდება, რომელიც მიმართვას და ჭკუის დარიგებას წარმოადგენს:

„გულით ურჩევთ ქართველ ქალებს,
ლოტოშიდა დაწაფულებს,
ნუ დააკოტრებენ კომებსა
და ნუ დაღუპვენ ფულებსა.

მოერიდონ ღმერთის წყენას
ნუ სტანჯავენ ქართულ ენას,
კონჩილა და ვიიგრალა
მეტად სტანჯავს ჩვენსა სმენას.
თავის ოჯახში გაჩერდნენ
ნუ დაიტიან აქა-იქა!
და ჩითის კაბას დასჯერდნენ
თუ არ აქვთ მორე-ანტიკა.
ხელთ აიღონ საქნარები!
ნუ დააღარიბეს ქმრები!
სჯობს: კეთილად მოიხმაროს
იმათი ჯამაგირები!"

დაწერის თარიღია 1860 წელი, ნოემბრის 17.

სამსონ აბაშიძეს „ლოტოს" დაბეჭდვა „ცისკარში" სდომებია. 1861 წელს იანვრის ნომერში ივანე კერესელიძე სწერდა: „ამ ახლოს დროში იმერეთიდან მივიღეთ სტატიები, რომელთა შორის არის ორი შესანიშნავი სტატია: „ლოტოთი ლოთობა ქუთაისში" თავ. იმერლისა და მეორე იმავე საგანზე დაწერილი „ლოტო" ვოდევილი ერთ მოქმედებად თ. სამსონ აბაშიძისა... შემდგომ ნომრებში უსათუოდ წავაკითხებთ ჩვენ მკითხველებსა"-ო. დაპირებულიდან იმერელი თავადის წერილი დაიბეჭდა 1861 წლის მარტის ნომერში, ხოლო სამსონ აბაშიძის ვოდევილი „ცისკრის" ფურცლებზე აღარ გამოჩენილა. ს. აბაშიძეს „ცისკარში" დაბეჭდილი აქვს მხოლოდ ერთი ნათარგმნი მოთხრობა — „ნამდვილი შემთხვევა", რომელსაც დაწერის ადგილად პეტერბურგი აწერია 1860 წლის 15 დეკემბერს.

3. „ჩვენი დროების გმირი", იხ. შენიშვნა 1, გვ. 337.

4. „მცირედი რამ მოთხრობა როსიისა" დაიბეჭდა „საქ. მოამბის" მე-11-12 ნომრებში. ჟურნალის რედაქციამ შემდეგი შენიშვნა გაუკეთა მას: „ეს წერილი ეკუთვნის თ. გაბ. რატიშვილს, რომელიც ჩვენ მეფის შვილებს თანა ხლებია, როცა ისინი გადაუსახლებიათ რუსეთში. რაც უნახავს თბილისიდამ პეტერბურგამდე, რაც გადახდია ყველაფერს გვიამბობს,—და ეს ნაამბობი უინტერესო არ არის".

გაბრიელ რატიშვილი გიორგი მე-12 დროისაა, იგი მოხსენებულია წარჩინებულთა შორის: „დროთა მეფობისა მისისა გვამნი, წარჩინებულნი გვარ-შთამოებითა საქმითა, სიტყვითა, ცხოვრებითა იყუნენ შემდეგნი: გაბრიელ რატიშვილი. ამას ვითარცა ომში ნიახურას დასწრობილსა, გაატანა მეფემან წერილი, ერთი ხელმწი-

ფე იმპერატორთან და ერთი კნორინნგთან ლინიაზედ. წერილებითა ამით მოახსენებდა პაველს მადლობასა ჯარისათვის და გაუგზავნა ბაირაღები და ითხოვდა, რათა დაჯილდოვდნენ ლაზარევი, გულიაკოვი, მეფის ძენი იოანე („კალმასობას“ ავტორი) და ბაგრატ და სხვანიცა. ამასვე გაატანა საკუთარი მოხსენება, ვითარცა გამგემან ჯაბახანისა...“ (იხ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“—პლ. იოსელიანი, 1936, გვ. 270).

გაბრიელ რატიშვილს მიუღია მონაწილეობა ნიახურას ომში და მხნეობაც გამოუჩენია, ისე რომ იგი შემდეგ მოექცა „ქართლის თავადთა სიაში“, რომელნიც „მხნეობითა გამოჩინებულნი“ იქნენ.

გაბრიელ რატიშვილი საქართველოს სამეფოს დამხობის მოწმეა, მასთან ერთად მისი პირადი ცხოვრებაც საკმაოდ შერყეულა, ყოველ შემთხვევაში, სამშობლო დაუტოვებია და მეფის წულებთან ერთად რუსეთს გადასახლებულა. „ბინდი დამწყლულებელი გონებისა გარე მოიდვა მან ზღუდედ და თკით გააზნაურებულმან (მწუხარებამ—ს. ხ.)/ვარე შემიცვა მე და არღარა მცა მე ადგილი შვებისა, არამედ მწუხარებისა“-ო, წერს იგი „შესავალში წიგნსა ამისსა“.

აქ აღწერილია მგზავრობა თბილისიდან პეტერბურგამდე და მთავრდება იმპერატორის სასახლის ბრწყინვალებით. რატიშვილი ასე ამთავრებს თავის ამბავს: „პირველად ამა პატივითა მიგვიღეს და შეგვიტკბეს. და შემდგომად ღმერთმან უწყის ვით იქნების, და ვითა მოხდების საქმე ჩვენნი ბედნიერად და ანუ უბედურად, ვითა ცრუსა ამა სოფელსა შვენისა“. საქართველოს სამეფოს მწუხრი მწვავედ გამოკრთის რატიშვილის განცდებში. სამშობლოს მოშორებული, „ცრუსა ამა სოფლისა“ ხელში ჩავარდნილი, შორიდან შესტრფის ძველ ადგილსამყოფელს, „არს უკვე ჩემდა ფრიადი და მოუთმენელი მწუხარება მოშორვებისათვის თქვენისა, არს ჩემთვის ცეცხლი შემწველი გონებისა ჩემისა, მოგონება თქვენი, უაზნაურესნო ბუნებანო საქართველოსანო“. რატიშვილი მჭუხარებს და ნამგზავრი შთაბეჭდილებების დაწყნარების შემდეგ უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში კვლავ იხსენებს უბედურებას, რომელმაც „ბედნიერებისანი ჩარხნი უკმოაბრუნა“, „რაისთვის გვექმნა ესე რამეთუ ბედნიერება ჩვენი ყოველივე უბედურად შეიცვალა ჩვენ და ვიქმენით მომწყდარნი სამყოფთაგან ჩვენთა და მოშორებულ მშობელთა და საყვარელთა ჩვენთა ყოველთა“. რატიშვილისთვის ამ ბოლმას აუღებინებია ხელში კალამი და დაუწერინებია ობლობა, რომელიც მხოლოდ მისი ბედი არ იყო, „ვიყავ მე მწირი ქვეყანასა ამას შინა როსიისა და მებრძოდა მე სიყვარული თქვენნი“—შესტარის იგი

შორიდან თავის სამშობლოს უაღრესად რომანტიული ტონით. ეს ტონი ხომ დამახასიათებელია ე. წ. გარდამავალი ეპოქის მწერალთათვის, რომელნიც ძალით თუ ნებით სამშობლოს დაცილებულნი ატარებდნენ უკანასკნელ დღეებს.

გაბრიელ რატიშვილი რუსეთს გამგზავრებულა მეფის ძე იოანესთან ერთად „თვესა მარტსა შვიდსა, დღესა ანდრიობისასა ქრონიკონს უპთ"... ანუ (1312+489=) 1801 წელს. „მაშინ თანა მყოლნი იოანესნი ესენი ვიყვენით მდივანი და არტილერიისა პოლკოვნიკი იოანე ქობულოვი, ზაალისშვილი ზაზა ანდრონიკოვი, ნიკოლოზ ონიკოვი და მე გაბრიელ რატიევ მეფის ძისა ატუ*ენტი". „კალმასობის" უკანასკნელი გამოცემის რედაქტორები არ ასახელებენ ზუსტად იოანე ბატონიშვილის გადასახლებას რუსეთში, „მამის გარდაცვალებისა და საქართველოში რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ იოანე გადასახლდა რუსეთში". ო. რატიშვილის ცნობით შესაძლებელი ხდება იოანე ბატონიშვილის რუსეთს გამგზავრების თარიღი დადგინდეს. ეს მომხდარა 1801 წელს. მოსე ჯანაშვილის მიერ გამოცემულ დავით ბატონიშვილის წიგნში „მასალები საქართველოს ისტორიისათვის" შემდეგი ცნობა არის იოანე ბატონიშვილის გამგზავრებაზე: „...მოსრულთა გიორგიმ და ელიაზარ მოუტანეს უქაზი ლაზაროვს, და რომელთაცა წარიყვანეს კარსა ზედა რუსისასა შემთხვევისათვის რაოდენიმე თავადნი და აზნაურნი დეპუტატად საქართველოს მიღებისათვის, მიერით იწყეს მართვა საქართველოსა რუსთა წელსა 1801, ქორონიკონს უპთ. მაშინ მეფის ძეთაცა ყოველთა მოუვიდათ ბრძანება იმპერატორის პაველისი, და მოეწოდნა რუსეთად თვის თანა, და წარვიდნენ ამავე წელსა მარტის 9 ესენი პირველად: მეფის ძე იოანე, ბაგრატ"... და სხვა. (იხ. „მასალები საქართველოს ისტორიისათვის", შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა 1744-1840 წ. წ. გვ. 60-61). გაბრიელ რატიშვილის ცნობით თბილისიდან გასულან 7 მარტს, დავით ბატონიშვილით კი 9 მარტს, განსხვავება მეტად უმნიშვნელოა, მართალია დავით ძმა იყო იოანესი, მაგრამ რატი შვილის ცნობა უფრო სარწმუნოა, რადგან იგი პირადად შორდებოდა თავის მოხუც დედ-მამას და ამის გამო მისი გადმონაცემი უფრო მისაღებია.

სათაურის შემდეგ მიდის შესავალი, რომელსაც ავტორი უწერს: შესავალი წიგნისა ამისს, რომელიცა არს მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა. შესავალს ამშვენებს ეპიგრაფი: აღვაღო ბაგენი ჩემნი ხელითურთ, და დასტკბე (?) მე ყოველითურთ.

შესაფალ'მი გაბრიელი მიზეზებს ასახელებს, რომელთაც დააწერინეს „მცირედი რამ“... „რაჟამს განვიფრთხე სევდა იგი, და გამოველ სახლისაგან სევდისა ძალითად გამოხვებული, მაშინ დაწუნარებულმან გონებითა ვარქვი ესრეთ თავსა ჩემსა: ხედავაა გონებასა შენსა ესრეთსა მწუხარებასა შინა? აღდეგ, ისწრაფე და განიფრთხევე და თუ რამე უწყოდე წყლულთა ამათ შენთა სალბუნი, ნუ ჰყოვნი. მაშინ სალმობიერმან შთიგო: მოყვასო ჩემო, მე მცირედი რაიმე სალბუნი გამოგირჩიო შენ და აწ გრქვა შენ უკეთუ ისმინო ჩემი. მოიღე შენ ქარტა და დასწერე მას ზედა ამბავნი, წინად წყებულნი რომელიცა გვიხილავს და ანუ გვსმენისვე, მისათხროპელად უძვირფასესთა და უტრფიალესთა ძმათა და მეგობართა ჩვენთადმი, რათა მათცა სცნან მიზეზითა ჩვენითა ესე ყოველივე, და მოსაგონებელ მათდა ვიქმნეთ საუკუნოდ. აჰა ეს იქმნების ჩვენდა სიამე პირველი, და შეორედ რომელ განვიფრთხომთ სევდასა ამას მოჯთმენელსა“-ო.

შიგადაშიგ, თხრობაში, ავტორი ლექსებს ურთავს: შაირს, ჩახრიხაულს, ფისტიკაურს და სხვა. ეს ლექსითი ნაწილები გამოყენებული აქვს დასკვნებად მონაყოლისა. მაგ.: ნახმარი აქვს ტაეპი: „დავაგდეთ ჩვენი არენი, გვხვდა დღენი განაშწარენი“, იმის შემდეგ, რაც აღწერილია გამგზავრება მეფის ძეთა და მათ მხლებელთა. ან შაირი:

„დავკოცნიდით ურთიერთას, ჩვენ მათ[ა] და იგი ჩვენა,
აწ იხილეთ მწუხარება, სიყვარულის გამოჩენა,
ცრემლთა ცვარით, მოთქმა ხარით, გვაქვნდა კვნესით
ალმოკვნა
და კვლავ ვეაჯდით ურთიერთას, გვაქვნდეს დაუვიწყლად
თმენა“.

ფისტიკაური:

„ინსპექტორისა ეით ესთქვა კებანი, მისი სიბრძნული
სიტყვის გებანი,
ანუ ლხინთ ჯდომა ანუ შეებანი, ანუ მის გარე
ხალხთა კრებანი,
ან ნივთთ ჭონება ან დიღებანი, ანუ მის სახლთა
გარიგებანი
და ნუ სტუმართა მიგებებანი, შეტკბობით ხილვა
შეყვარებანი“.

ავტორს რამდენიმე ალაგას გამოყენებული აქვს მაჯამაც.

ამ თხზულებისა და ავტორის შესახებ იხ. დაწერილებით დოც. ტრ. რუხაძის წერილი, გაბრიელ რატიშვილის „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“ (ლიტ. ძიებანი. II, 1945).

5. „ხმა სამარიდამ". თარიღი და ხელმოწერა არა აქვს, თავდება სამი ვარსკვლავით. ლექსი დაწერილია პეტერბურგს, 1857 წლის 27 დეკემბერს.

„საქ. მოამბის" ტექსტი მხოლოდ ორი სიტყვით განსხვავდება აკად. გამოცემის ტექსტისაგან, სახელდობრ:

აკად. გამოცემა (მე-8 სტრ.)—მე ის არ დამწანდებოდა.
აკად. გამოცემა (მე-24 სტრ.)—ხანც ვიცოდი დაზანტება.
„საქ. მოამბე" (მე-8 სტრ.) - მე ის არ შემბრალდებოდა.
„საქ. მოამბე" (მე-24 სტრ.)—დროზედ მჭონდა დაზანტება.

6. „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა", წერილი კირილე ლორთქიფანიძისაა, დაბეჭდილია თერგდალეულის ხელმოწერით. წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა იმავე კ. ლორთქიფანიძისა, რომელშიც განმარტებულია ამ წერილის დანიშნულება. „დროების დახედვით,—წერს იგი,—საჭიროდ ვნახეთ წავაკითხოთ „საქართველოს მოამბის" მკითხველებს ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია ტომის ქოხი" ანუ „ტყვეობა ჩრდილოეთ ამერიკაში"-ო, მაგრამ ვიდრე ბიჩერ-სტოუს რომანს გამოაქვეყნებდა, რომელიც მის მიერვე ითარგმნა ქართულად (ნახე „ნიკო ნიკოლაძე", I. გვ. 378), საჭიროდ მიუჩნევია მკითხველებისთვის გაეცნო ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია, პოლიტიკური წყობილება, ტყვეობა, ზანგებით ვაჭრობა და ის სოციალური უთანასწორობანი, რომლითაც ასე მდიდარია ევროპელთა და ამერიკის მობინადრეთა ურთიერთობა. აეჯორს სდომებია თავისი საკუთარი შრომის დაწერა ამ საკითხზე, მაგრამ რუსული წერილები აურჩევია წყაროდ და იქიდან უთარგმნია და გადმოუკეთებია ამ წერილის პირველი ნაწილი, რომელიც ნოემბრის „საქ. მოამბეში" დაიბეჭდა, სახელდობრ: „ჩრდილოეთის ამერიკის შტატების დაფუძნება და იმათი განთავისუფლება ინგლისის მფლობელობისაგან" და „ამერიკის დემოკრატიის დასაწყისები და ევროპიელების ამერიკაში გადასახლების მიზეზები.—ჩრდილოეთის ამერიკის შტატების პოლიტიკური დაწყობილება".

წერილი იწყება ლონგფელლოს ლექსით, რომელიც ეპიგრაფად არის გამოყენებული:

„Самсон порабощенный, ослепленный,
Есть и у нас в стране. Он сил лишен,
И цепь на нем, но горе! если он
Поднимет руки в скорби изступленной".

ტექსტს თან დართული აქვს მრავალი შენიშვნა, რომელნიც

ქართველი მკითხველისთვის გაუგებარ სიტყვებს განმარტავენ, მაგ. კოლონია, მეტროპოლია, პარლამენტი, დემოკრატია, ავტორიტეტი, პრინციპი, რელიგია და სხვ.

წერილის მეორე ნაწილი, რომელიც დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, ავტორის სიტყვით „ისტორიის კურსებიდამ" არის გადმოწერილი და იძლევა ერთიანად ილუსტრაციას პირველი ორი ნაწილისა, ე. ი. ამერიკის პოლიტიკური მდგომარეობისა. მეორე ნაწილი ორი განყოფილებისგან შესდგება: „ტყვეობის ისტორია" და „ნეგრების სადგომი, როგორ ექცევიან პლანტატორები ტყვეებს"... და სხვა.

7. „ორ ნაირი სწავლა", იხ. შენიშვნა 5, გვ. 334.

8. „საბრალონი", იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

№ XII დეკემბერი

1. „ჩვენი დროების გმირი", იხ. შენიშვნა 1, გვ. 337.

2. „მცირედი რამ მოთხრობა როსიისა", იხ. შენიშვნა 4, გვ. 340.

3. „უბედური ჰკუის ავან" რუსი პოეტის ალექსანდრე სერგისძე გრიბოედოვის (1795-1829) კომედიის „Горе от ума"-ს ნაწყვეტების თარგმანია, შესრულებული გიორგი დავითის ძე ერისთავის მიერ.

გრიბოედოვს პირადად იცნობდა გიორგი ერისთავი, რომელმაც მხოლოდ ნაწილები თარგმნა ოთხმოქმედებიანი პიესისა და პირველად დაიბეჭდა „საქ. მოამბეში", სათაურით: „უბედური ჰკუისაგან, კომედია 4 მოქმედებად, ლექსად. თხზულება ა. გრიბაედოვისა", ხოლო 1884 წლის გამოცემაში მას რედაქტორმა დაუმატა ფრჩხილებში—„რამდენიმე ნაწყვეტი", „საქ. მოამბის" და 1884 წლის გამოცემები მცირე სხვაობას იძლევიან. შესადარებლად:

„საქ. მოამბე".	1884 წლ. გამოცემა
ჰსწორეთ ეშმაკო, მოუკვდომელო	ჰსწორეთ ეშმაკო, უკუდო მელა
თავში სრულებით არ მომივიდა	თავში სრულებით არ მომდიოდა
არ წაიკითხო ტუტუცურათა	არ წაიკითხო შენებურათა
სხაპა-სხუპითა, დიაკვნურათა	სხაპა-სხუპითა, დიაკვნურადა
მაშ წაიკითხე ნელა გრძნობითა...	შენ წაიკითხე ნელა გრძნობითა...

ამასთან, ერთი სტრიქონი, სოფიოს სიტყვები, „საქ. მოამბის" ტექსტში მთლად გამოტოვებულია:

სოფიო (ოხვრით)—ბედნიერნი დროს არ უყურებენ.

თარგმანი რუსულ ტექსტს სიტყვა-სიტყვით მისდევს, ამისა-

თვისაა, რომ ქართულად სიტყვათა განლაგება არ არის სწორი. რუსიციზმებიც საკმაოა (მაგ. სტრელკა, გოსტინა, სპალნა, კრესლა და სხვ.).

გ. ერისთავს უთარგმნია ნაწილები პირველი და მეორე მოქმედებიდან. პირველიდან თარგმნილია დასაწყისიდან, ვიდრე ფამუსოვის სიტყვებამდე (იხ. „Горе от ума"-ს ქართული თარგმანი, სახელგამი, 1929, გვ. 13):

„ყოველი ბავშვი სიბრძნესა ჩემობს
და ეს კი ქალებს უფრო ემჩნევა".

შემდეგ გამოტოვებულია პირველი მოქმედების დიდი ნაწილი. პირველი მოქმედების თარგმანს უშუალოდ მიჰყვება მეორე მოქმედების დასაწყისი, ფამუსოვისა და პეტრუშკას სცენა ფამუსოვის სიტყვებამდე: „ამ ჩვენს მოსკოვში ცხოვრობს და კვდება". შემდეგ აგრეთვე უშუალოდ მისდევს მესამე გამოსვლიდან მსახურის სიტყვები: „აქ პოლკოვნიკი სკალოზუბია" (გვ. 42), ვიდრე ამ გამოსვლის დასასრულამდე. შემდეგ, კვლავ უშუალოდ მისდევს მეხუთე გამოსვლიდან ჩაცკის, ფამუსოვის და სკალოზუბის სცენა, ვიდრე ფამუსოვის სიტყვებამდე: „მას სამსახურში უხვად სწყალობდით" (გვ. 45, სახელგამი, 1929).

„Горе от ума" ქართულად ითარგმნა აგრეთვე 1853 წელს გრიგოლ ბეჟანის ძე წინამძღვრიშვილის მიერ, მთლიანად, პროზაულად. სათაურად ჰქონდა: „ვაი ჭკუისგან, კაბედია ოთხ მოქმედებად". თარგმანს წამძღვარებული აქვს ცნობები ავტორზე. მესამედ, ახლა უკვე ლექსად და მთლიანად, ითარგმნა დომინიკა ერისთავი-მდივნის (განდეგილი) (1865-1929) მიერ და დაიბეჭდა „მოამბეში" 1902 წლის ნოემბრის და დეკემბრის და 1903 წლის იანვრის ნომრებში. ეს თარგმანი რამდენჯერმე ცალკეც დაიბეჭდა.

4. „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები", იხ. შენიშვნა 6, გვ. 344.

5. „ჩემი ეპიტაფია". ლექსი თავადის გიორგი ორბელიანისა, რომანტიული ელფერით.

გიორგი ორბელიანი ბეჭდავდა მეტწილად ნათარგმნ თხზულებებს, ზოგჯერ ორიგინალურსაც. ჟურნ. „მნათობში" დაბეჭდილი აქვს თარგმანები ბაირონიდან, ბერანჟედან და სხვა. (იხ. „მნათობი", 1869—IV. V. VI; 1871—I). გიორგი ორბელიანი მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე „ცისკარშიც", სადაც მთელი რიგი

წლების განმავლობაში ბეჭდავდა ლექსებს (იხ. „ცისკარი“ 1850 – V, VI, XII; 1861—I, XI; 1863—II, X; 1864—XI და სხვა).

6. „საბრალონი“, იხ. შენიშვნა 8, გვ. 315.

—

P. S. ეს ნაშრომი დაიწერა 1938 წელს, პირველი ნაწილი ამ სერიისა დაიბეჭდა „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ პირველ ნომერში, მეორე ნაწილი—„ცისკარი“, გამოქვეყნებას ელის. ავტორებს განზრახვა ჰქონდათ ასე დაემუშავებინათ ქართული ჟურნალები, მაგრამ სურვილის განხორციელება სამამულო ომის დაწყებამ შეაჩერა.

ს. ს.

თ. ნაკაშიძე

ალექსანდრე ყაზბეგი. ბიბლიოგრაფია.

(წიგნები ქართულსა და რუსულ ენაზე)

გამოჩენილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან ასი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატამ საჭიროდ დაინახა შეედგინა, თუნდაც წარმოდგენილი სახით, ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია, სადაც მოცემულია ცალკე წიგნებად და კრებულებად გამოცემული ნაწარმოებები ქართულსა და რუსულ ენებზე.

1. **თხზულებანი** ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). ნაწილი პირველი. თბილისი, გამოცემა ქართულის მწერლობის მოყვარეთაგან, ექვთიმე ხელაძის სტ., 1885. ყდა, 117 გვ. (18×13). [ფ. ა.].—Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 апр. 1885 г.

შინაარსი: ფათი.—ციცკა—ელისო.—დილა ქორწილის შემდეგ.—არსენა

2. **თხზულებანი** ა. ყაზბეგისა (ა. მოჩხუბარიძე). ავტორის სურათით. ტომი I. [ქართველთა ამხანაგობის გამგეობის წინასიტყვაობით]. თბილისი, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 6, ი. ა. მანსვეტოვის სტ., 1891. კანი. თაეფ., 389, [1] გვ. 1 ჩართ. ფურც. პორტრ. (18×13). 1 მ. 20 კ.—Дозв. ценз. СПБ. 20 марта 1891 г.

შინაარსი: ელგუჯა.—ცოკო.—ელისო.

3. **თხზულებანი** ა. ყაზბეგისა (ა. მოჩხუბარიძე). ტომი II. თბილისი, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 6, ი. ა. მანსვეტოვის სტ., 1891. კანი, 530 გვ. (18×13) 1 მ. 20 კ.—Дозв. ценз СПБ. 16 мая 1891 г.

შინაარსი: მამის მკვლელი.—გაბრიცხული.

4. **თხზულებანი** ა. ყაზბეგისა (ა. მოჩხუბარიძე). ტომი III. თბილისი, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 6, ი. ა. მანსვეტოვის სტ., 1891. კანი, 474, [1] გვ. (18×13). 1 მ. 20 კ.—Дозв ценз. СПБ. 20 марта 1891 г.

შინაარსი: მოძღვარი.—ციცია.

5. **თხზულებანი**. [ტომი] IV. ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 16, წიგნ. გამომც. ქართვ. ამხ-ბის სტ., 1892.

კანი, 358, [1] გვ. (18×13). 1 მ. 20 კ.—სათაურის წინ: ა. ყაზბეგი.—Дозв. ценз. Тифлисъ, 15 іюня 1892 г.

შინაარსი: ნამწყსარის მოგონებანი. — ნინო.—ბერდია. — ელბერდ. — ელეონორა—ჩინოვნიკი ელურიძე.—ხევის ბერი გოჩა.—ციცკა.— ფათი, სააღდგომო მოთხრობა.

6. **ა. ყაზბეგი** (ა. მოჩხუბარიძე). [თხზულებანი, დ. კარიჭაშვილის შესავალი წერილით: „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია"]. ტფ., წიგნის გამომც. ქართვ. ამხ-ბის სტ., 1904. [4], XXXV, 1204 გვ., 1 ჩართ. ფურც. პორტრ. (25×17). („ცნობის ფურცლის" და „ნოამბის" პრემია). [ფ. ა.]. Дозв. ценз. 28 іюня 1903 г. г. Тифлисъ.

შინაარსი: ელგუჯა.—ციკო.—ელისო.—მამის მკვლელი.—განკიცხული.—მოძღვარი.—ციცია.—ნამწყემსარის მოგონებანი. — ნინო.—ბერდია. —ელბერდ. — ელეონორა.—ჩინოვნიკი ელურიძე.—ხევის ბერი გოჩა.—ციცკა.—ფათი, სააღდგომო მოთხრობა.—მტრედი.—კონსტანტინე ბატონიშვილი. ისტ. დრამა.—დილა ქორწილის შემდეგ.—არსენა. დრამა.— დაუმთავრებელი მოთხრობები: შიოლა ღუჯუშაური; ნინო; გალაშკა; ცხოვრების ჩარხი.

7. **ა. ყაზბეგი** (ა. მოჩხუბარიძე). [თხზულებანი, დ. კარიჭაშვილის შესავალი წერილით: „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია"]. ტფ., წიგნის გამომც. ქართვ. ამხ-ბის სტ., [1905]. [4], XXXV, 1204 გვ., 1 ჩართ. ფურც. პორტრ. (25×17). [ფ. ა.]—გამოცემის წელი საცენზურო შენიშვნიდან.—Дозв. ценз. Тифлисъ, 28 іюня 1905 г.

შინაარსი—იგივე, რაც 1904 წლ. გამოცემაში.

8. **ალ. ყაზბეგის** დაუბეჭდავი ლექსები. სურათით. [გრ. ჩარკვიანის წინასიტყვაობით]. ტფილისი, გრ. ჩარკვიანის გამოცემა № 127, სტ. „გუტენბერგი", 1910. კანი, 32 გვ. (18×13). 10 კ.

შინაარსი: ანდერძი.—ჩემო იღბალო.—ფრანგულს.—დილილმე!—მთავარეს.—გულის პასუხი.—გოგომ ლამაზმა.—მუჭარა.—ზოგის კანონი.—იღბალი.—დონ ბაზილიო.—მოვა დრო.—ობოლი.— *** [„მე მთიელი ვარ"...]—ჭალის საჩივარი.— *** [„შერცხვეს შენი სამართალი"...].—საჩივარი.—მრავალ-ჟამიერ.—ასე ვარ, აკე ვიქნები.—ვინა ხარ?—ჭალი ის არი.—წყთის სოფელი.—დამესხენ, თორემ მეც დაკრამ.

9. **თხზულებათა** სრული კრებული. ტომი I. ტფილისი, „ფედერაცია", გამ-ბა „ტექნიკა და შრომას" სტ., 1935. სუპერკანი, ყდა, XIII, 346. [1] გვ. [2] ჩართ. ფურც. პორტრ. (23×16). (ქართული კლასიკური მწერლობა). 6000 ც. 7 მ. 50 კ., ყდა 1 მ. 50 კ. სათაურის წინ: ალექსანდრე ყაზბეგი.—ყდა და სურათები მხატვარ შ. ბერიტაშვილისა.

შინაარსი: ელგუჯა.—ციკო. — თავის მახეში — ვარიანტები: ელგუჯა, ციკო, თავის მახეში.

10. **რჩეული მოთხრობები.** ტომი I. [რედაქციისა და ი. გომართელის შესავალი სტატიებით]. ტფილისი, სახელგამი, პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ., 1924. ყდა, თავფურც., XXI, 377 გვ. 2 ჩართ. ფურც. პორტრ. და ფაქსიმ. (26×18). 2000 ც. 2 მ. 50 კ. სათაურის წინ: ალექსანდრე ყაზბეგი.—ყდა ვ. წილოსანის.

შ ი ნ ა ა რ ს ი: ელგუჯა.—ციკო.—ელისო. —მამის მკვლელი.—ელბერდ.—ელეონორა.

11. **რჩეული მოთხრობები** ტომი II. [რედაქტორის ს. აბაშელის შენიშვნებით]. ტფ., სახელმწიფო გამომცემლობა, პოლიგრაფიული განყ-ბის 1-ლი სტ., 1924. კანი, თავფ. 386, XXXV გვ., [2] ჩართ. ფურც. პორტრ. (26×18). 2000 ც. 2 მ. 50 კ. სათაურის წინ: ალექსანდრე ყაზბეგი.—ყდა ვ. წილოსანის.

შ ი ნ ა ა რ ს ი: ნამწყემსარის მოგონებანი.—მოძღვარი.—ხევის ბერი გოჩა.—ციცკა.—ნინო.—ბერდია.—ციცია.— განკიცხული.—მოძღვარის" ვარიანტის ნაწყვეტები.

12. **რჩეული ნაწერები.** [ბ/მგ. რედ. შ. რადიანი, ს. მაისაშვილის ილუსტრაციებით]. თბილისი, სახელგამი, სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, 1937. ყდა, 757, [2] გვ., [7] ჩართ. ფურც. პორტრ. და ილ. (22×15). 5000 ც. 11 მ. 50 კ., ყდა 3 მ.—სათაურის წინ: ა. ყაზბეგი.

შ ი ნ ა ა რ ს ი: ელგუჯა.—ნამწყესარის მოგონებანი.—ელისო. —მამის მკვლელი.—განკიცხული.—მოძღვარი.—ხევის ბერი გოჩა.

13. **რჩეული თხზულებანი.** ტომი I. [გ. ქიქოძის რედაქციით და შესავალი წერილით: „ალექსანდრე ყაზბეგი". მხატვარი რ. მირზაშვილი]. თბილისი, სახელგამი, მხატვრული ლიტ-რის სექტორი, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1946. ყდა, 596, [3] გვ. ილ., 1 ჩართ. ფურც. პორტრ. (21×14). (ქართული კლასიკური ლიტერატურა). 10.000 ც. 14 მ. 30 კ., ყდა 70 კ.—სათაურის წინ: ალექსანდრე ყაზბეგი.

შ ი ნ ა ა რ ს ი: ელგუჯა.—ციკო.—ელისო.—ხევის ბერი გოჩა.—მოძღვარი.

14. **რჩეული თხზულებანი.** ტომი II. [გ. ქიქოძის რედ., რ. მირზაშვილის ილ.]. თბილისი, სახ. გამ-ბა, მხატვრული ლიტერატურის სექტორი. ბეჭდვ. სიტყვის კომბინატი, 1947. ყდა, 556, [2] გვ. ილ. (22×14) (ქართ. კლასიკური ლიტერატურა). 10.000 ც. 10 მ. 50 კ., ყდა 1 მ. 50 კ. – სათაურის წინ: ალექსანდრე ყაზბეგი.

შ ი ნ ა ა რ ს ი: მამის მკვლელი.– ციცია.—ელეონორა.—ნამწყესარის მოგონება.—ჯარსენა.

15. **განკიცხული.** (მოთხრობა). ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). თბილისი, ექ. ხელაძის სტ., 1884. კანი, 122 გვ. (20×13). 50 კ.

16. **დილა ჭორწილის შემდეგ.** ვოდევილი ერთ მოქმედებად. თხზულება ალ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). თბილისი, ბ. პ. გრიქუროვის გამოცემა, ექვთიმე ხელაძის სტ., 1884. კანი, 42 გვ. (18×12) 25 კ.

17. **ელგუჯა.** თხზულება ალ. ყაზბეგისა. გორი, იასონ კერესელიძის გამოცემა № 3, სტ. „ქართლი", 1914. კანი, 184 გვ. (23×16). 40 კ.—კანზე: „ელგუჯა. რომანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე)".

18. **ელგუჯა.** ტფილისი. წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. გამოცემა № 230. სამხედრო სამინისტროს სტ., 1920. კანი, 170 გვ. (22×15). 500 მ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

19. **ელგუჯა.** ტფილისი, გამ-ბა „შრომა", კავკას. წით. დროშ. ჯარის სტ., 1927. კანი, 132 გვ. (23×17). 3000 ც. 60 კ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

20. **ელგუჯა.** [შენიშვნები გ. აბზიანიძისა, პ/მგ. რედ. შ. რადიანი]. ტფილისი, სახელგამი, სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, 1937. ყდა, 143 გვ. (23×15). (სასკოლო ბიბლიოთეკა. ყდაზე: სასკოლო ბიბლიოთეკა. მხატვრული ლიტერატურა). 10.300 ც. 1 მ. 40 კ., ყდა 35 კ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

21. **ელისო.** მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებიდგან. თხზულება ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). ტფილისი, ექვთიმე ხელაძის სტ., 1882. კანი, 44 გვ. (19×13). [ფ. ა.].—ცალკე ამონაბეჭდი ჟურნალ „ივერიის" 1882 წ. № 10-დან.

22. **ელისო.** მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებიდგან. თხზულება ალ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). თბილისი, [გამოცემა ზ. პ. გრიქუროვისა]. ექვთიმე ხელაძის სტ., 1884. კანი, თავფ., 46 გვ. (24×14). 25 კ.—Дозв. ценз. Тифлисъ, 14 сент. 1884 г.

23. **ელისო.** ა. ყაზბეგის მოთხრობა. ქუთაისი, ი. მ. ხელაძის სტ., 1909. კანი, 86 გვ. (14×10). (საყმაწვილო წიგნი № 7). 10 კ.

24. **ელისო.** ტფილისი, ქართ. შ. წ. კ. გამავრც. საზ-ბის გამოცემა № 130, სტ. „ქართლი", 1917. კანი, 39 გვ. (22×14). 25 კ. სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

25. **ელისო.** ტფილისი, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა № 216, სამხედრო სამინისტროს სტ., 1920. კანი, 39 გვ. (22×15). 100 მ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

26. **ელისო.** [თბილისი], გამ-ბა „შრომა", კავკ. წ.-დ. ჯარის შტაბის სტ., 1927. კანი, 45 გვ. (18×13). 3000 ც. 20 კ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

27. **ელიხო.** [თბილისი], სახელგამი. პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ., 1928. კანი. 47 გვ. (18×13) (საშკოლო ბიბლიოთეკა). 7000 ც. 15 კ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეკი.

28. **მამის მკვლელი.** ტფილისი, გამ-ბა „შრომა", კავკას. წ-დ. ჯარის სტ., 1927. კანი. 216 გვ. (21×16). 3000 ც. 90 კ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი. ყდა დ. ჭ.—[დ. ჭუთათელაძე].

29. **მოძღვარი.** მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). თბილისი, გამოცემა ქართულის მწერლობის მოყვარეთა, ექვთიმე ხელაძის სტ., 1885. კანი, თაეფ., 264 გვ. (19×12). [ფ. ა.].—Дозв. ценз. Тифлисъ, 16 дек. 1885 г.

30. **მოძღვარი.** [თბილისი]. სახელგამი, პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ., 1928. კანი. 267 გვ. (18×14). (საშკოლო ბიბლიოთეკა). 7000 ც. 75 კ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

31. **მოძღვარი.** [რედაქტორის შ. თაბუკაშვილის შენიშვნებით სკოლიოებში]. თბილისი, საბლიტგამი, სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 1939. ყდა, 173, [1] გვ. (22×15). (სასკოლო ბიბლიოთეკა). 5000 ც. 4 მ. 20 კ. ყდა 80 კ.—სათაურის წინ: ა. ყაზბეგი.

32. **ციკო.** მოთხრობა. თხზულება ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). თბილისი, ექ. ხელაძის სტ., 1883. კანი, 71 გვ. (17×12). [ფ. ა.].

33. **ხევისბერი გოჩა.** [თბილისი]. სახელგამი, პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ., 1928. კანი, 112 გვ. (18×13). (საშკოლო ბიბლიოთეკა). 7000 ც. 30 კ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

34. **ხევისბერი გოჩა.** [რედ. შ. რადიანი]. ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, სახელგამის 1-ლი სტ., 1935. კანი, 103 გვ. (17×12). (კანზე: მასიური ბიბლიოთეკა). 10.000 ც. 80 კ.—სათაურის წინ: ალ. ყაზბეგი.

35. **Повести.** Пер. с груз. А. Нейман. Тбилиси, „Заря Востока“, тип. Госиздата Арм. ССР в Москве, [1936]. Перепл., 284, [3] стр. с заставк. и концовк., 8 вкл. л. илл. и портр. (20×13). 10.000 экз. 5 р. 50 к., пер. 1 р. 50 к.—Портр., заставки и концовки Чхаидзе.—Перед загл.: Ал. Казбек.

Содержание: Элгуджа, Хевисбери Гоча, Элисо.

36. **Отцеубийца.** [Перевод с грузинского Софии Кавтарадзе. Предисл. В. Гольцева]. Москва, Гослитиздат, 11-ая тип. Мособлполиграфа, 1936. Переплет, 293, [2] стр. с илл., 1 вкл. л. илл. (22×13). 10.000 экз. 4 р.—Переплет, титул, шмутц-титулы, заставки и концовки худ. Я. Телешевского. Перед загл.: Александр Казбек.—Библиогр. „Книги Ал. Казбека на рус. яз.“ (на 21-й стр.).

37. **„Элгуджа“.** Историческая повесть А. Казбека (Мочхубаридзе). Перевод с грузинского Ив. Пав. Мосидзе. Подъ редакціей Л. Х. Германа. Кутаисъ. [Издательство газет: „Батумскія вести“, „Кутаисскія вести“ и „Правдивое слово“]. „Коммерческая типографія“, 1918, Обл., 174, II стр. (18×15). 5 р.—„Отъ издательства“, стр. I-II.

38. **Элгуджа.** Перев. с грузинск. и предисл. Д. Егорашвили. М.-Л. „Земля и фабрика“, 5-я тип. „Траспечати“ НКПС „Пролетарское Слово“ в Мск. (1926). Обл., 99 стр. (19×14). 3000 экз. 75 к.—Перед загл.: Александр Казбек.

39. **Элисо** и другіе разсказы. Пер. съ груз. Нины Жорданія и Вл. и Гр. Джафара. Подъ ред. и съ вступ. статьей объ авторе А. Хаханова. М., книго-во „Польза“ А. Антик и ко. [s. d.]. Обл., 66 стр. (Универсальная биб-ка, № 401). 10 к.—На обл.: Пер. съ груз. Г. В. Джапаридзе.

Содержание: Элисо, Цицка, Пати.

40. **Элисо.** Перевод с грузинского [А. Неймана, с предисл. Б. Буачидзе и илл. Т. Исааковой]. Тифлис, Закгиз, тип. Грузпартиздата, 1934. Обл., 56 стр. с илл. (17×13). 1500 экз. 55 к.—Перед загл.: А. Казбек.

41. **Эльберд.** Перевод с грузинского (М. Кахидзе). [Тбилиси], изд-во и тип. „Заря Востока", 1939. Обл., 133, [3] стр. (14×11). (На обл.: „Библиотечка грузинской художественной литературы, вып. III). 10.100 экз. 1 р. 10 к.—Перед загл.: Александр Казбеги.

Содержание: Эльберд, Цико.

პლ. ცუნდაძე

ჭოლა ლომთათიძის ლიტერატურულ არქივიდან

საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის წიგნსაცავის ძირითად ფონდში (№ 188) დაცულია ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების კრებული თარგმნილი ჭოლა ლომთათიძის მიერ*, რომელიც აღმოჩნდა ივანე გომართლისეულ წიგნებში და შეძენილია პალატის მიერ 1942 წელს.

წიგნის ეს ეგზემპლარი ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ, რომ იგი ჩასწორებულია მთლიანად გარკვეული ხელით, წითელი მელნით. ჩასწორებათა დიდი ნაწილი წმინდა რედაქციულ-სტილისტიკური ხასიათისაა. არის აგრეთვე კორექტურულიც, მაგრამ უმნიშვნელო.

საინტერესოა ვიცოდეთ—ვის მიერ უნდა ყოფილიყო ასე გულმოდგინეთ ჩასწორებული წიგნის ეს ცალი? ყველა მონაცემი, რომელზედაც ქვემოდ გვექნება საუბარი, გვაფიქრებინებს, რომ ჩასწორება უნდა ეკუთვნოდეს თვით მთარგმნელს—ჭოლას.

მკითხველს კარგად მოეხსენება თუ რა დიდი მუშაობა ჩაატარა ჭოლამ ჰაინეს ქართულ ენაზე თარგმნისათვის. მისი დიდი ხნის ოცნება იყო ენახა ქართულად მოლაპარაკე ჰაინე, ჭოლას გამოთქმით—„მშვენება მსოფლიო პოეზიისა“, რისთვისაც მან არ დაიშურა, როგორც ენერგია ისე სიყვარული.

ცნობილია, რომ მან საპყრობილეს მძიმე პირობებში თარგმნა ჰაინეს ლექსების და პოემების დიდი უმრავლესობა. „...მთელი ორი წელი ვიშრომე გადმოგეცემს ჭოლა—ვთარგმნე ყველა მისი ლექსები და პოემები... შევუდექი გზის სურათების თარგმნას...“ **, მაგრამ მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი ისიც თუ რა საშინელი ბედი ეწვია ჭოლას ამ დიდ ნაშრომს, რომელიც ციხის ადმინისტრაციამ, ციხის ხელნაწერებთან ერთად ცეცხლის ალს მისცა, ფერფლად აქცია.

---

* პ. ოლია. ჰეინრიხ ჰეინეს ლექსები, თბილისი, 1913. 125 გვ.

** იხ. ჭოლას წერილიდან „მეგობარ მკითხველს“, 36 გვ.

ერთი შეხედვით, ციხის ადმინისტრაციის ასეთ ბარბაროსულ მოქმედების შემდეგ ჭოლას თითქოს გული აღარ უნდა მისცემოდა ჰაინეს ლექსების და პოემების ხელახლა თარგმნაზე, რადგან საფიქრებელი იყო, რომ: „...ახალ შრომასაც, შეიძლებოდა ხომ ძველის ხვედრი ხდენოდა!“.

მიუხედავად ამისა, ჭოლა საბოლოოდ მაინც არ სწყვეტს მუშაობას ჰაინეს თარგმნაზე. მოაგონდებოდა თუ არა მას ციხეში ჰაინეს რომელიმე ლექსი, იმ წამსვე გადაჰქონდა ქაღალდზე ეს ნაჩქარევი თარგმანი და დაუყოვნებლივ გზავნიდა მას საპყრობილეს გარედ, მისივე თქმით „სამშვიდობოს“.

„სამშვიდობოს“ ეს გამოგზავნილი ჰაინეს ლექსები კრებულის სახით გამოიცა 1913 წელს. ეს იყო ჰაინეს ლექსების პირველი ცალკე გამოცემა ქართულ ენაზე, რომელიც დღეს საქართველოს 17 მსხვილ სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან მხოლოდ 4 ბიბლიოთეკაში ინახება და ამდენად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ბუნებრივია თუ ვიფიქრებთ, რომ ასეთ მძიმე პირობებში შესრულებულ თარგმანს ერთგვარი ნაკლი ექნებოდა, რასაც მთარგმნელი იმ თავითვე გრძნობდა. სწორედ ამიტომაც ჭოლამ ხაზგასმით აღნიშნა თავის წინასიტყვაში: „...ნაჩქარევი თარგმანი... არც დამუშავება, არც დედანთან შედარება, არც შესწორება არაფერი ეს არ შემეძლო... ამასთან ჩემი პირადი განცდის, ჩემი სულის შფოთვის დაღი არ შეიძლება არ აჩნდეს ამ ლექსებს, „თარგმანებს“. იმ დროს მე წერაც აკრძალული მქონდა“. დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ჭოლა, როდესაც მას საამისო პირობები დაუდგებოდა, შეეცდებოდა გადაემუშავებია მისი „ნაჩქარევი“ ეს თარგმანი, შეედარებია იგი დედანთან და მოეშორებია მისთვის თავისი „სულის შფოთვის დაღი“, მაგრამ თუ მას ამისი სრული საშუალება არ ექნებოდა, იგი როგორც მთარგმნელი და ავტორი (ნარკვევისა და წინასიტყვის) გამოცემული წიგნის საკუთარ ცალს მაინც ჩაასწორებდა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, და იგი ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა სასარგებლოდაც ლაპარაკობს, რომ წიგნის ეს ცალი ივანე გომართლისეულ კოლექციაში აღმოჩნდა. ივანე გომართელს, რომელიც მარქსისტულ წრეებში ითვლებოდა ლიტერატურულ კრიტიკოსად, ალბად ხელი მიუწვდებოდა ჭოლას არქივისადმი.

ჩვენს მიერ ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ წიგნის ეს ჩასწორებული ეგზემპლარი ჭოლას პირადი ცალი უნდა იყოს და ჩასწორებებიც მასვე უნდა ეკუთვნოდეს, ამას ამტკიცებს უპირვე-

ლესად თვითონ ჰოლას ხელი და ჩასწორებათა ხასიათი. ამ აზრის სისწორეში მკითხველი ადვილად დაგვეთანხმება, როდესაც ჰოლას ქვემოდ მოყვანილ ავტოგრაფს ჩასწორებულ ლექსის ხელს შეადარებს. ავტოგრაფში კავშირი „და“ ყველგან ისეთივე გრაფიკულ მოხაზულობით არის მოცემული, როგორც ეს არის ჩასწორებულ ლექსში.

ვიდრე ჩასწორებათა მაგალითებს მოვიყვანდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ თვით ჰოლას წინასიტყვაში („მეგობარ მკითხველს“, 36-37 გვ.) შეტანილ ორ მეტად დამახასიათებელ ჩასწორებაზე, რომელიც მხოლოდ ავტორს შეეძლო გაეკეთებინა, თითქმის მთელი წინასიტყვაში გადახაზულია ნაცვალ სახელის პირველი პირი „მე“. წინადადება—„ახალ შრომასაც შეიძლებოდა ძველის ხვედრი ხდენოდა!“ გასწორებულია: „ახალ შრომასაც შეიძლებოდა ხომ ძველის ხვედრი ხდენოდა!“

წიგნის შმუცტიტულზე, სადაც შუაადგილზე დაბეჭდილია სტამბურად „ჰენრიხ ჰეინე. (მოკლე ბიოგრაფია)“, საავტორო სტრიქონის ხაზზე წითელი მელნით სწერია: „ბიკენტი ლომთათიძე“.

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლა გვაუწყებს სქოლიოში—ჰაინეს ბიოგრაფიული ნარკვევი პ. ვეინბერგის შრომიდან არის გადმოღებულიო, ეს ნარკვევი დაწერილია თვით ჰოლას მიერ ვეინბერგის ნაშრომის გამოყენებით და, ამკვარად, ის გამოდის ამ ნარკვევის ავტორად და არა უბრალო გადმომღებად. ალბათ. ამიტომ, სრულიად სამართლიანად, ჰოლამ თავისი თავი ჩათვალა ჰაინეს ბიოგრაფიულ ნარკვევის ავტორად და აღნიშნა საავტორო სტრიქონზე თავისი ნამდვილი გვარის „ბიკენტი ლომთათიძის“ მიწერით.

ახლა გავეცნოთ მთარგმნელის შესწორებებს ლექსებში.

დაბეჭდილია:	ჩასწორებულია:
1. და რაც იმ წიგნში ამოვიკითხე ამ სიმღერებში მსურს რომ ისმოდეს.. მოვკვდები მე და ჩემი სახელიც,— ეს სიმღერები კი არასოდეს!... 39 გვ.	1. და რაც იმ წიგნში ამოვიკითხე ამ სიმღერებში მინდა ისმოდეს... გავჭრები მე და ჩემი სახელიც,— ეს სიმღერები კი არასოდეს!..
2. მაგრამ ამურნი შემოეზვენენ, მსწოვფლათ აჰყარეს რინდს აბჯარი, დაჭრეს ბორკილი ყვავილებისა, და დაატყვევეს ჩვენი მხედარი. 40 გვ.	2. მაგრამ ამურნი შემოხვევნიათ, მსწრაფლ აუყრიათ მისთვის აბჯარი, დაუწნავთ ჯაჭვი ყვავილებისა, და შეუპყრიათ ჩვენი მხედარი.

3. შემიყვარე და გაჩუქებ ჩემო, ჩემსა სიმღერებს, ყვავილებს ჩემსას— და შენს ფანჯრის ქვეშ, განთიადისას, შენ გაიგონებ ბულბულის კვნესას.	3. თუ შემიყვარებ გაჩუქებ ჩემო, ჩემსა სიმღერებს, ყვავილებს ჩემსას— და შენ ფანჯრის ქვეშ, განთია- დისას, შენ გაიგონებ ბულბულის კვნესას.
4. მხოლოდ ბაგეზე, რთოდა, ელავდა... მაგრამ დაიცა,—შავი სიკვდილი გაკოცებს შენ და მყისვე გაქრება თვალებში ცეცხლი, ტუჩზე ღიმილი. 41 გვ.	4. მხოლოდ ბაგეზე კრთოდა, ელავდა... მაგრამ დაიცა,—შავი სიკვდილი აკოცებს მას და მყისვე გაქრება თვალებში ცეცხლი, ტუჩზე ღიმილი.
5. ხოლო რომ გკოცნი, ჩემო ღვთაებავ, იმ ნეტარებას რა შეედრება!... 42 გვ.	5. ხოლო როს გკოცნი, ჩემო ღვთაებავ, ჩემ ნეტარებას რა შეედრება!..
6. და რომ თვალთაგან, გადმონადენი, დაესხმის იმ ცეცხლს ცრემლთ ნა- კადული, დე, მოვკვდეთ მაშინ... უკეთეს სიკვ- დილს ვერ მოესწრება ხომ ჩვენი გული!...	6. და როს თვალთაგან, განშო- რების ჟამს, დაესხმის იმ ცეცხლს ცრემლთ ნაკა- დული, გადაგებვევი მაშინმე შენ დ... ტკბილი ტანჯვისაგან გასკდება გული.
7. ვინ დამიშლის მე, სასურველ შრო- შანს, ვუძღვნა, ვაჩუქო მთლად ჩემი გული, რომ ამღერდეს ის გრძნობა მორე- ვით, შეყვარებული, აღტაცებული. 42 გვ.	7. ეხლა კი მე მსურს თოვლის- ფერ შროშანს ვუძღვნა, ვაჩუქო მთლად ჩემი გული რომ ავამღერო გრძნობა მო- რევით, შეყვარებული, აღტაცებული.
8. და ამ ლხენაში,—გესმით თუ არა? ანგელოზების ისმის ქვითინი!... 44 გვ.	8. და ამ ლხენაში,—გესმით თუ არა? ანგელოზების ჩუმი ქვითინი!...
9. ველის ყვავილი—ნაზი, ფერმკრთალი, ჩემი გული კი ჰკნება საწყალი!... 45 გვ.	9. ველის ყვავილი—ნაზი, ფერმკრთალი, მისი გული კი სჰკნება საწყალი!
10 უკან დაბრუნდნენ, ცრემლად დნებიან მწარედ ტირიან და... იმის პასუხს ისინი აღარ მეუბნებიან!...	10. უკან დაბრუნდნენ, ცრემლად დნე- ბიან, მწარედ ტირიან, მაგრამ მის პა- სუხს ისინი როგორ მეუბნებიან!...

თუმცა ეს ჩასწორებები ჰოლა ლომთათიძის შემოქმედების მხოლოდ პატარა დოკუმენტია, მაგრამ იგი საჭირო მასალას წარმოადგენს მისი მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

42

და როცა თვალთაგან, ~~გადმოვარდნილი~~,
დაესხმის იმ ცეცხლს ცრემლთ ნაკადული,
~~დღე ძველ ადგილს მაშინ ტკბილს სიყვდილს~~
~~ვერ მძლესნებას ხომ ხვენა გული!..~~

~~ვინ დამიშლის მაგ სასურველ შრომაში,~~
ვუძღვნა, ვაჩუქო მთლად ჩემი გული,
რომ ~~აწლოლეს~~ ეს გრძნობა მორევით,
შეყვარებული, აღტაცებული.

საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა

თ. ე. ნაკაშიძე

საქ. სსრ სახ. წიგნის პალატის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე

საქართველოს წიგნის პალატის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, 1938 წელს საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატასთან ჩამოყალიბდა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება წიგნთმცოდნეობის საცნობარო სპეციალური ბიბლიოთეკით.

წიგნის პალატის, როგორც სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ცენტრის, საცნობარო-ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ დაარსებისთანავე ამოცანად დაისახა კარტოთეკების სახით წარმოედგინა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა. ამას ისიც გვიკარნახებდა, რომ ქართული წიგნისა და საერთოდ ქართული ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ზოგადი და სპეციალური ხასიათის ცნობარები ან სრულებით არ არსებობდა, ან თუ იყო, საგრძნობლად მოძველებული. (ეს ის დრო იყო, როცა წიგნის პალატა მხოლოდ იწყებდა „ქართული წიგნის ტ. I-ის ბიბლიოგრაფიას და საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ნაშრომები „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ გამოცემული არ იყო).

პალატის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების არსებობის ათი წლის მანძილზე მის მიერ დამუშავებულია შემდეგი ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები:

1) ქ ა რ თ უ ლ ი წ ი გ ნ ი ს რ ე პ ე რ ტ უ ა რ ი. წარმოდგენილია სამი კარტოთეკის სახით: ანბანური, სისტემატური და ქრონოლოგიურ-ანბანური. თავის მხრივ პირველი ორი (ანბანური და სისტემატური) გაყოფილია ორ ნაწილად: ა) ქართული საბჭომდელი წიგნი—1629-1920 წ. წ., რომელიც შესდგება 6203 წიგნის ძირითადი და 5647 დამხმარე ბიბლიოგრაფიულ აღწერილობისაგან და ბ) საბჭოთა საქართველოს წიგნი, 1921-1947 წ. წ. 17.775 წიგნის 31.326 ძირითად და დამხმარე ბიბლიოგრაფიული აღწერილობისაგან.

საბჭომდელი ქართული წიგნის რეპერტუარის საფუძვლად დაედო წიგნის პალატის გამოცემის „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. I—1629 1920" ბიბლიოგრაფიული აღწერილობები, რომლებიც შეივსო და განაგრძობს შევსებას, „ქართული წიგნის" გამოსვლის შემდეგ აღმოჩენილ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული აღწერილობებით.

საბჭოთა პერიოდის ქართული წიგნის კარტოთეკა ძირითადად წარმოადგენს საქართველოს წიგნის პალატის წიგნობრივი ფონდის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებს, რომლებიც შეჯერებული და შევსებულია საქართველოს სახელმწიფო საჯაროსა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების საბჭოთა პერიოდის ქართული წიგნის ფონდების აღწერილობებით.

2. რუსული წიგნი საქართველოში—ანბანური კარტოთეკა საბჭოთა პერიოდისა და ქრონოლოგიურ-ანბანური საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში გამოცემული რუსული წიგნისა. საბჭოთა პერიოდის კარტოთეკა ძირითადად ასახავს წიგნის პალატის ბეჭდვითი სიტყვის არქივის რუსული წიგნის ფონდს, შეჯერებულს და შევსებულს სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის აღწერილობებით. საბჭომდელი რუსული წიგნის კარტოთეკა კი წარმოადგენს სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ საქართველოში 1921 წლამდე გამოცემული წიგნების ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებს, შევსებულს წიგნის პალატის მიერ შეძენილ ამ პერიოდის რუსული წიგნების აღწერილობებით[1].

ქართული წიგნის სრული რეპერტუარის შექმნის მიზნით, ისეთი გამოცემების ცნობაში მოყვანისათვის, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ არის ნაპოვნი, განყოფილება პარალელურად აწარმოებს მუშაობას ქართული ბეჭდური წიგნის წყაროების შეგროვებაზე. ამ მიზნით განხილულია 7000-მდე ბიბლიოგრაფიული წყარო, საიდანაც ამოკრეფილია ცნობები 2700 წიგნის შესახებ. ამ რიცხვიდან ასზე მეტი ისეთი წიგნის შესახებ, რომელთა აღწერილობები წიგნის პალატის ქართული წიგნის რეპერტუარში არ მოიპოვება. სულ ქართული წიგნის წყაროების კარტოთეკა შესდგება 15 ათასამდე ბარათისაგან, აწყობილია ანბანურად ძირითადი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მიხედვით, რომელსაც დართული აქვს ყველა

---

[1] საქართველოში დანარჩენ ენებზე (გარდა ქართულისა და რუსულის) გამოცემული წიგნების კარტოთეკები დამუშავების პროცესშია.

ცნობა ამ წიგნის შესახებ სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროდან ამოკრეფილი. მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობს.

ქართული წიგნის წყაროების შეგროვების მიზნით ბიბლიოგრაფიული მასალის განხილვასთან ერთად წარმოებს ქართულ ბეჭდვითი ნაწარმოებებში მოთავსებულ ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების შეგროვება მომავალი ლექსიკონისათვის. ჯერ-ჯერობით აღრიცხულია 11 ათასამდე ფსევდონიმ-კრიპტონიმი, რომლებზედაც შედგენილია სპეციალური აღწერილობები, გზადაგზა წარმოებს მათი გახსნა—მხოლოდ ლიტერატურული წყაროების მიხედვით. (გახსნილია 500-მდე კრიპტონიმ-ფსევდონიმი).

არა ერთი თემატური კარტოთეკა იქნა დამუშავებული განყოფილების მიერ ამ ხნის განმავლობაში. დავასახელებთ რამდენიმეს:

1) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებნი ქართულ ენაზე;

2) ი. ბ. სტალინის შრომები ქართულ ენაზე—ქრონოლოგიური კარტოთეკა (ორიგინალის პირველად დაბეჭდვის თარიღის მიხედვით);

3) საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის პირველწყაროების სისტემატური კარტოთეკა ქართულ ენაზე;

4) სამამულო ომის დაწყების პირველ დღიდანვე წარმოებდა მიმდინარე პრესაში მოხსენებული ომში მონაწილე ქართველების აღრიცხვა პერსონალური ბიბლიოგრაფიის სახით. განყოფილების მიერ შეგროვილი და დამუშავებული მასალა წიგნის პალატამ გამოსცა ბიბლიოგრაფიის „ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“ 3 ტომის სახით.

5) 1945 წლიდან დაწყებულია და ამჟამად მიმდინარეობს ე. წ. „Georgica“-ს შედგენა. კარტოთეკა ორ ნაწილისაგან შესდგება: პირველში მოცემულია საქართველოს შესახებ საქართველოს გარეთ დასტამბული მასალის სისტემატიზირებული ბიბლიოგრაფიული აღწერილობები, მეორე კი წარმოადგენს ანბანურ კარტოთეკას რსფსრ-სა და მოძმე რესპუბლიკებში გამოცემულ ქართველი ავტორების შრომებისას.

6) „ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია“—კარტოთეკა 1921 წლიდან დღემდე ქართულსა და რუსულ ენაზე გამოცემული სპეციალური ლიტერატურისა ბიბლიოგრაფიისა და წიგნთმცოდნეობის დარგში. კარტოთეკა ხუთი ათასამდე ბიბლიოგრაფიული აღწერილობისაგან შესდგება.

ჩვენს განკარგულებაში არსებულ შეერთებულ კატალოგებიდან აღსანიშნავია:

1) საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკებში დაცული უცხოური პერიოდული გამოცემებისა და 2) თბილისის მსხვილ ბიბლიოთეკებში არსებულ საცნობარო ლიტერატურისა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა საცნობარო-წიგნთმცოდნეობის სპეციალურ ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის ფონდი ამჟამად შეიცავს 4000-ს წიგნსა და 100-მდე სახელწოდების სპეციალურ პერიოდულ გამოცემას. ბიბლიოთეკაში არა ერთი იშვიათი გამოცემაა ბიბლიოგრაფიისა და წიგნთმცოდნეობის დარგიდან. მთელ ფონდზე შედგენილია ორი სახის კატალოგი—ანბანური და სისტემატური.

განყოფილების მიერ კარტოთეკა Georgica-ს დამუშავებამ ბ-კას ახალი ამოცანები დაუყენა—საქართველოს შესახებ ლიტერატურის შეგროვება. ამ მიმართულებით წარმოებს საქართველოსმცოდნეობის დარგში იშვიათი წიგნების შეგროვება.

საქართველოს სახ. წიგნის პალატა წარმოადგენს რა სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ცენტრს რესპუბლიკაში, მისი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვასთან დაკავშირებულ საკითხებში, უნდა განვრცობილიყო სამეცნიერო ბიბლიოთეკების საცნობო განყ-ბების მიერ წარმოებულ საცნობო მუშაობისაგან. წიგნის პალატის საქართველოს ბეჭდვითი პროდუქციის ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები შესაძლებლობას იძლევა ქართული და საქართველოს წიგნის შესახებ ცოტად თუ ბევრად ამომწურავი ცნობების შეგროვებისა. და სწორედ ამ მიმართულებით აწარმოებს პალატის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყ-ბა საინფორმაციო მუშაობას. თუ თვალს გადავავლებთ განყ-ბის მიერ გაცემულ ცნობებს, დავინახავთ, რომ სჭარბობს სწორედ ისეთი ხასიათის საკითხები, როგორიცაა:

ა) ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი ქართულ ენაზე.

ბ) ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი საქ. სსრ-ში გამოცემული,

გ) კ. მარქსისა და ფ. ენგელსის კომუნისტური მანიფესტის ქართული თარგმანები.

დ) მ. გორკი საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა ენებზე.

ე) რუსი თანამედროვე მწერლები ქართულ თარგმანებში. და სხვა მრავალი მსგავსი ხასიათის.

აღჭურვილი მრავალი სახის კარტოთეკებით, რომელთა შევსება სისტემატურად მიმდინარეობს (იქმნება ახალიც), საქ. წიგნის პალატის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება მზად არის ფართოდ მოემსახუროს პარტიულ, პროფესიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს, სამეცნიერო დაწესებულებებს და ცალკეულ მეცნიერ მუშაკებს.

ა. მ. ქენჭაძე

საქართველოს სახელმწიფო წიგნის
პალატის წიგნსაცავის გამგე

საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოების არქივი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 8 მარტის № 7 დადგენილებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატასთან ბეჭდვითი ნაწარმოების არქივის შექმნას უფასო სავალდებულო ცალების გზით. ამასთან, მიიღო რა მხედველობაში მთავრობამ ის, რომ საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოების დაცვას წარსულში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, 1937 წ. დებულებით საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატას დაავალა: შეიძინოს მოსახლეობიდან არქივში დასაცავად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში (საქართველოს გარეთ ქართული) გამოცემული ბეჭდვითი ნაწარმოები.

ამ დიდი ღონისძიების უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად გადადებულია საკმაოდ დიდი თანხა, რის შედეგად შესაძლებელი შეიქნა საქართველოს ბეჭდვითი არქივის შევსება. ეს მუშაობა, რომელიც დღესაც ინტენსიურად გრძელდება, წარმართულია იქითკენ, რომ სისრულით იქნეს შეძენილი:

ა) 1629-1920 წ.წ. პერიოდის ქართული წიგნი;

ბ) 1819-1920 წ.წ. ქართული პერიოდული გამოცემები;

გ) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რუსული, სხვა ენებზე დაბეჭდილი წიგნები და პერიოდული გამოცემები, აგრეთვე აღდგენა საბჭოთა (1921-1937 წ.წ.) პერიოდის ბეჭდვითი ნაწარმოების ხარვეზებისა.

10 წლის სისტემატური მუშაობის შედეგად შეძენილ იქნა:

1629-1920 წ.წ. ქართული წიგნი 2.850; ამავე პერიოდში საქართველოში გამოცემული რუსულ ენაზე 1.714; დანარჩენ ენებზე (აფხაზური, ოსური, სომხური და სხვა) 236 სახელწოდების წიგნი.

პერიოდულ გამოცემებიდან: ჟურნალის 660 სახელწოდება—4.866 ნომერი, გაზეთის 196 სახელწოდება—5.973 ნომერი. აღდგენილი იქნა (1921-1937 წ.წ.) საქართველოში გამოცემული 784 სახელწოდების წიგნი, ჟურნალის 168 და გაზეთის 5.223 ნომერი.

ამრიგად, წიგნის პალატამ შესძლო დაეძებნა და შეეძინა 1938-1946 წ.წ. განმავლობაში ა) 5.584 სახელწოდების წიგნი; პერიოდული გამოცემები (ჟურნალ-გაზეთი) 16.230 ნომერი; ხოლო სხვა სახის ბეჭდვითი ნაწარმოები (ნოტები, რუკა, წვრილი ნაბეჭდი მასალა და სხვა) 149 სახელწოდების. აქედან ქართული წიგნი გამოცემული მე-19 საუკუნამდე (საქართველოს და მის გარეთ) შეძენილია 818,—ხოლო 1900-1920 წ წ. პერიოდში 1032 სახელწოდების.

ქვემოდ მოგვყავს ცნობა წიგნის პალატის მიერ 1900-1920 წ.წ. პერიოდში საქართველოში და მის გარედ გამოცემული ქართული და საქართველოში ამ პერიოდში გამოცემული რუსული წიგნების შეძენის შესახებ.

გამოცემის წელი	შეძენილია	მათ შორის		
		ქართული	რუსული	სხვა ენებზე
1900	82	37	44	1
1901	108	42	61	5
1902	104	61	40	3
1903	143	83	50	10
1904	136	85	39	12
1905	125	80	38	7
1906	185	134	41	10
1907	127	75	44	8
1908	125	69	51	5
1909	91	51	37	3
1910	147	77	62	8
1911	188	106	73	9
1912	174	94	73	7
1913	231	118	109	4
1914	210	1 9	82	9
1915	145	83	59	3
1916	113	73	37	3
1917	230	129	99	2
1918	157	115	41	1
1919	194	156	36	2
1920	266	245	20	1
სულ . .	3281	2032	1136	113

მოყვანილი ცნობები თვალნათლივ მეტყველებს წიგნის პალატის ნაყოფიერ მუშაობის შესახებ ამ დარგში.

შეძენილ წიგნებიდან ბევრი უნიკუმს წარმოადგენს. მაგ., 1629-1920 წ.წ. პერიოდის 266 სახელწოდების ქართული წიგნი მხოლოდ წიგნის პალატის არქივში არის დაცული. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

1. ოთხი ძმა. მეორე გამოცემა კავკასიის სოც.-დემოკრატიული მუშათა კავშირისა, ჟენევა. სტ. „ბრძოლა". 1903.

2. ლადო კეცხოველი. მისი ცხოვრება და რევოლუციონური მოღვაწეობა. კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა. 1903.

3. მეფე ერეკლეს სახსოვარი. 1897—11/I—1898 (თბილისი) „ცნობის ფურცლის" გამოცემა, სტ. წიგნის გამომცემლობა ქართული ამბის (18 ...).

4. ჩერქეზიშვილი, ელისაბედ. სამოცი წლის არშიყი. თბ. 1899.

5. ყარამანიანი. კარი მეხუთე და მეექვსე. გამოცემა მეორე. 1902. და სხვა მრავალი იშვიათი გამოცემა.

საბჭოთა პერიოდის ბეჭდვითი პროდუქციის ხარვეზების აღდგენის შემდეგ (თუმცა ეს მუშაობა დამთავრებული არ არის თავადამად შეიძლება ითქვას, რომ იგი წიგნის პალატის არქივში დღეს მეტი სისრულით არის წარმოდგენილი ვიდრე რომელიმე სხვა წიგნთსაცავში.

თუ რა მუშაობა გასწია წიგნის პალატამ საბჭოთა პერიოდის (1921-1937) წიგნის საეალდებულო ცალების ხარვეზების აღდგენის საქმეში, მკითხველი ამას დაინახავს აქვე დართულ ცხრილში.

გამოცემის წელი	იყო ხარვეზი	შეძენილია	მათ შორის	
			ქართული	რუსული
1921	80	26	10	16
1922	104	33	15	18
1923	142	29	15	14
1924	55	9	9	—
1925	63	14	9	6
1926	80	30	14	16
1927	144	49	20	29
1928	152	80	20	60
1929	153	48	14	34
1930	93	55	15	40
1931	129	78	17	61
1932	155	106	16	90
1933	152	105	14	91
1934	193	80	16	64
1935	58	31	8	23
1936	19	7	1	6
1937	22	4	1	3
სულ . .	1794	784	214	571

დასასრულს, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა გაგვეცნო მკითხველისათვის წიგნის პალატის ბეჭდვითი ნაწარმოების არქივში დაცული ფონდები, როგორც ძირითადი ისე სადუბლეტო.

1. ძირითად ფონდში დაცულია 1629-1920 წ.წ.

ა) წიგნი . . . . . 4.797 სახელწოდება
ბ) ჟურნალი . . . . . 6.797 ნომერი
გ) გაზეთი . . . . . 8.579 ნომერი
დ) სხვადასხვა გამოცემა . . 149 სახელწოდება

1921-1946 წ.წ.

ა) წიგნი . . . . . 26.069 სახელწოდება
ბ) ჟურნალი . . . . . 7.888 ნომერი, 1722 სახელწოდება
გ) გაზეთი . . . . . 2.544 კომპლექტი, 322 სახელწოდ.
დ) სხვადასხვა გამოცემა . 22.000 სახელწოდება

2. სადუბლეტო ფონდი 1629-1920 წ.წ.

ა) წიგნი . . . . . 1.203 სახელწოდება
ბ) პერიოდიკა . . . . . 1.000 ნომერი (ჟურნალ-გაზეთი).

1921-1946 წ.წ.

ა) წიგნი . . . . . 70.789 სახელწოდება
ბ) პერიოდიკა . . . . . 1.952 ნომერი (ჟურნალი).

ქართველ ხალხს საბჭოთა მთავრობამ მისცა შესაძლებლობა არა მარტო გაეშალა თავისი შემოქმედებითი მუშაობა წიგნის გამოცემის საქმეში, არამედ მას აქვს ხელუხლებელი ფონდი განკუთვნილი შთამომავლობისათვის, ჩვენი მდიდარი წარსული კულტურის ისტორიისათვის.

ვ. მ. გოგოლაძე

საქ. სსრ სახ. წიგნის პალატის სამეცნიერო შრომების შესახებ

სანამ საქ. სსრ სახ. წიგნის პალატის სამეცნიერო შრომების გამოცემებზე შეეხერებოდეთ მკითხველთა ყურადღებას, გადავწყვიტეთ ორიოდე სიტყვით მივცეთ მათ ზოგიერთი ცნობა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის 1947-1948 წ.წ. ჩვენი მარკით გამოცემულ წიგნების შესახებ.

თვით კომიტეტის შექმნა სამინისტროს უფლებებით ნათლად ლაპარაკობს იმაზე, თუ რაოდენ ყურადღებას აქცევენ პარტია და მთავრობა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, და მართლაც, დიდი მუშაობა გასწია კომიტეტმა და მისმა ქვემდებარე დაწესებულებებმა მათ წინაშე დასმული ამოცანების ბრწყინვალეთ გადაჭრის საქმეში. ჩვენ ამ წერილის პირველ ნაწილში შევეხებით ბოლოდ კომიტეტის გამოცემებს, ისიც ნაწილობრივ.

1947-48 წ.წ. პალატამ კომიტეტის დავალებით გამოსცა მასობრივი ტირაჟით: 1. ე. ა. ხატიაშვილის „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მორიგი ამოცანები", 2. შიკის „ლექციების მომზადებისა და კითხვის მეთოდიკა", 3. დოც. ვასაძის „ადამიანის წარმოშობა", 4. ვ. ზამბახიძე „საწრეო მუშაობის ორგანიზაცია", ამავე ავტორის, 5. „კედლის გაზეთი საკლუბო დაწესებულებებში", 6. „სალექციო მუშაობის ორგანიზაცია კლუბებში", 7. „საცნობარო მუშაობა საკლუბო დაწესებულებებში", 8. ბეჭდვითი აგიტაცია კლუბში", 9. ფ. ყურაშვილის „დილისა და საღამოს ორგანიზაცია საკლუბო დაწესებულებებში", ამავე ავტორის 10. „კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემა და ორგანიზაცია სსრ კავშირში", 11. ექ. ი. ჭურჩიშკილის „აკადემიკოსი ი. პ. პავლოვის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა", 12. ალ. მამულაშვილის „იყალთოს აკადემია", 13. ნ. კრუპსკაიას „რას წერდა და ლაპარაკობდა ლენინი ბიბლიოთეკების შესახებ", სასოფლო კლუბებისათვის

მცირე მოქმედებიან, თანამედროვე საკითხებზე მიძღვნილი პიესები; 14. ი. მოსაშვილის „ერთხელ ღამით“, 15. მთვარაძის „სატრფოს სურვილი“, 16. მიქელაძის „ომგადახდილნი“, 17. რ. ჭორჭიას „გამოცდა“, 18. ვ. გაბესკირიას „მოულოდნელი სიხარული“, 19. ს. კლდიაშვილის „ბრიგადირის ქორწინება“, 20. კ. კალაძის „კოლმეურნე ქალიშვილი“.

გადაცემულია სტამბაზე და იბეჭდება: 1. ს. მაკალათიას „დვანის არქეოლოგიური გათხრები“, 2. არჯევანიძის „თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები“, 3. პროფ. ყაუხჩიშვილის „გელათის აკადემია“, 4. დოც. ჭანიშვილის „დიდი მეცნიერი მოჭალაქე კ. ა. ტიმირიაზევი“, 5. ლიტერატურული მუზეუმის „ლიტერატურული მატიანე ნაკ. 5“, 6. გოქიაძის „გელათის ძეგლების ისტორიული მიმოხილვა“, 7. პროფ. კორობკოვი „მხარის ისტორიული შესწავლა“, 8. ალ. მამულაშვილის „თორღვას აბანო“, 9. კრებული „საჯარო ბიბლიოთეკის 100 წლის თავი“, 10. სოლ. ცაიშვილი „ნიკო დადიანი“, 11. „ებრაელთა მუზეუმის მეგზური“, 12. გ. გიორგიძის „თვითგანათლება და დამოუკიდებელი მუშაობა წიგნზე“ და 13. პიესა აკ. დევიძისა „მეგობრობა“.

მარტო აქ ჩამოთვლა ამ გამოცემებისა თავისთავად ლაპარაკობს იმაზე, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმეთა კომიტეტმა, დაბეჭდა რა ეს გამოცემები დიდად შეუწყო ხელი ადგილებს მუშაობაში.

* * *

რაც შეიძლება მოკლედ გვსურს შევჩერდეთ საკუთრივ საქ. სსრ სახ. წიგნის პალატის გამოცემებზე.

ბეჭდვითი საქმის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ისეთი პირობები, რომლის მსგავსი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. რამდენიმე ათას სახელწოდებაზე მეტი გაზეთი, ათეული ათასი დასახელების წიგნი, ჟურნალი, კრებული, სამეცნიერო შრომები გამოდის დღეს სსრ კავშირში. ბუნებრივია, საჭირო შეიქნა ერთგვარი მეგზურის გამოცემა, რათა მკითხველს გაუადვილდეს თავის დროზე ნახოს მისთვის საჭირო წიგნი, საგაზეთო და საჟურნალო სტატია. სწორედ ამ ამოცანათა განხორციელებისათვის მთავრობამ დაავალა მოკავშირე და საკავშირო წიგნის პალატებს თავის სიმაღლეზე დააყენონ ბიბლიოგრაფიის საქმე. კერძოთ, საქ. სსრ სახ. წიგნის პალატამ, რომელსაც 1949 წ. 14 აპრილს უსრულდება არსებობის 25

წელი, საგრძნობი მუშაობა ჩაატარა როგორც რეტროსპექტულმა, ისე, განსაკუთრებით, მიმდინარე გამოცემების ბიბლიოგრაფიის დარგში.

ზედმეტი არ იქნება თუ ჩვენ ზოგადად გავეცნობით 1924 წლიდან დღემდე წიგნის პალატის მიერ გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ შრომებს. პირველი გამოცემა პალატამ განახორციელა 1926 წელს წიგნის მატიანეს № 1-ის გამოცემით. ამ შრომაში მოცემულია ყველა ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოყოლებული 1917 წლიდან 1925 წლის ჩათვლით. 1926 წელს გამოვიდა წიგნის მატიანეს 2, 3, 4, და 5 ნომერი, ამ წელში ყველა ენებზე გამოცემული წიგნების აღწერილობით. 1927 წელს წიგნის მატიანეს 12 ნომერი დაიბეჭდა, 1929, 1930, 1931, 1932, 1933, 1934 წ წ. წიგნის მატიანე გამოდიოდა 12 ნომრად, ხოლო 1935, 36 წლებში 24 ნომრად. 1937 წლის წიგნის მატიანე დაიბეჭდა და გამოვიდა 1939 წელს ერთ წიგნად—წელიწდეულის სახით. ხოლო 1938 წლიდან დღემდე წიგნის მატიანე გამოდის სასტემატურად წელიწადში 12 ნომერი.

რაც შეეხება, „გაზეთის სტატიების მატიანე"-ს გამოცემას, აქ გვაქვს შემდეგი სურათი: 1924 წელს წიგნის პალატამ „საქ. ცნობათან" ერთად გაავრცელა ცნობარი, რომელშიც, გარდა საქართველოში გამოცემულ რესპუბლიკურ გაზეთებისა, აღწერილი იყო სტატიები მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკური გაზეთებიდან. 1935-36-წ.წ. გამოვიდა „გაზეთის სტატიების მატიანე"-ს 36 ნომერი, რომელშიც აღწერილი იყო საქართველოს რესპუბლიკური გაზეთები, ხოლო 1938 წ. 1940 წლამდე გამოვიდა ამ პერიოდული გამოცემების 46 ნომერი, რომელშიც აღწერილია არა მარტო საქ. რესპუბლიკური გაზეთები, არამედ ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ოლქის გაზეთებიც. 1940 წლიდან სისტემატურად გამოდის წელიწადში 36 ნომერი „გაზეთის სტატიების მატიანე" და აღიწერება სტატიები აგრეთვე რაიონულ გაზეთებიდანაც.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს „ჟურნალის სტატიების მატიანე"-ს გამოცემის საქმეში. ჟურნალის სტატიების ბიბლიოგრაფირება და მისი გამოცემა პალატამ დაიწყო მხოლოდ 1939 წლიდან. აქედან მოყოლებული სისტემატურად გამოდის ეს გამოცემა წელიწადში 12 ნომრად.

მეოთხე პერიოდული ბიბლიოგრაფიული გამოცემა წიგნის პალატისა არის ე. წ. „ბარათული მატიანე" რომელიც 1938 წლიდან სისტემატურად გამოდის ყველა წიგნზე.

პერიოდული გამოცემათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე პალატის შრომა ,,ბიბლიოგრაფიის მოამბე'', რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1940 წელს, მეორე და მესამე ნომერი ერთ წიგნად 1941 წელს, ხოლო 4-5 ნომერი გამოდის ახლა.

პალატის ერთდროულ გამოცემებიდან უნდა ავღნიშნოთ „Georgica" 1928 წ., „საქართველოს სსრ 1935 წლის პერიოდიკის ანბანური სია" 1936 წ., ,,ი. ბ. სტალინის ბიო-ბიბლიოგრაფია'' 1940 წ., ,,საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა საქართველოს 20 წლის თავზე'' 1941 წ., ,,ქართული წიგნი'' ტ. I., 1941 წ., ,,მეხილეობა საქართველოში" 1941 წ., „რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1828-1920 წ.,''. 1941 წ., ,,რეცენზიების ბიბლიოგრაფია'' 1941 წ., ,,სომხური წიგნი საქართველოში'' 1941 წ., ,,ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში'' ორ წიგნად 1945-1946 წ., ,,ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია'', 1819-1945 წ.წ. 1947 წელს და იმავე წელს ბიობიბლიოგრაფიები „ალექსანდრე ჭაჭავაძე" და ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი''.

მოკლედ შევჩერდებით თითოეულ მათგანზე.

პალატის პერიოდული გამოცემანი

ავიღოთ, პირველ რიგში, ,,წიგნის მატიანე''.

,,წიგნის მატიანე''-ში იბეჭდება საქართველოს ტერიტორიაზე გამოცემული წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი. „წიგნის მატიანე"-ს თითოეულ ნომერში მასალა დალაგებულია მეცნიერებათა დარგების მიხედვით საკავშირო და რესპუბლიკურ წიგნის პალატებში მიღებული საკლასიფიკაციო სქემით. გარდა წიგნებისა, „წიგნის მატიანე"-ში დამატებების სახით იბეჭდება ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი საქართველოში გამოცემული მუსიკალური ნოტებისა, სახვითი ხელოვნების მასალისა (ალბომები, პორტრეტები, მხატვრული პლაკატი), რუკებისა და საქართველოს პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ რეცენზიების სია.

,,წიგნის მატიანე'' აუცილებელ ცნობარს წარმოადგენს ბიბლიოთეკების მომუშავეთათვის: მის გარეშე შეუძლებელია ბიბლიოთეკის გეგმიანი დაკომპლექტება, რადგან იგი სრულ სურათს იძლევა საქართველოში გამოცემული წიგნების შესახებ და როდესაც ბიბლიოთეკის დაკომპლექტებაზე მომუშავე თანამშრომელი თვალყურს ადევნებს, სარგებლობს ,,წიგნის მატიანე"-თი, მას აღარ გაუძნელდება საჭირო ლიტერატურის სრულად შერჩევა და თავის დროზე შეძენა.

,,წიგნის მატიანე''-ში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წიგ-

ნის ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი მეცნიერების დარგების მიხედვით არის დალაგებული. მასალის ასეთი განლაგება უადვილებს მკითხველს მისთვის საჭირო დარგში გამოცემულ ლიტერატურის პოვნას. ყოველი ბიბლიოთეკარისათვის, რომელიც მკითხველთა მომსახურეობის, ან საცნობო-ბიბლიოგრაფიის დარგში მუშაობს, აუცილებელია „წიგნის მატიანე"-თი სარგებლობა. მატიანეს საშუალებით ადვილია მკითხველისათვის საჭირო საკითხზე წიგნების მითითება.

„გაზეთის სტატიების მატიანე"-ში მოცემულია საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ და სარაიონო, ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქის გაზეთებში მოთავსებული სტატიების ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი სათანადო დეშიფრაციით. მასალა თითოეულ ნომერში მეცნიერებათა დარგების მიხედვით არის განწყობილი—33 მთავარ განყოფილებად. „გაზეთის სტატიების მატიანე"-ს საშუალებით ბიბლიოთეკარი დროულად აწვდის მკითხველს მასალებს ჩვენს პრესაში მოთავსებულ აქტუალურ საკითხებზე.

პალატის შემდეგ პერიოდულ გამოცემას წარმოადგენს „ჟურნალის სტატიების მატიანე".

„ჟურნალის სტატიების მატიანე"-ში მოთავსებულია საქართველოში გამოცემული (ქართულ, რუსულ და სხვ. ენებზე), ჟურნალების, სამეცნიერო შრომების, პერიოდულ და ერთდროულ კრებულების, ბიულეტენების, სტატიების ბიბლიოგრაფიული აღწერილობები.

ჟურნალის სტატიის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა იძლევა სტატიის ავტორს, მის სათაურს, მოკლე განმარტებას (დეშიფრაციით), თუ სათაური არ გვაძლევს წარმოდგენას სტატიის შინაარსზე და მითითებას ჟურნალის ან კრებულის სახელწოდებაზე, გამოცემის წელზე, ნომერზე ან ტომზე და გვერდებზე, სადაც სტატიაა მოთავსებული. ისევე როგორც პალატის სხვა პერიოდულ გამოცემებში, აქაც მასალა მეცნიერებათა დარგების მიხედვით არის განლაგებული.

„ჟურნალის სტატიების მატიანე" აუცილებელი და შეუცვლელი ცნობარია ბიბლიოთეკებში მომუშავეთათვის. მისი საშუალებით ადვილად შეიძლება მკითხველისათვის ბიბლიოგრაფიული ცნობის მიწოდება ლიტერატურის მესახებ მეცნიერებისა და ხელოვნების ამა თუ იმ დარგში, იმ წყაროების მითითებით, თუ სად არის დასახელებული სტატიები დაბეჭდილი.

თუ ყოველი მეცნიერი მუშაკისათვის, სპეციალისტისათვის, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ან ლიტერატურულ დარგში მომუშავეთათვის აუცილებელია მის სპეციალობაში გამოცემული ლიტერატურის კურსში ყოფნა, მით უფრო საჭიროა ეს ბიბლიოთეკარისათვის, რადგან იგი მოწოდებულია ბიბლიოგრაფიული ცნობები მისცეს ყველას, ვინც კი ასეთზე მიაკითხავს. მატიანეები კი, ამ შემთხვევაში „ჟურნალის სტატიების მატიანე", საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკარს, დაინტერესებულ პირს სწრაფად უშოვოს ერთ ადგილას სია ჟურნალის სტატიებისა, მაგ., ჩაის ტექნოლოგიის ან სხვა რაიმე საკითხის შესახებ, რომლებიც მოთავსებული იყო პერიოდულ გამოცემებში დროის გარკვეულ მონაკვეთში.

რაც შეეხება „ბარათულ მატიანე"-ს—იგი განკუთვნილია სპეციალურად ბიბლიოთეკების კატალოგებში ჩასართავად. დგება საქართველოს მთელს წიგნის პროდუქციაზე და წარმოადგენს სტანდარტულ საკატალოგო ბარათზე დასტამბულ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას ბიბლიოთეკებისათვის მიღებული კატალოგრაფიული წესების თანახმად.

სხვადასხვა სახის კატალოგებში „ბარათული მატიანე"-ს გამოყენებისათვის ბარათზე აღნიშნულია: მითითებანი ყველა სახის დამატებითი აღწერილობის შესადგენად ბიბლიოთეკის ანბანური კატალოგისათვის; საერთაშორისო დეციმალური კლასიფიკაციის ინდექსი—სისტემატური კატალოგის ასაწყობად, კუთვრის ნიშანი—ანბანური მონტაჟის გაადვილების მიზნით და საგნობრივი რუბრიკა—საგნობრივ კატალოგისათვის.

„ბარათული მატიანე" განტვირთავს ბიბლიოთეკარს ყველაზე უფრო შრომისტევად სამუშაოსაგან—წიგნის ყოველმხრივი დამუშავებისაგან და შესაძლებლობას აძლევს მას მეტი დრო მოახმაროს მკითხველთა მომსახურეობის საქმეს, წიგნის პროპაგანდას.

ბიბლიოგრაფიისა და წიგნისმცოდნეობის საკითხების გაშუქების მიზნით წიგნის პალატამ 1940 წ. დაიწყო გამოცემა სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებულის, „ბიბლიოგრაფიის მოამბე"-ს № 1, 270 გვერდის მოცულობით გამოვიდა 1940 წელს და შეიცავდა 18 სტატიას ბიბლიოგრაფიის თეორიისა, ბიბლიოთეკადმცოდნეობისა და წიგნისმცოდნეობის დარგში. № 2-3, 238 გვ. მოცულობით, რომელიც გამოვიდა 1941 წ. შეიცავს 16 სტატიას.

ერთდროული—რეტროსპექტული გამოცემები

წიგნის პალატის ერთდროულ გამოცემებიდან—ძველი გამოცემები როგორიც არის 1928 წელში გამოცემული „Georgica", „საქართველოში 1928 წელს სამეცნიერო ლიტერატურის ანოტირებული ინდექსი" და 1936 წ. გამოცემული, „საქ. სსრ რესპუბლიკის 1935 წლის პერიოდიკას ანბანური სია",—ამჟამად იშვიათობას წარმოადგენს და მათზე არ შევჩერდებით, გადავდივართ 1940-1948 წ.წ. გამოცემებზე.

ი. ბ. სტალინის დაბადებიდან 60 წლის შესრულების აღსანიშნავად 1940 წელს პალატამ გამოსცა „ი. ბ. სტალინის ბიო-ბიბლიოგრაფია" 3100 ცალად, 170-მდე გვერდის მოცულობით. შრომა ორ მთავარ ნაწილისაგან შესდგება: 1-ში მოცემულია ი. ბ. სტალინის ქართულ ენაზე გამოსულ ნაშრომთა ქრონოლოგიური სია 1895 წლიდან 1940 წლამდე. ხოლო მე-2-ში ამავე პერიოდისათვის ი. ბ. სტალინის შესახებ ქართულ ენაზე გამოსული ლიტერატურა. წიგნს დართული აქვს საკუთარ სახელთა და საგნობრივი საძიებელი შრომის მეორე ნაწილისათვის.

უდიდეს მიღწევად ქართულ ბიბლიოგრაფიის დარგში ითვლება ჩვენი გამოცემა „ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი 1, 1629-1920 წ." 571 გვ. 3150 ცალად. ბიბლიოგრაფია შედგენილია შეერთებული კატალოგის პრინციპების საფუძველზე, ე. ი. შიგ წარმოდგენილია საქართველოსა და სსრ კავშირის 18 უდიდესი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ქართული ფონდები.

წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი მასში დალაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანურად, თითოეულ აღწერილობაზე აღნიშნულია თუ რომელ ბიბლიოთეკაშია დაცული ესა თუ ის წიგნი; მოხმარების გაადვილების მიზნით—დართული აქვს 14 სახის საძიებელი: ავტორთა, როგორც პერსონალური ისე კორპორაციულის, მთარგმნელთა, რედაქტორთა, პერსონალიის, ანონიმურ გამოცემათა, გეოგრაფიული, საგნობრივი, ბიბლიოთეკებისა, სადაც წიგნები ინ-ა ხება და სხვ. წიგნის ვრცელ წინასიტყვაობაში მოცემულია ქართული სტამბური წიგნის ისტორიული მიმოხილვა.

„ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია" აუცილებელი ცნობარია საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების შემსწავლელთათვის, ბიბლიოთეკებს კი ამ შრომის საშუალებით შეუძლიათ დააკომპლექტონ წიგნთსაცავები საბჭომდელი ქართული წიგნით, გასცენ ბიბლიოგრაფიული ცნობები სხვადასხვა საკითხებზე 300 წლის მან-

ძილზე გამოცემული ქართული წიგნების შესახებ და მიუთითონ მკითხველს, თუ სად შეუძლია მას იპოვოს მისთვის საჭირო წიგნი, ანდა ბიბლიოთეკათშორისო აბონიმენტის საშუალებით, გამოუწეროს მას მოთხოვნილი წიგნი.

პალატის გამოცემა „რეცენზიების ბიბლიოგრაფია, ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები 1931-1938 წ.წ." 58 გვ. 500 ცალად გამოიცა 1941 წელს. ცნობარი შეიცავს ქართულ პერიოდულ გამოცემებში 1931-1938 წლების მანძილზე მოთავსებულ ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების რეცენზიებს. მოხმარების გაადვილების მიზნით დართული აქვს რეცენზენტთა და ანბანური საძიებელი. დამატების სახით მოცემულია 1935-1938 წლებში დადგმულ ოპერების, პიესებისა და კინოფილმების რეცენზიები.

„რეცენზიების ბიბლიოგრაფია" ცნობარია ბიბლიოთეკების, პარტკაბინეტების სამეცნიერო დაწესებულებებისა და მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკებისათვის. მის შემწეობით დროს დაუკარგავად შეგვიძლია გავიგოთ თუ რა რეცენზია ან კრიტიკული სტატია დაისტამბა ამა თუ იმ წიგნზე, ჟურნალზე და ცალკეულ ლიტერატურულ ან საძეცნიერო ნაწარმოებზე, აგრეთვე გავეცნოთ ცალკეულ ავტორების შემოქმედების შესახებ მასალას, რომელიც გამოქვეყნებული იყო ამ დროის განმავლობაში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

საქართველოს მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიის შესწავლისათვის დიდ დახმარებას უწევს მკვლევარს პალატის გამოცემა „Библиография русской периодики Грузии, 1828-1920 წ.წ." (რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია გამოვიდა 1941 წ. 126 გვ. 2000 ცალად).

ცნობარი წარმოადგენს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გამოცემულ რუსული პერიოდული გამოცემების ანოტირებულ აღწერილობათა ქრონოლოგიურ სიას. თითოეულ გამოცემის, ჟურნალის ან გაზეთის შესახებ, მოცემულია ვრცელი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და დართული აქვს ცნობა, თუ სად შეიძლება მისი პოვნა (საქართველოს რომელ ბიბლიოთეკაში) და აგრეთვე დამხმარე საძიებლები.

სპეციალური ბიბლიოგრაფიის დარგში აღსანიშნავია პალატის გამოცემა „მეხილეობა საქართველოში", ბიბლიოგრაფია, შედგენილია დოც. ლ. კარბელაშვილის მიერ. 1941 წ. 139 გვ. 700 ცალი.

ცნობარი ორ ნაწილისაგან შესდგება: 1-ლში მოცემულია ლიტერატურისა და წყაროების ანბანური სია სტატიების ავტორების მიხედვით, მეორეში საძიებლები: გეოგრაფიული და საგნობრივი.

ცნობარი დიდ დახმარებას უნდა უწევდეს ჩვენს ბიბლიოთეკებს, სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებს საქართველოს მეხილეობის საკითხებში ბიბლიოგრაფიულ მომსახურეობის საქმეში.

ამავე 1941 წელს, საბჭოთა საქართველოს 20 წლის თავზე წიგნის პალატამ გამოსცა ბროშურა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სტატისტიკის დარგში, სახელდობრ: „საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა საქართველოს 20 წლის თავზე (ციფრები და მასალები)", 40 გვ. 500 ც. წიგნი დიდ დახმარებას უწევს მკითხველებს და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

პალატის გამოცემა „სომხური წიგნი საქართველოში 1921-1938 წ.წ." ბიბლიოგრაფია, 1941 წ. 152 გვ. 500 ც., წარმოადგენს საქართველოში ამ დროის მანძილზე სომხურ ენაზე გამოცემულ წიგნების სისტემატურ ბიბლიოგრაფიას, ამ ნაშრომში სულ 757 წიგნია აღწერილი. ცნობარს დართული აქვს მთელი რიგი დამხმარე საძიებლებისა.

საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა გამოხატულება ჰპოვა წიგნის პალატის 1945-1946 წ.წ. ცალკეულ გამოცემებში მონუმენტალურ ბიბლიოგრაფიულ ცნობარის გამოცემით: „ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში". ბიბლიოგრაფიული საძიებელი ნაკვ. 1-2: 1941-1943 წ.წ. 720 გვ. 1000 ც. და ნაკვეთი მე-3: 1944-1945 წ.წ. შრომა წარმოადგენს პერსონალურ ბიბლიოგრაფიის საფუძველზე შედგენილ ცნობარს დიდ სამამულო ომში მონაწილე ქართველ მებრძოლების შესახებ ქართულსა და რუსულ პრესაში და ცალკეულ გამოცემებში გაფანტულ უამრავ მასალისაგან. ცნობარებს დართული აქვს მთელი რიგი დამხმარე საძიებლებისა: ავტორთა, ომში მონაწილე ქალების, გეოგრაფიულ სახელების, ჯარის სახეობათა და ჯილდოების. სამივე ნაკვეთი შეიცავს 11.000-ზე მეტ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას 5000-მდე მებრძოლის შესახებ და წარმოადგენს უბადლო ცნობარს ყოველი ტიპის ბიბლიოთეკისათვის სამამულო ომში მონაწილე ქართველი მეომრის შესახებ ცნობების გასაცემად.

ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიის დარგში ესეთივე დიდ მოვლენად, როგორიც იყო „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია ტ. 1-ის" გამოცემა, უნდა ჩაითვალოს პალატის მონუმენტალური შრომის „ქართული პერიოდიკა 1819-1945 წ.წ. ბიბლიოგრაფია", შედგე-

ნილი გ. ი. ბაქრაძის მიერ ვ. ა. ეგნატაშვილის რედაქციით". წიგნი 286 გვერდს შეიცავს და 2150 ცალად გამოვიდა. შრომა ქართული პერიოდული გამოცემების ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ აღწერილობას წარმოადგენს, მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად გამოცემის პირველი წლის მიხედვით, თითოეულ გამოცემის აღწერილობას დართული აქვს აღნიშვნა, თუ რომელ ბიბლიოთეკაში ინახება იგი. წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია მთელი რიგი დამხმარე საძიებლებისა, როგორიცაა ჟურნალ-გაზეთების ანბანური, გეოგრაფიული, სისტემატური, დაწესებულებების, რედაქტორებისა და უმთავრეს თანამშრომელთა. წიგნის ბოლოში მოთავსებულია ლიტერატურა ქართული პერიოდიკის შესახებ.

წიგნის რედაქტორი თავის წინასიტყვაობაში სწერს: „ვფიქრობთ ეს წიგნი სახარბიელო საჩუქარი იქნება საქართველოს ისტორიის, ლიტერატურათ-ცოდნეობის, ენათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკისა და სხვა დარგების მკვლევარებისათვის, ჟურნალისტებისა, ბიბლიოთეკის მუშაკებისა და აგრეთვე მასობრივი მკითხველისათვისაც, რომელიც საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ თვალსაჩინოდ განვითარდა, გაიზარდა და დავაჟკაცდა".

„ქართული მუსიკალური ნაწარმოების ბიბლიოგრაფია „1872-1946 წ.წ." შედგენილი თ. კუცია-ღვალაძის მიერ პროფ. გრ. ჩხიკვაძის შესავლით და რედაქციით გამოვიდა 1947 წელს 1200 ცალად. ბიბლიოგრაფიაში აღნუსხულია როგორც საქართველოში გამოცემული ქართული და არაქართული მუსიკალური ლიტერატურა, ისე საქართველოს ფარგლებს გარეშე დაბეჭდილი ქართველი კომპოზიტორ-მუსიკოსების ნაწარმოებები და ქართული მუსიკის შესახებ უცხო ავტორების მიერ გამოქვეყნებული შრომები. მთელი მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური წესით და დართული აქვს საძიებლები: საკუთარ სახელთა და სისტემატური.

ბიბლიოგრაფია საცნობარო სახელმძღვანელოს წარმოადგენს ქართული მუსიკის ისტორიის დარგში მომუშავეთათვის.

„ალექსანდრე ჯავჯავაძე. ბიბლიოგრაფია. 1830-1947" შედგენილი ე. დიასამიძის მიერ ი. გრიშაშვილის რედაქციით, და „ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბიბლიოგრაფია" შედგენილი მ. ჯილაურის მიერ პ. ინგოროყვას რედაქციით, გამოცემული 1947 წელს ორ-ორ ათას ცალად, წარმოადგენენ პალატის მიერ განზრახულ ქართულ რომანტიკოსების ცხოვრება-შემოქმედების შესახებ არსებულ მასალის შეგროვება-სისტემატიზირების და ბიბლიოგრაფიის სახით გამოქვეყნების ცდას. ბიბლიოგრაფიები ფრიად საჭირო სახელმძღვა-

ნელოს წარმოადგენს, როგორც ბიბლიოთეკებისათვის ისე ჩვენი საშუალო სკოლებისათვისაც.

ამრიგად, როგორც დაინახეთ, ჩვენი გამოცემები, როგორც პერიოდული ისე რეტროსპექტული განკუთვნილი არიან მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის და ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით ისინი არ გაგვეშვა კერძო ბაზარზე. თუ ჩვენ აქამდე ამას ვერ ვაღწევდით, ეს გასაგებიც უნდა იყოს, მაგრამ ამიერიდან, როცა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა კომიტეტი სამინისტროს უფლებებით, როცა პარტიამ ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს მოწოდების სიმაღლეზე ასაყვანად გამოგზავნა თავის რიგებიდან ყოველმხრივ განათლებული და უნარიანი ადამიანები, როცა ადგილებზე შექმნილია განყოფილებები და სხვა, არ გვეპატიება, რომ ჩვენი რომელიმე გამოცემა არ მოხდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან უმოძრაოდ იდვას იქ ის ისე, როგორც ეს ზოგიერთ ადგილას აქამდე იყო.

დაე გავიგოთ, რომ ჩვენ ფართე ბიბლიოგრაფიული მომსახურეობა უნდა გავუწიოთ პარტიულ, საბჭოთა, კოლექტიურ მეურნეობის თითოეულ მუშაკს, რადგან ბეჭდვითი სიტყვის ის ოკეანე, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების დროს მოითხოვს ეროგვარ კომპასს გზის გაგნებისათვის. ჩვენ უნდა ვიყოთ კომპასები, ჩვენ უნდა დავზოგოთ თითოეული მეცნიერი თუ პარტიული მუშაკის დრო, რათა მათ არ მოუხდეთ მათთვის საჭირო ლიტერატურის საძებრად დროს დაკარგვა. ჩვენი მოვალეობის ამ ნაწილსაც დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ, მით უმეტესად ახლა, როცა პარტია და მთავრობა ამდენ ყურადღებას უთმობენ მეცნიერების კიდევ და კიდევ წინ წაწევას ჩვენში, როცა აშხანაგმა ი. ბ. სტალინმა შეუქმნა ყველა პირობა საბჭოთა მეცნიერებს შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა

სამეცნიერო ორგანიზაციებს, ბიბლიოთეკებს, პარტკაბინეტებს, რედაქციებს და ცალკე მეცნიერ მუშაკებს შეუძლიათ მიიღონ წიგნის პალატის გამომცემლობიდან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5), ხელის მოწერით (კ/ანგარიში: თბილისის მოლოტოვის რაიონის სახბანკი № 150900) პალატის პერიოდული და ერთდროული გამოცემები:

ა) პ ე რ ი ო დ უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი

1. წიგნის	მატიანე	1938 წ.	ცალკე ნომრები.	ნომრის ფასი	2 მან.
„	„	1939 წ.	„ „	„ „	2 „
„	„	1940 წ.	„ „	„ „	2 „
„	„	1941 წ.	სრ. კომპლექ. (12 ნომერი.)	ფ.	24 მან.
„	„	1942 წ.	„ „	„ „	24 „
„	„	1945 წ.	„ „	„ „	42 „
„	„	1946 წ.	„ „	„ „	42 „
„	„	1947 წ.	„ „	„ „	42 „
„	„	1948 წ.	„ „	„ „	42 „
2. ჟურნალის	სტატიების	მატიანე	1939 წ.	ცალკე ნომრები,	ნომრის ფ. 1 მან.
„	„	„	1940 წ.	„ „	„ „ 2 „
„	„	„	1941 წ.	სრ. კომპლექ. (12 ნომერი)	ფ. 24 „
„	„	„	1942 წ.	„ „	„ „ 24 „
„	„	„	1945 წ.	„ „	„ „ 24 „
„	„	„	1946 წ.	„ „	„ „ 24 „
„	„	„	1947 წ.	„ „	„ „ 24 „
„	„	„	1948 წ.	„ „	„ „ 24 „
გაზეთის	სტატიების	მატიანე	1938 წ.	ცალკე ნომრები.	ნომრის ფ. 2 „
„	„	„	1939 წ.	„ „	„ „ 1 „
„	„	„	1940 წ.	„ „	„ „ 2 „
„	„	„	1941 წ.	„ „	„ „ 2 „
„	„	„	1942 წ.	სრ. კომპლექ. (36 ნომერი)	ფ. 72 „
„	„	„	1943 წ.	„ „	„ „ 72 „
„	„	„	1945 წ.	„ „	„ „ 126 „
„	„	„	1946 წ.	„ „	„ „ 126 „
„	„	„	1947 წ.	„ „	„ „ 126 „
„	„	„	1948 წ.	„ „	„ „ 126 „

4. ბარათული მატიანე (ბეჭდური კატალოგის ბარათები საქართველოში გამოცემულ წიგნებზე). 1944 წ. სრული კომპლექტი (12 კომ). ფასი 180 მან.
„ „ 1945 „ „ „ „ „ 180 „
„ „ 1946 „ „ „ „ „ 180 „
„ „ 1947 „ „ „ „ „ 160 „
„ „ 1948 „ „ „ „ „ 120 „

ბ) ერთდროული სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული გამოცემები

1. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია ტომი პირველი 1629-1920 წ. წ. თბ. 1941 წ. . . . . ფასი 70 მან.
2. „ბიბლიოგრაფიის მოამბე" № 1 თბ. 1941 წ. . . . . „ 15 „
3. კარბელაშვილი ლ. მეხილეობა საქართველოში. ბიბლიოგრაფია. თბ. 1941 წ. . . . . „ 10 „
4. საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა საბჭოთა საქართველოს ოცი წლის თავზე. თბ. 1941 წ. . . . . „ 2 „
5. სომხური წიგნი საქართველოში. 1921-1938 წ. ბიბლიოგრაფია. თბ, 1941 წ. . . . . „ 15 „
6. ბაქრაძე გ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945 წ. წ. თბ. 1947 წ. . . . . „ 70 „
7. ქართული მუსიკალური ნაწარმოების ბიბლიოგრაფია 1872-1946 წ. წ. თბ. 1947 წ. . . . . „ 25 „
8. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბიბლიოგრაფია. 1872-1945 წ. წ. თბ. 1947 წ. . . . . „ 8 „
9. ალექსანდრე ჭავჭავაძე. ბიბლიოგრაფია. 1890-1947 წ. წ. თბ. 1947 წ. . . . . „ 5 „

გ) მზადდება გამოსაცემად

გარდა პერიოდულ გამოცემებისა (წიგნის, გაზეთის, ჟურნალის, ბარათული მატიანეებისა) გამოცემული იქნება:

1. ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტომი მეორე. 1921-1945 წ. წ.
2. საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვა ციფრებში. 1921-1945 წ. წ.
3. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა (მოღვაწეობის 25 წლის თავი).
4. ვახტანგ VI სტამბის წიგნის 240 წლისთავი (ნარკვევი).
5. ქართული პერიოდიკის 1946-1947 წელიწდეული.

ფასი 36 მან.

8 656
1948

Библиографиис Моамбэ

4-5

(Вестник библиографии)

ТБИЛИСИ

ГОС. КНИЖНАЯ ПАЛАТА ГРУЗ. ССР
1948